



საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის
ქართველოლოგიის ცენტრი

ტარიელ ფუტყარაძე, მანანა ტაბიძე, მიხეილ ლაბაძე, სოფიო კეკუა,
კესო გეჯუა, ფევზი ჩელები, მაკა სალია-ბეშიროღლუ

**ქართველურ-თურქულ სამეცნიერო კოდთა
შერევის კანონზომიერებები
ქართველურენოვანი მუკაჯირების
შთამომავალთა მეცნიერების მიხედვით**



სამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2022



**Saint Andrew the First-Called Georgian University of the
Patriarchate of Georgia
School of Humanities & Law
Kartvelology centre**

**Tariel Putkaradze, Manana Tabidze, Mikheil Labadze,
Sophio Kekua, Keso Gejua, Fevzi Çelebi, Maka Salia-Beşiroğlu**

**THE KARTVELIAN-TURKISH CODE-
MIXING REGULARITIES ACCORDING TO
THE SPEECH OF KARTVELIAN-SPEAKING
MUHAJIRS' DESCENDANTS**



Publishing House “UNIVERSAL”

Tbilisi 2022



**Gürcistan Patrikhanesi'nin Aziz Andria adını Gürcü
Üniversitesi
Beşeri Bilimler ve Hukuk Fakültesi'nin
kartveloloji Merkezi**

**Tariel Putkaradze, Manana Tabidze, Mikheil Labadze,
Sophio Kekua, Keso Gecua, Fevzi Çelebi, Maka Salia-Beşiroğlu**

**KARTVELCE KONUŞAN MUHACİRLERİN
TORUNLARININ KONUŞMASINA GÖRE
KARTVELCE-TÜRKÇE KODLAR
KARIŞTIRMA DÜZENLERİ**



**„UNIVERSALI“ Yayın Evi
Tbilisi 2022**

DOI: 10.52340/PUTK.20229789941334139

ძვირფასი კოლეგის, მეგობრის, მასწავლებლისა და მამულიშვილის –
პროფესორ **ტარიელ ფუტკარაძის (1960–2021)**
ნათელ ხსოვნას ვუძღვნიტ ამ წიგნს



მონოგრაფია იბეჭდება შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის დაფინანსებით; საგრანტო პროექტის შიფრი: FR-18-14869

რედაქტორი:

პროფ. **იამბე ვაშაკიძე** (კავკასიის უნივერსიტეტი)

რეცენზენტები:

პროფ. **ევა დადიანი** (ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

პროფ. **ნათია ფუტკარაძე** (კავკასიის უნივერსიტეტი)

პროფ. **თამარ ლომაძე** (კავკასიის უნივერსიტეტი)

პროფ. **ნომადი ბართაია** (ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

ფილ. მეცნ. დოქტ. **ბელა შავხელიშვილი** (იბერიულ-კავკასიური კვლევითი ცენტრი)

ინგლისური რეზიუმეს მთარგმნელი: პროფ. **ლელა ებრაღიძე**

თურქული რეზიუმეს მთარგმნელი: პროფ. **ფევზი ჩელები**



მხარდამჭერი: ა(ა)იპ „ტარიელ ფუტკარაძის ქართველოლოგიის
საერთაშორისო საზოგადოება“

© ავტორთა ჯგუფი, 2022

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2022

თბილისი, 0186, ა. ჯოლიბაოვსაიას №4, ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02

E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-33-413-9



ტარიელ ფუტკარაძე
1960-2021

სარჩევი

რედაქტორისაგან	12
მისი სახელი ყველა კარს აღებდა... ..	13
HIS NAME OPENED ALL THE DOORS	17
ADI BÜTÜN KAPILARI AÇIYORDU	20
ძირითად შემოკლებათა განმარტება	23
შესავალი	24
01. თურქეთში მცხოვრებ ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების შესახებ	24
02. იდეალური ორენოვნებისა და სამეტყველო კოდების შერევა–გადართვის რაობა. თურქეთის ქართველურენოვან მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველების ძირითადი თავისებურებანი ქართველურ–თურქული სამეტყველო კოდების შერევის თვალსაზრისით. მათი ქართველურ–თურქული ონომასტიკა	34
ნაწილი პირველი. მუჰაჯირ ქართველთა გადასახლება რუსეთის იმპერიიდან ოსმალეთის იმპერიაში. მათი განსახლების თავდაპირველი, შემდეგი და თანამედროვე არეალები. მუჰაჯირთა შთამომავლების თვითაღქმა დღევანდელ თურქეთში	45
თავი I. მუჰაჯირობის რეალური ისტორია	45
1.1.1. კავკასიაში მუჰაჯირობის დაწყების ბუსტი თარიღის შესახებ	45
1.1.2. 1867–1870 და 1877–1878 წლების მუჰაჯირობა საქართველოში. ქართველი და აფხაზი მუჰაჯირები ოსმალეთის იმპერიაში	46
1.1.3. 1878–1882 წლების მუჰაჯირობა საქართველოში	57
1.1.4. ქართველი და აფხაზი მუჰაჯირები ოსმალეთის იმპერიაში 1877–1878 წლების ომის დასრულების შემდეგ	65
თავი II. საქართველოდან წასული მუჰაჯირების განსახლების ძირითადი არეალები XX საუკუნის I ნახევრამდე. ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების ამჟამინდელი სოფლები თურქეთის რესპუბლიკის რეგიონებში	76
1.2.1. მუჰაჯირად წასული მოსახლეობის სოციოლინგვისტური დახასიათება	76
1.2.2. ლაბეთიდან წასულ მუჰაჯირთა მეტეგვარებისა და ენობრივი კომპეტენციების შესახებ	91
1.2.3. ქართველურენოვან მუჰაჯირთა და მათ აწინდელ შთამომავალთა საცხოვრისი ადგილები და დასახლებული პუნქტები ოსმალეთის იმპერიასა და თანამედროვე თურქეთში (ისტორიული და დღევანდელი ვითარების მიმოხილვა)	115
1.2.3.1. შუა შავიზღვისპირეთი	121

1.2.3.2. სამხრეთ-დასავლეთი შავიზღვისპირეთი	139
1.2.3.3. მარმარილოს ზღვისპირეთი	151

თავი III. ქართველურენოვან მუჰაჯირთა შთამომავლების თვითაღქმა თანამედროვე თურქეთში	159
1.3.1. ისტორიული გადმოცემები, როგორც თვითაღქმის ნაწილი: მუჰაჯირობის სიძნელეები ქართველურენოვან მუჰაჯირთა შთამომავლების მონათხრობთა მიხედვით	159
1.3.2. ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების ფოლკლორი, როგორც თვითაღქმის ერთ-ერთი კომპონენტი	171
1.3.2.1. ქართველ მუჰაჯირთა ფოლკლორული პოეზია	172
1.3.2.2. ქართველ მუჰაჯირთა ფოლკლორული პროზა	177

ნაწილი მეორე. ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების მშობლიური – ქართველური
მეტყველების ძირითადი ნაირსახეობანი. ქართველურ-თურქულ სამეტყველო კოდთა
შერევა სხვადასხვაგვარ კომუნიკაციურ სიტუაციებში და მისი მთავარი მიზეზები 181

თავი I. მუჰაჯირთა შთამომავლებს შორის გავრცელებული აჭარული დიალექტი	181
2.1.1. ზოგადი ცნობები	181
2.1.2. ძირითადი ფონეტიკური თავისებურებანი	183
2.1.2.1. ხმოვანთა სისტემა	183
2.1.2.2. თანხმოვანთა სისტემა	185
2.1.2.3. სინტაგმატიკა. ფონეტიკური პროცესები	188
2.1.2.4. მახვილი და ძირითადი ინტონაციური თავისებურებანი	193
2.1.3. ძირითადი მორფოლოგიური თავისებურებანი	193
2.1.3.1. სახელთა ბრუნების თავისებურებანი	194
2.1.3.1.1. მარტივი ბრუნვები	194
2.1.3.1.2. რთული ბრუნვები	197
2.1.3.1.3. თანდებულიანი ბრუნვები	199
2.1.3.2. სახელთა მითითების თავისებურებანი	200
2.1.3.3. ზედსართავი სახელი	201
2.1.3.4. რიცხვითი სახელი	201
2.1.3.5. სამეტყველო კოდთა შერევა სახელურ სიტყვათწარმოებაში	203
2.1.3.6. ზმნა (ზოგადი მიმოხილვა)	208
2.1.3.6.1. დრო, კილო და ასპექტი	208
2.1.3.6.2. ზმნის პირი და რიცხვი	209
2.1.3.6.3. ზმნისწინი	211
2.1.3.6.4. ხმოვანბრეფიქსული წარმოება	211

2.1.3.6.5. კაუზატივი (შუალობითი კონტაქტი).....	212
2.1.3.6.6. ზმნური ყალიბები	212
2.1.3.7. სახელზმნა	215
2.1.3.7.1. საწყისი	215
2.1.3.7.2. მიმღეობა	216
2.1.3.8. ზმნიზედა.....	217
2.1.3.9. ნაწილაკი.....	218
2.1.4. ძირითადი სინტაქსური თავისებურებანი	219
2.1.5. ლექსიკური ფონდი (ზოგადი მიმოხილვა)	220
2.1.6. დასკვნითი სიტყვა	222
თავი II. მუჰაჯირთა შთამომავლებს შორის გავრცელებული ლაზური მეტყველება	
და მისი კვალიფიცირების ზოგიერთი საკითხი.....	224
2.2.1. ზოგადი ცნობები	224
2.2.2. ძირითადი ფონეტიკური თავისებურებანი.....	227
2.2.2.1. ხმოვანთა სისტემა	227
2.2.2.1.1. პალატალიზებული ხმოვნები	229
2.2.2.1.2. ღ ბგერა	231
2.2.2.1.3. უმარცვლო ჟ	234
2.2.2.1.4. ხმოვანთა შემართვა.....	234
2.2.2.2. თანხმოვანთა სისტემა.....	237
2.2.2.2.1. გემინატი (ინტენსიური) თანხმოვნები	239
2.2.2.3. სინტაგმატიკა. ფონეტიკური პროცესები	239
2.2.2.4. მახვილი და ძირითადი ინტონაციური თავისებურებანი	245
2.2.3. ძირითადი მორფოლოგიური თავისებურებანი	248
2.2.3.1. სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოება	248
2.2.3.2. სახელთა ბრუნების თავისებურებანი	248
2.2.3.2.1. მარტივი ბრუნვები.....	249
2.2.3.2.2. რთული ბრუნვები	253
2.2.3.2.3. თანდებულიანი ბრუნვები	254
2.2.3.3. ზედსართავი სახელი.....	255
2.2.3.4. რიცხვითი სახელი.....	256
2.2.3.5. ნაცვალსახელი.....	258
2.2.3.6. ზმნა (ზოგადი მიმოხილვა).....	259
2.2.3.6.1. დრო, კილო და ასპექტი	259
2.2.3.6.2. ზმნის პირი და რიცხვი.....	260
2.2.3.6.3. ზმნისწინი	261

2.2.3.6.4. ხმოვანპრეფიქსული წარმოება	265
2.2.3.6.5. კაუზატივი (შუალობითი კონტაქტი)	266
2.2.3.6.6. ზმნის მწკრივები	266
2.2.3.6.7. ზმნური ყალიბები	268
2.2.3.7. სახელზმნა	271
2.2.3.7.1. საწყისი	271
2.2.3.7.2. მიმღობა	272
2.2.3.8. ზმნიზდა	272
2.2.3.9. ნაწილაკი	273
2.2.4. ძირითადი სინტაქსური თავისებურებანი	274
2.2.5. ლექსიკური ფონდი (ზოგადი მიმოხილვა)	275
2.2.6. დასკვნითი სიტყვა	276

თავი III. სამეტყველო კოდთა შერევის სხვადასხვა ტიპი ქართველურენოვან მუჰაჯირთა მეტყველებაში	278
2.3.1. ქართველური და თურქული დომინაციები ქართველურენოვან მუჰაჯირთა შთამომავლების თანამედროვე მეტყველებაში. ქართველურ-თურქულ სამეტყველო კოდთა შერევა-გადართვის ძირითადი სახეობები	278
2.3.2. ქართველურ-თურქულ სამეტყველო კოდთა შერევა ონომასტიკაში	294
2.3.2.1. ანთროპონიმიკა	294
2.3.2.2. ტოპონიმიკა	302
2.3.3. ქართველურ სამეტყველო კოდთა შერევის საკითხები	304

დასკვნითი დებულებები	312
-----------------------------------	------------

დამოწმებული ლიტერატურა და ბიბლიოგრაფია	318
---	------------

დანართი. ქართველურენოვან მუჰაჯირთა მეტყველების ტექსტური ნიმუშები	331
1. შუა შავიზღვისპირეთი (ვირესუნი-ფაცა-ორდუ-სინოპი და ამასია)	332
2. სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთი (დუმჯე-საქარია)	407
3. მარმარილოს ზღვისპირეთი (ბურსა-ინეგოლი)	506

მთქმელები და მეგზურები	588
-------------------------------------	------------

THE KARTVELIAN-TURKISH CODE-MIXING REGULARITIES ACCORDING TO THE SPEECH OF KARTVELIAN-SPEAKING MUHAJIRS' DESCENDANTS	590
---	------------

01. On Descendants of Georgian Muhajirs Living in Turkey	590
--	-----

02. The Essence of Ideal Bilingualism and Speech Code-Mixing and Code-Switching. Main Peculiarities of the Speech of Kartvelian-speaking Muhajirs' Descendants Living in Turkey with regard to Kartvelian and Turkish Speech Code Mixing. Their Kartvelian-Turkish Onomasticon..... 599

**KARTVELCE KONUŞAN MUHACİRLERİN TORUNLARININ
KONUŞMASINA GÖRE KARTVELCE-TÜRKÇE KODLAR
KARIŞTIRMA DÜZENLERİ 609**

01. Gürcü göçmenlerin Türkiye’de yaşayan nesli hakkında 609

02. İdeal iki dillilik ile konuşma kodlarının karışma ve geçişme düzeyi. Türkiye’de Kartveluri-Türkçe konuşma kodlarının karışması açısından Kartveluri-Türkçe konuşan göçmenlerin torunlarının dilsel temel özellikleri. Kartveluri-Türkçe onomastikleri 618

ფოტომასალა 627

საძიებელი 665

რედაქტორისაბან

ჩვენი სამწიგნობრო ენის პერსპექტივისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია მისი მასაზრდოებელი დიალექტური მრავალფეროვნების შენარჩუნება, კონკრეტულ შემთხვევაში — საქართველოს სახელმწიფო საზღვრებს მიღმა მცხოვრებ თანამემამულეთა მეტყველების თავისებურებათა ჩაწერა—შესწავლა, რასაც ითვალისწინებს წინამდებარე ნაშრომი — პროფ. ტარიელ ფუტკარაძის ბოლო სამეცნიერო პროექტი... ველარ მოესწრო, მაგრამ, როგორც თავად ამბობდა, საკუთარი „შვილებივით აღზრდილმა“ ახალგაზრდა დოქტორებმა გააგრძელეს მასწავლებლის დაწყებული საქმე და საენათმეცნიერო სივრცეს შესძინეს უმნიშვნელოვანესი გამოკვლევა მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლების მეტყველების შესახებ.

გამოკვლევაში მეცნიერული სიზუსტით არის წარმოდგენილი, ერთი მხრივ, ქართული სამწიგნობრო ენისათვის დამახასიათებელი ისტორიული ვითარება, რომელიც დღემდე შეინარჩუნა დედაენობრივ ფესვებს თითქმის საუკუნე-ნახევრით მოწყვეტილმა მუჰაჯირების შთამომავალთა მეტყველებამ, ხოლო მეორე მხრივ — ის ფონეტიკური, მორფოლოგიურ-სინტაქსური თუ ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური თავისებურებანი, რომლებიც მან უცხოენობრივ გარემოცვაში, ქართველურ-თურქულ სამეტყველო კოდთა შერევის კანონზომიერებათა საფუძველზე განივითარა.

პროექტის მონაწილეებმა ნაშრომს დაურთეს თურქეთის ტერიტორიის სხვადასხვა ნაწილში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეთაგან ჩაწერილი მოგონებები წინაპრებზე — მათი ცხოვრებისა და სამეურნეო საქმიანობის ამსახველი თემატურად მრავალფეროვანი ტექსტები, რომლებიც მნიშვნელოვანია როგორც ენათმეცნიერული თვალსაზრისით, ისე სხვა ქართველოლოგიური კვლევებისთვისაც.

მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებას სულ უფრო და უფრო მეტი საფრთხე ემუქრება; ეს საცნაური გახდა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან თურქეთის სახელმწიფოში საყოველთაო თურქულენოვანი განათლების შემოღების შემდეგ; ამას ემატება თანამედროვე ვითარებაც, კერძოდ: საქართველო-თურქეთის კეთილმეზობლური ურთიერთობის პირობებში, როდესაც ქართველი მუჰაჯირების შთამომავალთა ახალგაზრდა თაობა ინტერესით ეუფლება თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენას და ნორმებს, თანდათან ძლიერდება, უმეტესად, შუა და უფროსი თაობის კუთხურ მეტყველებაში შემონახული ენობრივი საგანძურის (resp. ერის ისტორიული მესხიერების) გაქრობის ტენდენცია.

ახალგაზრდა ავტორთა წინამდებარე გამოკვლევა სწორედ აღნიშნული მიმართულებით განხორციელებული მნიშვნელოვანი განაცხადია, რომელიც ასევე ათვალსაჩინოებს, რომ ჯერ კიდევ ბევრი მასალაა მოსაძიებელი და შესასწავლი საქართველოს სახელმწიფო საზღვრებს მიღმა მცხოვრებ თანამემამულეთა მეტყველებაში.

იამზე ვაშაკიძე

კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი

მისი სახელი ყველა კარს აღებდა...

„იცი – გებულობ, ქართულია ეგვიც...“

მუსტაფა ოზთურქი (ხობოტაიშვილი)

წინამდებარე ნაშრომი, რომელიც შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ 2018 წ. დაფინანსებული პროექტის: „ქართველურ-თურქულ სამეტყველო კოდთა შერევის კანონზომიერებები ქართველურენოვანი მუჭაჯირების შთამომავალთა მეტყველების მიხედვით“ (FR-18-14869) ფარგლებში მომზადდა, ეძღვნება ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ტარიელ ფუტკარაძეს.

პროექტის იდეა, მისი სტრატეგია და ტაქტიკა სწორედ პროფ. ტარიელ ფუტკარაძეს ეკუთვნის, ხოლო პროექტის განხორციელება თვით ბ-ნ ტარიელის ერთწლიანი შრომის შემდგომ, მის მოწაფეებსა და კოლეგებს: **მიხეილ ლაბაძეს, სოფიო კეკუას, კესო გეჯუას, მაკა სალია-ბეშიროდლუსა და ფევიზ ჩელების** დააწვანებდა მხრებზე. ამ წინასიტყვაობის ავტორიც ამ პროექტს მისი სულისჩამდგმელისა და სამეცნიერო ლიდერის გარდაცვალების შემდეგ დაუკავშირდა და შეეცადა, თავისი საამაყო მეგობრისა და კოლეგისათვის მნიშვნელოვანი ყოველი მოსაზრება ხელშეუხებლად განივთებულიყო კვლევის პროცესში. ასე რომ, დასაწყისიდან ბოლომდე პროექტი მიმდინარეობდა ბატონი ტარიელის ჭეშმარიტი თავკაცობით, მისი სამეცნიერო და საზოგადოებრივი კონტაქტების წყალობით მზადდებოდა და ხორციელდებოდა ექსპედიციები თურქეთში, მისი სახელი აღებდა ყველა კარს და მის მიერ დათესილი უამრავი სიკეთე და ყურადღება მუდამ ბრუნდებოდა სიკეთედ და ყურადღებად მასპინძელთა და კოლეგათა მხრიდან.

ტარიელ ფუტკარაძე თანამედროვე საქართველოს სამეცნიერო, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ელიტის გამორჩეული წარმომადგენელია, რომლის ბიოგრაფიას ამშვენებს მეცნიერული და იდეოლოგიური კეთილსინდისიერებისა და უღალატო მამუღიშვილობის მრავალი ფურცელი. ამ საინტერესო ბიოგრაფიაში კი განსაკუთრებულია ქართველოლოგიურ კვლევათა ის ნაწილი, რომელიც თანამედროვე თურქეთში მცხოვრებ ქართველთა მეტყველების შესწავლას ეძღვნება.

ქართველური ენა-კილოების მონაცემთა თავმოყრა, აღწერა და გაანალიზება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ლინგვისტური ქართველოლოგიის, არამედ თეორიული ენათმეცნიერების კუთხითაც, რამდენადაც აგლუტინაციურ ენათა ეს უაღრესად საინტერესო უბანი თავისი მრავალფეროვნებით, კარგად ორგანიზებული სტრუქტურითა და ისტორიული გამძლეობით ძალზე მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს თეორიული ენათმეცნიერებისათვის. ენათა ისტორიის გრძელ და ფათერაკიან გზაზე ბევრმა ეთნოსმა დაკარგა თავისი ენაცა და ენობრივი იდენტობაც, მრავალ მათგანს სხვა

ენებთან შერევისა თუ აღრევის მძიმე ხვედრი ერგო, ბევრი ენა კი, თუმცა შეინარჩუნა თავისი ძირითადი ლინგვისტური მახასიათებლები, მისი მატარებელი ეთნოსისათვის ვერ გადაიქცა განათლებისა და კულტურის ნებისმიერ საფეხურზე ფუნქციონირებად სააზროვნო და საკომუნიკაციო საშუალებად და „გარეშე“ ენით ჩაინაცვლა ფუნქციონირების არაერთი სფერო.

ამ ფონზე ქართველურ ენა-კილოთა გამორჩეული სიცოცხლისუნარიანობა ძალიან საინტერესო კითხვებს ბადებს და პასუხების ძიების სურვილს აძლიერებს. სხვადასხვა მიზეზითა და სხვადასხვა ისტორიული განსაცდელით გამოწვეული შედეგი – სხვადასხვა სახელმწიფოს მოქალაქეებად ქართველების კომპაქტური დასახლებების შენარჩუნება ან გაჩენა – უკვე მომხდარის შეფასების გარდა, სამომავლო პროცესების განჭვრეტის საშუალებასაც იძლევა. თანამედროვე მსოფლიოს მისწრაფება დემოკრატიული აღმშენებლობისაკენ შესაძლებლობას გვაძლევს ლინგვისტური კვლევები გავშალოთ სხვადასხვა გარემოში აღმოჩენილი ქართველური ენა-კილოების აღწერა-სისტემატიზაციის მიმართულებით, ენობრივი კონტაქტების ნაირგვარი ბუნებისა და სხვადასხვა პოლიტიკური პოზიციის მიუხედავად, მშობლიური ენისა და ენობრივი იდენტობის სიმყარეს ახსნა მოუძებნოთ და ენის წიაღში განსაკუთრებულად მდგრადი შემადგენლები დავადგინოთ.

ამ თვალსაზრისით, თანამედროვე თურქეთის მოქალაქეთა ქართველური ნაწილის მეტყველების შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. და ამ საქმეს ორივე სახელმწიფოს (საქართველოსა და თურქეთის) კეთილი ნების გარდა, დიდად ეხმარება ე.წ. სახალხო დიპლომატიაც, რომლის ნაწილიცაა უაღრესად ნაყოფიერი თანამშრომლობა ქართველ და თურქეთელ მეცნიერთა შორის.

წინამდებარე პროექტი სწორედ ამ ორმხრივი თანამშრომლობის შედეგია, ამგვარი პროექტის განხორციელებისაკენ იყო მიმართული პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის მრავალწლიანი შრომა და ღვაწლი; იგი სხვადასხვა თაობის ქართველი სპეციალისტების (ლინგვისტების, ეთნოლოგების, ფოლკლორისტების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ამ დარგების წარმომადგენელ მაგისტრანტ-დოქტორანტების) შემადგენლობით ყოველწლიურად ატარებდა სამეცნიერო ექსპედიციებს თურქეთის რესპუბლიკაში, საქართველოში მასპინძლობდა თურქეთელ კოლეგებს, იწვევდა მათ სამეცნიერო კონფერენციებსა და ექსპედიციებში, ხელმძღვანელობდა თურქეთის უნივერსიტეტების კურსდამთავრებულებს მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში, აქვეყნებდა სამეცნიერო სტატიებსა და მონოგრაფიებს ქართულ-თურქული ენობრივი კონტაქტების თავისებურებებზე და სხვ.

წარმოდგენილი წიგნი არის მხოლოდ ერთი ნაწილი იმ დიდი სამეცნიერო კვლევისა, რომელიც თანამედროვე თურქეთში მცხოვრები ქართველების მეტყველების

თავისებურებებს ეძღვნება. თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში – იქ, სადაც ქართველობა მკვიდრ მოსახლეობას წარმოადგენს და თავის ისტორიულ სამკვიდრებელში ცხოვრობს, დედაენის შენარჩუნებას არა მხოლოდ ისტორიული მეხსიერება, არამედ ისეთი ექსტრალინგვისტური ფაქტორიც ეხმარება, როგორცაა გეოგრაფიულ-კულტურული გარემო; რაც შეეხება ქართველ მუჰაჯირებს, მათი გადასახლება თურქეთის მსხვილ რეგიონებში (შუა შავიზღვისპირეთში, სამხრეთ-დასავლეთ შავიზღვისპირეთსა და მარმარილოს ზღვისპირეთში, აგრეთვე დიდ ქალაქებშიაც (სტამბოლი, ანკარა, იზმირი, იზმითი და ა.შ.) მეცხრამეტე საუკუნეში იწყება და მათი ბედი თურქეთის სახელმწიფოში აღმოჩენილ დანარჩენ ქართველთაგან სრულიად განსხვავებული, თავისებური სოციალურ-პოლიტიკური ფაქტორებითაა განპირობებული; ამ მოსახლეობის განწყობა თურქეთის, როგორც მიმღები ქვეყნის წიაღში დამკვიდრების ინტეგრაციის მიმართულებით, გაცილებით განსხვავდება სხვა ქართველური ჯგუფების განწყობისაგან. თვით მუჰაჯირთა განსახლების ადგილებსაც, არაერთგვაროვანი ენობრივ-კულტურული კონტექსტის გამო, ამ დიასპორის ქართულზე სპეციფიკური გავლენა აქვს და სწორედ ამ დამატებითი ფაქტორების გამოვლენა და ე.წ. ორდონიან ენობრივ კომპეტენციაზე ზემოქმედების მასშტაბების განსაზღვრა ანიჭებს წინამდებარე კვლევას განსაკუთრებულობას.

თანამედროვე სამეცნიერო მიდგომები კომპლექსურ კვლევას უჭერს მხარს და, შესაბამისად, ამა თუ იმ მონაცემის მხოლოდ მექანიკური ფოტოგრაფირებით ვერცერთი დარგი ვეღარ შემოიფარგლება. სწორედ ამას ითვალისწინებდა პროფ. ტარიელ ფუტკარაძე თავის მრავალრიცხოვან ექსპედიციებში, სამეცნიერო კონფერენციებსა და კრებულებში, როდესაც სხვადასხვა ენობრივ გარემოში აღმოჩენილი ქართველების ენობრივი კომპეტენციის საკითხებს იკვლევდა არამხოლოდ ლინგვისტიკის, არამედ ეთნოგრაფიის, ისტორიის, ფოლკლორის, პოლიტიკის... თვალსაზრისით; თურქეთელი ქართველების მეტყველების თავისებურებათა შესწავლის გარდა, მისი კვლევის ობიექტი გახლდათ ირანში (ფერეიდანში) მცხოვრები ქართველების ქართულიც, საბჭოთა რუსეთის მიერ დღევანდელი აზერბაიჯანის შემადგენლობაში მოქცეული საქართველოს ისტორიული ნაწილის (ჰერეთის) ქართველობაც და ა.შ.

პროფესორ ტარიელ ფუტკარაძეს ქართველური მეტყველების საქართველოსგარეთა ცხოვრების ვრცელი და სრული ეპოპეის მონოგრაფიებად აკინძვა ეოცნებებოდა და ამ მიზნისაკენ თანამიმდევრულად მიიწევდა თავის საენათმეცნიერო სკოლაში შემოკრებილ ახალგაზრდა მეცნიერთა გუნდთან ერთად. ამჯერად რუსთაველის ფონდის მხარდაჭერით ამ მონოგრაფიული ციკლის ის ნაწილი დამუშავდა, რომელიც ქართველი მუჰაჯირების მეტყველების შესწავლას მიეძღვნა; დანარჩენი თემებისათვის მზადაა არაერთი ექსპედიციის ფარგლებში მომზადებული ტექსტები, დანარჩენი მასალის

მოსაპოვებლად თუ შესაფასებლად ჩამოყალიბებული მეთოდოლოგია და მწყობრი კრიტერიუმები, უკვე გარკვეული გამოცდილებით დაბრძნებული სამეცნიერო კადრები, საქმის ენთუზიასტები. ასეთი საქმიანობის ხელშეწყობა სახელმწიფოთა კეთილმეზობლური ურთიერთობის განმტკიცების საწინდარია.

ჩატარებულმა სამუშაომ წარმოაჩინა ლინგვისტური ქართველოლოგიის სფეროში შემდგომ კვლევათა პერსპექტიულობა და ქართულ-თურქული სამეცნიერო კონტაქტების მნიშვნელობა. თანამედროვე მსოფლიო უაღრესად სწრაფად იცვლება, შესაბამისად, ყოველი ისტორიული წამის დაფიქსირება საშური საქმეა.

მანანა ტაბიძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
პროფესორი

HIS NAME OPENED ALL THE DOORS...

„You know – you understand, it is Georgian too... “
Mustafa Öztürk (Khokhotashvili)

The following work, which was prepared within the framework of the project **„The Kartvelian-Turkish Code-mixing regularities According to the Speech of Kartvelian-speaking Muhajirs’ Descendants“** (FR-18-14869) financed in 2018 by the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia, is dedicated to Professor Tariel Putkaradze, Doctor of Philological Sciences.

The idea of the project, its strategy and tactics belong to Prof. Tariel Putkaradze. After one year of work undertaken by Mr. Putkaradze himself, the implementation of the project fell on the shoulders of his disciples and colleagues: **Mikheil Labadze, Sophio Kekua, Keso Gejua, Maka Salia-Beşiroğlu and Fevzi Çelebi**. The author of this preface also got connected with this project after the death of its founder and scientific leader and tried to keep every opinion important to her friend and colleague intact in the research process. Thus, from the beginning to the end, the project was carried out under the genuine leadership of Mr. Tariel, expeditions to Turkey were prepared and carried out thanks to his scientific and public contacts, his name opened all the necessary doors. What is more, a lot of kindness and attention he sowed always returned as kindness and attention from his hosts and colleagues.

Tariel Putkaradze is an outstanding representative of the scientific, political and public elite of contemporary Georgia. His biography stands out with scientific and ideological integrity and loyal patriotism. The special part of his interesting biography comprises Kartvelological research dedicated to the study of the speech of Georgians living in contemporary Turkey.

Data collection, description and analysis of the Kartvelian languages and dialects is important not only for linguistic Kartvelology, but also for theoretical linguistics, as this extremely interesting area of agglutinative languages with its diversity, well-organized structure and historical durability contains very important information for theoretical linguistics. In the long and winding path of the history of languages, many ethnic groups lost their language and linguistic identity, many of them suffered the hard fate of being mixed or confused with other languages, and many languages, although they retained their main linguistic characteristics, could not turn into thinking and communication means at any level of education

and culture for the ethnic group and they were replaced in numerous spheres of functioning by the 'outsider' language.

Against this background, the outstanding vitality of the Georgian languages and dialects raises very interesting questions and strengthens the desire to find answers. The result caused by various reasons and numerous historical trials - the preservation or emergence of compact settlements of Georgians as citizens of different states - allows not only the evaluation of what has already happened, but also the prediction of future processes. The aspiration of the modern world towards democratic reconstruction gives us the opportunity to develop linguistic studies in the direction of description and systematization of the Georgian languages and dialects found in different environments, to find an explanation for the strength of the native language and linguistic identity despite the diverse nature of language contacts and different political positions, and to identify particularly stable components within the language.

From this point of view, the study of the speech of the Georgian part of the citizens of modern Turkey is of great importance. And, apart from the good will of both states (Georgia and Turkey), the so-called public diplomacy is of great help, the part of which represents the extremely fruitful cooperation between Georgian and Turkish scientists.

The present project is the result of this mutual cooperation, the years-old work and merits of Professor Tariel Putkaradze directed towards the implementation of such project; He united different generations of Georgian specialists (linguists, ethnologists, folklorists, art historians and master's and doctoral students representing these fields) and annually conducted scientific expeditions to the Republic of Turkey, hosted Turkish colleagues in Georgia, invited them to scientific conferences and expeditions, supervised graduates of Turkish universities in their masters and doctoral studies, published scientific articles and monographs on the peculiarities of Georgian-Turkish language contacts, etc.

The presented book is only a part of the great scientific research, which is dedicated to the peculiarities of the speech of Georgians living in contemporary Turkey. In the north-eastern part of Turkey - where the Georgian population represents the indigenous people who live in their historical heritage, the preservation of the mother tongue is supported not only by historical memory, but also by numerous extra-linguistic factors including geographical and cultural environment. As far as Georgian Muhajirs are concerned, their exile to the Black Sea coast, the southwestern Black Sea coast and the Marmara coast (as well as in big cities (Istanbul, Ankara, Izmir, Izmit, etc.)) begins in the nineteenth century,

and their fate is determined by socio-political factors completely different from the rest of the Georgians found in the Turkish state; the mood of this population in Turkey, as a host country, in the direction of integration and establishment, is much different from the attitude of other Georgian groups. The detection of factors and determining the magnitude of the impact of the so-called two-level language competence make the present study special.

Modern scientific approaches support complex research, and therefore no field can be limited to only mechanical photography of this or that data. This is what Prof. Tariel Putkaradze considered in his numerous expeditions, scientific conferences and collections, when he researched the issues of linguistic competence of Georgians found in different linguistic environments, not only from linguistic, but also from the ethnographic, historical, folkloric, political, etc. points of view...; In addition to the study of the peculiarities of the speech of Turkish Georgians, the object of his research was also the Georgian of the Georgians living in Iran (Fereidan), the Georgianness of the historical part of Georgia (Hereti) included in today's Azerbaijan by Soviet Russia, etc.

Professor Tariel Putkaradze dreamed of tying the extensive and complete epic of the life of Georgian speech outside of Georgia into monographs, and he and the team of young scientists gathered at his Linguistics School were moving towards this goal. At this stage, thanks to the support of the Rustaveli Foundation, the part of this monographic cycle dedicated to the study of the speech of Georgian emigrants was developed; For the rest of the topics, the texts prepared within the framework of several expeditions and the established methodology and orderly criteria for obtaining and evaluating the rest of the material are ready, and the scientific personnel already has certain experience and enthusiasm. Promotion of such activities is a prerequisite for strengthening neighborly relations between states.

The conducted work demonstrated the prospects of the research in the field of linguistic Georgian studies and the importance of Georgian-Turkish scientific contacts. The modern world is changing extremely fast, therefore, capturing every historical moment is an extremely urgent task.

Prof. Manana Tabidze
Doctor of Philological Sciences

ADI BÜTÜN KAPILARI AÇIYORDU...

„Biliyorsun - anlıyorsun, bu da Gürcüce...“
Mustafa Öztürk (Khokhotaişvili)

Gürcistan Şota Rustaveli Ulusal Bilim Vakfı tarafından 2018’de finanse edilen **„Kartvelce konuşan muhacirlerin torunlarının konuşmasına göre kartvelce-türkçe kodlar karıştırma düzenleri“ (FR-18-14869)** adlı proje çerçevesinde hazırlanan bu eser, filoloji bilimleri doktoru Prof. Dr. Tariel Putkaradze'ye ithaf edilmiştir.

Projenin fikri, stratejisi ve yöntemleri tamamen Prof. Dr. Sn. Tariel Putkaradze'ye aittir. Sn. Putkaradze'nin katılabildiği bir yıllık çalışmanın ardından, projenin sürdürülebilmesinin yükü öğrencileri ve meslektaşları **Mikheil Labadze, Sopia Kekua, Keso Gecua, Maka Salia- Beşiroğlu ve Fevzi Çelebi'nin** omuzlarına kalmıştır. Bu önsözün yazarı da bu projeye; ona ruh veren bilim liderinin vefatından sonra temasa geçti ve gurur duyduğu arkadaşı ve meslektaşı için önemli olan her yaklaşımı araştırma sürecinde ihmal etmemeye çalıştı. Böylelikle proje başından sonuna kadar Sn. Putkaradze'nin asli liderliğinde yürütülmüş oldu. O'nun ilmi şahsiyeti ve toplumsal irtibatları sayesinde Türkiye'ye ilmi seyahatler hazırlandı ve yürütüldü. Adı bütün kapıları açıyordu. Ektiği iyilikler, ev sahipleri ve meslektaşlarından hep hayırlı yaklaşımlar ve ilgi olarak geri dönüyordu.

Sn. Tariel Putkaradze çağdaş Gürcistan'ın, bilimsel, politik ve milli seçkinleri arasında öne çıkan bir figürdür. Biyografisi dürüst bilimsel ve ideolojik yaklaşımlarla birlikte vefalı vatan evladı olmanın ortaya çıkardığı birçok sayfayla bezenmiştir. Bu ilgi çekici biyografide çağdaş Türkiye’de yaşayan Gürcülerin sözlü edebiyatları üzerine yapılan Kartveloloji araştırmalarına ait bölüm özel bir yer tutar.

Kartveluri konuşma sistemlerine ait verilerin toplanması, tanımlanması ve analizlerinin yapılması, yalnızca dilbilimsel Kartveloloji açısından değil, aynı zamanda teorik dilbilim açısından da dikkati çeker, çünkü eklemeli dillerin çeşitliliğiyle birlikte matematiksel yapıları ve tarihi süreçte elde ettikleri dayanıklılıkları teorik dilbilim için çok önemli veriler ihtiva eder.

Bu arka plan Kartveluri konuşma sistemleri hakkında birçok ilgi çekici soruyu da gündeme getirmekte ve sorulara cevap bulma arzusunu kamçulamaktadır. Gürcülerin çeşitli sebeplerden, elbette tarihteki farklı çekişmelerin yol açtığı sonuçlardan dolayı farklı devletlerin vatandaşları olarak toplu yerleşim sürdür-

meleri veya yeni toplu yerleşimler ortaya çıkarmalarıyla beliren durumlarının incelenmesi halihazırda olanın değerlendirilmesine ek olarak, ilerideki süreçlerin de tahmin edilmesine imkan sağlar. Modern dünyanın demokratik yeniden inşaya yönelik özlemi bize, dilbilim araştırmalarını farklı ortamlara doğru genişletmemize fırsat verir. Farklı ortamlarda yaşayan Kartveluri konuşma sistemlerinin tanımlanması ve bir bütün sağlayacak biçimde karşılıklı olarak birbirine bağlı öğelerinin oluşturduğu yani kurulmuş düzen içindeki yerinin tespiti yönünde dilbilimsel çalışmaları geliştirmeyi olanaklı kılar. Dillerin birbirleriyle irtibatlarının tabii yönleri ve içinde buldukları farklı siyasi koşullar ne olursa olsun, ana dil ve dilsel kimliğin istikrarı için bir açıklama bulunur ve dilin özündeki özellikle kararlı bileşenleri belirlenir.

Bu açıdan bakıldığında, çağdaş Türkiye vatandaşlarından Gürcülerin dil varlıklarının özelliklerinin incelenmesi büyük önem taşımaktadır. Bu uğraş her iki devletin (Gürcistan ve Türkiye) iyi niyetine ek olarak, kamu diplomasisi olarak adlandırılabilir ve bir kısmı, Gürcistanlı ve Türkiyeli bilim adamları arasındaki son derece verimli işbirliğini de kapsayan hususu da içerir.

Mevcut proje, bu karşılıklı işbirliğinin sonucudur. Prof. Dr. Tariel Putkaradze'nin uzun yıllar sürdürdüğü çalışmaları ve sahip olduğu meziyetleri böyle bir projenin uygulanmasını hedeflemekteydi. Farklı kuşaklardan Gürcü uzmanlar (dilbilimciler, etnologlar, halkbilimciler, sanat tarihçileri) ve bu alanları temsil eden yüksek lisans ve doktora öğrencilerinin iştirakleriyle her sene Türkiye Cumhuriyeti'ne bilimsel geziler tertip ediyordu. Türk meslektaşlarına Gürcistan'da ev sahipliği yapıyor, onları bilimsel konferanslara ve bilimsel gezilere davet ediyordu, Türk üniversitelerinin mezunlarının Gürcü üniversitelerindeki yüksek lisans ve doktora çalışmalarında danışmanlıklarda bulunuyordu. Gürcü ve Türk dillerinin birbirleriyle irtibatları üzerine gibi hususlarda bilimsel makaleler ve monografiler neşrediyordu.

Sunulan kitap, çağdaş Türkiye'de yaşayan Gürcülerin konuşma özelliklerine yönelmiş büyük bilimsel araştırmanın yalnızca bir parçasıdır. Türkiye'nin kuzeydoğusunda ata topraklarında yaşayan otokton Gürcülerin ana dillerini muhafaza etmelerine sahip oldukları tarihi hafıza, içerisinde buldukları coğrafi ve kültürel çevre gibi dış faktörler önemli ölçüde destek olur. Fakat Gürcü göçmenlere gelince; Türkiye'nin geniş bölgelerine (orta Karadeniz kıyısı, güneybatı Karadeniz kıyısı ve Marmara Denizi kıyısı) ve ayrıca büyük şehirlere (İstanbul, Ankara, İzmir, İzmit vd.) göçleri 19. yüzyılda başlar ve kaderleri Türk devletinin geri kalanındaki Gürcülerden tamamen farklı sosyo-politik faktörlerle şekillenir. Bu nüfusun ruh hali, ev sahibi bir ülke olarak Türkiye'ye yerleşme ve entegrasyon

yönündedir. Tabiatıyla diğer Gürcü gruplarının tavrından farklıdır. Göçmenlerin yerleşim yerleri bile, birbirine yakın değerleri ve aynı nitelikleri içermeyen ancak bir bütün olan dilsel ve kültürel bağlamdadır. Bu nedenle mevcut diasporanın Gürcücesi üzerinde spesifik etkiler oluşmuştur ve tam olarak bu ek faktörlerin algılanması ve iki seviyeli olarak tanımlanabilecek dilsel yeterlilikler üzerindeki etkinin boyutu bu çalışmayı özel kılmaktadır.

Modern bilimsel yaklaşımlar karmaşık araştırmaları desteklemektedir ve bu nedenle hiçbir alan şu veya bu verilerin mekanik olarak fotoğraflanmasıyla sınırlandırılmaz. Prof. Dr. Tariel Putkaradze, sayısız bilimsel gezisinde, bilimsel konferanslarında ve akademik yayınlarda ele aldığı; farklı dilbilimsel ortamlarda bulunan Gürcülerin dilsel yeterlilik konularını araştırırken dil üzerinde etkili olabilecek, etnografya, tarih, siyaset açısından da tespitler yapmıştır... Türkiye Gürcülerinin konuşma özellikleri dışında araştırmalarına İran'da (Fereydan) yaşayan Gürcülerin Gürcücesini ve Sovyet Rusya tarafından günümüz Azerbaycan topraklarına dâhil edilen Gürcistan'ın tarihi parçasının (Hereti) Gürcücesini de ilave etmiştir.

Prof. Dr. Tariel Putkaradze, Gürcistan dışında destansı biçimde yaşamaya devam eden Kartveluri konuşma sistemlerini bir monografisinde kapsamlı ve eksiksiz olarak somutlaştırmayı hayal ediyordu. Kendisi bu hedefe ilerlerken O'nun dil okulunda toplanan genç bilim adamlarından oluşan ekip de aynı yöne ilerliyordu. Rustaveli Vakfı'nın desteğiyle, monografi döngüsünün Gürcü göçmenlerin konuşmalarının incelenmesine ayrılmış bu bölümü geliştirildi; Geri kalan konular için de; çeşitli bilimsel seyahatler sırasında ve sonrasında tespit edilip ortaya konan metinler ile kalan materyalin incelenmesi ve değerlendirilmesi için metodoloji ve düzen kriterleri belirlenmiş olup zaten tecrübe ve bilgiyle donanmış belirli bilim adamları ve işin meraklıları için hazır durumdadır. Bu tür faaliyetlerin teşvik edilmesi, devletlerarasındaki iyi komşuluk ilişkilerinin güçlendirilmesi için bir ön koşuldur.

Yürütülen çalışma, Kartveloloji dil çalışmaları alanında daha fazla araştırma perspektifini ve Gürcüce-Türkçe bilimsel bağlantıların önemini ortaya koymaktadır. Modern dünya son derece hızlı bir şekilde değişmektedir ve bu sebepten her tarihi anı yakalamak elbette mümkün değildir...

Manana Tabidze
Dilbilimleri Doktoru (PhD)
Profesör

ძირითად შემოკლებათა განმარტება:

- ავან.** — საქარიის ილის საფანჯას ილჩეს სოფელ ავანას (თურქ. İkbaliye köyü) ქართული მეტყველება
- ათინ.** — ლაზურ დიალექტთა ჯგუფის ათინურ-ართაშენული დიალექტის ათინური კილოკავი
- ათინ.-ართ.** — ლაზურ დიალექტთა ჯგუფის ათინურ-ართაშენული დიალექტი
- ამბ.-დამ.** — გირესუნის ილის ბულანჯაქის ილჩეში მდებარე სოფლების – ამბარალანისა და დამუდერეს ქართული მეტყველება
- არაბ.** — არაბულად, არაბული ენა
- ართ.** — ათინურ-ართაშენული დიალექტის ართაშენული კილოკავი
- არქ.** — არქაბული კილოკავი
- არქ.** — ლაზურ დიალექტთა ჯგუფის ვიწურ-არქაბული დიალექტის არქაბული კილოკავი
- აჭარ.** — მესხურ დიალექტთა ჯგუფის აჭარული დიალექტი
- ბურს.** — ქ. ბურსის ქართული მეტყველება
- ბუნ.** — ლაზურ დიალექტთა ჯგუფის ხოფური დიალექტის ბუნური კილოკავი
- ბქვ.** — სვანურ კილოთა ჯგუფის ბალსქვემოური კილო
- დუზჯ.** — ქ. დუზჯეს ქართული მეტყველება
- ერეგ.** — საქარიის ილის საფანჯას ილჩეს სოფელ ერეგონას (თურქ. Karaçökek köyü) ქართული მეტყველება
- ერფ.** — სინოპის ილის ერფელელის ილჩეს სოფელ ერფელელის ქართული მეტყველება
- ვეის.** — სოფ. ვეისელის (სინოპი) ქართული მეტყველება
- ვიწ.-არქ.** — ლაზურ დიალექტთა ჯგუფის ვიწურ-არქაბული დიალექტი
- თურქ.** — თურქულად, თურქული ენა
- თურქ.-არაბ.** — არაბული წარმოშობის თურქული სიტყვა
- თურქ. დიალ.** — თურქული დიალექტური ფორმა
- თურქ.-სპარს.** — სპარსული წარმოშობის თურქული სიტყვა
- იმერ.** — იმერული დიალექტი
- ინეგ.** — ქ. ინეგოლის ქართული მეტყველება
- ლაზ.** — ლაზურად, ლაზური მეტყველება
- მეგრ.** — მეგრული დიალექტი
- მურდ.** — მესხურ დიალექტთა ჯგუფის ნიგალური (ლივანური) დიალექტის მურდულური კილოკავი
- მურდ.-ლაზ.** — ლაზურ დიალექტთა ჯგუფის ხოფური დიალექტის მურდულური კილოკავი
- ნოდ.** — ლაზურ დიალექტთა ჯგუფის ხოფური დიალექტის ნოდედური კილოკავი
- ორდ.** — ქ. ორდუს ქართული მეტყველება
- ორჭ.** — არქაბული კილოკავის ორჭის თქმა
- სალიტ.** — სალიტერატურო ფორმა

შესავალი

01. თურქეთში მცხოვრებ ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების შესახებ

დღეს თურქეთში მცხოვრები ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლები წარმოადგენენ ორენოვან ეთნიკურ ჯგუფს, რომელიც კომპაქტურადაა განსახლებული ქვეყნის მსხვილ რეგიონებში — შუა შავიზღვისპირეთში (გირესუნიდან — სინოპამდე), სამხრეთ-დასავლეთ შავიზღვისპირეთში (დუზჯესა და საქარიის ილემში) და მარმარილოს ზღვისპირეთში (უპირატესად, ბურსას ილში). აგრეთვე — დიდ ქალაქებშიაც (სტამბოლი, ანკარა, იზმირი, იზმითი და ა.შ.). ისინი უნდა განვიხილოთ, როგორც თურქეთის ქართული დიასპორის ნაწილი. აქვე აღსანიშნავია, რომ ქართველობა თურქეთის ზოგ რეგიონში (უმეტესწილად, ჩრდილო-აღმოსავლეთში) მკვიდრი მოსახლეობაცაა, ე.ი დიასპორად არ ითვლება.

ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლები ორ მსხვილ ჯგუფად იყოფიან: 1. **გურჯები** (< თურქ. Gürcüler) ანუ აჭარიდან, ქობულეთიდან, მაჭახლიდან და ნიგალიდან წასულთა შთამომავლები და 2. **ლაზები** (< თურქ. Lazlar) ანუ ლაზეთიდან (გონიოდან, სარფიდან, მაკრიალიდან, ლიმანიდან, აზლალიდან, ასევე მდ. ჩხალას და ბელლევნის ხეობებიდან) წასულთა შთამომავლები. როგორც წესი, თურქეთში ამგვარად ყოფენ, ზოგადად, ყველა ქართველურენოვანთაც; ამასთანავე, ეთნიკურად ქართველებად მიიჩნევენ მხოლოდ იმათ, ვისაც **გურჯებს (Gürcüler)** უწოდებენ, ხოლო იმათ კი, ვისაც **ლაზებს (Lazlar)** უწოდებენ, იმთავითვე ქართველთაგან დამოუკიდებელ (თუმცაღა მონათესავე) ეთნიკურ ჯგუფად მიიჩნევენ. ეს, რასაკვირველია, მცდარი შეხედულებაა, რამდენადაც **ყოველი ინდივიდი, რომლისთვისაც ქართული/ქართველური ენობრივი სისტემა (ქართველური ენა-კილოები) მშობლიურია, ეთნიკურად ქართველია**; თუმცაღა, ჯერ ოსმალეთის იმპერიაში და მერე — ჩვენს დრომდე მოყოლებული — თურქეთის რესპუბლიკაშიაც, „გურჯები“ და „ლაზები“ ოფიციალურად ურთიერთმონათესავე, მაგრამ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებად მიიჩნევა. ამგვარი შეხედულება, როგორც უკვე ცნობილია, გავლენას ახდენს თვით ამ ჯგუფების წარმომადგენელთა თვითაღქმაც.

თურქეთის ტერიტორიაზე ისტორიულად მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის მსგავსად, ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებსაც აქვთ **ორდონოვანი თვითშეგნება**: ერთი მხრივ, ისინი, ჩვეულებრივ, თავს აღიქვამენ ეთნიკურ ქართველებად, მეორე მხრივ კი — თურქებად, ანუ თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეებად. ამ შემთხვევაში, მათთვის **თურქი**, უპირატესად, მოქალაქეობის აღმნიშვნელი ტერმინია და არა ავტოეთნონიმი. შესაბამისად, თურქული მათთვის არის **პრესტიჟული ენა**. დღესდღეობით არათუ ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებს შორის, არამედ ზოგადად

— თურქეთში მცხოვრებ ქართველთა შორისაც (რა თქმა უნდა, აქ არ ვგულისხმობთ იმ „ახალ ემიგრანტებს“, რომლებიც ამ ქვეყანაში გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მრავლად არიან) კი ძნელია ერთენოვან ინდივიდთა მონახვა — თურქული ენა ყველამ იცის და ოჯახებშიაც მას მშობლიური ქართულის/ქართველურის პარალელურად იყენებენ. როგორც წესი, **მშობლიურ ენას უკეთესად ინარჩუნებს უფროსი თაობა, საშუალო და უმცროსი თაობები კი უპირატესობას თურქულს ანიჭებენ.**

რამდენადაც ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლები (და რასაკვირველია, ზოგადად, თურქეთის ქართველობის თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა) რელიგიით მუსლიმანი-სუნიტები არიან (მისდევნენ სახელდობრ თურქეთში გავრცელებულ ჰანიფიტურ მაზჰაბს), თანაც უკვე 140 წელზე მეტი ხნის განმავლობაში, აქტიურად ინტეგრირდებიან თურქულ საზოგადოებრიობაშიც, დღესდღეობით სწორედ ქართული/ქართველური მეტყველებაა ის მნიშვნელოვანი, ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი, რაც ამ ხალხს გამოარჩევს, როგორც **თვითმყოფად ეთნიკურ ჯგუფს** თურქეთში. ასევე: **ქართული/ქართველური ენის (და, მისი მეშვეობით — ქართული/ქართველური მემკვიდრეობითი თვითშეგნების, კულტურისა თუ ზნე-ჩვეულებების) შენარჩუნება უდავოდ განაპირობებს იმასაც, რომ ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლები კვლავაც ქართველი ეთნოსის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ.**

იმავედროულად, ქართველ მუჰაჯირთა ის შთამომავლები, რომლებიც რაიმე მიზეზის გამო, მშობლიურ ქართულ/ქართველურ ენას ვეღარ ფლობენ, იოლად ასიმილირდებიან და ეთნიკური თურქებისგან თითქმის აღარაფრით გამოირჩევიან. უმეტესობა ქართველადაც არ მიიჩნევს თავს — იმასლა აღნიშნავს, რომ მხოლოდ მშობლები ან წინაპრები ჰყავს/ჰყავდა ქართველები. შდრ.: თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში — იქ, სადაც ქართველობა მკვიდრ მოსახლეობას წარმოადგენს, ენობრივად ასიმილირებული ინდივიდები ხშირად, მაინც ქართველებად მიიჩნევენ თავს — აღნიშნავენ, რომ ეთნიკური თურქები არ არიან, თუმცა ქართული/ქართველური არ იციან. რასაკვირველია, ასეთი ვითარება იმით აიხსნება, რომ მუჰაჯირთა შთამომავლების სამოსახლო არეალში ქართული/ქართველური მეტყველება სუპერსტრატული მოცემულობაა, ისტორიულ ქართულ მიწებზე კი — სუბსტრატული.

თურქეთში ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების ზუსტი რაოდენობის აღრიცხვა ჭირს, რადგანაც ჯერ ერთი, აღწერისას ქვეყნის მოსახლეობის ეთნიკურობას ან დედაენას, როგორც წესი, არ მიუთითებენ და მეორეც — წლიდან წლამდე, უფრო და უფრო იზრდება ენობრივად ასიმილირებულთა ხვედრითი წილი. არაოფიციალური მონაცემებით, **მთელ ქვეყანაში ქართველ მუჰაჯირთა 2,5 მილიონამდე შთამომავალი უნდა სახლობდეს, თუმცა ამათგან, მხოლოდ მილიონამდე კაცი თუდა იქნება ისეთი, ვინც ქართულს/ქართველურს მშობლიურ ენად მიიჩნევს.** არაოფიციალური მონაცემებითვე, თანამედროვე თურქეთში მუჰაჯირთა შთამომავლებს შორის მეტობენ ჩერქეზები (ადიღეები), ქართველები კი მეორე ადგილზე არიან. ჩვენი მხრივ,

დავძენთ იმას, რომ XIX საუკუნეში — მუჰაჯირობის დაწყებისა და მიმდინარეობის დროს, ოსმალეთში გადახვეწილ კავკასიელთა შორის პირველობდნენ ჩერქეზები, ქართველები კი მათ მცირედ ჩამორჩებოდნენ. მოგვიანებით ამ ორივე ხალხის რაოდენობა გათანაბრდა: ჩერქეზები შემცირდნენ (რაკილა მათ თავიდანვე ომებში მოუწიათ ჩართვა: იმ რეგიონებში, სადაც ჩაასახლეს, ადგილობრივ მოსახლეობას დაუპირისპირდნენ და სულთნის პოლიტიკის მხარდამჭერებად იქცნენ), ხოლო ქართველები გამრავლდნენ (ისინი, ძირითადად, მკვიდრი მოსახლეობისაგან დაცლილ მიწებზე დასახლდნენ და მეტი შესაძლებლობაც მიეცათ, ტრადიციული ცხოვრების სტილი რომ შეენარჩუნებინათ). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გასული საუკუნის 20-იან წლებში, სულთნის პოლიტიკის აქტიური მხარდაჭერის გამო, ჩერქეზების ერთმა ნაწილმა დატოვა იმ დროისთვის ახლად შექმნილი თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორია, ნაწილი კი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში გაიფანტა და მოგვიანებით ენობრივადაც ასიმილირდა. ამრიგად, **დღესდღეობით, მშობლიური ენის მცოდნე ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების რაოდენობა უფრო მეტი უნდა იყოს, ვიდრე მშობლიური ენის მცოდნე ჩერქეზებისა.**

მაშასადამე, ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლები მშობლიურ ენას უკეთ ინარჩუნებენ, ვიდრე ჩერქეზები ან სხვა ჩრდილოკავკასიელები (ჩეჩნები, დაღესტნელები, ნოღაელები და ა.შ.). მშობლიური ენის შენარჩუნების თვალსაზრისით, ქართველებს შეიძლება შევადაროთ მხოლოდ ბალკანელი სლავი-მუსლიმანები (პომაკები და ბოსნიელები), ანდა ალბანელები (არნაუტები), რომლებიც უმეტესწილად ჩრდილოდასავლეთ თურქეთში სახლობენ. მათი რაოდენობაც იქ თითქმის იმდენივეა, რამდენიც ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებისა.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ თურქეთში ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლები ორ მსხვილ ჯგუფად — **გურჯებად** და **ლაზებად** იყოფიან (ისევე, როგორც ის ძირძველი ქართველებიც, რომლებიც თურქეთშივე ცხოვრობენ). როგორც წესი, ამ ჯგუფებში ერთიანდება რამდენიმე ქვეჯგუფი; მაგალითად, გურჯებია: **აჭარლები, ზეგნელები, ჩურუქსუვლები (//ჩაქველები), მაჭიხლელები, მურდულელები (ნიგალელები),** ასევე — **ბათუმელები.** ლაზებია: სარფელები (**სარფულეფე**), ჩხალელები (**ჩხალურეფე**) და ბათუმელები (**ბათუმარეფე**). თითოეულ ამ თემონიმს ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების დღევანდელ მეტყველებაში რამდენადმე განსხვავებული მნიშვნელობა აქვს. ეს მოცემულობა ზოგჯერ არქაიზმად მოჩანს, ზოგჯერ — ინოვაციად. ყოველ შემთხვევაში, თავად მუჰაჯირთა შთამომავლები (როგორც **გურჯები**, ისე **ლაზებიც**) დარწმუნებული არიან, რომ თავდაპირველი ვითარება სწორედ მათ აქვთ შემონახული. ამიტომ, ქვემოთ წარმოვადგენთ მათეულ შეხედულებებს:

აჭარლები, ჩვეულებისამებრ, მხოლოდ ქვემო აჭარიდან (აწინდელი ხელვაჩაურისა და ქედის მუნიციპალიტეტებიდან) წამოსულ მუჰაჯირთა შთამომავლების თემონიმა. ზემო აჭარლები (აწინდელი შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების მკვიდრნი) **ზეგნელთა** თემონიმით არიან ცნობილი. ნიშანდობლივია, რომ „აჭარელ“

და „ზეგნელ“ მუჰაჯირთა შთამომავლები ენობრივადაც მკვეთრად განასხვავებენ ერთიმეორეს, თუმცა სინამდვილეში ეს სხვაობა ოდენ ფორმალური ხასიათისაა.

ჩურუქსუვლები, როგორც წესი, ქობულეთელთა აღმნიშვნელი თემონიმია. ამასთან, **ჩაქველები** ზოგან „ჩურუქსუვლებად“ ითვლებიან, ზოგან — დამოუკიდებელ თემად: ფაცასა და ორდუში, მაგალითად, **ჩაქვს** განიხილავენ **ჩურუქსუს** ნაწილად, ბურსა-ინეგოლსა და დუზჯე-საქარიამი კი — ცალკე. როგორც ჩურუქსუვლებისა და ჩაქველებისათვის, ისე ზოგადად, ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებისთვის, **ქობულეთი** უფრო დასახლებული პუნქტის სახელწოდებაა, **ჩურუქსუ** კი — კუთხისა. შდრ.: ქობულეთის მუნიციპალიტეტის მხცოვან მკვიდრთა შეხედულებით, პირიქითაა: **ქობულეთი** კუთხე იყო, ხოლო **ჩურუქსუ** — დასახლებული პუნქტი. „ჩურუქსულთა“ მეტყველებაც შესამჩნევად სხვაობს „აჭარელთა“ და „ზეგნელთა“ მეტყველებისაგან იმდენად, რომ „ჩურუქსუვლები“ ხუმრობენ კიდევაც: ჩვენ უფრო „წიგნის ენით“ ვსაუბრობთო.

მაჭიხლელები მაჭახელის ხეობიდან წამოსულ მუჰაჯირთა აღმნიშვნელი თემონი-მია. იმავდროულად, ის ცნობილია (და გამოიყენება) ძირითადად იმგვარ ადგილებში, სადაც ქართველურენოვანი მოსახლეობა მრავალრიცხოვანია, მაგალითად — ბურსა-ინეგოლში ან უნიეში. სხვაგან, სადაც ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლები ან მცირერიცხოვანნი არიან, ან კიდევ გაფანტვით არიან განსახლებულნი უცხოტომელ მუჰაჯირთა შთამომავლებთან ერთად, აღნიშნული თემონიმი თითქმის არ გვხვდება. აქვე დავძვინთ იმასაც, რომ ზოგიერთ მხარეში (მაგალითად, დუზჯეში), **მაჭიხლე-ლებსაც**, როგორც წესი, **ზეგნელებად** მიიჩნევენ, ზოგან კი (მაგალითად, უნიეში, ბურსაში...) ცალკე გამოყოფენ. ისეთ რეგიონში, როგორიცაა ამასია, ქართველთაგან მხოლოდ **მაჭიხლელები** არიან.

მურღულელები ანუ **ნიგალელები** მურღულის ხეობიდან (ამჟამად — ართვინის ილის მურღულისა და ბორჩხის ილჩეების ტერიტორია) წამოსულ მუჰაჯირთა შთამომავლების აღმნიშვნელი თემონიმია. მურღულელები განსაკუთრებით მრავლად არიან სინოპის ილის სინოპის მერქემ ილჩეს სოფლებში, ბურსის ილის ბურსის მერქემ ილჩეს სოფელ **საიფიეში** (თურქ. **Sayfiye**), ქ. ინეგოლში... დღესდღეობით, ისინიც აჭარულ დიალექტებზე ლაპარაკობენ, თუმცაღა აჭარლებად თავს არ მიიჩნევენ. თვითონ აჭარლებიც, რასაკვირველია, მათ ცალკე გამოყოფენ: **გურჯი არღან ამა, მისთვინაღ არღან** „ქართველები არიან, მაგრამ ცალკე (ეტიმ. „მისთვის“) არიან“ — განგვიცხადეს ინეგოლელმა „აჭარლებმა“ და „ზეგნელებმა“. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ **მურღულელებად** ცნობილ მუჰაჯირთა შთამომავლებს შორის საკმაოდ ბევრნი არიან წარმომავლობით ლაზებიც. მათი წინაპრები მუჰაჯირობამდე გადმოსულან ლაზეთიდან მურღულის ხეობაში, იქ დასახლებულან და შემდეგ მუჰაჯირად მურღულელ მეგობლებთან ერთად წამოსულან. იმავდროულად, მურღულიდან წამოსულ მუჰაჯირთა

შთამომავლები (ისევე, როგორც მურდულის ხეობის მოსახლეობა ზოგადად, ამჟამადაც და უწინაც) უფრო ახლოს არიან ლაზებთან, ვიდრე აჭარლები, ჩურუქსუვლები ან სხვები.

ბათუმელები რამდენადმე ზოგადი ტერმინია. გამოიყენება როგორც თემონიმის, ისე ფსევდონომის მნიშვნელობითაც. საქმე ისაა, რომ არაიშვიათად, ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლები თურქულ ენაზე საუბრისას, თავიანთი თავის აღსანიშნავად იყენებენ ორ ტერმინს: **Gürcü muhacirler** „ქართველი მუჰაჯირები“ და **Batumlu muhacirler** „ბათუმელი მუჰაჯირები“. მათივე თქმით, გასული საუკუნის 90-იან წლებამდე, სანამ საბჭოთა კავშირი დაიშლებოდა და საქართველოც დამოუკიდებელი გახდებოდა, უმეტესწილად, სწორედ მეორე სახელწოდება გამოიყენებოდა ხოლმე. **დღესდღეობით კი, „ბათუმელს“ საკუთარი თავის აღსანიშნავად მხოლოდ ისღა იყენებს, ვისაც მშობლიური ენის ცოდნა-არცოდნის მიუხედავად, აღარ ახსოვს წინაპრების ქართული გვარი და სოფლის სახელწოდება.** მეორე მხრივ, ქართველ მუჰაჯირთა ამასიაში მცხოვრები შთამომავლები როგორც თურქულად, ისე ქართულად საუბრისასაც, თავიანთ თავს „ბათუმელებს“ უწოდებენ, წარმოშობით კი, როგორც ბემოთაც აღინიშნა, ყველანი მაჭახლის ხეობიდანაა.

სარფელეფე ანუ სარფელები აწინდელი გამოღმა და გაღმა სარფიდან (საქართველოს აჭარის ავტონომიის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი და თურქეთის ართვინის ილის ქემალფაშას ილჩე) წამოსულ მუჰაჯირთა შთამომავლების აღმნიშვნელი თემონიმია. აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზოგიერთ ქართულ აკადემიურ გამოცემაში რატომღაც ფიგურირებს ყოვლად დაუსაბუთებელი შეხედულება, თითქოსდა გამოღმა და გაღმა სარფიდან მოსახლეობა მუჰაჯირად არ წასულა და, შესაბამისად, ქართველურენოვან მუჰაჯირთა შთამომავლებს შორისაც თითქმის არ არიან წარმომავლობით სარფელები (იხ. ჩოხარაძე და სხვები, 2015: 213). ამ სტრიქონების ავტორებმა გამოღმა და გაღმა სარფიდან წასულ მუჰაჯირთა შთამომავლები ვნახეთ ღუბჯეს და ბურსის ილთა რამდენიმე სოფელში. იმავდროულად, გავეცანით იმ ოსმალურ დოკუმენტებს, რომლებიც სარფიდან მუჰაჯირად წასული ხალხის სიებს შეიცავენ (დაწვრილებით იხ. აქვე: 60). ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებს შორის სარფელები ნამდვილად არიან, თუმცაღა ყველგან გაფანტვით სახლობენ (1-2 ოჯახი თითო სოფელში) და თავიანთ თავს „ბათუმელთა“ (**ბათუმარეფე**) თემონიმითაც იხსენიებენ. დღესდღეობით ყველანი ჩხალურ კილოკავზე მეტყველებენ. ბევრი, ვინც „გურჯებთან“ ერთად ცხოვრობს სოფლად, ფლობს ასევე აჭარულ დიალექტსაც. აღსანიშნავია ისიც, რომ აჭარულ დიალექტს ფლობდნენ ასევე მათი წინაპრებიც, რომლებსაც სამშობლოში ცხოვრების დროსაც, როგორც წესი, მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ აჭარლებთანაც და ნიგალელებთანაც.

ჩხალურეფე ანუ ჩხალელები ლაზეთიდან წასულ მუჰაჯირთა შთამომავლებს შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფია. მათი წინაპრები დღევანდელი თურქეთის ჩრდილო-დასავლეთ რეგიონებში გადმოსახლდნენ მდ. ჩხალისა და მდ. ბელღენის

ხეობებიდან და დააარსეს 25-მდე სოფელი. გარდა ამისა, საკმაოდ ბევრგან მურღუ-
ლელებთან, აჭარლებთან ან ქობულეთელებთან ერთადაც დასახლდნენ. რამდენადაც
ლაზეთიდან წასულ მუჰაჯირთა შორის ჩხალელები აშკარად მეტობენ, მათი სამეტყველო
ჩხალური კილოვანი (ხოფური ანუ ხოფურ-ჩხალური დიალექტისა) საყოველთაოდ
განზოგადდა — დღეს მუჰაჯირი ლაზების შთამომავალთა აბსოლუტური უმრავლესობა
სწორედ ჩხალურად მეტყველებს. დავძენთ იმასაც, რომ ჩხალისა და ბელღენის
ხეობელი ლაზები ძველთაგანვე ფლობდნენ როგორც ლაზურ, ისე ნიგალურ და აჭარულ
კილოებსაც (ვრცლად იხ. ლაბაძე, 2013: 9-10). მუჰაჯირად წამოსულ ჩხალელთა
შორისაც საკმაოდ ბევრი ფლობდა აჭარულსა და ნიგალურს. ამჟამადაც, განსაკუთრე-
ბით კი, იმ სოფლებში, სადაც გურჯები და ლაზები ერთად სახლობენ, ლაზთა უმეტესობა
აჭარულ დიალექტზეც თავისუფლად მეტყველებს და პირიქით.

ბათუმარევე ანუ **ბათუმელები** ლაზეთიდან წამოსული მუჰაჯირების შთამომა-
ვალთა შორისაც, როგორც წესი, რამდენადმე ზოგად ტერმინს წარმოადგენს. აქ უნდა
აღინიშნოს, რომ ლაზი მუჰაჯირები თავიანთ თავს, მართალია, არ აიგივებენ „გურჯ“
მუჰაჯირებთან და არ იყენებენ თურქულ ტერმინს **Gürcü muhacirler** „ქართველი
მუჰაჯირები“, მაგრამ იმავე „გურჯების“ მსგავსად, ყოველთვის ადასტურებენ, რომ
თავადაც ბათუმიდან წამოსული არიან; თურქულადაც, თავიანთი თავის აღსანიშნავად,
ხშირად იყენებენ ტერმინს **Batumlu muhacirler** „ბათუმელი მუჰაჯირები“. ლაზურად
მეტყველების დროს კი, **ბათუმარევე** იმ ლაზთა ავტოთემონიმი უფროა, რომელთა
წინაპრებიც ჩხალისა და ბელღენის ხეობებიდან კი არა, ქ. ბათუმიდან და ლაზეთის
ზღვისპირა სოფლებიდან (გამოდმა და გაღმა სარფის გარდა) არიან წამოსულნი.
დავძენთ იმასაც, რომ „ბათუმელი“ ლაზების რაოდენობა ძალზე მცირეა და მათ
უმეტესობას აღარც ახსოვს წინაპრის თავდაპირველი საცხოვრისი (მხოლოდ ის იცის,
რომ ზღვისპირა სოფლიდან ყოფილა) და ქართველური გვარი.

ლაზებთან დაკავშირებით, აქვე აუცილებლად უნდა შევეხებოთ შემდეგ ნიშანდობ-
ლივ მოცემულობას: ჩრდილო-დასავლეთ თურქეთის ილევში თურქული ეგზოეთნონიმი
Lazlar მიემართება და აღნიშნავს არამართო **ლაზებს**, არამედ — ზოგადად,
შავიზღვისპირელებსაც, ანუ ტრაპიზონის, გირესუნის, ორდუს, სამსუნის და სინოპის
თურქულენოვან მკვიდრთაც. იმავდროულად, **ქართველურენოვან ლაზებს** ჩრდილო-
დასავლეთ თურქეთში, როგორც წესი, **მოჰთი-ლაზების** (თურქ. **Mohti-Lazlar**)
სახელით მოიხსენიებენ. „მოჰთი“ ელემენტი აქ მომდინარეობს ლაზური **მოხთიმუ**
„მოსვლა (არქ. მოჯდომა)“ ზმნის ბრძანებითი **მოხთი!** „მოდი!“ ფორმისგან. **Mohti-**
Laz თანამედროვე თურქულ ენაში ნეგატიური აპელატივი არაა, მაგრამ, რასაკვირ-
ველია, არც ოფიციალურადაა მიღებული — მას უფრო დამცინავი ელფერი აქვს და
თავად ლაზები საკუთარი თავის აღსანიშნავად არასდროს იყენებენ. თუკი ვინმე უცნობი
არალაზებთან თურქულად კომუნიკაციისას აღნიშნავს, **ლაზი ვარო (Ben Lazım)**, მას

ჩაკითხვებიან: **ტრაპიზონელი ლაზი ხარ თუ მოჭთი-ლაზი? (Trabzonlu Laz mısın, Mohti Laz mısın?)** ამასთანავე, აღსანიშნავია ისიც, რომ ამგვარი ჩაკითხვა მოსაუბრისადმი არცთუ მორიდებულ დამოკიდებულებაზე მიუთითებს¹.

ღირსსაცნობია, აგრეთვე, ის გარემოებაც, რომ ქართველურენოვან მუჰაჯირთა შთამომავლებისთვის (როგორც ლაზებისთვის, ისე გურჯებისთვისაც) გასული საუკუნის 90-იან წლებამდე (ვიდრე საქართველო დამოუკიდებლობას დაიბრუნებდა), რამდენადმე უცნობი იყო ქართველი ერის ავტოქონონიმი **ქართველი** — მის მაგივრად, როგორც წესი, გურჯები იყენებდნენ თურქულიდან ნასესხებ, სპარსული წარმომავლობის ეგზოქონონიმს: **გურჯი**, ხოლო ლაზები — ბერძნულიდან მომდინარე ეგზოქონონიმს: **ლაზი**. ჩვენს დროშიც, არაიშვიათად, **ქართველს** უწოდებენ საქართველოს რესპუბლიკის მკვიდრს, თუმცა უფრო და უფრო ხშირია ხოლმე შემთხვევები, როცა გურჯები თავიანთი თავის აღსანიშნავადაც, ჩაკითხვის შემდეგ, იმავე ეთნონიმს იყენებენ; მაგალითად, აღნიშნავენ: **მეაც გურჯი ვარ, ქართველი ვარ!** „მეც ქართველი ვარ [+ ქართველი ვარ]!“ და ა.შ.

ლაზებს რაც შეეხება: როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ეთნონიმი **ქართველი** მათთვის ბუსტი შესატყვისია თურქული **Gürcü** ეთნონიმისა. ამიტომაც, დღესდღეობით საკუთარი თავის აღსანიშნავად მხოლოდ **ლაზი** თემონიმს იყენებენ. იმავდროულად, გურჯებთან ერთობას აღიარებენ. ასევე: ამ ბოლო ათწლეულის განმავლობაში ლაზეთიდან წასულ მუჰაჯირთა შთამომავლებშიც ავტოქონონიმი **ქართველი** ისევ მკვიდრდება; მაგალითად, ქ. საქარიაში არსებობს ორგანიზაცია **Sakarya Kartvel (Gürcü-Laz) Kültür Derneği** „საქარიის ქართველთა (გურჯთა და ლაზთა) კულტურული გაერთიანება“. მაინც, უნდა აღინიშნოს, რომ ძირითადად, ლაზებსა და გურჯებს ჯერჯერობით კვლავაც მონათესავე ეთნოსებად მიიჩნევენ.

მეზობელ ეთნოსებსა თუ ეთნოლოკალურ ჯგუფებს ქართველურენოვან მუჰაჯირთა შთამომავლები შემდეგი ონიმებით მოიხსენიებენ: **თურქი** „თურქი“, **ჩერქეზი // ჭერკეზი** „ჩერქეზი, ადიღე; ჩრდილოკავკასიელი“, **აბაზა** „აფხაზი; აბაზა“, **ჩინგენე // ჭინგენე** „ბოშა“, **არნავუტი** „ალბანელი“, **ბოშნალი** „ბოსნიელი“, **ფუმალი** „პომაკი (მუსლიმანი ბულგარელი)“, **რუმი // ურუმი** „ბერძენი“ და ა.შ. ამასთანავე, თურქების დამამცირებელ მიკროეთნონიმად იყენებენ ფორმას **კუდიანები**, ხოლო ჩერქეზებს, სხვა ჩრდილოკავკასიელებს, აფხაზებსა და აბაზებს კი მოიხსენიებენ სახელწოდებით **კაბიანები**, რამდენადაც ისინი გრძელ ჩოხებს (ანუ **კაბებს**) ატარებდნენ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთ ეთნონიმს ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებაში გადატანითი მნიშვნელობა შეუძენია; მაგალითად, **ბოშნალი** „ბოსნიელი“ აღნიშნავს ასევე „მოხერხებულს, ეშმაკს“: **მამა-ბოშნალია** (აჭარ.) „ძალიან მოხერხებულია; ეშმაკის ერთია“ (სიტყვასიტყვით: „მამა-ბოსნიელია“); **ბაბა**

¹ **Lazlar** არის გათურქებული ლაზი; **მოჭთი-ლაზი** — ლაზი, რომელმაც შეინარჩუნა მშობლიური ენა.

ბოშნალი უყონ (ლაზ.) „დიდი მზაკვარი ვინმეა; კაცმა არ იცის, რა შარს მოგდებს“ (სიტყვასიტყვით: „მამა ბოსნიელი ჰყავს“) და ა.შ. **არნავუტი** „ალბანელი“ გადატანით აღნიშნავს „ჯიუტ, უჯიათ ვინმეს“ და გვხვდება თურქულიდან ნასესხებ ხატოვან გამოთქმაში: **არნავუტ ოღლი არნავუტი!** „ჯიუტის შვილი ჯიუტი!“; არის აგრეთვე მეტგვარი **არნავუტოღლი**, რომლის მატარებელთაგან ზოგიერთი ქართველურენოვან მუჰაჯირთა შორის მოხვედრილი ეთნიკური ალბანელის ჩამომავალია, უმრავლესობა კი ეთნიკური ქართველია, მაგრამ ასეთი მეტგვარი წინაპრისათვის ერთობ დამახასიათებელი სიჯიუტის/უჯიათობის გამო მიუღია. **არნავუტაჟ** ქართულ სოფლებში, არაიშვი-ათად, ჯიუტი ადამიანისთვის შერქმეულ მეტსახელად დღესაც დასტურდება.

მხოლოდ გადატანითი — მკვეთრად უარყოფით-კნინობითი მნიშვნელობით გვხვდება ეთნონიმი **თათარი**: ის აღნიშნავს არამზადა, უსულგულო, ავყია, შეუბრალებელ ადამიანს. ქართველურენოვან მუჰაჯირთა ყოველი შთამომავლისათვის **თათრის** დაძახება გინებაზე მეტი შეურაცხყოფაა. არსებობს თურქულიდან ნასესხები გამოთქმა: **თათარ ოღლი თათარი!** „თათრის შვილი თათარი!“, რომელიც გინებაზე უფრო იშვიათად გამოიყენება. ნაკლებად უარყოფითი გადატანითი მნიშვნელობა აქვს ეთნონიმს **არაბი**: გამოთქმა **არაბოღლი არაბი!** „არაბის შვილი არაბი!“ დაახლოებით ეფარდება მიმართვას „შე ოხერო!“ და ა.შ. ნათელია, რომ ეთნონიმთა გადატანითი მნიშვნელობით გამოყენება ეთნოსთა შორის ისტორიულად არსებული, არცთუ კარგი დამოკიდებულების გამოძახილია.

თავის მხრივ, მეზობელი ეთნოსები თუ ლოკალური ჯგუფები ქართველურენოვან მუჰაჯირთა შთამომავლებს ასეთი ეთნონიმებით იხსენიებენ: ჩერქეზები — **ქ⁰გრჯჯ** „გურჯი“, **ფცწშ⁰ბ⁰გ // ლ⁰აზ** „ლაზი“; აფხაზები/აბაზები — **აგ⁰გრჯჯ** „გურჯი“, **ალაზ** „ლაზი“, ბოსნიელები — **ჯურჯიფაც** „გურჯი“, **ლაზ** „ლაზი“ და მისთ. როგორც ვხედავთ, ეთნონიმთა უმეტესობა თურქული ენის მეშვეობითაა ნასესხები. გამოირჩევა მხოლოდ ჩერქეზული ეთნონიმი **ფცწშ⁰ბ⁰გ**, რომელიც სიტყვასიტყვით „თევზის მჭამელს“ ნიშნავს და დღეს, უფრო მეტად, უფროსი (70 წელზე მეტი ხნის) თაობის ჩერქეზებიდა იყენებენ.

აქვე დავძენთ იმასაც, რომ თურქულ დიალექტებში ქართველურენოვან მუჰაჯირთა შთამომავლების აღმნიშვნელი ონიმები ხშირად გამოიყენება გადატანითი მნიშვნელობით: ასე მაგალითად, **Gürcei** მარმარილოს ზღვისპირეთში (ბურსა-ინეგოლის რეგიონში) **მამაცი და ზრდილობიანი პიროვნების** ეპითეტია, ხოლო შუა შავიზღვისპირეთში **Lâz** გამოიყენება **ზღვაოსნის** ეპითეტად. ჩრდილო-დასავლეთ თურქეთში კი, ეგვიპტეში იმნიშობს „ხუროს“ ანდა „დურგლის“ ეპითეტია და ა.შ.

დასასრულს, უნდა შევეხოთ აგრეთვე ტერმინს — **მუჰაჯირი**, რომელიც დღესდღეობით ქართველურენოვან მუჰაჯირთა შთამომავლებში ეთნონიმის მნიშვნელობითაც გვხვდება. შუა შავიზღვისპირეთის ისეთ მხარეებში, როგორიცაა გირესუნი ან ჩარშამბა, ამ ტერმინის მიღმა გულისხმობენ მხოლოდ **ქართველებს (გურჯებსა და ლაზებს)**: მაგალითად, ჩვენი ერთ-ერთი მთქმელი — გირესუნის ილჩეს სოფ. **დამუდერეს** (თურქ.

Damudere) მკვიდრი, წარმოშობით ქვემოაჭარელი **შაბან თანი (ბარამიძე)**, საერთოდაც, **ქართულის** სინონიმად იყენებდა ნაწარმოებ ფორმას **მტჯირული** — **თურქულა იტყვი, და მტჯირულა, ვორვეფც ერთია!** „თურქულად იტყვი თუ ქართულად, ორივე ერთნაირია!“; **ჩვენ აქებში თურქული, მტჯირული იციან ამა, თურქული რესმი დილია, იშთე!** „ჩვენში თურქულიც, ქართულიც, იციან, მაგრამ თურქული ოფიციალური ენაა!“ და ა.შ. გირესუნის რეგიონში, ქართველების გარდა, სხვა წარმოშობის მუჰაჯირები არც არიან; ამიტომაც მიიღო ხსენებულმა ტერმინმა **ქართველის** სინონიმური მნიშვნელობა.

მარმარილოს ზღვისპირეთში (ბურსა-ინეგოლის რეგიონში), **მუჰაჯირებს** უწოდებენ მეტწილად **ბულგარეთიდან გადმოხვეწილ ეთნიკურ თურქებს**, რომლებიც იქ სამ ნაკადად მოსულან – 1877-1878 წლებში, 1914 წელს და 1980-1989 წლებში. ჩრდილო კავკასიიდან 1864 და 1877-1878 წლებში წამოსულები, ეთნიკურობის განურჩევლად, **ჩერქებებად** იწოდებიან, აფსუა-აფხაზები და აბაზები — **აბაზებად**, ქართველები, ცხადია — **გურჯებად** და **ლაზებად** და ა.შ. ხსენებულ რეგიონში ტერმინ **მუჰაჯირის** მიღმა ეთნიკურად არათურქები, რაღა თქმა უნდა, არ იგულისხმებიან.

იმავედროულად, **სამხრეთ-დასავლეთ შავიზღვისპირეთში** (დუზჯე-საქარისა და მის მიმდებარე რეგიონებში, ასევე ქ. სტამბოლშიც) ტერმინი **მუჰაჯირი** მხოლოდ, ასე ვთქვათ, კლასიკური გაგებით გამოიყენება და ნიშნავს „რელიგიური შევიწროების გამო ლტოლვილ პიროვნებას“, ეთნიკური წარმომავლობის განურჩევლად. ეს ასეა იმიტომ, რომ სწორედ ამ რეგიონში იყრიდნენ თავს როგორც კავკასიიდან (მათ შორის — საქართველოდან), ისე სხვა მხარეებიდან (უპირატესად — ბალკანეთიდან) ლტოლვილი, არათურქი მუსლიმანები. ისიც უნდა ვთქვათ, რომ ჩრდილო კავკასიის სტეპებიდან XIX საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს გადმოხვეწილი, თურქულენოვანი ნოღაელების ამჟამინდელი შთამომავლები, რომლებიც კომპაქტურად საქარის ილჩეს რამდენიმე სოფელში სახლობენ, **მუჰაჯირებად**, როგორც წესი, არ მიიჩნევიან.

კიდევ ერთი, **მეტად ნიშანდობლივი მოცემულობა არის ის, რომ ქართველურ-ენოვან მუჰაჯირთა შთამომავლები (უპირატესად — გურჯები), თავს კავკასიელებადაც მიიჩნევენ (ისე როგორც ჩერქებები, აფხაზები, აბაზები, ჩეჩნები და სხვანი), მაშინ როცა თურქეთის ავტოქთონური ქართული (ქართველური) ლოკალური ჯგუფების წარმომადგენელთათვის კავკასიელობა უცხოა:** მაგალითად, ქ. ინეგოლში დღემდე არსებობს ეთნიკურ ქართველთა ორი გაერთიანება: 1) **İnegöl Kafkas Kültür Derneği** „ინეგოლის კავკასიური კულტურული ასოციაცია“, რომელიც ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებმა 1977 წელს დააარსეს და 2) **İnegöl Şavşat Kültür Derneği** „ინეგოლის შავშეთის კულტურული ასოციაცია“, რომელიც გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში დააარსეს იმავე პერიოდში შავშეთ-იმერხევიდან წამოსულმა და ინეგოლში დასახლებულმა ქართველებმა. მათვე, „კავკასიურ კულტურ-

რულ ასოციაციასთან“ გაერთიანებაზე რამდენჯერმე განაცხადეს უარი ერთადერთი მიზეზის გამო: **შავშეთის და იმერხევის ქართველები კავკასიელები არ ვართ.**

მაშასადამე, **ქართველურენოვან მუჰაჯირთა დღევანდელი შთამომავლები ზოგადად, სოციოლინგვისტური თვალსაზრისით, რამდენადმე სხვაობენ თურქეთის ტერიტორიაზევე მოსახლე ავტოქთონი ქართული (ქართველური) ლოკალური ჯგუფებისაგან.** სხვაობას, ძირითადად, განაპირობებს ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, როგორცაა **დიასპორულობა** (და არა **ირედენტულობა**). მიუხედავად ამისა, ქართველურენოვან მუჰაჯირებს თურქეთში მოსახლე ავტოქთონ ქართველებთან იმთავითვე ჰქონდათ და ამჟამადაც აქვთ კავშირ-ურთიერთობანი. ამიტომ მათ შორის დადასტურებული სხვაობა, ერთი შეხედვით, ძალზე ძნელად შესამჩნევია.

ქართველურენოვან მუჰაჯირთა ახალგაზრდა თაობას რაც შეეხება: თურქეთის მთელ რიგ რეგიონებში, სადაც ქართველობა მრავალრიცხოვანია, გასული საუკუნის 70-იანი წწ.-დან მოყოლებული, არსებობს მათი ორგანიზაციები და ასოციაციები, რომელთა მეოხებით, უკვე 30 წელზე მეტია, მსურველებს საშუალება აქვთ, შეისწავლონ სამწიგნობრო ქართული ენა. შესწავლის მსურველთა უმეტესობა სწორედ ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელია. ნიშანდობლივია, რომ მათი ნაწილი საერთოდ ვერ ფლობს წინაპართა დიალექტს, მაგრამ ეთნიკური თვითაღქმა ქართული აქვს და ცხადია, სურს დაეუფლოს თავის დედაენას. ასე რომ **დღესდღეობით ქართველურენოვან მუჰაჯირთა შთამომავლებს შორის უკვე საკმაოდ არიან ისეთი პირები, რომლებიც მხოლოდ სამწიგნობრო ქართულ ენაზე მეტყველებენ და საქართველოში დაბრუნების სურვილიც აქვთ.** მათი რიცხვი უფრო და უფრო მატულობს, რაც, რაღა თქმა უნდა, მისასალმებელია. აქვე დავძინთ იმასაც, რომ სამწიგნობრო ქართული ენის შესწავლისადმი დიდ ინტერესს გამოხატავენ ასევე ქართველურენოვან მუჰაჯირთა ის შთამომავლები, რომელთა წინაპრებიც ლაზეთიდან იყვნენ.

ამგვარ ფონზე, მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ქართველურენოვან მუჰაჯირთა შთამომავლებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში არსებობს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები, რომელთაც აქვთ ქართული ენის კათედრები. უპირველეს ყოვლისა, აქ დავასახელებთ **დუზჯეს უნივერსიტეტს**, სადაც უკვე 10 წელზე მეტია, ისწავლება ქართული ენა; აღსანიშნავია **რიზეს რეჯებ თაიფ ერდოღანის სახელობის უნივერსიტეტიც**, სადაც აგრეთვე 10 წელზე მეტია, რაც ქართულს სწავლობენ. ახლო მომავალში ქართული ენის კათედრების გახსნა იგეგმება თურქეთის სხვა რეგიონთა უმაღლეს სასწავლებლებშიც.

სწორედ ამასთან დაკავშირებით, აუცილებლად უნდა ითქვას ერთი რამ: დღეს მეტად საშური საქმეა როგორც ქართველურენოვან მუჰაჯირთა შთამომავლების, ისე ზოგადად, თურქეთის ქართველობის დიალექტური მეტყველების ნიმუშთა შეგროვება და გამოცემა, ლექსიკონის შედგენა, რამდენადაც სულ მოკლე ხანში, შესაძლოა სამწიგნობრო ქართული ენის გავლენითაც, ბევრი ენობრივი თავისებურება გადასხვაფერდეს,

ან საერთოდ გაქრეს. ქართველურენოვან მუჰაჯირთა შთამომავლებს შორის სამწიგნობრო ქართულის კარგად მცოდნეთა მომრავლება მნიშვნელოვანწილად შეზღუდავს ასევე, ქართველურ-თურქული სამეტყველო კოდების შერევა-გადართვასაც, რომელიც 140 წლის განმავლობაში ცოცხალი და ყველა თაობისთვის დამახასიათებელი მოვლენაა.

02. იდეალური ორენოვნებისა და სამეტყველო კოდების შერევა-გადართვის რაობა. თურქეთის ქართველურენოვან მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველების ძირითადი თავისებურებანი ქართველურ-თურქული სამეტყველო კოდების შერევის თვალსაზრისით. მათი ქართველურ-თურქული ონომასტიკა

იდეალური ანუ სრული ორენოვნება (ინგლ. **Full Bilingualism**) წარმოადგენს ერთგვარ სოციოლინგვისტურ მოცემულობას, როცა ცალკეული ინდივიდი აბსოლუტურად თანაბარ დონეზე ფლობს ორ ენას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, **იდეალურად ანუ სრულად ორენოვანია ინდივიდი, რომელიც მშობლიური ენის დონეზე ფლობს მეორე ენასაც.** ცხადია, ეს ენები შეიძლება იყოს ახლომონათესავე, მონათესავე ან სხვადასხვა წარმოშობისა. როგორც წესი, იდეალური ანუ სრული ორენოვნება ენათა დაბადებიდანვე, ანდა ძალიან ადრეულ ასაკში შეთვისების შედეგად მიიღება. აქ აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ **იდეალურად ორენოვნისათვის მეორე ენა არ უდრის კლასიკური გაგებით უცხო ენას, რამდენადაც იგი მას იყენებს მშობლიური ენის პარალელურად და მსგავსი ფუნქციით.**

თანამედროვე მსოფლიოში საკმაოდ მოიპოვება მასობრივად ორენოვანი სოციუმები და მიკროსოციუმები; მრავალრიცხოვანი ეთნოსებიდან ანდა ლოკალური ჯგუფებიდან აქ, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოვიხსენოთ **ირლანდიელები** (ირლანდიური ენა; ინგლისური ენა), **კატალონიელები** (კატალანური ენა; ესპანური ენა ან: კატალანური ენა; ფრანგული ენა) **პარაგვაიელები** (გუარანის ენა; ესპანური ენა), **ბრიუსელის ბელგიელები** (ნიდერლანდური ენა; ფრანგული ენა), **ელზასელები და ლოტარინგიელები** (გერმანული ენა; ფრანგული ენა), **კორსიკელები** (კორსიკული ენა; ფრანგული ენა), **არბერეშები** (ალბანური ენა; იტალიური ენა), **ჩიკანოები** (მექსიკური ესპანური ენა; ამერიკული ინგლისური ენა), **კაბოვერდელები** (კაბო-ვერდეს კრეოლური ენა; პორტუგალიური ენა) და ა.შ. **ამ სოციუმთა/მიკროსოციუმთა წარმომადგენელი ყოველი ინდივიდი იდეალურად ორენოვანია. მათ, რაღა საკვირველია, ერთი დედაენა აქვთ, მაგრამ, როგორც ითქვა, მისსავე დონეზე და მისსავე პარალელურად, მეორე ენასაც იყენებენ.** შდრ.: არიან ერები, რომლებიც მხოლოდ ფორმალურად იწოდებიან ორენოვნად, ვინაიდანაც მათ ქვეყნებში ოფიციალური სტატუსით ორი ენა სარგებლობს; ან ოფიციალური ენის პარალელურად, გავრცელებულია სხვა ენაც. ბუნებრივია, რომ ამ ერთა ცალკეული წარმომად-

გენლებიც შეიძლება იყონ იდეალურად ორენოვნები, თუმცაღა თუკი ხსენებულ მოვლენას მასობრივი ხასიათი არ აქვს, ცხადია, სოციუმი (ეთნოსი) ორენოვნად არ მიიჩნევა. მაგალითად, **კანადელები** ფორმალურად ორენოვან ერად ითვლებიან, თუმცა ეთნიკურ-ენობრივი თვალსაზრისით, ისინი ორ სოციუმად იყოფიან: **კანადელ ფრანგებად** და **კანადელ ინგლისელებად**. ამ სოციუმებში კი მასობრივად იდეალური ორენოვნება არ დასტურდება — მხოლოდ მათი ცალკეული წარმომადგენლები შეიძლება იყონ იდეალურად ორენოვნები.

აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ **იდეალურ ორენოვნებას ზოგიერთი მკვლევარი დიგლოსიის სახელითაც მოიხსენიებს** (კაჩრუ... 2008: 316–317); თუმცა, **დიგლოსია არის იმგვარი სოციოლინგვისტური მოცემულობა, როცა ინდივიდი, სოციუმი ანდა მიკროსოციუმი ფლობს ერთი და იმავე ენის ორ ნაირსახეობას** (საიაპი, 2014: 54–64). კლასიკური დიგლოსია გვაქვს, მაგალითად, არაბულ ქვეყნებში, სადაც თანამედროვე სამწიგნობრო არაბულისა და კლასიკური არაბულის² პარალელურად, ძალზე აქტიურად გამოიყენება ადგილობრივი დიალექტები. ამასთან, **ბევრი არაბული დიალექტი იმდენად თავისებური და განსხვავებულია, რომ მასზე მეტყველთ სამწიგნობრო არაბულის შესწავლა, პრაქტიკულად, უცხო ენის მსგავსად უწევთ**. მიუხედავად ამისა, **თანამედროვე არაბი ერები იდეალურად ორენოვნებად არ მიიჩნევიან, რადგანაც მათ დედაენას სწორედ თანამედროვე სამწიგნობრო არაბული წარმოადგენს, დიალექტები კი საშინაო-სამეტყველო კოდებია** (ვრცლად იხ. ბასიუნი, 2009: 45–55).

მაშასადამე, **იდეალური ორენოვნება დიგლოსიისაგან იმით განსხვავდება, რომ ერთი და იმავე ენის ორი ნაირსახეობის მაგივრად, ინდივიდი ან სოციუმი თანაბრად ფლობს ორ დამოუკიდებელ ენას, რომელთაგან ერთ-ერთი მისთვის მშობლიურია. იმავდროულად, ამ ენათა გამოყენების თავისებურება რამდენადმე მოგვავსებს დიგლოსიას: ერთი, როგორც წესი, გამოიყენება ოფიციალური კომუნიკაციის დროს, მეორე — ყოფა-ცხოვრებაში**. უმეტეს შემთხვევაში, იდეალურად ორენოვანი ინდივიდისთვის/სოციუმისთვის დედაენაა ის ენა, რომელიც ყოფა-ცხოვრებაში გამოიყენება.

ნიშანდობლივია, რომ **მასობრივი იდეალური ორენოვნება, უპირატესად, კოლონიური წარსულის მემკვიდრეობას წარმოადგენს ხოლმე**. მაგალითად, ირლანდია XII საუკუნის ბოლოდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე დიდი ბრიტანეთის კოლონიური სამფლობელო იყო. ამ ხნის განმავლობაში ეთნიკურ ირლანდიელთა უმრავლესობა იძულებული გახდა, შეეთვისებინა ინგლისური ენა. მათმა მშობლიურმა **ირლანდიურ-გელურმა ენამ (Gaeilge)**, მთელი კუნძულის მასშტაბით, დიდი გავლენა

² სამწიგნობრო არაბული თანამედროვე არაბულენოვანი მასმედიის ენაა, კლასიკური არაბული — ყურანის.

კი მოახდინა გაბატონებულ ინგლისურზე, მაგრამ სრულყოფილად შენარჩუნდა მხოლოდ ძნელად მისადგომ ადგილებში. 1922 წლის 6 დეკემბრიდან, როცა ირლანდიამ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ირლანდიურ-გელური, **ინგლისურის ირლანდიურ ვარიანტთან (Hiberno-English)** ერთად, სახელმწიფო-ეროვნულ ენად გამოცხადდა. ამჟამად, მას ფლობს ირლანდიელთა 90%; ამ ენის ცოდნა აუცილებელი პირობაა საჯარო მოხელეთათვის, ქვეყნის პრეზიდენტისათვის, თუმცაღა ფაქტობრივად, პრესტიჟულობის თვალსაზრისით, მას მაინც ინგლისური აღემატება.

ასევე: მწვანე კონცხის კუნძულებზე მცხოვრები კაბოვერდელებისთვის მშობლიური ენაა XV საუკუნის პორტუგალიურისა და აფრიკული ენების (ვოლოფი, ბამბარა, მალინკე...) შერევის საფუძველზე წარმოქმნილი **კაბო-ვერდეს კრეოლური (Kiriolu)**. მიუხედავად ამისა, კაბო-ვერდეში ოფიციალური სტატუსით ოდენ პორტუგალიური (ყოფილი მიტროპოლიის ენა) სარგებლობს. კაბოვერდელთა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა ფლობს ორივე ენას, ოღონდ კრეოლურს ყოფა-ცხოვრებაში იყენებს, პორტუგალიურს კი — ოფიციალური კომუნიკაციების დროს. ოფიციალური სახელები და გვარები იმთავითვე პორტუგალიური აქვთ, რელიგიითაც კათოლიკე ქრისტიანები არიან.

მასობრივი იდეალური ორენოვნება დამახასიათებელია, აგრეთვე, დიასპორებისთვის: მაგალითად, XV საუკუნის შუახანებში ალბანეთიდან სამხრეთ იტალიაში გადახვეწილთა შთამომავლები — **არბერეშები** (ალბ. **Arbëreshët**, იტალ. **Arberesci**) ინარჩუნებენ მშობლიურ ენას (ალბანურის ტოსკურ დიალექტს) და იმავდროულად, ფლობენ იტალიურსაც (როგორც სამწიგნობრო, ისე დიალექტურ ნაირსახეობას). ეს უკანასკნელი ენა მათთვის მშობლიურ ალბანურზე პრესტიჟულია. რელიგიითაც კათოლიკეები არიან და ოფიციალური სახელები და გვარებიც იტალიური აქვთ. XIX საუკუნის 20-იან წლებში მთიანი ჩეჩნეთის თემებიდან საქართველოში ჩამოსახლებული **ქისტებიც** ამგვარადვე, იდეალურად ორენოვნები არიან (ინარჩუნებენ მშობლიურ ენას — ჩეჩნურის ქისტურ დიალექტს, ფლობენ ქართულ ენასაც [სამწიგნობრო ნორმასა და კახურ დიალექტს], რომელიც მათთვის პრესტიჟულია), ოღონდ რელიგიით მუსლიმანი-სუნიტები არიან.

თურქეთში მცხოვრები ქართველურენოვან მუჰაჯირთა შთამომავლები უფრო მეტად სამხრეთ იტალიაში დასახლებულ არბერეშებს ემსგავსებიან: ინარჩუნებენ მშობლიურ ენას, მისსავე თანაბრად ფლობენ იმ ქვეყნის ენასაც, სადაც დღეს ცხოვრობენ და არც რელიგიით, არც სახელ-გვარებით აღარ გამოირჩევიან ადგილობრივ მკვიდრთაგან. ამდენად, მათთვის ეთნიკური თვითაღქმის მარკერებია მხოლოდ **მშობლიური ენა და მემკვიდრეობითი ჯაჭვი (მეორე ენა და საზოგადოებრიობა** მათთვის, უპირველეს ყოვლისა, მოქალაქეობრივი აღქმის მარკერებია). თურქულის, როგორც სახელმწიფო და ოფიციალური ენის ცოდნა მუჰაჯირთა ყოველი შთამომავლისთვის აუცილებელი და სავალდებულოა. ამასთანავე, ისინი ფლობენ

თურქულ დიალექტებსაც, რადგანაც უკვე 140 წელზე მეტია, თურქეთის შიდა რეგიონებში სახლობენ და ურთიერთობენ თურქულ დიალექტებზე მეტყველ მოსახლეობასთან.

ამგვარი ვითარება, რასაკვირველია, თავისთავად განაპირობებს **სამეტყველო კოდების შერევასა და გადართვას** (ინგლ. Code-Mixing და Code-switching) – სპეციფიკურ, მსოფლიოს ენათა ისტორიის ყველა ეტაპისთვის ერთობ დამახასიათებელ პროცესს, რომლის დროსაც ხდება ორი (ანდა მეტი) ენის თავისებურებათა შერევა, ან კიდევ ერთი ენიდან მეორე ენაზე სპონტანურად, ინსტინქტურად გადართვა. აღსანიშნავია, რომ ეს პროცესი შეიძლება იყოს როგორც ინდივიდუალური, ისე მასობრივი. სამეტყველო კოდთა ხანგრძლივი მასობრივი შერევის და გადართვის საფუძველზე ჩამოყალიბებულია **პიჯინები** და **კრეოლური ენები**, რომელთა რაოდენობაც თანამედროვე მსოფლიოში ასეულს აღემატება. იმ ქვეყნებშიაც კი, სადაც მოსახლეობა პიჯინ და კრეოლურ ენებზე მეტყველებს, დღემდე ძალზე ფართოდაა გავრცელებული სამეტყველო კოდთა მასობრივი და ინდივიდუალური შერევა-გადართვა (ამჯერად უკვე ე.წ. მეორეული ფორმით – პიჯინი/კრეოლური ენა და ის ენა, რომელიც მისი ლექსიფიკატორია: მაგალითად, კაბო-ვერდეს რესპუბლიკაში დასტურდება სამწიგნობრო პორტუგალიურის და კაბო-ვერდეს კრეოლურის შერევა-გადართვა; იმავდროულად, კაბო-ვერდეს კრეოლური, როგორც ზემოთაც აღინიშნა, XV საუკუნის პორტუგალიური ენისა და აფრიკული ენების შერევის საფუძველზეა ჩამოყალიბებული. გაიანაშიც, ცხოვრების ყველა სფეროსთვის დამახასიათებელია ბრიტანული სამწიგნობრო ინგლისურისა და XVII–XVIII სს.-ში იმავე ინგლისურის, ინდიელთა და აფრიკელ მონათა ენების შერევით წარმოქმნილი გაიანური კრეოლურის შერევა-გადართვა (მსჯელობისათვის იხ.: დუარტე, 1998: 60, კენი, 2000: 12; ბიკერტონი, 1973: 649–652; გიბსონი, 1988: 195–202). მრავალენოვან ქვეყნებშიაც, ბუნებრივია, ხსენებული პროცესი ყოველდღიურ ცხოვრებაში ინტენსიურად იჩენს თავს. აქედან გამომდინარე, ის თანამედროვე ენათმეცნიერებაში ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ საკითხს წარმოადგენს.

თურქეთის ქართველურენოვანი მუჰაჯირების შთამომავლებისათვის, როგორც წესი, დამახასიათებელია სამეტყველო კოდთა შერევა-გადართვის ის ტიპი, რომელსაც შესაძლოა ვუწოდოთ **დიასპორულ-ირედენტული**: აქ იგულისხმება, სახელდობრ, იმგვარი ვითარება, როდესაც **ინდივიდის/სოციუმის პერცეფციულ ბაზისში თითოეული სამეტყველო კოდი გამიჯნულად თანაარსებობს: ერთია დედაენა, მეორე – პრესტიჟული ენა, რომლის ცოდნაც აუცილებელია საზოგადოებრიობაში მჭიდროდ ინტეგრირებისათვის.** შდრ. კოლონიური მემკვიდრეობით განპირობებული ტიპი: **ინდივიდის/სოციუმის პერცეფციულ ბაზისში თითოეული სამეტყველო კოდი არსებობს, ფაქტობრივად, გაუმიჯნავად: ერთი დედაენაა, მეორე – პრესტიჟული ენის ის სახეობა, რომელიც დედაენის გავლენით, გარკვეულწილად, შეცვლილია.** უნდა გამოიყოს, აგრეთვე, მესამე – **იძულებითი ტიპიც: ინდივიდის/სოციუმის პერცეფციულ ბაზისში არსებობს მხოლოდ დედაენა, სხვა ენის ფლობა კი აშკარა**

იძულების შედეგია, რის გამოც მისი თავისებურებები პერცეფციულ ბაზისამდე ვერ აღწევს — არსებობს მის გარეთ ისე, როგორც ნებისმიერი შექნილი ენობრივი კომპეტენცია³.

ყოველივე ზემოთ თქმულის გამო, ამჟამად, მუჰაჯირების შთამომავალთა ქართული/ქართველური მეტყველება დანარჩენი ქართული/ქართველური ქვესისტემებისაგან იმით განსხვავდება, რომ მასზე მეტყველთა შორის აღარ გვხვდებიან ერთენოვანი ინდივიდები. (შდრ.: თურქეთისვე ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონებში [ისტორიულ ტაო-კლარჯეთსა და ლაზეთში] გავრცელებულ ქართველურ ქვესისტემებზე [ლაზურ კილოებზე, იმერხეულ, მაჭახლურ, ნიგალურ და ტაოურ კილოებზე] მეტყველთა შორის დღემდე შეიძლება ვნახოთ სკოლამდელი ასაკის ანდა ღრმად მოხუცი ერთენოვნები), სამეტყველო კოდების შერევა და გადართვაც ყველა თაობაში დიდი ინტენსიურობით გამოირჩევა; ამიტომაც, **ერთი მხრივ, თურქული ენის ზეგავლენა გაცილებით უფრო მკვეთრადაა გამოხატული, მეორე მხრივ კი, უნიფიცირდება (ნიველირდება) თავად ქართველური დიალექტური ფორმებიც.** ამდენად, ქართველურენოვანი მუჰაჯირების (გურჯებისა და ლაზების) ამჟამინდელი ქართველური მეტყველება მოიცავს ორ მსხვილ, არსებითად ამ ბოლო 144 წელიწადში ჩამოყალიბებულ ქვესისტემას — **მუჰაჯირთა აჭარულსა და მუჰაჯირთა ჩხალურ-ლაზურს.**

ერთენოვან ინდივიდთა არარსებობის მიუხედავად, ქართველურენოვან მუჰაჯირთა იმ შთამომავლებში, რომლებიც დღეს ღრმად მოხუცი ანდა სკოლამდელი ასაკისანი არიან, ძალზე ხშირია ქართველურ-თურქულ სამეტყველო კოდთა შერევა-გადართვა, სახელდობრ, **ქართული/ქართველური დომინაციით:** თურქულ სიტყვებს ისინი წარმოთქვამენ მკვეთრი თანხმოვნებით და სადა ხმოვნებით, აშკარა ქართული აქცენტუაციით, არღვევენ ხმოვანთა ჰარმონიას და სხვა იმ თავისებურებებს, რომლებიც თურქულ ენას (როგორც სამწიგნობრო ნორმას, ისე, დიალექტურ ნაირსახეობებს) ზოგადად ახასიათებს. მაგალითად, აქვე წარმოვადგენთ ნაწყვეტს 82 წლის გირესუნელი (სოფ. დამუდერედან; წინაპრები ქედიდან წამოსულან 1878 წელს) **ჰასან თანისაგან (ბარამიძისაგან)** ჩაწერილი თურქული ტექსტიდან:

³ მაგალითად, სამეტყველო კოდების შერევის კოლონიური მემკვიდრეობით განპირობებული ტიპი ერთობ დამახასიათებელია თანამედროვე **ირლანდიელებისათვის: მათ უბრალოდ კი არ შეითვისეს ინგლისური ენა, არამედ გარდაქმნეს კიდევაც ის თავიანთი დედაენის — ირლანდიურ-გელურის — გავლენით; ამჟამად კი ამ გარდაქმნილ ვარიანტს, გარკვეულწილად, ერთ-ერთ ეთნოკულტურულ მოცემულობად მიიჩნევენ, როგორც კოლონიური პერიოდის მემკვიდრეობას.** მართალია, ირლანდიური ინგლისური ანუ, როგორც მას უწოდებენ — **ჰიბერნიული მეტყველება (Hiberno-English)** — ზოგადად, ინგლისური ენის სახესხვაობას წარმოადგენს, მაგრამ ნებისმიერი ინგლისე-ლისათვის ის უცხოა. სამაგიეროდ, თვით გელურად მეტყველი ირლანდიელებიც კი, ჰიბერნიულს პრესტიჟულ ენობრივ ერთეულად მიიჩნევენ. სამეტყველო კოდების შერევის იძულებითი ტიპი დღესდღეობით ყველაზე მეტად დამახასიათებელია რუსეთის ფედერაციის არარუსულ სუბიექტთა მკვიდრი ეთნოსებისათვის: რუსული ენა ავიწროებს მათი მშობლიური ენების უფლებებს.

ტალღადან პანჭარი ქესარისინ. ქესტინ პანჭარი — ქესერეჟ აღმან ღწშიმ, ფხალ-ლობდა დანი, ფხალ-ლობდა დაბმან იჩინ, პანჭარი ქესმეჟ ღწშიმ, იშთე!.. სონუნდე ბირშედნდე ქესმენდენ ქესეჯენ, აირეჯენ! ქესმენდენ ქესეჯენ, ისთერ ჩუჟ გეთურ, ისთერ შეი გეთურ — ფარკ ეთმიორ!.. იშთე, ონი ქესტრისინ, ნედსე, იჩერისინე ტემიზღენურ: იჩერისინე ბი ფის, ბი შედ იჩერისინე ოლმასსუნ, დწ, ტემიზღენურ. ტემიზღედიქტენ სონრა, თაბი პანჭარ ფიშურმაღა ჰაბურდა ხაზირ ოლაჯაქ...⁴

ტექსტი თურქულის გირესუნულ დიალექტება. ამ მეტყველებას მკვლევრები უმეტესად შუა შავიზღვისპირეთის დიალექტურ ჯგუფს მიაკუთვნებენ, თუმცა ზოგიერთს ჩრდილოურ ჯგუფშიაც შეჰყავს (თექინი... 2014: 35). ის უახლოვდება, ერთი მხრივ, ჩარშამბას დიალექტს, მეორე მხრივ კი — გუმუშჰანეს, ერზინჯანისა და სივასის დიალექტებსაც. ჩვენი მთქმელის იდიოლექტში ძირეული თურქული ლექსიკური ერთეულები შეიცავს მკვეთრ თანხმოვნებს; აგრეთვე, აშკარადაა გამოხატული ქართული/ქართველური აქცენტუაცია და სინტაქსურადაც ფრაზები, რამდენადმე, ქართული წყობით არის გამართული. სწორედ ამის გამო, ჩვენ მივიჩნით, რომ უპირიანი იყო მისი **ქართული ანბანით** წარმოდგენა.

ეთნიკურ თურქთა გირესუნულ მეტყველებაში, რა თქმა უნდა, ასეთი თავისებურებანი არ შეგვინიშნავს; სოფ. დამუდერეში კი, სადაც დღემდე მხოლოდ ბარამიძეთა (ოსმალური მეტგვართ — **ჰელიმოდლების**) წარმომადგენლები სახლობენ, თითქმის ყველა მსცოვანი (80 წლის და მეტი ხნის) ინდივიდი თურქულად ამავე დროს, ქართული/ქართველური დომინაციით მეტყველებდა. ჰასან თანს მისივე შვილები (1960 წელს დაბადებული ვაჟიშვილი და 1965 წელს დაბადებული ქალიშვილი) შენიშვნებს აძლევდნენ: თურქულად სწორად ილაპარაკე, სტუმრები გიღებენ და სირცხვილიაო. მათ სამწიგნობრო თურქული სკოლაში შეესწავლათ და კარგადაც იცოდნენ, თუმცაღა შიგადაშიგ, ქართული აქცენტი მაინც ორივეს ეტყობოდა. აქ დავძენთ იმასაც, რომ ჰასან თანი შეხვედრისთანავე ქართულად გამოგველაპარაკა, მისმა შვილებმა კი, გაშინაურებამდე, ქართულად დასმულ კითხვებზე თურქულად გვიპასუხეს.

ინეგოლის ილჩეს სოფ. ბაჰჩექადაშიც, სადაც აწინდელი შუახევის მუნიციპალიტეტის სოფ. გოგაძეებიდან წამოსული **ვახტანგაძეების** შთამომავლები სახლობენ, 5-ნ წლის ოსმან-ნური ვახტანგაძემ (ბაშთურქმა) გზაზე ცხენი შენიშნა, დავგანახა და გვითხრა: **აჰჰ, ცხენი გელიდი[რ]!** „აი, ცხენი მოდის!“; როცა ვკითხეთ, ქართული იცოდა თუ არა, ასე გვიპასუხა: **გურჯიჯა ვიცი!** მისი ოჯახის წევრები — დედა, მამა (30-35 წლისანი), ბებია, ბაბუა (76 და 82 წლისანი) მშვენივრად საუბრობდნენ ქართულად,

⁴ „ბოსტანში (სიტყვისიტყვი: „ბოსტნიდან“) ჭარხალს მოჭრი. [ხომ] მოჭერი ჭარხალი — მოჭრისთანავე უნდა აიღო ფხალ-ლობისათვის, ესე იგი ფხალ-ლობია რომ გააკეთო, ჭარხლის მოჭრაა საჭირო, რა!.. მერე რაღაცაზე [+ დაჭრით] დაჭრი, დაანაწევრებ. [+ დაჭრით] დაჭრი, გინდ ფესვი გამოვიდეს, გინდ ის [რაღაც] გამოვიდეს — არაა განსხვავება!.. ჰოდა, გამოსუფთავდება: შიგ ცუდი რაიმე არ უნდა იყოს, რა, [უნდა] გამოსუფთავდეს. რომ გასუფთავდება, რაღა თქმა უნდა, ჭარხალი მოსახარშად უკვე მზად იქნება...“

თურქულად მეტყველება კი დედ-მამას უფრო ეხერხებოდა, ვიდრე ბებიასა და ბაბუს, რომლებთანაც იზრდებოდა ბავშვი.

დუბჯეს ილჩეს სოფ. დოქუზქოჯოღში, სადაც ჩხალის ხეობიდან (დღეს თურქეთისავე ართვინის ილის ბორჩხის ილჩეს შემადგენლობაშია) 1880 წელს წამოსული მუჰაჯირების შთამომავლები ცხოვრობენ, ყველა ხოფური დიალექტის ჩხალურ კილოვანებაზე ლაპარაკობს. თურქულიც, რასაკვირველია, დიდიან-პატარიანად ყველამ იცის, თუმცადა, ხანშიშესულნი თუკი ქართველური დომინაციით მეტყველებენ, ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებს პირიქით — თურქული დომინაცია სძლევთ: უჭირთ მკვეთრი თანხმონებებისა და ზოგი სხვა სპეციფიკური ქართველური ბგერების წარმოთქმა, ერევათ სინტაქსური კონსტრუქციებიც, უხვად იყენებენ თურქულ ოკაზინალიზმებსაც და ა.შ. მაგალითად, ერთმა ორმოცი წლის ქალმა გვითხრა: **ჩქინ, ქენდი-ქენდიში დილი ნა უჩქინან ლაზი ვორეთ** „ჩვენ, თავიანთი ენა რომ იციან, [იმგვარი] ლაზ[ებ]ი ვართ“; მერეღა მოაგონდა ლაზური ფორმები: **მუნთეფეში** „თავიანთი“ და **ნენა** „ენა“ და მოგვიბოდიშა: **თურქული რესმი დილი ენ; ემუშენი ლაზუში დოლოხე თურქულითი ოხოვუქთათ.** **ა ნდლას ვილაღალათში, არ ნენა ლაზუ[რი] დო ვით ნენა თურქული ფთქუმართ** „თურქული სახელმწიფო ენაა; ამიტომ ლაზურში თურქულსაც ვურევთ. ერთ დღეს რომ ვილაპარაკებთ, ერთ სიტყვას ლაზურს და ათ სიტყვას თურქულს ვიტყვით“. ამ ფრაზაშიც, ცნება **რესმი დილი** „სახელმწიფო ენა“ ოკაზინალიზმია (< თურქ. Resmî dil).

დავადასტურეთ ამგვარი ვითარებაც: ინეგოლის ილჩეს სოფ. აუქარი ფევიში, სადაც ამჟამინდელი ხულოს მუნიციპალიტეტის სოფ. ღორჯომიდან წამოსული მუჰაჯირების შთამომავლები (ოსმალური მეტეგვარებით — **ჭალიოღლები** და **სარიხაჯოღლები**; ქართული გვარები აღარ ახსოვთ) ცხოვრობენ, ერთ-ერთი ოჯახის მცხოვანი წევრები (ოჯახის უფროსი და მისი მეუღლე) ქართულად აჭარულ დიალექტზე მეტყველებდნენ, ახალგაზრდები (ორი ქალიშვილი, სიძეები და შვილიშვილები) კი — სამწიგნობრო ენაზე, რომელიც ქ. ინეგოლში, ქართული ენის კურსებზე შეესწავლათ. იმავე ოჯახის მოზარდმა შვილიშვილმა ქართული ლექსები და სიმღერებიც იცოდა, თუმცა მეტყველებისას, თურქული დომინაცია სძლევდა: საკმაოდ უჭირდა მკვეთრ თანხმონათა გამოთქმა (მაგალითად, **ჭ** და **წ** გამოთქვა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ბაბუამ და ბებიაშეუწორეს), ქართულად დაწყებულ ფრაზას თურქულად აგრძელებდა, ან თუ რომელიმე სიტყვა ქართულად აღარ ახსენდებოდა, უმალვე თურქულ ეკვივალენტს იშველიებდა, თურქულივე ორთოეპიის სრული დაცვით.

ყველა ზემოთ მოყვანილი მაგალითი ცხადპყობს, რომ **ქართული / ქართველური ენის ის ქვესისტემები (დიალექტები), რომლებზეც თურქეთში მცხოვრები ქართველურენოვანი მუჰაჯირების შთამომავლები მეტყველებენ, არსებობს და ვითარდება სწორედ სამეტყველო კოდთა შერევის პირობებში. ასეთ ვითარებას კი, უპირველეს ყოვლისა, ქართველურენოვან მუჰაჯირთა შთამომავლების მასობრივი იდეალური ორენოვნება განაპირობებს.** როგორც უკვე აღინიშნა, მათ

შორის მასობრივი იდეალური ორენოვნების მასშტაბები შესამჩნევად მეტია, ვიდრე თურქეთშივე მცხოვრებ ავტოქთონ ქართველთა შორის. შესაბამისად, უფრო მაღალია ქართველურ-თურქული სამეტყველო კოდების შერევის მაჩვენებელიც.

აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართველურ-თურქული სამეტყველო კოდების შერევა ყველაზე უფრო აშკარად თავს იჩენს ონომასტიკაში. ამის მიზეზი, ცხადია, ისაა, რომ ჯერ ერთი, ქართველურენოვან მუჰაჯირთა ყველა შთამომავალი ოფიციალურად თურქულ სახელ-გვარს ატარებს და მეორეც — **მათ საცხოვრის არეალში (როგორც ქალაქად, ისე სოფლადაც, უკლებლივ ყველა რეგიონში) თურქული ონიმები სუბსტრატულია, ხოლო ქართული / ქართველური კი — სუპერ-სტრატული (და არა პირიქით, როგორც ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთისთვისაა დამახასიათებელი)**. მაგალითად, აქ წარმოვადგენთ ნაწყვეტს უნიეს ილჩეს სოფ. ექინჯიქში, 75 წლის მუსტაფა ოზთურქისგან (ქართული გვარი — ხოხოტაიშვილი) ჩაწერილი ტექსტიდან, რომელიც სოფლის მიკროტოპონიმებს შეეხება:

ეს სოფელი — ექინჯულია. სხუა სახელი ამას არ აქ. ტყეები, ალაგები აქ. ახლა, ჰვამე, გაღმაში, ატი ყვას ეტყუიან. ასე, ემ წინ, დაქთაღან — დაღლა დათაღ ეტყუიან, ჰედსე ეტყოდენ. იშთე, ჰაქ, ამ ადგილს — ყამაზდის ეტყუიან. იქ ასე, ზედთ ეხუალ, ის — სულ ზემზე, ზედთკენ რუმ ჯამეა, — ყარაყირული ჰქუიან იმასა, ყარაყირული. ნედსე, იმის იქიდან ისე — მელოიქ თეფე, მემადუზი, ჰედსე — ყაბაყულადი, ემ გაღმას — ფელუთე თაღ ჰქუია, ფელუთე თაღს იშთე, ადგილები არი: ფგნდიკლი, ოჯალან... ქართული არ ქუია, იმნადრი ქართული სახელი პარ ქუია.

ახლა, ამ აგზე, ქომო[თ], სარიძოღლები ეტყუიან, სარიძოღლები. ის რადან დარჩენილა? იქა გდაურები მუდარან — ემქიები ყოფილან, და! იმთ იმიდან დარჩენილა. იშთე ჰაქ, თოფალის დერს ეტყუიან, ზედთ — თოფალის დერი. თოფალი იცი, ხო, დერიც იცი — გნებილოფ, ქართულია იგიც. იქაც თოფალი სომეხი მუდარა და იმიდან დარქუეს იგი.

ჰედსე — ყადილი გრლები. გრლი რწრი იცი, დწ? წყლის იგი... ყადილი გოლები ციმნადრი ადგილი არი. ყადილია ყოფილა ერთი და იმიდან — ყადილი გოლები ეტყუიან. ჰედმფერი სახელებიც არი დარქმეული. აქაობას ჩანახჩი ქუია. ჰედსე⁵.

⁵ „ეს სოფელი ექინჯიქია. სხვა სახელი ამას არ აქვს. ტყეები, ადგილები აქვს. ახლა, აი აქ, გაღმაში [რომ ადგილია], ავი ყვას ეძახიან. ასე, ამის სწორზე, თავდაღმართში — დაილა დათაღს ეძახიან. იქ ასე, ზევით რომ ახვალ და იქ, სულ ზემით რომ მეჩეთია, ყარაყირული ჰქვია იმ [ადგილს], ყარაყირული. მერე, იმის იქით, ისე [რომ ჩანს] — ის მელოიქ თეფეა, მემადუზია, აი იქით — ყაბაყულადი, გაღმა [ადგილს] — ფელუთე თაღ ჰქვია. ფელუთე თაღს აქვს [კიდევ] ადგილები: ფგნდიკლი, ოჯალანი... ქართული [სახელები] არ ჰქვია, ისეთი ქართული სახელი არ ჰქვია.

ახლა, აქეთკენ — ქვევით, [ადგილს] სარიძოღლებს ეძახიან, სარიძოღლებს. ის საიდან დარჩენილა, [იცი]? იქ ურჯულოები სახლობდნენ — ყაჩაღები ყოფილან, რა! იმათგან დარჩენილა. აი აქ, თოფალის დერს („კოჭლის ადგილს“) ეძახიან. „თოფალი“ (= კოჭლი, თურქ.) იცი, ხომ? „დერიც“ (= ადგილი, თურქ.) იცი — გებულობ, ქართულია ეგეც. იქაც კოჭლ სომეხს უცხოვრია და იქიდან დაარქვეს ისიც.

აი, ისე — ყადილი გრლებია. გრლი (=ტბა) რა არის, ხომ იცი? წყლის ისა... ყადილი გრლები იმნადრი ადგილია. ვიღაც ყადილი ყოფილა და იმის გამოსობით — ყადილის ტბებს ეძახიან. აი, ეგეთი სახელებია დარქმეული. აქაურობას ჩანახჩი ჰქვია. აი, ეგრე[ა]“.

ტექსტიდან ცხადად ჩანს, რომ სოფლის მიკროტოპონიმიში ქართულ ელემენტებს თურქული სჭარბობს, რადგანაც ქართველები (მაჭახლელები და ზემოაჭარლები) იქ 1878 წლის შემდეგ არიან მისულ-დამკვიდრებულნი. ისიც თვალში საცემია, რომ სუბსტრატული თურქული მიკროტოპონიმები უკვე გაქართველურებულია; მაგალითად, თავად სოფლის სახელწოდება წარმოითქმის როგორც **ექინჯული** და არა როგორც ***ექინჯიქი** (შდრ. ოფიც. თურქ. ფორმა: **Ekincik**). აგრეთვე, ღირსსაცნობია ისიც, რომ ხსენებული ტოპონიმი **ეხინჯუხ** ფორმით წარმოითქმის უნიეს თურქულ დიალექტში, საიდანაც ის ქართულს შეუთვისებია.

ქართველურ-თურქული სამეტყველო კოდების შერევის თვალსაზრისით, უაღრესად საინტერესოა ტექსტში მოხსენებული მიკროტოპონიმი **სარიძოღლები**: ის წარმოდგენილია ტრადიციული ოსმალური (**-ოღლი** ფორმანტიანი) მეტგვარის სახით, თუმცაღა ეპონიმად გვაქვს ქართველური გვარსახელი **სარიძე** (**სარიძ[ე] ოღლი** = „სარიძის შვილი“). მთქმელიც მიუთითებს, რომ სარიძოღლები „გააურები ყოფილან“. მისი ცნობა უნდა იყოს უწინდელი რეალობის ანარეკლი: ალბათ, **სარიძეთა** გვარის წარმომადგენლები დანარჩენებზე უფრო დიდხანს ცდილობდნენ, შეენარჩუნებინათ მამაპაპისეული გვარი და არ დაწერილიყვნენ ოსმალთა მიერ ბოძებული მეტგვარით; ამიტომაც შეარქვეს მათ სოფელში „გააურები“ ანუ ურჯულოები, ხელისუფლება კი, ბოლოს და ბოლოს, დაჰყაბულდა იმაზე, რომ ქართული გვარის მიხედვით დაეწერათ ოფიციალური მეტგვარიც.

ონომასტიკაში სამეტყველო კოდების შერევის ამგვარივე შემთხვევები დასტურდება სხვა ქვეყნებშიაც: მაგალითად, XV–XVI სს.–ში ალბანეთიდან და ხორვატიიდან იტალიაში გადახვეწილთა შთამომავლებისა — **არბერეშებისა** და **მოლიზელი ხორვატების** სამოსახლო სოფლებისა და ქალაქების სახელწოდებები იტალიური ენიდან მომდინარეობს: აბრუცოში, პესკარას პროვინციის სოფ. **ვილა ბადესას** (იტალ. **Villa Badessa**) იქ მცხოვრები არბერეშები (რომლებიც აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენენ) უწოდებენ ასე: **Badhesa**; მოლიზეში — კამპობასოს პროვინციაში — არბერეშთა სოფლებია: **კამპომარინო** (იტალ. **Campomarino**, ალბ. **Këmarini**), **მონტეჩილფონე** (იტალ. **Montecilfone**, ალბ. **Munxhufuni**) და სხვ. ხორვატებისაა — **აკვავივა კოლეკროჩე** (იტალ. **Aquaviva Collecroce**, ხორვ. **Kruč**), **სან ფელიჩე** (იტალ. **San Felice**, ხორვ. **Filič**), **მონტემიტრო** (იტალ. **Montemitro**, ხორვ. **Mundimitar**) და ა.შ. იმავდროულად, **ამ სოფლების ალბანური** (არბერეშები ალბანური ენის ტოსკურ დიალექტზე მეტყველებენ) და **ხორვატული სახელწოდებები ასახავს ადგილობრივ დიალექტურ წარმოთქმას და ამით სხვაობს ოფიციალური სახელწოდებებისაგან** (მსჯელობისთვის იხ. მაჯიო, 2018: 5–6; შიმუნოვიჩი, 2012: 189–205).

მაშასადამე, თუკი ქართველური მეტყველების (ქვესისტემების) მახასიათებლები და მთავარი ფონეტიკურ-მორფოლოგიურ-სინტაქსური თავისებურებები ქართველურ-ენოვან მუჰაჯირთა შთამომავლებს შორის დღემდე, არსებითად, უცვლელი შემორჩა

(ქართველურ-თურქული სამეტყველო კოდების შერევამ აშკარად შესამჩნევი გავლენა ოდენ ლექსიკაზე მოახდინა), ონომასტიკაში დიდი რაოდენობით შეიჭრა თურქული ელემენტები; თუმცადა, მათი ორთოეპია უმალ გაქართველურდა. ეს მოსალოდნელიც იყო, რამდენადაც ცნობილია, რომ ნებისმიერ ენობრივ ერთეულში, ონიმები გამოყენების მაღალი სიხშირით გამოირჩევა. იმავდროულად, ისინი სუბსტრატული სახით გაცილებით უფრო დიდხანს ძლებენ, ვიდრე ჩვეულებრივი ლექსიკური ერთეულები. დავძენთ იმასაც, რომ აწ „გაქართველურებული“, თურქული წარმომავლობის ონიმები თვით თურქებისათვის უკვე უცხოდ ჟღერს.

ამასთანავე, ღირსსაცნობია, რომ ქართველურენოვან მუჰაჯირთა შთამომავლები-საგან განსხვავებით, თურქეთშივე მცხოვრებ ჩერქებულენოვან მუჰაჯირთა შორის დომინირებს ჩერქებეთიდან ჩამოტანილი ონომასტიკა: ჩერქებული დასახლებული პუნქტების დიდ ნაწილს არაოფიციალურად ეწოდება იმ სოფლის სახელი, საიდანაც მისი მცხოვრებლების წინაპრები წამოსულან; მაგალითად, დუზჯეს ილის გოლიაქას ილჩეში ქართული სოფლის — **ჰაჯი-იაქუფის** მეზობლად მდებარეობს ჩერქებებით დასახლებული სოფელი **ქოფრუბაში** (თურქ. **Köprübaşı** „ხიდის თავი“), რომლის არაოფიციალური დასახელებაა **ჰაჯაშმშგე**. ამავე სახელწოდებით დღემდე არსებობს დასახლებული პუნქტი რუსეთის ფედერაციის ადიღეს რესპუბლიკის ქუაშჰაბლის რაიონში. ქოფრუბაშელ ჩერქებთა წინაპრებიც სწორედ იქიდან არიან წამოსულნი. თურქეთის სხვა რეგიონებშიაც გვხვდება ჩერქებული სოფლები: **წამშ** (= ნოვოროსიისკი), **ცნაფშ** (= ანაპა), **ხ'გდგ'გ** (= ხადიჟენსკი), **ჭაფსგ** (= ტუაფსე) და მისთ. როგორც ჩერქებულენოვან მუჰაჯირთა შთამომავლებმა განგვიცხადეს, თურქეთში არც კი არსებობს ისეთი ჩერქებული დასახლებული პუნქტი, რომელსაც ოფიციალურ (თურქულ) დასახელებასთან ერთად, ჩერქებული სახელიც არ ჰქონდეს და, უმეტესად, ეს უკანასკნელი საკუთრივ ჩერქებული წარმომავლობისაა.

ქართველურენოვან მუჰაჯირთა შთამომავლებს შორის ამგვარი შემთხვევები შედარებით იშვიათი აღმოჩნდა: მაგალითად, ორდუს ილის ფაცას ილჩეში მდებარე, ქობულეთელებით („ჩურუქსუვლებით“) დასახლებულ სოფ. **ყაბახდაღს** (თურქ. **Kabakdağ**) უფროსი თაობა (80 წელზე მეტი ხნისა) **სამებასაც** უწოდებს (**ბედა** და **ქვედა სამება** აწინდელი ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლებია); უნიეს ილჩეში ზემო და ქვემო აჭარლებით, ჩაქველებითა და მაჭახლებით დასახლებულ სოფ. **მიტრაპოლში** (თურქ. **Güzelyalı köyü**) კი, უბნების სახელებია **ჭალახმელე** და **დონოგანი** (**ჭალახმელაც** და **დოლოგანიც** დღევანდელი ქედის მუნიციპალიტეტის სოფლებია). ნიშანდობლივია, რომ თავად მიტრაპოლელებმა ამგვარად აგვისსნეს: **იქ რწცხა რომ მჟდარან, იმის ბედელი ტყეები მწცემიან აქ. იგზე სახელები რაცხა რომ იყო, აქ დჭრქმეჟიან** „იქ როგორც იყვნენ, ისევე აქაც ტყეები მიუციათ. იქ რაც სახელები იყო, აქ დაურქმევიათ“ — ანუ, **როგორც ჩანს, ძველი (სამშობლოსეული) დასახელებების**

შერქმევა მუჰაჯირებს წესად უნდა ჰქონოდათ⁶. იმ სოფლების მიწები, სადაც ამჟამად ქართველურენოვან მუჰაჯირთა შთამომავლები სახლობენ, უმეტესწილად მათივე წინაპრებს შეუსყიდათ 1880-1885 წლებში. თანაც, ქართველურენოვან მუჰაჯირთა სოფლებში იმთავითვე სხვადასხვა თემის წარმომადგენლები იყრიდნენ თავს, ჩერქებები კი უპირატესად, ცალ-ცალკე გვარებად და თემებად დასახლდებოდნენ ხოლმე — სწორედ ისე, როგორც სამშობლოში სჩვეოდათ.

ამდენად, ქართველურენოვანი მუჰაჯირების შთამომავალთა მეტყველებასა თუ ყოფა-ცხოვრებაში თურქული ელემენტების შერევის ძირითადი კანონზომიერებები შესამჩნევად განსხვავებულია სხვაენოვან მუჰაჯირთა შთამომავლებს შორის არსებულისგან და, რაღა საკვირველია, სხვა ფაქტორებთან ერთად, ამანაც დიდად განაპირობა 140 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ეთნიკურ-ენობრივი თავისთავადობის შემონახვა.

⁶ ანალოგიური სახელებია მარტყოფი, ჩულრუთი (< ჩულურეთი), ვაშლოვანი ფერეიდანში.

ნაწილი პირველი

მუჰაჯირ ქართველთა გადასახლება რუსეთის იმპერიიდან
ოსმალეთის იმპერიაში. მათი განსახლების თავდაპირველი, შემდეგი
და თანამედროვე არეალები. მუჰაჯირთა შთამომავლების თვითაღქმა
დღევანდელ თურქეთში

თავი I

მუჰაჯირობის რეალური ისტორია

1.1.1. კავკასიაში მუჰაჯირობის დაწყების ზუსტი თარიღის შესახებ

ტერმინი **მუჰაჯირი** (არაბ.: **მუჰჯირ** مهاجر) წარმოდგება არაბული მასდარიდან **ჰიჯრათ** (هجرة), რაც ქართულად ნიშნავს „გადასახლებას, საცხოვრებელი ადგილიდან აცრას“. ისლამის წარმოშობის ეპოქაში (VII ს.) არაბეთში მუჰაჯირებს ეძახდნენ ისლამის იმ მიმდევრებს, რომლებიც რელიგიური შევიწროების გამო თავს მეზობელ ქვეყნებს აფარებდნენ (მაგალითად, 614–615 წლებში მუსლიმანთა ნაწილი, **ასჰაბ აბუ ჯამრ უთმან იბნ ცაფთანის** და წინასწარმეტყველ მუჰამედის ბიძაშვილის — **ჯაჟფარ იბნ აბუ თალიბ ატ-ტაფარის** წინამძღოლობით, მექიდან ეთიოპიაში გადასახლდა) ანდა არაბეთშივე, ერთი ქალაქიდან მეორეში გადადიოდნენ (622 წელს მუსლიმანური თემი, წინასწარმეტყველ მუჰამედის წინამძღოლობით, მექიდან მედინაში [იმჟამინდელ დასრებში] გადასახლდა). XIX საუკუნის შუა წლებიდან კი, მუჰაჯირები ეწოდათ ჩრდილოკავკასიელ და ბალკანელ მუსლიმანებს, რომლებმაც რუსთა (და სხვა არამუსლიმანთა) ექსპანსიის შემდგომ თავი ოსმალეთის იმპერიას შეაფარეს.

მკვლევართა დიდი ნაწილი კავკასიაში **მუჰაჯირობის** დაწყების თარიღად თვლის **1864 წლის 21 მაისს**, როცა რუსულმა არმიამ აიღო კავკასიელ მთიელთა წინააღმდეგობის უკანასკნელი კერა — აბაზური სოფელი **ჯბზადჯ** (რუსული წყაროების მიხედვით — **კბაადა**, თანამედროვე **კრასნაია პოლიანა** ე. სოჭის ფარგლებში), ერთიანად გაანადგურა მისი ბრძოლისუნარიანი მოსახლეობა, ქალებს, ბავშვებსა და მოხუცებს კი უბრძანა, აერჩიათ გადასახლების ადგილი: ოსმალეთის იმპერია თუ შიდა რუსეთის რომელიმე გუბერნია. შემდგომში ამგვარივე ბრძანება მიიღეს აგრეთვე, დამორჩილებულ ჩერქეზთა და უბიხთა თითქმის ყველა დასახლებისა თუ თემის თავკაცებმა.

აქვე დავძენთ იმასაც, რომ სხვაგვარად ფიქრობდა ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე ზაქარია ჭიჭინაძე: მისი შეხედულებით, კავკასიაში მუჰაჯირობა დაიწყო რუსთა შემოსვლისთანავე — XVIII საუკუნის ბოლო ოცწლეულიდან; თუმცადა, ზაქარია ჭიჭინაძე მუჰაჯირთა პირველ ტალღად მიიჩნევდა 1815–1820 წწ. ლაზისტანის

სანჯაყიდან, ხოლო მეორე ტალღად — 1828–1829 წწ. ახალციხის ყოფილი საფაშოს ტერიტორიიდან ქართველ მუსლიმანთა (ლაზთა, მესხ-ჯავახთა) გასახლებას⁷.

1815–1820 წლებში ლაზთა გადასახლების შესახებ ცნობები არსად მოიპოვება. ჩვენი აზრით, არსებული უტყუარი ცნობების მიხედვით, კავკასიიდან ოსმალეთში მუჰაჯირთა გადასახლების ისტორია უნდა დაიწყოს 1828–1829 წლებიდან. იმ პერიოდში რუსთაგან დაპყრობილი **ახალციხის საფაშოს** მკვიდრი ქართველი მუსლიმანების ერთი ნაწილი იძულებული გახდა, სამუდამოდ მიეტოვებინა ისტორიული სამშობლო. აღსანიშნავია, რომ თურქულ ისტორიოგრაფიაში მათ, 1944 წელს საბჭოთა იმპერიის მიერ გასახლებულ მუსლიმან ქართველთა მსგავსად, „**ახალციხელ თურქებს**“ (**Ahiska Türkleri**) უწოდებენ; მაგალითად, ისტორიკოსი **ნეულა გიუნაი** იმოწმებს საყურადღებო საარქივო მონაცემებს, რომლებიც გვამცნობენ, რომ 1829 წ. ახალციხის საფაშოდან წამოსული მუჰაჯირები ჯერ განუთავსებიათ ზემო აჭარასა და არტაანში, ხოლო 1878 წელს კი იქიდანაც აუყრიათ და უფრო შორს — დასავლეთ თურქეთში გადაუყვანიათ. 1892 წელს ახალციხელთა 36 ოჯახი უკვე სტამბოლის შემოგარენში ფიქსირდება (გიუნაი, 2012: 123–142).

ასევე: ისტორიკოსმა **მ. ი. თასქესენლიოღლუმ** მის მიერ ახლად მიკვლეული საარქივო დოკუმენტების საფუძველზე დაასკვნა, რომ 1829 წელს — რუსეთთან ომის დასრულების შემდეგ — ახალციხიდან და ახალქალაქიდან ლტოლვილი მუსლიმანები ოსმალეთის იმპერიის მესვეურებს ჯერ კომპაქტურად ჩაუსახლებიათ სოფელ **ერსისში** (დღეს — **ქილიჩქაია Kılıçkaya**, შედის იუსუფელის ილში), 1845 წელს კი გადაუყვანიათ ქ. **არზრუმში**, სადაც თითო-ოროლა ოჯახი ჩაუსახლებიათ ყველა უბანში. ახალციხელები ადგილობრივ მოსახლეთა შორის მალე გაითქვიფნენ და სრულიად დაკარგეს უწინდელი თვითაღქმა (თასქესენლიოღლუ, 2019: 32–33).

1.1.2. 1867–1870 და 1877–1878 წლების მუჰაჯირობა საქართველოში. ქართველი და აფხაზი მუჰაჯირები ოსმალეთის იმპერიაში

XIX საუკუნის 60–იანი წლების შუახანებიდან, კავკასიის მკვიდრ მუსლიმანთა ოსმალეთში გადასახლების იდეა მომგებიანი აღმოჩნდა როგორც რუსეთისათვის, ისე ოსმალეთისთვისაც: რუსებს სჭირდებოდათ **მუსლიმანებისაგან გათავისუფლებული ტერიტორიები**, ოსმალები კი დიდად დაინტერესებული იყვნენ **სულთნის ერთგული მუსლიმანური მოსახლეობით**, რომელსაც დაასახლებდნენ ან ოსმალეთის ცენტრალურ რეგიონებში, არამუსლიმ ხალხთა (ბერძნების, ბულგარელების, სომხების...) ნაცვლად, ან — მაკედონიაში, ბულგარეთში, სირიასა თუ პალესტინაში, რათა იქ გაენეიტრალებინათ ოსმალური ოკუპაციის მოწინააღმდეგე ადგილობრივი, არათურქი მოსახლეობა.

⁷ გაქარია ჭიჭინაძის ცნობისათვის 1815–1820 წწ., ლაზისტანის სანჯაყიდან ლაზების გასახლების თაობაზე იხ. ზ. ჭიჭინაძე, 1912: 160.

რუსულ-ოსმალურ ინტერესთა დამთხვევის გამო, მუჰაჯირობა თავიდანვე დიდი გაქანებით დაიწყო და მალე მოიცვა თითქმის მთელი ჩრდილო-დასავლეთი კავკასია — სოჭიდან ანაპამდე და ოსეთამდე. ჩერქეზეთის ნავსადგურებში მდგარ ოსმალურ გემებზე რუსები ხალხს ძალით ერეკებოდნენ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზღვიდან მოშორებით მდებარე სოფლებიდან გამორეკილ მთიელთა უმრავლესობა გზაშივე დაიღუპა. ხალხით სავსე ნავსადგურებში მუცლის ტიფმა, შავმა ჭირმა თუ სხვა დაავადებებმა იფეთქა. ამით დაშინებულმა ოსმალო მეზღვაურებმა უარი განაცხადეს დაავადებულთა გადაყვანაზე, რის შემდეგაც რუსულმა არმიამ ეს უკანასკნელები ფიზიკურად გაანადგურა (ძაგუროვი, 1992: 61-62).

1867-1870 წლებში მუჰაჯირობა გავრცელდა, ასევე, იმხანად რუსეთის უღელქვეშ მოქცეულ **საქართველოს** ტერიტორიაზეც — 1867 წლის **აფხაზეთის აჯანყების** ჩახშობის შემდეგ, რუსებმა ოსმალეთში ძალით გადაასახლეს მისი მონაწილენი. ძირითადად, ესენი იყვნენ წებელდის და გუმის თემების მკვიდრნი — როგორც **აფხაზები**, ისე **ქართველებიც** (ძირითადად, მეგრელები და ლაზები); რწმენას რაც შეეხება: გასახლებულთა უმეტესობა ნომინალურად კი აღიარებდა ისლამს, მაგრამ მათ შორის საკმაოდ იყვნენ **აფხაზური წარმართობის** მიმდევრები და **ქრისტიანებიც** (ხორავა, 2005: 21).

თანამედროვე ბულგარელი დემოგრაფი — ვენცისლავ მუჩინოვი ბულგარულ გაზეთ „დუნაის“ 1867 წლის 7 მაისის, 28 მაისის, 13 აგვისტოს, 27 აგვისტოს, 6 სექტემბრის და 4 ოქტომბრის ნომრებში გამოქვეყნებულ რეპორტაჟებზე დაყრდნობით აცხადებს, რომ 1867 წლის ბოლოსთვის ოსმალებს ბულგარეთში — დუნაის ვილაიეთში 8 000-დან 8 500-მდე აფხაზი გადაუყვანიათ. მათი უმრავლესობა, ჩერქეზებთან ერთად, ახლად დაარსებულ სოფლებში ჩაუსახლებიათ: „თუმცაღა, შემდგომ ამ კომპაქტური დასახლებების სრული კონტროლი მთავრობას გაუძნელდა, რამაც ოსმალეთის მესვეურები აიძულა, შეეცვალათ პოლიტიკა და იმიგრანტები მცირე-მცირე რაოდენობით მიმოფანტათ უკვე არსებულ [სხვადასხვა] დასახლებაში. ამიტომაც, ჩერქეზთა 10-30 ოჯახისგან შემდგარი ჯგუფები მალე სრულიად გაითქვიფა რუმუჯის სანჯაყის ჩრდ. ნაწილში [მოსახლეთა შორის]“⁸ (მუჩინოვი, 2016: 85).

აღსანიშნავია, რომ 1867 წელს მუჰაჯირობა მოზღვავებამ ბულგარეთში გამოიწვია დიდი ჰუმანიტარული კრიზისი, რომლის მოგვარებაც ადგილობრივმა ხელისუფლებამ მხოლოდ საკუთარი ძალებით ვეღარ შეძლო და დახმარებისთვის სტამბოლში, სულთანს მიმართა. 1868 წლის გაზაფხულის დამლევს, სულთნის მიერ გამოყოფილი თანხებით,

⁸ „However, the difficulty of establishing government control over these compact settlements, forced Ottoman authorities to make a policy change after which they begin sending immigrants in small groups to existing settlements. This is how some small groups of Circassians, numbering between ten to thirty households, ended up in existing villages of the northern part of the Ruschuk sanjak“. რუმუჯის სანჯაყი დღევანდელი რუსეს ოკრუგია ჩრდილო ბულგარეთში.

დუნაის ვილაიეთში სამოსახლოს გარეშე დარჩენილი აფხაზები ჩაასახლეს ცენტრალურ ბულგარეთში — ტირნოვოსა და პლოვდივის ახლოს. ამავდროულად, მათ კომპაქტურად დასახლების ნება არ დართეს: აფხაზური ოჯახები თითო-თითოდ გაანაწილეს თურქულ სოფლებში (მუჩინოვი, 2013: 77).

ოსმალეთში გასახლებულ აფხაზ მუჰაჯირებს მეთაურობდნენ თავად **კაცია ბეჟანის ძე მარღანიას** (1766–1866) უმცროსი შვილები: **ქამლათი** და **ოზბექი**. ორივეს, ოსმალეთში ჩასვლისთანავე, სულთანმა ფაშის ტიტული უბოძა. სხვათა შორის, სწორედ მათ მოუწიათ 1876 წელს **ბულგარეთის აჯანყების** ჩახშობა, რა დროსაც თავი გამოიჩინეს გაუგონარი და უსაზღვრო სისასტიკით. ცნობილ ბულგარელ ისტორიკოსს, ნიკოლა ტოდოროვს თავის მონოგრაფიაში **„ბულგარელი ხალხის მდგომარეობა თურქთა მონობაში: დოკუმენტები და მასალები“ (Положението на българския народ под турско робство: Документи и материали)**, რომელიც 1953 წელს გამოიცა სოფიაში, მოჰყავს ორი უაღრესად საინტერესო ცნობა ამასთან დაკავშირებით:

1. დიდი ბრიტანეთის ბურგასელი კონსულის — ჩარლზ ბროფის 1876 წლის 14 ივნისის ანგარიში კონსტანტინოპოლში მყოფი ბრიტანელი ელჩის — ჰ. ელიოტისადმი (ტოდოროვი, 1953: 312–313), რომელშიც ნათქვამია, რომ მუჰაჯირებისაგან შემდგარი რაზმები **ქამლათ-ფაშას** და **ოზბექ-ფაშას** წინამძღოლობით სასტიკად აწიოკებდნენ ბულგარელ ქრისტიანებს. ანგარიშში დაწვრილებითაა ჩამოთვლილი ყველა ის მხეცობა და არაადამიანობა, რასაც მუჰაჯირები იჩენდნენ მშვიდობიან მოსახლეთა მიმართ, მაგ.: მათ ქრისტიანებს მოსტაცეს ბავშვები და მონებად წაიყვანეს თავიანთ სოფლებში.
2. დიდი ბრიტანეთის რუმუჰეელი კონსულის — რ. რიდის 1876 წლის 16 ივნისის ანგარიში კონსტანტინოპოლში მყოფი ბრიტანელი ელჩის — ჰ. ელიოტისადმი, რომელშიც ნათქვამია, რომ **ქამლათ-ფაშასა** და **ოზბექ-ფაშას** ხალხი დათარეშობდა პლევენისა და ტირნოვოს მხარეებში. აჯანყების მონაწილეთა გამოვლენისა და დასჯის საბაბით, ისინი მშვიდობიან გლეხებს ხოცავდნენ, ან იტაცებდნენ და მათი ოჯახებისაგან ითხოვდნენ გამოსასყიდს. მხარეთა ქრისტიანული მოსახლეობა პანიკაში იყო და შველას ითხოვდა (ტოდოროვი, 1953: 316–317).

რუსეთ-ოსმალეთის 1877–1878 წწ. ომის დაწყებისას ოსმალეთს 2 მილიონზე მეტი კავკასიელი მუჰაჯირი აფარებდა თავს. მათ სახელწოდებად განზოგადდა ეგზოეთნონიმი „ჩერქეზი“, რადგანაც გადასახლებულთა შორის ყველაზე მეტნი იყვნენ **ჩერქეზები**⁹ ანუ

⁹ ასეთი განზოგადების საფუძველს ქმნიდა რუსული წყაროები; შდრ.: ზოგადკავკასიური ჩოხის სახელად რუსეთში დამკვიდრდა „ჩერქესკა“, რადგანაც რუსებმა პირველად ვაზაკების მეზობელი ჩერქეზების ტანზე ნახეს ქართულ სამყაროში შექმნილი და მთელ კავკასიაში გავრცელებული მამაკაცის ეს სამოსი (ჩოხის ისტორიისათვის იხ. რ. თოფჩიშვილი, 2019).

ადიდები. მუჰაჯირები სულთნისაგან სარგებლობდნენ შეღავათებით; კერძოდ, უფლება ჰქონდათ, სამოსახლოდ დაეკავებინათ სახელმწიფო მიწები (ვაკუფები), არისტოკრატიაც ყველა ძველ პრივილეგიას ინარჩუნებდა და ოსმალთა დიდებულებს უთანაბრდებოდა. იმგვარ თემებში კი, რომელთაც თავადაზნაურობა არ ჰყავდათ, სულთანი კრძალავდა წყობილების რაიმე სახით შეცვლას. მშვიდობიანობის დროს მუჰაჯირებს არ ეხებოდათ საყოველთაო სამხედრო ბეგარა — მხოლოდ და მხოლოდ ომიანობის დროს ხდებოდნენ ვალდებულნი, გასულიყვნენ ლაშქარში თავიანთი იარაღით და სრული აღჭურვილობით (ჰაჯისალიჰოღლუ, 2013: 4).

ამასთან, თურქი ისტორიკოსი ჰაქან ასანი უთითებს, რომ კავკასიიდან ოსმალეთში გადასახლებულ მუჰაჯირებს უმრავლესობა არც ერთ ადგილას არ შეუქმნიათ, მაგრამ თითქმის ყველგან, სადაც კი ჩაასახლეს, ძალზე აქტიურად უჭერდნენ მხარს ოსმალეთის მთავრობის პოლიტიკას. აქედან გამომდინარე, დამხვედური მოსახლეობა მათ უადრესად უნდობლად ეკიდებოდა — განსაკუთრებით, არათურქულ ანდა რომელიმე რელიგიური უმცირესობის სამკვიდრო მიწებზე. მოგვიანებით მუჰაჯირები ცდილობდნენ, რომ თავი მოეყარათ უშუალოდ დედაქალაქ სტამბოლის ანდა სხვა დიდი ქალაქების მიმდებარედ, სოფლად, რათა ერთი მხრივ ხელისუფლების ორგანოებთან მჭიდრო კავშირი ჰქონოდათ, მეორე მხრივ კი ჩვეული წეს-წყობილება შეენარჩუნებინათ და გადარჩენილიყვნენ (ასანი, 2016: 34-61).

1877 წლისთვის საქართველოდან (აფხაზეთიდან) გასახლებული მუჰაჯირები ისევ ბალკანეთის ვილაიეთებში სახლობდნენ. რუსეთთან ომის დაწყება მათმა უმრავლესობამ სამშობლოში დაბრუნების შანსად აღიქვა. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ხალხის გასახლებას ისედაც დაჟინებით ითხოვდა ადგილობრივი მოსახლეობა (მუჩინოვი, 2016: 100); ამიტომ მათ წინამძღოლებს — **ქამლათ-ფაშა** და **ოზბექ-ფაშა მარღანიებს** — თავად სულთნის კარის მესვეურებმა შესთავაზეს რუსების წინააღმდეგ კავკასიის ფრონტზე საბრძოლველად აფხაზ მუჰაჯირთაგან დივერსიული დანაყოფის ჩამოყალიბება. იმავდროულად ჩერქეზი მუჰაჯირები, რომლებიც ასევე ძალზე ნაკლებად იყვნენ ინტეგრირებულნი ბულგარულ და ბერძნულ საზოგადოებებში, დღევანდელი კოსოვოს ტერიტორიაზე გადაიყვანეს.

ქამლათ-ფაშა და **ოზბექ-ფაშა მარღანიები** 1877 წლის 30 აპრილს — რუსეთ-ოსმალეთის ომის გამოცხადებიდან 18 დღის შემდეგ — თავიანთ დივერსანტებთან ერთად, გუდაუთის სიახლოვეს გადასხდნენ, რამდენიმე საათში აიღეს დასახლება და ერთიანად გადაწვეს. ამის შემდეგ **ქამლათ-ფაშა მარღანიამ** შეკრიბა ახლომახლო სოფლების მოსახლეობა — თავად-აზნაურებიც და გლეხობაც — და ყველანი ოსმალეთის სულთნის ერთგულებაზე დააფიცა (მაჭავარიანი, 1878: 154). ასე დაიწყო 1877 წლის **აფხაზეთის აჯანყება**, რომელში მონაწილეობის გამოც შემდგომში ცარიზმმა აფხაზები

„დამნაშავე ეროვნებად“ გამოაცხადა და მათი დიდი ნაწილი ფიზიკურად გაანადგურა; გადარჩენილ აფხაზთა უმეტესობა შემდგომში რუსეთის იმპერიის ერთგულებად აქცია¹⁰.

საქართველოს (აფხაზეთის) გარდა, პროოსმალური აჯანყებები დაიწყო ჩეჩნეთსა და დაღესტანშიაც, თუმცა იმ მხარეებში, რასაკვირველია, ოსმალური ჯარი არ შესულა. 1877 წლის გაზაფხულზე რუსეთის იმპერიის შეიარაღებულმა ძალებმა (მათ შემადგენლობაში კავკასიის ფრონტზე იბრძოდნენ ქართული და სომხური სამხედრო ნაწილებიც) დაიკავეს ოსმალეთის კუთვნილი დასახლებული პუნქტები ჩრდილო-აღმოსავლეთში: **ბაიაზეთი** (ამჟამად — დოღუბაიაზითი), და **არტაანი** (არდაჰანი). ამასვე დაემატა რუსების წინსვლა მეორე — ბალკანეთის ფრონტზეც (1877 წლის ივნის-ივლისიდან). რამდენადაც ოსმალური ჯარი, რეალურად, მარცხს მარცხზე განიცდიდა, სტამბოლში უმაღლესმა სამხედრო ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება: ძირითადი ძალები ბალკანეთის ფრონტზე გადმოესროლა, რათა რუსებს დედაქალაქზე შემოტევა ვეღარ მოეხერხებინათ. ასე რომ, კავკასიის ფრონტზე ოსმალეთის მოიმედე აჯანყებულები ღვთის ანაბარად მიატოვეს.

1877 წლის აგვისტოში ქამლათ-ფაშა და ოზბექ-ფაშა მარღანიებს მიეცათ ბრძანება: სასწრაფოდ დაეტოვებინათ აფხაზეთი და ჯართურთ სტამბოლის მიმართულებით წასულიყვნენ. ისინი იმ დროს მთლიანად აკონტროლებდნენ ზღვისპირეთს ადღერიდან ოჩამჩირემდე, თუმცაღა გრძელვადიანი წინააღმდეგობა არ შეეძლოთ. ამიტომ, ბრძანებას დაუყოვნებლივ დამორჩილდნენ; თან აფხაზეთიდან ძალით აჰყარეს და გემებზე არეკვეს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი. ამის შედეგად, მთლიანად დაცარიელდა ისეთი მთიანი თემები, როგორებიც იყო: გუმა, წებელდა, ბზიფი, აბჟუა და ა.შ.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აყრილთა შორის მხოლოდ ეთნიკური აფხაზები არ ყოფილან: 1878 წელს იმდროინდელ ქართულ გაზეთ „დროებაში“ (დროება, 1878, №: 154, 155, 156, 157) გამოქვეყნებულ წერილებსა თუ საგაზეთო რეპორტაჟებში დეკანოზი **დავით მაჭავარიანი** აღნიშნავდა, რომ ქამლათ-ფაშა მარღანიამ გემებზე ძალით

¹⁰ სწორედ რუსების მიერ გადაბირებული აფხაზები გამოიყენა რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ გასული საუკუნის 20-იან და 90-იან წლებში (XX ს. 90-იან წლებში რუსების მიერ აფხაზების გამოყენების შესახებ იხ.: ტ. ფუტკარაძე, **საქართველოს გეოპოლიტიკური სტრატეგიის რამდენიმე ასპექტი: ქართველოლოგიის პოლიტიკების საკითხისათვის**; კრებული: საქართველოში არსებული კონფლიქტი და მშვიდობის პერსპექტივები, საქართველოს საპატრიარქო, კონრად ადენაუერის ფონდი, თბ., 2009: 221-234. წაკითხულ იქნა მოხსენებად საქართველოს საპატრიარქოსა და კონრად ადენაუერის ფონდის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე: „საქართველოში არსებული კონფლიქტები და მშვიდობის პერსპექტივები“, თბილისი, 2008 წლის 2-3 დეკემბერი; *Some Aspects of the Geopolitical Strategy of Georgia (on Politicization of the Kartvelological Studies), Causes of War Prospects for Peace*, Georgian Orthodox Church Konrad-Adenauer-Foundation, Tb. 2009, p. 173-183; On December 2-3, 2008 the Holy Synod of the Georgian Orthodox Church and the Konrad-Adenauer-Foundation held a scientific conference on the theme: Causes of War - Prospects for Peace.

<http://www.scribd.com/doc/9100139/Tariel-Putkaradze-Some-Aspects-of-the-Geopolitical-Strategy-of-Georgia>

აიყვანა მრავალი ქართული ოჯახი, რომელთა შორის იყო მართლმადიდებელი მღვდელი **დავით ახვლედიანი** ცოლ-შვილით. მოგვიანებით აფხაზმა ისტორიკოსმა **გიორგი ძიძარიაძე** (რომლის ნაშრომიც მუჰაჯირობის შესახებ განსაკუთრებული ტენდენციურობით გამოირჩევა) ველარ დამალა, რომ აფხაზეთიდან გასახლებულთა შორის ბევრნი იყვნენ ქართველები. იგი პირდაპირ წერს: „**1877 წელს თურქულმა სამხედრო ხელმძღვანელობამ აფხაზეთიდან წაიყვანა ასევე არააფხაზური მოსახლეობის გარკვეული რაოდენობა. ეს ეხება, მაგალითად, მეზობელი სამეგრელოს და საქართველოს სხვა კუთხეთა მოსახლეობას, რომლებიც იმ დროისათვის აღმოჩნდნენ საომარი მოქმედებების ტერიტორიაზე**“¹¹ (ძიძარია, 1982: 371).

1877 წლის სექტემბერ-ოქტომბერში, ბალკანეთის და კავკასიის (უფრო უკეთ რომ ვთქვათ, დასავლეთ სომხეთის) ფრონტებზე რუსების წარმატებამ ოსმალთათვის ცხადი გახადა, რომ შემდგომი სტრატეგიული გადაჯგუფებების გარეშე ომის მოგება ერთობ შეუძლებელი იქნებოდა. მათ გადაწყვიტეს, რომ საომარ მოქმედებათა ზონებიდან ნელ-ნელა გაეყვანათ მოსახლეობა. აფხაზეთის (რომელსაც იმ პერიოდისთვის უკვე სავსებით ველარ აკონტროლებდნენ) შემდეგ, ასეთ ზონად იქცა ქობულეთი (ჩურუქსუ), რომელსაც რუსთა სამფლობელოებისაგან მდ. ჩოლოქი ჰყოფდა. ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე ზაქარია ჭიჭინაძე საგანგებოდ აღნიშნავს: „ყველაზედ მწვავე გადასახლება ქობულეთში 1877 წ. დაიწყო. ამ დროთა გადასახლებულთ შესახებ იტყვიან სხვა და სხვა ცნობებს. ერთნი იტყობდნენ, რომ ქობულეთიდან ოსმალში გადასახლდა 2500 მოსახლეო ანუ 12 000 სული ორივე სქესისო. მეორენი ამბობდნენ, რომ 5000 მოსახლე წავიდაო. ხოლო მათში რამდენი რიცხვი იყო, ამისი კი არა იცოდნენ რა. მესამენი იტყობდნენ, რომ ალი ფაშამ [თავდგირიძემ] ქობულეთიდან გადაასახლა 7000 მოსახლეო“ (ჭიჭინაძე, 1912: 91-92). ზაქარია ჭიჭინაძესვე მოჰყავს ქობულეთის (და დღევანდელი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის) იმ სოფლების სიაც, რომელთა მკვიდრნიც მუჰაჯირობად წავიდნენ. ეს მონაცემები განსაკუთრებით საყურადღებოა და ამიტომ მათ ჩვენც აქვე წარმოვადგინთ:

- სოფ **ქაქუთი**, გადასახლდა 30 კომლი
- სოფ **ლეღვა**, გადასახლდა 25 კომლი
- სოფ. **წყავრუკა**, გადასახლდა 50 კომლი
- სოფ. **კუხე**, გადასახლდა 40 კომლი
- სოფ. **ჩეხედენი**, გადასახლდა 30 კომლი
- სოფ. **აჭყვისთავი**, გადასახლდა 30 კომლი
- სოფ. **ზენეთი**, გადასახლდა 40 კომლი

¹¹ «В 1877 году турецкое командование увезло из Абхазии и некоторое количество неабхазского населения. Это относится, например, к жителям соседней Мегрелии и других районов Грузии которые в тот момент оказались на территории военных действий»

სოფ. ალამბარი, გადასახლდა 100 კომლი
 სოფ. გვარა, გადასახლდა 30 კომლი
 სოფ. ხუცუბანი, გადასახლდა 50 კომლი
 დაბა ძველ-ქობულეთი გადასახლდა 40 კომლი
 სოფ. კონდიდი, გადასახლდა 20 კომლი
 სოფ. კობი, გადასახლდა 30 კომლი
 სოფ. კვირიკე, გადასახლდა 137 კომლი
 სოფ. დაგვა, გადასახლდა 30 კომლი
 სოფ. სამება გადასახლდა 20 კომლი
 სოფ. ჭახათი, გადასახლდა 10 კომლი
 სოფი კეჭიეთი, გადასახლდა 20 კომლი
 სოფ. ვარჯანული, გადასახლდა 15 კომლი
 სოფ. ტყემაკრავი, გადასახლდა 10 კომლი
 სოფ. ცხემუანი, გადასახლდა 10 კომლი
 სოფ. კობალაური, გადასახლდა 40 კომლი
 სოფ. ჩურუქსუ, გადასახლდა 80 კომლი
 სოფ. ზარა ბოსელი, გადასახლდა 25 კომლი
 სოფ. დიდი ვაკე, გადასახლდა 40 კომლი
 სოფ. ზემო ხინო, გადასახლდა 40 კომლი
 სოფ. ჩაქვა, გადასახლდა 13 კომლი
 სოფ. ხალა, გადასახლდა 40 კომლი
 სოფ. ჩაქვისთავი, გადასახლდა 40 კომლი
 სოფ. გორგამნები, გადასახლდა 20 კომლი
 სოფ. მახინჯაური, გადასახლდა 40 კომლი
 სოფ. ორთაბათუმი, გადასახლდა 15 კომლი
 სოფ. ყოროლისთავი, გადასახლდა 25 კომლი
 სოფ. აგარა, გადასახლდა 14 კომლი
 სოფ. ახალშენი, გადასახლდა 20 კომლი
 სოფ. ხალვაშნები, გადასახლდა 40 კომლი (ჭიჭინაძე, 1912: 91-92).

ამ მონაცემების კომენტარებისას ზაქარია ჭიჭინაძე დასძენს: „აქ არ ვახსენებთ ზოგი ერთის სოფლები, სადაც დღეს სულ აღარავინ სცხოვრობს, მთელი სოფელი დაიცალა და გადასახლდა. სოფელში მოსახლეთა სახლები ტყის ნადირის თავშესაფარად გადაიქცა. ასეთ სოფლების რიცხვიც დიდი არის. ასეთი იყო მაგალითებრ სოფ. კვირიკე, საიდანაც მთლად წავიდა ხალხი. სოფელი სულ ცარიელი დარჩა“ (ჭიჭინაძე, 1912: 92). ქობულეთიდან ხალხის ოსმალეთში გადასახლების მთავარი მესვეურები ყოფილან ალი-ფაშა თავდგირიძე და ყემპერ-ალა ფაში ოღლი ჩივაძე (იქვე: 109).

2019 წლის ივლისში ამ სტრიქონების ავტორებმა თურქეთის რესპუბლიკის ორდუს ილის ქალაქ ფაცაში ქობულეთიდან წამოსული მუჰაჯირების შთამომავლისაგან — **ვეფათ ოზგუნ კაკალაძისგან** ჩავიწერეთ გადმოცემა იმის შესახებ, როგორ ჩავიდნენ მუჰაჯირები ფაცაში (ტექსტი იხ. აქვე: 126). მოქმედმა დაგვიდასტურა, რომ მათ წინამძღოლობდა **ალი-ფაშა თავდგირიძე** და აღნიშნა, რომ ხალხის გადმოსაყვანად ამ უკანასკნელს ოთხი მოზრდილი ხომალდი დაუქირავებია: „**გულნიჰალი**“, „**ასირი**“, „**მეჯიდიე**“ და „**სელიმიე**“. „გულნიჰალით“ გადმოუყვანიათ სოფლების: სამების, გვარასა და კვირიკეს მცხოვრებნი, „ასირით“ — უშუალოდ ქობულეთელი ბეგები, ხოლო „მეჯიდიეთი“ და „სელიმიეთი“ კი წამოსულან დანარჩენები. ეს მომხდარა 1877 წლის ოქტომბრის ბოლოს.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ქობულეთელთა ის ნაწილი, რომელმაც გემებზე ასვლა გარკვეული მიზეზების გამო ვერ მოახერხა, უსაფრთხო ადგილებისკენ ფეხით გაემართა. მათ გაიარეს, დაახლ., 120 კმ, მიაღწიეს ლაზეთის ათინას თემის სოფელ **ძველ ტრაპიზონს** (თურქ. **Hamidiye**) და ადგილობრივ ლაბთა ხელშეწყობით, იქ დაიდეს ბინა, რადგან გზის გაგრძელება აღარ შეეძლოთ. ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლები სოფელში დღესაც არიან. 2019 წლის ივლისში ჩვენ ისინიც მოვინახულეთ და ჩავიწერეთ გადმოცემები, თუ როგორ დატოვეს მათმა წინაპრებმა ქობულეთი. გამოირკვა, რომ უმეტესობა წამოსულა მხოლოდ მას შემდეგ, რაც რუსულ არმიას ბათუმზე შეტევის დასაწყებად გზა გაეხსნა — 1877 წლის ნოემბერ-დეკემბერში.

ქობულეთის გარდა, სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს სხვა ნაწილებში: გემო და ქვემო აჭარაში, ლაზეთში, ნიგალში, იმერხევში და სხვაგან მუჰაჯირობა იმ პერიოდში არ დაწყებულა: ადგილობრივი მოსახლეობა (ისევე, როგორც ოსმალური ხელისუფლების მესვეურები) ფიქრობდა, რომ ომის დასრულებისთანავე, წასულები კვლავაც მშობლიურ მიწას დაუბრუნდებოდნენ. მოვლენების რუსთა სასარგებლოდ განვითარებას არც არავინ ელოდა, მაგრამ მალევე აღმოჩნდა, რომ ოსმალეთის იმპერიის შეიარაღებულ ძალებს ყველა რესურსი ამოსწორვოდა. საერთაშორისო საზოგადოებრიობა, რომელიც რუსების წინსვლას შეშფოთებით ადევნებდა თვალყურს, სულთანს ზავის დადებას ურჩევდა — მათ მიაჩნდათ, რომ მხოლოდ ამ გზით იყო შესაძლებელი სტამბოლის გადარჩენა. სულთნის კარზეც ხვდებოდნენ, რომ თუ ზავს არ მოითხოვდნენ, შესაძლებელი იყო, რომ იმპერიას არსებობა სულაც შეეწყვიტა. ამიტომ, 1877 წლის ნოემბერ-დეკემბერში ორივე ფრონტზე — ბალკანეთშიც და კავკასიაშიც — საომარი მოქმედებები რამდენადმე შენელდა. ოსმალებმა საჭიროდ ჩათვალეს, ადგილობრივ მოსახლეთათვის გამოეცხადებინათ, რომ არსებობდა საომარ მოქმედებათა გახანგრძლივება-გაფართოების საფრთხე, რის გამოც ყველას, ვისაც სურვილი ექნებოდა, მთავრობის ხარჯით, ოსმალეთის შიდა რაიონებში გადაიყვანდნენ და გარკვეული დროის განმავლობაში — ვიდრე ომი დასრულდებოდა — საცხოვრებლად კარგ პირობებს შეუქმნიდნენ. საევაკუაციო ზონაში მოექცა, უპირველეს ყოვლისა, გემო

აჭარა (რადგანაც მას რუსები ახალციხის მხრიდან ემუქრებოდნენ) და ზღვისპირა ტერიტორია ქობულეთ-ბათუმიდან ხოფამდე (აქაც, რუსეთის სამხედრო-სამღვალო ძალთა შემოტევის ალბათობა ძალზე დიდი იყო). ქვემო აჭარა, ნიგალი და იმერხევი შედარებით უსაფრთხო ტერიტორიებად ჩაითვალა.

ხელისუფლების მოწოდებას პირველნი ზღვისპირა სოფლების და უშუალოდ ქალაქ ბათუმის მკვიდრნი გამოეხმაურნენ. მაშინდელი ადმინისტრაციული დაყოფით, მთელი ეს მხარე შედიოდა **გონიო-ბათუმის სანჯაყში**, რომელიც მოიცავდა სულ 47 დასახლებას (ძირითადად, **ლაზურს** და **ლივანურს//ნიგალურს**, აგრეთვე, რამდენიმე **ქობულეთურსაც**; ფრჩხილებში მოგვყავს ოსმალური სახელწოდებები ლათინურ-თურქული გრაფიკით):

აბუისლა (Ab-ı Islah)

მაკრიალი (Makriyal)

ზღვისპირა მაკრიალი (Makriyal-Liman)

მაკრიალში ჩასახლებული ქურთების ბანაკი (Makriyal Köyünde Göçebe Ekrad)

გონიო (Gönye Kalesi)

სარფი (Sarp)

ბელღევანი (Beğlevan)

სკურჩე (Sokorçe)

სუჯუნა (Sucuna)

ცოცხობა (Soshoba)

ლუჰიე//ნეძია (Luhye //Neziya)

ოხორდია (Ohordiya)

გიდრევეთი (Kidrevet)

ბორჩხა (Borçka)

წითურეთი (Zituret)

არჩვეთი (Arçvet)

ჯვარეთი (Cuvaret)

კატაფხია (Kataphia)

ბერძნაული (Beznavul)

მურკივეთი (Murkivet)

ქვედა მარადიდი (Maradit-i Süfla)

მირვეთი (Mirvet)

ზედა მარადიდი (Maradit-i Ulya)

მახო (Maho)

თხირნალი ვანბულუ (Tihirnali Vanbulu)

სიმონეთი (simonet)

ზღვისპირა ბათუმი (Liman Batum)
 ყორლისთავი (Korolistav)
 აგარა (Agara)
 ახალშენი (Ahalşen)
 შუა (ცენტრალური) ბათუმი (Orta Batum)
 მახინჯაური (Mahincauri)
 სარაი (Saray)
 ახალშენი (Ahalşen)
 ერგეს თოფჩიოღლის უბანი (Erge Nahiyesi Topçuoglu)
 კიბე (Gibe)
 კაპნისთავი (kapnistav)
 ერგე (Erge)
 ხელვაჩაური (Helvaçauri)
 ჯოჭო (Coco)
 კახაბრის მიწაზე ჩასახლებული ქურთების ბანაკი (Kahaber Arazisinde Göçebe Ekrad)
 ჩაქვის ხალვაშთა უბანი (Halvaş Mahallesi Çakvi)
 ხალა (Hala)
 აჭყვა (Açkva)
 გორგაძე (Gorgadze)
 ჩაქვისთავი (Çakvistav)
 შუა ჩაქვი (Orta Çakvi) (ქასაბი, 2019: 52-57)

ქართული წარმომავლობის თურქი მკვლევრის — მურათ ქასაბის მიერ მოძიებული ცნობები მუჰაჯირების შესახებ მრავალ საინტერესო და აქამდე უცნობ ინფორმაციას გვაწვდის, კერძოდ, იმ დროსაც ისევე, როგორც ამჟამად, სოფლების: **აბუისლა, მაკრიალი, ზღვისპირა მაკრიალი (ლაზ. ნოღედი), გონიო, სარფი, ბელღევანი, სკურჩე, სუჯუნა, ცოცხობა, ოხორდია...** მოსახლეობა მეტყველებდა ხოფურ-ჩხალურ კილოზე, ხოლო სოფლებში: **ბორჩხა, წითურეთი, არჩვეთი, ჯვარეთი, კატაფხია, ბერძნაული, მურკივეთი, ქვედა მარადიდი, მირვეთი...** თანაბრად გავრცელებული იყო როგორც ხოფურ-ჩხალური, ისე – ლივანური//ნიგალური კილოც, რადგან იქ ოდითგანვე ერთმანეთის გვერდიგვერდ სახლობდა ქართველთა ორი ლოკალური ჯგუფი — ლაზები და ლივანელები ანუ ნიგალელები (ქასაბი, 2019: 125-126); მაშასადამე, ლაზური (კერძოდ, ხოფურ-ჩხალური) და ლივანური//ნიგალური სამეტყველო კოდების შერევა ამ სოფლებში იმთავითვე მიმდინარეობდა და მუჰაჯირად წასვლის მერეც არ შეწყვეტილა, რაკი ახალ ადგილებში, გონიო-ბათუმის სანჯაყიდან გადასახლებული ლა-

ბები და ლივანელები კომპაქტურად, ერთად დასახლდნენ (დაწვრილებით ამ საკითხის შესახებ მსჯელობა იხ. ქვემოთ).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აქამდე გამოქვეყნებული ცნობებისა თუ გამოკვლევების თანახმად, ქართულ სამეცნიერო წრეებში დამკვიდრებული იყო თვალსაზრისი, თითქოს სოფელ სარფის (იგულისხმება როგორც გაღმა, ისე გამოღმა ნაწილი) მოსახლეობა 1877–1878 წწ. ომის დროს (ანდა შემდეგ) მუჰაჯირად არ წასულა. მურათ ქასაბმა მოიძია და გამოაქვეყნა ოსმალური დოკუმენტები, რომლებიც სრულიად საპირისპიროს ამტკიცებს: ოსმალეთში გადასულ მუჰაჯირთა სიებში ჩაწერილი არიან ორივე სარფის მკვიდრი ყველა გვარის წარმომადგენლები, მაგალითად: **ბათალოღლი** (ჩიქოვანი), **ვანლიოღლი** (ვანლიში//ვანიძე//ანიშორ), **კარახუსეინოღლი** (კახიძე//კახაილიში), **ქლოსოღლი** (ქორიძე), **ჩაქიროღლი** (ნარაკიძე), **დელიმუსტავაოღლი** (დელიბაშ), **მემიშოღლი** (მემიშიში), **თანთუოღლი** (თანდილავა), **თუზოღლი** (დოლიძე) და ა.შ. (ქასაბი, 2019: 52). მათი უმეტესობა 1880 წელს დუზჯესა და ადაფაზარში ჩაუსახლებიათ (იქვე: 265).

ოსმალური დოკუმენტების თანახმად, უსაფრთხო ადგილებზე გადასვლა თავიდან მოითხოვეს ქურთებმა, რომლებიც კომპაქტურად ჩასახლებული იყვნენ უმეტესწილად მაკრიალში, გონიოსა და კახაბერში. იმხანად ისინი ოსმალური ხელისუფლების მთავარ დასაყრდენს წარმოადგენდნენ და, რასაკვირველია, რუსების შემოსვლის შემთხვევაში, რეპრესიებს ვერ გადაურჩებოდნენ. 1877 წლის დეკემბერში ქურთების დიდი ნაწილი გემებით გადაიყვანეს ქ. სინოპში. მათმა წასვლამ ადგილობრივ ქართულ მოსახლეობაშიც (ლაზებში, ლივანელებსა და ქობულეთლებში) მღელვარება გამოიწვია — ხალხმა დაინახა, რომ რუსების შემოტევა გარდაუვალი იყო და შიში შეეპარა (ქასაბი, 2019: 57).

1878 წლის დასაწყისში ოსმალეთის შიდა რეგიონებში გადასვლა მოისურვა ასევე, სარფის, გონიოსა და ორთაბათუმის მოსახლეობამაც. მათთვის ხელისუფლებამ გემები გამოყო, მაგრამ გამოირკვა, რომ გადასახლებისთვის გამზადებულთა რაოდენობა იმაზე მეტი იყო, ვიდრე სიებში იყო აღრიცხული; არადა, გემებს მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობის ხალხის გადაყვანა შეეძლოთ (ქასაბი, 2019: 59). ამიტომაც, საკმაოდ ბევრს ბათუმიდან სინოპის მიმართულებით (ეს ნავსადგური ყველაზე კარგად იყო დაცული და მუჰაჯირთა თავმოყრის მთავარ პუნქტს წარმოადგენდა) ფეხით წასვლა მოუწია. ფეხით წასულთაგან არც რუსებსა და არც ოსმალებს თითქმის არავინ აღურიცხავთ. ამ ხალხმა თავშესაფარი უმეტესწილად ლაზეთში ჰპოვა.

ქ. დუზჯესა და მის შემოგარენში ჩასახლებული მუჰაჯირი ლაზების შთამომავლები (რომლებიც თავის თავს „ბათუმელებს“ [ლაზ. **ბათუმარეფე**] უწოდებენ) ჰყვებიან, რომ გემებზე ასვლა მოახერხეს ქ. ბათუმისა და მის ახლომახლო სოფლებში (გონიო, სარფი, კახაბერი...) მოსახლეებმა; მათ ბევრი და ალბი წინამძღოლობდნენ და ორგანიზებულად მოთავსდნენ. უმეტესობას თან ჰქონდა ფული და ძვირფასეულობა, ასევე — 4–5 დღის სამყოფი საგზალი. წინამძღოლთა გადაწყვეტილებითა და თხოვნით, ისინი სტამბოლში ჩაიყვანეს და არა სინოპში. რამდენადაც ომი ჯერ არ იყო დამთავრებული

და სულთნის კარზე იმედოვნებდნენ, რომ ლტოლვილებს მალევე უკან გააბრუნებდნენ, ბათუმელებს დროებითი საცხოვრებლები გამოუყვეს უშუალოდ ნავსადგურის მიმდებარე უბნებში. აგრეთვე, უზრუნველყვეს პირველადი მოხმარების საგნებითა და საკვებით, დაუნიშნეს გარკვეული რაოდენობის შემწეობა.

სინოპში ჩასულ მუჰაჯირთა უმეტესობაც თავდაპირველად ქალაქის ნავსადგურის მიმდებარედ დააბინავეს, მერე კი ოჯახ-ოჯახ დაჰყვეს და სანაპიროდან მოშორებით, სოფლებში გადაიყვანეს, რადგან ზღვის პირას მალარიის ეპიდემიის აფეთქების საფრთხე შეიქმნა. ხელისუფლებამ მათაც დაუნიშნა შემწეობა. სტამბოლში ჩასულ ბათუმელთაგან განსხვავებით, ამ ხალხს წინამძღოლები არ ჰყავდა; ამიტომაც, მათი დაბინავებისა და დაკმაყოფილების პროცესი რამდენადმე გაიწეა. ამასობაში კი, ომიც დასრულდა.

მიუხედავად იმისა, რომ 1877-1878 წწ. ომში ოსმალეთის იმპერია დამარცხდა და ჯერ კიდევ XV-XVI სს.-ში დაპყრობილი ტერიტორიების უდიდესი ნაწილიც დაკარგა, სულთნის კარზე არ გამოჰპარვიათ ერთი შესაძლებლობა, რომელიც ახალმა ვითარებამ შექმნა: დაკარგული ტერიტორიების მრავალრიცხოვანი მუსლიმანური მოსახლეობის (რომელიც სულთნისადმი ერთგულებით გამოირჩეოდა) მართებული გადანაწილებით, ოსმალეთის იმპერიის ყველა მხარეში ავტომატურად გვარდებოდა დემოგრაფიული თუ პოლიტიკური პრობლემები, ქრებოდა სეპარატიზმის საფრთხეც. მეტიც: ოსმალებს უკვე შეეძლოთ, მოგებულ რუსეთთან ხელახლა გაემართათ საიდუმლო მოლაპარაკებები მოსახლეობის გაცვლაზე. ეს იმას ნიშნავდა, რომ რუსებისადმი გადაცემულ მიწებზე მცხოვრებთა ოსმალეთის შიდა რეგიონებში გადასვლას ოსმალეთის მკვიდრ ქრისტიანთა რუსეთში (ანდა მის მოკავშირე ქვეყნებში) წასვლა უნდა მოჰყოლოდა. ამ უკანასკნელთა (განსაკუთრებით, სტამბოლელ ბერძენთა) თავიდან მოშორება სულთანს მუდამ სურდა და ცხადი იყო, რომ შანსს ხელიდან არ გაუშვებდა. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ 60-იანი წლებისაგან განსხვავებით, საამისოდ ვითარება უფრო ხელსაყრელი ჩანდა: ოსმალეთის ქვეშევრდომ ბერძენთა უმეტესობა პრორუსულ განწყობას აღარ მალავდა და ომის დროს, აშკარად თუ ფარულად, საბრძოლო მოქმედებებშიაც კი მონაწილეობდა (მაგალითად, რუსულ არმიასთან შეთანხმებით მოქმედებდნენ პარტიზანები პონტოს მთებში, ეგეოსის ზღვის სანაპიროებზე და ა.შ.). ამდენად, სულთნის კარზე გადაწყვიტეს, რომ რუსებთან საიდუმლო მოლაპარაკებები გაემართათ.

1.1.3. 1878-1882 წლების მუჰაჯირობა საქართველოში

1878 წლის 3 მარტს, სტამბოლის გარეუბან სან-სტეფანოში (ბერძნ. აიოს-სტეფანოსი, ამჟამად — ეშიოქქოჯ) ოსმალეთსა და რუსეთს შორის დაიდო პრელიმინარული ზავი, რომლის თანახმადაც, თითქმის მთელი ისტორიული სამხრეთ-დასავლეთი საქართველო — **აჭარა ქ. ბათუმითა და მაჭახლითურთ, შავშეთი, ლივანა (ნიგალი) და ლაზეთის** მცირე, უკიდურესი აღმოსავლეთი ნაწილი (ზღვისპირეთი სოფ. გონიოდან

ლიმანამდე, ასევე მდ. ჩხალისა და მდ. ბელღევანის ხეობები) რუსეთის იმპერიას მიეკუთვნა. თავის მხრივ, რუსებმა ეს ტერიტორია ბათუმის მხარეში („ოკრუგში“) გააერთიანეს, ბათუმის მხარე კი გაჰყვეს ბათუმისა და ართვინის ოლქებად¹².

1878 წლის ბოლოს, **საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ, რუსეთსა და ოსმალეთს შორის დაიდო სრულიად საიდუმლო შეთანხმება, რომლის თანახმადაც სივასის აღმოსავლეთით მუჰაჯირთა დასახლება სასტიკად აიკრძალა** (ასანი, 2016: 42). აქედან გამომდინარე, ოსმალეთის მესვეურებმა ქვეყნის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ ომის დროს გადმოსული მუჰაჯირების თავმოყრა დაიწყეს სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილებში — შუა შავიზღვისპირეთში (ორდუ-სამსუნ-სინოპის რეგიონში), უშუალოდ ქ. სტამბოლის მისადგომებთან (საქარია-დუზჯე-ადაფაზარი, იზმიტი, ბურსა-ინეგოლი) და პალესტინაში. იმავდროულად, მათ ბულგარეთიდან და რუმინეთიდან (ამ ქვეყნებმა ომის შემდგომ საბოლოოდ მოიპოვეს დამოუკიდებლობა) მთლიანად გამოიყვანეს ყველა ჩერქეზი და აფხაზი. ისინი ეგეოსის ზღვის სანაპიროებზე, სტამბოლში, ბურსა-ინეგოლსა და სირიაში ჩაასახლეს (ტოდოროვი, 1953: 451; ქასაბი, 2019: 321).

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან გადმოყვანილი აფხაზების უმეტესობამ უშუალოდ ოსმალეთის ტერიტორიაზე დასახლება იქ ისურვა, სადაც საქართველოდან (აჭარიდან, შავშეთიდან, ლივანადან...) გადმოსული მუჰაჯირები სახლობდნენ. ასე წარმოიქმნა ქართულ-აფხაზური შერეული სოფლები თანამედროვე დუზჯეს და ადაფაზარის ტერიტორიაზე, აგრეთვე — ბურსა-ინეგოლის რეგიონშიც¹³.

¹² ბათუმის მხარის შესახებ რუსეთ-ოსმალეთის დაპირისპირების მიმოხილვისა და „ბათუმის ოლქისა“ და „ბათუმის მხარის“ გამოიყვანის აუცილებლობისათვის იხ.:

– ტ. ფუტკარაძე, გეოპოლიტიკური ინტერესების შეჯახება ამიერკავკასიაში: ბათუმი 1878, 1920, 1991, 2008; კრებული: „სამხრეთ-დასავლეთ საქართველო მეზობელ სახელმწიფოთა გეოპოლიტიკური ინტერესების კონტექსტში“; აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების 130 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები; გამომცემლობა: „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2009: 111-136.

– ტ. ფუტკარაძე, ტერმინოლოგიური შეცდომები და არსგაყალბებული სიმბოლური თარიღები (ბათუმის მხარის შესახებ 1918-1921 წლებში შექმნილი ოფიციალური დოკუმენტების ზოგი ტერმინის ანალიზი საინფორმაციო ომის კონტექსტში); Terminological Errors and Fraudulent Symbolic Dates (Analysis of official documents concerning Batumi created in 1918-1921 in the context of news war) საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულს სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის შრომები, VIII, 2018: 151-170.

¹³ 2022 წლის ივლისში, ამ სტრიქონების ავტორებმა ერთად დასახლებულ აფხაზ და ქართველ მუჰაჯირთა შთამომავალთაგან ჩაიწიერეთ მრავალი გადმოცემა, რომლებიც ცხადყოფს ამ ფაქტს: ბურსას ილის ინეგოლის ილჩეს სოფელ სულპიში, რომელიც 1880 წელს დაუარსებიათ აჭარიდან გადმოსულ მუჰაჯირებს, არის 15-მდე აფხაზური კომლიც – უმეტესად წებელდელები, რომელთა გვარებია: **ბგბა, პაპბა, ჭვღბა** და ა.შ. მათი წინაპრები აფხაზეთიდან 1867 წელს წამოსულან და ჯერ რუმინეთში (დობრუჯაში – თანამედროვე ქ. კონსტანცას სამხრეთით) ყოფილან, მერე კი ოსმალეთში გადმოსულან. აქ, ქ. სტამბოლში დაუყვიათ 2-3 წელი. 1881 წელს გაუვიათ, რომ ინეგოლის ახლოს, სოფ. სულპიში

1878 წლის ბოლოდან რუსეთის იმპერიის ახლად შემოერთებულ ქართულ მიწებზე დაიწყო მუჰაჯირობის პროპაგანდა. ადგილობრივ მუსლიმან ქართველებს მშობლიური მიწის მიტოვებისა და უცხო მხარეში გადახვეწისაკენ, უპირატესად, რუსი ჩინოვნიკები და მათი აგენტები მოუწოდებდნენ. ისინი აქტიურად ავრცელებდნენ ხმებს, თითქოსდა რუსული ხელისუფლება აკრძალავდა ისლამს, ძალით მონათლავდა ყველა მუსლიმანს და ა.შ. პროპაგანდა მიმდინარეობდა ზემოთ ხსენებული რუსულ-ოსმალური საიდუმლო შეთანხმების დებულებათა საფუძველზე. რუსები ოსმალეთში გადახვეწას ურჩევდნენ ყველა მუსლიმანს იქამდე, სანამ ახლად შემოერთებულ მიწებზე რუსული კანონები და სამართალი დამკვიდრდებოდა.

რუსების პარალელურად, ქართულ მოსახლეობაში ყოფილი ოსმალ მოხელეებიც ავრცელებდნენ წერილებს, რომლებიც ვითომდა ოსმალეთში ომის მიმდინარეობისას გადასულ მუჰაჯირებს მოეწერათ. მათში მოთხრობილი იყო სულთნის განუზომელი გულმონწყალებისა და იმ მიწების არნახული ნაყოფიერების შესახებ, რომელთაც იგი იმპერიის ქვეშევრდომებს ახალ სამოსახლოდ სთავაზობდა. ეს წერილები დაწერილი იყო ოსმალურ-თურქულად; შესაბამისად, მისი წაკითხვა მხოლოდ ალებსა და ბეგებს, ასევე — თავად ოსმალ მოხელეებს შეეძლოთ. ისინი წერილების შინაარსს ხალხს ქართულად აცნობდნენ (რასაკვირველია, იმ სახითა და ფორმით, როგორც პროპაგანდისათვის იყო საჭირო) და ოსმალეთის სულთნის ერთგულებისაკენ მოუწოდებდნენ.

ამ ყველაფერმა, ცხადია, მუსლიმან ქართველებზე გარკვეული გავლენა მოახდინა: რუსების სისასტიკის ამბები მათ მშვენივრად მოეხსენებოდათ; იმასაც ხვდებოდნენ, რომ ამიერიდან ცხოვრება სხვაგვარი კანონებითა და სამართლით მოუწევდათ და სულთნის მაგივრად, ქრისტიანი რუსთ ხელმწიფის ქვეშევრდომები გახდებოდნენ. პროპაგანდა და ოსმალეთიდან მოსული ამბები უმრავლესობას გადასახლებისაკენ უბიძგებდა. ამასთან, მათ შორის ბევრი იყო ისეთი, რომელიც ომის წლებში გაღარბდა და დახმარება სჭირდებოდა. რასაკვირველია, ამ ხალხს რუსების იმედი არ ჰქონდა და არც შეიძლებოდა, ჰქონოდა — მათთვის რუსები, როგორც „გიაურები“, მტრები იყვნენ. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ღარიბები გახდნენ იძულებულნი, რომ მამაპაპისეული საცხოვრისი სამუდამოდ მიეტოვებინათ და ოსმალეთში გადახვეწილიყვნენ. მათი დიდი ნაწილი ერთენოვანი იყო — ლაპარაკობდა მხოლოდ ქართულად.

როგორც იმ პერიოდის ოსმალური დოკუმენტებიდან ჩანს, ქართველი მუჰაჯირების დიდი ნაწილი ოსმალეთის იმპერიაში გადავიდა უშუალოდ ომის დასრულების შემდეგ, ძირითადად, ფეხით: „ართვინელი და ბათუმელი ლტოლვილები გადაყვანილი იქნენ ხოფის, არქაბისა თუ სხვა ახლომდებარე ნავსადგურებში და ხომალდებით გაგზავნილ იქნენ

ქართველები იყვნენ და თავადაც იქ მოუნდომებიან დასახლება, რადგანაც ქალაქში ცხოვრებას ჩვეული არ იყვნენ. სხვათა შორის, ამჟამად ამ აფხაზთა შთამომავლებმა (განსაკუთრებით, 50 წელზე მეტი ხნის თაობამ) აფხაზურთან ერთად, ქართულიც კარგად იციან – ჩვენი რესპონდენტი იყო 67 წლის **ერდალ ნიშანჯი (ბეგბა)**, რომელიც თანაბრად მეტყველებდა აფხაზურადაც, ქართულადაც და თურქულადაც.

სტამბოლსა და ასევე იმ ადგილებში, სადაც [თავად] ისურვებდნენ. [დანარჩენი] ლტოლვილები განთავსებულ იქნენ შავიზღვისპირეთის შესაბამის ადგილებში. ქობულეთიდან გადმოსული ლტოლვილები კი მაშინვე განათავსეს უახლოეს კაზებში — ხოფასა და ფაზარში (ანუ ათინაში). 1879 წელს ტრაპიზონის ცენტრში ფეხით ჩამოსული ლტოლვილები დროებით აქნაბათის ნაპიეს სოფ. სუვაში (აქიაზიში) განათავსეს, მერე კი ორდუში გადაიყვანეს. 1886 წლის 1 ივლისისათვის ორდუს კაზას სანაპიროებზე განთავსებულ იქნა ქობულეთიდან გადმოსული ქართველების 1034 ოჯახი — 4254 სული. აქედან 393 ოჯახი — 1572 სული ორდუს კაზაშივე დარჩა, ფერშემბეს ნაპიეში გადავიდა 224 ოჯახი — 932 სული, ულუბების ნაპიეში გადავიდა 67 ოჯახი — 355 სული, ჰაბსამანაში — 119 ოჯახი — 517 სული, ბოლამანში — 231 ოჯახი — 875 სული“¹⁴ (დემირელი, 2009: 1128-1129).

უნდა ითქვას ისიც, რომ 1878 წლის შემდგომ ოსმალეთის ადგილობრივ მოსახლეთა შორის კავკასიელი მუჰაჯირებისადმი დამოკიდებულება საგრძნობლად შეიცვალა: თუკი მანამდე მათ შედარებით მტრულად ხედებოდნენ, ომის შემდეგ უკვე დახმარების ხელს უწყობდნენ, რადგან თურქ ობივაცელთა თვალში ეს ხალხი მუსლიმანობისთვისა და ოსმალეთის ერთგულებისათვის წამებულებად აღიქმებოდა. ყოველივე ამან დააჩქარა მუჰაჯირთა ინტეგრაციის პროცესი თურქულ-ოსმალურ საზოგადოებაში. ამიტომ, 1880 წლიდან ოსმალეთში გადასახლების მსურველთა რაოდენობა ერთისამად გაიზარდა და, რაც ყველაზე მთავარია, რუსულმა ხელისუფლებამაც ამ ხალხს ერთგვარი „შეღავათი“ გაუწია — ნება მისცა, გაეყიდათ უძრავ-მოძრავი ქონება და ისე წასულიყვნენ. ეს თითქოს ხელსაყრელი შეთავაზება იყო გადასახლების მსურველთათვის, თუმცა სინამდვილეში „მაკლერები“, რომლებიც აჭარელ, ქობულეთელ, ლაზ, ლივანელ თუ შავშელ გლეხებს მამაპაპისეული მიწების გაყიდვაში „ეხმარებოდნენ“, რუსული ხელისუფლების აგენტები იყვნენ და ევალებოდათ, რაც შეიძლებოდა, დაბალ ფასად დაეცინცლათ მიწები და სხვა ქონება ქართველ მუსლიმანთათვის. შემდგომ ეს მიწები აუქციონზე იყიდებოდა და რუს მაღალჩინოსანთა საკუთრება ხდებოდა.

მუჰაჯირობა გონიო-ბათუმის სანჯაყში დაიწყო 1880 წლის იანვარში და გაგრძელდა 1882 წლის თებერვლამდე. ამ დროის განმავლობაში ეს მხარე 10000-ზე მეტმა კაცმა დატოვა. გადასახლება განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობდა 1880 წლის იანვრიდან ივნისამდე და 1881 წლის მარტიდან აგვისტომდე. მუჰაჯირთა პირველი ნაკადი,

¹⁴ „Artvin ve Batum göçmenleri Hopa, Arhavi ve diğer takip eden limanlardan vapurlarla İstanbul veya iskân edilecekleri bölgelere sevk edilmişlerdir. Göçmenler, Karadeniz sahili boyunca uygun yerlerde yerleştirilmişlerdir. Batum Çürüksu göçmenlerinden bir kısmı hemen sınıra yakın Hopa ve Pazar (Atina) kazalarında iskân edilmişlerdir. 1879 yılında kara yoluyla Trabzon şehir metkezine gelen göçmenler geçici olarak Akçaabat nahiyesinin Suva (Akyazı) köyüne yerleştirilmişler ve daha sonra Ordu'ya göçmen gönderilmişlerdir. 1 Temmuz 1886 tarihi itibarıyla Ordu kazası dâhilinde toplam 1034 hanede 4254 nüfus Batum Çürüksu Gürcü göçmeni iskân edilmiştir. Bunlardan Ordu kazasında 393 hanede 1575 nüfus, Perşembe nahiyesinde 224 hanede 932 nüfus, Ulubey nahiyesinde 67 hanede 355 nüfus, Habsamana'da 119 hanede 517 nüfus, Bolaman'da 231 hanede 875 nüfus iskân edilmiştir.“

როგორც უკვე ითქვა, ფეხით ანდა ფელუკებით გადავიდა ბათუმიდან ხოფასა და არქაბში, თუმცაღა ოსმალურმა ხელისუფლებამ ისინი იქ არ გააჩერა და დიდი წყალწვის გემებით გადაიყვანა რუსეთის საზღვრიდან კარგა მოშორებით — ჩრდილო-დასავლეთ თურქეთში. ასე მოუწია ყველა იმ მუჰაჯირს, რომლებიც უფრო მოგვიანებით გადავიდნენ „რუსეთის ლაზისტანიდან“ ოსმალეთში. პირადად დიდი ვემირის გადაწყვეტილებით, დუზჯესა და ადაფაზარში ჩაასახლეს გონიო-ბათუმის სანჯაყის ზღვისპირეთიდან და მთისწინეთიდან წასული მუჰაჯირები, ხოლო ბურსაში, ინეგოლში, იზმირში, იზმითსა და სტამბოლის ზოგიერთ გარეუბანში — მთიანი მხარიდან წამოსულები (ქასაბი, 2019: 125-126).

აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამშობლოდან წასულ მუჰაჯირთა დანატოვარი უძრავი ქონება (საკარმიდამო და სახნავ-სათესი მიწები) რუსეთის იმპერიის მესვეურებს აუქციონზე გაჰქონდათ. საარქივო ფონდებში დაცული მასალებიდან კარგად ჩანს, რომ ამით ჩინოვნიკები გვარიანად ხეირობდნენ. ამასთან, ისინი ნებას არ რთავდნენ ოსმალეთში მიმავალ ხალხს, რომ თავიანთი მიწის ნაკვეთები უშუალოდ თვითონ — რუსი შუამავლების გარეშე გაეყიდათ: ყველას, ვისაც ოსმალეთში მუჰაჯირად წასვლა ჰქონდა გადაწყვეტილი, საკარმიდამო თუ სახნავ-სათესი მიწები ხელისუფლებისათვის უნდა გადაეცა. ამაში მათ უხდინდნენ ჩალის ფასს, თუმცაღა შემდგომში, როცა მიწას აუქციონზე გაიტანდნენ, ღირებულებას ათმაგად და ოცმაგად ზრდიდნენ. შემორჩენილია ბათუმის სამხედრო გუბერნატორის პატაკები, რომლებშიაც ის ზემდგომ ჩინოვნიკებს ურჩევს, რომ მთავრობამ ხელი შეუწყოს ბათუმის ოლქში მუჰაჯირთა დანატოვარი მიწის ნაკვეთებით ვაჭრობას (ფუტკარაძე, 2017: 22).

ამგვარად, მუჰაჯირების ყოფილ საცხოვრის მიწებზე მკვიდრდებოდნენ რუსი და რუსეთის იმპერიისადმი ლოიალურად განწყობილი სხვა ეროვნების კოლონისტები — ისტორიკოს ნანი ფუტკარაძის მიერ მოძიებული საარქივო მონაცემებიდან ირკვევა, რომ კინტრიშის განყოფილების სოფ. აჭყვამში ვინმე პოდპოლკოვნიკ სოლოვცევს მუჰაჯირად წასული ქართველებისაგან შეუძენია სხვადასხვა მოცულობის 13 მიწის ნაკვეთი. იქვე, ერთი მიწის ნაკვეთის მყიდველად დასახელებულია ესტატე კობალაძე; ერთის — ლაზარ პარუნდუჟი (სავარაუდოდ, თურქულენოვანი ბერძენი), ერთისაც — ვინმე მირზა ოღლი (ფუტკარაძე, 2017: 27-28). რუსი ჩინოვნიკები განსაკუთრებით დაინტერესებული იყვნენ ზღვისპირა მიწების შეძენით. ისინი ერთობ აქტიურად განიხილავდნენ ბათუმის ოლქში კაზაკების ჩამოსახლების გეგმასაც, თუმცაღა რიგი მიზეზების გამო, ამაზე შემდგომში თავადვე თქვეს უარი. სამაგიეროდ, ზოგიერთ სოფელში ჩაასახლეს ბერძნები (რომლებიც ოსმალეთიდან გამოდევნეს და ოფიციალურად შეიფარა რუსეთის იმპერიამ) და სომხები (რომლებიც ასევე ოსმალეთიდან იყვნენ გადმოსულნი). მუჰაჯირობას რომ უფრო დიდი მასშტაბი ჰქონოდა, რუსული მმართველობა აჭარის კოლონიზაციის გეგმას უსათუოდ განახორციელებდა.

აჭარიდან, ქობულეთიდან, ლაზეთიდან, ლივანიდან და შავშეთიდან ქართველთა გადინებამ, რა თქმა უნდა, უკიდურესად შეაშფოთა ქართველი ინტელიგენცია — როგორც

ქრისტიანები, ისე მუსლიმანებიც: 1880 წლის დასაწყისში, როცა მუჰაჯირობის პროცესი უკვე პიკს აღწევდა, ბათუმის ოლქიდან ოსმალეთში — სტამბოლში გაემგზავრა მუსლიმან ქართველ მოღვაწეთა სახალხო დელეგაცია შუახევის მუფთის — **ალიმ ლომან-ეფენდი ქარცივაძის** მეთაურობით¹⁵, რათა უშუალოდ შეემოწმებინათ, თუ რამდენად სანდო იყო პროპაგანდისტთა მოტანილი ამბები და დაპირებები. იმავდროულად, ქართულ ბეჭდურ მასმედიაში გამოჩნდა წერილები (ფელეტონები და რეპორტაჟები), რომელთა ავტორებიც ახლად შემოერთებული ტერიტორიების მკვიდრთ მოუწოდებდნენ, არ მიეტოვებინათ თავიანთი მიწები და არ წასულიყვნენ ოსმალეთში.

ლომან-ეფენდი ქარცივაძე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში საყოველთაოდ ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მამულიშვილი იყო — უმაღლესი ისლამური განათლება ოსმალეთში ჰქონდა მიღებული, ფლობდა რამდენიმე უცხო ენას (თურქულს, არაბულს, რუსულს...) და, თანამედროვეთა გადმოცემით, შინაურ კაცად ითვლებოდა როგორც სანქტ-პეტერბურგის, ისე სტამბოლის მესვეურთა წრეებშიც (ფუტკარაძე... 2013: 11–21). მან იმთავითვე ერთობ სწორად განჭვრიტა, რას უქადდა სამხრეთ-დასავლელ ქართველებს ოსმალეთში გადახვეწა. სტამბოლში ყოფნისას საქართველოში გამოგზავნა დაშიფრული — ე.წ. „დედაბრული ხელით“¹⁶ შედგენილი წერილი, რომელშიც ყველას მოუწოდებდა, არ წასულიყვნენ ოსმალეთში, სადაც ადრე თუ გვიან, უეჭველი დაღუპვა ელოდათ. წერილი მთელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გავრცელდა და ძალზე დიდი როლიც ითამაშა მუჰაჯირობის პროცესის შენელებაში. გადასახლების მსურველმა ხალხმა სწორედ ლომან-ეფენდის წერილიდან შეიტყო, რომ ოსმალეთში ადრე გადასული მუჰაჯირები არცთუ დიდად კმაყოფილნი იყვნენ და უმეტესობა იმასაც კი ცდილობდა, როგორმე უკან დაბრუნებულიყო.

ბათუმის ოლქში დაბრუნებულმა ლომან-ეფენდიმ, მოლათა თანხლებით, ინახულა ბათუმის გუბერნატორი, გენერალი კომაროვი და განუცხადა, რომ მას უწინ უნდოდა, ყოფილი ხელმწიფის ერთგული ყოფილიყო და შემოერთებული მიწების მოსახლეობა წაეყვანა თურქეთში, თუმცაღა, ახლა ხალხის იქ წაყვანა მათი განადგურების ტოლფასი იქნებოდა. ლომან-ეფენდიმ სამუდამო ერთგულება აღუთქვა რუსეთის იმპერატორს, მერე კი გუბერნატორს წარუდგინა ხალხის მოთხოვნაც. მასში ჩამოყალიბებული იყო ის საკითხები, რომელთა შესრულებაზე დამოკიდებული იყო გასახლების სრული შეწყვეტა: ხალხი ითხოვდა, რომ რუსებს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეები

¹⁵ ლომან-ეფენდი ქარცივაძის გარდა, დელეგაციის წევრები იყვნენ სასულიერო პირები: ქედის მუფთი აჰმედ ხალიფაშვილი და ხულოს ყადი ნური ბერიძე, ასევე, საერონი — ჰუსეინ აბაშიძე, ნური ხიმშიაშვილი, შერიფ ხიმშიაშვილი, თევფიქ ათაბაგი (ჯაყელი), დურსუნ თავდგირიძე, თუფან შარვაშიძე და აჰმედ ხალვაში. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ლომან-ეფენდი ქარცივაძე ოსმალურ წყაროში „იშვიათ სწავლულად“ (Enderun Alimi) იხსენიება (იხ. Âlî, Nusretnâme, 82a; a. mlf., Künhü'l-Ahbâr, 307a; Münecimbaşı, III, 539 / Joseph von Purgstall Hammer, Devleti Osmaniye Tarihi, trc. Mehmed Ata, İstanbul 1332, VII: 64).

¹⁶ „დედაბრული ხელი“ ქართული დამწერლობის ერთ-ერთი ნაირსახეობაა.

გაერჩიათ ყურანისა და შარიათის საფუძველზე, არ მოეთხოვათ იმაზე მეტი გადასახადები, ვიდრე ოსმალეთის მთავრობის დროს იყო; ასევე: არ მოესპოთ მეჩეთებთან არსებული სკოლები და იძულებული არ გაეხადათ მუსლიმანი ბავშვები, საერო რუსულ სკოლებში ესწავლათ. არ გაეწვიათ მუსლიმანი მოსახლეობა რუსულ ჯარში, მოხელეები ხალხს მოპყრობოდნენ ჰუმანურად და ა.შ. (მეგრელიძე, 1964: 12).

1880 წ. 5 აგვისტოს გუბერნატორმა გამოსცა საგანგებო ბრძანება. მასში ნათქვამი იყო, რომ ისლამის აღიარება ამიერიდან დაშვებული იყო, მაგრამ მკაცრად იკრძალებოდა სისხლის აღება; შეურაცხყოფისა და ჩხუბის შემთხვევაში, მუსლიმანი მოსახლეობა ვალდებული იყო მიემართა სასამართლოსთვის. მთავრობა მუსლიმან ქალებს ჩადრის ტარების ნებას რთავდა, გადასახადებიც იგივე რჩებოდა, რაც ოსმალეთის დროს იყო, ოღონდ ნატურალური იცვლებოდა ფულადით; ამასთან — დარიბი გლეხობა მთლიანად თავისუფლდებოდა გადასახადისგან. რუსეთის მთავრობა არ ითხოვდა ჯარისკაცებს, მხოლოდ მხარის დასაცავად უნდა შექმნილიყო მილიცია, რომელში სამსახურისთვისაც ყველა ადგილობრივი მოსახლე ხელფასს მიიღებდა; აგრეთვე, მეჩეთებთან გაიხსნებოდა მედრესეები. იქნებოდა საერო რუსული სკოლებიც, მაგრამ იქ სწავლა სავალდებულო არ იქნებოდა და სხვ. ცხადია, ასეთი პირობები იმას ნიშნავდა, რომ რუსეთის ხელისუფლება დათმობაზე მიდიოდა და ახლად შემოერთებულ მიწებზე ადგილობრივი — ქართული — მოსახლეობის უფლებებს ცნობდა.

ამდენად, 1880 წლის ბოლოდან, სწორედ ლომან-ეფენდი ქარცივადის მონღო-მებითა და მეოხებით, მთელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მუჰაჯირობა არათუ შენედა, არამედ ოსმალეთში გადასულ მუჰაჯირთაგანაც იმათ, ვინც გონს მოეგო და კვლავ უკან დაბრუნება ისურვა, რუსეთის ხელისუფლებამ პასპორტები დაურიგა. აქ აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამშობლოში დაბრუნება მოისურვეს აფხაზმა მუჰაჯირებმაც — თავად-აზნაურებმა: სამმა **რაშიდ გენბამ**, წებელდეღმა **ედირბეი მარშანიამ** და ბზიფელმა **სალიპ ცანბამ** თავ-თავიანთი ხალხი თვითნებურად წამოიყვანეს რუსეთის იმპერიის საზღვრისაკენ (სოფელ **ლიმანისაკენ** — დღეს **Liman köyü** თურქეთის რესპ. ხოფის ილის ქემალფაშას ილჩეში). მათ დაედევნა ოსმალური არმია და ჟანდარმერია, თუმცა აფხაზ მუჰაჯირთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა მაინც მოახერხა ზღვით რუსეთის ტერიტორიაზე — ქ. ბათუმთან ახლოს, სოფელ ადლიაში გადმოსვლა. ამ ხალხს რუსებმა აფხაზეთში დაბრუნების ნება არ დართეს, მაგრამ რაკილა მუჰაჯირთა უკან დაბრუნების ნება უკვე გაცემული იყო, ოსმალეთშიაც აღარ გაუბრუნებიათ და აჭარაშივე დაასახლეს (ძიძარია, 1962: 125). დღეს მათი შთამომავლები ცხოვრობენ აჭარის სოფლებში: ფერიაში, ურეხში, წინსვლაში, სალიბაურში, ჭარნალში, ადლიაში, ანგისაში, ავგიაში... ასევე — ქალაქ ბათუმშიც (ძირითადად, ე.წ. „პივზაოდის“ დასახლებაში).

1882 წლის 3 თებერვალს უკვე ოფიციალურად ამოიწურა ოსმალეთის იმპერიაში გადასახლების ვადა. ხელისუფლებამ ხალხში გაავრცელა საგანგებო მოწოდება, რომ ამიერიდან ოსმალეთში გადასვლა რუსული საზღვარგარეთის პასპორტის გარეშე აღარ

შეიძლებოდა. კავკასიის მაშინდელი მთავარმმართველის, თავად **ალექსანდრე მიხეილის ძე დონდუკოვ-ვორსაკოვის** საგანგებო, სრულიად საიდუმლო ბრძანებით, აიკრძალა ოსმალეთის იმპერიიდან მუჰაჯირთა დაბრუნებაც. საზღვარიც ჩაიკეტა და რუსეთიდან ოსმალეთშიც არავის უშვებდნენ. ზოგადად, ეს წელი უნდა ჩაითვალოს **მუჰაჯირობის დასასრულად**, თუმცა დავძენთ იმასაც, რომ სხვადასხვა ავტორის (შ. მეგრელიძე, გ. ძიძარია, თ. აჩუგბა...) ცნობებით, რუსეთის იმპერიიდან ოსმალეთში და პირიქით კავკასიელ მუჰაჯირთა არალეგალურად გადასვლა-გადმოსვლა მეტ-ნაკლები სიხშირით 1912-1913 წლებამდე (ე.ი. ოფიციალურად აკრძალვიდან მთელი 20 წლის განმავლობაში) გრძელდებოდა.

კიდევ ერთ ისტორიულ სამხრეთქართულ მხარეს — ტაოს რაც შეეხება: მუჰაჯირობის კონტექსტში საყურადღებოა თურქი ისტორიკოსის, **იუსუფ ზია ქარაასლანის** ცნობა; კერძოდ, იგი წერს, რომ თანამედროვე იუსუფელის ილის ტერიტორიის უკიდურესი ჩრდილოეთი ნაწილი (საძოვრები) 1878 წელს, სან-სტეფანოს ზავის შედეგად, რუსულ-ოსმალურ სასაზღვრო ზონად იქცა. ამის გამო, მიმდებარე სოფლების მცხოვრებლებმა, რომლებსაც უშუალოდ შეეხოთ სასაზღვრო ზონაში მოქმედი შეზღუდვები, საკუთარი ნებით გამოთქვეს სადმე შუა ოსმალეთში გადასახლების სურვილი. ხელისუფლებამ მათი მოთხოვნა მაშინვე დააკმაყოფილა და ყველანი საკუთარივე ხარჯით გადაიყვანა ბურსის ახლოს (ქარაასლანი, 2015: 401-416).

მეორე თურქი ისტორიკოსის, **ულქუ ონალის** ცნობით კი, ჯერ კიდევ საომარი მოქმედებების დასრულებამდე — 1877 წლის შემოდგომაზე, ართვინისა და არტანუჯის მუსლიმანი მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა მშობლიური მიწები დროებით დატოვა და ოსმალთა კონტროლირებად მხარეში — ამჟამინდელი იუსუფელის ილის (რაიონის) ტერიტორიაზე, სოფელ **ოშნაქს** შეაფარა თავი. აქ ისინი ზავის დადებამდე იმყოფებოდნენ, ხოლო შემდეგ კი, როცა შეიქნა იმის საშიშროება, რომ ეს მიწებიც შეიძლებოდა რუსეთს გადასცემოდა, ოშნაქში დაბანაკებულმა მუჰაჯირებმა უმალ თხოვნით მიმართეს ოსმალთა ხელისუფლებას, რომ გამოეყოთ მათთვის სამოსახლო ტერიტორია სადმე შიდა ოსმალეთში. მოთხოვნა დაკმაყოფილდა და ეს ხალხი გადაასახლეს ოსმალეთის ჩრდ.-დას. ნაწილში — სტამბოლისა და იზმითის მიდამოებში, სადაც მათ „იუსუფელელი მუჰაჯირები“ ეწოდათ იმის გამო, რომ იუსუფელიდან ჩამოსახლდნენ (ონალი, 2010: 43).

ქართულ წყაროებში ტაოელ ქართველთა მუჰაჯირობის შესახებ არაფერია ნათქვამი. ფაქტი ახსნადია: ტაოს მხარე არ გადასულა რუსეთის იმპერიის მფლობელობაში და არც შესაბამისი დოკუმენტაცია შენახულა. სტამბოლისა და იზმითის მიდამოებში მოსახლე „იუსუფელელების“ მშობლიური ენა დღეს თურქულია. ქართულ წარმოშობაზე მხოლოდ ზოგიერთი მათგანი მიუთითებს, უმეტესობა კი თავს თურქად მიიჩნევს. მათივე თქმით, 1878 წელს გადმოსახლებული ოჯახებიდან ბევრი 1885-1886 წლებში უკან დაბრუნდა და კვლავაც დღევანდელი იუსუფელის ილის ტერიტორიაზე დასახლდა. აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ უკანასკნელთა შთამომავლებმაც აღარ იციან ქართული.

1.1.4. ქართველი და აფხაზი მუჰაჯირები ოსმალეთის იმპერიაში 1877–1878 წლების ომის დასრულების შემდგომ

მუჰაჯირობის ოფიციალურად დასრულების შემდგომ ოსმალეთის ხელისუფლება არცთუ ხალისით იღებდა რუსეთის იმპერიიდან წამოსულ იმ მუსლიმანებს, რომლებიც საზღვრის არალეგალურად გადმოკვეთისას, მესაზღვრეების და სამართალდამცველების ხელში ხვდებოდნენ. არსებობს უამრავი დოკუმენტი, რომლებშიაც კარგადაა ასახული იმჟამინდელი ვითარება: მაგალითად, **1887 წლის 21 ოქტომბერს, ოსმალეთის სასაზღვრო ძალების წარმომადგენლებს გონიო-ბათუმიდან და ართვინიდან რიზეში უნებართვოდ, ფეხით გადმოსული ქართველი მუჰაჯირები – სულ 5 ათასზე მეტი კაცი, კარანტინში მოუთავსებით და მერე ყველანი (განურჩევლად იმისა, ჰქონდათ თუ არა მათ რუსული პასპორტები) უკანვე, რუსეთში გაუბრუნებიათ.** ქართველი მუჰაჯირების დაკავებისა და უკან გაბრუნების შესახებ ოქმი შედგენილია ოსმალეთის მუჰაჯირთა კომისიის რიზეს განყოფილებაში (OBKG, I, 2012: 141).

XIX საუკუნის 80–იანი წლების შუახანებიდანვე ოსმალეთის მთავრობამ ქვეყანაში მყოფ მუჰაჯირებს (როგორც კავკასიელებს, ისე ბალკანელებსაც) თანდათან შეუმცირა შემწეობა, რომელსაც იქამდე აძლევდა. ამასთან, სულთნის კარზეც სულ უფრო და უფრო აქტიურად დაიწყო საუბარი იმის შესახებ, რომ ლტოლვილი მუსლიმანი ოჯახები დიდი ქალაქებიდან გაეყვანათ და ე.წ. „ცარიელ მიწებზე“ (თურქ. **Boş topraklar**) დაესახლებინათ. ეს იყო მიწების ის კატეგორია, რომლებსაც ომამდე ქრისტიანი ბერძნები, ბულგარელები, სომხები ან სხვა არათურქი ხალხები ფლობდნენ და მათი ოსმალეთიდან წასვლის შემდეგ უკაცრიელი დარჩა. სამართლებრივად, ასეთი ტერიტორიები **a priori** სახაზინო მიწებად ითვლებოდა; ამიტომ, სულთნის ბევრი მრჩეველი თვლიდა, რომ მათი მუჰაჯირებისთვის გადაცემა სავსებით ლეგიტიმური ქმედება იქნებოდა.

აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იმჟამად სულთნის კარზე კავკასიელ და ბალკანელ მუჰაჯირთა შორის ყველაზე საიმედოდ **ქართველებს** (თურქ. **Gürcüler**), **ალბანელებსა** (**Arnavutlar**) და **ბოსნიელებს** (**Boşnaklar**) მიიჩნევდნენ, ხოლო **ჩერქეზების** (**Çerkesler**), **აფხაზ-აბაზების** (**Abazalar**), **ოსების** (**Osetler**), **ჩეჩნების** (**Çeçenler**), **ნოღაელების** (**Noğaylar**) და **დაღესტნელების** (**Dağistanlılar**) მიმართ კი სიფრთხილეს იჩენდნენ. აქედან გამომდინარე, გადაწყდა, რომ განსაკუთრებით სტრატეგიულ ადგილებში — დედაქალაქ სტამბოლის მისადგომებთან, ეგეოსის ზღვის სანაპიროებზე და ა.შ. სანდო მუჰაჯირებს დაასახლებდნენ, ხოლო ჩრდილო კავკასიელებს კი გადაიყვანდნენ ისეთ მიწებზე, სადაც მკვიდრი მოსახლეობა არათურქული იყო და ოსმალეთის ხელისუფლებას პრობლემებს უქმნიდა (ქასაბი, 2019: 67).

ამდენად, XIX საუკუნის 80-იანი წლების დასასრულისათვის ქართველი (აჭარელი, ასევე ნიგალელი, ლაზი და ა.შ.) მუჰაჯირები განასახლეს, ძირითადად, ანატოლიის, ანუ ოსმალეთის მცირეაზიური ნაწილის ჩრდილო-დასავლეთ მხარეებში — ბოსნიელების და ალბანელების მემობლად. ოსებს, დაღესტნელებსა და ნოღაელებს წილად ერგოთ ცენტრ. ანატოლიის მწირი მიწები, ხოლო ჩერქეზებსა და ჩეჩნებს კი — ძირითადად, პალესტინა, სირია, იორდანია და ერაყი. ამასთან, ქართველ მუჰაჯირთა ერთობ მცირე ნაწილმა ისევ შუა შავიზღვისპირეთში (ორდუ-სამსონ-სინოპის მხარეებში) დარჩენა ისურვა — **იქიდან საქართველო ახლოს იყო და, მათი განსჯით, თუკი ოდესმე უკან დაბრუნება მოუწევდათ, გრძელი გზის გავლა მაინც აღარ დასჭირდებოდათ.**

განსაკუთრებით დრამატულად წარიმართა აფხაზ მუჰაჯირთა ბედი — ისინი 1878 წელს მთლიანად გამოიყვანეს ბულგარეთიდან და რუმინეთიდან (დობრუჯიდან), სადაც XIX საუკუნის 60-იანი წლების შუახანებიდან (ე.წ. პირველი და მეორე მუჰაჯირობის დროს) ჩაასახლეს და ადგილობრივ მოსახლეობას დაუპირისპირეს. 80-იან წლებში მათაც, ჩერქეზებისა და ჩეჩნების მსგავსად, ოსმალეთის დიდი ქალაქებიდან გაყვანა და სირია-პალესტინაში გადასახლება დაუპირეს, თუმცაღა **ამ ხალხის მნიშვნელოვანმა ნაწილმა ანატოლიაში დარჩენა და უშუალოდ ქართველებთან ერთად დასახლება მოითხოვა.** მათ ოსმალეთის მუჰაჯირთა კომისიას წარუდგინეს სათხოვარი არზა, რომლითაც თავიანთ სურვილს ერთობ მყარი არგუმენტით ასაბუთებდნენ: **ჩვენ საქართველოდან წამოსული ხალხი ვართ, ოდითგან ქართველთა გვერდიგვერდ გვიცხოვრია და ამჟერადაც, გვინდა მათთან ერთად დავსახლდეთო** (ქასაბი, 2019: 367).

1883 წელს თურქეთის დასავლეთ შავიზღვისპირეთში უკვე არსებობდა მოზრდილი დასახლება, სადაც ერთად ცხოვრობდნენ ქართველი („ბათუმელი“) და აფხაზი („აბაზა“) მუჰაჯირები. ოსმალურ დოკუმენტა მიხედვით, მას ერქვა **ბიჩქი-ი ათიქი (Bıçkı-ı Atık)**, რაც ნიშნავს **დაბალ ქედს**. ეს სოფელი მდებარეობდა აწინდელ ქალაქ დუზჯეს ჩრდილო-დასავლეთით, დაახლ. ექვს-ნახევარი საათის სავალზე. პირობითად იყოფოდა **ქართულ** და **აფხაზურ** უბნებად. ქართულ უბანში სახლობდა 37 ქართული და 5 აფხაზური ოჯახი, აფხაზურ უბანში — 47 აფხაზური, 4 ქართული და 10 — ადგილობრივი (ანუ თურქული) ოჯახი. მოგვიანებით — 1899 წელს, ბიჩქი-ი ათიქის უბნები დამოუკიდებელ სოფლებად გამოუცხადებიათ: ქართული უბნისთვის დაურქმევიათ **ბიჩქი-ი ათიქ გურჯი**, ხოლო აფხაზურისთვის — **ბიჩქი-ი ათიქ აბაზა**. ქართული სოფლის გამგებლად (ანუ მუხტარად) დაუნიშნავთ **შაჰინ-ალა აბდულაჰოღლი**, აფხაზური სოფლის გამგებლად — **ნური ბეშლია-ფაშა** (ქასაბი, 2019: 371-372).

ეთნიკური აფხაზები დუზჯეს მიწებზე ორი გზით მოხვედრილან: მცირე ნაწილი ქართველებს ჩამოჰყოლია, უმრავლესობა კი — ოსმალეებს; როგორც ზემოთაც აღინიშნა, ბულგარეთიდან, მაკედონიიდან და რუმინეთიდან გადმოუსახლებიათ 1878 წელს. ეს უკანასკნელნი ტომით **საძები** იყვნენ და ქართული არ იცოდნენ; ქართველებთან ერთად ჩამოსულნი კი, როგორც დუზჯელ მუჰაჯირთა შთამომავლები ჰყვებიან, ეთნიკური

ქართველებით კარგად საუბრობდნენ ქართულად. ამიტომ, ისინი ქართველთა უბანში დაბინავებულან და შემდგომში სავსებით გაქართველებულან კიდევაც.

ასევე: ბურსა-ინეგოლის მხარეშიც, სადაც 1877-1878 წწ. ომამდე მოსახლეობის დიდ უმრავლესობას ქრისტიანი ბერძნები და ბულგარელები წარმოადგენდნენ, 1884-1885 წლებში ჩაასახლეს **ქართველი, ბოსნიელი და ალბანელი** მუჰაჯირები (მათი სოფლები დღესაც ერთიმეორის მეზობლად მდებარეობს), მოგვიანებით კი — **აფხაზებიც**. როგორც აფხაზ მუჰაჯირთა შთამომავლები გადმოგვცემენ, მათ წინაპრებს ჰყოლიათ წინამძღოლი თავადები, რომელთა მონდომებითაც, ოსმალეთის ხელისუფლებას სამოსახლო მიწები გამოუყვია სწორედ იქ, სადაც ქართველები ანუ გურჯები სახლობდნენ. მერე და მერე კი, როდესაც მუჰაჯირებმა თავიანთი ხარჯებითაც დაიწყეს მიწების შექმნა, ბევრ აფხაზს უშუალოდ ქართველთა სოფლებშიაც უყვია სახლები. ასე აღმოჩენილან, მაგალითად, **აბგბას, პაპბასა** და სხვა აფხაზური გვარების წარმომადგენლები ინეგოლში, აჭარლებისა და ნიგალელების სოფელ **სულჰიეში** 1881-1885 წლებში. ამჟამად მათი შთამომავლები, რომლებთანაც ამ სტრიქონების ავტორებმა 2022 წლის ივლისში ვიმუშავეთ, თანაბრად კარგად ფლობენ აფხაზურ, ქართულ და თურქულ ენებს¹⁷. ეს ფაქტი ქართველურ-აფხაზური ოდინდელი ერთობის იშვიათი ნიმუშია.

შუა შავიზღვისპირეთს რაც შეეხება: 1877-1878 წწ. ომამდე აქ მოსახლეობის არცთუ მცირე ნაწილს შეადგენდნენ პონტოელი ბერძნები, რომლებიც იმთავითვე პრორუსული განწყობით გამოირჩეოდნენ, რამდენადაც რწმენით მართლმადიდებელი ქრისტიანები იყვნენ. ომის დროს მათ წამოიწყეს პარტიზანული მოძრაობა და დიდი პრობლემები შეუქმნეს ოსმალეთის ხელისუფლებას (ვრცლად იხ. გერმანჩუკი, 2010: 164-169). ამიტომაც, ომის დასრულების შემდგომ, ყველანი იძულებული გახდნენ, დაეტოვებინათ ოსმალეთის იმპერია და გადასულიყვნენ რუსეთში. იმავე პერიოდში ამ ხალხის დანატოვარი სამოსახლო მიწები დაიკავეს **ქართველმა** მუჰაჯირებმა, რომლებიც იქამდე კონცენტრირებული იყვნენ უშუალოდ შავიზღვისპირა დასახლებებში: ფაცაში, გირესუნში, სინოპში, ორდუში, სამსუნში და სხვაგან. მათი შთამომავლებისაგან ჩვენ 2019 წლის ივლისში ჩავიწერეთ უამრავი გადმოცემა „რუმების“ ანუ **პონტოელი ბერძნების** გაძევების თემაზე. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოვარჩევდით ფაცას მხარეს, სადაც დღეს 20-მდე ქართული სოფელია და თითქმის ყოველი მათგანი ძველი პონტოურ-ბერძნული დასახლების ადგილას არის დაარსებული. ზოგს ბერძნული დასახლებაც შემორჩენია — მაგალითად, სოფელ **Ayazlı köyü**-ს იქაურ ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების უფროსი (50-60 წელზე მეტი ხნის) თაობა დღემდე **ააზმას** (< ბერძნ. **αγιασμα** „ნაკურთხი წყალი“) უწოდებს.

¹⁷ სულჰიელმა აფხაზმა **ოზქან ქორქმაზმა (აბგბამ)** ამასთან დაკავშირებით, ამ სტრიქონების ერთ-ერთ ავტორთან - მიხეილ ლაბაძესთან და სულჰიეს მკვიდრ ქართველ ომერ ფარუქ დემირთაშ-მიქელაძესთან საუბარში იხუმრა კიდევ: ჩვენ - აქაური აფხაზები, უფრო ჭკვიანები ვართ, სამი ენა ვიცითო.

ბერძნული სახელწოდება არაოფიციალურად შემორჩენილი აქვს, აგრეთვე, უნიეს მხარეში მდებარე დიდ ქართულ სოფელს — **მიტრაპოლს**, რომელსაც ოფიციალურად ეწოდება **Güzelyalı köyü** „ლამაზი სანაპიროს სოფელი“; ბერძნულად **Μητρόπολις** ნიშნავს „მთავარ დასახლებას“ და, მართლაც, ქართველი მუჰაჯირების დასახლებამდე იქ თურმე, პონტოელი ბერძნების კულტურულ-რელიგიური ცენტრი ყოფილა. 1882-1883 წლებში ბერძნები გაუძევებიათ და მათ ნასახლარებზე დაფუძნებულან ქართველები: ზემო და ქვემო აჭარლები, მაჭახლელები და ქობულეთელები. სწორედ მუჰაჯირებს აუშენებიათ იქ პირველი მეჩეთი, რომელიც ხის ყოფილა და დღევანდელი — XX საუკუნის 60-იან წლებში აშენებული აგურის მეჩეთის ადგილას მდგარა. რალა საკვირველია, ყოფილ ბერძნულ სოფელში მეჩეთის აშენება თვალნათლივ მიუთითებდა იმაზე, რომ ამ მიწაზე ამიერიდან ოსმალეთის სულთნისადმი ერთგული, მუსლიმანი მოსახლეობა იწყებდა ცხოვრებას.

შუა შავიზღვისპირეთშივე აფხაზურ-აბაზურენოვანი მოსახლეობის კონცენტრაცია კავკასიაში მეორე მუჰაჯირობის (1867-1870 წწ.) პერიოდიდან დაიწყო. აქ ჩამოასახლეს ის აფხაზები, რომლებიც 1867 წლის აჯანყებაში მონაწილეობდნენ და წარმოშობით გუმას (აწინდელი სოხუმის მუნიციპალიტეტი) და წებელდა-დალის (აწინდელი გულ-რიფშის მუნიციპალიტეტის) მხარეებიდან იყვნენ. ისინი რუმინეთსა ან ბულგარეთში მოხვედრას იმითომ გადაურჩნენ, რომ აფხაზეთი 1867 წლის შემდგომ, ანუ იმ დროს დატოვეს, როცა რუმინეთ-ბულგარეთის ტერიტორიაზე ჰუმანიტარული კრიზისი იყო და ოსმალეთის ხელისუფლების მესვეურები მუჰაჯირთა ახალ-ახალ ნაკადებს იქით აღარ აგზავნიდნენ. ამდენად, **შუა შავიზღვისპირელი აფხაზ-აბაზები (ბურსა-ინეგოლელ ანდა დუზჯელ თანამეტომეთაგან განსხვავებით), ქართველებისაგან განცალკევებით ცხოვრობენ, თუმცა ამ უკანასკნელებთან ცუდი ურთიერთობა, ცხადია, არ აქვთ.** აქვე დავძენთ იმასაც, რომ XX საუკუნის 20-იანი წლების შუახანებში, მუსტაფა ქემალ ათათურქის ხელისუფლებას შუა შავიზღვისპირელი აფხაზ-აბაზების, უბიხებისა და ჩერქეზების უდიდესი ნაწილი ცენტრალური ანატოლიის (ისტორიული კაბადოკიის) მწირ მიწებზე გადაუსახლებია, თანაც ისე, რომ თითო დასახლებაში ორ-სამ ოჯახზე მეტის თავმოყრის ნება არ მიუცია; როგორც მუჰაჯირთა შთამომავლები გადმოგვცემენ, ქემალისტები ჩერქეზ მუჰაჯირებს, სულთნისადმი ერთგულების გამო, „რესპუბლიკის მტრებად“ მიიჩნევდნენ; ამიტომაც ცდილობდნენ, რომ ოსმალეთის დროს დაარსებული ჩერქეზული სოფლების მოსახლენი მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე გაეფანტათ. შუა შავიზღვისპირელ აფხაზ-აბაზებს ახლო ურთიერთობა სწორედ ჩერქეზებთან და უბიხებთან ჰქონდათ და რეპრესიის ტალღებში თავადაც მოჰყვნენ. მუჰაჯირთა შთამომავლების ცნობით, სინოპელი და სამსუნელი აფხაზ-აბაზობა ცენტრალური ანატოლიის ჭაობიან მხარეებში ჩაასახლეს.

თურქეთის კიდევ ერთ შიდა რეგიონში — **ამასიაში** ქართველი მუჰაჯირები 1878-1890 წლებში დამკვიდრდნენ. მანამდე იქაც პონტოელ ბერძნებს უცხოვრიათ, თუმცაღა

შუა შავიზღვისპირეთში მცხოვრებ თანამემამულეთაგან განსხვავებით, მშობლიური მიწები მათ არ მიუტოვებიათ; ჯერ კიდევ ომამდე, როგორც ამასიელი ქართველი მუჰაჯირების შთამომავლები გადმოგვცემენ, ბერძნებს მასობრივად დაუწყიათ ისლამის მიღება. ომის დროს კი ადგილობრივ ხელისუფლებს შეუტყვიათ, რომ ამ ახლად მოქცეულ მუსლიმან ბერძენთა შორის უმეტესობა ფარული ქრისტიანი ყოფილა. ისინი რუსეთის გამარჯვებას ელოდნენ, რომ შემდგომ, თავადაც აეღოთ ხელში იარაღი.

სწორედ ამიტომაც, 1878 წელსვე ხელისუფლების მესვეურებმა ზემო აჭარიდან და მაჭახლიდან გადმოსულ მუჰაჯირთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯგუფი ქალაქ რიზედან პირდაპირ ამასიაში გადაიყვანეს, იქ კი პონტოურ-ბერძნულ სოფლებს შორის ჩაასახლეს. ამასთან, უბოძეს საძოვრები და ბერძნულ სოფლებში ხარკის აკრეფაც დაავალდებულეს. ქართველებმა კარგად გაართვეს თავი დაკისრებულ მოვალეობებს და, სულ მალე, მთელ რეგიონში გააუვნებელყვეს „ბერძნული საფრთხე“. 1888 წელს ქართველი („ბათუმელი“) მუჰაჯირების მრავალრიცხოვან ჯგუფს — 300-მდე ოჯახს (ანუ 1500 კაცს) სამოსახლოები გამოუყვეს ასევე ამჟამინდელი ქ. ნიქსარის მიდამოებში, სადაც იმ დროისათვის სომხები და ქურთები ცხოვრობდნენ. 40-მდე ოჯახი კი ამჟამინდელ ქ. მერზიფონის მიდამოებში, **მირიჩაირად** (თურქ. **Miriçayır**) წოდებულ ადგილას დაასახლეს, თუმცა მიწის სიმწირის გამო, ქართველებმა იქ ვერ გაძლეს და 1888 წლის 2 ოქტომბერს 40-ვე ოჯახი გადაყვანილ იქნა თანამედროვე ქასთამონუს ილის ტერიტორიაზე — იქ, სადაც დღეს სოფელი **აკინიერი** (თურქ. **Akıneri**) მდებარეობს (დემირელი, 2015: 1130; სინინი, 2018: 39).

ჩვენ ამასიელ და ნიქსარელ ქართველთა შორის 2019 წლის აგვისტოში ვიმუშავეთ. სამწუხაროდ, იქ ქართული ენა უკვე აღარ არის იმდენად გავრცელებული, რამდენადაც, მაგალითად, ბურსა-ინეგოლში, დუზჯე-ადაფაზარში ან შუა შავიზღვისპირეთში, მაგრამ თითქმის ყველას ახსოვს საკუთარი ქართული წარმომავლობა, გვარი და აჭარა-მაჭახლის იმ სოფლების სახელებიც, საიდანაც მათი წინაპრები წამოსულან. ქართულად მეტყველნი უფრო მეტად 60 წელზე მეტი ხნის თაობაშილა გვხვდებიან. აქვე ნიშანდობლივია ისიც, რომ ამასიელი და ნიქსარელი ქართველები სიამაყით აღნიშნავენ: **ამ მხარეში ისლამი და სულთნის ძალაუფლება ჩვენ გავაძლიერეთ.**

მაშასადამე, XIX საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში, ოსმალეთის იმპერიის მთელ ტერიტორიაზე მუჰაჯირთა განსახლებით, სტამბოლის მესვეურებმა ძალზე ეფექტურად გადაჭრეს რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც უწინ ხშირად იჩენდა ხოლმე თავს და საკმაოდ ბევრ სიძნელეს ქმნიდა. უპირველეს ყოვლისა, მათ ყველა რეგიონში უმრავლესობად აქციეს სულთნისადმი ლოიალური მუსლიმანური მოსახლეობა; ამით გააუვნებელყვეს არათურქთა მხრიდან სეპარატისტული მოძრაობის დაწყების საფრთხე და გააძლიერეს ცენტრალური ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები. ამასთანავე, შექმნეს მძლავრი რეგულარული ჯარისათვის — სწორედ მუჰაჯირებს (როგორც კავკასიელებს, ისე ბალკანელებსაც) ეკისრებოდათ საყოველ-

თაო სამხედრო ბეგარა და პოლიციაში სამსახური (ქასაბი, 2019: 456). მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ მუჰაჯირებმა განავითარეს ასევე სოფლის მეურნეობაც, რამაც შემდგომში მძლავრი საფუძველი შექმნა თურქეთის ეკონომიკის აღორძინებისათვის.

ამასთან, XIX საუკუნის უკანასკნელი ათწლეულის დასაწყისში შეწყდა მუჰაჯირთა აღრიცხვაც — ისინი ოსმალეთის მკვიდრთ გაუთანაბრდნენ და **მუსლიმანური მილეთის** სრულუფლებიან წევრებად იქნენ ცნობილი. ამ პერიოდშიდანვე მათ შემწეობის გაცემაც შეუწყვიტეს და უფრო მკაცრადაც მოსთხოვეს, დასახლებულიყვნენ იქ, სადაც მთავრობა გამოუყოფდა მიწებს. გარკვეულწილად შეიზღუდა აგრეთვე, თავადაზნაურობის ყველა ის პრივილეგია, რომლებიც მათ, პირადად, სულთანმა ოსმალეთში დასახლებისას უბოძა. ამით ცხადი გახდა, რომ მუჰაჯირთა მდგომარეობა ოსმალეთის იმპერიაში იცვლებოდა — **ისინი უკვე იყვნენ არა ლტოლვილები, არამედ — ახალმოსახლებები**. არადა, მუჰაჯირების არცთუ მცირე ნაწილს კვლავინდებურად სჯეროდა, რომ როგორც კი ოსმალეთი ძალებს მოიკრებდა, უმაღვე დაიბრუნებდა დაკარგულ მიწებს კავკასიაშიც და ბალკანეთშიც; აი, სწორედ ეს ხალხი აცხადებდა კატეგორიულ უარს დროებითი საცხოვრისის დათმობასა და სამუდამოდ სადმე დასახლებაზე. მათ სჯეროდათ, რომ სულთანი მალე დაიწყებდა მზადებას გიაურებთან ხელახალი შერკინებისთვის და სამშობლოში დაბრუნებასაც მაშინ შეძლებდნენ. აღსანიშნავია ისიც, რომ ამგვარად მოფიქრალთა შორის ბევრი ფანატიკოსი მუსლიმანი იყო. უკან დაბრუნება მათ მხოლოდ ოსმალეთის დროშით სურდათ.

ძალზე საყურადღებო დოკუმენტია **1905 წლის 13 მაისის** ცნობა იმის თაობაზე, რომ ქალაქ სტამბოლის მიმდებარედ მცხოვრებ ქართველ (ტექსტში — ბათუმელ) მუჰაჯირებს ხელისუფლების წარმომადგენლები გამოუყოფენ ყოველდღიურ საარსებო მინიმუმად 1452 ოსმალური ყურუშის ღირებულების საკვებს, რაც 1905 წლის 25 აპრილის (ტექსტში თარიღი მოცემულია ჰიჯრით — 1321 წლის 25 ნისანი) დადგენილებით განსაზღვრულზე ნაკლებია, რადგანაც ქვეყნის საყოველთაო მდგომარეობიდან გამომდინარე, მთავრობას დაპირებულის სრულად გაცემა უკვე აღარ ძალუძს. დოკუმენტს ხელს აწერს სტამბოლის ხელისუფლების წარმომადგენელი **რეჯებ-ეფენდი** (OBKG, II, 2012: 188).

იმავედროულად, სამშობლოში დაბრუნების მოსურნეთა შორის იყვნენ ისეთებიც, ვინც მუჰაჯირობის დროს ოსმალეთში ნებაყოფლობით გადმოსახლდა, მაგრამ შემდგომ მიხვდა, რომ სამშობლოს მიტოვებით შეცდომა დაუშვა და მიზნად დაისახა, რადაც უნდა დასჯდომოდა, უკან დაბრუნებულიყო. ასე მოფიქრალთ ოსმალეთის ხელისუფლება, რაღა თქმა უნდა, გასაქანს არ აძლევდა, რამდენადაც, ჯერ ერთი, ეშინოდა, რომ მათ მუჰაჯირთა შორის გავლენა არ მოეპოვებინათ, სხვებიც არ აეყოლიებინათ და მეორეც — რუსეთთან ომის დამთავრებისთანავე დადებული საიდუმლო შეთანხმების დარღვევა არ სურდა. **ოსმალეთიდან რუსეთში გაბრუნება რომ გავაადვილოთ, მუჰაჯირთა**

უმეტესობა უმაღვე საზღვრის გადასაკვეთად დაიძრებაო, მიიჩნევდნენ სტამბოლში და, სხვათა შორის, არცთუ უსაფუძვლოდ.

ჩვენ მრავლად ჩავიწერეთ გადმოცემები იმის თაობაზე, რომ აღნიშნულ პერიოდში შუა შავიზღვისპირეთში ანდა დუბჯე-ადაფაზარში მყოფი ბევრი ქართველი გონს მოეგო და უკან დაბრუნება განიზრახა, თუმცა რადგან რუსეთის იმპერიას ოსმალეთის საზღვარი უკვე ჩაკეტილი ჰქონდა, ოსმალური ხელისუფლებაც აღარ რთავდა ამ ხალხს გადასვლის უფლებას. ამ მხრივ, საინტერესოა სინოპის პოლიციის 1883 წ. 2 ოქტომბრით (ჰიჯრით: 1300 წლის 30 ზულ-ყადდათი) დათარიღებული საიდუმლო ოქმი, სადაც აღნიშნულია, რომ სტამბოლიდან სინოპში ჩასულა ქართველი მუჰაჯირების მცირერიცხოვანი ჯგუფი, რომელსაც სურდა სინოპიდან ბათუმში წასვლა. მათ ერთ-ერთი გემის კაპიტნისათვის მიუმართავთ და საკმაოდ სოლიდურ ფასად, ხელისუფლების გვერდის ავლით, რუსეთში გადაყვანა უთხოვიათ. კაპიტანი დახმარებას დაჰპირებია მათ, მაგრამ მერე გაუცია. გემზე ასვლისას ყველა მუჰაჯირი პოლიციას დაუკავებია და უკანვე, სტამბოლში დაუბრუნებია გაგზავნა, მაგრამ ბოლოს მაინც დაურთავს ნება, რომ იქვე — სინოპში დარჩენილიყვნენ, თანაც მკაცრად გაუფრთხილებია, რომ თუ კვლავაც დააპირებდნენ რუსეთში წასვლას, დაისჯებოდნენ (ქარაასლანი, 2019: 407).

მუჰაჯირთა მეტად მცირე ნაწილი არალეგალურად მაინც ახერხებდა სამშობლოში დაბრუნებას: 2019 წლის ივლისში ორდუს ილის უნიეს ილჩეს სოფელ ექინჯიქში ჩვენ ჩავიწერეთ გადმოცემა იმის შესახებ, თუ როგორ გადაიპარა სამი ძმა ოსმალეთ-რუსეთის საზღვარზე — ლაზების სოფელ არქაბიდან რუსეთის ფარგლებში მოქცეულ მურღულის ხეობაში, ხოლო მურღულიდან კი აჭარაში გადავიდა, თუმცა მამაპაპისეულ სოფელში აღარ დასახლებულან — შეეშინდათ, რომ რუს ჟანდარმებს ოსმალეთში არ გაებრუნებინათ და დიდაჭარის თემს შეაფარეს თავი.

ეთნიკური ქართველების გარდა, ბრუნდებოდნენ აფხაზებიც: 2022 წლის ივლისში ინეგოლეელი აფხაზის, **სინან ოზდემირისაგან** ჩავიწერეთ გადმოცემა იმის შესახებ, რომ **ჭგღ⁰ბას** გვარის სამმა წარმომადგენელმა (ბიძაშვილებმა) გადაწყვიტეს სტამბოლიდან ქ. ბათუმში არალეგალურად გადასვლა. ისინი შეუთანხმდნენ ერთ ბერძენ კაპიტანს და მას გადაუხადეს 50 ათასი ლირა, რაც იმ დროისათვის (XIX საუკუნის 90-იანი წწ. ბოლოს) საარაკო თანხა იყო. კაპიტანმა ისინი მართლაც გადაიყვანა ბათუმში, საიდანაც შემდეგ, აჭარელი ძმადნაფიცების ნათესავთა დახმარებით, სამივე აფხაზი სოხუმში გადავიდა. იქ მათი მიწები დაკავებული დახვდათ — რუსებს ზედ კაზაკები დაესახლებინათ; ამიტომაც აფხაზები ისევ აჭარაში დაბრუნდნენ და ბათუმში დასახლდნენ, გვარი კი გამოიცვალეს, რათა რუსებს ოსმალეთში არ გაებრუნებინათ.

იმხანადვე, ოსმალეთის იმპერიიდან რუსეთის იმპერიაში (კერძოდ, ქ. ბათუმში) გადმოსულ აფხაზ მუჰაჯირებს შეხვედრია **ზ. ჭიჭინაძეც**; ყურადღებას იპყრობს მისი ამგვარი ცნობა:

„1894–1895 წლებში ბათუმში მე ვნახე რამდენიმე აფხაზი, ოსმალოდამ დროებით მოსულნი და ბათუმის ახლოს თავიანთ მონათესავე აფხაზებთან დროებით მცხოვრებნი. ესენი გავიცანი. ლაპარაკი გვექონდა გადასახლებულ აფხაზებზედ. იგინი ქართულად კარგად ლაპარაკობდნენ. აქ მე მოვიყვან ეხლა იმას, რაც კი მათ სიტყვით სიტყვა მიაბნეს. აქ ჩემსას არასფერს მოუმატებ, ყოველივე მათი ნათქვამი არის.

ბატონო ძიავე, რაც მოხდა, მოხდა, ჩვენ კი დავიღუპეთ. ზოგი ჩვენი ბრალია, მაგრამ უმეტესი კი თქვენების ბრალია. ძალით სჯულიდან სჯულზედ გადასვლა არ არის კარგი. ჩვენ ორსავე მხრიდამ გვაშინებდნენ. ჩვენც ხამი ხალხი ვიყავით, ამიტომ მოვიშალენით ჩვენის ცხოვრებიდამ და წავედით ოსმალში საცხოვრებლად, სადაც ჩვენ ამით თითქმის დავიღუპენით. ადრე იქ ჩვენი აფხაზების 100 ათასი კაცი მეტი იყო, დღეს კი იქ ამის აღარც მეათე ნაწილი დარჩა. ვინც იქ ჩვენი საცოდაობა ნახა, ვინც ჩვენი გაჭირება და სიღატაკეს შეესწრა, იგინი ცრემლებს ღვრიდნენ ჩვენის საცოდაობით. ასეთის საცოდაობით და გაჭირებით გაწყდა მთელი იქაური აფხაზები. გადარჩა ძალიან მცირე რიცხვი. ცოტანი სტამბოლში ვცხოვრობთ. ოსმალში ჩვენი დღეს აღარაფერი არის. იქ თქვენ აფხაზებს ველარსად შეხვდებით, **ცოტოდენი აქეთ ლაზისტანში არიან დასახლებულნი. ესენიც აქ ისე წამხდარან, რომ მათ აფხაზურის აღარაფერი იციან, იგინი ლაზებს დანათესავეებიან და დღეს ლაზურად ლაპარაკობენ. თქვენ მათ ლაზებისაგან ველარ გაარჩევთ“** (ჭიჭინაძე, 1912: 167–169, ხაზგასმა ჩვენია — ავტორთა გვუფი).

რასაკვირველია, სანკტ-პეტერბურგის მესვეურები კატეგორიულად წინააღმდეგნი იყვნენ ოსმალეთში გადასულ მუჰაჯირთა დაბრუნებისა. სტამბოლში, ტრაპიზონსა თუ იერუსალიმში მყოფი რუსი დიპლომატები ყოველთვის დაუყოვნებლივ, ძალზე მწვავედ რეაგირებდნენ ხოლმე, როდესაც ამ ხალხის მიერ რუსეთის საზღვრის გადაკვეთის (ანდა უბრალოდ, გადაკვეთის მცდელობის) შესახებ რამეს შეიტყობდნენ. ოფიციალური სანკტ-პეტერბურგი, როგორც ომში გამარჯვებული მხარე, დამარცხებული სტამბოლის წინაშე საკუთარი უპირატესობის გამოვლენას არ ერიდებოდა (ქასაბი, 2019: 456). აქედან გამომდინარე, ოსმალეთის მესვეურები ცდილობდნენ, მუჰაჯირთა შორის სხვადასხვა მიზეზით გაჩენილი უკან დაბრუნების განზრახვა ჩანასახშივე ჩაეხშოთ — ყველა იმ „ურჩ“ მუჰაჯირს, რომელიც თანამემამულეებს სამშობლოში წასვლისაკენ მოუწოდებდა, იჭერდნენ, არაბეთის ანდა ლიბიის უდაბნოებში ასახლებდნენ, ათი ან ოცი წლით კატორღაში ამწყვდებდნენ და ა.შ. თუმცადა აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ „ურჩობით“ უმეტესად ჩერქეზები და უბიხები გამოირჩეოდნენ. **ქართველთა და აფხაზთაგან, ლომან-ეფენდი ქარცივაძის მონდომებითა და მეოხებით, ბევრმა ჯერ კიდევ მუჰაჯირობის ოფიციალურად დასრულებამდე შეძლო სამშობლოში დაბრუნება;** ბევრიც შემდგომში არალეგალურად ახერხებდა ოსმალეთ-რუსეთის საზღვრის გადალახვას. როგორც იმდროინდელი ოსმალური ანდა რუსული დოკუმენტები ცხადყოფენ, მუჰაჯირები სარგებლობდნენ იმით, რომ საზღვრის ორსავე

მხარეს ქართველები სახლობდნენ და ხელისუფლებების გვერდის ავლით, მშვენივრად აგვარებდნენ საქმეს.

1894 (პიჯრით — 1311) წელს სტამბოლში ოსმალურ-თურქულ ენაზე გამოიცა ექიმ **მეჰმეთ არიფ ისმეთზადეს**, იმავე **არიფ ისმეთ ბეის** (1870–1911), ნარკვევების კრებული, სათაურით — **Gürçi Köyleri** („ქართული სოფლები“). წიგნად გამოცემამდე ეს ნარკვევები იმდროინდელ ოსმალურ გაზეთ „**თარიქში**“ იბეჭდებოდა **თეფრიქას** ფსევდონიმით, მერე კი მისი ერთიანად გამოცემის გადაწყვეტილება ოსმალეთის განათლების სამინისტროს მიუღია საგანგებო დადგენილებით (ჩილოღლუ, 2002: 5–7).

ამჟამინდელი ვერაყის ქ. ქირქეჟში დაბადებულ მეჰმეთ არიფ ისმეთზადეს დედა ქართველი ჰყოლია. ქართველ მუჰაჯირთა ოსმალეთის იმპერიაში გადმოხვეწისას — 1893 წელს, ჯერ ისევ სტუდენტი, დედის ნათესავების მოსაძებნად სამსუნში გამგზავრებულა და საკუთარი თვალთ უხილავს მუჰაჯირთა გაჭირვება. მათ შესახებ გაზეთ „თარიქში“ პირველი ფელეტონი იმავე წლის მარტში გამოუქვეყნებია. დედის ნათესავებისათვის კი, კარგა ხნის ძებნის შემდგომ, აწინდელი ჩარშამბას ილჩეს სოფელ მუსლუბეიში მიუგნია, 2–3 თვით დარჩენილა მათთან და გაზეთშიც კიდევ რამდენიმე წერილი გამოუქვეყნებია.

მეჰმეთ არიფ ისმეთზადეს ნარკვევებში (რომლებიც 2002 წელს მეორედ გამოიცა სტამბოლშივე, ქართული წარმომავლობის მწერლის — ფაჰრეთთინ ჩილოღლუს [ფარნაჭილაშვილის] რედაქტორობით) დოკუმენტური სიზუსტითაა აღწერილი სამსუნისა და ჩარშამბას მხარეში გადმოხვეწილ ქართველ მუჰაჯირთა მიერ დაარსებული სოფლების მდებარეობა, იქ არსებული ვითარება და, რასაკვირველია, მუჰაჯირთა დუხჭირი ყოფა. ავტორი აღნიშნავს, რომ ქართველებს ოსმალეთში გადმოხვეწა გაცილებით უფრო მძიმე პირობებში მოუწიათ, ვიდრე ჩერქეზებს: ქართველ მუჰაჯირთა მნიშვნელოვანი ნაწილი, მისი თქმით, ოსმალეთის ტერიტორიაზე ფეხით გადმოდიოდა და ვერაფრის წამოღებას ვერ ახერხებდა, ჩერქეზები კი 1864 წელს ჩრდილო კავკასიიდან გემებით გადმოჰყავდათ და ქონების წამოღების საშუალებასაც აძლევდნენ. სამსუნისა და ჩარშამბას მიდამოებში ჩერქეზები უფრო კარგად ყოფილან მოწყობილნი, ვიდრე ქართველები. სწორედ ამიტომ, ამ უკანასკნელთა შორის ბევრს ჰქონია უკან — საქართველოში გაბრუნების სურვილი.

მეჰმეთ არიფ ისმეთზადე იმასაც აღნიშნავს, რომ სამსუნ-ჩარშამბას ზღვისპირეთში ცუდი ჰავა იყო და ქართველები (რომლებიც სამშობლოში არა ზღვისპირას, არამედ მთიან მხარეში ცხოვრებას იყენენ ჩვეულნი) იქ ვერ ჩერდებოდნენ. მათ მდგომარეობას მეტად ართულებდა ისიც, რომ ადგილობრივი მოსახლეობა მუჰაჯირებს მტრულად ხვდებოდა და საკუთარ მიწებზე არ უშვებდა. ცუდი ჰავის გამო, ქართველ მუჰაჯირთა შორის 1890 წელს მაღარაიაც გაჩენილა: „აქ ძნელად ნახავთ ყოველმხრივ ჯანმრთელ ადამიანს — ისეთი ჰავაა, რომ გარეთ ღამეს ვერც კი გაათევ. ჩარშამბელი ხალხის დიდი ნაწილი კი ვაჭრობას უფროა მიჩვეული და სოფლის მეურნეობას ჯეროვან ყურადღებას

არც უთმობს, რადგან ამ რეგიონის მიწები მოკლებულია კულტივირების უნარს. აქ არც ხორბალი, ქერი და სხვა ამგვარი მარცვლოვნები არ მოდის. რომც დაითესოს, ძალზე უხეში ხორბალი გამოდის და არაფრად ვარგა. უმეტესად, აქ სიმინდი ითესება¹⁸ — წერდა მეჭმეთ არიფ ისმეთბადე (ჩილოღლუ, 2002: 33-34).

ჩარშამბას ილჩეს სოფელ მუსლუბეში (თურქ. Müslübey) დედით ქართველ თურქ ექიმს ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლები დღემდე იგონებენ. მათი თქმით, პირველად სწორედ მეჭმეთ არიფ ისმეთბადემ ურჩია ხალხს, რომ რუსეთის იმპერიაში გაბრუნების ნაცვლად, ოსმალეთის ჩრდილო-დასავლეთ ვილაიეთებში გადასულიყვნენ და იქ იმგვარ ადგილებში ეძიათ ახალი სამოსახლოები, რომლებიც მშობელ მხარეს მოაგონებდათ. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ **ქართველ მუჰაჯირებს სამსუნიდან და ჩარშამბადან წასვლა არ სურდათ: აჭარა რომ ოსმალებმა დაიბრუნონ და ჩვენც უკან დაბრუნების ნება დავგვრთონ, შორიდან წამოსვლა გავგვიჭირდებაო**. მხოლოდ მერეღა, როდესაც უკვე მათთვისაც ცხადი გახდა, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ოსმალეთი განჭვრეტად მომავალში ვერ დაიბრუნებდა, გადაწყვიტეს, მიეტოვებინათ შუა შავიზღვისპირეთი და დასავლეთით გადაენაცვლებინათ, — გვამცნო სოფელ **ქარლის** (თურქ. **Karlı**; ის მუსლუბეიდან კარგა მოშორებით, მაღალ მთებში მდებარეობს) უხუცესმა მკვიდრმა, 90 წლის **ნური ერთურქმა (ბასილაძემ)**. მისივე თქმით, მის ბებიასა და ბაბუას საქართველოში (ბათუმში) დაბრუნება სდომებიათ, მაგრამ წვრილშვილი ჰყოლიათ და ვეღარ გაურისკავთ — ბათუმამდე ფეხით უნდა ევლოთ; მეორე მხრივ, ვეღარც სტამბოლისაკენ წასულან, რადგანაც იქამდეც შორი იყო და გემში ჩასასხდომად საკმარისი ფული არ ჰქონიათ. ამიტომაც, საბოლოოდ, ზღვის პირიდან მაღლა — მთებში ასულან და უბიხების მიტოვებულ სოფელში დაფუძნებულან, რაკილა იქაურობა საქართველოს ჰგავდა.

ნური ერთურქ-ბასილაძის წინაპართა მსგავსად, XIX საუკუნის ბოლო ათწლეულში ბევრმა ქართველმა მუჰაჯირმა დატოვა შუა შავიზღვისპირეთის საცხოვრებლად ნაკლებ ვარგისი მიწები და დასავლეთით — თანამედროვე დუზეს, საქარიის, ბურსას ილების ტერიტორიაზე გადაინაცვლა. როგორც მათი შთამომავლები ჰყვებიან, ყველას უნდოდა სამშობლოში დაბრუნება, მაგრამ რაკი უკან არც ოსმალები უშვებდნენ და აღარც რუსები იღებდნენ, უმეტესობა იძულებული გახდა, კვლავინდებურად ოსმალეთში, ოღონდ სხვა მხარეში ეძია თავშესაფარი. აქვე დავძენთ იმასაც, რომ ძალიან გაუმართლა მათ, ვისაც თანასოფლელებთან ერთად მოუწია ხელმეორედ აყრა და გადასახ-

¹⁸ „Kanlı canlı ve Sağlıklı olarak az kimse görülür. Havasının kötülüğünden dolayıdır ki, geceleri hiç kimse dışarıda örtüsüz kalmaz. Çarşamba halkının büyük bölümü ticarete alışmış olup bu yörenin ekip biçme yeteğinden mahrum bulunması nedeniyle tarıma okadar önem vermezler. Burada da buğday arpa gibi ürünler yetişmemektedir. Ekilse bile gayet çalık ve esmer bir buğday ortaya çıktığı gibi bu buğday pek çabuk böçlendiğinden itibar görmemektedir. Tarım daha çok mısıra dayanır“.

ლება — მუჰაჯირთა თითქმის ყველა სოფელში იყვნენ შეძლებული მოსახლენი, რომლებსაც იმდენი ფული ჰქონდათ, რომ მთელი სოფლის სამყოფი სამოსახლო და სახნავ-სათესი მიწის შესყიდვა შეეძლოთ.

მაშასადამე, XIX საუკუნის ბოლო ათწლეულის დასაწყისიდან XX საუკუნის პირველი ათწლეულის დასასრულამდე ქართველი მუჰაჯირები (რომლებიც იქამდე უმეტესად შუა შავიზღვისპირეთში იყვნენ თავმოყრილი, სხვა მხარეებში კი არც ისე მრავლად სახლობდნენ) ინტენსიურად გადაადგილდებოდნენ ოსმალეთის იმგვარ მხარეებში, სადაც სოფლის მეურნეობისთვის გამოსადეგი მიწები იყო და სამოსახლოებს, ძირითადად, თავიანთი ფულით ყიდულობდნენ. იმავდროულად, როგორც ოსმალური დოკუმენტებიც ცხადყოფენ, 1912 წლისათვის მუჰაჯირთა შორის მკვეთრად შემცირდა იმ პირთა რიცხვი, რომელთაც უკან — რუსეთის იმპერიაში დაბრუნება უნდოდათ (ქასაბი, 2019: 345–378). სამაგიეროდ, ეთნიკური ქართული მოსახლეობა საგრძნობლად გაიზარდა ისეთ მხარეებში, როგორებიც იყო თანამედროვე მარმარილოს ზღვისპირეთი ანდა სტამბოლის მიმდებარე ტერიტორიები როგორც აზიურ, ისე ევროპულ მხარესაც. აღნიშნული წლიდან მოყოლებული, რუსეთის იმპერიიდან ოსმალეთში გადასვლის მოსურნეთა რაოდენობაც მინიმუმამდე შემცირდა.

საბოლოოდ, კავკასიელი მუჰაჯირების ოსმალეთში დამკვიდრებასა და ოსმალურ საზოგადოებაში ინტეგრაციას ხელი შეუწყო ბალკანეთის ომებმა: 1912 წლის ოქტომბრის თვეში დაიწყო ბალკანეთის პირველი ომი — ოსმალეთის იმპერიას დაუპირისპირდნენ ბულგარეთი, სერბეთი, ჩერნოგორია და საბერძნეთი. ამ ომში ჩვეულებრივ, ყოველგვარი პრივილეგიების გარეშე გაიწვიეს მუჰაჯირები. მათგან ცალკე დანაყოფები არ შეუქმნიათ — ეთნიკურ თურქებთან, არაბებთან, ქურთებთან, ალბანელებთან თუ სხვებთან ერთად ჩარიცხეს არმიის ნაწილებში. **სწორედ ეს ახალწვეულები წარმოადგენდნენ მუჰაჯირთა იმ თაობას, რომელიც შემდგომში თავისუფლად ალაპარაკდა თურქულად.** მათი უმეტესი ნაწილი, საერთოდ, ოსმალეთში იყო დაბადებული.

ბალკანეთის პირველ ომს, რომელშიაც ოსმალეთის იმპერია დამარცხდა, უმაღვე მოჰყვა მეორეც (დაიწყო 1913 წლის 29 ივლისს და დასრულდა 19 აგვისტოს). ოსმალეთმა შეძლო მხოლოდ ადრიანოპოლის (ედირნეს) დაბრუნება. დანარჩენი სამფლობელოები კი (მაკედონია, სანჯაყი, რუმელია, სამხრეთი სერბია) საბოლოოდ დაკარგა. ამის შედეგად ქვეყანას მოაწყდა 800 ათასამდე ახალი ლტოლვილი. მათგან თითქმის ყველა სტამბოლში განათავსეს (1877–1878 წწ. ომის შემდგომ ლტოლვილთა მსგავსად), ძველ ლტოლვილებს კი უბრძანეს, ერთი კვირის განმავლობაში დაეცალათ ღროებითი საცხოვრებლები და გადასახლებულიყვნენ იქ, სადაც მთავრობა გამოუყოფდა მიწებს (ციურხერი, 2013: 54).

ამდენად, 1912–1913 წლებიდან კავკასიელი (მათ შორის, ქართველი) მუჰაჯირები უკვე ოსმალეთის სრულყოფილებიან ქვეშევრდომებად ითვლებოდნენ და რასაკვირველია, მუდმივი საცხოვრებლითაც იყვნენ უბრუნველყოფილი. ისინი ვეღარ სარგებლობ-

დნენ სულთნის მიერ უწინ ბოძებული პრივილეგიებით, თუმცა ყველგან კომპაქტურად იყვნენ დასახლებული და ამით ინარჩუნებდნენ მშობლიურ ენებსა და ზნე-ჩვეულებებს. მეტ-ნაკლებად, სამშობლოსთანაც არ წყვეტდნენ კავშირს. აღსანიშნავია ისიც, რომ თურქული იცოდნენ უმეტესად მამაკაცებმა, რომლებიც ჯარში იყვნენ ნამყოფი, ქალები და ბავშვები კი მხოლოდ მშობლიურ ენაზე მეტყველებდნენ.

თავი II

საქართველოდან წასული მუჰაჯირების განსახლების ძირითადი არეალები XX საუკუნის I ნახევრამდე. ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების ამჟამინდელი სოფლები თურქეთის რესპუბლიკის რეგიონებში

1.2.1. მუჰაჯირად წასული მოსახლეობის სოციოლინგვისტური დახასიათება

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს იმ მკვიდრთა შორის, რომლებსაც 1877-1878 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს (ანდა შემდგომ) მშობლიური საცხოვრისის სამუდამოდ მიტოვება მოუწიათ, გამოირჩეოდნენ **წარჩინებულები (ბეგები და ადები) და მუსლიმანი სასულიერო პირები – მათ შეგნებულად ისურვეს ოსმალეთის იმპერიის შიდა რეგიონებში გადახვეწა, როდესაც ორივე ფრონტზე რუსეთის წარმატება ყველასთვის აშკარა გახდა.** ამ ხალხმა, თავიანთ გლეხებთან (ანდა მრევლის წევრებთან) ერთად, ომის დასრულებამდე ორგანიზებულად დატოვა მშობლიური მიწები და უსაფრთხო ადგილებში გადაინაცვლა. რაკილა სხვათაგან განსხვავებით, წინასწარ იცოდნენ ისიც, რომ ვიდრე გეოპოლიტიკური ვითარება ისევ ოსმალეთის იმპერიის სასარგებლოდ არ შეიცვლებოდა (რაც, მაშინდელი პროგნოზების თანახმად, განჭვრეტად მომავალში არც იყო მოსალოდნელი), უკან ვეღარ დაბრუნდებოდნენ, არც ოსმალურ საზოგადოებაში ინტეგრირება გასჭირვებიათ, რადგან იმთავითვე მზად იყვნენ საამისოდ. აქვე დავძენთ, რომ ამ ხალხის რაოდენობა, სხვებთან შედარებით, რამდენადმე მცირე იყო, თუმცა ოსმალთა და რუსი მაღალჩინოსნები სწორედ მათ თვლიდნენ მუჰაჯირთა ინტერესების უპირველეს წარმომჩენებად. ამიტომ, ჩვენც ამ კატეგორიის მუჰაჯირებს **წარმმართველი ჯგუფის** სახელწოდებით მოვიხსენიებთ.

მუჰაჯირთა წარმმართველი ჯგუფის წარმომადგენლები ოსმალურ დოკუმენტებში აღრიცხული არიან იმპერიაში საყოველთაოდ მიღებული წესით: სახელით, ტიტულით და წარმომავლობის სახელით (ნისბა), ან შედარებით იშვიათად — მეტგვარით, რომელიც **ზადე** (ზოგ შემთხვევაში — **-ოღლი**) ფორმანტით იწარმოებოდა. მაგალითად, 1878 წელს სტამბოლში ჩასულ ბათუმელ ლაბებსა და ქვემო აჭარლებს წინამძღოლობდა **ალი-რიზა ფაშა ჰურშითბეზადე**, სამსუნში ჩასულ ქობულეთელებს — **ჩურუქსულუ ალი-ფაშა** (BOA, İ.MMS, 58/2694; BOA, Y.PRK.ASK, 20/56); ეს უკანასკნელი

იგივე **ალი-ფაშა თავდგირიძეა**, თუმცა ოსმალურ დოკუმენტში მისი ქართული გვარი, ბუნებრივია, ნახსენები არ არის.

ასევე: ქართული წარმოშობის თანამედროვე თურქი მკვლევრის — მურათ ქასაბის მიერ გამოქვეყნებულ მასალებში აღნიშნულია, რომ ქართველი მუჰაჯირების პირველი ნაკადი ამჟამინდელ დუზჯეს ილში მიუღიათ **1881 წლის 18 აგვისტოს**, მაჭახლელი **ალი-მუსტაფა ბალჯიოღლის** წინამძღოლობით. ეს ხალხი ბათუმიდან გემით გადმოუყვანიათ და დროებით დაუბინავებიათ თანამედროვე **აქჩაშეჰირის ილჩეს** ტერიტორიაზე (ქასაბი, 2019: 366). კიდევ ერთ დოკუმენტში კი, რომელიც 1882 წლით თარიღდება, მდ. ჩხალის და ბელღევანის ხეობებიდან სტამბოლში გადაყვანილ მუჰაჯირთა წინამძღოლად იხსენიება ვინმე **ჰაჯი ენვერ-ალა ოდაბაშოღლი** (იქვე: 368).

როგორც ვხედავთ, ამ ორ შემთხვევაშიაც, მუჰაჯირთა წინამძღოლები (რომლებიც რამდენადმე დაბალი წოდებისანი იყვნენ) აღრიცხული არიან ოსმალური სახელებითა და მეტეგვარებით, მათი ქართველობა კი დოკუმენტში არცაა მითითებული (მიუხედავად იმისა, რომ უეჭველად ქართველები იყვნენ); შდრ.: უამრავ სხვა ოსმალურ დოკუმენტში, რომლებიც აგრეთვე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან წასულ მუჰაჯირებს შეეხება, ხშირად გვხვდება ეთნონიმი **Gürcü „ქართველი“** სიაში მოხსენიებულ პირთა სახელების განსაზღვრებად; მაგალითად: **Gürcü Mehmed-ali Efendi Çelebioğlu** ანუ **„ქართველი მეჰმედ-ალი ეფენდი ჩელებიოღლი“**, **Gürcü muhaciri Yüzbaşıoğlu Şahveled ibn-i Arif** ანუ **„ქართველი მუჰაჯირი იუზბაშიოღლი შაჰველედ არიფის-ძე“** (BOA. MŞH. ŞSC. d. 8468/87) და მისთ. ვგონებთ, ნათელი უნდა იყოს, რომ ეს უკანასკნელნი არ მიეკუთვნებოდნენ მუჰაჯირთა წარმმართველ ჯგუფს, რამდენადაც, მუსლიმანობის მიუხედავად (რაც ჩანს, უპირველეს ყოვლისა, მათივე სახელებიდან), ხაზს უსვამდნენ საკუთარ ქართველობას; ოსმალური კულტურა მათთვის ნაცნობი, მაგრამ უცხო იყო. მუჰაჯირობის პირველ ეტაპზე ასეთი ხალხი შედარებით მცირერიცხოვანი იყო.

აქ აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ **მუჰაჯირთა წარმმართველი ჯგუფის ყველა წარმომადგენელი, ცხადია, თურქულს სხვადასხვაგვარ დონეზე ფლობდა — ბევრი კარგად ლაპარაკობდა ამ ენაზე, რადგანაც განათლება ოსმალეთში ჰქონდა მიღებული და ხელისუფლების მოხელე იყო, ზოგმა კი შედარებით სუსტად იცოდა; მიუხედავად ამისა, ხსენებული ჯგუფის ყველა წარმომადგენლისათვის თურქული გახლდათ პრესტიჟული ენა, ვინაიდანაც თავიანთ თავს აბსოლუტურად გააზრებულად მიიჩნევდნენ ოსმალეთის სულთნის ქვეშევრდომებად ანუ ოსმალებად. რასაკვირველია, ამით აიხსნება ის ფაქტიც, რომ მუჰაჯირთა სიებში თითოეული მათგანი აღრიცხულია წმინდა ოსმალური წესით, ყოველგვარი დამატებითი ეთნონიმის გარეშე.**

ღირსსაცნობია, რომ ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, **ზ. ჭიჭინაძე** ქობულეთელ მუჰაჯირთა ერთ-ერთ წინამძღოლს — **ყემპერ-ალა ფაშიოღლის (ჩივაძეს)** ასე ახასიათებს: „ამის წინაპარნიც ისეთივე ქართველები იყვნენ, როგორც სხვა ქართველ მაჰმადიანების. ესენი სცხოვრობდნენ სოფელ ხუცუბანში. თვით ფაშიოღლი ოსმალეთის სამსახურში მსახურებდა და ოსმალთს დროს ბათუმის ჯარის უფროსად ყოფილა. განათლება ამას სულ არ ჰქონია, ისე რომ არც თათრული წერა-კითხვა სცოდნია და არც ქართული. ქართულს ენაზე ეს ლექსებსაც სთხზავდა თურმე. ამის ზოგი ლექსები ხალხშიაც იციან ზეპირათ, ერთი ლექსი დაწერილიც ვიშოვე. სცოდნია მხოლოდ არაბულის ლოცვების კითხვა და იმის მეოხებით საშინელი ფანატიკოსიც ყოფილა, სწორედ ისეთივე, როგორც იყო ცნობილი ალი ფაშა თავდგირიძე. ეს ორი კაცი ერთი თვისებისანი იყვნენ, ერთის მიმართულების და ერთნაირი ფანატიკოსებიც. ამათის ანგარებით, მუხანათობით და ფანატიკოსობით ჩვენს ქართველს მაჰმადიანებს დიდ ზარალი და დაღუპვა მოუხდათ, რადგანაც ეს ანგარებით სავსენი და შურის მეძიებელნი ასახლებდნენ ქართველს მაჰმადიანებს საქართველოდამ და ოსმალეთში გადაჰყავდა. **ყემპერ ალა-ფაშიოღლის ომის გათავებისას რამდენს ემუდარებოდა თავ. გრ. გურიელი, რომ დაწყნარდი, ნუ მიხვალ სათათრეთშიო, ნუ ჰყრი ხალხს და ნუ აკარგვინებ ამ ძვირფასს ბინასაო. მაგრამ იმისაგან ყოველთვის უარი ისმოდა: არ შემეძლიან, მე, ბატონო, თათარი ვარ, მე აქ ვერ დავდგები, სათათრეთში უნდა წავიდეთ. თითონ წავიდა და თავისის ენით მგონი ორმოცი ათასი კაცი გადაასახლა ოსმალეთში“ (ჭიჭინაძე, 1912: 53; ხაზგასმა ჩვენია — ავტორთა ჯგუფი).**

ზ. ჭიჭინაძის ეს ცნობა მნიშვნელოვან ინფორმაციებს გვაწვდის: უპირველეს ყოვლისა, **აშკარაა, რომ ყემპერ-ალა ფაშიოღლი თურქულს ფლობდა მხოლოდ სასაუბრო დონეზე (არ იცოდა თურქული წერა-კითხვა), მისი მშობლიური ენა კი იყო ქართული (ლექსებს თხზავდა ქართულად); მიუხედავად ამისა, თურქულს მიიჩნევდა პრესტიჟულ ენად და საკუთარ თავს გააზრებულად თვლიდა ოსმალთად (იმჟამინდელ საქართველოში მიღებული ტერმინოლოგიით — „თათრად“). მეორე მხრივ, აშკარადვე ჩანს ისიც, რომ მას, როგორც ძირად ქართველსა და წარჩინებულს, იმთავითვე ახლო ურთიერთობა ჰქონდა ქრისტიან ნათესავებთანაც, თუმცა მათ ანგარიშს არ უწევდა, ვინაიდან არ ქართველობდა.**

ბუნებრივია, ამგვარი მსოფლმხედველობის მუჰაჯირები აღრიცხვის დროს არამც და არამც არ გაამახვილებდნენ ყურადღებას თავიანთ ეთნიკურ წარმომავლობაზე და არც „ნისბად“ მიუთითებდნენ ეთნონიმს — ზემოთ უკვე ითქვა, რომ **ალი-ფაშა თავდგირიძე** ოსმალურ დოკუმენტებში მოიხსენიება „ქობულეთელ (ჩურუქსუელ) ალი-ფაშად“ და არა „ქართველ ალი-ფაშად“. ასევე ბუნებრივია ისიც, რომ ოსმალეთში გადასვლის შემდგომ, ამ ხალხის უმეტესობამ არაკომპაქტურად, დიდ ქალაქებში დასახლება ამჯობინა; სწორედ ამიტომ, მათი შთამომავლობა ენობრივად სწრაფად ასიმილირდა.

წარმმართველი ჯგუფის გარდა, მუჰაჯირთა ნაკადში გამოიყოფოდა ასევე, მეორე ჯგუფიც, რომელთაც **მიმდევრებს** ვუწოდებთ. ესენი იყვნენ ის პირები, რომლებიც მუდამ ხაზს უსვამდნენ საკუთარ ქართველობას. წოდებით ისინიც უმეტესად წარჩინებულები იყვნენ, თუმცა წარმმართველი ჯგუფის წარმომადგენელთაგან განსხვავებით, **სავსებით ქართული თვითშეგნება ჰქონდათ, მათი დედაენა ქართული იყო; იცოდნენ თურქულიც, მაგრამ მას იყენებდნენ, როგორც ოსმალებთან საურთიერთო ენას. ამ ხალხს მუჰაჯირად წასვლა მოუწია სახელდობრ იმიტომ, რომ ვერ ურიგდებოდა სრულიად საქართველოს რუსთა ხელში მოქცევას:** ვიდრე საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი ოსმალებს ებყრათ, მათ იმედი ჰქონდათ, რომ სულთნის დახმარებით, მალევე საქართველოს სხვა კუთხეებიდანაც განდევნიდნენ რუსებს.

ქართული წარმომობის თანამედროვე თურქი მკვლევრის — მურათ ქასაბის მიერ მოძიებულ დოკუმენტებში მიმდევართა ჯგუფის წარმომადგენლები ფიქსირებული არიან წმინდა ქართული გვარით¹⁹; მაგალითად, 1881 წლის 13 ოქტომბრით (ჰიჯრით: 1298 წლის 13 თემზინ-ი-ვეველით) დათარიღებულ არბას, რომლითაც ქობულეთიდან ფაცაში 1879 წელს გადასულმა მუჰაჯირებმა მიმართეს ბოლამანის ნაპიეს მესვეურებს, ხელს აწერენ ინოლლი (= ინაიშვილი) ქიბარ ალა, თხილოლლი (= თხილაიშვილი) ჰასან ეფენდი, თესიქოლლი ჰასან ალა, **ბაჯელიძე მემედ ალა, ხინიკაძე სულეიმანი**, ბეჯიოლლი ქაპრამანი (ქასაბი, 2019: 247). მუჰაჯირთა 80 ოჯახის სახელით, ისინი ითხოვენ ფაცაში, **ქაბაქდაღად** (თურქ. **Kabakdağ**) წოდებულ ადგილას დასახლებას.

მუჰაჯირთა ეს მოთხოვნა ბოლამანის ნაპიეს მესვეურებმა დაუყოვნებლივ — 1881 წლის 16 ოქტომბერს დააკმაყოფილეს. ქაბაქდაღში დაარსდა სოფელი, რომელსაც **სამება** ეწოდა (ქობულეთის ერთ-ერთი სოფლის მოსაგონრად). დოკუმენტებში შემონახულია ამ სოფლისათვის მიწების მთავარ შემსყიდველთა სიაც, რომელიც პირველად გამოაქვეყნა მურათ ქასაბმა (ქასაბი, 2019: 247-248) და ჩვენც აქვე წარმოვადგენთ:

ბეჯიოლლი ალი ალა ბინ მეჰმეთ²⁰
სულეიმან ალა ბინ აბდულაჰ
იუზბაში სულეიმან ალა ბინ სელიმ
მესხიძე სულეიმან ალა ბინ ალი

¹⁹ მიმდევართა ჯგუფის წარმომადგენელი მუჰაჯირების არცთუ მცირე ნაწილი სიძესა თუ დოკუმენტებში აღრიცხულია ასევე ეგზოტონონიმით **Gürücü „ქართველი“**, შედარებით იშვიათად — თემონიმებით: **აჭარელი, ჩაქველი, ლაზი...** საყურადღებოა, რომ **თემონიმები თურქულ ტექსტში ქართული ფორმითაა ჩაწერილი**, მაგალითად, **აჭარელი მეჰმეთ-ალი** წერია, როგორც **أجارلى مهت-الى** (ლათინური ანბანით: **Acareli Mehmet-Ali**), ანუ თითქმის ისე, როგორც პიროვნება თვითონვე წარმოთქვამდა; შდრ.: ალი-ფაშა თავდგირიძე ოსმალურ დოკუმენტებში ყოველთვის მოიხსენიება, როგორც **Çürüksulu** — ე.ი. თემონიმის, სახელდობრ, ოსმალური და არა ქართული ფორმით (იხ. აქვე, ზემოთ).

²⁰ **ბინ** არაბული თავსართი ნაწილაკია და ნიშნავს „ძეს“. ის იხმარებოდა ოსმალურ-თურქულ სამწიგნობრო ენაშიც XX საუკუნის 20-იან წლებამდე. ოსმალურ დოკუმენტებში შეინიშნება ასეთი ტენდენციაც: მაღალი ფენის წარმომადგენლთა პატრონიმები (მამის სახელები) ნაწარმოებია ამ არაბული ნაწილაკით, დაბალი ფენის წარმომადგენლებისა კი — მისი თურქული **-oğlu** ეკვივალენტით.

ქათამიძე ჰუსეინ ჩავუშ ბინ ისმაილ

ბოშიოლლი ჰასან ალა ბინ ალი

ბაჯელიძე არსლან ჩავუშ ბინ ჰუსეინ

ქათამიძე ისმაილ ალა, სოფლის თავკაცი.

მაშასადამე, 1881 წლის 13 ოქტომბრით დათარიღებულ წერილზე ხელისმომწერთა შორისაც და ქაბაქდაღის/სამების მიწის შემსყიდველთა შორისაც ჩანან მიმდევართა ჯგუფის წარმომადგენლები, რომელთა სახელები და გვარებიც გამუქებულია. უდავოა, რომ **ოსმალურ დოკუმენტში ქართული გვარის დაფიქსირება მიუთითებს პიროვნების აშკარად გამოხატულ ქართულ თვითშეგნებაზე**. აქვე დავძინთ იმასაც, რომ **ბაჯელიძე და ბეჯიოღლი** ერთი და იგივე გვარია — პირველი ფორმა წმინდა ქართულია, მეორე კი წარმოადგენს ოსმალურ მეტგვარს, რომლის ეპონიმიც ქართულია, თუმცაღა რამდენადმე შეცვლილი. ამდენად, ერთსა და იმავე სიაში სისხლით ნათესავები აღრიცხული არიან სხვადასხვაგვარად, რაკი მათი დამოკიდებულება ოსმალეზისადმი სხვადასხვაგვარი იყო. ზოგჯერ კი იმან, ვინც მუჰაჯირთა აღმრიცხველებს ოსმალურ მეტგვარს უსახელებდა, არ იცოდა ქართული წერა-კითხვა.

აღსანიშნავია, რომ მოგვიანებით, XX საუკუნის 10-იან წლებში, სოფ. ქაბაქდაღ-შივე ცხოვრობდნენ **ბაჯელიძეოღლი ჰასან ბინ ჰასან და ბეჯიოღლი სულეიმან ალა ბინ რიდვან** (რომლებიც **არსლან ჩავუშ ბაჯელიძის** ოჯახიდან იყვნენ); ასევე, **გორგაძეოღლი ჰუსეინ ბინ ქემალ**. ეს უკანასკნელი გარდაცვლილა 1911 წლის 1 ნოემბერს (ქასაბი 2019: 249). როგორც ვხედავთ, მიმდევართა ჯგუფის წარმომადგენელთა შთამომავლები უკვე დაფიქსირებული არიან **-ოღლი** დაბოლოებიანი გვარებით, რომელთა ეპონიმიც წმინდა ქართულ გვარსახელს წარმოადგენს, ანდა — იმ ოსმალური მეტგვარით, რომელსაც მათი წინაპარი არც კი იყენებდა. რასაკვირველია, ქართული გვარსახელების ამგვარ ყაიდაზე „გაოსმალურება“ მიუთითებს იმაზე, რომ მიმდევართა წარმომადგენლების ოსმალეთში დაბადებული თაობა — შვილები და შვილიშვილები, მართალია, კარგად ინარჩუნებდნენ წინაპართა მემკვიდრეობასა და მშობლიურ ენას, მაგრამ იმავდროულად, ცდილობდნენ ოსმალურ საზოგადოებრიობაში ინტეგრირებასაც. ასე რომ, **თუკი XIX საუკუნის 80-იან წლებში ქობულეთიდან ოსმალეთში მუჰაჯირად წამოსულმა არსლან ჩავუშ ბაჯელიძემ თურქული ენა იცოდა, მაგრამ არ იყო ორენოვანი და ჰქონდა სრულფასოვანი ქართული თვითშეგნება, XX საუკუნის 10-იანი წლების დასაწყისისათვის მისი შთამომავლები უკვე ორენოვანი იყვნენ: თურქული მათთვის იყო არა უცხო, არამედ — მაღალპრესტიჟული, ოფიციალური ენა. შესაბამისად, გვარსაც აფიქსირებდნენ „გაოსმალურებული“ ფორმით და არა წმინდა ქართულად**. ცხადია, ქართული თვითშეგნება მათაც ჰქონდათ — ქართული მათი დედაენა იყო, მაგრამ თავს ოსმალურ საზოგადოებრიობასაც მიაკუთვნებდნენ.

ამ მხრივ, ძალიან საინტერესოა აგრეთვე ფაცას მხარეში სოფელ **ჰასანჯიქ ფინარის** (თურქ. **Hasancık Pınar**) დასახლების ისტორია: დოკუმენტების თანახმად, ეს სოფელი ტრაპიზონის ვილაიეთის მესვეურთ 1881 წლის ივლისში უწყალობებიან იმ ქობულეთელ მუჰაჯირთათვის, რომლებიც ოსმალეთში **ალი-ფაშა თავდგირიძეს** ჩამოჰყლიან და ქ. ორდუში დაბინავებულან დროებით. სამოსახლოდ გადაცემული მიწის ფართობი 6000 დენუმი (დაახლ. 6 კმ²) ყოფილა და ზედ დაუსახლებიან შემდეგ პირთა ოჯახები:

- ჩავეშოდლი არსლან
- დუმანაღაოღლი ყანბერ
- დუმანოღლი რეშიდ
- ჩურუქსულუ ჩავეშოდლი ჰასან ჩავეშ
- ჩავეშოდლი ხურშიდ ჩავეშ
- ქანჯიოღლი ოსმან
- ჩავეშოდლი ჰუსეინ
- ბიზიოღლი ყარამან ჩავეშ
- ბიზიოღლი სელიმ
- ხარატოღლი ჰასან
- ბაჰაროღლი არიფ ეფენდი
- ბავეჯოღლი ოსმან ეფენდი
- მხაროღლი ოსმან (უმცროსი)
- უსტაალიოღლი ჰუსეინ
- ქანჯიოღლი ჰულუსი

მოწყობილი ჰასან

მოწყობილი ყარამან

მხაროღლი არსლან ჩავეშ

თამიძე ჰულუსი

ბილალოღლი ჰასანი

ტაკიძე ყანბერ

ოქრობილოღლი ჰასან

შავიოღლი აჰმეთ

ქასიმაღაოღლი ქიბარ

ქანჯიოღლი სეფერ

შავიოღლი მუსტაფა

დავითელოღლი ისმაილ

დავითელოღლი ჰასან

ნათიძე რეჯებ

ნადიძე იუსუფ

ბავუჯოღლი აჰმეთ
დავითელოღლი მეჰმედ
დუმანოღლი მემედ-ალი
ჩაეუშოღლი შირინ-ალი
ჩაეუშოღლი არიფ
თაჯიროღლი ჰასან
თაჯიროღლი მეჰმეთ
ქანჯიოღლი ისმაილ

გოლიაძე რეჯეფ

დელი-ისმაილოღლი აჰმეთ
ბავუჯოღლი მეჰმედ-ალი
დავითელოღლი მაჰირ
დავითელოღლი ქიბარ-ალა
დავითელოღლი ხურშიდ

ტაკიძე მურად

ბავუჯოღლი მეჰმედ
ბავუჯოღლი ჰასან

ტაკიძე ოსმან

ბავუჯოღლი ყარამან
მახაროღლი ალი
სარი-ალიოღლი მუთი
ბავუჯოღლი ოსმან (უმცროსი)
ოქროზილოღლი ალი-ალა
ოქროზილოღლი ჰასან
ოქროზილოღლი ჰუსეინ
მახაროღლი სულეიმან
წერეთელოღლი ალემდარ
წერეთელოღლი ჰასან
ჩაეუშოღლი მეჰმედ
წერეთელოღლი მოლა ოსმან

ბაჯელიძე სერდარ

რათილოღლი აჰმეთ
რათილოღლი ოსმან
ჯინჭაროღლი ჰასან

ჩაქველი არსენ (ქასაბი, 2019: 251-252)

ამ სიაში გამუქებული გვაქვს იმ პირთა სახელები და გვარები, რომლებიც სწორედ მიმდევართა ჯგუფის წარმომადგენლები უნდა ყოფილიყვნენ. როგორც ვხედავთ, სიაში

მოხსენიებულ პიროვნებათა უმეტესობას ქართული ეპონიმიტ ნაწარმოები ოსმალური მეტგვარები აქვს; მაგალითად: ხარატოლლი = ხარატი, ბავუჯოლლი = ბაუჯაძე, შავიოლლი = შავიშვილი, ოქროპილოლლი = ოქროპილაშვილი, დავითელოლლი = დავითელაშვილი, მახაროლლი = მახარაძე, ჯინჯაროლლი = ჯინჯარაძე, წერეთელოლლი = წერეთელი და მისთ. ხოლო წმინდა ქართული ფორმით მოცემული გვარები: **ნათიძე/ნადიძე, ბაჯელიძე, ტაკიძე, გოლიაძე, მოწყობილი...** შედარებით იშვიათია, რამდენადაც მიმდევართა ჯგუფი თავისთავად, მუჰაჯირთა შორის არცთუ მრავალრიცხოვანი იყო. აქვე, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს **ჩაქველი არსენ** – ეს პიროვნებაც, უდავოდ, მიმდევართა ჯგუფიდან უნდა ყოფილიყო, რამდენადაც მისი სახელი (რომელიც სიაში მოცემულია გვარის გარეშე, ოდენ თემონიმთან ერთად) ქრისტიანული წარმოშობისაა.

აქვე წარმოვადგენთ ჰასანჯიქ ფინარში სხვა სოფლებიდან მოსული მუჰაჯირების ოჯახების უფროსთა სახელებსა და გვარებს. მაგალითად, **ქირაზდერეს** (თურქ.

Kirazdere) უბანში ჩაუსახლებიათ ოჯახები, რომელთა უფროსებიც იყვნენ:

აჭარელი მეჰმეთ-ალი

- ალიაღაოლლი სულეიმან ჩაუშ
- ყარაყუშოლლი ჰუსეინ
- ხახვაოლლი ჰასან
- ჯინჯაროლლი იუსუფ
- ჯინჯაროლლი ჰასან
- ჯინჯაროლლი მეჰმედ

ჰასანჯიქ ფინარისვე **ქურდდერეს** (თურქ. **Kurtdere**) უბანში ჩაუსახლებიათ ოჯახები, რომელთა უფროსებიც იყვნენ:

- მაკაროლლი ჰასან
- სელიმ-ალაზადე აჰმეთ ეფენდი
- სელიმ-ალაზადე ჰუსეინ
- სელიმ-ალაზადე გულ-აჰმეთ
- ფაშაზადე ფერჰათ
- ჯეჯალოლლი ჰასან
- სარი-ალიოლლი ყარამან
- დელი-ისმაილოლლი ათი-ალი

გოგიძე აჰმეთ

- დელი-ისმაილოლლი ჰუსეინ
- დელი-ისმაილოლლი რეშიდ
- ქაზგანჯიოლლი ხურშიდ

როგორც ვხედავთ, ამ სიებში მოხსენიებულთაგან წმინდა ქართული გვარით ერთი პირია აღრიცხული, თუმცა ჩვენი აზრით, **აჭარელი მეჰმეთ-ალიც** მიმდევართა ჯგუფის წარმომადგენელი უნდა იყოს. ამავე სიაში აღრიცხული არიან წარმმართველთა ჯგუფის

წარმომადგენლებიც: **სელიმ-აღაზადე აჰმეთ ეფენდი, სელიმ-აღაზადე ჰუსეინ; სელიმ-აღაზადე გულ-აჰმეთ; ფაშაზადე ფერჰათ.** ჩვეულებისამებრ, მათი მეტგვარები ოსმალურ-სპარსული **-ზადე** ფორმანტითაა ნაწარმოები.

სამოსახლო ადგილთა უკმარობის გამო, სოფელ ჰასანჯიქ ფინარიდან ქალაქ ფაცაში გაუბრუნებიათ ოჯახები, რომელთა უფროსებიც იყვნენ:

ჯინჯაროლლი ჰუსეინ

უსთა შეჰირ

ხოჯაოლლი შაქირ

ხოჯაოლლი ბურჰან

ანანიძე არიფ

ანანიძე მეჰმეთ

ანანიძე ოსმან

ანანიძე მურათ

ანანიძე ჰასან

ანანიძე ჰულუსი

აჭარელი ისმაილი

ანანიძე მეჰმეთ

ჩაქველი მეჰმეთ-ალი

ჯინჯაროლლი აზიზ-ალი

ომეროლლი ოსმან

ანანიძე იუსუფ

ჯინჯაროლლი ალი

ჰასანჯიქ ფინარიდან გაბრუნებულ მუჰაჯირთა რამდენიმე ოჯახი ჩაუსახლებიათ ახალ ადგილას. სოფელს დარქმევია **ჩაქმაქ ქაია** (თურქ. **Çakmak Kaya**). ქვემოთ მოგვყავს ხსენებული ოჯახების უფროსთა სახელები და გვარები:

ჯავიოლლი ხურშიდ

გუგუნავა სულეიმან

შაქრიოლლი ჰასან

შაქრიოლლი ემინ

შაქრიოლლი ჰასან

შაქრიოლლი ჰუსეინ

შაქრიოლლი ეიუფ

გუგუნავა ოსმან

კაკალოლლი დურსუნ

ხარალოლლი მუსტაფა

ჯინჯაროლლი ქიბარ

ჭახალოლლი მეჰმეთ

ჭახალოლი ჰასან

ბეჯიოლი აჰმეთ

გოგიძე ალი (ქასაბი, 2019: 253)

ღირსსაყნობია, რომ როგორც მიმდევართა ჯგუფის წარმომადგენელი მუჰაჯირების დღევანდელი შთამომავლები გადმოგვცემენ, მათმა წინაპრებმა იცოდნენ ქართული წერა-კითხვაც. ქალაქ ფაცაში, **ვეფათ ოზგუნ კაკალაძის** ოჯახში, ჩვენ ვნახეთ ე.წ. „დედაბრული ხელით“ ნაწერი წერილი, რომელიც ზემოთ მოყვანილ სიაში მოხსენებულ **ოსმან ანანიძეს**, უკვე ღრმად მოხუცებულს, საქართველოში — ქობულეთში დარჩენილი ნათესავებისთვის გაუგზავნია 1930 წელს. წერილი დანიშნულების ადგილას ვერ ჩასულა და ფოსტას უკანვე მოუბრუნებია გამგზავნისათვის. ოსმან ანანიძის გარდაცვალების შემდგომ წერილი ჯერ მისი შვილის ოჯახში ინახებოდა, მერე კი შვილთაშვილმა — ვეფათ ოზგუნმა წამოიღო.



ფაცას გარდა, დუზჯესა და ბურსა-ინეგოლშიც მუჰაჯირთა შთამომავლებს დღემდე ახსოვთ საქართველოში დაბადებულ იმ წინაპართა ვინაობა, რომლებმაც ქართული წერა-კითხვა კარგად იცოდნენ და ცდილობდნენ, რომ ახალი თაობისთვისაც ესწავლებინათ. მაგალითად, ინეგოლის ილჩეს სოფელ ჰაირიეში, **შენტურქების (კირკიტაძეების)** ოჯახში ჩვენ გვაჩვენეს ხის სამფეხა სკამზე ამოკაწრული ქართული ასოები და განგვიმარტეს, რომ მათი დიდი ბაბუა — **დურსუნ-ალა კირკიტაძე** — ოსმალეთში დაბადებულ „ბაღვებს“ წერა-კითხვაში ავარჯიშებდა ხოლმე.

ამასთან დაკავშირებით, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი რამ: ოსმალეთის დედაქალაქ სტამბოლში XIX საუკუნის შუა წლებიდან არსებობდა არცთუ მცირერიცხოვანი ქართული დიასპორა. ის, ძირითადად, სამცხე-ჯავახეთის მკვიდრთაგან შედგებოდა. 1861 წელს სტამბოლის ფერიქფოის უბნის ბომონთის კვარტალში ცნობილმა ქართველმა საზოგადო და სასულიერო მოღვაწემ, აბატმა **პეტრე ხარისჭირაშვილმა** (1804-1892) დააარსა ლურდის ღვთისმშობლის სახელობის ქართველ კათოლიკეთა მონასტერი (ქართულენოვანი ტიპიკონით), რომელიც მალე ქართული კულტურის ნამდვილ კერად იქცა. მონასტრის დაარსებიდან ერთი წლის შემდეგ, იქვე შეიქმნა ქართულ-კათოლიკური სასულიერო სასწავლებელი, სადაც საღვთისმეტყველო საგნებთან ერთად ისწავლებოდა **ქართული ენის გრამატიკა, ქართული ლიტერატურა, საქართველოს ისტორია**. 1870 წელს დაარსდა ქართული სტამბაც და ფართოდ გაიშალა საგამომცემლო საქმიანობა. 1870-1881 წლებში ამ სტამბაში დაიბეჭდა და საქართველოში გავრცელდა 30-ზე მეტი სხვადასხვა შინაარსისა თუ დანიშნულების წიგნი (ვრცლად იხ. ფუტკარაძე, 2012: 42).

ასე რომ, ოსმალეთის იმპერიაში ქართველ მუჰაჯირთა გამოჩენის პერიოდისათვის სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა კონგრეგაცია უკვე საკმაოდ ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდა. პეტრე ხარისჭირაშვილის მონდომებითა და თაოსნობით, კონგრე-

გაციის მესვეურები დაუკავშირდნენ სტამბოლსა და მის ახლომახლო დასახლებებში მრავლად მყოფ ქართველ მუჰაჯირებს (უპირატესად — მიმდევართა ჯგუფის წარმომადგენლებს) და უზრუნველყვეს ისინი საცხოვრებელითა თუ პირველადი მოხმარების საგნებით, ასევე, დიდი დახმარება გაუწიეს ხელისუფლებასთან ურთიერთობის დამყარებისას. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის იყო, რომ **ბევრმა მუჰაჯირმა სწორედ სტამბოლელ ქართველთაგან ისწავლა ქართული წერა-კითხვა**: ამ სტრიქონების ავტორებმა 2022 წლის ივლისში ქალაქ ინეგოლში მცხოვრები **ებრუ ათასერთისგან** (წარმომავლობით — ზემოაჭარელი, 82 წლისა. ქართული გვარი — **შავაძე**) ჩავიწერეთ საყურადღებო გადმოცემა იმის შესახებ, თუ როგორ შეიფარეს სტამბოლში ქართველმა [კათოლიკე] მღვდლებმა მისი დიდი ბაბუა — 12 წლის ბიჭი, რომელსაც მშობლები აჭარიდან წამოსვლისას დაღუპოდა. ვიდრე ახლო ნათესავებს მონახავდა, ბიჭი მონასტრის თავმესაფარში ცხოვრობდა და იქ ისწავლა ქართული წერა-კითხვა. ასევე: დუბჯეს ილჩეს სოფელ **მელენაღზიში** (თურქ. **Melenağzi**) მცხოვრებმა **ჯემალ ოზთურქმაჯ** (წარმოშობით — ქედელი, 89 წ. ქართული გვარი ვერ გაიხსენა და დაგვისახელა მეტგვარი — **ხაილოლი**), ჩვენთან საუბარში აღნიშნა: **როდესაც მუჰაჯირები სტამბოლში ჩავიდნენ, იქ არსებობდა სკოლა, სადაც ქართველი მასწავლებლები იყვნენ და ქართველი ბავშვები სწავლობდნენო. ჩემი წინაპრები მუსლიმანები კი იყვნენ, მაგრამ ბავშვები მაინც მიიბარეს იმ სკოლაში, ქართული რომ არ დავიწყებოდით და წერა-კითხვა ესწავლათო.**

ინეგოლის ილჩეს სოფელ **ბაჰჩექაიაში** (**Bahçekaya**) — ზემო აჭარიდან (შუახევის სოფ. გოგაძეებიდან) წამოსული **ვახტანგაძეების (ბაშთურქების)** ოჯახში — ვნახეთ საგვარეულო რელიქვია — 1914 წელს სტამბოლში გამოცემული „**პატარა ქართული ანბანი**“, საგანგებოდ „ოსმალის ქართველთათვის“. როგორც ოჯახის უფროსმა — **აჰმეთ ბაშთურქ-ვახტანგაძემ** და მისმა ძმამ, **ოსმან-ნური ბაშთურქ-ვახტანგაძემ** განგვიცხადეს, წიგნი მათი დიდი ბაბუისათვის უჩუქებია ერთ-ერთ სტამბოლელ ქართველ კათოლიკეს და ვახტანგაძეთა რამდენიმე თაობას მისი მემკვიდრეობით უსწავლია წერა-კითხვა, თუმცაღა შემდგომ, როცა თურქული ენა ლათინურ გრაფიკაზე გადავიდა, სოფელში კი მთავრობამ თურქული სკოლა გახსნა, „პატარა ქართული ანბანი“ მხოლოდ რელიქვიად იქცა — ახალი თაობა მას ვეღარ კითხულობდა; თან ერჩივნათ თურქული წერა-კითხვა ესწავლათ, რაკი თურქეთში უწყევდათ ცხოვრება: ვიდრე საბჭოთა კავშირი არ დაიშალა, ჩვენ გვეგონა, რომ გურჯისტანში ქართული აღარ იცოდნენ და ყველა რუსულად ლაპარაკობდაო, გვითხრა ოსმან-ნური ბაშთურქ-ვახტანგაძემ.



მაშასადამე, „პატარა ქართული ანბანის“ მსგავსი წიგნები იმთავითვე ფართოდ იყო ხელმისაწვდომი სტამბოლსა და მის მიმდებარედ მოხვედრილი მუჰაჯირებისთვის. აქვე აღსანიშნავია, რომ რადგან ქართულ-კათოლიკური კონგრეგაცია ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე უშუალოდ ხელისუფლების ნებართვით მოქმედებდა, მისი გამოცემები არ იკრძალებოდა (მაშინ, როცა რუსეთის იმპერიაში გამოცემული წიგნების ოსმალეთში შეტანა სასტიკად იყო აკრძალული); ამიტომ, ტირაჟიც საკმაოდ ჰქონდა და ქვეყნის ყველა კუთხეში იგზავნებოდა. მიმდევართა ჯგუფის ზოგი წარმომადგენელი ქართულ ანბანს, სათანადო ოსმალურ-არაბული შესატყვისებითურთ, ხელით იწერდა და ოჯახის წევრებს ასწავლიდა. ინეგლის ილჩეს სოფელ ჰაირიეს ერთ-ერთმა უხუცესმა მკვიდრმა — **მეჰმეთ-ალი ობქანმა** განგვიცხადა: **ჩვენში, მამაკაცებმა უმეტესად ოსმალურ-თურქული ანბანი იცოდნენ, ქალებმა კი — ქართული**. მისივე ცნობით, **გასული საუკუნის 50-იან წლებამდე მუჰაჯირთა შთამომავალი ქალები ქართულ ასოებს ნაყშებივით ქარგავდნენ ხოლმე**.

მიმდევართა ჯგუფის წარმომადგენელი მუჰაჯირების აბსოლუტურ უმრავლესობას ოსმალეთში გადასვლის შემდეგ არანაირი პრივილეგია არ მიუღია. პირიქით, მათ ძალზე ხშირად აღიქვამდნენ, როგორც არასანდო პირებს. დავძენთ იმასაც, რომ მოგვიანებით — XIX საუკუნის 80-იანი წლების შუახანებიდან ვიდრე 1914 წლამდე, სწორედ ეს ხალხი იყო ქართველ მუჰაჯირთა საქართველოში დასაბრუნებლად დაწყებული მოძრაობის მთავარი ინიციატორი. პირველი მსოფლიო ომის დროსაც, ოსმალეთის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში „ქართული ლეგიონი“ უშუალოდ მათი მონაწილეობითა და აქტიური მხარდაჭერით შეიქმნა (ბატიაშვილი, 2008: 45-46). სხვაგვარად რომ ვთქვათ, მიმდევართა ჯგუფის წარმომადგენლებს, ფაქტობ-

რივად, თითქმის არასოდეს დაუკარგავთ კავშირი საქართველოსთან. ქართველურ-ენოვან მუჰაჯირებს შორის ისინი იყვნენ უპირველესი კულტურტრეგერები.

მუჰაჯირთა მესამე, ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს შეადგენდნენ ის ადამიანები, რომლებმაც მხოლოდ მშობლიური ენა — ქართული იცოდნენ. მათ მუჰაჯირად წასვლა იძულებით ანდა შიშის გამო მოუწიათ: ზოგი ბეგებს, აღებსა და მოლებს დაემორჩილა, ზოგს რუსებმა დაატოვებინეს სახლ-კარი, ზოგი კი ოსმალეთის დამარცხებამ დააფრთხო. ამ ხალხს ჩვენ „მასის“ სახელწოდებით მოვიხსენიებთ. მუჰაჯირთა სიებში ისინი, როგორც წესი, აღრიცხული არიან სახელებითა და ოსმალური მეტეგვარებით, რომელთა ფუძეები (ანუ ეპონიმები) ან ქართულია (მაგალითად, **ბავუჯოღლი = ბაუჟაძე, ოქროპილოღლი = ოქროპილაშვილი, კაკალოღლი = კაკალაძე და ა.შ.), ან მომდინარეობს გამუსლიმანებული წინაპრის სახელიდან²¹. იშვიათად, ოსმალური მეტეგვარების ეპონიმებად გვაქვს ხელობის აღმნიშვნელი სახელებიც, მაგალითად **კაზანჯიოღლი** (< თურქ. **Kazancı oğlu** „მექევაბის შვილი“), **კალაჯიოღლი (Kalaycı oğlu** „მკალავის შვილი“)... როგორც წესი, სწორედ ამ ხელობისანი უნდა ყოფილიყვნენ მათი პირველად გამუსლიმანებული წინაპრები.**

იმ ფაქტს, რომ მუჰაჯირთა მასის წარმომადგენლებმა ქართულის გარდა, სხვა ენა არ იცოდნენ, უპირველეს ყოვლისა, ადასტურებს მათივე შთამომავლებისაგან ჩაწერილი გადმოცემები. მაგალითად, ჩვენს შეკითხვაზე — როგორ შეძლეს სამშობლოდან ასე შორს გადმოხვეწილმა ქართველებმა მშობლიური ენისა და თვითშეგნების შენარჩუნება, ქალაქ ინეგოლში მცხოვრებმა **შუქრიე ქუშ-ბეჟანიძემ** (წარმოშობით ჩაქველმა) ამგვარი პასუხი გაგვცა: **ჩვენმა წინაპრებმა, რომლებიც აქ ჩამოვიდნენ, თურქული არ იცოდნენ; ამიტომაც დასახლდნენ ერთად სოფელში — ზუსტად ისე, როგორც სამშობლოში იყვნენ და განაგრძეს ტრადიციულად ცხოვრებაო.** სინოპის ილჩეს სოფელ **ვეისელში (Veysel)** მცხოვრებმა **ჰასან გაირეთთინმაც** (წარმოშობით ბორჩხელმა, ქართული გვარი ველარ გაიხსენა) გვითხრა: **აქ ჩამოსული ჩვენი წინაპრებიდან უმეტესობა მხოლოდ ქართულად ლაპარაკობდა, თუმცა მუსლიმანი იყო**

²¹ მეტეგვარის წარმოქმნის თავისებურებანი ჩვენ 2005 წელს კარგად აგვიხსნა მურდულელმა ლაზმა **ჰუსეინ ოზილიძემ** (გენჯალოღლი-ჭანიძე) თავისი წინაპრების მაგალითზე — ოსმალთა მიერ მურდულის ხეობის დაპყრობის შემდეგ მურდულელ ჭანიძეთა გვარში ყველაზე ადრე ისლამი მიადებინეს ვინმე **ნანიას** და უწოდეს **ალი**. მერე მისმა ბიძაშვილმაც შეიცვალა რჯული და იმასაც დაარქვეს **ალი**. მცირე ხნის შემდეგ ორივეს ეყოლა ვაჟიშვილები, რომლებსაც მამების მუსლიმანური სახელებიდან გამომდინარე, მეტეგვარად დაუწერეს **ალი-ოღლი**; ოღონდ, რომ გაერჩიათ, თუ ვინ რომელი ალის შვილი იყო, მიმართეს ასეთ ხერხს: რადგან ნანია უფრო ახალგაზრდა იყო, მის შვილს უწოდეს **გენჯ-ალი-ოღლი** („ახალგაზრდა ალის შვილი“), ხოლო რადგანაც ნანიას ბიძაშვილი შავგვრემანი იყო, მის შვილს უწოდეს **ყარა-ალი-ოღლი** („შავი ალის შვილი“). შემდგომ ეს ორი მეტეგვარი ტრანსფორმირდა, როგორც **გენჯალოღლი** და **ყარალოღლი**; 1934 წელს მურდულელმა გენჯალოღლებმა გვარად დაიწერეს **თზილიძე**, ყარალოღლებმა კი — **ოზგუნი**. ქართველი მუჰაჯირების დღევანდელ შთამომავალთაგან აჭარულ დიალექტზე მეტყველნი ოსმალურ მეტეგვარებს „**ლადაბების // ლაღუბების**“ (< თურქ.-არაბ. **Lakap** „მეტსახელი“) სახელით მოიხსენიებენ, ხოფურ-ჩხალურ (ლაზურ) დიალექტზე მეტყველნი კი — „**ძეგლის**“ სახელით.

და ოსმალებისათვის ეს კმაროდა. ხელისუფლებამ კარგად იცოდა, რომ ქართველები მიწათმოქმედი ხალხი ვიყავით და ამიტომ არ დაუშლია ჩვენთვის სოფლად კომპაქტურად დასახლება – პირიქით, ხელიც შეგვიწყო. ასევე, დუზჯეს ილჩეს სოფელ დოკუზქოიში (Dokuzköyü) მცხოვრებმა ლაზმა აბდულლაჰ ათასერინმაც (წარმოშობით ჩხალელმა) აღნიშნა: იმ ლაზებმა, რომლებიც ბათუმიდან ჯერ სტამბოლში, მერე კი აქეთ – დუზჯეში გადმოიყვანეს და დაასახლეს, თურქული საერთოდ არ იცოდნენ, მხოლოდ ლაზურად ლაპარაკობდნენ, მაგრამ მუსლიმანები იყვნენ, თანაც ხურობა ეხერხებოდათ და ხელისუფლებამაც სწორედ ამიტომ დართო ნება, კომპაქტურად დასახლებულიყვნენ იმ ადგილებში, სადაც თავადვე ისურვებდნენო.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ყველა ქართველი მუჰაჯირი სამშობლოში ცხოვრების დროსაც ოსმალეთის იმპერიის ქვეშევრდომად ითვლებოდა. სწორედ ამის გამო, ოსმალთ ხელისუფლება და უბრალო ხალხი მათ უფრო თავისიანებად აღიქვამდა (ისევე როგორც, მაგალითად, ოსმალეთისვე ქვეშევრდომ არათურქ, მაგრამ რწმენით მუსლიმან ეთნოსებს – ბოსნიელებსა და ალბანელებს²²), ვიდრე აფხაზებს ან ჩრდილოკავკასიელებს, რომელთა საცხოვრისი მიწებიც ოსმალეთის იმპერიამ ადრე – XVIII საუკუნის შუა წლებში დათმო. ამ უკანასკნელთ რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წწ. ომის შემდგომ, ახალი სამოსახლოები, ძირითადად, არათურქულ რეგიონებში (სირია-პალესტინასა და ერაყში, მაკედონიასა და რუმელიაში) გადასცეს, ხოლო თურქულ რეგიონებში კი კომპაქტურად დასახლების ნება XIX საუკუნის ბოლო ათწლეულამდე არ დაურთავთ (ოზგენჩი, 2008: 56).

მეორე მხრივ, რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წწ. ომის დასრულებისას ანატოლიის ნახევარკუნძულზე მოსახლე ქრისტიანების დიდმა ნაწილმა (ძირითადად, ეთნიკურმა ბერძნებმა და ბულგარელებმა) მასობრივად დატოვეს ოსმალეთის იმპერიის ტერიტორია. ფაცა-ორდუ-სინოპის, დუზჯე-საქარიისა და ბურსა-ინეგოლის რეგიონები თითქმის სულ დაცარიელდა. ეთნიკურმა თურქებმა იქ დასახლება არ ისურვეს, რადგან ტრადიციულად, ქოჩადმავლები²³ იყვნენ და ცენტრალურ ანატოლიაში უკეთ გრძობდნენ თავს; არადა, იმ დაცარიელებულ მიწებზე ბინადარი, სულთნის მხარდაჭერი, მუსლიმანი მოსახლეობის არსებობას, სოფლის მეურნეობისა და ინფრასტრუქტურის

²² ქართველთა მსგავსად, თურქული მასობრივად არც ბოსნიელ და ალბანელ მუჰაჯირებს სცოდნიათ (მათი შთამომავლების სოფლები ბურსა-ინეგოლისა და დუზჯეს რეგიონებში ქართული სოფლების მეზობლად მდებარეობს), თუმცა რაკილა თავიდანვე სულთნის ერთგული ქვეშევრდომები იყვნენ და მუსლიმანობასაც მტკიცედ იცავდნენ, ხელისუფლებამ ნება დართო მათ, კომპაქტურად დასახლებულიყვნენ იმ ადგილებში, სადაც თვითონ სურდათ.

²³ **ქოჩადმავლობა** – მეცხოველეობის ფორმა, რომლის დროსაც მოსახლეობას არა აქვს ძირითადი სადგომი მისი განვითარებული მიწათმოქმედებითა და მრეწველობით; შესაბამისად, შინაურ ცხოველებთან ერთად, ოჯახები ერთიანად იცვლიან ბინას – გადადიან საძოვრიდან საძოვარზე. თურქეთში, სოფლად მცხოვრები ეთნიკური თურქული და ქურთული მოსახლეობის ერთი ნაწილი დღემდე ქოჩადმავალია.

განვითარებას სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. აქედან გამომდინარე, ხელისუფლების მესვეურებმა აღარაფრად ჩათვალეს ის, რომ ქართველ თუ ბალკანელ მუჰაჯირთა უმრავლესობამ თურქული ენა არ იცოდა და მათ სასურველ ადგილებში კომპაქტურად დასახლების ნება დართეს.

იმავედროულად, იყო კიდევ ერთი, არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზი, რომელზეც ჩვენ ყურადღება გაგვამახვილებინა ქართული წარმოშობის თურქმა მკვლევარმა, აჭარელ მუჰაჯირთა შთამომავალმა **მურათ ქასაბმა**. მან მართებულად აღნიშნა, რომ **მუჰაჯირად წამოსულთა ერთენოვან მასას ეთნიკურ თურქულ მოსახლეობასთან თითქმის არ უწევდა უშუალო ურთიერთობა — ეს, უპირატესად, წარმმართველთა და მიმდევართა ჯგუფების წარმომადგენელთა პრეროგატივა იყო**. სწორედ ამის გამო, მასა (განსაკუთრებით, ქალები და ბავშვები) მშობლიურ ენასაც კარგად ინარჩუნებდა და ზნე-ჩვეულებებსაც.

მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე ისიც, რომ ანატოლიის სამივე მაკრორეგიონში — შუა შავიზღვისპირეთშიც, დუბჯე-საქარიაშიცა და ბურსა-ინეგოლშიც — **მუჰაჯირები მუდამ ცდილობდნენ, სამოსახლოდ შეერჩიათ ისეთი ადგილები, რომლებიც ყველაფრით მათი სამშობლოს მსგავსი იქნებოდა. სენტიმენტებთან ერთად, ეს გამოწვეული იყო უდავოდ აუცილებელი საჭიროებით: ტრადიციული მეურნეობა განსხვავებულ პირობებში ვერ განვითარდებოდა**. თუკი ხელისუფლების გადმოცემული მიწები საამისოდ არ ვარგოდა, გაყიდნენ და აღებული ფულით საზიაროდ ყიდულობდნენ იმგვარ მიწებს, როგორც უნდოდათ. ასეა დაარსებული თითქმის ყველა ის ქართული სოფელი, სადაც მუჰაჯირთა შთამომავლები დღემდე ცხოვრობენ.

მაშასადამე, ქართველ მუჰაჯირთა დასახლებებში ცხოვრების წესი, პრაქტიკულად, უცვლელი რჩებოდა და ქართული ენაც იქ ყველა ფუნქციას ინარჩუნებდა. მუჰაჯირად წასულთა შვილები, რომლებიც ოსმალეთის ტერიტორიაზე 1878 წლიდან 1885 წლამდე დაიბადნენ, სრულ ერთენოვან გარემოში აღიზარდნენ. იმ არაქართველებსაც, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით, XIX საუკუნის 80-იან ანდა 90-იან წლებში ქართველთა სოფლებში დასახლდნენ, შემდგომში ქართულის სწავლა მოუწიათ. მაგალითად, ინეგოლის ილჩეს სოფელ ბაჰჩექაიაში მეჩეთის აშენებისთანავე მოავლინეს ეროვნებით თურქი მოლა **ჰასან-ეფენდი**. არც მას, არც მის მეუღლეს, თურქულის გარდა, სხვა ენა არ სცოდნია, თუმცაღა შვილებს, რომლებიც ბაჰჩექაიაში დაიბადნენ, გაიზარდნენ და დაოჯახდნენ, ქართული ბავშვობაშივე კარგად უსწავლიათ და სავსებით გაქართველებულან. მათი შთამომავლები ამჟამად ეთნიკური ქართველებისაგან აღარაფრით განსხვავდებიან.

მუჰაჯირების დასახლებებშივე, ჩვეულებისამებრ, თაობიდან თაობას გადაეცემოდა როგორც საქართველოდან წამოყოლილი, ისე გადასახლებისას ან ოსმალეთში შექმნილი ფოლკლორი. ესეც, რასაკვირველია, ხელს უწყობდა ქართველური მეტყველების შენახვას და განვითარებას, თუმცა, აქ უნდა აღინიშნოს ერთი რამ: მუჰაჯირთა შორის, აჭარლებისა და ჩხალელ-ბელღევნელი ლაზების აშკარა სიმრავლის გამო,

განზოგადდა, ერთი მხრივ, აჭარული დიალექტი, ხოლო მეორე მხრივ — ხოფური დიალექტის ჩხალური კილოკავი. ქობულეთიდან, ნიგალიდან, მაჭახლიდან ანდა იმერხევიდან წამოსულებმა, რომლებიც თავიდანვე აჭარლებთან ერთად იყვნენ და მერც მათთან ერთად ისურვეს დასახლება, შეითვისეს აჭარული დიალექტი. ანალოგიურადვე, გონიოდან, სარფიდან, ლიმანიდან, აზლალიდან თუ სხვა შავიზღვისპირა სოფლებიდან წამოსულმა ლაზებმა, რომლებიც ჩხალისა და ბელღევნის ხეობის მკვიდრ ლაზებთან ერთად გადავიდნენ ოსმალეთში და იქაც მათთან ერთად დასახლდნენ, შეითვისეს ჩხალური კილოკავი.

1.2.2. ლაზეთიდან წასულ მუჰაჯირთა მეტეგვარებისა და ენობრივი კომპეტენციების შესახებ

ქობულეთის, ზემო და ქვემო აჭარის, მაჭახლისა და იმერხევისაგან განსხვავებით, 1877–1878 წწ. ომის შემდგომ ლაზეთის დიდი ნაწილი კვლავინდებურადვე ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში დარჩა. როგორც ზემოთაც არაერთხელ აღინიშნა, რუსეთის იმპერიას წილად ერგო მხოლოდ ჩხალის და ბელღევნის ხეობები, ასევე შავიზღვისპირა ზოლი სოფელ გონიოდან ლიმანამდე (თანამედროვე **Liman köyü** თურქეთში, ქემალფაშას ილჩეში). შესაბამისად, მუჰაჯირად წასულა მოუწიათ მხოლოდ იმ ლაზებს, რომლებიც აღნიშნულ ტერიტორიებსა და ქ. ბათუმში სახლობდნენ.

ლაზეთიდან (ანუ გონიო–ბათუმის სანჯაყიდან) მუჰაჯირად წასულთა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა სიებში მხოლოდ ოსმალური მეტეგვარებითაა აღრიცხული. ლაზთათვის დამახასიათებელი გვარები **-ში** დაბოლოებით იქ საერთოდ არ გვხვდება. ეს, უპირველეს ყოვლისა, იმის გამოა, რომ სამხრეთ–დასავლეთი საქართველოს დანარჩენი კუთხეების მკვიდრთაგან განსხვავებით, ლაზები მუდამ უფრო მეტად განიცდიდნენ ზეწოლას ოსმალური ხელისუფლების მხრიდან. ამასთანავე, ისინი უშუალოდ საომარი მოქმედებების დასრულებამდე, კახაბერ–გონიოსა და მაკრიალში (მეორე სახელწოდებით — ნოდედი, ამჟამად ქ. ქემალფაშა, თურქ. **Kemalpaşa**) ბაზირებულ ქურთთა ბანაკებთან ერთად, ორგანიზებულად გაასახლეს თავად ოსმალეებმა.

ასე მაგალითად, სოფელ **აბუსილადან** (ლაზ. **აზლადა**, ამჟამად — ესენქიი **[Esenkiyi]**, ართვინის ილის ქემალფაშას ილჩეში) მუჰაჯირად წასულან ამ გვართა წარმომადგენლები:

- ბოსთანოღლი
- სულეიმან–რეიზოღლი
- პაპილა–ომეროღლი
- სარი–აჰმეთოღლი
- ქემრუოღლი
- ბაირამოღლი

ჰაჯი-სელიმოლლი
ქალუბექიროლლი
ართვინელი მეჰმეთოლლი
ურუმელოლლი
ჰაჯი-ჰასანოლლი

პაპილა

ომერ-რეიზოლლი
ჩალბარჯიოლლი
ქეფელი ოსმანი
ქდოსე-მეჰმეთოლლი
მეჰმეთ-დაზიჯოლლი
აჭარელი ომეროლლი
სელიმოლლი
მემიშოლლი
ჰაჯი-ომეროლლი
ქუჩუქ-მუსტაფაოლლი
ჰაჯი-აჰმეთოლლი
აბდიოლლი

ჰაჯი-ისმაილოლლი
ქარა-მეჰმეთოლლი
ქარა-ჰასანოლლი
დელი-იბრაჰიმოლლი
ქარა-მუსტაფაოლლი
მოლლა-ოსმანოლლი

აჭარელი ოსმანოლლი

სოითარიოლლი
ჰაჯი-ჰუსეინოლლი
ჰალაჯოლლი
უმუნ-ალიოლლი

შიდა ციხელი ოსმანოლლი

ოსმან-დაზიჯოლლი
გიდრეველი ოსმანოლლი
ჩორბაჯიოლლი
ქუჩუქ-მეჰმეთოლლი
კალიონჯიოლლი
ჰაჯი-ისმაილოლლი
ქოჩ-ალიოლლი

მუსტაფა-ბაირაქთაროღლი
ბაბა-აჰმეთოღლი

აჭარალოღლი

აბდულლაჰოღლი

ფურუნჯოღლი

ჰაჯი-მემიშოღლი

ალი-აღაოღლი

დელიოღლი (ქასაბი, 2019: 52)

აბუისლა ანუ აზლაღა ისტორიულად **ნარაკიქთა** გვარის სამკვიდრო სოფელია. მისი გამუსლიმანებული წარმომადგენლებიდან მომდინარეობს მოგვიანებით — XVII ს. — ში გამოყოფილი გვარები: **ქუჩუქ-მეჰმეთოღლი** (დღეს, ლაზურად იტყვიან: **კუჭუქმეტიში**), **ჰაჯიმემიშოღლი** (ლაზ. **ხაჯიმემიში**), ჰაჯი-ოსმანოღლი (ლაზ. **ხაჯოსმანიში**) და სხვ. ამ გვარებში აშკარად მოჩანს ოსმალურ-თურქული ეპონიმები: ქუჩუქ მეჰმეთი (თურქ. „პატარა მეჰმეთი), ჰაჯი მემიში, ჰაჯი ოსმანი... ერთობ საყურადღებოა ასევე, გვარი **პაპილა** — ჩვენ მიერ აზლაღელი კანუნ ობქანისაგან (ნარაკიქე-კოსტოღლი, 89 წლისა) ჩაწერილი მასალების თანახმად, ესენი იმ ნარაკიქთა შთამომავლები არიან, რომლებმაც XVII საუკუნის 40-იან წლებში, საკუთარი ნებით უარყვეს ქრისტიანობა (ანუ, წარმოთქვეს **პაპი ლა** [არაბ.] „მღვდელი არ არსებობს“) და გახდნენ მუსლიმანები. იმავდროულად, აზლაღელთა უმეტესობამ (მათ შორის იყვნენ არამარტო საერონი, არამედ სასულიერო პირებიც) კატეგორიული უარი განაცხადა გამუსლიმანებაზე და მოწამეობრივი სიკვდილი ირჩია. ერთ-ერთმა აზლაღელმა — **კოსტა ნარაკიქემ** (შემდგომ **კოსტოღლების** გვარის ეპონიმი) სასჯელი იტვირთა წვრილშვილიანი მღვდლის მაგივრად, რომელიც ოჯახითურთ ოსმალებმა სამეგრელოში გაუშვეს. კოსტა ნარაკიქეს კი — უმცროს ძმა ილიასთან (შემდგომ **ლიოღლების** გვარის ეპონიმი) და 300-მდე თანასოფელელთან ერთად, თავი მოჰკვეთეს დუდიკვათას მთაზე; დასჯას გადარჩენილნი, ძალით მოაქციეს ისლამის რჯულზე და ახალი მეტეგვარები მიანიჭეს. აგრეთვე, სოფელში მრავლად ჩაასახლეს ქურთული, ბოშური თუ სხვა ეთნიკური ერთობის წარმომადგენელი მუსლიმანები, რომელთა შთამომავლობა შემდგომში ძალიან სწრაფად გალაზდა. მათი ოსმალური მეტეგვარები გვხვდება აზლაღელ მუჰაჯირთა ზემოთმოყვანილ სიაში: **ქარა-მეჰმეთოღლი, ქარა-ჰასანოღლი, ართვინელი მეჰმეთოღლი, ქოჩ-ალიოღლი, მუსტაფა-ბაირაქთაროღლი, ბაბა-აჰმეთოღლი** და ა.შ.

გარდა ამისა, მუჰაჯირთა სიაში ყურადღებას იქცევს ზოგი სხვა მეტეგვარიც: **აჭარელი ოსმანოღლი, აჭარალოღლი** და **შიდა ციხელი** (თურქ. **ინქალელი**) **ოსმანოღლი**. პირველი ორი მეტეგვარის წარმომადგენლები ამჟამად ცნობილნი არიან ერთი გვარით — **აჭარალიში** (თურქ. **Acar**) და თავიანთ თავს აჭარიდან გადმოსული ხიმშიაშვილების შთამომავლებად მიიჩნევენ. ისინი აზლაღას იმ უბანში, სადაც სახლობენ, უთითებენ **ოსმან ხიმშიაშვილის** საფლავს. საფლავის ქვაზე ამოკვეთილი წარწერიდან დღეს

გაირჩევა მხოლოდ თარიღი — 1170, რაც ჩვენი (ქრისტიანული) წელთაღრიცხვით უდრის 1756-1757 წლებს. ოსმან ხიმშიაშვილი აზღაღის ციხის გარნიზონის უფროსი ყოფილა და ჰყოლია ორი ცოლი: ერთი — ნარაკიდის გვარისა (კოსტოლღებიდან), ხოლო მეორე — ქურთთა ბელადის ასული. რამდენადაც ქურთები სახლობდნენ აზღაღის იმ უბანში, რომელსაც **იჩქალე** ანუ „შიდა ციხე“ ეწოდებოდა (დღეს კი, არაოფიციალურად, **ქურთოჯალის** სახელითაა ცნობილი), სიაში ნახსენები **შიდა ციხელი ოსმანოღლი** უნდა იყოს ოსმან ხიმშიაშვილისა და მისი ქურთი მეუღლის შთამომავალი.

აზღაღაშივე დღემდე გვხვდება გვარი **კალიონჯიში**, რომლის წარმომადგენლებიც აგრეთვე იხსენიებიან მუჰაჯირთა სიაში, ოღონდაც, როგორც უკვე აღინიშნა, მხოლოდ ოსმალური მეტგვარით: **კალიონჯიოღლი**. გადმოცემით, ამ გვარის წინაპარი აზღაღაში ქრისტიანთა დასჯის შემდეგ, ხოფადან მოსულა. იგი ხელობით ყალიონების (უფრო უკეთ რომ ვთქვათ, ჩილიმების) ოსტატი ყოფილა და ამიტომაც შერქმევია **კალიონჯი** (ლაზ. და თურქ. „მეყალიონე“). ეთნიკურად ხემშილი ანუ მუსლიმანი სომეხი ყოფილა, თუმცაღა აზღაღაში დასახლების შემდეგ ცოლად ლაზი - ლიოღლების გვარის ქალი შეურთავს და თვითონაც მალევე უსწავლია ლაზური.

აქვე დავძენთ იმასაც, რომ აზღაღაში დღემდე კარგად არის შენარჩუნებული ლაზური მეტყველება (ხოფური კილოს ნოღედურ-აზღაღური კილოკავი). აზღაღელ მუჰაჯირთა და სოფლის ამჟამინდელ მცხოვრებთა ცნობებით, XIX საუკუნის მთელ მანძილზე, ვიდრე XX საუკუნის 50-იან წლებამდე, აზღაღელების უმრავლესობა (განსაკუთრებით, ქალები) ერთენოვანი იყო — ფლობდა მხოლოდ ლაზურს, ოსმალურ-თურქული კი ან საერთოდ არ იცოდა, ანდა სუსტად იცოდა. ლაზურად ლაპარაკობდნენ ისინიც, რომელთა წინაპრებიც არ ყოფილან ლაზები.

მამაკაცთაგან ბევრი ხურო იყო და საშოვარზე დადიოდა ნიგალის ხეობაში, გემო და ქვემო აჭარაში, იმერხევეში, მაჭახელში, ტაოში. მათ შეეძლოთ საუბარი აჭარულ, ნიგალურ და იმერხეულ დიალექტებზეც. თურქულს რაც შეეხება: ლაზი ხუროები მეტყველებდნენ არა გამართული ოსმალურ-თურქულით, არამედ — უფრო ოსმალურ-ქართველური პიჯინით, რაც **ჩიქირთულიჯეს** სახელწოდებით, ზოგადად ლაზეთში დღემდეც ცნობილი, თუმცაღა უკვე, გამონაკლისის გარეშე, მხოლოდ ანეკდოტებსა და სხარტულებშია შემორჩენილი; ამ მეტყველების ლექსიფიკატორია ოსმალურ-თურქული ენა, ხოლო გრამატიკა კი ქართველურია. **ჩიქირთულიჯეს** (და იმ ანეკდოტ-სხარტულებს, სადაც ისაა გამოყენებული) კარგად იცნობენ და წინაპრებისათვის დამახასიათებლად თვლიან მუჰაჯირთა დღევანდელი შთამომავლებიც.

მაკრიაღიდან (დღევანდელი ართვინის ილის ქ. **ქემალფაშა [Kemalpaşa]**, ლაზურად ასევე ჰქვია **ნოღედი**) მუჰაჯირების ნაკადი განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი ყოფილა, რამდენადაც იმხანად ეს დასახლება აღმოსავლეთ ლაზეთში ყველაზე დიდი იყო. სიებში აღრიცხულია შემდეგი მეტგვარები:

იმამოღლი

ემიროლლი
დუზუნჯიოლლი
ემირ-ჰუსეინოლლი
ქარა-ჰუსეინოლლი
ქურუ-ჰუსეინოლლი
ჩაქმათოლლი
დემირჯიოლლი
ვასილოლლი
მაზლუმოლლი
ჯიბიროლლი
უმუნ-ალიოლლი
ლევენდოლლი
მუთიბექოლლი
თექნეჯიოლლი
საწყალოლლი (ტექსტში: ბაზდალოლლი)
ბეთუნოლლი
მამულოლლი
კაპანოლლი
ფოლბა-ოსმანოლლი
ჰაქიმოლლი
თანუოლლი
კოხოლლი
ჰაჯი-ფაზილიოლლი
საფანოლლი
ჩორაქოლლი
შუტქუოლლი
სარიოლლი
ფარშლიოლლი
ლანგუროლლი
მამია
კადიოლლი
ბოშნაკოლლი
აჰისქალი (ანუ ახალციხელი)
ფარჩანოლლი
მოლლა-ალიოლლი
მანდოლლი
ბუხთაოლლი

პაჯიოღლი

სუქრათოღლი

ღარელისელიმოღლი

მერჯან-აღაოღლი

კალანალოღლი

ქუჩუქ-აჰმეთოღლი

ხოჯაოღლი (ქასაბი, 2019: 52)

ამათგან, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ყურადღება მიიქცია ისეთმა მეტეგვარებმა, რომელთა ეპონიმებიც აშკარად ქართველურია (ლაზურია) ან ზოგადად, არათურ-ქულია. მაგალითად, **ვასილოღლი** — ამ მეტეგვარის წარმომადგენელთა შთამომავლებს ამჟამად ოფიციალურად **ოზქანის** (თურქ. **Özkan**) გვარი აქვთ, ლაზურად კი მათი გვარსახელი სულაც უსუფიქსია — **ვასილი**. ასევე, აღსანიშნავია მეტეგვარი **საწყალოღლი**. ამჟამად ქალაქ ქემალფაშაში მის მატარებელთა შთამომავლები აღარსად არიან, თუმცა შემორჩენილია მიკროტოპონიმი **საწყალიში[შ] ყონა** „საწყალიშის ყანა“. ლაზურ მეტყველებაში ლექსემა **საწყალი** არსებითი სახელის მნიშვნელობით არსად ჩანს. ჩვენმა მაკრიალელმა მთქმელმა **ნევრესთან სონბაიმ (სუმბაიამ)**, ვისგანაც 2005 წელს ზემოთ ხსენებული მიკროტოპონიმი გავიგონეთ და ჩავიწერეთ, განგვიმართა, რომ **საწყალიში** იყო მდ. მურლულის ხეობიდან გადმოსული ოჯახის გვარი. მათთვის მაკრიალის მფლობელ ბეგს — სუმბაიას უბოძებია სამოსახლო მიწა.

მეტეგვარების — **ბეთუხოღლი, მამულოღლი, კაპანოღლი** ეპონიმებიც ქართველურია: ლაზურად **ბეთუხა** „ნახშირივით შავი“, **მამულა** „ყვინჩილა“, **კაპანა** „კლდე-სავით მაგარი“; ეგვე ლექსიკური ერთეულები გამოიყენება, აგრეთვე, ონიმების (საკუთარი სახელების ან მეტსახელების) მნიშვნელობით. მაკრიალში (ნოღედში) დღემდე სახლობენ **ბეთუხაშის, მამულაშისა და კაპანაშის** გვართა მატარებლები. ამასთან, ეს სამივე გვარი დასახლების მკვიდრად ითვლება.

მაკრიალელი მუჰაჯირების სიაში მოხსენიებული ორი მეტეგვარი: **თანთუოღლი** და **კობაოღლი** ისტორიულადაც და ამჟამადაც მეზობელი სოფლის — **ქოფრიჯის** (თურქ. Köprücü) მკვიდრია. **თანთუოღლები** სარფელ **თანდილავეთა** განაყოფნი არიან — ლაზურ მეტყველებაში ორივე გვარსახელი ჟღერს, როგორც **თანთუში**. **კობაოღლი**, ანუ **კობაში** კი, ძირად ასევე **თანთუოღლი//თანდილავეთა** მონათესავეა. ამ გვარსახე-ლიდანაა ნაწარმოები სოფ. ქოფრიჯის ერთ-ერთი უბნის — **ოკოხულეს** სახელწოდება.

მეტეგვარი **ჰაჯი-ფაზილიოღლი** იმით გამოირჩევა, რომ მისი ეპონიმი (მამაკაცის არაბული საკუთარი სახელი **ფაზილ**) აშკარად შეიცავს ქართველური სახელობითი ბრუნვის **-ი** ნიშანს. ჩვენი აზრით, აღრიცხვის დროს, ლაზმა მუჰაჯირმა ოსმალო მოხელეს მამის სახელად დაუსახელა **ჰაჯი ფაზილი** — სახელობითი ბრუნვის **-ი** ნიშნითურთ, იმან კი ეს უკანასკნელი ფორმა არაბულ **ფაზილ** ფორმასთან ვერ დააკავშირა და ჩაწერა **Hacı Fazılî oğlu** ნაცვლად მართებული ფორმისა **Hacı Fazıl oğlu**.

იმავე სიაში მოხსენიებულ მეტგვარებში — **შუტუოლლი** და **ლანგუროლლი** გამოიყოფა ეპონიმები: **შუტუ** და **ლანგურა**. ისინი წარმოშობილია არსებითი სახელებისაგან **შუტუ** „უქნარა“ და **ლანგური** „კვერი, ხის ურო“. ამ მეტგვარების მატარებელთა შთამომავლები ამჟამად მაკრიალში (ნოღედში) აღარ არიან, თუმცაღა მუჰაჯირების შვილთა-შვილები და შვილთაშვილთა შვილები დუზჯეში — სოფელ **ბეჩი ქაოში** (თურქ. Beçi köyü, დღეს ქალაქ დუზჯეს ერთ-ერთ უბნად ითვლება) სახლობენ და ლაზური მეტყველებაც კარგად აქვთ შემონახული.

ასევე, მაკრიალელ მუჰაჯირთა სიაში გვხვდება გვარსახელი მხოლოდ ეპონიმის სახით — **მამია**. ამჟამად, უშუალოდ მაკრიალში/ნოღედში ამ გვარის მატარებლები არსად ცხოვრობენ, მაგრამ მეზობელ სოფელში — აზლაღაში (თურქ. Esenkıyı) მრავლად არიან და ლაზურად მათი გვარი ჟღერს, როგორც **მამიაში** (ოფიციალურად, რასაკვირველია, ყველა თურქულ გვარს — **მემიოღლუს** ატარებს). ეპონიმი ქრისტიანულია და გვარშიც დაცულია გადმოცემა, რომლის თანახმადაც მათი წინაპარი ყოფილა მღვდელი მამია, შემდგომში — ფარული ქრისტიანი და **ჰაჯი მამიად** წოდებული. ნიშანდობლივია, რომ მაკრიალიდან მუჰაჯირად წასული მამიაშის გვარის შთამომავლები ამჟამად ცხოვრობენ ქ. დუზჯეს უბან ოზბაიში და ასევე თურქულ ყაიდაზე, მემიოღლებად იწერებიან.

ლაზეთიდან წასულ მუჰაჯირთა სიებში განსაკუთრებით საყურადღებოა გონიოს და სარფის მკვიდრთა გვარები. ასე მაგალითად, გონიოდან წამოსულან შემდეგი გვარების წარმომადგენლები:

ჰაჯიოღლი

ლოქუმჯიოღლი

თურქოღლი

დივან-ეფენდიოღლი

თათაროსმანოღლი

ჯორდანზადე

უსტა-მეჰმეთოღლი

აბდიოღლი

სარი-აჰმეთოღლი

დელი-ჰალილოღლი

ქდოსეოღლი

სელიმოღლი

მემიოღლი

ბაირამ-ალიოღლი

ქუნუქ-აჰმეთოღლი

გემშიოღლი

იბიშოღლი

ივაზოლლი
ქაჭვეჯიოლლი
ჰაქიმოლლი
უმუნ-აჰმეთოლლი
ომერ-ალაოლლი
ქუჩუქ-ჰასანოლლი
კაკალოლლი (ტექსტში: *გაგალოლლი)
ოსმან-ჩავუშოლლი
ირი-აჰმეთოლლი
მემიშოლლი
ეაუფოლლი
თიბანოლლი
დელი-ალაოლლი
ფადოლლი (ქასაბი, 2019: 62)

გონიოელ მუჰაჯირთა სიაში დავაფიქსირეთ მხოლოდ ორი მეტგვარი, რომელთა ეპონიმებიც აშკარად ქართველურია — **ჯორდანზადე** (ლაზურად ითქმის **ჟორდანიში** ან **ჟორდანი**) და **კაკალოლლი**. მათი მატარებლები ეთნიკურად ნამდვილად ქართველები (ლაზები) უნდა ყოფილიყვნენ. ისეთი მეტგვარები კი, როგორებიცაა იქვე მოხსენიებული **თურქოლლი**, **თათაროსმანოლლი** და **დივან-ეფენდიოლლი**, ჩვენი აზრით, არაქართველებს უნდა ეტარებინათ. ამას, უპირველეს ყოვლისა, გვაგარაუდებინებს მათი ეპონიმების სემანტიკა: ოსმალურ-თურქულად **Türk** „თურქი გლეხი“, **Tatar Osman** „თათარი ოსმანი“ და **Divan efendi** „ბატონი მდივანი“. საფიქრებელია, რომ ესენი იყვნენ გონიოს ციხეში იმ დროს მყოფი, ეთნიკურად არაქართველი ჯარისკაცები, რომლებიც ადგილობრივ მკვიდრ მოსახლეებთან ერთად გადაიყვანეს ოსმალეთში.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გონიოელ მუჰაჯირთა სიაშივე გვხვდება მეტგვარი **მემიოლლი**. ღირსსაცნობია, რომ გამოღმა სარფის მკვიდრი **მემიშიშების** მტკიცებით, მისი მატარებლები ძირად სარფელები ყოფილან და ჩვეულებრივ, **მემიშის** გვარს ატარებდნენ თურმე. ისტორიული ქართველების გამო, სარფში მხოლოდ ერთი ოჯახი გადარჩენილა ამ გვარისა. შემდგომში ისიც გაყოფილა: უმცროსი ძმა სარფში დარჩენილა, უფროსი კი გონიოში გადასულა. სარფში დარჩენილი ძმის შთამომავლობას **მემიშიშები** (ოსმალური მეტგვარით — **მემიშოლლები**) ეწოდა, ხოლო გონიოში გადასული ძმის შთამომავლობამ კი **მემიშის** (ოსმალური მეტგვარით — მემიოლლუ) გვარი შეინარჩუნა. მუჰაჯირობის დროს გონიოელი მემიშები თითქმის მთლიანად გადასახლდნენ ოსმალეთში (მთქმელი ენვერ მემიშიში, კვარიათელი, 83 წლისა).

ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ გამოღმასარფელ მემიშიშთა შორის გავრცელებული ეს ლეგენდა, მართლაც, სინამდვილეს უნდა შეესაბამებოდეს. დღემდე **მემიოლლის** გვარის (თურქ. **Memioğlu**) წარმომადგენლები ბევრნი არიან თურქეთის ართვინის

ილის ქემალფაშას ილჩეს სოფ. **ესენქიში** (ლაზ. **აზლადა**), ოღონდაც ლაზურ გვარად, როგორც წესი, **მამიაში** ფორმას ასახელებენ (იხ. აქვე, ზემოთ). იმავდროულად კი აცხადებენ, რომ გამოღმასარფელი **მემიშიშები** მათი განაყოფნი არიან: ზოგის თქმით, აზლადის მკვიდრი **მამიაშების** წინაპარი სარფელი იყო, ზოგის თქმით კი, პირიქით — სარფელი **მემიშიშების** წინაპარი იყო გვარად **მამიაში**, რომელიც აზლადადან ჯერ სარფში გადასულა და შემდგომ კი — გონიოში. ასე იყო თუ ისე, აშკარად ჩანს, რომ აღნიშნული ლაზური გვარები უთუოდ უნდა ენათესავებოდნენ ერთიმეორეს.

სოფელ **სარფიდან** (როგორც გამოღმა, ისე გაღმა ნაწილებიდან) წასულ მუჰაჯირებს რაც შეეხება: როგორც უკვე ზემოთაც არაერთხელ აღინიშნა, ოსმალურ დოკუმენტებში აღრიცხულია თითქმის ყველა ის გვარი, რომელთა წარმომადგენლებიც დღემდე არიან ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფ. გამოღმა სარფშიც და თურქეთის ართვინის ილის ქემალფაშას ილჩეს სოფ. გაღმა სარფშიც. ასე მაგალითად, 1878 წლის ბოლოს სოფლიდან წასულან შემდეგი გვარების წარმომადგენლები:

ბათალოღლი

ვანლიოღლი

მეჰმეთ-რეისოღლი

ქარაჰუსეინოღლი

ქდოსეოღლი

ჩაქიროღლი

დელიმუსტაფაოღლი

ქელეშოღლი

მემიშოღლი

ქარაალიოღლი

თანთუოღლი

ქემუშოღლი

იბრაჰიმოღლი

იბიშოღლი

ჩაქმაქჩიოღლი

თუზჯუოღლი

შიშმანოღლი

მოლლამუთიოღლი (ქასაბი, 2019: 62)

სიაში გამუქებული გვაქვს ის მეტგვარები, რომელთა მატარებლების შთამომავლები ამჟამადაც არიან გამოღმა და გაღმა სარფში: **ბათალოღლები** ძირად **ჩიქოვანებია**. გამოღმა სარფიდან ისინი გასული საუკუნის 30-იან წლებში გონიოში გადასახლდნენ, დღესაც იქ ცხოვრობენ და მამაპაპისეულ გვარსაც ატარებენ. გაღმასარფელი ჩიქოვანების უმეტესობა დღეს **ოზშაჰინის** (თურქ. **Özşahin**) გვარს ატარებს, ზოგი ოჯახი კი

ბალთა–დ (თურქ. **Balta**) იწერება. ასევე, არიან ოჯახები, რომელთაც ძველებურად **ბათალოღლი** (თურქ. **Battaloğlu**) აქვთ გვარად შენარჩუნებული.

სარფში გავრცელებული ლეგენდის თანახმად, ბათალოღლების წინაპარი ჩიქოვანი XVII საუკუნეში კახეთის მეფე თეიმურაზ I–ს ხლებია გონიოში ცხოვრებისას (1618–1625 წწ.), მერე კი ოსმალეთის სულთნის ქვეშევრდომობა მიუღია. საგამგებლოდ მისთვის მხოლოდ სოფ. სარფი უბოძებიათ, რის გამოც უკმაყოფილო დარჩენილა და მაკრიალის მფლობელი ბეგებისათვის — სუმბაიებისათვის დაუწყია ცილობა. ამით განრისხებულ სულთანს იგი სასტიკად დაუსჯია და მისი ჩიქვანობა გაუბათილებია. სწორედ აქედან მოდის მეტგვარი **ბათალოღლი** — „გაბათილებულის შვილი“ (მთქმელი — იაშა თანდილავა, 72 წლისა). XIX საუკუნის 70–იანი წლების ბოლომდე, ბათალოღლებს ეკუთვნოდათ გაღმა სარფის ციხე (ლაზ. **ჯიხა**) **ჯვიროლას** მთაზე. მათი სამოსახლო ადგილებიც, უმეტესწილად, გაღმა სარფის ტერიტორიაზე იყო. გამოღმა სარფში კი — აწინდელ საზღვართან ახლოს, მხოლოდ რამდენიმე ოჯახი სახლობდა.

ვანლიოღლები, იგივე **ვანილიშები** (**ვანილიშები**) სარფში ასევე მოსული გვარია. მათი წინაპარი ქ. **ვანიდან** ყოფილა გამოქცეული, სარფელებისათვის თეთრი ხარი დაუკლავს და თავშესაფარი უთხოვინია. მერე და მერე მისი შთამომავლობა გამრავლებულა და გაღმა სარფის გარდა, გამოღმა სარფშიაც გადმოსულან. ამჟამად ამ მეტგვარის მატარებლების შთამომავლობა გაღმა სარფში **ვანიზორის** (თურქ. **Vanizor**) გვარს ატარებს, ხოლო გამოღმა სარფში ზოგი **ვანილიშად** იწერება, ზოგიც — **ვანიძედ**. სარფელი ვანილიშები და ვანიძეები ამჟამად მეზობელ სოფელ კვარიათშიც არიან.

ქარაჰუსეინოღლები დღესდღეობით მხოლოდ გაღმა სარფში სახლობენ; მეტგვარიც ოფიციალურად გვარად აქვთ დაწერილი (თურქ. **Karahüseynoğlu**). ძირად სარფელები არც ისინი არიან — მათი წინაპარი ხოფადან თუ მაკრიალიდან (ნოღედიდან) ყოფილა და ორი შვილი ჰყოლია: უფროსი — **ჰასანი**, უმცროსი — **ჰუსეინი**. ორივე ძმა შავგვრემანი იყო თურმე. შესაბამისად, სარფელებსაც მათთვის **კარა ხასანი** („შავი ხასანი“) და **კარა ხუსეინი** („შავი ჰუსეინი“) შეურქმევიათ. ამჟამად, **კარა ხასანის** შთამომავლობა გაღმა სარფში **ქარაჰასანის** (თურქ. **Karahasan**) გვარს ატარებს, გამოღმა სარფში კი ზოგი **კახალიშად** იწერება, ზოგიც — **კახიძედ**.

ქოსეოღლები ანუ **ქესოღლები** ძირად სარფელები არიან. მათი უმეტესობა გამოღმა სარფში მკვიდრობს და დღეს **ქორიძის** გვარს ატარებს. გაღმა სარფში მცხოვრებთ ძველი მეტგვარი ოფიციალურად გვარად აქვთ დაწერილი (თურქ. **Köseoğlu**). გვარის ეპონიმი ყოფილა **ქოსე პაპული** (ლაზ. „ქოსა პაპა“), რომელსაც სულთან სელიმის შემოსევის (XVI ს.–ის 50–იანი წწ.) დროს ოჯახი მთლიანად ამოსწყვეტია. სარფიდან ოსმალთა განდევნის შემდეგ იგი ხელახლა დაქორწინებულა, მრავალრიცხოვანი შთამომავლობა დაუტოვებია და ას წელს გადაცილებული გარდაცვლილა. ლეგენდის

მიხედვით, თვითონ ისლამი არ მიუღია და შთამომავლებისთვისაც დაუბარებია, რომ ქრისტიანობისთვის არ ელაღატათ (მთქმელი — მიშა ქორიძე, 67 წლისა).

ჩაქიროღლები დღემდე გამოღმა და გაღმა სარფში, აგრეთვე კვარიათშიც მრავლად სახლობენ, თუმცაღა ძირად სარფელები არ არიან — მათი შორეული წინაპარი, რომელსაც ჭროღა თვალეღი ჰქონიღ (თურქულად **Çakır** სწორედ „ჭროღას“ ნიშნავს), სოფ. ლიღანიღან მოსულღ და გვარად **ნარაკიღე** ყოფიღ. ამჟამად გამოღმა სარფსღ და კვარიათში მოსახლე მისი შთამომავლობაც ამავე გვარს ატარებს, გაღმა სარფში მოსახლეთ კი ძველი მეტგვარი ოფიციალურ გვარად აქვთ დაწერილი. ამასთანავე, წინაპრის გვარი — **ნარაკიღე** — გაღმასარფელებსაც ახსოვთ. აქვე დავძენთ იღასაც, რომ 1922 წელს საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვარმღ სწორედ ნარაკიღეების სამკვიდრო მიწაზე გაიარღ — ორად გაიყო მეთევზე **ომერ ნარაკიღის** კარ-მიღამო: სახლი საქართველოში დარჩღ, ეზო კი თურქეთის ტერიტორიაზე მოექცღ. საბჭოთა ხელისუფლებამ ომერ ნარაკიღეს კვარიათში გადასვლღ შესთავაზღ, მაგრამ იგი არ დასთანხმდღ და შეეწინააღმდეგღ კიდევაც მესაზღვრეებს. ამის გამო, დაიჭირეს და გაუსამართლებლად დახვრიტეს, მისი ოჯახი კი ციმბირში გაასახლეს (მთქმელი — ნურიე [ნორღ] ომერის ას. ნარაკიღე, 76 წლისღ).

მემიშოღლები გამოღმა სარფში ყველაზე მრავალრიცხოვანი გვარია, გაღმა სარფში კი არ არიან. დღესდღეობით უმრავლესობღ ოფიციალურად ატარებს **მემიშიშის** გვარს, რაც მათი ოსმალური მეტგვარის ლაზურ ყაიღაზე შეცვლილი ფორმღღ. ძირადაც სარფელები არიან — მათი წინაპარი ყოფიღღ ვინმე **მემიში** ანუ **მემიაში** (ნიშანდობ-ლივიღ, რომ თვითონ ეს ეპონიმიც პატრონიმის ფორმით შემონახულღ — ის მხოლოდღღ ჟღერადობით ემთხვევღ თურქულ მიკროანთროპონიმს **Memiş**, რომელიც, თავის მხრივ, არაბულიღან ნასესხები **Mehmet** ანთროპონიმის კნინობით-სააღერსო ფორ-მად მიიჩნევღ). დღემდე სარფელი მემიშიშები ორ დიდ შტოდ იყოფიან: **ბიღური მემიშიფე** „ნამღვილი მემიშიშები“ (ღაბ. ბიღური [← არაბ.-თურქ. Billûrî „კრისტა-ლი“] „უმწიკვლო, წმიდღ“) და **ჭერკები მემიშიფე** „ჩერქები მემიშიშები“ — ამ უკანას-კნელთღ წინაპარს ჩერქები ცოლი ჰყოლიღ და იმის გამო შეურქმევიათ ამგვარი მეტსახელი. გარდღ ამისღ, მემიშიშებთან „ხარით შეყრიღები“ (ღაბ. ხოჯი მენოჭკირე) არიან **ღოღიღეები** (**დეღეოღლები**) და **ღაზიშვიღები** (**ღაზოღლები**), რომელთღ ნაწილი გასული საუკუნის 50-იან წლებამდე მემიშოღლებად ეწერენენ.

თანთოღლები ანუ **თანთოღლებიც**, ასევე, მხოლოდ გამოღმა სარფის მკვიდრი და ძირად სარფელი გვარია. მისი წარმომადგენლები დღეს **თანდიღავებად** იწერებიან. ერთი ვერსიით, გვარის წინაპარი ყოფიღღ **თანდიღღ** (ღაბ. თანღუ // თანთუ), რომლის შვილს რქმევიღ **საბღ**. ოსმალეების მოსვლის შემდეგ ამ უკანასკნელისთვის შეურქმევიათ **სალიხი**, ხოლო მის შთამომავლობას კი **სარფლი-სალიხოღლის** (თურქ. **Sarplı-Salihoglu** „სარფელი სალიხის შვილი“) მეტგვარი მიუღიღ; ამ მეტგვარს ისინი არ ცნობდენენ და საბოლოოდ — დიდი ბრძოლისღ და დავიღარაბის შეღდეგად —

ოსმალური ხელისუფლება იძულებული გაუხდიათ, მეტგვარად **თანთოღლი** დაეწერა, ე.ი. **თანდილას (თანთუს)** ჩამომავლებად ეცნო ყველანი.

მეორე — ნაკლებად გავრცელებული — ვერსიით კი, გვარის წინაპრად ვინმე **საბა** ანუ **სალიხი** სახელდება, რომლის დედაც **ჰაჯი-შაინოღლების** გვარიდან ყოფილა და **თანთუ-ხანუმი** რქმევია. საბა 5 წლისა ყოფილა, როდესაც მამამისის მეთაურობით, სარფელები ოსმალებს ასჯანყებიათ. სოფლის მოსაოხრებლად სულთანს მრავალრიცხოვანი ლაშქარი გამოუგზავნია. აჯანყებულები მედგრად კი იბრძოდნენ, მაგრამ გამარჯვება ოსმალებს დარჩენიათ. ბრძოლაში მომკვდარა საბას მამაც, დედისთვის კი ყელი გამოუჭრიათ. ბიჭს უმარჯვია და ტყეში გაქცეულა. ოსმალო ჯარისკაცებიც რომ წასულან და ვითარებაც, ასე თუ ისე, ჩაწყნარებულა, საბა სარფელებს უპოვიათ და წამოუყვანიათ. რაკილა ბიჭი დედას უხმობდა, მეტსახელად მისთვის **თანთუში** („თანთუსი“) შეურქმევიათ. მომავალში საბას შთამომავლებს მეტგვარად **საბა-სალიხოღლი** დაუწერიათ, თუმცა სარფში ისინი უფრო ცნობილი იყვნენ, როგორც **თანთუფე** („თანთუსანი“) ან კიდევ **თანთოღლეფე** („თანთუს შვილები“) და მოგვიანებით გვარადაც ეს დაუწერიათ (ორივე ვერსიის მთქმელი — იაშა თანდილავა, 72 წლისა).

ერთობ საყურადღებოა, რომ გადმოცემის თანახმად, **თანთოღლები** მუჰაჯირობის წინააღმდეგნი ყოფილან: თანასოფლელებს აქტიურად მოუწოდებდნენ, ოსმალებში ნუ წახვალთ, მამულს ნუ გაავერანებთო. სწორედ ამის გამო აუთვალწუნებიათ ისინი რუსებს და თანდათანობით იძულებული გაუხდიათ, თავადვე გადახვეწილიყვნენ ლაბეთიდან ორ ნაკადად — 1878 წლის ბოლოს და 1880-1882 წლებში. როგორც სარფელი თანდილავეები ისხენებენ, მეორე ნაკადში მუჰაჯირად წამსვლელ ოჯახებს რუსებმა იაფად გამოსტყუეს სახნავ-სათესი მიწები კალენდერეში (სოფ. სარფის უბანია სოფ. კვარიათის მოსაზღვრედ). მუჰაჯირები მათ მზაკვრობას მაშინ მიხვდნენ, როცა ოქროს მანეთიანები მხოლოდ გემზე ასასვლელად აღმოჩნდა საკმარისი და სამსუნში ჩასულებს აღარაფერი ჰქონდათ. ბედად, მუჰაჯირთა შორის მარადიდელი ნაცნობები ნახეს და იმათ მიეკედლნენ. მერეც მათთან ერთად გადასახლდნენ ამჟამინდელი საქარიის ილის ტერიტორიაზე (მთქმელი ნუგზარ თანდილავა, 73 წლისა).

თუზჯოღლები (იგივე **ტუზჯოღლები**) გაღმა სარფში მცხოვრები გვარია. გამომდმა სარფში არ არიან, თუმცა მიიჩნევენ, რომ გამომდმასარფელი **დოლიძეების** ერთი ნაწილი მათი განაყოფია. წარმომავლობით ხოფიდან არიან — მათი წინაპარი სარფში 1830 წელს გადმოსულა. მთქმელებს თარიღი კარგად ახსოვთ იმიტომაც, რომ ამ წელს ხოფაში დიდი ანტიოსმალური აჯანყება მომხდარა, რომლის მეთაური ასევე თუზჯოღლის გვარიდან ყოფილა. აჯანყების ჩახშობის შემდეგ ოსმალებს მამრობითი სქესის ყველა თუზჯოღლი ამოუხოცავთ — გადარჩენილა მხოლოდ ის, ვისაც სარფელებთან შეუფარებია თავი; მერე კი, მის წასაყვანად მოსული ოსმალებისათვის უთქვამს: ხოფელი თუზჯოღლები ჩემი ნათესავები არ არიან, მე სარფში დავიბადე და გავიზარდეო.

დღესდღეობით გაღმასართფელი თუზჯუოღლების უმრავლესობა ოფიციალურად **თუზჯუს** (თურქ. **Tüzcü**) გვარს ატარებს, ზოგსაც ძველი მეტეგვარი აქვს გვარად (**Tüzcüoğlu** ფორმით). გამოღმასართფელ თანდილაგათა მსგავსად, მათაც საკმაოდ ბევრი რამ ახსოვთ მუჰაჯირობის შესახებ. ასე მაგალითად, 87 წლის ჰუსეინ თუზჯუს ცნობით, ბაბუამისის ბიძები მუჰაჯირად 1877 წელსვე წასულან. წასვლა ბაბუამისის მამასაც სდომებია, მაგრამ სამსუნში ჩასული ბიძებისაგან წერილი მიუღია: არ წამოხვიდე, აქ ისეთ აუტანელ დღეში ვართ, რომ უკან დაბრუნებაზე ვფიქრობთო. უკან, ცხადია, ველარაფრით დაბრუნებულან და ბურსაში გადასულან; შეუტყვიათ, რომ ბათუმიდან წასული მუჰაჯირები იმ მხარეს ესახლებოდნენ. ამის შემდეგ მათი კვალი გამქრალა.

მეორე მცხოვანი სართფელის — 90 წლის სინან თუზჯუს თქმით, მუჰაჯირად წასული ბაბუამისის მამა — ჰიქმეთი, ბედნიერი შემთხვევის წყალობით, სამსუნში ჯერ შიმშილით სიკვდილს გადარჩენია, მერე კი უკან დაბრუნებაც მოუხერხებია — ბათუმისკენ მომავალი გემის კაპიტანს შესცოდებია და მალულად წამოუყვანია. ჰიქმეთ თუზჯუოღლი მაშინ 17 წლისა ყოფილა. ის ბათუმში შეჰკედლებია ნათესაგებს და მას შემდეგდა გაუბედავს გაღმა სართფი ჩასვლა, რაც რუსეთის იმპერიის ხელისუფლებას მუჰაჯირობა დასრულებულად გამოუცხადებია (1882 წლის დასაწყისში). აქ იგი დაქორწინებულა და მამისეული კერაც აღუდგენია. ჰიქმეთის სამსუნში დარჩენილი და-ძმებიდან (სულ ექვსნი ყოფილან) ოთხი შიმშილით და ტიფით მომკვდარა, ერთი ოსმალო ჟანდარმებს შემოჰკვდომიათ, ერთი კი გადარჩენილა, თუმცა სართფში დაბრუნება ველარ მოუხერხებია. ჰიქმეთის შთამომავლებს, გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან მოყოლებული (ე.ი. იმ დროიდან, როდესაც გაღმა სართფი თურქეთს გადაეცა), რამდენჯერმე უცდიათ მისი მოძებნა, თუმცა უშედეგოდ.

გაღმა და გამოღმა სართფიდან გადახვეწილი მუჰაჯირების სიაში მოხსენიებულ სხვა მეტეგვართა მატარებლების შთამომავლები დღესდღეობით არც ერთ სოფელში არ ჩანან, მაგრამ საკმაოდ არიან დუზჯესა და საქარიის ილებში: მაგალითად, ქ. საქარიაში ვნახეთ მეჰმეთ-რეისოღლების, იბრაჰიმოღლებისა და იბიმოღლების შთამომავლები, რომლებიც იქ 1885 წლიდან დამკვიდრებულან, იქამდე კი სტამბოლის ერთ-ერთ აზიურ გარეუბანში უცხოვრიათ. ასევე: დუზჯეს ილჩეს სოფ. **ბენი ქაოში** (თურქ. **Beçi köyü**), რომელიც დღეს ქ. დუზჯეს ახალ კვარტლებს ერწყმის, ვნახეთ დელიმუსტაფაოღლების შთამომავლები. ისინი ჩხალელ და ბელღევნელ მუჰაჯირთა შთამომავლებთან ერთად ცხოვრობენ და, რა თქმა უნდა, ლაზურად უკვე ჩხალურ კილოკავზე მეტყველებენ.

აღსანიშნავია, რომ ლაზეთიდან წასულ მუჰაჯირთა შორის ყველაზე მეტნი სწორედ ჩხალისა და ბელღევნის ხეობების მკვიდრნი იყვნენ — მშობლიური მხარე მათ 1878 წლის ბოლოს დატოვეს, ბათუმში ჩავიდნენ და იქიდან კი გემებით სტამბოლისკენ გაემართნენ. XIX საუკუნის 80-იანი წლების შუახანებში, ძირითადად, თანამედროვე დუზჯე-საქარიის მიწებზე დაესახლნენ. როგორც მათმა დღევანდელმა შთამომავლებმა გვამცნეს, ჩხალე-ლი და ბელღევნელი ლაზები ოსმალეთის ტერიტორიაზე, ხელისუფლებისავე თანადგომით, ორგანიზებულად გადასულან, სტამბოლშიც ერთად ყოფილან და ხელისუფლების

მიერ ბოძებულ მიწებზეც ერთად, კომპაქტურად დასახლებულან. უდავოდ, **ესაა იმის მიზეზი, რომ ჩხალური კილოკავი** (რომელიც დღემდე გავრცელებულია თურქეთის ართვინის ილის ბორჩხის ილჩეში — მდ. ჩხალის და ბელლევნის ხეობებში) **განზოგადდა მუჰაჯირთა შორის.**

ამასთან, როგორც ოსმალური დოკუმენტებიდან ირკვევა, ჩხალელ და ბელლევნელ მუჰაჯირთა უმრავლესობა იყო შემდეგი სოფლებიდან: **ბელლევანი** (ამჟამად — **Güreşen**), **ობორდია** (**Şerefiye**), **სუჯუნა** და **სქურ[უ]ჩა** (ამჟამად ერთ სოფლად ითვლება და ეწოდება **Boğazköy**), **ჩხალაზენი** (**Düzköy**). ამ უკანასკნელის გარდა, ყველა დანარჩენი სოფელი მდ. **ბელლევნის** (დღევანდელი სახელწოდებით — **Güreşen Deresi**) ხეობაში მდებარეობს და იქ, იმთავითვე, გვერდიგვერდ სახლობენ ორი ქართული ლოკალური თემის — **ლაზებისა** და **ნიგალელების** (ანუ **ლივანელების / ლიგანელების**) წარმომადგენლები. სწორედ აქედან გამომდინარე, ლაზები, ლაზურთან ერთად, ფლობენ ნიგალურ დიალექტს, ნიგალელები კი, ნიგალურთან ერთად, ფლობენ ხოფური დიალექტის ჩხალურ კილოკავს. რალა თქმა უნდა, ეს ასე იყო მუჰაჯირობის პერიოდშიც; ამიტომაც, ბელლევნის ხეობიდან წასული ლაზებისა და ნიგალელების შთამომავლებმაც დღემდე იციან ჩხალური კილოკავიცა და ნიგალური დიალექტიც.

ჩხალაზენს რაც შეეხება: იქ ადრეც და ამჟამადაც მხოლოდ ლაზები სახლობდნენ და სახლობენ. ეს სოფელი დღემდე ყველაზე დიდი დასახლებული პუნქტია მდ. ჩხალის ხეობაში. გადმოცემით, ჩხალის ხეობის სხვა სოფლებიდან მუჰაჯირად წამსვლელი ხალხი ჯერ ჩხალაზენში შეკრებილა და იქიდან ერთად გადასულა ბათუმში ურმებით. იმხანად ცალკე აღებულ ჩხალაზენში უფრო მეტი მოსახლე ყოფილა, ვიდრე ჩხალის ხეობის სხვა სოფლებში და ბელლევნის ხეობაში — ერთად. მუჰაჯირობის შემდეგ კი (XIX საუკუნის 80-იან წლებში), ჩხალაზენი მოსახლეობისაგან თითქმის სულ დაცლილა (მთქმელი — ჰუსეინ ოზთაბაქი, 78 წლისა).

ოსმალური დოკუმენტების თანახმად, მდ. ბელლევნის ხეობაში მდებარე უდიდესი სოფლიდან — **ბელლევნიდან** — 1878 წლის ბოლო ექვსი თვის განმავლობაში მუჰაჯირად წასულან შემდეგი მეტგვარების მატარებლები:

- ქირაჩოღლი
- ჯამუშოღლი
- სადიკოღლი
- ფელვიოღლი
- თურშუოღლი
- თუთალოღლი**
- სეიდიოღლი
- ლაზოღლი**
- აბდიოღლი

სკურათოღლი (ტექსტში: *სუქურათოღლუ)

ხაბაზოლლი

ტახუროლლი (ტექსტში: *თალუროლლუ)

შაბანოლლი

ბემიროლლი

კატირჯიოლლი

თექბედროლლი

დემირჯიოლლი

მეგრელოლლი

ქურაოლლი

ბოსტანჯიოლლი

ჰაჯიოლლი

ჭახალოლლი (ტექსტში: *ჩაღალოლლუ)

ბადრამალიოლლი

ბირინჯიოლლი

კუკუროლლი

კიფალოლლი (ტექსტში: *ქეფელიოლლუ)

ჭაბანაროლლი (ტექსტში: *ჩავნაროლლუ)

ხახატოლლი (ტექსტში: *ჰაჰადოლლუ)

ფარშიოლლი

მანდოლლი

თათოლლი

ქღოსეოლლი

ჩოხატაროლლი (ტექსტში: *ჩუჰადაროლლუ)

ქერხაბეოლლი

თუთულოლლი

ჰაბიბოლლი

სოფიოლლი

გუგუნოლლი

უმუნოსმანოლლი

ნუმანოლლი

ქადაბანოლლი

ჭუმანდოლლი (ტექსტში *ჩუმადოლლუ)

უმუნალიოლლი

ჭედელოლლი (ტექსტში: *ჩედალოლლუ)

კოსტომანოლლი (ტექსტში: *ქუსდუმანოლლუ)

უმუნჰაბიბოლლი

ტავმანოლლი

კაპინეროლი (ტექსტი: *ქაბნეროლუ)

კაზიკიოლი

გენჯოსმანოლი

აბდულლაჰოლი

გიდრევე-ჰუსეინოლი

გიდრევე-აჰმედოლი

გიდრევეოლი

ქოროლი

ქარაალიოლი (ქასაბი: 2019: 53)

ამ სიაში გამუქებული გვაქვს ისეთი მეტგვარები, რომელთა ეპონიმებიც უდავოდ ქართველურია (ლაზური ან ნიგალური). დავძენთ იმასაც, რომ მათ მატარებელ მუჰაჯირთა შთამომავლები ჩრდილო-დასავლეთ თურქეთში დღემდე გვხვდებიან; ასე მაგალითად, **თუთალოლები** (ამ მეტგვარის ეპონიმად გვაქვს ქალის ლაზური სახელი **თუთალა** „მთვარუკა“) ქოჯაელის ილის იზმითის ილჩეს სოფ. **ჩუბუქლუ-ბალაში** (თურქ. **Çubuklu Bâlâ** ან **Yukarı Çubuklu**) ცხოვრობენ და წინაპრების ლაზურ გვარად ასახელებენ **თუთალაში** ფორმას. **ლაზოლები** არიან, ძირითადად, ქ. დუზჯესა და მის მიმდებარე სოფლებში, ხოლო **სკურატოლები** კი — ქ. საქარიაში. ეს უკანასკნელები ლაზურ გვარად ასახელებენ **სქურატაში** ფორმას. აქ ეპონიმად გამოიყოფა **სქურატა** „აცა-ბაცად მიმავალი დეღე“; საფიქრებელია, რომ ეს უნდა ყოფილიყო გვარის თავდაპირველი საცხოვრისის აღმნიშვნელი ტოპონიმი.

რაც შეეხება მეტგვარ **ტახუროლი**'ს, აქ, ჩვენი აზრით, ეპონიმად უნდა გამოვყოთ ლაზური მიკროანთროპონიმი **ტახურა** „ტეხილა“, რომელიც დღემდე, მხრებში მოხრილი ადამიანის აღმნიშვნელია. ამ მეტგვარის მატარებელთა შთამომავლები ლაზურ გვარად სწორედ **ტახურაში** ფორმას მიუთითებენ. ნიშანდობლივია, რომ სოფ. ბელღევანში ოთხი ოჯახია ამ გვარისა, ქ. დუზჯეში კი — ორმოცდაათამდე. ორივეგან, ტახურაშებმა (ყოველ შემთხვევაში, უფროსმა თაობამ) ლაზურიც იცის და ნიგალურიც.

ღირსსაცნობია, აგრეთვე, მეტგვარი **მეგრელოლი** — უდავოა, რომ აქ ეპონიმად უნდა გამოიყოს თემონიმური წარმომავლობის მიკროანთროპონიმი **მეგრელი**. დღესდღეობით ამ მეტგვარის მატარებელთა შთამომავლები ერთობ მრავლად არიან როგორც ლაზურ, ისე ნიგალურ და აჭარულ სოფლებშიაც (უპირატესად — დუზჯესა და საქარიაში). თანაც, ყოველი მათგანი წინაპრების სოფლად სწორედ ბელღევანს ასახელებს.

მეტგვარ **ჭახალოლი**'ში ეპონიმად უნდა გამოიყოს **ჭახალა** მიკროანთროპონიმი, რაც ლაზურად ნიშნავს „ჭარხალს“; **კუკუროლი**'ს ეპონიმია მამაკაცის ანთროპონიმი **კუკური**, ხოლო მეტგვარ **კიფალოლი**'სა — მიკროანთროპონიმი **კიფალა** (რაც ლაზურად ნიშნავს „კეფალს“ — Mugil Cephalus); ასევე: მეტგვარ **ჭაბანა-როლი**'ს ეპონიმია **ჭაბანარა** „მტევანა“, მეტგვარ **ხახატოლი**'სა — **ხა[რ]ხატა** „ფარფატა“. მეტგვარი **თათოლი** მომდინარეობს ქალის ქართველური ანთრო-

პონიმიდან **თათო**, მეტგვარ **ჩოხატაროლი**ში კი ეპონიმად უნდა გვექნდეს იგივე ძირი, რომელიც გამოიყოფა ტოპონიმში **ჩოხატაური**. ამგვარადვე, მეტგვარი **თუთულოლი** ეპონიმად შეიცავს მიკროანთროპონიმს **თუთულა** „მშიშარა“, მეტგვარი **ჭუმანდოლი** — მიკროანთროპონიმს **ჭუმანდა** „ადრე ადგომის მოყვარული“. მეტგვარ **ჭედელოლი**ში ეპონიმი ნიგალური დიალექტური ფორმა **ჭედელი** „მჭედელი“ გახლავთ, ხოლო მეტგვარ **კოსტომანოლი**ში ეპონიმად მამაკაცის ძველი ანთროპონიმი **კოსტომანი** უნდა გამოიყოს. ჩვენი შეხედულებით, ის ორკომპონენტიანია — შედგენილია **კოსტა** და **ომანი** ანთროპონიმებისაგან. **კოსტომანი**შის გვარის ლაზები ჩვენ შეგვხვდნენ დუბჯეს ილჩეს სოფ. დოქუმქლოში (თურქ. **Dökküzköyü**).

ასევე: ამჟამად ლაზურია მეტგვარ **კაპინეროლი**ს ეპონიმი: **კაპინერი** ლაზურად არის „მორბენალი“. **კაპინერი**შის გვარი დღესაც მრავალრიცხოვანია სოფ. ბელღევანში და დუბჯეს ილჩეს სოფ. ბეჩი ქლოში. გადმოცემით, გვარის წინაპარი მართლაც განთქმული მორბენალი ყოფილა.

სიაშივე მოხსენებული მეტგვარები — **გიდრევე-ჰუსენოლი**, **გიდრევე-აჰმედოლი** და **გიდრევეოლი** ეპონიმებში ანდა ეპონიმად შეიცავენ ტოპონიმს **გიდრევე**, რომელიც ლაზეთის არქაბის თემის ერთ-ერთი სოფლის ტრადიციული სახელია (ამჟამად **Dereüstü** ეწოდება და თურქეთისვე ართვინის ილის არჰავის ილჩეში შედის). ბელღევანში დღემდე გვხვდებიან სამივე გვარის წარმომადგენლები, რომელთა წინაპრებიც ძმები ყოფილან და მუჰაჯირობის დაწყებამდე მცირე ხნით ადრე სწორედ გიდრევედან გადმოსულან. ამავე გვარის 2-3 ოჯახი მკვიდრობს ქ. დუბჯეშიც.

ბელღევანის ხეობის სოფ. **სუჯუნადან** წასულ მუჰაჯირთა სიაც ძალზე საინტერესოა. ლაზური ან ნიგალური ფუძეებისაგან ნაწარმოები მეტგვარები აქაც საკმაოდ გვხვდება:

იმამოლი

სელიმოლი

ქიტუმოლი

ქოჩალი

გუთხაოლი

მოლლაოსმანოლი

იბრაჰიმოლი

ქაბაჰასანოლი

ოდაბაშიოლი

ღარიფაჰმედოლი

ჭალუკოლი

კალათალოლი (ტექსტში: * გალათალოლიუ)

ქასოლი

ხოჯაოლი

ბადრაქთაროლი

ქარამეჰმეთოღლი
სარიომეროღლი
სალღანჯიოღლი
ქარაჰასანოღლი
მაჰმეთოღლუ

ლულუოღლი

ცეკოოღლი (ტექსტში: *საგოღლი)

ჩაქველოღლი (ტექსტში: *ჩაქვილიოღლუ)

კითოღლი

ჩორბაჯიოღლი
დემირჯიოღლი

ჭამედოღლი (ტექსტში: *ჩამედოღლუ)

ბანომეროღლი
ბირინჯიოღლი

კალაფათიოღლი

მუთულოღლი

შაშიოღლი
ფუმუნჯოღლი

წერწელოღლი (ტექსტში: *ზერზელოღლუ)

ვებიროღლი
გენჯოღლი

ორმანოღლი
ოფლიოღლი

სარიაჰმეთოღლი

სარიჰასანოღლი (ქასაბი, 2019: 53)

ჩვენ აქაც გამუქებული გვაქვს ის მეტგვარები, რომლებიც ეპონიმებად ქართველურ ძირებს შეიცავენ. ასე მაგალითად, მეტგვარ **ზუთხაოღლი** ში ეპონიმად უნდა გამოიყოს მიკროანთროპონიმი **ზუთხა**, რაც მომდინარეობს „ზუთხი“ (Acipenser) სახელისგან; ანდა, თუკი ჩავთვლით, რომ ოსმალურ-თურქული ანბანით ჩაწერილი **ზუთხაოღლი** ფორმა ლაზთა და ნიგალელთა მეტყველებაში [მ]წუთხაოღლის სახით ჟღერდა, ეპონიმად უკვე მიკროანთროპონიმი **წუთხა // მწუთხა** გამოდის (მწუთხე ლაზურშიცა და ნიგალურშიცა „ძალიან მლაშეს“ ნიშნავს; გემოაჭარულში კი **წუთხე**, „მლაშეს“ (გადამეტებული მარილიანის) პარალელურად — გადამეტებულ ტკბილსაც).

რაც შეეხება მეტგვარ **ჭალუკოღლი**’სა და **კალათალოღლი**’ს: ჩვენი აზრით, ორივეს ეპონიმი ორკომპონენტიანია: **ჭე ალუკა** (საიდანაცაა მიღებული **ჭალუკა**) — ლაზურად ასე უხმობენ საალერსოდ მას, ვისი ნამდვილი სახელიცაა **ალი**. **კალათა ალი** კი ლაზურადაც და ნიგალურადაც „კალათივით ჩამრგვალებულ ალის“ ნიშნავს; შესაბა-

მისად, ეპონიმად პირველ შემთხვევაში გვაქვს **ჭე** „ჭოვ, ბიჭო“ აპელატივიანი კნინობითი ფორმა, ხოლო მეორე შემთხვევაში — **კალათა** ეპითეტიანი ანთროპონიმი.

ამასთანავე, მეტგვარ **ლულულოლი**ში ეპონიმად გვაქვს ლაზური **ლულუ** „ლბილი, ნაზი, მოლოლიავე“ სახელი, ხოლო მეტგვარ **ცეკოლოლი**ში — ლაზურივე **ცეკო** „ცეტი, ანცი“ სახელი. მეტგვარ **ჩაქველოლი**ს ეპონიმი აშკარად თემონიმური წარმომავლობისაა და ოსმალურ-თურქულადაც ჩაუწერიათ **ჩაქვილიოლლუ** — „ჩაქველიშვილი“; **კითოლი** კი უდავოდ ლაზურ **კითა** „თითა“ მიკროანთროპონიმს შეიცავს ეპონიმად.

მეტგვარ **ჭამედოლი**ში ეპონიმი ორკომპონენტისადაც გვესახება: **ჭე** აპელატივია, ხოლო **ამედი** — არაბულ-თურქული **აჰმედ** ანთროპონიმის ლაზური ფორმა. რაც შეეხება მეტგვარ **კალაფატიოლი**ს: აქ გვაქვს შერეული — თურქულ-ლაზური წარმოება. ლაზურ დიალექტებში ბერძნულიდან შემოსული ლექსემა **კალაფატი** ნიშნავს „საგობავს“, მისგან კი თურქული ენიდან შეთვისებული **-ჩი** სუფიქსით იწარმოება **კალაფატიჩი** „დამგობავი“; ეს ლაზური ტერმინია და ამიტომაც, მეტგვარი **კალაფატიოლი** გავამუქეთ.

კიდევ ორი მეტგვარი — **მუთულოლი** და **წერწელოლი**, ჩვენი შეხედულებით, აშკარად ლაზურ ეპონიმებს შეიცავს: **მუთულა** ნიშნავს „გამრჯე, რამის მქმნელ ადამიანს“, ხოლო **წერწელა** — „წოწოლას, ძალიან მადალს“. ლაზეთში ორივე ლექსიკური ერთეული დღემდე გამოიყენება მიკროანთროპონიმებად.

ბელღევანისვე ხეობის სოფელ **სქურ[უ]ჩადან** (ეს ტოპონიმი ოსმალურ დოკუმენტში „სოქორჩეს“ ფორმითაა ჩაწერილი; ადგილობრივი მცხოვრებლები **სქურჩას** უწოდებენ, ხოლო მუჰაჯირთა შთამომავალი ლაზები კი **სქურჩას** ამბობენ. **სქურჩა** ნიშნავს „თეთრ ნაკადულს“, **სქურჩა** — „შავ ნაკადულს“) მუჰაჯირად წასულებს შემდეგი მეტგვარები ჰქონიათ:

იმამოლი

უსტამეჰმეთოლი

მოლლაოსმანოლი

ქაჭიტოლი (ტექსტში *ქაჩიდოლლუ)

უსტაჰუსეინოლი

ქოჩალოლი

ქაბურჯოლი

ჭუმანდოლი (ტექსტში *ჩუმადოლლუ)

ფეძიოლი

ბალთაოლი

მუსაოლი

ქოსეოლი

ჭალუკოლი

დელისალიხოლი

ფორთაჯიოღლი
ქაფთანოღლი
ქარააჰუსეინოღლი
თუსქათოღლი
ალიოღლი
დამაქოღლი
ქარააჰმეთოღლი (ქასაბი, 2019: 53)

როგორც ვხედავთ, ამ სიაში სულ ორი ქართველურეპონიმიანი მეტგვარი გვხვდება, თუმცა ორივე საყურადღებოა: მეტგვარში **ქაჭიტოღლი** უნდა გამოიყოს ლაზური ლექსემა **ქაჭიტა** „რქაპატარა“ (როგორც მიკროანთროპონიმი), ხოლო **ჭუმანდოღლი**, როგორც უკვე ზემოთაც აღინიშნა, ეპონიმის სახით შეიცავს ასევე ლაზურ მიკროანთროპონიმს **ჭუმანდა** — „ადრე ადგომის მოყვარული“. სქურუჩელი ქაჭიტოღლები და ჭუმანდოღლები ამჟამად მხოლოდ ქ. საქარიაში არიან (თითო–თითო ოჯახი).

ფრიად საყურადღებო, ქართველურეპონიმებიანი მეტგვარები დასტურდება, ასევე, სოფ. ოხორდიადან წასულ მუჰაჯირთა სიებშიც:

დავულჯიოღლი
ბურბუოღლი
თუნუსლუოღლი
მედალიოღლი
მოლლაოსმანოღლი
ბექიროღლი
პუწულაოღლი (ტექსტში: *ბუსულაოღლი)
ქარაგილანოღლი
ბურბალოღლი
თაისმაილოღლი
ქოსეოღლი
ბურსალიოღლი
სარიმეჰმეთოღლი
კირალიოღლი
ოდაბაშიოღლი
მელიქოღლი
ქარაქულლუქჩიოღლი
ჩავეშოღლი
ქემახლიოღლი
ეფუფოღლი
პაპულოღლი (ტექსტში: *ბაბულოღლუ)
დილდუზოღლი

ამაქოლლი

სარიალიოლლი

აბდულლაჰოლლი

ჰუსეინოლლი

მამუშოლლი

ქიბარჰასანოლლი

ხართუთოლლი (ტექსტში *ართუდოლლუ)

მოლლაჰასანოლლი

ბოშნაკოლლი

ქარაოსმანოლლი

ბაკოლლი

ჩაქიროლლი (ქასაბი, 2019: 53)

უდავოდ ლაზურია მეტგვარ **ბურბუოლლი**'ს ეპონიმი: ლაზურად **ბურბუ** ნიშნავს „ღამურას“ — აქ ეს სიტყვა მეტსახელადაა გამოყენებული. **მედალიოლლი** კი წარმოადგენს ლაზური მეტყველებისთვის მეტად დამახასიათებელ კონტამინირებულ ფორმას: ***აჰმედ-ალი ოლლი > *ამედალიოლლი > მედალიოლლი**. დღეს, ოხორდიელი და დუბჯელი მედალიოლლები წინაპრების ლაზურ გვარად **მედალიში** ფორმას ასახელებენ, რაც რასაკვირველია, მეტგვარის გალაზურებული სახესხვაობაა.

მეტგვარ **პუწულაოლლი**'ს ეპონიმი ლაზური **პუწულა** „რბილი, თოთო“ ლექსემა, რაც ამ შემთხვევაში მიკროანთროპონიმადაა გამოყენებული. რაც შეეხება მეტგვარ **ქარაილანოლლი**'ს: ერთი შეხედვით, მისი ეპონიმი **ქარა ილან** თითქოს ოსმალურ-თურქული ჩანს (ითარგმნება, როგორც „შავი გველი“), მაგრამ საქმე ისაა, რომ როგორც ოხორდიაში, ისე დუბჯეს ილჩეს სოფ. დოქუბქოფოში მცხოვრები ქარაილანოლლების ამჟამინდელი შთამომავლები წინაპრების ლაზურ გვარად ასახელებენ **კარაილაში** ფორმას. აქ ეპონიმად უკვე გამოდის თურქულ-ლაზური, ნაწარმოები **კარა ილა** „შავი ილია“; ასე რომ, მეტგვარი ამ უკანასკნელი ფორმის ოსმალურ-თურქულად გააბრების შედეგად, უფრო გვიან არის მიღებული.

მეტგვარ **ბურბალოლლი**'ს ეპონიმიც აშკარად ლაზურ-ნიგალურია — **ბურბალა** ანუ „ბორბალა“ ლაზეთშიც და ნიგალშიც შეიძლება იყოს მოუსვენარი ვაცის მეტსახელი. აქაც სწორედ მეტსახელია ეპონიმად გამოყენებული. ასევე დავძენთ იმასაც, რომ ამ მეტგვარის მატარებელთა შთამომავლები (ლაზეთშიც და ჩრდილო-დასავლეთ თურქეთშიც) ძველ ლაზურ გვარად ასახელებენ **ბურბალაში** ფორმას. მათგან 17 ოჯახი დღეს ცხოვრობს ქალაქ ხოფაში (ატარებენ ახალ გვარს **Altınsoy**), 7 ოჯახი — დუბჯეს ილის გოლიაქას ილჩეს სოფ. **იაზლიქში** (თურქ. **Yazlık köyü**), თავად სოფ. ოხორდიაში კი 2 ოჯახიღაა დარჩენილი.

მეტგვარი **პაპულოლლი** ეპონიმად შეიცავს ლაზურ სიტყვას **პაპული** — „პაპა, ბაბუა“ და ნიშანდობლივია, რომ მის მატარებელთა შთამომავლები ქ. საქარიაში დღეს

ახალ გვარად **Dedeoğlu**-ს (თურქულიდან ითარგმნება, როგორც „ბაბუის შვილი“) ატარებენ, წინაპართა ლაზურ გვარად კი ასახელებენ **პაპულიში** ფორმას. ნიშანდობლივია, რომ მათი თქმით, გვარის ეპონიმი იყო მუჰაჯირად წასვლისას დახოცილი ოხორდიელების ოჯახის ბაბუა, რომელსაც მარტოდმარტო ჩაუღწევია სტამბოლამდე, იქ კი ხელახლა დაქორწინებულა და ახალი მოდგმისთვის ჩაუყრია საფუძველი. ეს ლეგენდა სინამდვილეს არ შეეფერება, რადგანაც, როგორც ვხედავთ, ოხორდიიდან წასულ მუჰაჯირთა სიაში (რომელიც გემზე ასვლამდე — ქ. ბათუმშია შედგენილი) **პაპულოღები** თავიდანვე იხსენიებიან. თავად სოფელ ოხორდიაში კი დღეს ამ გვარისა აღარავინ არის.

მეტგვარი **მამუშოღლი** ეპონიმად უნდა შეიცავდეს კნინობით-ალერსობით **მამუში** // **მამუშა** ფორმას — ამგვარად ასხვაფერებენ ლაზები არაბული ენიდან მომდინარე **მაჰმუდ** ანთროპონიმს. რაც შეეხება მეტგვარ **ხართუთოღლი**'ს: მასში ეპონიმად მოჩანს **ხართუთა** „*Morus Nigra*“, რომელიც დღესაც გვხვდება როგორც ნიგალურ დიალექტში, ისე ხოფური დიალექტის ჩხალურ კილოკავში (აქ — თანხმომავანფუძიანი ფორმით: **ხართუთ-ი**). ამჟამად, ქ. დუბჯეში მოსახლე **ხართუთოღლები** ატარებენ ახალ გვარს **Ertürk**, წინაპრების ძველ გვარად კი მიუთითებენ **ხართუთიში** ფორმას. თავად სოფ. ოხორდიაში კი, ამ მეტგვარის მატარებელთაგან აღარავინ დარჩენილა.

მეტგვარი **ბაკოღლი**, ჩვენი შეხედულებით, ეპონიმად უნდა შეიცავდეს ლაზურ **ბაკვა** „ტორტმანით მოსიარულე“ მეტსახელს. მართლაც, ქ. აქჩაქოჯაში მცხოვრები ბაკოღლები წინაპართა ლაზურ გვარად ასახელებენ **ბაკვაში** ფორმას, ახალ გვარად კი არჩეული აქვთ **Karabak**. თავად ოხორდიაშიც დარჩენილია ბაკოღლების ერთი ოჯახი, რომელსაც გვარად **Bakır** დაუწერია.

მაშასადამე, ლაზ მუჰაჯირთა სიების გადახედვით ცხადი ხდება, რომ XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოსთვის ოსმალურ-თურქული გავლენა ლაზეთსა და ნიგალში უფრო იგრძნობოდა, ვიდრე ქობულეთში, ზემო და ქვემო აჭარასა და მაჭახელში; ასე მივიჩნევთ იმიტომ, რომ **თუ, მაგალითად, ქობულეთიდან წამოსულ მუჰაჯირთა სიებში, მართალია იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ქართველურდაბოლოებიანი გვარსახელები, ლაზური ანდა ნიგალური სოფლებიდან წამოსული მუჰაჯირების სიებში ისინი საერთოდ არაა მოხსენიებული.** სამაგიეროდ, ქართველურენოვანი ეპონიმები მეტგვარები ლაზებისთვისაც ანდა ნიგალელებისთვისაც ზუსტად ისევე ყოფილა დამახასიათებელი, როგორც ქობულეთის, ზემო და ქვემო აჭარისა თუ მაჭახლის მკვიდრთათვის.

როგორც ცნობილია, გვარსახელში უცხოური წარმოშობის დაბოლოების არსებობა, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკურ-კულტურულ ან რელიგიურ გავლენაზე მიუთითებს. ზოგი მკვლევრის შეხედულებით კი, **უცხოურდაბოლოებიანი ანდა ზოგადად, უცხოური გვარის მატარებელი a priori ორენოვანია** (გონსალვიში, 2021: 78). ჩვენი აზრით, ეს მცდარი აზრია, რამდენადაც პოლიტიკურ-კულტურული ან

რელიგიური გავლენა ყოველთვის არ უნდა გულისხმობდეს ორენოვნებას. მაგალითად, ქართველურეპონიმიანი მეტეგვარების მატარებელ მუჰაჯირთა უმრავლესობა ერთენოვანი უნდა ყოფილიყო — ეს აშკარად ჩანს იქიდან, რომ ბევრი მეტეგვარი მუჰაჯირთა ოსმალთა აღმრიცხველებს მათი ქართველური გამოთქმის თანახმად ჩაუწერიათ: **ჰაჯი-ფაზილიოღლი** (ნაცვლად მართებული ფორმისა: **Hacı Fazıl oğlu**), **მედალიოღლი** (ნაცვლად მართებული ფორმისა: **Ahmet Ali oğlu**) და ა.შ.

ამასთან, უდიდესი ნაწილი იმ პატრონიმული მეტეგვარებისა, რომლებსაც ლაზური სოფლებიდან წამოსული მუჰაჯირები ატარებდნენ და რომელთა ეპონიმიებად, როგორც წესი, ისლამზე პირველად მოქცეულ წინაპართა ანთროპონიმები, ან კიდევ მათი ხელობის აღმნიშვნელი არსებითი სახელები იყო გამოყენებული, ოსმალურ-თურქულად სავსებით მართებულადაა ჩაწერილი; მაგალითად: **Eyyüp oğlu, Abdüllah oğlu, Hüseyin oğlu, Usta Hasan oğlu** და მისთ. მაშინ, როდესაც ამავე მეტეგვარებს, მათი მატარებლების ამჟამინდელი შთამომავლებიც კი კვლავ ტრადიციულ ქართველურ ყაიდაზე წარმოთქვამენ: **ეუბოღლი, აბდულოღლი, ხუსეინოღლი, უსტახასანოღლი...** მუჰაჯირად წამსვლელთაც, რაღა თქმა უნდა, ასევე უნდა წარმოეთქვათ ისინი, თუმცაღა ოსმალთა აღმრიცხველს სიაში, გასაგები მიზეზების გამო, მხოლოდ მართებული ფორმები შეჰქონდა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ქართველურად გადასხვაფერებული ოსმალურ-თურქული (ან არაბული) ეპონიმის ამოსავალ სახეობას ვეღარ ამოიცნობდა.

აქვე, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ოსმალურ-თურქული ანბანი, რასაკვირველია, ქართველური ბგერითი სისტემის სრულად გადმოცემის საშუალებას არ იძლეოდა; ამიტომაც, ქართველურეპონიმიანი მეტეგვარები ოსმალთა აღმრიცხველს სიაში შეჰყავდა იმ ფორმით, როგორც თავად აღიქვამდა. მაგალითად, ისეთი მეტეგვარები, როგორებიცაა ზემოთ უკვე მოხსენიებული **ქაჭიტოღლი, ჭუმანდოღლი, ჭახალოღლი** თუ **ცეკოღლი** (ამათი ქართველურდაბოლოებიანი სახესხვაობებია: **ქაჭიტაში, ჭუმანდაში, ჭახალაში, ცეკოში**, რომელთაც ლაზები ძველ გვარებად გვისახელებენ), სიებში ჩაწერილი ვახლავთ, როგორც **Kaçidoğlu, Çumadoğlu, Çağaloğlu, Sagoğlu...** სწორი (მუჰაჯირებისეული) წარმოთქმა დღემდე აქვთ შენარჩუნებული მუჰაჯირთა შთამომავლებს და კვლევისას არ გაგვჭირვებია ამოგვეცნო ამოსავალი ფორმები.

სამწუხაროდ, ჩვენთვის ხელმისაწვდომ ოსმალურ დოკუმენტებში არაა აღნიშნული, იცოდნენ თუ არა ოსმალურ-თურქული ლაზური სოფლებიდან მუჰაჯირად წამსვლელმა პირებმა. ამიტომ აქ უპირატესად მათ დღევანდელ შთამომავლებში მრავლად შემონახულ გადმოცემებს უნდა დავეყრდნოთ. მაგალითად, როგორც ქ. დუბჯეში მცხოვრებმა ლაზმა **შუქრი ქაპრამანმა** (87 წლისა; ოსმალური მეტეგვარი — **აბდულოღლი**, წინაპრების გვარი — **აბდულიში**; აზღაღელი მუჰაჯირების შთამომავალი) განგვიცხადა, **ბათუმის რუსთავან დაპყრობის შემდეგ მუჰაჯირად**

პირველნი ლაზი ადები და ბეგები წავიდნენ, სტამბოლში დაფუძნდნენ და იქიდან გემები გამოგზავნეს უბრალო ხალხის წამოსაყვანად. ზღვისპირა ლაზური სოფლების (გონიოს, სარფის, მაკრიალის, ლიმანის, აზლაღას...), ასევე ბათუმის მკვიდრნი სწორედ ამ გემებით ორგანიზებულად წავიდნენ ოსმალეთში. მათი უმეტესობა მხოლოდ ლაზურად ლაპარაკობდა, თუმცაღა საკმაოდ ჰყავდათ ე.წ. **მეთურქულეფე**, ანუ „მთურქულეები“ — თითო გემზე 4-5 კაცი მაინც. სტამბოლში ჩასულები კი, თურქულის არცოდნის გამო, ერთად დასახლდნენ; მერეც ერთად დააარსეს სოფლები.

ანალოგიურადვე აღგვიწერა მუჰაჯირად წამოსვლის პროცესი ბელღევნელ ლაზთა შთამომავალმა, საქარიელმა **ჰუსეინ-ალი ლაზოღლუმ** (78 წლისა; ოსმალური მეტგვარი — **ლაზოღლი**, წინაპართა გვარი ვერ გაიხსენა); მისი თქმით, ბელღევნელები ბათუმელ (ანუ ზღვისპირელ) ლაზებთან ერთად წამოვიდნენ მუჰაჯირებად, ხოლო ჩხალელებმა კი ჯერ თავი შეიკავეს; მერე, როდესაც დარწმუნდნენ, რომ მამაპაპისეულ მიწებზე რუსები აღარ გააჩერებდნენ, ნიგაღელებთან ერთად, ფეხით გადაკვეთეს საზღვარი, ხოფაში ჩავიდნენ და იქიდან, რის ვაი-ვაგლახით დაქირავებული გემებით, სტამბოლისკენ გამოემართნენ, სადაც ბელღევნელები ეგულებოდათ. ჩხალელთაგან თურქული არავინ იცოდა და არც დასჭირვებით, რადგან ხოფაშიც ლაზები იყვნენ და სტამბოლშიაც.

ამდენად, **მუჰაჯირთა შთამომავლებს დღემდე ცხადად ახსოვთ ფაქტი, რომ მათმა წინაპრებმა მხოლოდ ქართული/ქართველური ენა იცოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ყველანი ოსმალეთის სულთნის ქვეშევრდომებად ითვლებოდნენ და, რაღა საკვირველია, ოსმალურდაბოლოებიან მეტგვარებს ატარებდნენ.**

მეორე მხრივ, ერთობ ნიშანდობლივია ისიც, რომ **როგორც ზღვისპირა სოფლებიდან, ისე ჩხალისა და ბელღევნის ხეობებიდან მუჰაჯირად წამოსულმა ლაზებმა, ლაზურთან ერთად, აჭარული და ნიგაღური დიალექტებიც იცოდნენ.** ეს ფაქტიც უაღრესად ცხადად ახსოვთ ქართველურენოვან მუჰაჯირთა შთამომავლებს (არამართო ლაზებს, არამედ ასევე გურჯებს). მაგალითად, მამით — მარადიდელი და დედით — ბელღევნელი მუჰაჯირების შთამომავალმა, საქარიის ქართველთა (გურჯთა და ლაზთა) კულტურული გაერთიანების ხელმძღვანელმა **მუსტაფა ქოლათმა (კოლატაშვილმა)** განგვიცხადა, რომ საქარიის ილჩეს სოფლებში მცხოვრებმა გურჯებმა და ლაზებმა ერთმანეთის დიალექტები იმთავითვე კარგად იცოდნენ და იციან ამჟამადაც. მალევე, მისი ამ ნათქვამის მართებულობაში ჩვენც დავრწმუნდით: საქარიის ილის საფანჯას ილჩეს სოფ. **ფევიე ქოღს** (თურქ. **Fevziye Köyü**, ლაზურად ეძახიან **სუჯუნას**) მკვიდრთა უმეტესობა, რომელთა წინაპრებიც ბელღევნის ხეობის სოფ. **სუჯუნადან** წამოსულან, თანაბრად კარგად მეტყველებდა როგორც ლაზურ, ისე აჭარულ კილოზე. ამგვარივე ვითარება დაგვიხვდა საფანჯას ილჩეს ლაზებით დასახლებულ სხვა სოფლებშიაც: **ქურთქოღში (Kurtköyü), აქჩაიში (Akçay), ჰაჯიმერჯან ქოღში (Hacı Mercan Köyü)** და სხვაგან.

ასე რომ, ქართველურენოვანი მუჭაჯირების შთამომავალთა ის ნაწილიც, რომელიც ლაბთა ლოკალური თემის წარმომადგენელია, მასობრივად ორენოვანი გამხდარა XIX ს.-ის ბოლო ათწლეულიდან; იქამდე კი, მათ შორის საკმაოდ ფართოდ დასტურდებოდა ლაბურ-ნიგალური ან ლაბურ-აჭარული დიგლოსია, რაც გარკვეულწილად, დღემდეცაა შემორჩენილი. აქვე დავძენთ იმასაც, რომ უშუალოდ ლაბეთში ლაბურ-აჭარული და ლაბურ-ნიგალური დიგლოსია შემორჩენილია მხოლოდ ფრაგმენტულად — გამოღმა და გაღმა სარფში (საქართველოს აჭარის არ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი და თურქეთის ართვინის ილის ქემალფაშას ილჩე), მურღულის ხეობაში (თურქეთის ართვინის ილის მურღულისა და ბორჩხის ილჩეების ტერიტორია) და ა.შ. (ვრცლად იხ. ლაბაძე, 2013: 17-24).

1.2.3. ქართველურენოვან მუჭაჯირთა და მათ აწინდელ შთამომავალთა საცხოვრისი ადგილები და დასახლებული პუნქტები ოსმალეთის იმპერიასა და თანამედროვე თურქეთში (ისტორიული და დღევანდელი ვითარების მიმოხილვა)

ოსმალეთის იმპერიის უსაფრთხო ტერიტორიებზე (სადაც საომარი მოქმედებები არ მიმდინარეობდა), ბათუმის ოლქიდან ლტოლვილმა მოსახლეობამ 1877 წლიდან დაიწყო გადასვლა, ხოლო მომდევნო წლებში კი ეს პროცესი, როგორც უკვე ზემოთაც არაერთხელ აღინიშნა, თანდათანობით მეტად და მეტად გაძლიერდა. ოსმალეთის ხელისუფლების მესვეურებმა, რომლებიც იმთავითვე ელოდნენ ლტოლვილთა ნაკადებს, უმაღლვე მიიღეს სათანადო ზომები, თუმცაღა მალევე აღმოჩნდა, რომ მუჭაჯირთა რაოდენობა უფრო მეტი იყო, ვიდრე ამას რუსთა ბურგში თუ უშუალოდ მოწინავე ხაზზე მოქმედი ოსმალური დაზვერვა იტყობინებოდა.

1880 წლიდან, როდესაც ომის მონაწილე მხარეთა შორის თითქმის ყველა სადავო და საჭირობოროტო საკითხი, ასე თუ ისე, მოგვარდა, ოსმალეთის მესვეურებმა ლტოლვილები რუსეთის საზღვრიდან ასეულობით კილომეტრის მოშორებით — თანამედროვე **სინოპის, სამსუნის, ორდუს, ამასიას, ქასთამონუს, თოქათის** ილჩების ტერიტორიაზე გადაიყვანეს და დროებით იქ დააბინავეს. იმავდროულად, ლტოლვილების ახალ-ახალი ნაკადების მისაღებად გახსნეს ორი ნავსადგური — **სინოპი და სამსუნი**. რუსეთის საზღვარზე ფეხით გადმოსული ხალხიც, რაღა თქმა უნდა, როგორმე ამ ნავსადგურებამდე უნდა მოსულიყო; როგორც ზემოთაც აღინიშნა, **რუსეთთან დადებული იყო სრულიად საიდუმლო ხელშეკრულება, რომლის თანახმად, გირესუნ-სივია-ადანას ხაზის აღმოსავლეთით აღარ შეიძლებოდა რუსეთის იმპერიის ტერიტორიიდან ლტოლვილი მუსლიმანების გაჩერება** (ასანი, 2016: 41-42). ჩვენი მხრივ, დავძენთ, რომ იმავდროულად, ოსმალეთის მესვეურები დიდად დაინტერესებული იყვნენ იმპერიის დედაქალაქ სტამბოლისკენ მიმავალ გზათა გადაკეცვით და ამავე მიმართულებით რამდენიმედონოვანი, გამაგრებული თავდაცვით-შემტევი ხაზების მოწყობით.

ამიტომაც ცდილობდნენ მუჰაჯირები ისე განესახლებინათ, რომ ომის განახლების შემთხვევაში რუსული არმიის პირველი დარტყმა მათ მიეღოთ. ეს ჩანაფიქრი დღესაც ადვილად გამოსაცნობია, თუკი რუკაზე მუჰაჯირთა შთამომავლების განსახლების არეალს თვალს შევაგლებთ.

სახელდობრ, ქართველურენოვან (და ასევე აფხაზ) მუჰაჯირთა დროებით სამყოფი ადგილების შესახებ მეტად ფასეული, დოკუმენტური ცნობები მიმოიხილა თანამედროვე თურქმა მკვლევარმა **ჰასან იუქსელმა** თავის სტატიაში: „**კავკასიიდან გადასახლებულთა სამოსახლო ადგილები**“ („**Kafkas göçmen vakıfları**“). უპირველეს ყოვლისა, მას მოყვანილი აქვს დღევანდელი თურქეთის შუა შავიზღვისპირეთში მდებარე იმ დასახლებების სია, სადაც ოსმალეთის სახელმწიფო ხაზინის კუთვნილ მიწებზე (ვაკუფებზე) დაასახლეს კავკასიიდან 1878-1880 წწ. გადმოხვეწილი ქართველი და აფხაზი მუჰაჯირები. სათანადო დოკუმენტურ წყაროებზე დაყრდნობით, ჰასან იუქსელი ჩამოთვლის ორ ათეულზე მეტ დასახლებულ პუნქტს, მოჰყავს ცნობები იქ ჩასახლებული მუჰაჯირების რაოდენობის, სქესობრივი შემადგენლობის და ოჯახური მდგომარეობის შესახებ, მაგრამ დეტალურად აღარ მიუთითებს მათ წარმომავლობას (იუქსელი, 1994: 475-488). დასახლებულ პუნქტთა სია ძალზე მნიშვნელოვანია; ამიტომ, ჩვენც აქვე მოვიყვანთ:

დასახ. პუნქტის ძველი სახელი	ახალი სახელი	ილჩე (რაიონი)	ილი (პროვინცია)
ქადიჩაირი ქოფუ Kadıçayırı köyü	ქადიჩაირი Kadıçayırı	ვეზირქოფრუ Vezirköprü	სამსუნი
ჰამიდიე Hamidiye	?	ვეზირქოფრუ Vezirköprü	სამსუნი
ვეზირქოფრუ Vezirköprü	თასქალე მაჰალლესი Taskale Mahallesi	ვეზირქოფრუ Vezirköprü	სამსუნი
იშაკიერი ქოფუ İshakyeri Köyü	იშაკიერი İshakyeri	ვეზირქოფრუ Vezirköprü	სამსუნი
ბაკლა Bakla	ბაკლა Bakla	ვეზირქოფრუ Vezirköprü	სამსუნი
ავვალისოქალი Ayvalı Sokağı	ავვალისოქალი Ayvalı Sokağı	ლადიქი Ladık	სამსუნი
სოდანლი Soğanlı	სოდანლი Soğanlı	ლადიქი Ladık	სამსუნი
ქონდან სელიმიე ქოფუ	?	ბაფრა Bafra	სამსუნი

Kondan Selimiye Köyü			
ემიროღლუ ჩინარლიდი ქოღუ Emiroğlu Çınarlıđı Köyü	?	ბაღრა Bafra	სამსუნი
ქაღსუღუზი Kaysuguz	ქაღსუღუზი	ბაღრა Bafra	სამსუნი
ვეღსელ მუსლიბეღ ქოღუ Veysel Müslibey Köyü	მუსლუბეღ Müslübey	ჩარშამბა Çarşamba	სამსუნი
ჰაჯიჰამუში Hacıhamuş	ღუქარი ესენლი Yukarı Esenli	ჩარშამბა Çarşamba	სამსუნი
აშაღითეღე ურაქ ქოღუ Aşađıtepe Urak Köyü	?	ჩარშამბა Çarşamba	სამსუნი
ქიზილთი Kızılot	ქიზილთი Kızılot	ჩარშამბა Çarşamba	სამსუნი
ქესტანეფინარი ქოღუ Kestanepınarı Köyü	ქესტანეფინარი Kestanepınarı	ჩარშამბა Çarşamba	სამსუნი
აშაღითურღუთლუ ქოღუ Aşađıturgutlu Köyü	თურღუთლუ Turgutlu	ჩარშამბა Çarşamba	სამსუნი
დინბუღუქ ქოღუ Dinbüyük Köyü	დიქბიდიქ Dıkbıyık	ჩარშამბა Çarşamba	სამსუნი
სირალი ქოღუ Sıralı Köyü	სირალი Sıralı	ქავაქი Kavak	სამსუნი
ღუნლუქ ქოღუ Günlük köyü	ღუნლუქი Günlük	უნიე Ünye	ორღუ
ქაბაქდაღი ქოღუ Kabakdađı Köyü	ქაბაქდაღი Kabakdađı	ფაცა Fatsa	ორღუ

ქარადერე ოსმანიე ქოფო Karadere Osmaniye Köyü	ოსმანიე Osmaniye	მერქემ ბუჯალი Merkez Bucağı	ორღუ
ქესტანეალან ქოფო Kestanealan Köyü	ქესტანე Kestane	მერქემ ბუჯალი Merkez Bucağı	ორღუ
ორტაქლოდ ქოფო Ortaköy Köyü	ორტაქლოდ Ortaköy	მერქემ ბუჯალი Merkez Bucağı	ორღუ
აღიდერესი ქოფო Ağideresi Köyü	აღიდერე Ağidere	უნიე Ünye	ორღუ
სარიჯა ერიქ ქოფო Sarıca Erik Köyü	?	უნიე Ünye	ორღუ
მეტრეფოლუ ქოფო Metropolu Köyü	?	უნიე Ünye	ორღუ
თეფესამანლიქ ქოფო Tepesamanlık köyü	თეფექლოდ Tepeköy	უნიე Ünye	ორღუ
ჰიზარბაში Hızarbaş	ჰიზარბაში (გუნლუქი) Hızarbaş (Günlük)	უნიე Ünye	ორღუ
ჩათალთეფე Çataltepe	ჩათალთეფე Çataltepe	უნიე Ünye	ორღუ
დემირჯი Demirci	დემირჯი Demirci	ქეშაფი Keşaf	გირესუნი
ჰამიდიე Hamidiye	ჰამიდიე Hamidiye	ერფელექი Erfelek	სინოპი
ჰასანდეინი (?) Hasandeyini	?	ბოჯაჰათი Boyahat	სინოპი
სინოპი Sinop	ჯამი-ი ქებირ მაჰალლესი Camî-i Kebir Mahallesi	ქ. სინოპის მუნიციპალიტეტი Sinop Belediyesi	სინოპი
ოსმანიე Osmaniye	დევრექანი Devrekan	დევრექანი Devrekan	ქასტამონუ
ბელოვაჯიქი	ბელოვაჯიქი	დევრექანი	ქასტამონუ

Belovacık	Belovacık	Devrekan	
ქიზიქსალირი Kızıksağırı	ქუნუქ ქიზილჯა Küçük Kızılca	ადინჯა ბუჯალი Aydınca Bucağı	ამასია
გოზხერი Göçer	გოზხერი Göçer	გემუშჰანევი ქლოუ Gümüşhaneci Köyü	ამასია
ქილჯან ქლოუ Kılcan köyü	?	გელდიგელენ მაჰალლესი Geldikgelen Mahallesi	ამასია
ელეჟადი Elekâdi	ალაჟადი Alakadı	მერქებ ბუჯალი Merkez Bucağı	ამასია
ქოზლუ Kozlu	ქოზლუ ბუჯალი Kozlu Bucağı	ერბაა Erbaa	თოქათი
მეიდანოზუ Meydanözü	მეიდანოზუ Meydanözü	ერბაა Erbaa	თოქათი
ისაქებირ ქლოუ İsakebir Köyü	ბუეუქოზლუ Büyük ozlu	ზილე Zile	თოქათი
ჰორუნ (ჰირუნ) ქლოუ Horun (Hirun) Köyü	ბოუნფინარი Boyunpınar	ართოვა Artova	თოქათი
ჩარდაქ ქლოუ Çardak Köyü	ჩირდაქი Çırdak	ართოვა Artova	თოქათი
თექქე ქლოუ Tekke Köyü	თექქეენი Tekkeyeni	ართოვა Artova	თოქათი
ქოსურუქ ქლოუ Kösürük köyü	დამლალი Damlalı	ართოვა Artova	თოქათი

აქ აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ზოგიერთი სოფლის (რომელიც ჰასან იუქსელის სიაში მხოლოდ ძველი სახელითაა მოხსენიებული) ახალი სახელწოდება ჩვენ დავაბუსტეთ: მაგალითად, **მეთრეფოლუ ქლოუ** არის უნიეს ილჩეს სოფ. **გეზბელჯალი ქლოუ** (თურქ. **Güzelyalı Köyü**). მას ქართველურენოვანი მუჰაჯირების შთამომავლები დღემდე ძველ (ბერძნული წარმომავლობის) სახელს – **მიტრაპოლს** უწოდებენ. აგრეთვე, **სარიჯა ერიქ ქლოუ** არის მესუდიეს ილჩეს სოფ. **ერიქქლო** (თურქ. **Erikköy**), სადაც დღეს მუჰაჯირთაგან აღარავინაა, გასული საუკუნის 20-იანი წლების

ბოლომდე კი აფხაზებსა და ქართველებს უცხოვრიათ. ზოგადად, სიაში მოყვანილ დასახლებულ პუნქტთა დიდი ნაწილი ამჟამადაც ქართველი და აფხაზი მუჰაჯირების შთამომავალთა საცხოვრებელია, თუმცა იქ, მათთან ერთად, თურქები, ჩერქეზები და სხვა ეთნოსების წარმომადგენლებიც მრავლად არიან.

თურქეთის რუკაზე თუ დავხედავთ, იოლად შევამჩნევთ, რომ ჰასან იუქსელის სიაში ჩამოთვლილი დასახლებული პუნქტები გაფანტულია საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე — შავი ზღვის სანაპიროდან ცენტრალური ანატოლიის მთიანეთის კალთებამდე. XIX ს.-ის 70-იანი წლების ბოლომდე ეს მიწები, ძირითადად, პონტოელ ბერძნებს ეკავათ. 1877–1878 წწ. ომში მათ რუსთა მხარე დაიკავეს და პარტიზანული მოძრაობის გაჩაღებით ოსმალურ ხელისუფლებას პრობლემები შეუქმნეს. ოსმალების საბედნიეროდ, ომი ისე დასრულდა, რომ შუა შავიზღვისპირეთამდე რუსულმა არმიამ ვერ მიაღწია. პონტოელმა ბერძნებმაც, რომელთაც ცხადია, სწორედ რუსების მოსვლა ეიმედებოდათ, საომარი მოქმედებების დასრულებამდე დაიწყეს საცხოვრისის დატოვება: უმეტესობამ რუსეთს მიაშურა და იქ აზოვისპირეთსა თუ ყირიმში დასახლდა (თანამედროვე უკრაინის ტერიტორიაზე); ზოგი სტამბოლში გადავიდა და იქვე დარჩა, ან თურქთაგან განთავისუფლებულ საბერძნეთში წავიდა. მაშასადამე, როგორც უკვე ზემოთ არაერთხელ აღინიშნა, რუსეთის იმპერიიდან ოსმალეთის იმპერიაში გადმოხვეწილ მუჰაჯირებს (რომელთა შორისაც უმრავლესობას ქართველები და აფხაზები შეადგენდნენ) პონტოელ ბერძნთაგან მიტოვებული მიწები და სოფლები ერგოთ წილად. თურქეთიდან პონტოელთა გადინება რომ არ დაწყებულიყო, ახალ მუჰაჯირებს, ალბათ, ცენტრალური ანატოლიის უშენ მიწებზე, ან კიდევ არაბულ ვილაიეთებში ჩაასახლებდნენ.

ამავდროულად, დავძენთ იმასაც, რომ ჰ. იუქსელი თავის სტატიაში არ უთითებს შუა შავიზღვისპირეთის იმ დასახლებულ პუნქტებს, სადაც ოსმალეთის ტერიტორიაზე გადასული ქართველი მუჰაჯირები ფეხით მივიდნენ, ან რომლებიც მათვე დააარსეს. ასე მაგალითად, 1882 წელს სოფ. **წონიარისიდან** (თანამედროვე ქედის მუნიციპალიტეტის წონიარისის თემი, აჭარა) ფეხით წამოსულმა მუჰაჯირებმა, რომელთაც ამ სტრიქონების ერთ-ერთი ავტორის — ფევი ჩელების — დიდი ბაბუა, **მემედ-ალი ჩელებაძე** მეთაურობდა, გირესუნის მიდამოებს მოატანეს და დაბინავდნენ მთებში — იმ ადგილას, სადაც ამჟამად სოფ. **ანბარალანი** (თურქ. **Anbaralan**) მდებარეობს. ისინი კარგა ხნით დარჩნენ იქ, მაგრამ ფეხი ვერ მოიკიდეს: ნიადაგი მწირი იყო და სოფლის მეურნეობისთვის არ ვარგოდა. 2–3 წლის შემდეგ მემედ-ალი ჩელებაძე, რამდენიმე ახლო ნათესავთან ერთად, დასავლეთის მიმართულებით წავიდა. ხენა-თესვისათვის გამოსადეგ მიწას მან თანამედროვე დუზჯეს ილის გოლიაქას ილჩეში, ჩერქეზებით დასახლებული სოფლების სიახლოვეს მიაგნო და მაშინვე შეიძინა. ახლად დაარსებულ ქართულ სოფელს, სადაც გირესუნიდან წამოყვანილ ნათესავებთან ერთად დასახლდა, უწინდელი მფლობელის — ჩერქეზი დიდგვაროვნის, **ჰაჯი აქუფის** სახელი უწოდა.

ასევე: 1883 წელს ზემო აჭარიდან — ამჟამინდელი შუახევის მუნიციპალიტეტის სოფ. **ჭვანადან** წამოსულმა მუჰაჯირებმა (200-ზე მეტმა კაცმა) ფეხით გირესუნამდე იარეს და, რაკილა გზის გაგრძელება აღარ შეეძლოთ, ზღვის პირას შეჩერდნენ. მალევე გამოირკვა, რომ იქ ცუდი ჰავა იყო და ადგილობრივი მოსახლეობა (პონტოელი ბერძნები) მალარიით იტანჯებოდა. ამიტომაც ქართველებმა მთებს მიაშურეს. პონტოელი ბერძნები მათ ხელს უშლიდნენ გადაადგილებაში, თავს ესხმოდნენ და ცდილობდნენ, ყველანი ამოეხოცათ, თუმცა ქართველები ყოველ ჯერზე ახერხებდნენ მათ მოგერიებას. ბოლოს, როგორც იქნა, ავიდნენ იქ, სადაც დღეს გირესუნის ილის ბულანჯაქის ილჩეს სოფ. **თექმეზერი** (თურქ. **Tekmezâr**) მდებარეობს. ახლომახლო კაციშვილის ჭაჭანება არ იყო, მხოლოდ ერთადერთი საფლავი ნახეს გზის პირას (აქედან მომდინარეობს სოფლის სახელწოდებაც: თურქულად **Tek mezâr** სწორედ „ერთადერთ, ეულ საფლავს“ ნიშნავს). თავადაც იქვე დაესახლნენ და ტრადიციულად, მიწის მუშაკობასა და მესაქონლეობას („მემთეურობას“) მიჰყვეს ხელი. შემდგომში მათმა შთამომავლებმა იმავე ადგილებში რამდენიმე სხვა სოფელი დააარსეს და პონტოელი ბერძნების საცხოვრებლებიც კი დაიკავეს.

ამჟამად თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ქართველურენოვან მუჰაჯირთა შთამომავლებით კომპაქტურად დასახლებული სამი მსხვილი რეგიონი გამოიყოფა: **შუა შავიზღვისპირეთი** (გირესუნის, ორდუს, სამსუნის, სინოპის და ამასიის ილების, ასევე ნაწილობრივ — თოქათის ილის ტერიტორიები), **სამხრეთ-დასავლეთი შავიზღვისპირეთი** (დუზჯესა და საქარიის, ნაწილობრივ — ქოჯაელისა და ბოლუს ილების ტერიტორია) და **მარმარილოს ზღვისპირეთი** (ძირითადად, ბურსას ილის, ნაწილობრივ — ბალიქესირისა და იალოვას ილების ტერიტორია). აღსანიშნავია, რომ ქართველურენოვანი მუჰაჯირები თურქეთის სხვა მხარეებშიც არიან, თუმცაღა ისინიც (ან მათი წინაპრები) ძირითადად ამ სამი რეგიონიდან არიან იქ გადასახლებულნი. აქვე დავძენთ იმასაც, რომ დღესდღეობით ქართველურენოვან მუჰაჯირების შთამომავალთა ცალკეული ოჯახები ერთობ მრავლად სახლობენ თურქეთის დიდ ქალაქებში.

ქვემოთ ჩვენ წარმოვადგენთ აღნიშნული სამი მსხვილი რეგიონის იმ დასახლებული პუნქტების ჩამონათვალს, სადაც ბოლო 140 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ქართული / ქართველური მოსახლეობა კომპაქტურია:

1.2.3.1. შუა შავიზღვისპირეთი

როგორც უკვე ითქვა, შუა შავიზღვისპირეთის რეგიონი იწყება გირესუნის ილიდან, თუმცაღა თურქეთის შავიზღვისპირეთშივე არის ერთი დასახლებული პუნქტი — რიზეს ილის ფაზარის ილჩეს სოფ. **ჰამიდიე** (თურქ. **Hamidiye**), სადაც დღემდე სახლობენ 1877 წლის ნოემბერ-დეკემბერში ქობულეთიდან ფეხით გადმოსულ მუჰაჯირთა შთამომავლები. ეს სოფელი უწინ ლაზეთის ათინას თემს ეკუთვნოდა და ეწოდებოდა **ძველი ტრაპიზონი** (ლაზ. **ესქი ტრაბუზანი**) ან **კუწუმბა**. ქ. ქობულეთიდან დაშორებულია,

დაახლოებით, 120 კილომეტრით. მდებარეობს ზღვის პირას და მის ტერიტორიაზევე გადის შავიზღვისპირა გზატკეცილი (თურქ. Karadeniz Sahil Yolu). ქობულეთელებთან ერთად სოფელში, რა თქმა უნდა, მოსახლეობენ ლაზებიც, რომლებიც ათინურ-ართაშენული დიალექტის ათინურ კილოკავზე მეტყველებენ. ბევრი მათგანი ფლობს ასევე ქობულეთურ კილოკავსაც.

ჰამიდიე დღემდე ქართველურენოვან მუჰაჯირთა შთამომავლებით დასახლებული ერთადერთი სოფელია, რომელიც ზემოთ უკვე ხსენებული, გირესუნ-სივას-ადანას ხაზის აღმოსავლეთით მდებარეობს. თურქული სახელწოდება მას დარქმევია 1878 წელს, ანუ ქობულეთელ მუჰაჯირთა იქ დამკვიდრების შემდგომ, ოსმალეთის სულთნის — **აბდულ-ჰამიდ II-ის** (ზეობის პერიოდი: 1876–1909 წწ.) პატივსაცემად. ზოგადად, ეს სულთანი 1877–1878 წწ. ომის პერიოდში მუჰაჯირთა მფარველად მიიჩნეოდა და ამიტომაც, დღემდე **ჰამიდიე** მუჰაჯირთა შთამომავლებით დასახლებული საკმაოდ ბევრი სოფლის სახელად გვხვდება ხოლმე.

ამჟამად სოფ. ჰამიდიეში მკვიდრობენ ქობულეთიდან წამოსული შემდეგი გვარები: **ბაუჟაძეები (ბაუჯოღლები), ჯინჭარაძეები (ჯინჭაროღლები), ბალაძეები (ბალოღლები), ხიმშიაშვილები (ჰემშიოღლები)** და ა.შ. საკმაოდ არიან ისეთიც, რომელთაც წინაპართა ქართული გვარები არ ახსოვთ, ასახელებენ ოდენ ოსმალურ მეტგვარებს (**ჯეჯალოღლი, ხირალოღლი, სარი-ალიოღლი, ყადილოღლი...**). მუჰაჯირების შთამომავალთაგან ყველამ იცის მშობლიური ენა — უმცროსებმაც და უფროსებმაც. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ სოფელში ბევრნი არიან დასავლეთ საქართველოდან (მათ შორის, თვით ქობულეთიდან) გადმოსული ახალი მიგრანტებიც. ჰამიდიეს მკვიდრთაც (როგორც ქობულეთელებს, ისე ლაზებსაც) ერთობ მჭიდრო ურთიერთობა აქვთ საქართველოსთან. სწორედ ამიტომ, მათ ქართულ მეტყველებას სამწიგნობრო ენის გავლენა დასტყობია. სოფ. ჰამიდიეს მკვიდრი ქობულეთელების რაოდენობა 500 კაცამდე აღწევს.

ჰამიდიედან 250 კილომეტრითაა დაშორებული **გირესუნი**. აქ ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების სოფლებია: გირესუნის ილის მერქემ-ილჩეში – **ანბარალანი (Anbaralan)** და **დუმანე-მწლლე (Dumanı Mahallesi)**, გირესუნის ილის ბულანჯაქის ილჩეში კი — **კიშლა ქოა (Kışla köyü), თექმეზერი (Tekmezer), ქუჩუქდერე (Küçükdere), თეფეჰირანი (Tepeviran köyü), თეფე ქოა (Tepe köyü), ყადადიბი (Kayadıbı), ენი ქოა (Yeni köyü), შემშეთინი (Şemşetin), ერეკლული (Eriklik), ქუშლუანი (Kuşluvan), ჰაჯი ეთიმი (Hacı Yetim köyü), დამუდერე (Damudere)**²⁴.

ეს სოფლები მდებარეობს ზღვის სანაპიროდან 20–30 კმ.-ის მოშორებით, მთებში. ზოგან, ქართველებთან ერთად, სხვებიც (თურქები, გათურქებული ბერძნები, ხემში-

²⁴ სოფლების ქართულ სახელწოდებებს აქაც და შემდგომაც ვწერთ ისე, როგორც თავად ქართველურ-ენოვან მუჰაჯირთა შთამომავლები წარმოთქვამენ.

ლები და ა.შ.) ცხოვრობენ. მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლები არიან, აგრეთვე, ქალაქებშიაც — **გირესუნსა** და **ბულანჯაქში**.

მუჰაჯირების შთამომავლების გადმოცემით, იმ ადგილებში, სადაც დღესდღეობით მათი სოფლებია, ცხოვრობდნენ ქრისტიანი პონტოელი ბერძნები, რომლებიც 1922–1923 წწ. საბერძნეთში გადასახლდნენ. დაგვისახელეს რამდენიმე დიდი ბერძნული სოფელი — **მენჯილისი (Mencilis)**, **ჩალჯა (Çalca)**, **გოზუნ გოლი (Gözün Göl)** და ა.შ. ამ ბერძნული სოფლების ზემოთ, მდინარე **აქსუს (Aksu)**, თურქულად „თეთრ წყალს“ ნიშნავს) ხეობაშია განლაგებული ქართველთა სოფლებიც, რომელთაგან ზღვის დონიდან ყველაზე მაღლა მდებარეობს აწინდელი შუახევის მუნიციპალიტეტის სოფ. ჭვანადან წამოსულთა მიერ XIX საუკუნის 80–იანი წწ. დასაწყისში დაარსებული **კიშლა ქლო** და **თექმებერი**, ხოლო აწინდელი ქედის მუნიციპალიტეტის სოფლებიდან წამოსულთა მიერ 1882 წლის ბოლოს დაარსებული **დამუდერე** ხეობის შუაწელშია გაშენებული. ყველა დანარჩენი სოფელი ამ სოფლებს შორის მდებარეობს; მხოლოდ **ანბარალანი** და **დუმანე-მწლლეა** განცალკევებით: იქამდე მიმავალი გზა ცენტრიდან (ქ. გირესუნიდან) სამხრეთით მიემართება, მდ. აქსუს ხეობაში. 21-ე კილომეტრზე არის გადასახვევი — ხელმარჯვნივ რჩება ყოფილი ბერძნული სოფელი **ჩალჯა** (იქ დღეს თურქები ცხოვრობენ), გზა კი ადის ხელმარცხნივ, აღმა. ჰაერი საოცრად სუფთაა; თანაც, იქაურობა ძალიან ჰგავს საქართველოს, კერძოდ — მთიან აჭარას. ორივე სოფელი ზღვის დონიდან 750 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს.

ქართველურენოვან მუჰაჯირთა გირესუნელი შთამომავლები, ტრადიციულად, ორ ჯგუფად იყოფიან: „აჭარლებად“ და „ზეგნელებად“ (ამ თემონიშთა შესახებ ვრცლად იხ. აქვე, **შესავალი**). დღეს „აჭარლების“ ყველაზე დიდი სოფლებია **ანბარალანი** და **დამუდერე**, „ზეგნელებისა“ — **ქუჩუქდერე** და **კიშლა ქლო**. ენობრივი თვალსაზრისით, „აჭარლების“ ქართული მეტყველება აჭარული დიალექტის ქვემოაჭარული კილოკავის ქედურ თქმას მიჰყვება, „ზეგნელებისა“ — ზემოაჭარული კილოკავის შუახევურსა და ხულოურ თქმებს.

ორივე ჯგუფის წარმომადგენელ ქართველთა უმრავლესობა თავს თვლის „გურჯად“ და მხოლოდ ახალი თაობის მცირე ნაწილი აღიქვამს თავს ეთნიკურ თურქად. ამასთან, მათი წინაპრები ოსმალეთში ფეხით გადმოსულან. რაკი სამშობლოსგან შორს წასვლაც არ სდომებიათ, თავდაპირველად თურმე, ტრაპიზონში მოუსურვებიათ დასახლება, თუმცა ხელისუფლებას ამის ნება აღარ დაურთავს და შეიარაღებული ბადრაცის თანხლებით, ყველანი გირესუნში გამოუგზავნია.

გასული საუკუნის 50–იანი წწ. შუახანებამდე, ვიდრე თურქეთში თურქულენოვანი საშუალო განათლება ყველასათვის სავალდებულოდ გახდებოდა, გირესუნელ მუჰაჯირთა შთამომავლებში ქართული ენაცა და კულტურაც ყველა თაობაში კარგად იყო დაცული, დღეს კი, სამწუხაროდ, მხოლოდ 40 წელზე მეტი ხნის უფროს თაობასლა დაუცავს — უმცროსთათვის ძირითადი ენა უკვე თურქულია. ქართულ წერა-კითხვას რაც შეეხება:

დღეს მუჰაჯირი ქართველების შთამომავალთა შორის წერა-კითხვის კარგად მცოდნე იშვიათია, „დიდვანებს“ ანუ უფროსებს (დიდი თაობის ხალხს) კი ადრე უფრო სცოდნიათ. **ჩვენმა შვილებმა უკვე აღარც იციან ქართული, რადგან აღარ სჭირდებათ (!), ამიტომაც ცხადია, აღარც წერა-კითხვას სწავლობენო**, გვითხრეს გირესუნელმა ქართველებმა.

აღსანიშნავია, რომ გირესუნის რეგიონის ბევრ სოფელში მუჰაჯირთა შთამომავალი ქართველობა, წინაპართა ჩვეულებისამებრ, გვარებადაა დასახლებული: ასე მაგალითად, **ანბარალანში** დღემდე მხოლოდ **ჩელებიები** (ჩელებაძეები ანუ ჩელებოღლები) სახლობენ, **დამუდერეში** — მხოლოდლა **ბარამიძეები** (**ჰელიმოღლები**), რომელთაც 1934 წელს ახალი გვარიც საერთო აუღიათ და ამჟამად **თანებად** იწერებიან. **დუმანე-მწლლეში** კი 1882 წელს სხვადასხვა გვარის 100-მდე ოჯახი დასახლებულა და **Dumanı Mahallesi** ანუ თურქულად „ასეულის უბანი“, აქედან გამომდინარე, უწოდებიათ. უწინ, სანამ იქ პონტოელი ბერძნები სახლობდნენ, სოფელს სულ სხვა — ბერძნული სახელი ჰქონია, რომელიც დღეს აღარავის ახსოვს, უბნების სახელწოდებები კი მცხოვრებთა გვართაგან იწარმოება: **დუსუფოღლისი მწლე** „დუსუფოღლის უბანი“, **აჭაროღლისი მწლე** „აჭაროღლის უბანი“, **უზეირისი მწლლე** „უზეირის უბანი“, **კალიონჯის მწლლე** „კალიონჯი[ოღლი]ს უბანი“ და მისთ.

გირესუნის ილიდან (მდ. **აქსუს** ხეობიდან) მეზობელ გუმუშხანეში გადასასვლელი გზა ახალი გაკეთებულია. ის სოფ. **დუმანი მწლლედან** ზემოთ-ზემოთ მიემართება, ზღვის დონიდან, დაახლოებით, 800–850 მ. სიმაღლემდე ადის, მერე ქვევით ეშვება. მიუხედავად იმისა, რომ მოასფალტებულია, ალაგ-ალაგ საკმაოდ სახიფათო მონაკვეთებიც აქვს. უწინ ამ გზით მხოლოდ უაღრესად გამოცდილი მონადირეები სარგებლობდნენ, **მემთეურები** (მესაქნლეები, რომლებიც მსხვილფეხა რქოსან საქონელთან ერთად, მთის საძოვრებზე თითქმის ნახევარ წელს ატარებენ და რძის ნაწარმს აგროვებენ) კი იქით მეტად იშვიათად დადიოდნენ, რადგან ძალიან საშიში იყო. ამჟამად, ახალი გზის წყალობით, გირესუნის ქართველ მემთეურებს (უპირატესად — „ბეგნელებს“) გუმუშხანეში აქვთ **ღაილები**.

აქვე უნდა ითქვას, რომ ჩვენთვის რთული იყო, დაგვედგინა გირესუნში მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლების აწინდელი რაოდენობა, რამდენადაც თურქეთში აღწერების დროს არ აღირიცხება მოქალაქეების ეთნიკური წარმომავლობა. თავად **ადგილობრივი მოსახლეობისგან მოპოვებულ ინფორმაციას თუ დავეყრდნობით, გირესუნის ილში უნდა ცხოვრობდეს დაახლოებით 15 000 ეთნიკური ქართველი. აქედან კი ქართულად საუბარი უნდა შეეძლოს, დაახლოებით, 70%-ს.**

გირესუნიდან დასავლეთით, დაახლ., 90 კილომეტრის იქით, მდებარეობს **ორდუს ილის ფაცას ილჩე** (Fatsa ilçesi). მისი ადმინისტრაციული ცენტრია ქ. **ფაცა** (Fatsa), რომლის მოსახლეთა 80% ქართველია — ძირითადად, **ქობულეთელი** და **აჭარელი**. აღსანიშნავია, რომ **აჭარლებს ფაცაში უწოდებენ როგორც ქვემო, ისე ზემო აჭარი-**

დან და მაჭახლის ხეობიდან წამოსულ მუჰაჯირთა შთამომავლებს; თემონიმი „ზეგნელი“ აქ არ იციან. ასევე, თემონიმ „ჩურუქსულის“ პარალელურად იყენებენ თემონიმს „ქობულეთელი“. დავძენთ იმასაც, რომ უშუალოდ ქ. ფაცაში გასული საუკუნის 90-იანი წწ. დასაწყისიდან არსებობს ქართული სამწიგნობრო ენის შემსწავლელი კურსები. აქედან გამომდინარე, დღეს ძალიან ბევრია მუჰაჯირთა ისეთი შთამომავალი, რომელიც წინაპრებისეულ ქართულს (აჭარულ დიალექტს) ვერ ფლობს, მაგრამ გამართულად შეუძლია სამწიგნობრო ენაზე საუბარი და ამით ამაყობს.

ფაცას ილჩეს ქართული სოფლებია: **საზჯეები** (Sazcılar köyü), **ილიტყერი** (İliver köyü), **დუსუფლი** (Yusuflu köyü), **ყაბახდალი//სამება** (Kabakdağı köyü), **თახთაბაში** (Tahtabaş köyü), **ბაჯანალი** (Bacanak köyü), **დორადრი** (Duayeri köyü), **ჩერქებდალი** (Yenikent), **აიაზმა** (Ayazlı köyü), **ხიილი** (Hoylu köyü) **ბაჟო** (Kanakbaşı köyü), **ჯაბურანი** (Cabran köyü), **ყარათაში** (Karataş köyü), **ჩიბუხლი** (Çubuklu köyü), **ჯეჯილო** (Cecilo köyü), **დუგუნლუი** (Düğünlük köyü), **ბოზდალი** (Bozdağı köyü), **ხატიბდალი** (Hatipdağı köyü), **გუტყეზი** (Güvez köyü). ქართველები ასევე ცხოვრობენ ზოგ სხვა სოფელშიც, თუმცა არაკომპაქტურად.

აქ ჩამოთვლილი სოფლები მდებარეობს ზღვის სანაპიროდან 15–20 კილომეტრის მოშორებით, უმეტესწილად, მთებში. ნიშანდობლივია, რომ ქობულეთელი მუჰაჯირების შთამომავლები, რომლებიც ამ ადგილებში 1877 წლის ბოლოს დასახლებულან, უმეტესად მიწათმოქმედებას და მეთევზეობას მისდევენ, ხოლო აჭარელ მუჰაჯირთა შთამომავლები (ისინი მოგვიანებით, XIX საუკუნის 80-იანი წლების შუახანებიდან დამკვიდრებულან ფაცაში) კი — მესაქონლეობას.

შესაბამისად, ქობულეთელებს უკავიათ ქვემო (ზღვასთან ახლო) სოფლები, აჭარლებს კი — ზემო (ზღვიდან ცოტა მოშორებული) სოფლები. ფაცას მთებიდან, **მემთეურების გზად** გადადის მეზობელი თოქათის ილისაკენ. ფაცაში მცხოვრებ აჭარლებს სწორედ იქა აქვთ თავიანთი **აადლები**.

ამჟამინდელი ფაცას ილჩეს ტერიტორიაზე ქობულეთელი მუჰაჯირების დასახლება უკავშირდება **ალი-ფაშა თავდგირიძის** (ოსმ.-თურქ. **Çürüksulu Ali Paşa**) სახელს. როგორც ფაცელი ქართველები გვიყვებიან, სწორედ მის მიერ დაქირავებული ოთხი დიდი გემით (რომელთა სახელებიც ყოფილა: **გულნიჰალ** [Gülñihâl], **ასგრ** [Asır], **სელიმიე** [Selimiye] და **მეჯიდიე** [Mecidiye]) წამოსულან მათი წინაპრები ქობულეთიდან. ალი-ფაშა თავდგირიძე მაშინ უკვე ოსმალეთში იმყოფებოდა და თავისი ხალხის სამოსახლო ადგილად ფაცა იმის გამო ჰქონდა შერჩეული, რომ იქაურობა ძალიან ჰგავდა ქობულეთს. ფაცას ქართველობა ხსენებულ ისტორიულ პირს დღემდე დიდ პატივს მიაგებს.

ფაცაში მცხოვრებ ქართველებს — მეტადრე საშუალო (40-დან 60 წლამდე) და უფროს (60 წელზე მეტი ხნის) თაობას — მშობლიური მეტყველება (აჭარული დიალექტი) კარგად აქვს შემონახული: ქობულეთელები ქობულეთურ კილოკავზე ლაპარაკობენ, აჭარლების სამეტყველო კოდი კი უფრო ზემოაჭარულ კილოკავს უახლოვდება. ხსენებული თემების წარმომადგენლები ენობრივად აშკარად ასხვავებენ ერთიმეორეს და თითოეულს თავისი ქართული მიაჩნია „სწორად“.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ფაცას მკვიდრ ქობულეთელებს უფრო ახსოვთ თავიანთი ძველი გვარები, ვიდრე აჭარლებს. ფაცაში სახლობენ ქობულეთის თითქმის ყველა გვარის წარმომადგენლები. შესამჩნევად მრავალრიცხოვანი კი არიან: **კაკალაძეები, ბალაძეები, ბაუჟაძეები, ბაჯელიძეები, გუგუნავეები, ოქროპილაშვილები, ინაიშვილები, ანანიძეები...** ზოგადად, ფაცას ილჩეს ტერიტორიაზე დაარსებულ პირველ ქართულ სოფლად ყველანი **ქაბაქდაღს** მიიჩნევენ და, სხვათა შორის, არც ცდებიან: დოკუმენტურადაც დასტურდება (იხ. აქვე: 79), რომ ამ სოფლის დასაარსებლად რამდენიმე ქობულეთელმა მუჰაჯირმა თავისი ხარჯებით შეიძინა მიწა. ისინი აწინდელი ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ზემო სამებიდან ყოფილან და თავიანთი დაარსებული სოფლისთვისაც, ოფიციალური (ოსმალური) დასახელების პარალელურად, დაურქმევიათ **სამება**.

ქაბაქდაღსა და კიდევ რამდენიმე სხვა ისეთ სოფელშიც, რომლებიც XX საუკუნის 10-იან წლებამდეა დაარსებული, ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლობა ტრადიციულად გვარებად სახლობს; სასაფლაოებიც გვართა მიხედვით აქვთ დაყოფილი — ბუსტად ისევე, როგორც ქობულეთის სოფლებშია. აჭარლები კი, გარდაცვლილებს, უმეტესად, მათსავე კარ-მიდამოში (ოღონდ, საცხოვრებელი სახლებიდან მოშორებით) ასაფლავებენ ხოლმე. იმავდროულად, ამ ჩვეულების წარმოშობას, როგორც წესი, ასე ხსნიან: მიწას, **სადაც მისი მამა-პაპა მარხია, ქართველი არ გაყიდის და არც მიატოვებს; ამდენად, დიდ ქალაქშიც რომ გადავიდეს საცხოვრებლად, საფლავის მოსანახულებლად მაინც ჩამოვა პერიოდულადო**. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ამ ჩვეულების გამოც, ქობულეთელები აჭარლებს ხუმრობით „ვეხში-ყილიფებს“ უწოდებენ. ეს სახელწოდება, მათი თქმით, ოსმალურ-თურქულია და სამწიგნობრო ქართული ენის „ტექტია“ ფორმას შეესატყვისება (მთქმელი — ვეფათ ოზგუნ კაკალაძე, 60 წლისა).

რაოდენ უცნაურადაც უნდა ჟღერდეს, ფაცას ილჩეს სოფლებში მოსახლე აჭარელი მუჰაჯირების შთამომავალთა უმრავლესობას აღარ ახსოვს წინაპრების ქართული გვარი და მის ნაცვლად, როგორც წესი, ოსმალურ მეტგვარს ასახელებს. ამასთან, ამ მეტგვარებში აშკარად ჩანს ქართველური ეპონიმები; მაგალითად: **ჭეჭელოღლი, წითელოღლი, შავი-ხუსენოღლი, ჭანჭუროღლი, კირნათელოღლი...** ამათგან, ჩვენ მხოლოდ მეტგვარ **კირნათელოღლი**’ს მატარებელთა წინაპრების გვარის დადგენა შევძელით — ისინი **ცინცქილაძეები** ყოფილან. ასევე, **წითელოღლებიც**, ადვილი

შესაძლებელია ყოფილიყვნენ წითელაძეები ანაც წითელაშვილები და ა.შ. ნიშანდობ-
ლივია, რომ გამოთქმა: **რა გვარი ხარ?** აჭარელთა შორის ჟღერს ასე: **ვინ ოღლი ხარ?**

ფაცაში მოსახლე ქართველთა რაოდენობას რაც შეეხება: იქ ისინი უფრო მეტნი
არიან, ვიდრე მეზობელ გირესუნში — დაუზუსტებელი მონაცემებით, 20 ანდა 25
ათასამდე კაცი. კიდევ მეტი უნდა იყონ ზოგადად ქართული წარმომავლობისანი, ე.ი.
ისინი, ვინც ქართული აღარ იცის, მაგრამ ეთნიკურად ქართველია.

ფაცას დასავლეთით — დაახლ., 20–23 კილომეტრის იქით, მდებარეობს ორდუს
ილის **უნიეს ილჩე (Ünye ilçesi)**, რომლის ადმინისტრაციული ცენტრიცაა ქ. **უნიე
(Ünye)**; აქაც ქართული წარმოშობის მოსახლეობა 70%-ზე მეტია. 2019 წელს გამგე-
ბელიც (თურქულად **Belediye başkanı**) ქართველი იყო. ქართველთა გარდა, უნიეში
ცხოვრობენ აფხაზებიცა და ჩერქეზებიც. ზოგადად, აქ მუჰაჯირები მოსახლეობის
მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ. ქალაქში არსებობს ქართული სათვისტომო, სახელ-
წოდებით: „**უნიეს აჭარელ ქართველთა მეგობრობისა და კულტურის გაერთიანება**“
(თურქ. **Ünye Acara Gürcü Dostluk ve Kültür Derneği**), რომელიც უკვე 30 წელზე
მეტია, ორგანიზებას უწევს ქართული სამწიგნობრო ენის შემსწავლელ კურსებს.
აღსანიშნავია, რომ ქ. უნიეში ქართული ენის შესწავლისადმი დიდ ინტერესს იჩენენ
ეთნიკური არაქართველებიც (აფხაზები, თურქები...). აქ დავძენთ იმასაც, რომ უნიეს
მხარის თურქული დიალექტური მეტყველება შესამჩნევად სხვაობს თურქული სამწიგ-
ნობრო ენისაგან. ამ დიალექტს, რასაკვირველია, იქაური ქართველებიც ფლობენ.

უნიეს ილჩეს ქართველებით კომპაქტურად დასახლებული სოფლებია: **მიტრაპო-
ლი (Güzelyalı köyü)**, **ექინჯული (Ekincik köyü)**, **ჩაბაში (Çaybaşı köyü)**, **თექქი-
რაზი (Tekkiraz)**, **ახქუში (Akkuş köyü)**, **აუჯელერი (Yüceler köyü)**, **სარჯალი
(Sarıcallı)**; თითოეული მათგანი ერთობ მოზრდილი და ხალხმრავალია. ყველაზე დიდი
სოფლებია: ზღვის სანაპიროზე — **მიტრაპოლი**, მთებში — **ექინჯული**; მიტრაპოლში
ცხოვრობენ: **ქობულეთელები** (როგორც აქ იტყვიან — **ჩურუქსუვლები**), **აჭარლები**,
ზეგნელები — ამ უკანასკნელთა შორის თითქმის ყველას წინაპარი მაჭახლის ხეობი-
დანაა წამოსული; **ექინჯულშიც** თითქმის აბსოლუტურ უმრავლესობას **მაჭახლელები**
წარმოადგენენ. ძალიან მცირე რაოდენობით არიან ქვემო აჭარიდან წამოსულთა
შთამომავლები — **აჭარლები**, თუმცა ენობრივად მაჭახლელებთან აღარ გამოირჩევიან.
მიტრაპოლშიც და, მეტადრე — **ექინჯულშიც**, ქართული დიდებმაც და პატარებმაც
ერთნაირად კარგად იციან. 2019 წელს, ექინჯულში ყოფნისას, სოფლის მოლამ დიდად
გაგვაკვირვა სამწიგნობრო ქართულის ზედმიწევნითი ცოდნით. მანვე გვითხრა (და, მის
ოჯახში სტუმრობის შემდეგ თავადაც დავრწმუნდით ამაში), რომ თურქი რძლებიც კი
მშვენივრად საუბრობენ ქართულად. ასევე: სოფ. **მიტრაპოლში**, წარმოშობით
ქობულეთელი **ხინკილაძეების** ოჯახში ვნახეთ ლაზი (ქ. არქაბიდან) რძალი, რომელიც
თანაბრად კარგად მეტყველებდა ლაზურადაც და ქობულეთურ კილოკავზმაც.

უნიეს ილჩეს დანარჩენ ქართულ სოფლებშიაც, ენობრივი კუთხით, მეტ-ნაკლებად ანალოგიური ვითარებაა: **ქართული ყველა თაობის წარმომადგენელმა კარგად იცის, თუმცა სამწიგნობრო ენის (და ზოგან ასევე წერა-კითხვის) მცოდნენი უფრო უმცროს თაობაში მეტობენ. დავადასტურებ ასეთი ნიშანდობლივი შემთხვევა: სამწიგნობრო ენას ეძახიან „ქართულს“, ხოლო დიალექტურ მეტყველებას — „გურჯიჯას“; ასე მაგალითად, სოფ. ახქუშში ერთმა 25-30 წლის ქალბატონმა შეკითხვაზე: **ქართული იცით?** გვიპასუხა: **ქართულიც პაწა ვიცი ამა, გურჯიჯასაც დაპა კა ვლაპარიკოფ!** „ქართულიც ცოტა ვიცი, მაგრამ „გურჯულს“ უფრო კარგად ვლაპარაკობ!“ მისი ოჯახის წევრები: დედა, მამა, ბებია და ბაბუა, ასევე ზედსიძედ მისული ქმარიც (წარმოშობით უბიხი) ქართულად (აჭარულ დიალექტზე) კარგად ლაპარაკობდნენ და შვილიც (9 თვის გოგონა) ქართულად იდგამდა ენას. ეს, სხვათა შორის, იმის წყალობითაც იყო, რომ თავიანთ ნაკვეთში საქართველოდან — ქ. ქუთაისიდან გადმოსულ სემონურ მუშებს ამუშავებდნენ, რომლებიც მათ სახლშივე ათევდნენ ღამეს.**

ქართველური დიალექტური მეტყველების თავისებურებათა მხრივ, უნიეს ილჩეში საყოველთაოდ განზოგადებულია აჭარულის ზემოაჭარული კილოკავი. ქობულეთელთა მეტყველებაში შემორჩენილია მხოლოდ ცალკეული ფორმები; მაგალითად: **აგი „ეს“, ეგი „ეგ“, აქანა „აქ, აგერ“, ციცა „გოგო“** და ა.შ. ამათ მაგივრად, აჭარლებიც და მაჭახლელებიც ამბობენ: **ესე, მეგი, აგზე, გოგო...** ლექსიკურ ერთეულთა გარდა, ქობულეთურის სხვა რამ ხელშესახები თავისებურება აღარ შემორჩენილია; მიუხედავად ამისა, ქობულეთელების შთამომავლები ცალკე თემად მიიჩნევენ თავს.

მუჰაჯირების უნიელი შთამომავლების ძველ გვარებსა და მეტგვარებს რაც შეეხება: სოფ. **ექინჯულში** დაგვისახელეს შემდეგი გვარსახელები — **ხოხოტაშვილი, შავიხასანიძე, ბასილაძე, რიჟუაძე, ირემაძე, ოზუნაძე, თანთოშვილი, ტარიელაშვილი, ოქროკაციშვილი, ხასაბეგიშვილი, ჭალიშვილი...** მეტგვარები: **ცაფილოლი, ქართველოლი, ალიოლი, თოფჩიბაშიოლი, ოდაბაშოლი...**

სოფ. **მიტრაპოლში** დაგვისახელეს გვარსახელები: **ხინკილაძე, ბაჯელიძე, ძგნელაძე, ხაჯიშვილი, ფერსენაძე, კილაძე, გეგიძე, სეიდიშვილი, ვახტანგაძე, გოგაძე...** მეტგვარები: **ხაილოლი, კიტმიროლი, ხოჯაოლი, გურჯიოლი, ხასანოლი, ყარამუსტაფაოლი, ერთელოლი, ბენდელიოლი...**

სოფ. **ჩაბაშში** დაგვისახელეს მხოლოდ მეტგვარები: **ჩერქეზოლი, ხუსეინოლი, დუბაშოლი...** თანაც, შეეცადნენ, თითოეული მათგანისათვის ქართული დაბოლოებაც მიეცათ: **ჩერქეზიძე, ხუსეინიშვილი, დუბაშიშვილი...** ამავე სოფლის მკვიდრმა, 89 წლის **ხასან ოზგენჩმა** (მეტგვარი: **ჩერქეზოლი**) განგვიცხადა: ქართველის გვარს დაბოლოება უნდა ჰქონდეს ქართული, ფუძეს კი მნიშვნელობა არ აქვს და ძალზე გაიხარა, როდესაც ჩვენგან შეიტყო საქართველოში **ჩერქეზიშვილი** გვარსახელის არსებობა: მე მეგონა, ჩემი წინაპარი ქართულ სოფელში გადმოსული

ჩერქეზი იყო და ასეც ვამბობდი, დღეიდან კი ვიტყვი, რომ გვარად **ჩერქეზიშვილი** ვარ — ნამდვილი ქართველიო!

უნიეს ილჩეში ქართველების ზუსტი რაოდენობის დადგენა ჩვენთვის, ზემოთ უკვე აღნიშნული მიზეზის გამო, რთული აღმოჩნდა. დაუზუსტებელი მონაცემებით (როგორც თავად უნიელებმა გვამცნეს), ქართულ ენაზე მეტყველთა რიცხვი იქ 50 ათას კაცს უნდა აღემატებოდეს. ეს მეტია, ვიდრე მეზობელ ფაცასა და გირესუნში ერთად, რადგანაც უნიე უფრო დიდი ილჩეცაა და, ზოგადად, როგორც ითქვა, გამოირჩევა ეთნიკურ ქართველთა სიმრავლითაც.

დასავლეთიდან ორდუს ილის უნიეს ილჩეს ესაზღვრება სამსუნის ილის **ჩარშამბას ილჩე** (Çarşamba ilçesi), რომლის ადმინისტრაციული ცენტრია ქ. **ჩარშამბა** (Çarşamba). ის ქ. უნიედან 52 კილომეტრითაა დაშორებული და შედარებით პატარაა, თუმცა ჩარშამბას ილჩეში ქართველურენოვან მუჰაჯირთა შთამომავლების სოფლები უფრო მეტია, ვიდრე უნიეს ილჩეში. ქართველებით კომპაქტურად დასახლებული ყველა სოფელი ჩარშამბაში ზღვის სანაპიროდან 20–30 კილომეტრის მოშორებით, მთიან ადგილებში მდებარეობს და გაშენებულია ქართული წესით: **მუსლიბე** (Muslubey), **ყარადერე** (Karadere köyü), **ქუედაი ქესთანეფუნდარი** და **ზედაი ქესთანეფუნდარი** (ორივე ერთ სოფლად ითვლება, ეწოდება Kestanepınarı köyü), **აიაზმა** (Ayazma köyü), **მუმულუ** (Mumlu), **ყარამუსტაფა** (Karamustafalı köyü), **ჩათალი** (Çatak), **ახაბა** (Ahubaba köyü), **ახგუნეი** (Akgüney köyü), **დერეჩათი** (Dereçatı köyü), **ყაჭღალი** (Kavgalı köyü). ქართული ოჯახები (როგორც მუჰაჯირთა შთამომავლები, ისე ისტორიული ტაო-კლარჯეთიდან 30–40 წლის წინ ჩამოსულები და საქართველოდან ბოლო დროს გადმოსული ახალი მიგრანტები) უშუალოდ ქ. **ჩარშამბაშიც** მკვიდრობენ.

ჩარშამბაში დამკვიდრებული ქართველი მუჰაჯირები ძირითადად ზემო და ქვემო აჭარიდან, მაჭახლის ხეობიდან და, ძალიან მცირე რაოდენობით, ნიგალიდან ყოფილან. დღეს აქ **ზეგნელები** მეტობენ; არიან **აჭარლები** და **მაჭიხლელებიც**, ერთ სოფელში (**ზედა ქესთანეფუნდარში**) ორიოდე ოჯახია **ნიგალებებისა**. საყოველთაოდ განზოგადებულია აჭარული დიალექტის ზემოაჭარული კილოკავი: აჭარლები, მაჭიხლელები, ნიგალები უკვე ზემოაჭარულად ლაპარაკობენ. მშობლიურ ქართულთან ერთად, ყველანი ჩარშამბას თურქულ დიალექტსაც ფლობენ. ეს დიალექტი სამწიგნობრო თურქული ენისაგან უფრო მეტად განსხვავდება, ვიდრე მეზობელი უნიეს თურქული. მისი გაგება ძალიან ძნელია საგანგებო შესწავლის გარეშე.

აღსანიშნავია, რომ აწინდელი ჩარშამბას მხარეში ქართველი მუჰაჯირები მოსულან 1878–1882 წლებში რამდენიმე დიდ ნაკადად, როგორც ზღვით (სინოპის გამოვლით), ისე ფეხით. პირველად აქ ჩამოსულან ზემოაჭარლები (შუახვევლები და ხულოლები) 1878 წელს. 1880 წელს ჩამოსულან მაჭახლელები, ხოლო 1882 წელს კი —

ნიგალელები. იმხანად ჩარშამბას მთელი ილჩეს ტერიტორია მეჩხრად დასახლებული ყოფილა; ნიადაგი მწირი იყო და არაფერი ხარობდა თურმე. ქართველ მუჰაჯირებს მთელი 10 წელი გაუტარებიათ სიდუხჭირესა და გაჭირვებაში, სანამ ხელისუფლება შეეშველებოდათ. დღემდე ყველანი მაღლიერებითა და გულისხმიერებით იგონებენ ახალგაზრდა ექიმს — დედით ქართველ **მეჰმეთ არიფ ისმეთზადეს**, რომელიც თავისი ნათესავების მოსაძებნად 1892 წელს ჩამოსულა ჩარშამბაში და სოფ. **მუსლუბეში** დაბინავებულა. ერთი წლის განმავლობაში ექიმი ქართველ მუჰაჯირებს შორის ცხოვრობდა, მათ ჭირ-ვარამს იზიარებდა და სტამბოლში გამომავალ, ცნობილ ოსმალურ გაზეთ „**თარიქში**“ წერილებსაც აქვეყნებდა. ეს წერილები 1894 (ჰიჯრით — 1311) წელს სტამბოლშივე ცალკე წიგნად გამოიცა, სათაურით — „**ქართული სოფლები**“ („**Gürçi Köyleri**“). სწორედ ამის შემდეგ მიუქცევია ოსმალეთის ხელისუფლებას ჩარშამბელ ქართველთათვის ჯეროვანი ყურადღება.

ამჟამად ჩარშამბას ილჩეს ქართული სოფლების მკვიდრნი ძირითადად, მებაღეობას და მიწათმოქმედებას მისდევენ. ამ ადგილებში პირველად მათ გაუხარებიათ ვაზი 1895-1900 წლებში. ძველი ვენახები დღემდე შემორჩენილია. ნიშანდობლივია, რომ ამზადებენ ყურძნის წვენს, რომელსაც **დოშაფს** (< თურქ.-სპარს. Doşap) ანდა **პეტემებს** (< თურქ. Pekmez) უწოდებენ. იციან **ტკებილი** „ყურძნის ტკებილი“, **ყურძნის ფაფა** „ფელამუში“... ღვინოს, რასაკვირველია, არ აყენებენ, თუმცაღა კარგად იციან, რომ საქართველო ოდითგანვე ღვინით იყო სახელგანთქმული. ზოგადად, ვაზი თითქმის ყოველი ქართველის კარ-მიდამოში ხარობს, რადგან **ყურძენი გურჯობისა ტამულია** „ვაზი ქართველობის ნიშანია (სიტყვასიტყვით: „დამლაა“). ასახელებენ ვაზის ან, როგორც თავად იტყვიან, **ყურძნის ლერწის** შემდეგ ჯიშებს: **ადესაი, კაჭიჭაი, [რ]ქაჭრელი, შავშეთურაი, კაკლურაი**... რომლებიც მათ წინაპრებს ჩამოუტანიათ სამშობლოდან.

გარდა ვაზისა, ჩარშამბაში ქართველ მუჰაჯირთა ჩამოტანილია, აგრეთვე, მწვანე-ლი ანუ **წვანელი**: ქართველთა გამოჩენამდე ჩარშამბელ თურქებს და ბერძნებს (პონტოელებს) კერძების მწვანელით შეზავება არ სჩვეოდათ თურმე, შემდეგ კი მათაც ისწავლეს. დღეს მუჰაჯირთა შთამომავლები გვისახელებენ შემდეგ „მთავარ“ მწვანელულს: **მაკიდოლაი** „ობრახუში“, **ქინძი // ქინძაი** „ქინძი“, **ჭეჭამი** „რეჰანი“... იციან ასევე **ჟაფლაი** „ტარხუნა“ და **პრასაი** „პრასი“. ქართველი ქალები კერძების მწვანელით შეზავების ოსტატები ყოფილან და, სწორედ აქედან გამომდინარე, ჩარშამბას თურქულ დიალექტშიაც გაჩენილა ამგვარი ფრაზეოლოგიზმი: **Gürçi qadının äli var** „ქართველი ქალის ხელი აქვს“ — კერძს ოსტატურად ამზადებს. აქვე დავძენთ იმასაც, რომ ქ. ჩარშამბაში ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებს რესტორნები და სასადილოები მრავლად აქვთ გახსნილი.

ქართული ენის ცოდნის მხრივ, ჩარშამბელ ქართველთა შორის გამოირჩევიან 40-50 წელზე მეტი ხნის პირები. მათზე უმცროსებს ენა ესმით, თუმცაღა ვერ საუბრობენ, უფრო თურქულს ამჯობნიებენ. მაგალითად, **ზედა ქესთანეფუნდარში**, სადაც ქართული

აქამდე აქტიურად გამოიყენება ყოფითი კომუნიკაციის დროს, 30 წლის **ალი იჰსან სალიხოლლიმ (სალიხაშვილმა)**, ტრადიციული **გამარჯობის** პასუხად მოგვიგო: **გაგიმარჯოს! რაფერ ხარ, ჩემო ბატონო?** მერე კი ჩარშამბას თურქულ დიალექტზე გადავიდა. მის ოჯახში ყველანი საუბრობდნენ ქართულად, თუმცადა უფროსები უფრო კარგად ფლობდნენ ენას, ვიდრე უმცროსები. თვით ალი იჰსანი ნაბოლარა იყო, ჰყავდა შუათანა და და უფროსი ძმა. ორივე კარგი მოქართულე იყო ბებიის — 90 წლის **აჭარელი** ქალბატონის წყალობით. კითხვაზე, თუ რატომ არ იცოდა ალი იჰსანმა ქართული, მისმა უფროსმა ძმამ — სინანმა გვიბასუხა: **პაწა-პაწაჲ კი იცის, ამჲ, ბიჭობაში სტამბულ იყო ქი, გიღირეცხა, დაამიწყა!** „ცოტა-ცოტა კი იცის, მაგრამ ბიჭობაში სტამბოლში რომ იყო, [ენობრივად] ასიმილირდა, დაავიწყდა!“; ზოგადად, ჩარშამბაში პირველად გავიგონეთ **გადარეცხვა** „[ენობრივი] ასიმილირების“ მნიშვნელობით: დაგვისახელეს ორიოდე სოფელი, სადაც, მათივე თქმით, **გადარეცხილი აბაზები და ვუბიხები** ანუ ენაგადავიწყებული აფხაზები და უბიხები სახლობდნენ.

ქართული გვარებიდან ჩარშამბას ილჩეს სოფლებში დაგვისახელეს: **სალიხაშვილი, სეიდიშვილი, მურმანაძე, ვანაძე, ქიზინიძე, პაქსაძე, ირემაძე, ბერთელაძე, კაკალიშვილი, ჭალიკაძე...** მეტგვარებიდან: **ხაილოლლი, უზუნხასანოლლი, ჩერქეზოლლი, მამულოლლი, კიტმიროლლი, სალიხოლლი, სინანოლლი...**

სოფ. **მუმულუში**, სადაც წინაპართა საცხოვრისად ხულოს ანუ **ხულას** ასახელებენ, დაგვისახელეს ორი მეტგვარი: **ახისხალოლლი და თაგოლლი. ახისხალოლლების** წინაპარი ხულოში **ახისხიდან** (= ახალციხიდან) ყოფილა ჩასიძებული, **თაგოლლების** წინაპარს კი სოფ. თაგოში უცხოვრია. ხულოდან წამოსულ მუჰაჯირთათვის ეს მეტგვარები მაშინ მიუციათ, როცა ოსმალეთის ტერიტორიაზე — სამსუნის ნავსადგურში გადმომსხდარან და ოსმალური პასპორტები ანუ **თებქერეები** აუღიათ. დღემდე ხსენებულ სოფელში ამ ორი მეტგვარის მატარებელთა შთამომავლები სახლობენ.

ჩარშამბაში ქართველთა რაოდენობას რაც შეეხება: მათივე თქმით, უნდა იყონ 60 ან 70 ათასამდე კაცი, თუმცადა იქიდან გამომდინარე, რომ ახალგაზრდა თაობა ენობრივად სწრაფად ასიმილირდება, ქართული ენის მცოდნე ქართველთა რიცხვი გაცილებით უფრო ნაკლებია — სავარაუდოდ, 40 ან 30 ათასამდე.

ჩარშამბადან დასავლეთით — დაახლ., 200 კილომეტრის იქით, მდებარეობს **სინოპის ილი (Sinop ili)**, რომლის ადმინისტრაციული ცენტრია შაგ ზღვაზე თურქეთის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საპორტო ქალაქი **სინოპი (Sinop)**. მის 40 ათასიან მოსახლეობაში კავკასიელ მუჰაჯირთა ხვედრითი წილი ძალიან შესამჩნევია, რადგანაც ვერ კიდევ 1864–1868 წლებში და მერე — 1877–1885 წლებშიც — სწორედ ქ. სინოპი იყო კავკასიიდან დევნილი მუსლიმანების თავმოყრის უმთავრესი პუნქტი.

სინოპის ილში ამჟამად 9 ილჩე შედის. ამათგან, ქართველურენოვანი მუჰაჯირების შთამომავალთა სოფლები გვხვდება 5 ილჩეს ტერიტორიაზე. 2019 წლის ივლისში ამ სტრიქონების ავტორებმა ვიმუშავეთ შემდეგ სოფლებში:

მერქეზ ილჩეში (Merkez ilçesi, რომლის ცენტრია უშუალოდ ქ. **სინოპი**): **ლალა** (Lala köyü), **მენექსე** (Menekse köyü), **ალიოღლი** (Alioğlu köyü); **ყორუჯული** (Korucuk köyü), **ორდუ** (Ordu köyü), **ჩობანლარი** (Çobanlar köyü), **ქაბალი** (Kabalı köyü), **გოლლუ** (Göllü köyü), **ერიქლი** (Erikli), **ყარაფუნლარი** (Karapınarı köyü), **აჰმეთერი** (Ahmetyeri köyü), **აჰლიანი** (Avlıyanı köyü), **თანრიალი** (Tanrıyalı köyü);

ერფელექის ილჩეში (Erfelek ilçesi): **ერფელელი** (Erfelek köyü), **ჰამიდიე** (Hamidiye), **ვესელი** (Veysel köyü), **დეგრმენჯი** (Değermenci köyü), **აბდურამანფაშა** (Abdürrahmanpaşa köyü), **ასანდერე** (Hasandere köyü), **სახარამბაში** (Sakaranbaşı köyü), **ყილიჯლი** (Kılıçlı köyü), **თოსუმბე-ქლო** (Tosunbey), **ბაშარანი** (Başaran), **თექქე** (Tekke), **ენიჩამი** (Yeniçam köyü), **ენიქლო** (Yeniköy).

გერზეს ილჩეში (Gerze ilçesi): **აყყირაჯი** (Akkıraç köyü), **დუტალი** (Yuvalı), **ხიზარჩაი** (Hızarcay köyü);

აიანჯიქის ილჩეში (Ayancık ilçesi): **ბუდუქდუზი** (Büyükdüzü köyü), **ომერდუზი** (Ömerdüzü köyü);

თურქელის ილჩეში (Türkel ilçesi): **საზქიშლა** (Sazkışla köyü), **აჯიქო** (Hacı köyü).

ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების ცალკეული ოჯახები გვხვდებიან, ასევე, ზოგ სხვა სოფელშიც, თუმცა ქართული მოსახლეობის განსაკუთრებული კომპაქტურობით და ქართულენოვნებით უფრო მეტად ზემოთ ჩამოთვლილი სოფლები გამოირჩევა. გარდა ქართველებისა, იმავე სოფლებში **ჩერქეზები**, **აფხაზ-აბაზები** და **უბიხებიც** მოსახლეობენ შედარებით მცირე რაოდენობით. უბიხები ან ჩერქეზულად (შაფსულურ ან/და აბაძახურ დიალექტებზე) მეტყველებენ, ან კიდევ — აფხაზურად (ბზიფურ დიალექტზე). თურქული საყოველთაოდაა გავრცელებული და ყველა ეროვნების მუჰაჯირების შთამომავალთა 40 წელზე უმცროსი თაობისათვის ერთადერთ ენას წარმოადგენს.

თანამედროვე თურქი მკვლევრის — ჰ. ასანის ცნობით, თუ პირველი მუჰაჯირობის დროს (1864–1870 წწ.) კავკასიიდან სინოპში გადმოსულ მუსლიმანთა შორის **ჩერქეზები** ჭარბობდნენ, მეორე მუჰაჯირობის დროს (ანუ, რუსეთ-ოსმალეთის 1877–1878 წწ. ომის შემდეგ) გადმოსულთა უმეტესობა უკვე **ქართველი** იყო (ასანი, 2016: 55).

ჩვენ მიერ მოპოვებული მასალების მიხედვით ირკვევა, რომ მე-19 საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში სინოპში ქართველი მუჰაჯირები მოსულან **ბათუმიდან**, **ბორჩხადან**, **ხებადან** (**ხება** — ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფ. **კირნათთან** მდებარე ქართული სოფელია; ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზეა, შედის ართვინის ილის ბორჩხის ილჩეში და ეწოდება **Karşıköy**), **მაჭახელიდან**, **ქობულეთიდან**. კერძოდ:

ბორჩხიდან 1880 წელს მოსული **ნიგალელები** ცხოვრობენ როგორც ქ. სინოპში, ასევე სოფლებშიც. ქ. სინოპში მცხოვრები ერთ-ერთი მთქმელის — **ნევზათ ქუჩუქ პატინოლის** (70 წლისა) ცნობით, მისი წინაპარი სოფ. **ლალაში** დასახლებულა. იქვე უცხოვრიათ მისივე შვილებს, შვილიშვილები კი კარგა მოგვიანებით, 1945 თუ 1950 წელს საცხოვრებლად ქ. სინოპში გადასულან. ნევზათ ქუჩუქმა წინაპრის მუჰაჯირობამდელ სამკვიდრო სოფლის სახელად **ნაჟიე**²⁵ დაგვისახელა.

მეორე მთქმელის — ასევე ქ. სინოპში მცხოვრები **შაჰინ გულის** (77 წლისა; ქართული გვარი ანდა მეტგვარი ველარ გაიხსენა) თქმით, მისი წინაპრებიც ბორჩხელები — ხებელები იყვნენ. როგორც მისივე მონაცლიდან ჩანს, იგი მეხუთე თაობას წარმოადგენს:

*ჰადან მოვე ჩვენ? ჩვენ ართვინ-ბორჩხა, ხება ქრჯ, შუბან მწლოესი. ხება სოფელია, ხებადისი შუბანის მწლოელამ მონასული ვართ აქ. აქ ვინ მოვდა: ჩემი ბაბოს დედეს დედე მონასულია. მე დავთვალა: ამედა დედე ერთი, აქა მოვდა. იმის უკან ჰასანა დედე მოვდა, იმის უკან მემედა დედე მოვდა, იმის უკან ბაბო მოვდა; ახლა სირად ჩემზე მოჴდა: მე მოჴკდე — ხუთი, ჩემი შჴილი — ექსი, იმის შჴილი — შჴიდი. ერთისი თორუნი — შჴიდი*²⁶.

გარდა ქ. სინოპისა, ნიგალელები შეგვხვდნენ ასევე, სოფ. **დიბექლისა** და **ლალაშიც**. რაც შეეხება ბათუმიდან (იგულისხმება **ბათუმის ოლქი**) გადმოსახლებულ მუჰაჯირთა შთამომავლებს: ისინი სახლობენ, უმეტესად, ერფელექის ილჩეს სოფლებში: **ერფელელში, დედრმენჯისა და ყილიჯლიში**. მთქმელებმა კარგად იციან, რომ მათი წინაპრები სინოპში ბათუმიდან გადმოსულან, მაგრამ კონკრეტულად რომელი სოფლიდან — აღარ ახსოვთ. ასე მაგალითად, 71 წლის ერფელელელმა ქალბატონმა, **ნაზირე ოზანმა** განგვიცხადა:

*...ვემით მოიდენ აქ ჩვენები. იქიდან, ბათუმიდან-ქი მოსულან, სინაპ გარეთ გადმოსულან. „ჩემი ბაბუნესი ნენე სამი წლისა ყოფილა მაშინ. ბათუმიდან აქ მოსულან იშთე, ბათუმიდან... ეს ვიცი ამა, რომელი სოფლიდამ მოვდეს, არ ვიცი, ვერ გითხრა-ნდა. ბექიმ, ბაბომან იცოდა-თუ, არ იცოდა-თუ, მევიც არ ვიცი“*²⁷.

²⁵ **ნაჯვია // ნაჯვია** სოფელია თურქეთის რესპუბლიკის ართვინის ილის მურდულის ილჩეში. ამჟამად მისი ოფიციალური (თურქული) სახელწოდებაა **Fıstıklı köyü**.

²⁶ „საიდან მოვედით ჩვენ? ჩვენი [წინაპრების საცხოვრებელი იყო] ართვინის ბორჩხის ილჩეს სოფელ ხებას შუბანის უბანი. ხებას შუბანის უბნიდან მოვსულვართ აქ. [გეტყვი,] აქ ვინ მოვიდა [პირველად]: მამაჩემის ბაბუს ბაბუა მოსული. მე დავითვლი: აჰმედა ბაბუა — ერთი, აქ გარდაიცვალა. მისი მომდევნო ჰასანა ბაბუა გარდაიცვალა, იმისი მომდევნო — მემედა ბაბუა გარდაიცვალა, იმისი მომდევნო — მამაჩემი გარდაიცვალა; ახლა რივი ჩემზე გადმოვიდა: მე რომ მოვკვდები — ხუთი, ჩემი შვილი — ექვსი, იმისი შვილი — შვილი. ერთის შთამომავლობა — შვიდი თაობა“.

²⁷ „ვემით მოვიდნენ აქ ჩვენები. იქიდან, ბათუმიდან რომ [წა]მოსულან, სინოპში გადმოსულან [გემიდან]. ჩემი ბების დედა სამი წლისა ყოფილა მაშინ. ბათუმიდან მოსულან აქ, ბათუმიდან, ესე იგი... ეს კი ვიცი, მაგრამ რომელი სოფლიდან მოვიდნენ, არ ვიცი, ვერ გეტყვი. მგონი, მამაჩემმა იცოდა თუ არ იცოდა, ევეც არ ვიცი“.

სოფ. **ცილიჯლიში** შევხვდით ქართველ მუჰაჯირთა ყველაზე მცხოვან შთამომავალს — 100 წლის **აჰმეთ ოზდემირს (ლამბანდოღლის)**, ოსმალეთში დაბადებული მუჰაჯირების მეხუთე თაობის წარმომადგენელს: თვითონ 1919 წელს დაბადებულიყო, მამამისი — 1898 წელს, ბაბუამისი კი — 1877 წელს. მის ბავშვობაში სოფელში ჯერ კიდევ მრავლად იყვნენ საქართველოში დაბადებული უფროსი თაობის წარმომადგენლები. მოხუცს ბევრი რამ კი ახსოვდა მათ შესახებ, მაგრამ კონკრეტულად ვეღარ გაიხსენა იმ სოფლის სახელწოდება, საიდანაც მისი წინაპრები წამოსულიყვნენ მუჰაჯირად: ჯერ გვამცნო, რომ **ბათუმელები** იყვნენ, მერე კი დასძინა:

ბათუმ იძახიან აბა, ჩუვენ სოფლიდან მოსული ვართა. ჰელე, რომელი სოფელი? ჭოროხის გაღმა-გამოღმა ყანები მქონდენყო — იძახიდენ იმ დედაბრებ ქალებმა, იმ ბერ ქალმა ისე იძახიდა ჩემი პაწაობაზედა, იგზე იყო მხნაც დაბადული და, რომელ სოფელში — არ ვიცი...²⁸

ამ სიტყვებზე დაყრდნობით, ერთობ ლოგიკურია დავუშვათ, რომ სოფ. **ცილიჯლიში** დაფუძნებული მუჰაჯირები სოფ. **კირნათიდან** ანდა სოფ. **მარადილიდან** იყვნენ. სხვათა შორის, მეტყველების თავისებურებებიც სწორედ ამაზე მივითითებს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართველურენოვან მუჰაჯირთა საცხოვრისი რეგიონებიდან მხოლოდ სინოპის ილშია შემონახული **კირნათ-მარადილული კილოკავი** — ქ. სინოპსა და მერქემ-ილჩეს სოფლებში ის განზოგადებულ მეტყველებას წარმოადგენს: **ქობულეთელები, ზეგნელები და მაჭიხლელებიც** იქ, როგორც წესი, უკვე კირნათ-მარადილულად მეტყველებენ. ამავე დროს, ისეთ სოფლებში, როგორებიცაა, მაგალითად, ერფელექის ილჩეში **ჰამიდიე, თექქე, ფენიჩამი და ბაშარანი**, ზემოაჭარული კილოკავი განზოგადებულა, რადგან იქ 1878-1883 წლებიდან მოყოლებული, შუახევიდან — ჭვანის ხეობიდან (კონკრეტულ სოფლად **დუმ-ჭვანას** ასახელებენ) ჩამოსული მუჰაჯირების შთამომავლობა სახლობს; ძალიან ცოტანი არიან **ქობულეთელები და ნიგალელები**.

სინოპის ილის ქართველთა სოფლებში მრავლად დაგვისახელეს ძველი ქართული გვარებიცა და მეტგვარებიც. მათგან აქ მოვიყვანთ მხოლოდ იმათ, რომლებიც ასე თუ ისე, ღირსსაყნობად მივიჩნიეთ; ეს გვარებია: **ცივნარიძე, კვირტიძე, ტარიელაძე, ირემაძე, მოსილაძე, კილაძე, ოქროპილაშვილი, ხიმშიაშვილი, ბოლქუაძე, რიჟუაძე...** მეტგვარები: **კისოღლი, კიტმიროღლი, ლამბანდოღლი, ჭეჭელოღლი, კაკალოღლი, დელიკურტოღლი, ჭანოღლი, კანჭოღლი** და მისთ.

მშობლიური ენის ფლობის მხრივ, სინოპის ილში ამგვარი ვითარებაა: დიალექტური მეტყველება შემონახულია უმეტესწილად 40 წლისა და უფროს თაობაში, უმცროსები კი სამწიგნობრო ქართულს უფრო ფლობენ — ქ. სინოპში არსებობს

²⁸ „ბათუმს [კი] იძახიან, მაგრამ ჩვენ სოფლიდან მოსულ[ებ]ი ვართ. აბა, რომელი სოფელი? ჭოროხის გაღმა-გამოღმა ყანები გვექონდაო — იძახდნენ ის მოხუცი ქალები. ის მოხუცი ქალი ისე იძახდა ჩემი პატარაობისას, იქვე იყო თვითონაც დაბადებული და, რომელ სოფელში — არ ვიცო“.

ქართული სათვისტომო („სინოპის ქართველთა კულტურული გაერთიანება“, თურქ. **Sinop Gürcü Kültür Derneği**), რომელიც 90-იანი წლების შუახანებიდან ორგანიზებას უწევს ქართული ენის შესწავლის საქმეს – გაერთიანების ეგიდით მოქმედებს კურსები მოზრდილთათვის, ხნოვანთათვის და ეთნიკურ არაქართველთათვისაც. ამდენად, დღეს ქართველთა 40 წლამდელ თაობაში საკმაოდ ბევრნი არიან ისეთნი, ვინც სხვადასხვა დონეზე იციან ქართული სამწიგნობრო ენა და, ამის წყალობით, საქართველოსთანაც მჭიდრო ურთიერთობა აქვთ.

ადგილობრივი მოსახლეობისაგან მოპოვებულ ინფორმაციას თუ დავეყრდნობით, სინოპის ილში დღესდღეობით ცხოვრობს, დაახლოებით, 30 ათასი ეთნიკური ქართველი, რომელთათვისაც ქართული ყოველდღიური, ყოფითი კომუნიკაციის ენაა. იმათი რიცხვი, ვინც წარმომავლობით ქართველია, ოღონდ ქართული აღარ იცის, ცხადია, უფრო მეტიც უნდა იყოს. ამათ გარდა, სინოპის ილში საკმაოდ ბევრნი არიან, აგრეთვე, ბოლო 30 წლის განმავლობაში ამჟამინდელი საქართველოდან გადასული მიგრანტებიც.

შუა შავიზღვისპირეთის კიდევ ერთ მხარეს, სადაც ქართველურენოვან მუჰაჯირთა შთამომავლები კომპაქტურად ცხოვრობენ, წარმოადგენს **ამასიის ილი (Amasya ili)**. ისიც შავიზღვისპირეთის მაკრორეგიონს ეკუთვნის, თუმცა სასაპიროდან კარგა მოშორებით – ზღვის დონიდან 411 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს, მდინარე იეშილირმაქის (თურქ. Yeşilirmak) შუაწელში, სამსუნის ილის სამხრეთით. XIX საუკუნის 70-იანი წწ. ბოლომდე აქ, უმეტესად, პონტოელი ბერძნები მოსახლეობდნენ, რომლებიც შემდგომ (პირველად – 1878 წელს, მეორედ – 1922 წელს) საბერძნეთში გადასახლდნენ.

ამასიის ილში ქართველებით დასახლებული სოფლებია: **მერქემ-ილჩემი (Merkez ilçesi) – აქიაზი (Akıyazı), ბელდაღი (Beldağı köyü), ჩათალჩამი (Çatalçam köyü), ჯუვა (Yuva köyü); თაშოვას ილჩემი (Taşova ilçesi) – თენექე (Altınlı), ჩერმული (Ilicapınarı köyü), ტათლიფუნდარი (Darmaderesi)**. ქვემოთ მათ უფრო დაწვრილებით მიმოვიხილავთ:

აქიაზი – ამასიის ქართველთა სოფლებს შორის განსაკუთრებით გამორჩეულია. ამბობენ: ეს ნამდვილი გურჯული, აჭარული სოფელიაო. აქ მხოლოდ ქართველები ცხოვრობენ. აქაური ვაჟები ხშირად ქორწინდებიან ხოლმე სხვა ეროვნების ქალებზე, მაგრამ ოჯახების უფროსები რომ ქართველობენ, ბავშვებიც ქართულად იზრდებიან და უცხოელი რძლებიც ქართველდებიან. დღევანდელი მონაცემებით, აქიაზიში მუდმივად სახლობს სულ 41 კაცი.

„სოფელში მხოლოდ გურჯები ცხოვრობენ, პირველი მოსულებიც გურჯები არიან. ოთხი ძმა წამოსულა ხულოდან, ორი აქ, აქიაზიში დასახლებულა, ორიც სხვაგან წასულა“ (ფუტკარაძე, 2017: 97). ჩვენ მიერ მოძიებული მასალის მიხედვით, ქართველი მუჰაჯირები პირდაპირ კი არ მოსულან აქიაზიში, არამედ ჯერ სტამბოლში, იზმითში,

ადაფაბარში, მერსინში, ისქენდერუნსა და სამსუნში დაფანტულან და მოგვიანებით დამკვიდრებულან ამასიის სოფლებში.

აქიაზიში პირველად სულ 7 ოჯახი დასახლებულა. მთქმელის ახსნით, იმ დროისთვის ეს ტერიტორია კერძო პირის მამული ყოფილა; დღევანდელი სოფლის ცენტრში არსებული ისტორიული მუხის გვერდით 6 ფერმის სამყოფი ცხვრის ფარის გასაჩერებელი ადგილი იყო. სოფელში ჩამოსული პირველი 7 ოჯახი აწინდელ უბან **დელირმენდერესა** და ძველ მეჩეთს შორის მდებარე ტერიტორიაზე დასახლებულა. მუჰაჯირთა ახალი ნაკადი რომ ჩამოვიდა, სოფელი ჩრდილოეთის და აღმოსავლეთის მიმართულებით გეგმიურად გაფართოვდა.

სოფელ აქიაზის დაარსების პირველივე დღიდან მოყოლებული, გაშენდა და მოეწყო მთავარი გამზირი, შიდა ქუჩები, სოფლის ცენტრი, მეჩეთი, წყაროები... ორსართულიანი კრამიტით გადახურული სახლები, რომლებსაც გვერდით, წინ და უკან ჰქონდა ბაღები, დღემდეა შემორჩენილი. სოფლის შემოსავლის ძირითადი წყარო სოფლის მეურნეობა და მესაქონლეობა იყო. აქ, ძირითადად, მოჰყავდათ ქერი, ხორბალი და შაქრის ჭარხალი.

სოფლის შემოგარენი მუხნარით არის დაფარული. სოფლელები შეშის მარაგს ამ ტყიდან მოიპოვებდნენ. ადრე სოფელი საკმაოდ მჭიდროდ იყო დასახლებული: 80–90 კომლისაგან (დაახლ. 500–600 კაცისგან) შედგებოდა. მიწის სიმცირის გამო, მოსახლეთა უმეტესობა აქედან წავიდა და ამასიაში, ანკარაში, სტამბოლში, იზმირში და სხვა დიდ ქალაქებში დასახლდა. შრომისმოყვარე, ერთგული და პატიოსანი აქიაზელი ქართველები დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ მთელ ამასიაში.

მთქმელები დიდი გულისტკივილით აღნიშნავენ ფაქტს, რომ ამ წმინდა ქართულ სოფელში მოქართულეთა რიცხვი საგრძნობლად შემცირდა. **მიუხედავად ამისა, დღემდე აქიაზელებს ქართული ენობრივ-ეთნიკური თვითშეგნება შენარჩუნებული აქვთ.** ისინი დიდი სიამაყით აღნიშნავენ, რომ გურჯები არიან. სოფლის მკვიდრმა **მუჰამედ ოზქანმა-კახიძემ** გვითხრა:

ჩვენმა დედებმა თურქულე პიჩ არ იცოდენ, თლა გურჯულე ლაპარაკობდენ; სულ კაი მაშინ იყო; ენა დაუკარგეთ, მარა გურჯები უართ და მათენ, ენ კაი ჩურენა უართ²⁹.

აქიაზიში ასახელებენ შემდეგ ქართულ გვარებს: **კახიძე, ხმალაძე, შაატაძე, შანთიძე, ფანჩვიძე, თურმანიძე.** კახიძეები და ხმალაძეები **ბელლეთიდან** ყოფილან; შავაძეები **ბოძავრიდან**, ფანჩვიძეები და თურმანიძეები — **ბაზგირეთიდან.**

ბელდალი — აქ სახლობენ 1879 წელს მაჭახელიდან, ხელვაჩაურიდან, შუახევიდან და ხულოდან ჩამოსული მუჰაჯირების შთამომავლები, სულ — 562 კაცი. მთქმელები ასახელებენ სოფლებს, საიდანაც წინაპრები გადმოსახლდნენ: **ჩხუტუნეთი, ზედვაკე, ბელლეთი, კირნათი, კახაბერი, ცხემლანა, ღურტა...** ძველი გვარები არ ახსოვთ,

²⁹ „ჩვენმა წინაპრებმა თურქული სულაც არ იცოდნენ, მთლად ქართულად ლაპარაკობდნენ. ყველაზე კარგი მაშინ იყო. ენა დაუკარგეთ, მაგრამ ქართველები ვართ და საუკეთესონი ჩვენ ვართ“.

თუმცა იციან მეტგვარები: **ყურნადროლი, ალიფაშალოლი, ბირახტაროლი, ხოჯოლი, უსტაბექოლი, ჭირანოლი, მოლაასანოლი, ყადოლი, ჯახე-ოლი, ფეჭბოლი, უსტახასანოლი, ნადროლი, ოდაბაშოლი**. უფროსმა თაობამ უკეთ იცის ქართული, ვიდრე უმცროსმა.

ბელდაღის უბნებია: **გაღმასირა, ჯამიკარი, წიაპა, ყარანა, ყარაფუნღარი** (ფუტკარაძე, 2017: 96). შემონახულია ქართული მიკროტოპონიმები: **ზემო ყანები, წისქვილის კარანი, ვაკეები, გაღმა ჭალა...**

1950 წლამდე ბელდაღში, ძველი ზემოაჭარული ჩვეულების მიხედვით, ზოგიერთ ოჯახს ეზოებში სტუმრის მისაღებად ცალკე ოთახი (საყონალო) ედგა, თუმცა დროთა განმავლობაში, ეს ჩვეულება მოიშალა. ადრე შემორჩენილი ყოფილა აგრეთვე, **ნადის** ჩვეულებაც. 1970-იან წლებამდე ყანებს გუთნით ხნავდნენ, ტვირთების საზიდად კი ურემს იყენებდნენ. ძველებური ურემები სოფელში აქამდეც საკმაოდაა შემორჩენილი და, რაც ყველაზე მთავარია, კვლავინდებურად ასრულებს თავის მოვალეობას. სამწუხაროდ, უკანასკნელი ხელოსანი, ვინც ურემის გაკეთება იცოდა, 2020 წელს გარდაიცვალა ისე, რომ მემკვიდრე არ დარჩენია.

დღესდღეობით, სოფ. ბელდაღში მოჰყავთ: თუთუნი, ხორბალი, სიმინდი, ლობიო, მუხუდო და ჭარხალი. სოფლის მოსახლეობის უმეტესობა საცხოვრებლად, ძირითადად, სტამბოლშია გადასული ან საზღვარგარეთაა.

ჩათალჩამი — 1878 წელს დაარსებული ეს სოფელი მდებარებს ამასიის ცენტრიდან 47კმ დაშორებით. სახლობენ ძირითადად მაჭახლელები — სულ 88 კაცი. სოფლის ჰავა ძალზე ჰგავს მაჭახლის ჰავას, ამიტომ აქ ძირითადად მისდევენ მესაქონლეობას. ენა არ დაუკარგავთ — ქართულად საუბრობენ. სოფელეთა ძველი მეტგვარებია: **სადიქოლები, ლემსიოლები, რეშითოლები, გოთოლები**.

იუვა — იუვადან ამასიამდე 55 კოლომეტრია. აქ ცხოვრობენ მაჭახლელ ქართველთა შთამომავალნი, სულ — 242 კაცი. სოფლის მიკროტოპონიმებია: **ბაან დაღლა, ყონბონუზი, ჩამლიბურნუ, ენედოლუ, ჩადღარი, დევეჯის სახლი, ფატმაფუნღარი, კირემითლუდი, სოქმეთარლა, ქოჯასუდი, გურგენლუდი, ერიქლიდერე, თეფელი თაშთენე, ქუჩუქოლი, მეშელიდუზი, ქირამფა, ქაჩალი, ქალაილიჩალი, ქუჩუქჩალი, ბუფუქჩალი, ბოჯუქონუ, სივრიჩალი, იასსიჩალი, ქოჯადობადი, ქულლუქი, ჩუქურუ, ქადაარდი, ევლია (სუთბაბა), ქურუქოფრუ, გავურეველერი, გოქჩელიქ. ოქუზმათალი, ქუმფუნღარი, ქირენლიბურუნი, დერეთარლალარგ, მისირ-ჰოჯა, დანაჯიქოლლუ, ჯამი დერი, დალბალქოჯა, თექმეზერ, ისირგარნიდერე, ქოჯათეფე, დაზილარგ ქოფონუ**.

მიწა ხვნა-თესვისათვის უვარგისია, ამიტომ 1970 წლამდე განვითარებული იყო მესაქონლეობა. შემდგომ თითოეული ოჯახიდან, მინიმუმ, ერთი მამაკაცი იძულებული გახდა, რომ საშოვარზე ევლო დიდ ქალაქებში.

იუვაში ერთობ მრავლად იყვნენ ხელოსნები, რომელთაც შეეძლოთ მუშაობა ქვაზე, რკინასა თუ ხეზე. მათმა უმეტესობამ იმთავითვე გაითქვა სახელი ახლომახლო თურქულ თუ ჩერქებულ სოფლებშიც. ასე მაგალითად, **მუსა, ქადირ, შევქეთ, ქაზიმ და მუსტაფა იმდაები** მუშაობდნენ წისქვილის ქვის ტეხაზე, მოპირკეთებაზე. **რაგიფ-ზექერია გუმბუში** ცნობილი დურგალი იყო. ხუროები — **აჰმეთ იმდაა, აჰმეთ გუმბუში** ცნობილი იყვნენ ხის სახლის მშენებლობით. **ჰალილ იმდაა** ცნობილი იყო მჭედლობითა და ცეცხლსასროლი იარაღების შეკეთებით.

თენექე — ეს სახელი, რომელსაც ქართველი მუშაჯირების შთამომავლები იყენებენ, მათივე თქმით, ოსმალური პერიოდიდან მოდის. XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან აქ უმეტესად, ქედიდან წამოსული მუშაჯირები დამკვიდრდნენ. ამჟამად სოფელში ცხოვრობს სულ 88 კაცი. აქაურების მეტგვარებია: **მემიშოღლი, მუსოღლი, ხოჯიოღლი (დაჰიოღლი), ქოსიოღლი.**

ჩერმუქი — აქაურთა წინაპრები მაჭახელიდან მოსულან. ენა დავიწყებული აქვთ, ამბობენ, რომ ქართველები არიან. აღნიშნავენ, რომ წინაპრებსაც არ სცოდნიათ ქართული. ახლა სოფელში რამდენიმე ოჯახიღაა დარჩენილი. მცხოვრებთა საერთო რაოდენობა სულ 45 კაცია.

ქართული ენის არცოდნის მიუხედავად, ჩერმუქელები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ გურჯები არიან, სხვა სისხლი სულაც არ ურევიათ და ბოლომდე გურჯებად დარჩებიან. „გურჯობის“ დასამტკიცებლად ხშირად ასახელებენ წინაპართა ტრადიციულ საჭმელებს: **ფხალი, მალახტო, ლობიო, ქეშქექი, მჭადი.**

ტათლიფუნდარი // თათლიფინარი — აქ მხოლოდ მოხუცებმა იციან ქართული ენა. ახალგაზრდებს კი ესმით, მაგრამ ვეღარ ლაპარაკობენ. შენარჩუნებული აქვთ ქართული თვითშეგნება. აქაურების მეტგვარებია: **ჰაჯი-ქემალოღლი, ალთუნოღლი, მურადოღლი, ონბაშიოღლი, ომეროღლი, სეიდიოღლი, იაქუფოღლი, ბამბაოღლი, ჩელებოღლი...** ბევრმა იცის თავისი ძველი ქართული გვარი: **ვაცაძე, ჯარდენიძე, ქავთარიძე, ქობულაძე, გოგიძე, გუნდარიძე, მუთიძე.**

ასახელებენ წინაპართა სოფლებსაც: **ჩხუტუნეთი, ჩიქუნეთი, ზედვაკეი, ეფრათი, ცხემლანა, ბელლეთი, ბზუბზუ, ღურტა, რიყეთი.**

ნიშანდობლივია, რომ აქაურთა მეტსახელები ქართულია: **სანატორი, გეიგელი, ჩინმუგაი // ჯიჯმუქაი, ქოთმანაი, სიფსიფაი, ფათერა, ბულულა, ფულულა, ჯეჯე, წეწეი, ფინთისოი, ბუნჯაი, თახთახაი, თაქვიანი, ჰუმბალა, ხუმფალა, დოშმი, თოსოში, მანი-მანი, ფოსო, წივწივა, გუნთული, კუნთული, ჩოტანი, წოტანი, ფუტ-კარაი, ყობულაი, ლომპაპი, ჩიტიბუდე, ფუნდუქაი.**

ამასიის ილში ქართველთა რაოდენობას რაც შეეხება: ზოგადად, ეთნიკურ ქართველ მოსახლეთა რიცხვი 15-20 ათასამდე იქნება, მაგრამ ქართული ენის მცოდნენი გაცილებით ცოტანი არიან.

შუა შავიზღვისპირეთის ქართველურენოვან მუჰაჯირთა შორის არსად გვხვდებიან **ლაზები**. 2019 წლის ივლისის თვეში, სამეცნიერო ექსპედიციის მიმდინარეობისას, ჩვენ ყველა მხარეში — გირესუნშიც, უნიეშიც, ჩარშამბაშიც, სინოპშიცა და ამასიაშიც იქაურებს საგანგებოდ გამოვკითხეთ, ცხოვრობდნენ თუ არა მათ მეზობლად მუჰაჯირი ლაზები და ყველგან ერთგვარი — უარყოფითი პასუხი მივიღეთ. ქ. ჩარშამბაში გაგვაცნეს ლაზი ძმები, რომლებიც აქ ათინის თემის სოფ. **ავრამითიდან** (თურქ. Güney) ჩამოსულიყვნენ 20 წლის წინ, თუმცა მუჰაჯირ ლაზთა შთამომავლები არც იქ აღმოჩნდნენ.

1.2.3.2. სამხრეთ-დასავლეთი შავიზღვისპირეთი

ეს რეგიონი მოიცავს ჩრდილო-დასავლეთ თურქეთში მდებარე დუზჯეს და საქარის ილეს. მათ ტერიტორიაზე 1878 წლამდე, ეთნიკური თურქების გარდა, განსახლებული იყვნენ თრაკიიდან გადმოსული ბულგარელებიც და ანატოლიელი ბერძნებიც. პირველნი რწმენით იყვნენ როგორც ქრისტიან-მართლმადიდებლები, ისე — მუსლიმანები; მეორენი — მხოლოდ ქრისტიან-მართლმადიდებლები (ვაკარელსკი, 1935: 56). რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წწ. ომის შემდგომ პერიოდებში ბულგარელების და ბერძნების უმრავლესობამ რეგიონი დატოვა და ისტორიულ სამშობლოს მიაშურა. სწორედ იმათ ყოფილ საცხოვრის მიწებზე დაასახლეს იმავე პერიოდში სამხრეთ-დასავლეთი საქართველოდან (კერძოდ: ლაზეთიდან, აჭარიდან, მაჭახლიდან...) წამოსული მუჰაჯირები.

ქართველ მუჰაჯირთა პირველი ნაკადი ამჟამინდელ დუზჯეს ილში მიუღიათ **1881 წლის 18 აგვისტოს** მაჭახლელი აღას — **ალი-მუსტაფა ბალჯიოღლის** წინამძღოლობით. ეს ხალხი ბათუმიდან გემებით ჩამოუყვანიათ.

როგორც უკვე ზემოთაც აღინიშნა, 1883 წელს დუზჯეს ვილაიეთში უკვე არსებობდა დიდი სოფელი, სადაც აჭარიდან გადმოსული ქართველი მუჰაჯირები ბულგარეთიდან 1878 წლის ბოლოს გადმოყვანილ აფხაზ-აბაზებთან ერთად ცხოვრობდნენ. ოსმალური დოკუმენტების მიხედვით, სოფელს ერქვა **ბიჩქი-ი ათიქი (Biçki-i Atık)** და მდებარეობდა ახლანდელ ქ. დუზჯეს ჩრდილო-დასავლეთით, ექვს-ნახევარი საათის სავალზე.

1899 წელს სოფლის უბნები ცალ-ცალკე სოფლებად გამოუცხადებიათ: ქართული უბნისათვის უწოდებიათ **ბიჩქი-ი ათიქ გურჯი (Biçki-i Atık Gürçi)**, აფხაზურისათვის — **ბიჩქი-ი ათიქ აბაზა (Biçki-i Atık Abaza)**. ქართული სოფლის გამგებლად (ანუ **მუხტარად**) დაუნიშნავეთ **შაჰინ-ალა აბდულაპოღლი**, ხოლო აფხაზური სოფლის გამგებლად — **ნური ბემლია-ფაშა**. როგორც დოკუმენტებში მიუთითებენ, უწინდელი ერთი სოფლის გაყოფა განაპირობა უბნებში მოსახლეობის რიცხოვნობის გამრდამ (ქასაბი, 2019: 67).

ბიჩქი-ი ათიქ გურჯის თავდაპირველი მოსახლენი უმეტესად აჭარელი, მაჭახლელი და ნიგალელი მუჰაჯირები იყვნენ. ამასთან, აჭარლები სხვებს მეტობდნენ. 1902-1911

წლებში ხსენებული სოფლის მკვიდრებმა თანდათან შეიძინეს სამოსახლო მიწები დუზჯე-საქარიის სხვადასხვა მხარეში.

ლაბეთიდან წამოსულ მუჰაჯირებს რაც შეეხება: მათი უდიდესი ნაწილი დუზჯეში ოსმალური გემებით გადმოუყვანიათ 1878 წლის შემდგომ. უმეტესწილად, ესენი იყვნენ დღევანდელი სარფის და მაკრიალის (ქემალფაშას) მკვიდრნი, რომლებიც დაასახლეს ორ სოფლად თანამედროვე ქ. დუზჯეს ტერიტორიაზე. ამ სოფლების სახელები იყო **ოზბაი (Özbay)** და **ბალფინარი (Balpınar)**.

1890-1895 წლებში თანამედროვე დუზჯესა და საქარიის ილების ტერიტორიაზევე დაასახლეს ჩხალისა და ბელღევენის ხეობათა მკვიდრნიც, რომლებიც მუჰაჯირებად 1878 წელსვე კი წამოვიდნენ, მაგრამ 1890 წლამდე ქ. სტამბოლის გარეუბნებში სახლობდნენ. რამდენადაც ქალაქში ცხოვრება არ სურდათ, მათ ოსმალეთის ხელისუფლებას თხოვნით მიმართეს და მოითხოვეს ქალაქგარეთ, სოფლად გადასახლება.

დუზჯეს ილის (Düzce ili) ადმინისტრაციული ცენტრია ქ. **დუზჯე (Düzce)**, რომლის მოსახლეთა რაოდენობაა 250 ათასი კაცი. ამ ქალაქის გარდა, დღეს აჭარელ, მაჭახლელ და ნიგალელ მუჰაჯირთა შთამომავლები სახლობენ შემდეგ სოფლებში:

მერქეზ ილჩეში (Merkez ilçesi; მისი ცენტრია უშუალოდ ქ. დუზჯე): **აიდინფინარი (Aydınpinar)**, **ასარი (Asar)**, **გოლორმანი (Gölormanı)**, **დოღანლი (Doğanlı köyü)**, **ეშილჩამი (Yeşilçamı)**, **მუსაბაბა (Musababa köyü)**, **ჩაქირჰაჯი-იბრაჰიმი (Çakır Hacı İbrahim köyü)**, **მუნჯურლი (Muncurlu)**, **ჩიფთლიქქლი (Çiftlikköyü)**, იგივე **გურჯი ჩიფთლიქ Gürcü Çiftlik**), **შიმშირი (Şemşir köyü)**, **ფუნდუკლი-აქსუ (Fındıklı-aksu)**.

აქჩაქოჯას ილჩე (Akçakoca ilçesi): **დოღანჯილარი (Doğancılar köyü)**, **ესმეჰანიმი (Esmehanım köyü)**, **მელენაღზი (Melenagızı)**, **უღურლი (Uğurlu)**, **ჩიჩექფინარი (Çiçekpınar)**.

ჩილიმლის ილჩე (Çilimli ilçesi): **ეშილ მაჰალესი (Yeşil mahallesi)**, **ეშილთეფე (Yeşiltepe)**, **მაჰირაღა (Mahırağa)**, **ჰიზარდერე (Hızardere)**.

გოლიაქას ილჩე (Gölyaka ilçesi): **ჰამამუსტი (Hamamüstü)**, **ჰაჯი-აქუფი (Hacı Yakup köyü)**; ორივე სოფელს ხშირად იხსენიებენ საერთო სახელითაც — **ეფთენი (Eften)**.

ილიჯას ილჩე (Yığılca ilçesi): **ქირიქქლი (Kırıkköyü)**.

ლაბეთიდან წამოსულ მუჰაჯირთა შთამომავლები კი სახლობენ როგორც თვით ქ. დუზჯეში (უბნებში: **ოზბაი (Özbay)**, **ბალლარი [Ballar]**, **ჩაილიქი [Çaylık]...**), ისე — **მერქეზ ილჩეს** სოფლებშიც: **ბეჩი ქლო (Beçi köyü)**, **აქა ქლო (Yaka köyü)**, **დუზქლო (Düzköy)**, **ოსმანჯა (Osmanca)**, **შექერფინარი (Şekerpınar)**, **დოქუზფინარი (Dokuzpınar)**, **ბალფინარი (Balpınar)**, **სუნჯული (Suncuk)**, **კაბალადი (Kabalak)**, **ემბიდა (Enbiya Köyü)**, **დოქუზქლო (Dokuzköy)**.

ლაბებისავე ერთი სოფელი — **იაზლიკი (Yazlık Köyü)** არის **გოლიაქას ილჩეში**, ერთი — **იეშილქიოი (Yeşilköy)** — **აქჩაქოჯას ილჩეში**.

დუზჯეს ილში მოსახლე ქართველობა (გურჯებიც და ლაბებიც) გაცილებით უფრო მეტადაა ურბანიზებული, ვიდრე შუა შავიზღვისპირეთისა. არის სოფლები, რომლებიც მხოლოდ ბაფხულობით „ცოცხლდება“, თუმცა ცხადია, არც ის ითქმის, რომ ზოგადად, სოფლების მოსახლეობა მცირერიცხოვანია.

დუზჯეს ილში ენობრივი ვითარება თანდათანობით იცვლება: ის თაობა, რომლის საკომუნიკაციო ენას მხოლოდ ქართველური დიალექტური მეტყველება წარმოადგენდა, უკვე კარგა ხანია, აღარ არის. ქართველურ დიალექტთა კარგად მცოდნენი ამჟამად მოხუცებიც არიან, რომელთა რიცხვიც ნელ-ნელა მცირდება. იმათ, რაღა თქმა უნდა, თურქულიც იციან, მაგრამ ამ ენაზე აშკარად გამოხატული ქართველური აქცენტით ლაპარაკობენ. დუზჯელ ქართველთა (გურჯთა და ლაბთა) ქართველური მეტყველება მრავალი თავისებურებით გამოირჩევა, რომელთა დაფიქსირება და შესწავლა უაღრესად საშური საქმეა.

მეორე მხრივ, ქ. დუზჯეს უნივერსიტეტში 2013–2014 სასწავლო წლიდან გახსნილია კავკასიური ენებისა და კულტურის განყოფილება, რომელიც მოიცავს ქართული ენის და ლიტერატურის, ჩერქეზული ენის და ლიტერატურის მიმართულებებს. საბაკალავრო საფეხურს 2016–2017 სასწავლო წლიდან დაემატა აგრეთვე მაგისტრატურაც. აღნიშნულ მიმართულებებზე ყოველწლიურად იზრდება სტუდენტების რაოდენობა, რაც მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ კავკასიელ მუჰაჯირთა შთამომავლების ახალგაზრდა თაობაში დიდია ინტერესი მშობლიური ენებისა და კულტურების მიმართ. აქვე დავძენთ იმასაც, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულებაზე, ჩვეულებისამებრ, ისწავლება ლაბური მეტყველებაც.

დუზჯეს უნივერსიტეტში ხშირად იმართება ხოლმე სამეცნიერო და შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებები — ქართული პოემის საღამოები, ქართული ენის განყოფილების სტუდენტთა კონფერენციები, სხვადასხვა ტიპის შეხვედრები. ასევე, ქართული ენისა და კულტურის პოპულარიზაციის კუთხით, ფასეულია „ქართული კალიგრაფიის კონკურსი“, რომელიც ყოველწლიურად ტარდება. ერთობ მნიშვნელოვანი იყო 2017 წლის მაისში ჩატარებული საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელიც შოთა რუსთაველის 800 წლის იუბილეს მიეძღვნა.

ამას გარდა, ქ. დუზჯეში 30 წელზე მეტი ხანია, არსებობს ქართული სათვისტომოც — „დუზჯეს ქართველთა კულტურული გაერთიანება“ (თურქ. **Düzce Gürcü Kültür Derneği**), რომელიც თავისი დაარსების დღიდან მოყოლებული, ორგანიზებას უწევს სამწიგნობრო ქართული ენის შესწავლას: არსებობს კურსები ბავშვებისთვის, მოზრდილებისა და ხნოვანთათვის.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ქართველურენოვანი მუჰაჯირების იმ შთამომავალთა შორის, რომლებიც დღეს დუზჯეს ილში სახლობენ, შესამჩნევად მრავალ

ახალგაზრდას შეუძლია საუბარი თანამედროვე სამწიგნობრო ქართულ ენაზე, იცის ასევე წერა-კითხვაც; თუმცა, აქ აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ რადგანაც დუბჯე დიდი ქალაქია, მისი ნებისმიერი მკვიდრისათვის (ეთნიკური წარმომავლობისა და თვითაღქმის მიუხედავად), ყოველდღიური საკომუნიკაციო ენა თურქულია. ასე რომ, **იმ ახალგაზრდებისთვისაც კი, რომლებიც ფლობენ სამწიგნობრო ქართულს, თურქულაა ძირითადი ენა, რაც სავსებით ბუნებრივი მოვლენაა.**

აღსანიშნავია ასევე ისიც, რომ ქართველურენოვან მუჰაჯირთა დუბჯეში მოსახლე შთამომავლები, შუა შავიზღვისპირეთში მოსახლეთაგან განსხვავებით, იყოფიან ორ დიდ თემად — **გურჯებად** და **ლაზებად**. იმავდროულად, გურჯებს შორის უფრო ნაკლებადაა შესამჩნევი (და დამახასიათებელი) დაყოფა **აჭარლებად** და **ზეგნელებად**, **მაჭიხლელებად** და **ჩურუქსუველებად**. მშობლიურ მეტყველებად კი, გურჯებს შორის განზოგადებულია **აჭარული დიალექტი**, ლაზებს შორის — **ხოფური დიალექტის ჩხალური კილოკავი**. რაღა თქმა უნდა, უკვე აჭარულ დიალექტზე ლაპარაკობენ წარმოშობით ნიგალელი გურჯებიც — ბუსტად ისე, როგორც სარფიდან და სხვა ზღვისპირა ლაზური სოფლებიდან წამოსულ მუჰაჯირთა შთამომავალ ლაზებსაც უკვე ჩხალური კილოკავი შეუთვისებიათ.

ამასთან, დუბჯეს ილში დავაფიქსირეთ კიდევ ერთი ღირსსაცნობი თავისებურება, რაც ქართველურენოვან მუჰაჯირთა შთამომავლებით დასახლებულ არც ერთ სხვა დიდ რეგიონში არ შეგვიჩინა — რამდენიმე სოფელში გვერდიგვერდ სახლობენ ქართველები და ჩერქეზები (ეს უკანასკნელნი ჩრდილო კავკასიიდან 1864 წელს წამოსულ მუჰაჯირთა შთამომავლები არიან, თუმცა დუბჯეში 1878 წელს გადმოუყვანიათ ბულგარეთიდან და რუმინეთიდან, აფხაზ-აბაზებთან ერთად). ამგვარი სოფელია, მაგალითად, **მუნჯურლი** (თურქ. Muncurlu) დუბჯეს მერქემ-ილჩეში. ის მოიცავს 5 უბანს: **ბესნე** (Besney Mahallesi), **შაფს** (Şapsı Mahallesi), **იშიქ მაჰალლესი** (Işık Mahallesi), **ელმალიქ მაჰალლესი** (Elmalık Mahallesi), **ესას მერქემ მაჰალლესი** (Esas Merkez Mahallesi). ამათგან, **ბესნე** და **შაფს** პირწმინდად ჩერქეზული უბნებია, **ესას მერქემ მაჰალლესი** — შერეული (ქართველები და ჩერქეზები თანაბრად არიან); დანარჩენ უბნებში კი, უმეტესად, ქართველები სახლობენ. ისინი სოფლის საერთო მოსახლეობის 40%-ს შეადგენენ და ღორჯომიდან, შუახევიდან და ჭვანიდან მოსულების შთამომავლები არიან. **მუნჯურლის ქართველთა და ჩერქეზთა მნიშვნელოვანი ნაწილი სამენოვანია — ფლობს თურქულს, ქართულსა და ჩერქეზულს** (ამ ორ უკანასკნელს — მხოლოდ სასაუბრო დონეზე). ბევრია შერეული ოჯახებიც.

ანალოგიურად, გოლიაქას ილჩეს ორი ქართული სოფელიც — **ჰაჯი-აქუფი** (Hacı Yakup Köyü) და **ჰამამუსტი** (Hamamüstü) მდებარეობს ჩერქეზული სოფლის, **ჰაჭნაშგა**'ს (Köprübaşı) ყოფილ სამეურნეო მიწებზე, რომლებიც აწინდელი ქედის მუნიციპალიტეტის სოფ. წონიარისიდან **მემედ-ალი ჩელებაძის** მეთაურობით

წამოსულ მუჰაჯირებს XIX საუკუნის 80-იანი წწ. ბოლოს შეუსყიდიათ ჩერქებ დიდგვაროვან **ჰაჯი დაქუფ-ფაშასგან**. სოფ. ჰაჯი-დაქუფში ქართველთა გვერდიგვერდ გასული საუკუნის 20-იან წლებამდე ორ ჩერქებულ ოჯახსაც უცხოვრია, თუმცა შემდგომში ისინი სხვაგან გადასულან. დღეს ხსენებულ სოფელში არიან ქართული ოჯახები, რომელთაც იმ ჩერქებებთან ნათესაური კავშირი აქვთ.

დუბჯელ ლაზებს რაც შეეხება: დღესდღეობით მათი ყველაზე დიდი დასახლება — სოფ. **ბეჩი ქოი** (Beçi köyü) ქ. დუბჯეს ახალ კვარტლებთანაა შერწყმული (მდებარეობს უნივერსიტეტის კამპუსის მოპირდაპირე მხარეს); ამიტომაც, იქაურების ურბანიზაციის დონე მაღალია. ქ. დუბჯეს იმ უბნებშიც, რომლებიც XIX საუკუნის 90-იანი წწ. შუახანებში ლაზებმა დააარსეს — **(ობზაი [Özbay], ბალლარი [Ballar], ჩაილიქი [Çaylık]...)**, ამჟამად უკვე თურქულია ყოველდღიური კომუნიკაციის ენა. ახალგაზრდა თაობას ლაზური კი ესმის, მაგრამ გამართულად ვეღარ ლაპარაკობს.

კარდინალურად განსხვავებულია ენობრივი ვითარება ლაზებითვე დასახლებულ ისეთ სოფლებში, როგორებიცაა დუბჯეს მერქებ ილჩეში **დუბქოი (Düzköy), ოსმანჯა (Osmanca), შექერფინარი (Şekerpinar) და დოქუბქოი (Dokuzköy)**, ან გოლიაქას ილჩეში — **იაზლიქი (Yazlık Köyü)**. აქ ლაზურად კარგად მეტყველებენ უფროსებიც და უმცროსებიც; თვით თურქმა, ჩერქებმა ან აფხაზ-აბაზა რძლებმაც მეტ-ნაკლებად იციან ლაზური. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩამოთვლილ სოფლებში, ძირითადად, სარფელები, აზლაღელები, ლიმანელები და მაკრიალელები არიან, თუმცაღა დღეს ისინიც, როგორც უკვე ზემოთაც არაერთხელ ითქვა, ჩხალურ კილოკავებზე მეტყველებენ.

აჭარულ-ლაზური დიგლოსია დავადასტურეთ უმთავრესად ქ. დუბჯეს ლაზების დაარსებულ უბნებში (ჩამონათვალი იხ. ზემოთ), სადაც ამჟამად გურჯებიც საკმაო რაოდენობით არიან. დავძენთ იმასაც, რომ აჭარული და ლაზური დიალექტების მცოდნე ინდივიდები, ძირითადად, უფროსი თაობისანი (40 წლისა და მეტი ხნისანი) არიან. მათი შვილების უმრავლესობა, ასე თუ ისე, დაინტერესებულია წინაპრების მშობლიური ენით და ან დუბჯეს უნივერსიტეტში, ან კიდევ ქართული სათვისტომოს მიერ ორგანიზებულ სასწავლო კურსებზე ეუფლება ქართულ სამწიგნობრო ენას.

ზოგადად, უნდა ითქვას, რომ დუბჯეს ილში მოსახლე ქართველობას (გურჯებსა და ლაზებს) კარგად აქვს გათვითცნობიერებული საკუთარი ერთობა — უფრო მეტად, ვიდრე ისტორიულ ტაო-კლარჯეთსა და ლაზეთში. მიუხედავად იმისა, რომ ლაზთათვის დღეს ეთნონიმი **ქართველი** უცხოა (იგივედება **აჭარლების, ქობულეთელების, ნიგალელებისა და მაჭიხლელების** აღმნიშვნელ თურქულ ეგზოეთნონიმთან **Gürcü**), ისინი მაინც ყოველთვის მიუთითებენ, რომ ყველაზე ახლოს სწორედ **გურჯებთან** არიან. ასევე, გურჯთაგან ზოგი ლაზს ქართველთან ვეღარ აიგივებს, მაგრამ მუდამ აღნიშნავს, რომ ლაზები და გურჯები „ბიძაშვილები“ არიან.

დუზჯეს ქართველთა გვარებსა და მეტგვარებს რაც შეეხება: **გურჯები** გვისახელე-ბენ შემდეგ გვარებს: **ჩელებადე, მაკარადე, კირხველიძე, კირხხელაძე, ბერიძე, კობალაძე, იაძე, ფუტკარაძე, ქუხილაძე, კილაძე, კარკალაშვილი, ტარიელაშვილი, ქოქოლიძე, ქარცივაძე, ხირხილაშვილი, კარალიძე, ფერთელაძე, ერთელაძე, ბერიძე, გელიძე...** მეტგვარებს: **ჰაჯი-უსუბოღლი, ჯემტეროღლი, ხინკილოღლი, კოკოლოღლი, შირინოღლი** და მისთ.

ლაზები გვისახელებენ გვარებს: **თანთუში, შათირიში, ფოცხორიში, ჰაჯი-მემიშიში, მურღულიში, ხოჯიში, გინძეხუსენიში...** ამათგან ზოგიერთი წარმოშობით ოსმალური მეტგვარია, ოღონდაც ლაზურ ყაიდაზე გადასხვაფერებული. გაცილებით მეტად ახსოვთ მეტგვარები: **კუჭუმეტოღლი, უზუნხასანოღლი, კარაღბრამოღლი, ლაზოღლი, კისოღლი, ჭანოღლი...**

ზოგადად, ქართველების (გურჯთა და ლაზთა) რაოდენობის დადგენა დუზჯეშიაც, ისევე, როგორც სხვაგან, ჩვენთვის ძალზე რთული აღმოჩნდა. ადგილობრივ მცხოვრებთა გამოკითხვით მიღებული მონაცემებით, ქართველურად მეტყველთა საერთო რიცხვი 150 ათას კაცს უნდა აჭარბებდეს; თუმცა, დაახლოებით, კიდევ ერთი ამდენია (თუ მეტი არა) იმ ეთნიკურ ქართველთა (გურჯთა და ლაზთა) რაოდენობა, ვინც ქართულ სამწიგნობრო ენას შეისწავლის და სხვადასხვა დონეზე ფლობს, როგორც **მეორე ენას (L2)**.

საქარიის ილი (Sakarya ili) მდებარეობს დუზჯეს ილის დასავლეთით. ქ. დუზჯე-დან ქ. **ადაფაზარამდე (Adapazarı)**, რომელიც ილის ადმინისტრაციული ცენტრია, მანძილი 82 კილომეტრია. აქედან გამომდინარე, დუზჯელი და საქარიელი ქართველობაც თითქმის ერთი მთლიანი თემია. დავძენთ ასევე იმას, რომ ადაფაზარი უფრო მოზრდილი ქალაქია, ვიდრე დუზჯე — იქ 300 ათასზე მეტი კაცი ცხოვრობს. მათი უმრავლესობა სწორედაც რომ კავკასიელ მუჰაჯირთა შთამომავალია. დაუზუსტებელი მონაცემებით, ჩერქეზები უფრო მეტობენ; ქართველები (გურჯები და ლაზები) მეორე ადგილზე არიან, ბოლო ადგილზე კი — აფხაზ-აბაზები.

ქართველურენოვან მუჰაჯირთა შთამომავლები კომპაქტურად სახლობენ, უმეტესად, საქარიის ილის საფანჯას, ჰენდექის, აქიაზის, ქარაფურჩეკის, ქაინარჯას, ქარასუს, გეივეს ილჩეებში. ბევრნი არიან ასევე ქ. ადაფაზარში. **გურჯთა** სოფლები, სადაც ამ სტრიქონთა ავტორებმა 2022 წლის ივლისის და აგვისტოს თვეებში ვიმუშავეთ, შემდეგია:

საფანჯას ილჩეში (Sapanca ilçesi) — ქურთქაო (Kürtköy), ახჩაი (Akçay), ბალყაია ქაო (Balkaya köyü), ერდემლი (Erdemli köyü), ყურუჩეშმე (Kuruçeşme), მამუდიე (Mahmudiye), ნაილიე (Nailiye köyü), უზუნყუმი (Uzunkum). ქართველურენოვან მუჰაჯირთა შთამომავლები მრავლად არიან ასევე ილჩეს ადმ. ცენტრში — ქ. **საფანჯაში (Sapanca)**.

ჰენდექის ილჩეში (Hendek ilçesi) – ბაშფუნდარი (Başpınar), ბუჟუქდერე (Büyükdere), დერებოღაზი (Dereboğaz), ქემალიე (Kemaliye), მამუდბე (Mahmutbey köyü), ენიმშლლე (Yeni Mahallesi), ჩამლიჯა (Çamlıca), ზედა ხუსენოღლები (Aşağı Hüseyinşeyih köyü), ქვედა ხუსენოღლები (Yukarı Hüseyinşeyih köyü), ბალუქლი-იხსანიე (Balıklı-İhsaniye), ენი ბიჩქიათიქი (Yeni Biçki-Atık), ესენტეფე (Esentepe), გულდიბი (Güldibi), ქვედა ხატილა (Gündoğan köyü), ზედა ხატილა (İkramiye köyü), ხამუთლი (Hamıtlı köyü), ოჩი (Hicriye köyü), ავანა (İkbaliye köyü), ერეგონა (Karaçökek köyü), კარგალენი (Kargalıyeni köyü), ლუთფიეს კოშკი (Köşkü köyü), მურადიე (Muradiye köyü), ნურიე (Nuriye köyü), არხვა (Servetiye köyü), სულიმანიე (Süleymaniye köyü), ენიქოღ (Yeniköy), ეშილი (Yeşilköy), ყიზანლუდი (Kızanlık köyü). ქართველურენოვან მუჰაჯირთა შთამომავლები 70%-ს წარმოადგენენ ილჩეს ადმ. ცენტრში – ქ. ჰენდექში (Hendek).

აქიაზის ილჩეში (Akyazı ilçesi) – ბელდიბი (Beldibi köyü), რეშადიე (Reşadiye köyü), შერეფიე (Şerefiye), ფერიზლი (Ferizli köyü), სინანოღლი (Sinanoğlu köyü). ქართველურენოვან მუჰაჯირთა შთამომავლები ილჩეს ადმ. ცენტრშიც – ქ. აქიაზიში (Akyazı) – 50%-ზე მეტს წარმოადგენენ.

ქარაფურჩექის ილჩეში (Karapürçek ilçesi) – აჰმედიე (Ahmediye), მეჯიდიე (Mecidiye), მესუდიე (Mesüdiye).

ქაინარჯას ილჩეში (Kaynarca ilçesi) – ქურაღ (Turnalı köyü).

ქარასუს ილჩეში (Karasu ilçesi) – აზიზიე (Aziziye Mahallesi), ყარაფუნდარი (Karapınar köyü).

გეივეს ილჩეში (Geyve ilçesi) – ბოღაზქოღ (Boğazköy), ილიმბე (İlimbey), ყარაჩამი (Karaçam köyü), ყიშლაჩაი (Kışlaçay köyü), ნუროსმანიე (Nuriosmaniye köyü), მაქსუდიე (Maksüdiye), შერეფიე (Şerefiye).

ამავდროულად, გურჯებივე არიან ქ. ქოჯალის (Kocaali) უბნებში: აღალარი (Ağalar), ალანდერე (Alandere), ხიზარი (Hızır), გაღმითი (Karşı), ბეზირგანი (Bezirgan), ჯაფარიე (Caferiye), დემირაჩმა (Demiraçma), ყადიქოღ (Kadıköy), ყოზლუდი (Kozluk).

საქარიის ილჩეს ადმინისტრაციულ ცენტრში – ქ. ადაფაზარშიც გურჯების უბნებია: არიფიე (Arifiye), ჩაიბაში (Çaybaşı), ქემალიე (Kemaliye), შუქრიე (Şükriye köyü).

ლაზები სახლობენ უმეტესწილად საფანჯას, ჰენდექის, გეივეს, აქიაზის, ფერიზლის ილჩეებსა და ასევე: მერქემ-ილჩეშიც (რომლის ადმ. ცენტრია იგივე ქ. ადაფაზარი). მათი სოფლებია:

საფანჯას ილჩეში – ფევეზე (Fevziye köyü), სუჯუნა (Hacı Mercan), ორჭი (İkramiye köyü), მემნუნიე (Memnüniye), ილმიე (İlmiye köyü), უნლიჯი (Ünlücü).

ჰენდექის ილჩეში – ქოფრუბაში (Köprübaşı), აქოვა (Akova), აქსუ (Aksu), აქთეფელი (Aktefek), ბუჯალი (Karadere), კადიფე (Kadife Kalesi), სარი იერი (Sarı yeri).

გეივეს ილჩეში – ეშმე (Eşme), დოღანჩაი (Doğançay), ყიზილყაია (Kızılkaya).

აქიაზის ილჩეში – მამუღ-ზაბითი (Alağaç köyü), ბოზთეფე (Boztepe köyü), ხასანბეი (Hasanbey), კაზანჯი (Kazancı köyü), ტოფაღაჯი (Topağaç köyü), დოქურჯუნი (Dokurcun).

ფერიზლის ილჩეში – ჯეილანდერე (Ceylandere köyü).

ადაფაზარის უბნებში: დერემენდერე (Değirmendere), თაშკისული (Taşkısıgı köyü).

საქარიის ილში მოსახლე ქართველურენოვან მუჰაჯირთა შთამომავლებმა (როგორც გურჯებმა, ისე ლაზებმაც) განგვიცხადეს, რომ მიწები, რომლებსაც დღეს ისინი ფლობენ, ოსმალეთში გადმოსვლისას სულთანმა მშობლიური ადგილების ნაცვლად უბოძა მათ წინაპრებს. სწორედ ამ მიზეზით, – გვითხრეს მათ, – ახლად დაარსებულ ჩვენს სოფლებს დაერქვა მემლექეთიდან მოტანილი სახელები; მაგალითებად კი მოგვიყვანეს **ზედაი** და **ქვედაი ხატილა** (**ხატილა** ანუ **Taşlıca** დღემდე არსებობს ართვინის ილის მერქებ-ილჩეში. მისი აწ უკვე თითქმის დავიწყებული სახელია **ხატის სოფელი**), **არხვა** (**არხვა** ანუ იგივე **Akpınar** ამჟამად ართვინის ილის ბორჩხის ილჩეს სოფელია), **სუჯუნა** (**სუჯუნა** ანუ იგივე **Boğazköy** ბელღევნის ხეობაში მდებარე ლაზებით დასახლებული სოფელია. დღეს შედის ართვინის ილის ბორჩხას ილჩეში) და ა.შ. ამ სოფლებში 1878 წლის შემდეგ დასახლებულან აწინდელი ართვინის ილის შესაბამისი სოფლებიდან წამოსული მუჰაჯირები.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება, რაც საქარიის ილის ქართველურენოვან მოსახლეობაში დავადასტურეთ, ისაა, რომ პრაქტიკულად, თითქმის ყველა იმ სოფელში, სადაც სახლობენ **გურჯები**, არიან **ლაზებიც** და პირიქით. ამდენად, გარკვეულწილად, სახელდება „**გურჯთა სოფელი**“ ანდა **ლაზთა სოფელი**“ პირობითია – ემყარება იმას, თუ რომელი ჯგუფის წარმომადგენლები მეტობენ იმ დასახლებულ პუნქტში. ასე მაგალითად, ზემოთ ჩამოთვლილ გურჯთა სოფლებში, რომლებიც საფანჯას ილჩეში შედის, საკმაოდ არიან ლაზებიც; ანალოგიურად, ლაზთა სოფლებში, რომლებიც ჰენდექის ილჩეში შედის, არის ბევრი გურჯი. იმავდროულად, ის სოფლები, რომლებზეც ვწერთ, გურჯთა სოფლებიაო, **გურჯების დაარსებულია**; ხოლო რომლებზეც ვწერთ, ლაზთა სოფლებიაო, შესაბამისად – **ლაზების დაარსებული**. აქვე

დავძენთ იმასაც, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სოფლები წმინდად ქართველურია — იქ, გურჯების და ლაზების გარდა, სხვა ეთნოსის წარმომადგენლები არ ცხოვრობენ.

საქარიის ილის ქართველურ დასახლებებში დღეს არსებული ენობრივი ვითარებაც თავისებურებით გამოირჩევა: უპირველეს ყოვლისა, ქართველურად მეტყველებს უკლებლივ ყველა — დიდიან-პატარიანად; თვით ქალაქადაც კი, ეთნიკური ქართველების ყოფითი კომუნიკაციის ენა ქართულია (მუჰაჯირთა აჭარული ან ლაზური დიალექტები); ამასთან, **არაიშვიათად, გურჯებმაც იციან ლაზური და ლაზებმაც იციან აჭარული — არც ერთს არ ეუცხოება ერთიმეორის მეტყველება.** ქართველურად ყველაზე კარგად ქალები მეტყველებენ — მათ (განსაკუთრებით, უფროსი თაობის წარმომადგენლებს), ვერ გაარჩევთ დღევანდელი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის რომელიმე სოფლის (გონიო, სარფი, ჯოჯო, წინსვლა...) მკვიდრ ქალბატონთაგან. აგრეთვე უნდა ითქვას ისიც, რომ მართალია, ამჟამად ერთენოვანი ინდივიდები არ შემორჩენილან (**თურქული ენის არცოდნა სირცხვილად მიიჩნევა:** როდესაც ამ სტრიქონების ერთი ავტორი — მიხეილ ლაბაძე საქარიელებს თურქულად მიმართვაზე ლაზურად პასუხობდა, ვიდრე გაიგებდნენ, რომ საქართველოდან იყო ჩამოსული, საყვედურობდნენ: **თურქული რატომ არ იციო?**), თითქმის ყველა თაობის წარმომადგენელ ეთნიკურ ქართველს აშკარად ეტყობა ქართველური აქცენტი — 60 წელზე უფროს და 6 წელზე უმცროს თაობათა წარმომადგენლები თურქულად ქართველური დომინაციით მეტყველებენ.

საქარიის ილში მოსახლე **გურჯების** დიალექტური მეტყველება კვალიფიცირდება, როგორც **აჭარული**. ამასთან, ის ყველაზე მეტად უახლოვდება ქვემოაჭარულ და კირნათ-მარადიდულ კილოკავებს. მხოლოდ ლექსიკასა და სინტაქსშიღა შეინიშნება **ნიგალური დიალექტის** გავლენა. სხვათა შორის, **ამ ფაქტის ასახსნელად ნიშანდობლივად მიგვაჩნია ნიგალიდან წამოსულ მუჰაჯირთა შთამომავლების ნაამბობი იმის თაობაზე, რომ ოსმალეთში გადმოხვეწის შემდგომ მათ წინაპრებს შუა შავიზღვისპირეთში კარგა ხანს უცხოვრიათ აჭარლებთან ერთად,** ვიდრე „პასპორტებს მიიღებდნენ“ და სულთანიც, ძველი საცხოვრისის ნაცვლად, მათ ახალ მიწებს უბოძებდა. მართლაც, დოკუმენტურად ცნობილია (იხ. ზემოთ, ქართველ და აფხაზ მუჰაჯირთა დროებით სამყოფ დასახლ. პუნქტთა სია: 136-139), რომ 1877-1882 წწ. რუსეთის იმპერიიდან (კერძოდ, საქართველოდან და ჩრდილო კავკასიიდან) წასულ მუჰაჯირებს კარგა ხანს მოუწიათ დროებით ცხოვრება შუა შავიზღვისპირეთსა და იმგვარ დიდ ქალაქებში, როგორიცაა: სტამბოლი, იზმირი და მისთ. ამ მიზების გამო, თანამედროვე აჭარიდან და ნიგალიდან გადახვეწილთა შორის განზოგადდა **აჭარული დიალექტი**, ხოლო ლაზეთიდან გადახვეწილთა შორის, როგორც უკვე ითქვა — **ხოფური დიალექტის ჩხალური კილოკავი.**

ბემოთქმულიდან გამომდინარე, საქარიის ილში დღეს მოსახლე ლაბთა დიალექტური მეტყველებაც კვალიფიცირდება, როგორც **ჩხალური კილოკავი**, მიუხედავად იმისა, რომ ყველას წინაპარი ჩხალის ხეობიდან არ ყოფილა — ბევრნი არიან სარფელები, ბათუმელები და ბელღევნელები, მაგრამ ისევე როგორც გურჯების შემთხვევაშიც, 1877–1895 წლებში ქ. სტამბოლის გარეუბნებში ერთად ცხოვრებას თავისი გაუტანია: რადგან ყველაზე მეტნი ჩხალელები იყვნენ, საყოველთაოდ სწორედ ჩხალური კილოკავი განზოგადებულა. ამგვარი რამ, საერთოდ, ძალზე დამახასიათებელია ხოლმე მსოფლიოს სულ სხვადასხვა რეგიონში გავრცელებულ დიასპორულ (ან ტრანსპლანტირებულ) მეტყველებათათვის. საქარიელ ლაბთა ჩხალურში (ისევე, როგორც გურჯთა აჭარულშიც) სხვა კილოკავების (სარფულის, ნოღედურ–აზღაღურის...) გავლენა თავს იჩენს, უპირატესად, ლექსიკაში — მრავლადაა ისეთი ფორმები, რომლებიც უშუალოდ მდ. ჩხალის ხეობაში გავრცელებული ლაბური მეტყველებისათვის, როგორც წესი, უცხოა.

გარდა ამისა, შეინიშნება ქართველური ლექსიკური ინტერფერენციაც — გურჯებისა და ლაბების მეტყველებებში თავს იჩენს, ერთი მხრივ — აჭარულიდან ლაბურში შესული ლექსიკა, მეორე მხრივ — ლაბურიდან აჭარულში შესული ლექსიკა. უპირველეს ყოვლისა, ესაა იმ კერძების სახელები, რომელთა გავრცელებაც საქარიელ გურჯ და ლაბ დიასახლისებს ერთიმეორისგან უსწავლიათ. ასე მაგალითად, ლაბმა დიასახლისმა **ნურიე ბაშთურქმა** (67 წლისა; წარმოშობით — ჩხალელი) საყვარელ კერძად დაგვისახელა **მალახთო**, რომლის აღსანიშნავადაც სწორედ ეს სიტყვა გამოიყენა (ლაბურად მეტყველების დროსაც) და არა ლაბური შესატყვისი **ჭიმური**³⁰. ასევე: გურჯმა დიასახლისმა **სევეგი გურსელმა** (60 წლისა, წარმოშობით — ნიგალელი) საყვარელ კერძად დაგვისახელა **ლუყუ ბრინჯონი**, რომლის აჭარული შესატყვისი **შავაფხალაი** არც კი იცოდა.

მაშასადამე, საქარიის ილში დღემდე აშკარად იგრძნობა, რომ **ქართველურენოვანი მუჭაჯირების უკლებლივ ყველა შთამომავალი ეთნიკურად ერთიან სოციუმს ქმნის, მათ შორის ამჟამად არსებული სხვაობა კი მეორეულია**. შეუიარაღებელი თვალისთვისაც კი ცხადია, რომ **თურქეთის ყველა იმ რეგიონში, სადაც კი კავკასიიდან გადმოხვეწილი მუჭაჯირები მოსახლეობენ, გურჯები და ლაბები ისევე წარმოადგენენ ერთ მთელ სოციუმს, როგორც ჩერქეზული ლოკალური თემები: შაფსულები, ბჟედულები, აბაძეხები, ჭემგუელები, ჰაქუნები, ყაბარღოელები... ან — აფხაზები და აბაზები**. ბოგადად, გურჯებსა და ლაბებს შორის

³⁰ **ჭიმურის** მომზადების ბემო აჭარაში გავრცელებული წესი მეტნაკლებად განსხვავდება ლაბური წესისაგან — როგორც 80 წლის მთქმელები: ცილა კონცელიძე და ნათელა ვაშაყმაძე (შუახვევის მუნიციპალიტეტის სოფ. გოგაძეებისა და სოფ. ტომაშეთის მცხოვრებნი) გვაწვდიან ინფორმაციას, ჭიმური არის კარაქსა და ნადულში ჩაფშენილი და მოზელილი ცხელი მჭადი.

ენობრივად არაა იმაზე მეტი სხვაობა, რაც **ყაბარდოელებსა და შაფსულებს**, ან კიდევ **ჭემგუელებსა და ჰაქუნებს** შორის დასტურდება ჩერქეზებში. ამას ყველაზე კარგად სწორედ საქარიელი გურჯები და ლაზები აცნობიერებენ.

ამიტომ გასაკვირი აღარცაა, რომ ქართველურენოვან მუჰაჯირთა შთამომავლებს, რომლებიც საქარიაში მკვიდრობენ, ერთიანი სათვისტომო აქვთ — **საქარიის ქართველთა (გურჯთა და ლაზთა) კულტურული გაერთიანება** (თურქ. **Sakarya Kartvel [Gürcü-Laz] Kültür Derneği**), რომელიც ამ სახელწოდებით 2018 წლიდან არსებობს, მაგრამ მოქმედებს უკვე 20 წელია. გაერთიანება ორგანიზებას უწევს ქართული სამწიგნობრო ენისა და (მის პარალელურად) ლაზური მეტყველების შესწავლას, ატარებს კულტურულ ღონისძიებებს (მაგალითად, 2022 წლის 22 ივლისს მისი ეგიდით ქ. ჰენდექში ჩატარდა გურჯებისა და ლაზების დიდი შეკრება-კონცერტი) და ა.შ. საქარიის ქართველთა (გურჯთა და ლაზთა) კულტურული გაერთიანება, მთელი თურქეთის მასშტაბით, ერთ-ერთ გავლენიან და მაღალი ინტელექტუალური პოტენცი-ალის მქონე ქართულ ორგანიზაციად ყალიბდება.

ქართველურენოვან მუჰაჯირთა სიმრავლისა და გამოკვეთილი ერთობის ფონზე, რა თქმა უნდა, იმდენად თავს აღარ იჩენს მიკროსოციუმებად დაყოფა: საქარიელ გურჯებსაც, ცხადია, კარგად მოეხსენებათ, ვინ **აჭარელია**, ვინ — **ზეგნელი**, ვინ — **ჩურუქსუელი** და ა.შ., მაგრამ ამას უფრო ნაკლებ ღირსსაცნობად თვლიან, ვიდრე შუა შავიზღვისპირეთში, ანდა მარმარილოს ზღვისპირეთში (იხ. ქვემოთ) მცხოვრები ქართველურენოვან მუჰაჯირთა შთამომავლები. საქარიაში გავრცელებულია ამგვარი თქმა: **ჩვენებური იყოს — ისთერ მიწიდან იყოს!** (აჭარ.), **ჩქინებური ტას — ისთერ ტალახიშენ ტას!** (ლაზ.) „ჩვენებური იყოს — გინდაც ტალახიდან იყოს!“ — ასე ამბობენ მაშინ, როდესაც რომელიმე გურჯის ანდა ლაზის წარმომავლობაზე ჩამოვარდება სიტყვა. იმავდროულად, ლაზთაგან ჩავიწერეთ ასეთი ფრაზეოლოგიზმი: **ლაზი დო გჟურჯისთერი რენ** „ლაზი და გურჯივითა“ = ერთი და იგივეა, არაფერი სხვაობა არაა. ღირსსაცნობია ისიც, რომ გურჯთა შორის — **ქართველი**, ლაზთა შორის — **ქართოლი** იხმარება „ჯიუტის, უჯიათის“ მნიშვნელობით; მაგალითად: **ბაბა-ქართველია** (აჭარ.), **ბაბა-ქართოლი რენ** (ლაზ.) „ძალზე უჯიათი ვინმეა“ (ეტიმ. „მამა ქართველია“). როცა ვიკითხეთ, ასე რატომ ამბობთო, გვიპასუხეს: **ქართველი ჩვენთვის ისაა, ვინც ისლამი არ მიიღო.**

საქარიაში შემორჩენილ ქართველურ გვარებს და ქართველთა ოსმალურ მეტგვარებს რაც შეეხება: მეტ-ნაკლებად, ყველას კარგად ახსოვს როგორც წინაპრის ქართული გვარი, ისე მეტგვარი. აქ ჩამოვთვლით მხოლოდ იმათ, რომლებიც ყველაზე უფრო გავრცელებული ჩანს. გურჯთა გვარებიდან: **ლასტაკანიძე, ირემაძე, ნერგაძე, თოფჩიბაშიშვილი, კილაძე, ბაჯელიძე, ბაბა-გურჯიშვილი, ჭალაძე, კინცურაძე // კინწურაშვილი, საღირიძე, ვაცაძე, წულუკიძე, ბაციკიძე, ტარიელაშვილი,**

ხინკაძე, ხინკილაძე, ფუტკარაძე, ძანგიძე, იაძე, მაკარაძე, ხობრევანიძე, ზაბითიძე... ლაბთა გვარებიდან: აბდურრამანიში, მურღულიში, ნარაკიში // ნარაკიძე, ზილუნაში, სქურათაში, თანთუში, კუჭუმეტიში, შათირიში, ეკეში, ალბიძე, ნანიაში, კოსტანივაში, მეკელიში, კიკილიში, ფოცხორიში, გინძეკუ-მა-დიში, ალი-მცქვიტურაში...

გურჯთა მეტეგვარები: გურჯიოღლი, აჭარელოღლი, აჭაროღლი, ჰაჯი-სინა-ნოღლი, ჰაჯი-ლუმანოღლი, წითელოღლი, კვირტიოღლი, აბუკეთელოღლი, ალი-სირვათოღლი, ჩერქეზოღლი, შავხასანოღლი, თავბუძგილოღლი... ლაბთა მეტეგვარები: მერჯანოღლი // ჰაჯი-მერჯანოღლი, ლაზოღლი, ლაზ-მემიშოღლი, დელი-კურტოღლი, უზუნალოღლი, კარალოღლი, ბიბულაზოღლი, პაპულოღლი და მისთ.

უაღრესად საყურადღებოა ცნობები საქარიის ილში მცხოვრებ ქართველურენოვანი მუჰაჯირების შთამომავალთა რაოდენობის შესახებ: როგორც თავად მათ განგვიცხადეს, საქარიის ილის მთელი მოსახლეობის 50% ქართველებია (გურჯები და ლაზები). ენის კარგად მცოდნეთა რიცხვიც, დაახლოებით, იმდენივე უნდა იყოს, რამდენიც — ეთნიკურად ქართველებისა. მაშასადამე, უხეშად რომ ვიანგარიშოთ, ქართველების რაოდენობა იქ 500 ათასზე მეტ კაცს უნდა აღწევდეს, რამდენადაც საქარიის ილის მთელი მოსახლეობა დღეს 1, 060 876 კაცია (2021 წლის აღწერის მონაცემების თანახმად). თურქეთის ყველა დანარჩენ რეგიონთაგან (რა თქმა უნდა, ისტორიული ტაო-კლარჯეთის და ლაზეთის გამოკლებით) მხოლოდ საქარიაშია ქართული/ქართველური მეტყველების პრესტიჟის მაჩვენებელი მაღალი: ყველა სოფელში, სადაც კი ჩვენ მოგვიწია მუშაობა, ადგილობრივი მოსახლეობა ერთხმად მიიჩნევდა, რომ **ქართველმა (გურჯმაც და ლაზმაც) მშობლიური ენა უსათუოდ უნდა იცოდეს.**

დასასრულ, აქვე ვიტყვით, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთი მეტად სპეციფიკურია, უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ იქაური მოსახლეობის თითქმის 90% XIX საუკუნის მეორე ნახევარში კავკასიიდან (კერძოდ, საქართველოდან და ჩერქეზეთიდან) გადმოხვეწილთა შთამომავალია. აქ დღემდე აშკარად იგრძნობა კავკასიისათვის დამახასიათებელ რეალიათა გავლენაც, რის გამოც სხვა მხარეებში მცხოვრები თურქები დუბჯეს და საქარიის ილების ტერიტორიას ყოფაში არაიშვიათად იხსენიებენ ასე: „Küçük Kafkasya“ — „მცირე კავკასია“ ან „Yeni Kafkasya“ — „ახალი კავკასია“.

იმავედროულად, დღესაც დუბჯე-საქარიაში წარმოდგენილ კავკასიურ კულტურათა შორის შესამჩნევად დომინანტურია ქართული/ქართველური და, თუ თავად დუბჯელ ან საქარიელ ქართველებს ვენდობით, ეს ყოველთვის ასე იყო. უბრალოდ, დუბჯე-საქარიის მიწაზე დამკვიდრებული ქართველობა აქამდე არასოდეს ყოფილა ფართომასშტაბიანი, კომპლექსური შესწავლის ობიექტი, მაშინ როდესაც იქაური ჩერქეზებისა თუ აფხაზ-აბაზების ენითაც და კულტურითაც მკვლევრები თითქმის მთელი

გასული საუკუნის განმავლობაში ინტერესდებოდნენ. ამ მხრივ, მაგალითად, ძალზე მნიშვნელოვანია ფრანგ ენათმეცნიერ-კავკასილოლოგთა – ჟორჟ დიუმეზილის, ჟორჟ (გიორგი) შარაშიძის, კატრინ პარის და სხვათა ნაშრომები.

1.2.3.3. მარმარილოს ზღვისპირეთი

ამ რეგიონში დღეს ქართველურენოვანი მუჰაჯირების შთამომავალთა დასახლებები განსაკუთრებული კომპაქტურობითა და ხანგრძლივი ისტორიით (რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ჩვენთვის კვლევისას) გამოირჩევა თანამედროვე ბურსას ილში. მარმარილოს ზღვისპირეთის სხვა მხარეებში მცხოვრები ქართული მოსახლეობაც სწორედ ბურსის ილიდან მოგვიანებით (ძირითადად, გასული საუკუნის 10-იანი და 20-იანი წლებიდან) გადასულთა შთამომავალია. მათ, არაიშვიათად, შენარჩუნებულიც აქვთ ახლობლურ-ნათესაური კავშირ-ურთიერთობანი ბურსელ ქართველობასთან; როგორც თავადვე აცხადებენ, **ბაბა-ვათანის ბურსას აქვან** — „მამული ბურსაში აქვთ“. სწორედ აქედან გამომდინარე, ბურსას ილი ქართველოლოგებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე მხარეს წარმოადგენს.

რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წწ. ომამდე თანამედროვე ბურსას ილის ტერიტორია გამოირჩეოდა ავტოქთონი — ეთნიკურად ბერძენი მოსახლეობის შესამჩნევი სიჭარბით. აქ, რასაკვირველია, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, ბურსის მხარე წარმოადგენდა ოსმალთა სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთ მძლავრ ცენტრსაც და ადრეული ოსმალ-თურქი ერის ფორმირების უმთავრეს არეალსაც; თუმცა, ფაქტია ისიც, რომ იქ ქრისტიან-მართლმადიდებელი ბერძნებიც დიდი რაოდენობით სახლობდნენ XIX საუკუნის დასასრულამდე და დიდი როლიც შეასრულეს ადგილობრივ თურქ ლოკალურ ჯგუფთა ეთნოგენეზში (სოტირიადისი, 1918: 12-14). ქ. ბურსის ბერძნული სახელწოდება იყო **Προύσα** [პრუსა] ან **Μβρούσα** [ბრუსა], ქ. ინეგოლისა — **Ἄγγελικωμας** [ანგელრკომის]. ეს სახელწოდებები პირველად ფიქსირდება ბიზანტიური პერიოდის წყაროებში.

1877-1878 წწ. ომის შემდეგ ბურსას ილში ენობრივ-ეთნიკური ვითარება ერთბაშად შეიცვალა — ქრისტიან-მართლმადიდებელი ბერძნების დიდმა ნაწილმა სტამბოლში ანდა საბერძნეთში გადაინაცვლა. მათ მაგივრად კი ბურსაში ჩამოსვლა დაიწყეს მუჰაჯირებმა: პირველად ჩამოვიდნენ **ბოსნიელები**, **არნაუტები** (ალბანელები) და **პომაკები** (მუსლიმანი ბულგარელები), მერე და მერე — ბულგარეთიდან, რუმინეთიდან და აწინდელი ჩრდილო მაკედონიიდან ოსმალურ ჯარებთან ერთად გამოსული **ჩერქეზებიც** და **აფხაზ-აბაზებიც**, ბოლოს კი — **ქართველები**, რომელთა უმეტესობა აჭარიდან ან ნიგალიდან იყო; შედარებით მცირე რაოდენობით იყვნენ ჩაქველები და ლაზებიც.

ნიშანდობლივია, რომ, როგორც ზემოთაც უკვე აღინიშნა (იხ. აქვე, შესავალი), მარმარილოს ზღვისპირეთში „**მუჰაჯირებს**“ (თურქ. **Muhacirler**) უწოდებენ მხოლოდ

და მხოლოდ ბულგარეთიდან წამოსულ ეთნიკურ თურქებს, რომლებიც ამ ტერიტორიებზე ჯერ — 1878 წელს, ხოლო შემდეგ კი 1914 წელსა და 1980–1989 წლებში გადმოსახლდნენ და დღემდე გარკვეული თავისებურებებით გამოირჩევიან ადგილობრივ თურქთაგან. სხვა ეთნიკური წარმომავლობის მუსლიმანი ლტოლვილების შთამომავლებს კი მარმარილოს ზღვისპირეთში პირდაპირ ეგზოეთნონიმებით (მაგალითად: **Gürcüler** „ქართველები“ ან **Boşnaklar** „ბოსნიელები“) იხსენიებენ. ჩვენეული ვარაუდით, გარკვეულწილად, სწორედ ამ გარემოების გამოა, რომ აქაურ ქართველებში უფრო ფართოდაა ცნობილ-შემონახული ავტოეთნონიმი **ქართველი**, ვიდრე სამხრეთ-დასავლეთ ანდა შუა შავიზღვისპირეთში.

თანამედროვე ბურსას ილის მიწაზე ქართველი მუჰაჯირების ერთ-ერთი პირველი და მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტია **ხეირიე** (თურქ. **Hayriye köyü**, ამჟამად შედის ინეგოლის ილჩეში). აქ 400-ზე მეტი ქართველი, რომელთაც ვინმე **ჰაჯი მეჰმედ ეფენდი** წინამძღოლობდა, 1883 წელს მოსულა და დამკვიდრებულა. მანამდე ისინი სხვა ადგილას ცხოვრობდნენ (მათი დღევანდელი შთამომავლები ასახელებენ სხვადასხვა ქალაქს: სტამბოლს, ბურსას, იზმირს და ა.შ.), მაგრამ რაკილა იქაური პირობები არ მოსწონდათ, ისეთი მიდამოს ძებნა დაუწყიათ, რომელიც საქართველოს მსგავსი იქნებოდა. ბოლოს, როდესაც დღევანდელი სოფ. ხეირიეს არემარე მოსწონებიათ, იქ დასახლებულან და სახელწოდებაც შესაფერისი შეურჩევიათ.

დღესდღეობით ქართული სოფლები უფრო მეტია **ინეგოლის ილჩეში** (İnegöl ilçesi), რომლის ადმინისტრაციული ცენტრია ქ. **ინეგოლი** (İnegöl). იქაურობა მართლაც ძალიან წააგავს საქართველოს (კერძოდ, მთიან აჭარას). ქართველი მოსახლეობის დიდი ნაწილი უკვე ურბანიზებულია, თუმცა ურბანიზების მაჩვენებელი მათში უფრო ნაკლებია, ვიდრე მათივე მეზობლად მოსახლე **ბოსნიელებში** ანდა **ალბანელებში**.

უკვე ნახსენები **ხეირიეს** გარდა, ინეგოლის ილჩეს ქართული სოფლებია: **ბათაქლი** (Bataklı), **ბაჰჩეკაია** (Bahçekaya), **ბაჰარიე** (Bahariye), **გუნდუზლი** (Gündüzlü), **გულბაჰჩე** (Gülbahçe), **გუნეე ქესთანე** (Güney Kestane), **ელმაჩაი** (Elmaçay köyü), **ერიქლი** (Erikli köyü), **თუფენქჩიყონალი** (Tüfenkçi konağı), **ენიჯა** (Yenice köyü), **ილმიე // ჰილმიე** (Hilmiye köyü), **მესრურიე** (Mesrüriye), **მურათბეი** (Muratbey köyü), **ოილათი** (Oylat), **საადეთი** (Sahadet), **სულჰიე** (Sülhiye), **ფევიე** (Fevziye), **ფუნდუკლი** (Fındıklı), **ქოჩბაირი** (Koçbayır), **ყარაჯა ყაია** (Karaca Kaya), **ჩაილიჯი** (Çayılıç), **ჩიფთლილი** (Çiftlik), **ჩიფთლიქ ქლო** (Çiftlik köyü), **ჰამამლი** (Hamamlı), **ჰასანფაშა** (Hasanpaşa), **ჰაჯიყარა** (Hacıkara). ამ სოფლებიდან გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან წამოსული ქართველობა დღეისათვის მრავლად სახლობს უშუალოდ ქ. **ინეგოლშიც**.

ინეგოლის ილჩეში მოსახლე ქართველთაგან უმრავლესობა ზემო და ქვემო აჭარის მკვიდრთა შთამომავლებია (იწოდებიან **აჭარლებად** და **ზეგნელებად**).

ჩაქველები არიან მხოლოდ ორ სოფელში — **მურათბეგსა** (უწოდებენ აგრეთვე **ჩაქვისთავს** ან **ჩაქველებს**) და **ჰასანფაშაში**; ისინი ინარჩუნებენ თავისებურებებს ქართულ მეტყველებაში და თავსაც არ მიიჩნევენ **აჭარლებად**. ძალიან მცირე რაოდენობით არიან **მაჭიხლელები** ამჟამად; მათი მეტყველება აღარაფრით განიხრევა **აჭარლების** და **ზეგნელების** მეტყველებისგან, თუმცა ასახელებენ სპეციფიკურ **მაჭიხლურ** ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც არც **აჭარლებმა** იციან, არც **ზეგნელებმა** და არც **ჩაქველებმა**.

ზოგადად, ინეგოლის ილჩეში ქართველთა შორის საყოველთაოდ განზოგადებულია **აჭარული დიალექტი**; ჩაქველების მეტყველება თავისუფლად შეიძლება ჩავთვალოთ მის კილოკავად. საგულისხმოა ის გარემოება, რომ ინეგოლელთა ქართული მეტად ახლოა **საერთო-ქართულ ფოლკლორულ კონინესთანაც**. ჩვენი ვარაუდით, შესაძლებელია ეს იმით აიხსნას, რომ როგორც თავად ინეგოლელი ქართველები იხსენებენ, მათ წინაპარ მუჰაჯირთაგან ძალიან ბევრს (მათ შორის ხეირიელთა თავკაც **ჰაჯი მეჰმედ ეფენდის** ან სოფ. ჰასანფაშას დამაარსებელს — **ჰასან-ფაშა ბეჟანიძეს [ბიჯანოლის]**) კარგად სცოდნია ქართული წერა-კითხვა.

ამჟამადაც, ინეგოლელ ქართველთაგან საკმაოდ ბევრმა მეტ-ნაკლებად კარგად იცის ქართული წერა-კითხვა და სამწიგნობრო ენა. ასევე: ქ. ინეგოლში 1977 წლიდან არსებობს ქართველთა დიდი სათვისტომო, სახელწოდებით: **İnegöl Kafkas Kültür Derneği** „ინეგოლის კავკასიური კულტურული ასოციაცია“. თითქმის დაარსებიდანვე ის ორგანიზებას უწევს ქართული სამწიგნობრო ენის, ცეკვების, სიმღერების შესწავლა-პოპულარიზების საქმეს.

ქ. ინეგოლში ქართველთა სათვისტომოს დაარსება და საერთოდ, ქართული სულის გამოღვიძება უკავშირდება ცნობილი მოღვაწის — **აჰმედ ოზქან-მელაშვილის** (1922–1980) სახელს. მას ქართველურენოვან მუჰაჯირთა შთამომავლები „**თურქეთელი ქართველების ილია ჭავჭავაძეს**“ უწოდებენ. აჰმედ ოზქან-მელაშვილს მართლაც განუზომელი წვლილი მიუძღვის მათ წინაშე.

აჰმედის წინაპრები ნიგალის სოფ. არხვადან წამოსულან მუჰაჯირად, თავად კი 1922 წელს ქ. ბალიქესირში დაბადებულა. დაწყებითი და საშუალო განათლებაც იქვე მიუღია, მერე კი სტამბოლში გაუგრძელებია სწავლა. 1962 წლიდან — სტამბოლის უნივერსიტეტის არქიტექტურული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ — დაქორწინდა და დასახლდა სოფ. ხეირიეში. იქ დააფუძნა ტურისტული საზოგადოება და ხელი მიჰყო ქართული ენისა და კულტურის კვლევას. თავისით შეისწავლა ქართული წერა-კითხვა, ხოლო 1968 წელს კი თურქულ ენაზე გამოსცა წიგნი „**Gürcüstan**“ („**საქართველო**“), რომელსაც ძალიან დიდი გამოხმაურება მოჰყვა თურქეთში (როგორც ეთნიკური ქართველების, ისე მთავრობის მხრიდანაც). საქმე სასამართლომდეც კი მივიდა (მაშინ საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედიოდა; ამიტომ ყოველივე

ქართულით დაინტერესება არაიშვიათად კომუნიზმთან ასოცირდებოდა), მაგრამ აჰმედ ოზქან-მელაშვილი გამართლდა.

გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან აჰმედ ოზქან-მელაშვილმა ორჯერ მოახერხა საქართველოს მონახულება. თურქეთში დააარსა ინეგოლის ქართული სათვისტომო და დაიწყო ქართული კლასიკური ლიტერატურის ნიმუშთა თარგმნა თურქულ ენაზე. მანვე, თავის თანამოაზრეებთან ერთად, ქართულ ჟურნალ „**ჩვენების**“ (თურქ. „**Cveneburi**“) გამოცემასაც ჩაუყარა საფუძველი.

1980 წლის 5 ივლისს ქ. ბურსაში ვაჟთან ერთად მყოფ აჰმედ ოზქან-მელაშვილს თავს დაესხნენ და მოკლეს. მკვლელობა თავის თავზე აიდეს თურქმა ულტრანაციონალისტებმა (მათ კომუნისტები არ მოსდიოდათ თვალში), თუმცა არსებობს სერიოზული ეჭვი, რომ **„თურქეთელი ქართველების ილია ჭავჭავაძეს“** საბჭოთა სპეცსამსახურების დავალებით მოუწყვეს ტერაქტი (ვრცლად მსჯელობისთვის იხ. ფუტკარაძე, 2014: 89). აჰმედ ოზქან-მელაშვილის სიკვდილის შემდგომ მისი საქმეების გაგრძელება მისმავე ვაჟმა — **იბერია ოზქან-მელაშვილმა** ითავა. ასევე, აჰმედ ოზქან-მელაშვილის უპირველესი თანამოაზრე იყო ხეირიელი **ვახტანგ მალაყმაძე (ჰაირი ჰაირიოღლუ, 1936–2003 წწ.)**, რომელიც კარგა ხანს ედგა სათავეში ქ. ინეგოლის ქართულ სათვისტომოს, თარგმნიდა ქართული კლასიკური ლიტერატურისა და ფოლკლორის ნიმუშებს თურქულად (მაგალითად, თარგმნილი აქვს ქართული საბავშვო ზღაპრები, იაკობ გოგებაშვილის „იავნანამ რა ჰქმნა?“ და ა.შ.), ეწეოდა საგანმანათლებლო საქმიანობასაც.

გემოაღნიშნულის გამო, ინეგოლის ილჩეში მცხოვრებ ქართველთა შორის ქართულის პრესტიჟი შესამჩნევად მაღალია: არამართო სოფლად, არამედ ქალაქადაც, ეთნიკური ქართველები ყოფითი კომუნიკაციების დროს ქართულს უფრო მეტად იყენებენ, ვიდრე თურქულს. იმავდროულად, ერთენოვან ქართველთა პოვნა ძალზე რთულია, რადგანაც თურქულიც დიდიან-პატარიანად ყველამ იცის. ქალაქში მცხოვრებთა თურქული უფრო სამწიგნობრო ენას უახლოვდება, ხოლო სოფლად მცხოვრებთა თურქული კი, რაღა თქმა უნდა, დიალექტური მეტყველებაა. ასევე: თურქულად მეტყველებისას თითქმის ყველა ეთნიკურ ქართველს ეტყობა ქართველური დომინაცია.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი, მეტად ნიშანდობლივი თავისებურება, რაც ინეგოლის ილჩეს სოფ. სულჰიეში დავაფიქსირეთ: აქ თავ-თავიანთ უბნებში სახლობენ ქართველები და აფხაზები. ამასთან, **აფხაზებმა უფრო მეტად იციან ქართული, ვიდრე ქართველებმა — აფხაზური**. სოფლის მკვიდრმა — 67 წლის აფხაზმა **ერდალ ნიშანჯიმ (ბეგბამ)** გვიამბო, რომ სულჰიეში აფხაზები ქართველებზე გვიან მოსულან — 1885–1890 წლებში. 1877 წელს მათი წინაპრები (გუმელები) **ქამლათ-ფაშა მარღანიას** აწინდელი ბულგარეთის სანაპიროზე — ქ. **ვარნას** ახლოს გადაუყვანია, ერთი წლის შემდეგ კი ყველანი, ოსმალურ ჯართან ერთად, თურქეთში წამოსულან. ოსმალეთის ხელისუფ-

ლება აფხაზებს პალესტინაში ან ჰათაიში უპირებდა გადასახლებას, თუმცაღა მათ მოითხოვეს, რომ ნება დაერთოთ, თავადაც იმ სოფლებში დაბინავებულიყვნენ, სადაც ქართველი მუჰაჯირები ცხოვრობდნენ. ამგვარად მოხვედრილან სოფ. სულჰიეშიც.

სხენებულ სოფელში დღესდღეობით 20 ქართულ-აფხაზური ოჯახია. რძლებმაც და სიძეებმაც მეტ-ნაკლებად თანაბრად იციან აფხაზური და ქართული; ბავშვებში კი უფრო მეტნი არიან ქართულის მცოდნენი, ვიდრე — აფხაზურის მცოდნენი. დავძენთ ასევე იმას, რომ **არც ქართულს, არც აფხაზურს მათ მშობლები გააზრებულად აღარ ასწავლიან — რაკი ოფიციალური ენა თურქულია** (რომლის ცოდნაც თურქეთის ყოველი მოქალაქისათვის სავალდებულოა); **უპირატესად, თურქულად ელაპარაკებიან, თუმცა ერთმანეთში კვლავ ქართულად ან/და აფხაზურად ლაპარაკობენ და ბავშვიც, ძალაუნებურად, სწავლობს ამ ენებსაც.**

ინეგოლის ილჩეს ქართველთა გვარებსა და მეტგვარებს რაც შეეხება: უნდა ითქვას, რომ აქ თითქმის ყველას კარგად ახსოვს წინაპრის ქართული გვარიც და მეტგვარიც. **ამის გარეშე, ქართველობა აღარ იქნებაო, — გვეუბნებოდნენ ინეგოლელები, — ჩვენ, მართალია, მუსლიმანები ვართ, მაგრამ ნათესავებზე არ ვქორწინდებითო; ამიტომაც, აუცილებელია ვიცოდეთ, ვინ რა გვარს და მეტგვარს ატარებდა ადრეთ. შესაბამისად, ინეგოლელებისგან ჩაწერილ მასალათაგან ირკვევა არამარტო ის, თუ როგორი ეპონიმები ჰქონდათ უწინ მათ ოსმალურ მეტგვარებს, არამედ ისიც, თუ რომელი ქართული გვარი რომელი მეტგვარით იყო ცნობილი: ასე, მაგალითად, ხაილოღლები — ლორთქიფანიძეებია, ბენდელიღლები — ბედინაძეები, ხეიროღლები — მალაყმაძეები, ალთუნოღლები — ოქრუაშვილები და მისთ. გარდა ამისა, ძველი ქართული გვარებიდან დაგვისახელეს: აბულაძე, კირკიტაძე, მოსიძე, მორთულაძე, ირემაძე, ქურდობაძე, კილაძე, აბუსელიძე, კეთილაძე, გულიაშვილი, ემაძე, კაიკაციშვილი... მეტგვარებიდან: კიკილოღლი, მამლუმიოღლი, არნაუტოღლი, ელოღლი, ზერზილოღლი, ყილიჯოღლი, ასლანოღლი, გურჯიოღლი, ყარაოსმანოღლი...**

ინეგოლელ ქართველთა მტკიცებით, მათი რაოდენობა 100 ათას კაცზე მეტი უნდა იყოს. ამავდროულად, ქართული წარმოშობისა (ვისაც ან დედა, ან მამა ქართველი ჰყავს, ანდა ორივე მშობელი ქართველი ჰყავს, ოღონდ ენა აღარ იცის), დაახლოებით, ორი ამდენი იქნება. რასაკვირველია, ეს მონაცემები რამდენადმე გადამეტებულია (ბოლოდროინდელ აღწერათა თანახმად, მთელი ილჩეს მოსახლეობა 200 ათას კაცზე ოდნავ მეტია), მაგრამ ნიშანდობლივია, რომ ინეგოლის ილჩეში ქართველების ხვედრითი წილი ძალიან დიდია.

ინეგოლის დასავლეთით — 48 კილომეტრში მდებარეობს ილის ადმინისტრაციული ცენტრი **ბურსა (Bursa)**, რომელიც თურქეთის ერთ-ერთი დიდი დასახლებული პუნქტია. ქალაქში ცხოვრობს 2 მილიონზე მეტი კაცი, ხოლო **ბურსას მერქემ-ილჩეს (Bursa**

Merkez ilçesi) მოსახლეობა კი 3 მილიონს აღემატება. ქართველები აქაც საკმაოდ არიან, თუმცაღა მათი რაოდენობა შედარებით უფრო ნაკლებია, ვიდრე ინეგოლის ილჩეში.

ბურსას მერქებ ილჩეს ქართული სოფლებია: **საიფიე** (Sayfiye), **ალაჩამი** (Alaçam köyü), **ბურჰანიე** (Burhaniye), **ოსმანიე** (Osmaniye), **გემლიქი** (Gemlik), **ორჰანიე** (Orhaniye), **ხეირიე-ბურსა** (Hayriye köyü), **ოდუნლუღი** (Odunluk), **ბოღაზქოღ** (Boğazköy). აგრეთვე, ნახევრად ქართულია **გოზედე** (Gözede köyü) — ქართველებთან ერთად, იქ ცხოვრობენ **ბოსნიელები** და **ალბანელები**; მცირე რაოდენობით — **პომაკებიც** (მუსლიმანი ბულგარელები).

ბურსას მერქებ ილჩეს სოფლებში მცხოვრებ ქართველთა შორის შესამჩნევად მეტნი არიან **ნიგალები** (**მურღულელები**, **ბორჩხელები** და **ართვინელები**); ამიტომაც, აქაური ქართული მეტყველება, გარკვეულწილად, გარდამავალია აჭარულიდან ნიგალურისაკენ. ნიგალური კილოს გავლენა შეინიშნება, პირველ ყოვლისა, ერგატიული კონსტრუქციის წარმოებისას; მაგალითად, იტყვიან: **ქალმა აკეთავს საჭმელი** „ქალი აკეთებს საჭმელს“. აგრეთვე — ლექსიკაში. გადმოცემით, ბურსას მერქებ ილჩეში 1885 წელს მოსული ნიგალები 1877 წელს გადმოხვეწილან ოსმალეთში, მაგრამ კარგა ხანს აჭარლებთან ერთად უცხოვრიათ **გირესუნის** მხარეში. ცხადია, იქვე შეუთვისებიათ აჭარული დიალექტის ფორმებიც. მერე, როცა ბურსისაკენ წამოსულან, აჭარლების თოთხმეტამდე ოჯახი წამოუყვანიათ თან და ახალ მიწებზეც ერთად დასახლებულან.

დღესდღეობით ბურსას მერქებ-ილჩეს ყველაზე დიდი ქართული სოფელია **საიფიე**, სადაც ყველანი მურღულელები არიან; ამიტომ, **პაწა მურღუღის** („პატარა მურღუღის“) სახელითაც იხსენიებენ, უმეტესად, სხვა სოფლები. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამავე სოფლის მცხოვრებნი, სხვათაგან (მაგალითად, ინეგოლელთაგან) განსხვავებით, ბუნებრივად წარმოთქვამენ კბილბაგისმიერ ყრუ **ფ** ნაპრალოვანს — როცა სოფლის სახელი გვითხრეს, ჩვენ ჩაწერამდე წარმოვთქვით „საიფიე“ და უმაღვე შეგვისწორეს: **„საიფიე“ კი არა, საიფიეო**. დღემდე მურღუღის ხეობის ქართულ დიალექტურ მეტყველებაშიაც, **ფ**-ს ფონემის სტატუსი აქვს (ლაბაძე, 2013: 45).

სოფ. საიფიეშივე ჩვენმა მთქმელებმა — გვარად **ბორვაძეებმა** განგვიცხადეს, რომ მათი წინაპარი ყოფილა არქაბელი ლაზი, რომელიც მუჰაჯირობამდე ძალიან ცოტა ხნით ადრე გადმოსულა არქაბიდან მურღულში და იქ დასახლებულა. მუჰაჯირობა რომ დაწყებულა, მურღულელები საზღვარზე სწორედ მას გადაუყვანია. თვითონ შეეძლო, არ წასულიყო ოსმალეთის შიდა რეგიონში ოჯახითურთ, მშობლიურ არქაბში დარჩენილიყო, მაგრამ გადაუწყვეტია ბოლომდე მურღულელებთან ერთად ყოფილიყო. რამდენიმე წელი მასაც მუჰაჯირობა ბანაკებში გაუტარებია ქ. გირესუნის ახლოს, მერე კი, სხვა მურღულელებთან ერთად ბურსაში წამოსულა. ხელობით ხურო ყოფილა და საიფიეს ახალ მოსახლეთათვის სულ მას აუშენებია სახლები. სოფელში, აქა-იქ, ეს სახლები ახლაც დგას — ისინი წაბლისა ან კაკლის ხისგანაა ნაშენი, გარედან კი ალიზით

(ბზენარევი თიხით) არის შელესილი. იქ დღეს არავინ ცხოვრობს, მაგრამ სოფლელები მაინც თვალისჩინივით უფრთხილდებიან — **ძველების ნაკეთებიაო**.

ბორვაძეების გარდა, საიფიეში კიდევ რამდენიმე გვარს აქვს თიკუნად **ჭანისანი** ანუ „ლაზის ჩამომავლები“ (მურღულში ლაზებს დღესაც **ჭანებს** ეძახიან). ეს გვარებია: **დობიძე** (წინაპარი ჩხალადან ყოფილა), **კურტალიძე** (წინაპარი არქაბიდან ყოფილა), **ნანიაშვილი** (წინაპარი ბელლევნის ხეობიდან ყოფილა). ცხადია, მათმა წარმომადგენლებმა ლაზური აღარ იციან, მაგრამ ახსოვთ, რომ წინაპრები ლაზები ჰყლიათ. ამასთან, თავგამოდებითა და სიამაყით აღნიშნავენ: **ლაზი გურჯიდან ენ დიდი ქართუელია!** „ლაზი გურჯზე უფრო დიდი ქართველია!“. მათ მეზობლად — უბან **აჭაროლის მწლლეში** სახლობენ აჭარის სოფ. ღორჯომიდან წამოსული **ვანაძეებისა** და **ნადირაძეების** შთამომავლები. დღეს მათი მეტყველებაც მურღულურია, მაგრამ შემორჩენიათ აჭარული დიალექტისთვის ერთობ დამახასიათებელი (ამოსაცნობი) აპელატივები — **ჭო // ჭოვ** და **გო // გოვ**.

საიფიეში ქართული, დიდიან-პატარიანად, ყველამ იცის; სხვა სოფლებში კი, სადაც მოსახლეობა საიფიეზე უფრო მცირეა და კიდევ უფრო მცირდება ურბანიზაციის ხარჯზე, ქართულად, უპირატესად, უფროსი თაობა (40 წლისა და მეტი ხნისა) მეტყველებს. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბავშვებს თვით საიფიეშიც აღარ ელაპარაკებიან ქართულად: **ოხულში ჰეფ თურქჩა იკითხვენ. ახლა ჩვენაც ქართულად ველაპარაკოთ-თუ, თურქჩა კად ველარ-ნა დეაჰწავლონ, რეზილი იყნებიან!** „სკოლაში სულ თურქულად სწავლობენ. ახლა ჩვენ[ც] რომ ქართულად დაველაპარაკოთ, თურქულ ენას კარგად ველარ შეისწავლიან და შეწუხდებიან!“ — ასე ჟღერდა საიფიელი ქალების უმთავრესი არგუმენტი ამის თაობაზე. ბავშვები თავისთავად მაინც სწავლობენ ქართულს, რადგანაც მათი მშობლები ერთურთს სწორედ ქართულად ელაპარაკებიან ხოლმე.

სხვა სოფლებისგან განსხვავებით, სანახევროდ ქართულ **გაოზედეში** ქართული ენა თითქმის სულ გადავიწყებულია, ისევე როგორც ბოსნიური და ალბანური. ამ სოფელში ყოფილი კომუნიკაციის ენაც **თურქულია**. ჩვენ ვნახეთ მხოლოდ რამდენიმე მოხუცი (70 წელზე მეტისა), რომლებმაც ქართულად გავიბეს საუბარი, თუმცა მეტყველება ძალიან უჭირდათ და მოგვიბოდიშეს. დღეს გაოზედელმა ქართველებმა იციან, რომ ეთნიკურად ქართველები არიან, ქართულად კი ველარ ლაპარაკობენ. აქაც, თურქულად მეტყველების დროსაც კი, შემოუნახავთ აპელატივები — **ჭო // ჭოვ** და **გო // გოვ**, აგრეთვე — ცალკეული ლექსიკური ერთეულები (მაგალითად: **ნენე** „დედა; ბებო“, **დედიბერ** „დედაბერი“, **მამიეჟ** „მამილო“, **გვანჯყოფ** „გვარი“ და მისთ.), მაგრამ ენა დავიწყებულია.

ცალკე უნდა შევეხოთ ქ. **ბურსაში** მცხოვრებ ქართველობას: როგორც წესი, დღეს იქ ცხოვრობს როგორც 1877-1878 წწ. ომის შემდგომ ჩამოსულ მუჰაჯირთა შთამომავლები, ისე — მოგვიანებით, ქართველურენოვან მუჰაჯირთა თავმოყრის სხვა რეგი-

ონებიდან (შუა და სამხრეთ-დასავლეთ შავიზღვისპირეთიდან), აგრეთვე, ტაო-კლარჯეთიდან და ლაზეთიდან გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან გადმოსული ან საქართველოდან 90-იან წლებში წამოსული ქართველობაც. ქალაქის არც ერთ უბანში ქართველები უმრავლესობას არ ქმნიან, მაგრამ თითქმის ყველამ იცის, სად (და როგორ) უნდა მოძებნონ ერთმანეთი: **ბურსა შეჰერშიდ ორი სოფ გურჯია: მუსლიმანები ჯამიკარ ზიან, ხრისტიანები ქილისაკარ ზიან!** „ქალაქ ბურსაში ორნაირი ქართველია: მუსლიმანი ვინცაა, მეჩეთის ახლოს ცხოვრობს, ქრისტიანი ვინცაა, ეკლესიის ახლოს ცხოვრობს“³¹ — გვითხრა ქალაქის მკვიდრმა, აჭარელ მუჰაჯირთა შთამომავალმა **ნურეთთინ ოზგაუჩმა** (77 წლისა; წინაპრების გვარი — **გეგიძე**).

აქ აღსანიშნავია, რომ ქართველურენოვან მუჰაჯირთა ის შთამომავლები, რომლებიც ამჟამად ქ. ბურსაში სახლობენ, რიცხოვნობრივად, რასაკვირველია, აღემატებიან სოფლად მცხოვრებთ. ამდენად, მათი რაოდენობა მთელ ქალაქში, დაახლ., 100 ათას კაცამდე იქნება, მაშინ როცა სოფლად მცხოვრებ მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლობის რაოდენობა 15 ათას კაცამდე შეიძლება იყოს. დავძენთ იმასაც, რომ ამ 115 ათასამდე ქართველიდან ენის კარგად მცოდნე ნახევარზე ნაკლებია. ბურსა ძალიან დიდი ქალაქია და საცხოვრებლად იქ გადასული ქართველები (რასაკვირველია, ვგულისხმობთ მუჰაჯირთა შთამომავლებს) სწრაფად ასიმილირდებიან — კარგავენ დედაენას. ბევრს თვითაღქმა მაინც ქართული აქვს, მაგრამ მშობლიური ენის გარეშე მისი შენარჩუნება, როგორც წესი, ძნელია.

მაშასადამე, **მარმარილოს ზღვისპირეთში, ჩვენ მიერ გამოკვლეულ ორივე მხარეში, ქართველი მოსახლეობა თითქმის თანაბარია. იმავდროულად, ქართული ენა და თვითაღქმა შედარებით უკეთაა შემონახული ინეგოლის ილჩეში, ვიდრე ქ. ბურსასა და ბურსას მერქეზ-ილჩეში.** აქ მუჰაჯირთა შთამომავალი ლაზები არ გვხვდებიან, თუმცაღა, როგორც უკვე ითქვა, არიან მურღულელები, რომელთა წინაპრებიც მუჰაჯირობამდე მურღულში ლაზეთის თემებიდან გადასულან. ქართული ენისა და თვითაღქმის უკეთ შემონახვა-განვითარებისთვის კი ძალიან მნიშვნელოვანია ქართული სათვისტომოსა და კულტურული ორგანიზაციების არსებობა. საბედნიეროდ, დღესდღეობით როგორც ინეგოლში, ისე ბურსაშიაც აშკარად შესამჩნევია ახალგაზრდა თაობის დაინტერესება მშობლიური ენის შესწავლით. ამის წამახალისებელი ფაქტორი, რა თქმა უნდა, თურქეთ-საქართველოს შორის მჭიდრო პარტნიორული, კეთილმეზობლური ურთიერთობების განვითარება და განმტკიცებაა.

³¹ ქ. ბურსაში დღემდე არის ბერძნული ეკლესიები, თუმცა თითქმის ყველა უმოქმედოა.

თავი III
ქართველურენოვან მუჰაჯირთა შთამომავლების თვითაღქმა
თანამედროვე თურქეთში

1.3.1. ისტორიული გადმოცემები, როგორც თვითაღქმის ნაწილი:
მუჰაჯირობის სიძნელეები ქართველურენოვან მუჰაჯირთა
შთამომავლების მონათხრობთა მიხედვით

თანამედროვე თურქეთში ქართველურენოვან მუჰაჯირთა შთამომავლებს, როგორც უკვე აღინიშნა (იხ. **შესავალი**) აქვთ **ორდონოვანი თვითშეგნება**: ერთი მხრივ, ისინი თავს აღიქვამენ ეთნიკურ **ქართველებად**, ხოლო მეორე მხრივ კი — **თურქებად**, ანუ **თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეებად**. მათთვის **თურქი** მოქალაქეობის აღმნიშვნელი ტერმინია და არა ავტოეთნონიმი. სწორედ აქედან გამომდინარე, ქართველურენოვანი მუჰაჯირების შთამომავალთა აბსოლუტური უმრავლესობის ქართული//ქართველური თვითაღქმა დღეს ეფუძნება ისეთ შეუცვლელ რეალიებს, როგორებიცაა **მშობლიური ენა** და **მემკვიდრეობა** (ანუ ისტორიული მახსოვრობა).

ქართველ მუჰაჯირთა დღევანდელ შთამომავალთათვის ძალიან მნიშვნელოვანია მშობლიური — ქართული/ქართველური ენის ცოდნა. ამ ნიშნის მიხედვით, შეიძლება მათ შორის გამოიყოს ხუთი ძირითადი ჯგუფი:

1. პირები, რომლებიც ქართულს ვეღარ ფლობენ და, ქართველური წარმომავლობის მიუხედავად, უკვე თავს აღიქვამენ ეთნიკურ თურქებად; თავიანთ წარმომავლობასაც ხან მალავენ, ხან — არა. ზოგიერთი ამტკიცებს იმასაც, რომ ქართველებიც თურქულენოვანი ხალხია, ოღონდ შუა აზიიდან დღევანდელ თურქებზე უფრო ადრეა მოსული კავკასიაში. ამიტომ, დღეს თურქეთში მცხოვრები ქართველიც თურქი გამოდის;
2. პირები, რომლებიც, მართალია, ქართულს ფლობენ, მაგრამ თავს მაინც აღიქვამენ ეთნიკურ თურქებად, რადგანაც მათთვის ქართული არაპრესტიჟული მეტყველებაა და არ ხიბლავთ ეთნიკურ უმცირესობად ყოფნა;
3. პირები, რომელთა საოჯახო ენაც ქართულია, ოღონდ შვილებისთვის განათლების ენად ირჩევენ, მათი აზრით, გაცილებით უფრო პრესტიჟულ თურქულსა და სხვა ენებს (ინგლისურს, ფრანგულს...); მათ უფრო უილოდებათ თვითიდენტიფიკაცია თურქულ ენობრივ სამყაროსა და კულტურასთან; ზოგადად, მათი ენობრივ-ეთნიკური თვითაღქმა გაორებულია. ამიტომ დღეს ცდილობენ, რომ თავიანთ შვილებს გაუილონ თურქულ სამყაროში ინტეგრაცია;
4. პირები, რომელთაც შეიძლება გადავიწყებულცი ჰქონდეთ ქართველური ეროვნული კულტურის განმსაზღვრელი ყველა მახასიათებელი (ისტორიული დედაენა, წესჩვეულებები...), მაგრამ თავს მაინც კვლავაც „გურჯებად“ — ქართველებად მიიჩნევენ, საკუთარი წარმომავლობისა და წინაპრების კულტურის **ცოდნის** გამო; ამ

ჯგუფის წევრები თურქეთის რესპუბლიკის პატრიოტებიც არიან და იმავე დროს, ცდილობენ, დაიბრუნონ წინაპრების ყველა ენობრივ-კულტურული მახასიათებელი;

5. პირები, რომლებიც ფლობენ თავიანთ ისტორიულ დედაენას — ქართულს, თავსაც ქართველებად მიიჩნევენ. ქართული მათთვის ეროვნული ენაა; ისინი ცდილობენ, შთამომავლებს არ დაუკარგონ წინაპართა ენა და კულტურა (შდრ. ასევე: ფუტკარაძე, 2015: 32–39).

თურქეთის რეგიონებში მუშაობის დროს ამ სტრიქონების ავტორები შევხვდით ხუთივე ჯგუფის წარმომადგენლებს და ჩავიწერეთ მათი მეტყველების ნიმუშებიც. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უმცროს — 25–30 წლამდე — თაობაში დომინირებენ პირველი ჯგუფის წარმომადგენლები, საშუალო — 30–დან 50 წლამდე — თაობაში დომინირებენ მეორე, მესამე და მეოთხე ჯგუფის წარმომადგენლები, ხოლო უფროს — 50 წლის ზემოთ — თაობაში მეტნი არიან მეხუთე ჯგუფის წარმომადგენლები. ამგვარი შეფარდება აშკარა საფრთხეს ქმნის, რომ მუჰაჯირთა შთამომავლებს შორის რამდენიმე ათწლეულის შემდეგ მთლად დაიკარგოს არამარტო ქართული მეტყველება, არამედ ქართული თვითაღქმაც კი.

ამდენად, როგორც მართებულად მიუთითებს ტ. ფუტკარაძეც (ფუტკარაძე, 2019: 264), „**ქართველური წარმომავლობის თურქეთის მოქალაქეთა მხოლოდ მცირე ნაწილის ეთნიკური იდენტობა არის გამოკვეთილად ქართული, მაგრამ ობიექტური და აკადემიური ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში, ბევრად გაიზრდება ეთნიკურად ქართველად თვითაღქმელთა რაოდენობა**“ (ხაზგასმა ავტორისა).

თუ ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებს ობიექტური და აკადემიური ინფორმაცია არ მიეწოდათ, მომავალში მათ ქართულ თვითაღქმას სერიოზულ ზიანს მიაყენებს ის ფაქტიც, რომ მუჰაჯირობის მიზეზი ბევრს ხსოვნაში, არაიშვიათად, დამახინჯებული სახით აქვს ამჟამად ჩაბეჭდილი. მაგალითად, სამსუნის ილის ჩარშამბას ილჩეს სოფ. ქესთანეფინარში ერთმა 70 წლის მთქმელმა მუჰაჯირობის მთავარ მიზეზად **ქართველი** სტალინის მიერ ქართველი მუსლიმანების შევიწროება და ციმბირში გასახლების მუქარა დაგვისახელა. ბევრი ასახელებს ამ მიზეზსაც:

იქ მუსლიმანობაღს კითხუა სარ ყოფილა!.. ასე, ლოცუაც სარ ყოფილა. ძალტუან პატათ-ქი ყოფილა, ბრეტულათ არ ყოფილა, უერდამდგარან³².

ე.ი. თურქეთში ქართველების (როგორც ავტოქთონი ქართველების, ისე მუჰაჯირთა შთამომავლების) ცნობიერებაში მუჰაჯირთა გადასახლების ისტორია მუდმივ ტკივილს უკავშირდება, ოღონდაც საპირისპირო მიმართულებით: ტკივილის მიმყენებელია არა მტერი, არამედ — ძმა, ქრისტიანი ქართველი (ფუტკარაძე, 2019: 266). ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ მართალია, ამგვარ დამახინჯებულ გადმოცემებს

³² „იქ მუსლიმანობის სწავლა არ შეიძლებოდა, ასე ლოცვა არ შეიძლებოდა. ძალიან მცირედ შეიძლებოდა, დიდად არ შეიძლებოდა, ვერ გაჩერებულან“.

დიდად სჭარბობს მართებული, ისტორიული ფაქტების შემცველი გადმოცემები, მაგრამ დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, უკვე ძალზე ძნელი სათქმელია, რა გადარჩება და რა დაიკარგება მომავალ თაობაში.

პრაქტიკულად, ქართველურენოვან მუჰაჯირთა ყოველ შთამომავალს — თვით იმასაც კი, რომელიც ქართულად უკვე ვეღარ საუბრობს — მრავლად სმენია გადმოცემები თავისი წინაპრების „ბათუმიდან“ (=საქართველოდან) წამოსვლის შესახებ. **არსებითად, მშობლიური ენის გარდა, სწორედ ამგვარი გადმოცემებია მათი თვითაღქმის შემონახვის ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველი.**

2019-2022 წწ. მოწყობილ საენათმეცნიერო ექსპედიციათა ფარგლებში, ჩვენ ქართველ მუჰაჯირთა დღევანდელი შთამომავლებისაგან ჩავიწერეთ მრავალი გადმოცემა, რომლებშიც ასახულია მათი წინაპრების თავგადასავალი სამშობლოდან იძულებით გადმოხვეწისა და ოსმალეთის იმპერიაში დამკვიდრების პერიოდში. საყურადღებოა ისიც, რომ ზოგი გადმოცემა გარკვეულწილად ემთხვევა 1877-1882 წლების მუჰაჯირობის ისტორიაში დოკუმენტურად დადასტურებულ ამა თუ იმ მოვლენას.

თურქეთში მოსახლე კავკასიელ მუჰაჯირთა შთამომავლებს დღევანდელ პირობებში სულ უფრო და უფრო უჭირთ მშობლიურ ენათა და ზნე-ჩვეულებათა შენარჩუნება. მათი ჩერქეზული, აფხაზურ-აბაზური თუ ქართული თვითაღქმა უმეტესად ეყრდნობა ეთნიკურ-ისტორიულ მეხსიერებას — მამა-პაპათაგან გაგონილ იმ გადმოცემებს, რომლებშიც ასახულია სამშობლოდან ოსმალეთის იმპერიაში იძულებით გადმოსახლებისა და დამკვიდრების ამბები. მუჰაჯირთა შთამომავლების უდიდესმა ნაწილმა სწორედ გადმოცემით იცის, საიდან წამოსულან და რა გვარს ატარებდნენ უწინ მათი წინაპრები, სად დასახლდნენ პირველად ოსმალეთის ტერიტორიაზე და ა.შ. ბუნებრივია, მათ ხსოვნაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გადმოცემებს წინაპართა მიერ მუჰაჯირობის დროს გადატანილ სიძნელეთა შესახებ.

ჩვენ მიერ ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებისაგან ჩაწერილ მუჰაჯირობის პირველი წლების სიძნელეთა ამსახველ გადმოცემებში შესაძლებელია გამოვყოთ რამდენიმე თემა:

1. **სამშობლოს დატოვების ძირითადი მიზეზი:** შიში, რომ ქრისტიან რუსებს შეურაცხყოფა არ მიეყენებინათ მუსლიმანი მოსახლეობისათვის;
2. **მძიმე საცხოვრებელი პირობები ოსმალეთში საცხოვრებლად გამოყოფილ მიწებზე:** ჩვენი საკვლევი რეგიონების მასალების მიხედვით, ხელისუფლებამ მუჰაჯირებს საცხოვრისი გამოუყო ზღვის სანაპიროსთან ახლოს, სადაც ბევრი კოლო იყო. მთიანი სოფლებიდან წამოსულმა მუჰაჯირებმა ვერ გაუძლეს კოლოსა თუ ნესტს და ხეობების ზემო წელისკენ იწყეს მოძრაობა. აქ გაცილებით რთული იყო საცხოვრებლის მოწყობა;

3. **დამხვედურ მოსახლეობასთან დაპირისპირება:** ოსმალეთში მოსულ მუჰაჯირებს ხელისუფალთა მიერ საცხოვრებლად გამოყოფილ მიწებზე დახვედათ ადგილობრივი მოსახლეობა, რომელიც მტრულად იყო განწყობილი მუჰაჯირთა მიმართ;
4. **სამშობლოში დაბრუნების უშედეგო მცდელობა:** ოსმალეთში ჩამოსვლის შემდგომ, იმედგაცრუებულ მუჰაჯირთა ერთმა ნაწილმა სცადა ისევ სამშობლოში — საქართველოში — დაბრუნება, თუმცა როგორც რუსებმა, ისე ოსმალებმაც ხელი შეუშალეს ამაში;
5. **ნოსტალგია:** ოსმალეთში გადმოსახლებულმა მუჰაჯირებმა უცხოებაში დღემდე შეინარჩუნეს დედაენა — ქართული ენა და ყოფითი კულტურის ძირითადი კომპონენტები. გარდა ამისა, საბოლოო ჯამში ისინი დასახლდნენ ისეთ ადგილებში, რომლებიც ჰგავდა სამშობლოში მიტოვებულ საცხოვრისებს. ახალ დასახლებებში ტოპონიმთა დიდ ნაწილს დარქვეს ქართული სახელები; გადმოიტანეს ძველი საცხოვრისების მიკროტოპონიმაც.

არსებითია იმის აღნიშვნაც, რომ ამ თემებზე საუბრობენ არა მხოლოდ უფროსი ასაკის ადამიანები, რომლებიც კარგად ფლობენ ქართულს, არამედ, ახალგაზრდებიც. ახალმა თაობამ (25 წლამდე ახალგაზრდობამ) ნაკლებად იცის ქართული ენა; მათთვის თითქმის გაუცხოებულია ქართული კულტურაც, მაგრამ მუჰაჯირთა ამჟამინდელი შთამომავლების ქართულ ეთნიკურ მეობას (თვითაღქმას) დიდწილად განსაზღვრავს უკვე მითებად ქცეული მუჰაჯირთა პირველი თაობების მიძიმე ისტორიები. განათლების თანამედროვე სისტემა და ახალგაზრდობის ფართომასშტაბიანი გადასვლა დიდ ქალაქებში, ბუნებრივია, ამორებს მათ წინა თაობების ზეპირ გადმოცემებთან, რაც საბოლოო ჯამში ხელს უწყობს მუჰაჯირთა ახალი თაობის მენტალურ ასიმილაციას.

ქვემოთ წარმოვადგენთ რამდენიმე კონკრეტულ ისტორიას:

მუსა თანის მონაცოლი:

გირესუნის ილის ბულანჯაქის ილჩეში, სოფ. დამუდერეში ადგილობრივი მცხოვრები **მუსა თანისგან (Musa Tan, ქართული გვარი — ბარამიძე, 50 წლისა)** ჩავიწერეთ გადმოცემა იმის შესახებ, თუ როგორ დასახლდნენ ქართველი მუჰაჯირები იქ, სადაც დღეს სოფელი **დამუდერე** მდებარეობს:

ჩვენს დედებიც იმისთვის აქ ამოსულან ბათენ — აქაურობა ქედას გაუტხო. ზღო ქენარში ადგილი მუცემია მაშინ უმფროსს, ჩვენს უმფროსს: თქვენო აქ იდექითო და, ჩვენ აქ უერ დაუდგებითო! — აქ ამოსულან!.. აქ ტყე ყოფილა — ჯი ბათენ — გუკაფიან! მაშინ იქა ბუზი ჭამდა მილლეთსა. ჭამდა იქა და, აქ ამოუდეს, აქაურობა კად იყო მაშინ... იქიდან ომ აქ მოუტსულუართ, მას მემრე, ანი, აქაური სახელი ჰელიმოლლი დურქქიან. ჩვენ ემდევი — ქლათ ჰელიმოლლი! ამა იქ — ბარამიძე უყოფილუართ და აქ რომ მოვლით, აქ გამოცლილა³³.

³³ „ჩვენი წინაპრებიც (სიტყვასიტყვით: „ბაბუებიც“) სწორედ იმიტომ ამოსულან აქ, რომ [უფიქრიათ:]

ამ თხრობაში ყურადღებას იქცევს ორი უმთავრესი რამ:

1. მუჰაჯირები მთიანი მხარიდან — აწინდელი ქედის მუნიციპალიტეტიდან იყვნენ და დაბლობის ჰავა ვერ აიტანეს. ამიტომ, კვლავინდებურად მთებში არჩიეს ასვლა, იქ კი ისეთი ადგილი მონახეს, რომელიც მშობლიურ ქედს მოაგონებდათ;
2. სამშობლოდან ოსმალეთში რომ გადაიხვეწნენ და ახალ ადგილას დასახლდნენ, გვარიც შესაბამისად გამოიცვალეს — უწინდელი **ბარამიძის** ნაცვლად, **ჰელიმოლ-ლი** დაირქვეს. გვარის შეცვლის მიუხედავად, ქართველმა მუჰაჯირებმა ძველი, გვაროვნული დასახლების პრინციპი შეინარჩუნეს — სოფ. დამუღერეში დღესაც მხოლოდ ბარამიძეები ანუ ჰელიმოლლები სახლობენ, რომელთა დიდმა ნაწილმა 1934 წლიდან (როცა თურქეთში გვარის ტარება კანონით აუცილებელი გახდა) ახალ გვარსახელად უკვე **თანი (Tan)** აიღო.

ვეფათ ოზგუნის მონაყოლი:

ორდუს ილის ქ. ფაცაში, ადგილობრივი მცხოვრების — **ვეფათ ოზგუნისგან (Vefat Özgün, ქართული გვარი — კაკალაძე, წარმოშობით — ქობულეთიდან)** ჩავიწერეთ გადმოცემა იმის შესახებ, თუ როგორ ჩამოსულან მუჰაჯირები ფაცაში:

ფაცას მუჰაჯირები ფეხითაც მოსულან, გემითაც მოსულან. ჩემი დედეჩემი იტყოდა ქი, წინ-წინ, მუჰაჯირებმა უთოხი გემით ჩურუქსუდან მოუტდნო. იმ გემების სახელებიც უთიცი, ჩემი დედეჩემიდან: გერთი — გულნიჰალ ყოფილა: კაცები ჩამუსყუანია სოფლებიდან — სამებიდან, გურაადან და კურივიკედან. რაფერ ყოფილა, იცი? ის კაცები პაწა ბენგინი ქი ყოფილან იქანად, ფარაც იქ ხონიან და იმ გემის იგინიზა მუსევიან — ჩავტუსხი, წიგუციყუანე კარქა, ლამაზათო. მიერე გემ ეთქუა ასგრ — იმა თამ ჩურუქსუდან ბეგები ჩამუსყუანია, მათი კაცების ერთათ. მესამე გემის სახელი ყოფილა მეკიდიე, მეუთოხე გემისი — სელიმიე.

ეს უთოხი გემი წამოსულა გიმ იქიდან — ჩურუქსუდან. აქ მოსულან ქი, რუმები მუდარან იქანად, იმ იგინის სოფელი ყოფილა ფაცა. მემრენ-და, ის რუმები უწეუდან, გუტეუდან აქიდან და ჩუენ მოქუცეს გაი ადგილი. თქუეს ქი დედებმა მაშუინ: რაფერ ქლათ ჩურუქსუს გაუსო აქოტრობათო, აქ დაუჯდეთო და დამუდარან. დოხსან უჩ ჰარბინდე ყოფილა. ჩურუქსუს რომ რუსი მოსულან, ჩუენები ჰიჩ უელარ დამდვარან იქანად და გემებით იშთე, წამოსულან აქით.

დოხსან უჩ ჰარბიც რომ დათაუდა, გრ აჭარლები მემრე მოუტდენ, ფეხით მოუტდენ და მოუტდენ, გაფუხრებულები. წინ-წინ, თრაბზონში გადასულან, ამა იქანად არ დუსყენებია პუტქუმათს ქი: აქ არ არი ადგილიუთ და გამუშუიან აქით — თქუენებურები თელ' იქანად ბიანო. რომ მოუტდენ აქან, თელ' თიეფში ეტდენ, ბეათ: აქა კოლო არი-დედი და ბეათ ეტდენ,

აქაურობა ქედს ჰგავსო. ზღვის პირას ადგილი მიუცია მაშინ უფროსს, ჩვენს უფროსს (იგულისხმება ოსმალეთის სულთანი): აქ დასახლდითო და [წინაპრებმა თქვეს:] ჩვენ აქ ვერ დავსახლდებითო! — [ჰოდა,] აქ ამოსულან!.. აქ ტყე ყოფილა საერთოდ, გაუკაფიათ. მაშინ იქ (ზღვის პირას) კოლო ჭამდა ხალხს. ჭამდა იქ და, აქ ამოვიდნენ, აქაურობა კარგი იყო მაშინ... იქიდან რომ აქ მოვსულვართ, მას მერე, ესე იგი, [ჩვენებს] აქაური გვარი ჰელიმოლლი მიუღიათ. ჩვენი ნათესაობა — სულ ჰელიმოლლებია. იქ ბარამიძეები ვყოფილვართ გვარად და აქ რომ ჩამოვედით, აქ გვარი შეცვლილა“.

ზღუდს ქენერზე სარ დადგენ. თიეფში მათებურად ჩიფთლილები გჷკეთეს, იქანად ისაქმეს. ახლაც იმფერ არდან, იმფერ საქმობენ³⁴.

ეს გადმოცემაც საინტერესო ცნობებს გვაწვდის: უპირველეს ყოვლისა, იმ გემების სახელებს, რომლებითაც შეძლებული ქობულეთელები მუჰაჯირად წამოსულან. აღსანიშნავია, რომ ზ. ჭიჭინაძის სიტყვით, ქობულეთის მხარეში მუჰაჯირობა 1877 წელს დაწყებულა. მისი მოთავეები ყოფილან ბეგები: **ალი-ფაშა თავდგირიძე** და **ყემპერ-აღა ფაში ოღლი ჩივაძე** (ჭიჭინაძე, 1912: 109); ლოგიკურია დავუშვათ, რომ მათ მართლაც ექნებოდათ იმის საშუალება, რომ თავიანთი გლეხები ოსმალეთში გემებით გადაეყვანათ.

მუჰაჯირების ჩამოსვლამდე ფაცა პონტოელი ბერძნების სამოსახლო ყოფილა, შემდეგი ისინი გაუქვებიათ. ეს ცნობაც დოკუმენტურად დასტურდება: 1877-1878 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომში რუსების მხარეს, დაახლ., 4000 პონტოელი ბერძენი მოხალისე იბრძოდა. ამის გამო, ოსმალებმა მათი თანამემამულეები აიძულეს, დაეტოვებინათ ოსმალეთის იმპერიის ტერიტორია. მუჰაჯირობის პარალელურად, 1877-1884 წლებში, პონტოელი ბერძნების მნიშვნელოვანმა ნაწილმა რუსეთს მიაშურა (გერმანჩუკი, 2011: 161-166). სწორედ მათ ნასახლარებზე დასახლეს ოსმალებმა ფაცაში ქობულეთიდან წამოსული მუჰაჯირები, რომელთაც ახალი საცხოვრისი ძველს აგონებდა.

ფაცაშივე ჩამოსულან ზემოაჭარლებიც ომის დამთავრების მერე — ფეხით, ტრაპიზონიდან. თურქი ისტორიკოსი მუამერ დემირელი ოსმალურ დოკუმენტებზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ „1879 წელს ტრაპიზონის ცენტრში ფეხით ჩამოსული ლტოლვილები დროებით აქჩაბათის ნაჰიეს სოფ. სუვაში (აქიაზიში) განათავსეს, მერე კი ორდუში გადაიყვანეს“³⁵ (დემირელი, 2009: 1128-1129). ეს ხალხი ზღვის პირას კოლოების

³⁴ „ფაცაში მუჰაჯირები ფეხითაც ჩამოსულან და გემითაც ჩამოსულან. ბაბუაჩემი იტყოდა ხოლმე ადრე: მუჰაჯირები ქობულეთიდან ოთხი გემით ჩამოვიდნენო. იმ გემების სახელებიც ვიცი, ბაბუაჩემიდან ვიცი: ერთის სახელი ყოფილა **Gülnihal**. იმას ხალხი ჩამოუყვანია სოფლებიდან: სამებიდან, გვარადან და კვირიკედან. როგორ ყოფილა, იცი? ის ხალხი რაკი შეძლებულები ყოფილან იქ, ფულიც ჰქონიათ და იმ გემის ეკიპაჟისთვის (სიტყვასიტყვით: „იმ გემის იმათთვის“) მიუციათ: ჩაგვსვი და წაგვიყვანე კარგადო. მეორე გემს ერქვა **Asır** — იმას უშუალოდ ქობულეთიდან წამოუყვანია ბეგები (თავადები), მათ გლეხებთან ერთად. მესამე გემის სახელი ყოფილა **Selimiye**, მეოთხე გემისა — **Mecidiye**. ეს ოთხი გემი წამოსულა, აი, იქიდან — ქობულეთიდან. აქ რომ მოსულან, აქ პონტოელ ბერძნებს უცხოვრიათ მაშინ, იმათი სოფელი ყოფილა ფაცა. მერე ის ბერძნები გაუყრიათ, გაუქვებიათ აქედან და ჩვენ მოგვცეს ეს ადგილი. თქვეს წინაპრებმა მაშინ: როგორ მთლად ქობულეთს ჰგავს აქაურობაო, აქ დავსახლდეთო და დასახლებულან. ეს 1877-1878 წწ. ომის დროს ყოფილა. ქობულეთში რომ რუსები შემოსულან, ჩვენები სულ ვეღარ გაჩერებულან იქ და გემებით წამოსულან აქეთ.

1877-1878 წწ. ომი რომ დასრულდა, ის აჭარლები მერე ჩამოვიდნენ — ფეხით ჩამოვიდნენ და ჩამოვიდნენ, გაღარიბებულები. ჯერ ტრაპიზონში გადასულან, მაგრამ იქ არ გაუჩერებია ხელისუფლებას — აქ არ არის ადგილი და გამოუშვიათ აქეთ — თქვენებურები სულ იქ ცხოვრობენო. რომ ჩამოვიდნენ აქ, ყველანი მთებში ავიდნენ, ზევით: აქაო კოლოაო და ზევით ავიდნენ, ზღვის ნაპირას არ გაჩერდნენ. მთებში თავიანთთვის მეურნეობები მოაწყვეს, იქ დასაქმდნენ. ახლაც იქ არიან და ისე საქმიანობენ“.

³⁵ „1879 yılında kara yoluyla Trabzon şehir metkezine gelen göçmenler geçici olarak Akçaabat nahiyesinin Suva (Akyazı) köyüne yerleştirilmişler ve daha sonra Ordu'ya göçmen gönderilmişlerdir“.

სიმრავლის გამო არ გაჩერდა და მთებს მიაშურა, სადაც მეურნეობები მოაწყო. დღესაც მათი შთამომავლები იქ ცხოვრობენ და იმავე საქმიანობას მისდევენ.

იბრაჰიმ დურსუნის მონაცოლი:

სამსუნის ილის ჩარშამბას ილჩეს სოფ. მუსლუბეიში ჩავიწერეთ კიდევ ერთი გადმოცემა **იბრაჰიმ დურსუნისგან (İbrahim Dursun**, ძველი ქართული გვარი — **კვირტიძე**, 70 წლისა) იმის შესახებ, როგორ ამაოდ შეეცადნენ მისი წინაპრები უკან დაბრუნებას:

ბათუმიდან აქ მოსულან, ჩტენი დედები მოსულან. უკან წასლა სურტებიან ქი, თაბი, ერთ-ორ კაც... იშთე, სონრა უკან წასულან, ბეჩი მიტდეთო, გერი იქ ჩტენ სახლეფ დურტირალდეთო. წესულან ქი, ჰტდტთბეც რუსეფ დტყენებიან: ესენი ტინ არიანო? კტირტიბე? ო!.. წადთ ახლა ყტელოა უკანო! რა გინდებიან აქაო?!.. ჩტენე კტირტიძესთან ტერ დატუდებიტო!.. კტირტიძე იშთე, დიდი ეშქიას სტლწლე ყოფილა იქს. ჰამან, წამოხტენ გებენ ე ჩტენი კაცები, წამოსულან უკანაე აქით, თურქეთში³⁶.

მრავალრიცხოვანი დიალექტური მასალისაგან ეს მასალა შევარჩიეთ სამშობლოში დაბრუნების უშედეგო მცდელობის საჩვენებლად. ოსმალურ დოკუმენტებში უხვად მოიპოვება ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ უშედეგოდ ცდილობდნენ ხოლმე იმედგაცრუებული მუჰაჯირები უკან დაბრუნებას. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა **იუსუფ ქარაასლანის** მიერ მოძიებული დოკუმენტური მასალა; კერძოდ, მას მოჰყავს ქ. სინოპის პოლიციის 1883 წ. 2 ოქტომბრით (ჰიჯრით: 1300 წლის 30 ზულ-ყადდათი) დათარიღებული ოქმი, სადაც აღნიშნულია, რომ სტამბოლიდან სინოპში ჩასულა ქართველ მუჰაჯირთა მცირერიცხოვანი ჯგუფი, რომელსაც სურდა სინოპიდან ბათუმში წასვლა. მათ ერთ-ერთი გემის კაპიტნისათვის მიუმართავთ და გარკვეულ ფასად, ხელისუფლების გვერდის ავლით, რუსეთში გადაყვანა უთხოვიათ. კაპიტანი დახმარებას დაჰპირებია მათ, მაგრამ მერე გაუცია. გემზე ასვლისას ყველა მუჰაჯირი პოლიციას დაუკავებია და ისევ სტამბოლში დაუპირებია გაგზავნა, მაგრამ ბოლოს, მანაც დაურთავს ნება, რომ სინოპში დარჩენილიყვნენ, თან მკაცრად გაუფრთხილებია, რომ თუ ისევ დააპირებდნენ რუსეთში წასვლას, დაისჯებოდნენ (ქარაასლანი, 2019: 407).

³⁶ „ბათუმიდან აქ ვინც მოსულან, ჩვენი წინაპრები ყოფილან ისინი. უკან წასვლაც კი უნდოდათ თურმე, რაღა თქმა უნდა, რამდენიმე კაცს. ჰოდა, მერე უკან წასულან: ეგებ დავბრუნდეთ უკანო, ჩვენ სახლებს დავუბრუნდეთო. რომ წასულან, საზღვარზე რუსებს გაუჩერებიათ: ესენი ვინ არიანო? [-უკითხავთ ერთიმეორისთვის მესაზღვრეებს,] კვირტიძეებიო? ოო, წადით ახლავე ყველანი უკანო! რაღა გინდათ აქო?!.. ჩვენ კვირტიძეებთან ერთად ვერ ვიცხოვრებთო!.. კვირტიძის გვარისანი სულ ცნობილი ყაჩაღები ყოფილან იქ. ეგრევე წამოხტნენ ეს ჩვენი კაცები და გამობრუნდნენ უკან აქეთ, თურქეთში“.

მუსტაფა ოზთურქის მონათხრობი:

ორდუს ილის უნიეს ილჩეს სოფელ ექინჯულის მკვიდრმა **მუსტაფა ოზთურქმა (Mustafa Öztürk, ქართული გვარი — ხოხოტაიშვილი, 67 წლის)** ჩაგვაწერინა საყურადღებო გადმოცემა იმის შესახებ, თუ როგორ ჩამოვიდა მისი ბაბუა, სახელად — **მეკიდი** მაჭახელის ხეობიდან ამ სოფელში:

ბათუმ რუსმა რომე შამოლუდა, ჩტენი დედეს ბაბა მაჭახელში ყოფილა. იმან იშთე, ალად გახთა მეგერე და მოკუტდა. რომ მოკუტდ, ორი გოგო, იშთე, მეკიდაი— ბიჭი, ქალი დარჩენ. წეუდეთ — სარ წეუდეთ? წეუდეთ თუ არა? იმ რუსმა: ბოლჩეუკობა ქენითო, ჰირ... ქალმა: ჰირ ცისასაც სარ უტიცნობო, ცისას ქითაფსაც სარ უტიცნოფო, — თქტა მეგერ. მაშინ იმ რუსმა — ბოლჩეუკ ეტყუიან, რაფერი ეტყუით თქტენ, სარ უტიცი — სავაში ქნა, ხარფში ყოფილა. ეს რომ აქ ჰირ რამეს არ ცნობილოფს, მეკიდამ — ჩტენმა დედემ: ჩტენ აქ რაფერ-ნა დაუდგეთო და წამოსულან. რომ წამოსულან, ზედან გამოსულან და, იმ ზედთა კარიდან, — სარფიდან არა, — იქ, მაჭახელიდან.

გამოსულან. იქიდან ისე წამოსულა, წამოსულა, წამოსულა — პაწად რომ წამოსულან, მოდან აწე, ორი ძროხა ყაუტს, მას სკილრი აქ მოკიდული, გოგუტეფსაც — იმ მაგამადან რაცხას აწეუტენ, მეკიდებენ ბრუგზე, ჩასწემელი, სურუბა. ნენესაც რაცხები მუაქტენ და აუათ გახთა. თქტენ წუტინდა აუატყოფობას ეტყუით, ჩტენ — ტერემს და ის აუატყოფობა დემართა. ად, ბეურე იფიქრა და: რა უტიყაუთი და რა ვაუხითითო და იმ ფიქრში ის აუატყოფობა დემართა, უტედარ წამოუდენ მერე: გზაში რომ მოდიან, უტერ წამოუდენ, მეკიდაც იქ დარჩა. უცადა მეგერ იქ, უცადა: რამედ არ არი, რადთ წამდეყუანოს უნდა? ქათამ ულუბდა და მიართმემდა ნენეს. სიმ დეფს რომე რაცხები მოკიდული აქუნ — ფეშკირი აქუნ, ხატლის ის აქუნ, რაცხა აქუნ, იმფერი რაცხები, — იმას მიცემს მეგერემ, ფულ არ ანახუიფს უინმეს, ფულს მალაუტს მეგემ. იმა მიცემს და სერთ ქათამ წართუამს, სორ ქათამს წართუამს და ასე მიცემს. ხოდა, მოკდა მეგერ, ნენე.

ნენემ რომ მოკდა, იქ მიაფლაუტა და იქიდან წამოუტდა აქ, უნდეში. იქ მუტყუთა იშთე, იქ სამ წელიწადს უცადა ქი, რომ უნდეში მისი ხისიმები წამოსულან. იქიდან უნდეში წამოუტდა ნელ-ნელა, ნელ-ნელა, ნელ-ნელა და აქ მოუტდა, აქ ხისიმები ნახა — ხოხოტაიშვილები ნახა, ამ ექინჯულში. ჰედქ დამუდარან, ჰე იქით.

მემრენ, ის მალაზა რომ ქონდენ, იქიდან პაწად რაცხები ქონებია დედესი — ფარა, შენახული. ჰედს ადგილი ედლო, ჰედქ იგერ — ვალმაში. აგერ-იგერ გზა არ მიუტა, ჰეგერ. იქ ჩემი ბიძამუტილებია ახლა³⁷.

³⁷ „ბათუმში რუსები რომ შემოვიდნენ, ჩვენი ბაბუის მამა მაჭახელში ცხოვრობდა თურმე. ჰოდა, ის ავად გახდა თურმე და მოკვდა. რომ მოკვდა, ორი ქალიშვილი, ვაჟი — მეკიდი და ცოლი დარჩა. [იმთ დაიწყეს ფიქრი:] გადავიდეთ თუ არ გადავიდეთ [თურქეთში]? წავიდეთ თუ არა? რუსებმა უთხრეს [მათ]: ბოლშევიკებს დაემორჩილეთო, ერთიანადო... ქალმა [მეკიდის დედამ]: მე ქრისტიანიც არ ვარო, არც ბიბლია ვიცით (სიტყვასიტყვით: „სულ არ ვიცო არც იესო, არც იესოს წიგნიო“) — თქვა თურმე. მაშინ იმ რუსებს — ბოლშევიკებს ეძახით თქვენ თუ რას, არ ვიცო, — ომი დაუწყიათ მათთვის, შეუეწიროვებიათ. რადგან საერთოდ არ უცვნია [ბოლშევიკები], მეკიდს — ჩვენს ბაბუას უთქვამს: აქ როგორ გავჩერდეთო და წამოსულან. რომ წამოსულან, ზემო მაჭახელიდან გადმოსულან [თურქეთში] — სარფიდან კი არა, იქიდან, მაჭახელიდან.

გადმოცემაში, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს ის, რომ მუჰაჯირობის ფაქტი შედარებით გვიანდელია — განხორციელებულია XX საუკუნის 20-იან წლებში; კერძოდ, თურქეთში წამოსვლის მიზეზად დასახელებულია საქართველოში რუსი ბოლშევიკების შემოსვლა: ბოლშევიკებმა მეჯიდა და მის ოჯახს — დედასა და დებს — დამორჩილება მოსთხოვეს, ისინი კი წინააღმდეგნი წავიდნენ და იძულებული გახდნენ, მშობლიური სოფელი დაეტოვებინათ. თურქეთში ფეხით გადავიდნენ. იქ დედა ნერვიულობისგან ავად გახდა. მეჯიდა და მისი დებმა სამი წლის განმავლობაში თითქმის მთელი ქონება გაყიდეს, მაგრამ დედა ვერ განკურნეს.

აღსანიშნავია, რომ 1922 წელს — საქართველოში საბჭოთა რუსეთის არმიის შემოჭრიდან ერთი წლის შემდეგ — ყარსის ხელშეკრულებით, მაჭახელის ხეობა მართლაც გაიყო ორად: ქვემო ნაწილი საქართველოს დარჩა, ხოლო ზემო ნაწილი — თურქეთს გადაეცა. იმუამად, ხეობის ბევრი მკვიდრი, ვინც ბოლშევიკურ ხელისუფლებას წინააღმდეგობობდა, მაჭახელის თურქულ ნაწილში გადავიდა.

დედის სიკვდილის შემდეგ მეჯიდ ხოხობაიშვილი უნიეში წამოვიდა, რადგანაც იცოდა, რომ იქ მისი ნათესავები, ხოხობაიშვილები ცხოვრობდნენ. დიდი ხნის ძებნის მერე, მან ისინი სოფელ ექინჯულში ნახა და თავადაც იქვე შეიძინა სამოსახლო.

ამდენად, ეს გადმოცემა ადასტურებს, რომ 1877-1882 წწ. ოსმალეთში წასულ მუჰაჯირებსა და საქართველოში დარჩენილ მათ ნათესავებს თითქმის XX საუკუნის 20-იან წლებამდე არ გაუწყვეტიათ კავშირ-ურთიერთობანი (ცნობისთვის: | მსოფლიო ომის დროს, „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ მიერ ოსმალეთის არმიის შემადგენლობაში ჩამოყალიბებული „ქართული ლეგიონის“ წევრთა დიდი უმრავლესობა სწორედაც რომ ქართველი მუჰაჯირი იყო [ვრცლად იხ. ბაქრაძე, 2009: 12-22]); გარდა ამისა, მიუთითებს იმაზეც, რომ თურქეთის ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებს შორის მრავლად გვხვდებიან არა მარტო 1877-1882 წწ. მუჰაჯირთა, არამედ გაცილებით მოგვიანებით წასულთა შთამომავლებიც.

წამოსულან, წამოსულან [საზღვრიდან შორს]. მოდიან, ორი ძროხა მოჰყავთ და სკივრი აქვს თავად მას [მეჯიდას] მოკიდებული. გოგოებსაც — რის წამოღებაც მოასწრეს თავიანთი საკუჭნაოდან, მოკიდებული აქვთ ზურგზე — ჩასაცმელი, კაბები. დედასაც რაღაცები მოაქვს და [ერთბაშად] ავად გახდა. თქვენ წმინდა ავადმყოფობას ეძახით და ჩვენ ვერემს (= ისტერიკა) და ის ავადმყოფობა დაემართა. აი, ბევრი იფიქრა: რა ვიყავით და რაღა შეგვრჩაო და იმ ფიქრისგან ეს ავადმყოფობა დაემართა. ვეღარ წამოვიდნენ მერე: გზაში ხომ უნდა ევლოთ და ვეღარ წამოვიდნენ. მეჯიდიც იქ დარჩა. უცადა იქ, უცადა — არაფერი ჰქონდა, როგორ უნდა წამოეყვანა? ქათამს ყიდულობდა და დედას მიუტანდა. იმ დებს რაც ჰქონდათ თან — წინსაფრები აქვთ, პირსახოცები აქვთ, თუ სხვა რამ, იმათ ყიდდა — ფულს არავის აჩვენებდა [თუ ჰქონდა], ფულს მალავდა თურმე, — ქონებას ყიდდა და იმით ერთ ქათამს, ორ ქათამს ყიდულობდა დედისთვის. ჰოდა, მოუკვდა თურმე დედა.

დედა რომ მო[უ]კვდა, იქ დაასაფლავა თურმე და იქიდან წამოვიდა აქ, უნიეში. იქ გაუგია — იქ ხომ სამი წელიწადი უცადა [დედის გამოშვობინებას] — იქ გაუგია რომ უნიეში მისი ნათესავები წამოსულან [უწინ]. წამოვიდა და კარგა ხნის შემდეგ აქ მოვიდა. აქ ნათესავები ნახა, ხოხობაიშვილები ნახა აქ, ექინჯულში. აი, იქით ყოფილან, იქ. მერე, იმ საკუჭნაოდან აღებული ცოტა ბაბუსეული ფული ჰქონია შენახული. იმით აი, ის ადგილი იყიდა — ეგერ, გაღმა. აქედან გზა არ მიდის. იქ ჩემი ბიძაშვილები სახლობენ ახლა“.

ჰიქმეთ გაირეთინის მონათხრობი:

ქალაქ სინოპის გარეუბან დიბექლიში, **ჰიქმეთ გაირეთინისგან (Hikmet Gayrettin)**, ქართული გვარი აღარ ახსოვს, 70 წლისა, წარმოშობით — **ბორჩხადან**) ჩავიწერეთ ისტორია იმის შესახებ, თუ როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ სინოპში ახლად ჩასულ ქართველ მუჰაჯირებსა და მკვიდრ, დამხვედურ მოსახლეობას:

მუჯირში რომ გამოტდა ეს ჩტენებრ, გემით გამოტდენ და ის გემიც აქ — სინოპში მოსულა, იშთე აქ მოსულა. ესე კაცები, ქართულები, აქიდან სოფლებში წასულან, ენ ზეით ჰაცხადა, იქ დამჯდარან: ესემე უნდა ტენათო, სხტავან ტერ ტიქთო, ზღუპირ ტერ ტიქთო. მოსულა მტავირი აქ. სახლი არ აქტან, შედ არ აქტან! წასულან ზედო, დაფლებზე ჩობნები რომ ყოფილან, გტუქუცტუიან: სილალი აქდენ, მტლიორდენ: მეტად რაცხა ვაქ, ყოინი მოვტე, ის მოვტე, საჭმელი გვაჭამე! აქა რუმები ყოფილან მაშინ და ის რუმები შტუწუხტუებიან ამათ. მუჯირეტს ინსნიჭამლეფ ეძახდენო-ქი, ისინი, ამათეებიდან ეშინოდათო დია.

ჩტენი დედეს — მემედის ბაბოჲ ჩამოტდა მაშინ აქ. ნახა-ქი, ზღუპირზე ინსანმა არ იცოცხლოს, ბუცტუტულები ბეტრია. მანაც სხტუფსატენ ზედო ეტდა — იქა. ენნი მაღალი ღერზე ისნ ჩტენ აქა, ის სოფელია ქი! იმას ფარად ქონებია, რუმი ჩობნებისტუნ იმფრა ფარადო ერთი ძროხა ტრთმეტია, ის ყოლია. ამფერ დასახლებულა, იშთე³⁸.

ოსმალური დოკუმენტებიდან დასტურდება, რომ რუსეთის იმპერიიდან წამოსული მუჰაჯირები ან იმთავითვე შეიარაღებულნი იყვნენ, ან კიდევ ოსმალეთში გადმოსვლის უმალ იძენდნენ იარაღს (ქასაბი, 2019: 342). ამასთანავე, პონტოელ ბერძნებს, რომლებიც მაშინ ოსმალეთის შავიზღვისპირა ქალაქების (სინოპის, ორდუს, ტრაპიზონის...) მკვიდრ მოსახლეთა დიდ ნაწილს შეადგენდნენ, სტამბოლი პრორუსულობაში ადანაშაულებდა და არ ენდობოდა. ამიტომ რუსებისგან გამწარებულ მუჰაჯირებს, არაიშვიათად, სწორედ მათ წინააღმდეგ განაწყობდა (გერმანჩუკი, 2010: 164). მონათხრობიდან კარგად ჩანს, რომ თავიდან, მუჰაჯირებსა და მკვიდრ მოსახლეობას შორის დაძაბული ურთიერთობა იყო: მუჰაჯირებს „ადამიანის მჭამელები“ შეარქვესო, გადმოგვცემს მთქმელი, მაგრამ იქვე იმასაც ამბობს, რომ მოგვიანებით ურთიერთობა დამთბარა — მის წინაპარს ბერძნებისგან ძროხა შეუქცინია.

³⁸ „მუჰაჯირად რომ წამოვიდნენ ეს ჩვენები, გემით წამოვიდნენ და ის გემი კი აქ — სინოპში მოსულა, აი, აქ მოსულა. ეს ხალხი — ქართველები, აქედან [ზემოთ,] სოფლებში ასულან, სულ ზემო [მხარე] სადაცაა, იქ დასახლებულან: ასე უნდა ვენათო, სხვავან ვერ გავძლებთო, ზღვის პირას ვერ გავძლებთო. მოსულან მუჰაჯირები აქ. სახლი არ აქვთ, არაფერი არ აქვთ! წასულან ზემოთ, იალაღებზე მწყემსები რომ ყოფილან, ისინი გაუძარცვავთ: იარაღი ჰქონდათ, დაუმიზნებდნენ [და ეტყოდნენ]: მოიტანე, რაც გაქვს, ცხვარი მოგვეცი, ის მოგვეცი, საჭმელი გვაჭამე! აქ პონტოელი ბერძნები ყოფილან მაშინ და ის პონტოელი ბერძნები შეუწუხებიან ამათ [ქართველ მუჰაჯირებს]. მუჰაჯირებს ადამიანის მჭამელებს ეძახდნენ ისინი, ამათი ეშინოდათ ძალიანო.

ჩვენი ბაბუის — მემედის მამა ჩამოვიდა მაშინ აქ. ნახა, რომ ზღვის სანაპიროზე კაცი ვერ გაჩერდება, კოლოები ბეტრია. თვითონაც სხვებივით ზევით ავიდა — იქა, ყველაზე მაღალ ადგილას, სადაც ჩვენი სოფელია! იმას ფული ჰქონია და ბერძენი მწყემსებისაგან ფულით ერთი ძროხა უყიდა, ის ყოლია. ასე დასახლებულა თურმე“.

საიმიე ოზგუნის მონათხრობი:

ორდუს ილის უნიეს ილჩეს სოფ. გუზელდალიში (ძველი სახელი — მიტრაპოლი), **საჰიმიე ოზგუნისგან (Sahime Özgün**, ძველი ქართული გვარი — **მოწყობილი**, წარმოშობით — **ქობულეთიდან**) ჩავიწერეთ ისტორია იმის შესახებ, თუ როგორ წამოიღეს მუჰაჯირებმა საქართველოდან მშობლიური სოფლების სახელები და ახალ სამოსახლო ადგილებს დაარქვეს:

ჩემი კაცის დედები ჰიდან არიან, ჰიდან მოსულან თუ? ბათუმის ჭალახმელედან. ქედად გზაზე ჭალახმელე არიუო — დონოგანი და ჭალახმელე ერთმანეთს უყურეფსო ასეუო. დედებოც აქ რომ ჩამოსულან, ამვენს დუთქმეუიან ღელის ჭალახმელა, იმას გვღმა კუთხეს რომ არი იგი დონოგანი, აქაც იმფერ, დონოგანი თუქუია.

ჭალახმელე ბათუმის სახელი ყოფილა, ისე ცამბობენ. ბამზნზე, იმ იქიდან იმფერ სახელი დუთქმეუიან. იქ ახლა არი ესე სახელი აჯაბა? არი, კი? იქიდან ქი ჩამოსულან, აქაც ჭალახმელე დუთქმეუიან. ახლა ამ სოფელს თურჩა თქუია გუზღლ დაღ — ლამაში სოფელი, კად სოფელი. კად სოფელია აქურობა! ესეი ადგდა — მითრაბოლო, მითრაბოლო და დე გეჩიფორ, მიტრაპოლი ჩიუიან. ისე ყოფილა³⁹.

ტოპონიმების ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანა საკმაოდ ცნობილი მოვლენაა. მშობლიურ სოფელთა სახელების ახალი სამოსახლო ადგილებისათვის შერქმევით ქართველი მუჰაჯირები ცდილობდნენ, ამგვარად მაინც შეენარჩუნებინათ კავშირი სამშობლოსთან. **ჭალახმელა** და **დოლოგანი** სოფლებია ქედის მუნიციპალიტეტში, მახუნცეთის თემში. იქიდან წამოსულმა მუჰაჯირებმა ახალ სამოსახლო ადგილს — ყოფილ ბერძნულ სოფელ მიტრაპოლის უბნებს უწოდეს „ჭალახმელე“ და „დონოგანი“.

საადეთინ ლაზოღლუს მონათხრობი:

ქ. დუზგეში მცხოვრები ლაზისგან — მდ. ჩხალას ხეობიდან წამოსული მუჰაჯირების შთამომავალ **ჯემ ლაზოღლისაგან (Cem Lazoğlu**, 89 წლისა) ჩავიწერეთ ეს ისტორია:

აჩი მან, დუზგეური ლაზგეფე მი ენან დო მუჭო აქ მოხთეს, დოვიწვა დო სინ ნიჭარი. ჰა, ჩქინ ჩხალური ლაზგეფე ვორეთ, ჩხალაშენ მოფთით. დოქსანუჩ ჰარბია დო, ხომ შევიგნეფუნ დო, ე ხარბი იყუდუკულე, ჩხალა მთელი რუსიში იშვალის დოყოფუმერენ. რუსეფექ, მეგეემ თქვეს-

³⁹ „ჩემი ქმრის წინაპრები საიდან არიანო, საიდან მოსულანო [იმას მეკითხები]? ჭალახმელადან. ქედას გზაზე ჭალახმელა არისო, დონოგანი და ჭალახმელა ერთმანეთის გვერდიგვერდ არისო, ასეო. წინაპრებიც აქ რომ ჩამოსულან, ამათ დაურქმევიათ ღელის ჭალახმელა. აი, გღმა მხარეს (= საქართველოში) რომ ის დონოგანია, აქაც იმნაირად, დონოგანი ჰქვია. ჭალახმელა ბათუმის [იგულისხმება აჭარა] სახელი ყოფილა, ასე ამბობენ. ძველად, იმ სოფლის გამო [აქაც ეგ] სახელი დაურქმევიათ. იქ კიდევ არის ეგ სახელი, ნეტავ? არის, ხომ? იქიდან რომ ჩამოსულან, აქაც ჭალახმელა დაურქმევიათ. ახლა ამ სოფელს ჰქვია **Güzül Yalı** – ლამაში სოფელი, კარგი სოფელი. კარგი სოფელია ეს „აქაურობა“ ძველი სახელით – მითრაბოლი, მითრაბოლუსაც ამბობენ. [ქართველები] მიტრაპოლს ვეძახით. ისე ყოფილა.“

ქი: „აქ მითი კოჩი ენდა, მთელია ხრისტიანი დოპათა, მუსლიმანია მითი ვარ იყვასდა ჩქვადა!“
დო, ასკერეფე მუშისთი იზნი მეჩაფერენან ქი: მთელი ჩხალური კოჩეფე ხრისტიანი ყვით, მინ-ნა
ვარ იყვას, თესლიმი ვა გაყვან-ნა, იშთე, თურქიემა ოგზალითა.

ე-დო, ჩქინთი ხოშ ვა ვიყვით დო გოვამტით ექოლენ ენთეეს, ვიგზალით თურქიემა. ენ
წოხლე, რიზენიშა უხთიმუნან ჩქინი დიდილეფეს, ეკულეთი კარავის გეხუნერი, მოხთერენან
ისტამბოლის (ქიმიქთი პოლი უწუმარან) დო ისტამბოლიშენ გეხთეენან დუზგემა. აქ ემ ორას
გაურჯეფე ხეტეს ჩქვა, აჭარალეფე. ენთეეს ჩქინი დიდილეფეკალა მთელი კაი ალიშვერიში
ულუტეენან ექ, ეკრაბა-ხისიშობა იქიფტეენან დო აქთი, ართიქათი ძიეშუკულე დიდო იხელეს,
ხაზი აყვეს აქ ართიქათიში ოძირამუ. გაურჯეფექთი ჩხალური ლაზეფეს დოხუნუს ელუშველეს,
ოხორეფე ქოდუკიდეს, გარაი გურთეს, ონდი ოლოდეს. ემშუკულე, ლაზეფექთი აქ დოხედეს დო
აწიშა აქ ვორეთ. აჩქვა, ე ხარბი დიხოლუშუკულე, ჟუნენჩ წანა ჩხალა რუსიში იშვალის ტუ დო
ჟუნენჩ წანა ოდფუშში, ხოლოთი თურქიეს ქომეჩუ რუსიქ. ემ ორას აქოლენ ლაზეფე ვა გუიქეთეს-
ქი, დიდო წანა ტუ აქ ტეს დო გოქთიშუ ვარ გორეს⁴⁰.

ეს ისტორიაც, როგორც ვხედავთ, შინაარსით არ განსხვავდება სხვა ანალოგიური
გადმოცემებისაგან. ჩვენი მთქმელი ასახელებს მუჰაჯირთა ოსმალეთში გადმოსახლების
უმთავრეს მიზეზს — მათი მიწების რუსთაგან დაპყრობას და ძალით გაქრისტიანების
მუქარას. იმასაც აღნიშნავს, რომ მაშინ ოსმალეთში ნებით წასვლა არავის სურდა —
რუსები წასვლას აიძულებდნენ ყველას, ვინც მათ არ დაემორჩილებოდა.

მაშასადამე, ჩხალადან მუჰაჯირად წავიდა ის, ვინც რუსებს არ დაემორჩილა. ისინი
საზღვარზე გადავიდნენ და ქ. რიზეს მიაშურეს. იქიდან გემებით წავიდნენ სტამბოლში,
თუმცადა იქაც დიდხანს არ დარჩენილან — დუზგეში გადმონაცვლეს, სადაც აჭარლები
სახლობდნენ. ამ უკანასკნელებთან ლაზებს კარგი ურთიერთობა ჰქონდათ და ამჯერადაც
კარგად შეეწყვიტნენ — აჭარლები ლაზებს დაეხმარნენ დაბინავებაში.

აღსანიშნავია, რომ მთქმელი ხაზს უსვამს: ჩხალა 40 წელი რუსების ხელში იყო და
მერე თურქეთს დაუბრუნდა, მაგრამ ლაზები იქ აღარ დაბრუნებულან, რადგან დუზგეში
დიდი ხანი იყო, რაც ცხოვრობდნენო.

⁴⁰ „ახლა მე, დუზგელი ლაზები ვინ არიან და საიდან მოვიდნენ, გეტყვი და შენ ჩაიწერე. აი, ჩვენ ჩხალელი
ლაზები ვართ, ჩხალადან მოვედით. 93 წლის ომიო, ხომ გაგიგია და, ის ომი რომ მოხდა, ჩხალა
მთლიანად რუსეთის შემადგენლობაში შესულა. რუსებმა, თურმე, თქვეს, რომ „აქ ვინც [+კაცი] არის,
ყველა ქრისტიანი გაეხადოთო, მუსლიმანი აღარავინ იყოს მეტიო!“ და თავის ჯარისკაცებსაც უბრძანეს
თურმე, რომ მთლად ჩხალელი ხალხი ქრისტიანი გახადეთ [და] ვინც არ გახდება, თუკი ვერ
დაიმორჩილებთ, მოკლედ, თურქეთში გაუშვითო.

ჰოდა, ჩვენც ხომ არ გავხდით [ქრისტიანები] და გამოვექეცით იმათ, წამოვედით თურქეთში. ჯერ რიზეში
წასულან ჩვენი წინაპრები [„დიდები“], მერე, გემზე დამჯდარან [„გემზე დამჯდარი“], მოსულან სტამბოლში
(ზოგ-ზოგები „პოლს“ ეძახიან) და სტამბოლიდან ჩამოსულან დუზგეში. აქ იმ დროს გურჯები
სახლობდნენ, აჭარლები. იმათ ჩვენს წინაპრებთან სულ კარგი ურთიერთობა ჰქონიათ იქ, ნათესაობდნენ
თურმე და აქაც, ერთმანეთი რომ ნახეს, დიდად გაიხარეს. გურჯებმა ჩხალელ ლაზებს დაბინავებაში
უშველეს, სახლები აუშენეს, საჭმელი გაუყვეს, ის უქნეს. იმის მერე, ლაზებიც აქ დასახლდნენ და აწი აქ
ვართ. მერე, ის ომი რომ დამთავრდა, ორმოცი წელი ჩხალა რუსეთის შემადგენლობაში იყო და ორმოცი
წელი რომ გავიდა, მერე ისევ თურქეთს მისცა რუსმა. იმ დროს ლაზები აღარ დაბრუნდნენ — მრავალი
წელი იყო, რაც აქ ცხოვრობდნენ და დაბრუნება აღარ მოინდომეს“.

ამრიგად, ჩვენ მიერ ქართველ მუჰაჯირთა შთამომავალთაგან ჩაწერილ მასალებში წარმოჩენილია:

- **სამშობლოს დატოვების ძირითადი მიზეზი;**
- **მძიმე საცხოვრებელი პირობები ოსმალეთში საცხოვრებლად გამოყოფილ მიწებზე;**
- **დამხვედურ მოსახლეობასთან დაპირისპირება;**
- **სამშობლოში დაბრუნების უშედეგო მცდელობა.**

1.3.2. ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების ფოლკლორი, როგორც თვითაღქმის ერთ-ერთი კომპონენტი

ქართული ფოლკლორი თავისუფლად შეიძლება ჩავთვალოთ თვითაღქმის ერთ-ერთ კომპონენტად. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, როცა თურქეთ-საქართველოს საზღვარი გაიხსნა, თურქეთის ქართველობა უმალვე დიდად დაინტერესდა ქართული ენითა და კულტურით. ქართველებით დასახლებულ ადგილებში ჩამოყალიბდა ენის შემსწავლელი წრეები, კულტურის ცენტრები და ა.შ. ენასთან ერთად, თურქეთის ქართველებმა დაიწყეს ქართული ფოლკლორის შესწავლა, დაინტერესდნენ ქართული ცეკვებითაც. ეს, რასაკვირველია, მისასალმებელ მოვლენას წარმოადგენდა, თუმცა საქმე ის იყო, რომ ისინი, ძირითადად, ინტერესდებოდნენ სამწიგნობრო ქართული ენით და ზოგადქართული კულტურით, ხოლო უშუალო წინაპრების მემკვიდრეობა — ქართული დიალექტური მეტყველება და ფოლკლორი — თითქმის შეუსწავლელი რჩებოდა.

1992 წელს საქართველოში — ქ. ბათუმში გამოიცა შ. ფუტკარაძის ფუნდამენტური ნაშრომი **„ჩვენებურების ქართული“** (წიგნი პირველი), რომელიც შეიცავდა როგორც ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების, ისე თურქეთის ავტოქტონ ქართველთა მეტყველების ნიმუშებს. ამ ნიმუშთა მნიშვნელოვან ნაწილს სწორედ ფოლკლორული ტექსტები შეადგენდა (ფუტკარაძე, 1992: 21-161). თურქეთის ქართველობის ფოლკლორის ნიმუშები შემდგომში ზოგმა სხვა მკვლევარმაც გამოაქვეყნა, თუმცა თითქმის არავის უკვლევია მათი ენობრივი თავისებურებანი. არადა, რამდენადაც თურქეთში დღემდე შემორჩენილი ქართველური მემკვიდრეობა ნელ-ნელა გაქრობის გზას ადგას, საშურია ამგვარი კვლევის ჩატარება. აქვე დავძენთ ასევე იმასაც, რომ სახელდობრ, ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების ფოლკლორი საინტერესოა ქართველურ-თურქულ სამეტყველო კოდთა შერევის თვალსაზრისითაც.

ამ სტრიქონების ავტორებმაც ჩავიწერეთ ქართველ მუჰაჯირთა დღევანდელი შთამომავლების მეტყველების ნიმუშებად ფოლკლორული ტექსტები — ძირითადად, ლექსები და გადმოცემები.

ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების სასიძღვრო ფოლკლორი გამოირჩევა იმით, რომ ძირეულ ქართულ ლექს-სიმღერებთან ერთად, შეიცავს გვიან შეთვისებულ თურქულ ლექს-სიმღერებსაც. თურქულ-აღმოსავლური სიუჟეტები წარმოდგენილია, ასევე, ზღაპრებსა თუ გადმოცემებშიც.

1.3.2.1. ქართველ მუჰაჯირთა ფოლკლორული პოეზია

თურქეთის შუა შავიზღვისპირეთის ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებისგან ჩვენ ჩავიწერეთ, ძირითადად, სასიძღვრო ლექსები, შელოცვები და ლოცვები. ენობრივი თვალსაზრისით, ეს მასალა შეიძლება დაიყოს ოთხ ძირითად ნაწილად:

1. საერთო-ქართულ კოინე ენაზე შექმნილი ნიმუშები;
2. რომელიმე ქართულ დიალექტზე შექმნილი/გადაღებული ნიმუშები;
3. ადგილობრივთაგან შეთვისებული, თურქულ დიალექტზე შექმნილი ნიმუშები;
4. შელოცვები/ლოცვები ქართულ და არაბულ ენებზე.

საერთო-ქართულ კოინეზე შექმნილი ნიმუშებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ისეთი სიმღერები, რომლებიც საქართველოშიც ზოგადად, ან რომელიმე ქართულ კუთხეშიც კარგადაა ნაცნობი და ფართოდ გავრცელებული. მაგალითად, ასეთია უნიელი **აბდულაჰ ოდაბაშისგან** ჩაწერილი ეს სიმღერა:

*ბახმაროს თებზე გაუთოტნიღ დღ,
შენ შეყტარებულს მარიმეუტ, სხტა უთხოტნიღ...
ბახმაროს თებზე გაუთოტნიღ დღ,
მემრენ ისიც რომ დტუგდია, სხტა უთხოტნიღ...
ოღ მარიმეუტ, მარიმეუტ, გაუთოტნიღ დღ,
შენ შეყტარებულ[ს] ბახმაროს სხტა უთხოტნიღ...*

როგორც ვხედავთ, აქ პირველსავე სტროფში ზმნა **გაუთოტნია** წარმოდგენილია სამწიგნობრო ქართულის ნორმებთან მაქსიმალურად მიახლოებული ფორმით; **აბდულაჰ ოდაბაში** ქედელი მუჰაჯირების შთამომავალია და შესაბამისად, მისი საშინაო-სამეტყველო დიალექტი აჭარულია. აღნიშნული ზმნა აჭარულ დიალექტში ჟღერს, როგორც **გტოტნია**, თუმცა მთქმელი ჯიუტად წარმოთქვამდა სამწიგნობრო ქართული ენის ნორმებთან მაქსიმალურად მიახლოებულ ფორმას — ასეა სიმღერაშიო. შდრ.: ლექსის მეორე სტროფის მეორე სტრიქონში პირველი ზმნური ფორმა — **დტუგდია** აჭარული დიალექტური ნორმითაა მოცემული, ლექსში **მარცვლების რაოდენობის საჭიროებიდან გამომდინარე**.

ლექსიკურ თავისებურებებს რაც შეეხება: სიმღერის ტექსტში გვხვდება ფორმა **შეყტარებული**, რომელიც უნიეს მკვიდრ ქართველ მუჰაჯირთა აჭარული მეტყველებისთვის თითქმის უცხოა — მის ნაცვლად იხმარება თურქულიდან ნასესხები ლექსემა **არი (Yarı)**. მუჰაჯირთა დღევანდელი შთამომავლებისთვის უცნობია, ასევე, ტოპონიმ

ბახმაროს ზუსტი მნიშვნელობა, თუმცა ლექსში ის, წინა ლექსიკურ ერთეულთან ერთად, მაინც ნარჩუნდება. ყურადღებას იქცევს, ასევე, სახელი **მარიმე**, რაც „მარიამისა“ და „მარინეს“ კონტამინირებულ ფორმად გვესახება. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ქართველ მუჰაჯირთა დღევანდელი შთამომავლები ამგვარ ანთროპონიმს არ იცნობენ.

უნიეს სოფელ გუბელიალოში, **საიმე ოზგუნისგან (მოწყობილისაგან)** ჩავიწერეთ სიმღერა „**ეწერს ცეხლი ეკიდება**“, ქობულეთურ კილოკავბზე:

*ეწერს ცეხლი ეკიდება, მუხასაც ებრიალება,
ეწერს ცეხლი ეკიდება, მუხასაც ებრიალება...
ნენემ რა მითხრას უნდა და რაფერ ჯოლაბი მივცე-ნდა,
ნენემ კაბა შიმიკერა, წინ კოპჭები დიმიკერა,
ნენემ კაბა შიმიკერა, წინ კოპჭები დიმიკერა...
თუ გამათხოვს - გამათხოვს და ძალთან უარ გაჭიჭრებული,
თუ გამათხოვს - გამათხოვს და ძალთან უარ გაჭიჭრებული...
ნინ-ნინი, ფაცდაუ, ნინ-ნინი!..*

მსგავსი შინაარსის სასიმღერო ტექსტები ფართოდაა გავრცელებული აჭარაშიც და საქართველოს ფარგლებს გარეთ — თურქეთის იმ მხარეებშიც, სადაც ქართველი მუჰაჯირები სახლობენ. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საიმე ოზგუნისგან ჩაწერილ მასალაში ორი სიმღერის ტექსტი ჩანს შერეული.

სინოპელი **ჰიქმეთ გაირეთთინისაგან** ჩაწერილი **სადიღინო სიმღერად** (თავადვე ასე დაასათაურა) ქართულ-თურქული სტროფისგან შედგება. ქართული ნაწილი შექმნილია ლივანურ (ნიგალურ) დიალექტზე:

*ჩელთალ დელე-დურნეში
გედთინისი დალისთუნ
გოგოლუ, ერთი მაკოცელუ
მამაშენის სულისტუნ*

*İndim dere-ırmağa ya
Zeytin dalı kırmağa ya
Geldim seni almağa ya
Niye başladın ağlamaya?*

ქართულისგან განსხვავებით, თურქული ტექსტი სამწიგნობრო ენაზეა. შინაარსს რაც შეეხება: ქართული ტექსტის პირველი ორი სტრიქონი თურქულის თარგმანს წარმოადგენს, ბოლო ორი სტრიქონი კი თურქულ ტექსტს (რომლის თარგმანიცაა: „მოვედი შენს წასაყვანად/რატომ დაიწყე ტირილი?“) აღარ მისდევს.

დუბჯეში, **ნაზირე გჟულისგან** ჩავიწერეთ **შამილის ცეკვობის სიმღერა**, რომელიც ლეკურის მელოდიაზე სრულდება და ასეთი ტექსტი აქვს:

*შამილი ცეკვავს, გოგდება
ცერზე დადგება, სწორდება,
მის გოგოს თუ მოშორდება,
ვერ იცოცხლეთ, მოკვდება!*

მთქმელის შენიშვნით, „ესე კაბიანების სიმღერაა, მარა ჩუენი გურჯებმაც იმღერენ“ — „კაბიანებს“ სინოპელი ქართველი მუჰაჯირები აფხაზ-აბაზებსა და ჩერქეზებს უწოდებენ, რადგანაც ისინი გრძელ ჩოხას ატარებდნენ და არა მოკლე ჩაქურას. წინა სიმღერისგან განსხვავებით, ამ სიმღერის ტექსტი ორიგინალურია. მისი შექმნა კი, უდავოდ, განაპირობა ჩრდილოკავკასიური მუსიკის დიდმა პოპულარობამ თურქეთის შავიზღვისპირეთში. აქვე აუცილებლად უნდა ითქვას ისიც, რომ ამავე სიმღერის ტექსტი თურქულადაც არის:

*Şamil dansa başladı,
İki yarımı aradı,
Birisi ile dans etti,
Diğeri de terk etti!*⁴¹

წინამდებარე თურქული ტექსტი ჩვენ ჩავიწერეთ სინოპის ილის სოფ. ლალაში უბიხი **სეჩქინ ჯივაზისგან**. მანაც აღნიშნა, რომ წარმოშობით ეს სიმღერა ჩერქეზულია (= ჩრდილო კავკასიური) და გაიხსენა, მისი თქმით, ორიგინალური ტექსტის დასაწყისიც:

*შამილ დალაგად კ'აშარა
ჭ'ე-თეფჰარა რებჰარა...*⁴²

ტექსტი აბაზურია, მისი შინაარსი კი გარკვეულწილად ემთხვევა ზემოთ მოყვანილი თურქული ტექსტის პირველ ორ სტრიქონს. საფიქრებელია, რომ მომდევნო ორი სტრიქონიც იმავე შინაარსისა უნდა ყოფილიყო, რაც თურქულ ტექსტშია.

როგორც ვხედავთ, ამ სიმღერის ტექსტის ქართული თარგმანი შესამჩნევად შორდება აბაზურ და თურქულ ვარიანტებს. ჩვენი აზრით, ის გარკვეულწილად მოგვაგონებს საქართველოში კარგად ცნობილი სიმღერის — „ცანგალა და გოგონას“ — ტექსტს.

⁴¹ „შამილმა ცეკვა დაიწყო,
ორი მიჯნური გამოძებნა,
ერთ-ერთთან იცეკვა,
მეორეს კი დაშორდა“

⁴² „შამილმა დაიწყო ცეკვა
ორ გასათხოვარ გოგოს შორის...“

ტექსტის სწორად ტრანსკრიბირებასა და თარგმნაში დახმარება გავიწიხა პროფ. თეიმურაზ გვანცელაძემ.

ადგილობრივი მოსახლეობისაგან შეთვისებულ, თურქულ დიალექტზე შექმნილ მასალებს რაც შეეხება: უნიეში, **აბდულლაჰ ოდაბაშისგან** ჩვენ ჩავიწერეთ ცნობილი სიმღერის „**Çayelinden öteye**“ („ჩაიელის გადაღმა“) მისეული ვერსია:

*ჩაიელინდენ ოთეიე
გიდელუმ დალი-დალი
სირტინდაკი სეპეტუნ
ბენ ოლაიმ ხამალი
სეპეტუნუნ იფლერი
კესედი ომუზუნი
აჩ ბედაზ ფეშტემალი
ბირ გდორედუმ ღუზუნი...⁴³*

„**Çayelinden öteye**“ თურქეთის შავიზღვისპირეთში საყოველთაოდ გავრცელებული დესთანია ანუ ლირიკული სიმღერაა. აბდულლაჰ ოდაბაშის თქმით, უნიელი ქართველები მას ხშირად მღერიან ქორწილებსა თუ სხვა რამ გასართობ თავყრილობებზე. ტექსტი ყურადღებას იქცევს იმით, რომ შედგენილია თურქულ-შავიზღვისპირულ დიალექტზე და მასში შეინიშნება თურქულ-ქართულ სამეტყველო კოდთა შერევა: ცალკეულ თურქულ სიტყვებში დასტურდება ქართული მკვეთრი თანხმოვნები, თურქულის პალატალიზებული ხმოვნები კი გადმოცემულია ქართული სადა ხმოვნებით.

განსაკუთრებით საინტერესო და აღსანიშნავია ქართველ მუჰაჯირთა შავიზღვისპირელი შთამომავლების შელოცვები და ლოცვები. მასალა მათგან ჩავიწერეთ როგორც ქართულ, ისე არაბულ ენებზეც. გავეცნოთ ჯერ ქართულ ნიმუშებს:

*შაკიკისა კინასა,
ითიბებდა დილასა.
მარიამ რას ჩიუთი, მარიამ რას ტირი,
რაგუარ არ უტიტირო, რაგუარ არ უტიჩიულო,
შუღლი გაუჟავზაჟ სელასა,
თოღლი თოღლობდა, ბულთი ბულთობდა,
თაუბე დაცემია, თაუტი გასისხლიანებია.
რა არის მაგის წამალი?*

⁴³ „ჩაიელის გადაღმა
გადავიდეთ ნაპირ-ნაპირ,
გორაკებზე შენს კალათს
მე ვატარებ, როგორც მეზარგული;
კალათის თოკებს
მხრებზე გადავიდებ,
[ოლონდ] შენ მოიხსენი თეთრი პირბადე
ერთი, ნება მიბოძე, დავინახო“

*სამი სამყურად ბალახი, ყირმიზი იბრიშუმი სამი,
ფულადი ლემსი,
გუდუსტი – გადაყლება, გადმუსტი – გადმოყლება...*

ეს შელოცვა, ანუ **დაბეჩტა** ჩავიწერეთ უნიეს სოფელ გუმელიალიში, **ხეირიე ოზთურქისაგან (შავიშვილისაგან)**, რომელმაც აღნიშნა: „**შაკივი, თაჟის ტკიტილი** – აჲ, **ძალტან აქტკიტდებზ, იმის იგია მაი**“. მანვე ჩაგვაწერინა „**დაბეჩებულის შელოცვა**“:

*ცაშინა-მაშინა, რამ შავაშინა,
შატმა ძალ[ლ]მა, შატმა ქალმა, შატმა კაცმა,
შატმა გტელმა, შატმა მამალმა, შატმა ღორმა
შატმა ველმა, შატმა ძროხამ, შატმა ხარმა,
შატმა ცხენმა, შატმა კატამ
გუდუსტი – გადაყლება, გადმუსტი – გადმოყლება...*

უნდა აღინიშნოს, რომ როგორც პირველი, ისე მეორე შელოცვის ვარიანტები ცნობილია თითქმის მთელ საქართველოში. ამასთან, ჩვენ მიერ ჩაწერილი ვარიანტები საყურადღებოა იმით, რომ მათში კარგადაა დაცული საერთო-ქართული კონიე ენის ფორმები, მთქმელისთვის მშობლიური ქობულეთური კილოვანის გავლენა კი სუსტადღა იჩენს თავს. გარდა ამისა, პირველ შელოცვაში, საერთო-ქართული **შტილი** ფორმის შესატყვისად პალატალიზებულხმოვნიაანი **შტლი** ფორმის არსებობა უდავოდ თურქული ენის გავლენის შედეგია.

კიდევ ერთი საინტერესო შელოცვა, რომელიც ჩარშამბას სოფ. ქესთანეფინარში, დერეჩათის უბანში **ჰალითა შირინოღლისგან** (წარმოშობით – მაჭახლელი, სოფ. ზედვაკიდან) ჩავიწერეთ, არის „**უჟმუნის შეთქმაჲ**“:

*ნარი-ნური ბაძვარი
ხუთი ვობი ნაცარი
უჟმუნის თვალი გტეცემა
გამოესპოს ჟორთჟალი.
შილის ქალო, უჟმუნის ქალო,
ჰადან მოხტელ, გამოუჟუნდი,
ისტენ იქ წაჲ, პაცხადან მოხტელ და მოუჟუნდი!*

ამ შელოცვაში ყურადღებას იქცევს ისეთი ფორმები, როგორებიცაა **გამოესპოს** და **მოუჟმუნდი** (< **მოუჟმურდი**) – არც ერთი არაა დიალექტური. ვფიქრობთ, ისინი, ლექსის რითმის საჭიროებიდან გამომდინარე, შემორჩენილა. საინტერესოა, ასევე, ფორმა **შილი** (იგივეა, რაც რძალი – რძლისთვის), რომელიც არქაული სამწიგნობრო ქართულის კუთვნილებაა, თუმცა მუჰაჯირების აჭარულ დიალექტში არ გვხვდება და გაუგებარია მათთვის.

არაბულ ენაზე ლოცვებს რაც შეეხება: რამდენადაც ქართველ მუჰაჯირთა შავიზღვისპირელი შთამომავლების აბსოლუტური უმრავლესობა სუნიტი-მუსლიმანია, ლოცვები მათ დასწავლილი აქვთ ყურანიდან, მაგრამ რაკილა არაბული არ იციან, სიტყვებს წარმოთქვამენ ისე, როგორც თავად დაუმახსოვრებიათ. მაგალითად, ქ. ფაცაში **მელიქე ოზქაბაქისაგან (ქათამაძისგან)** ჩვენ ჩავიწერეთ არაბული ლოცვა ასეთი ფორმით:

ელჰმბუბილუჰში მინ ეშ შედთან-რ-რჯიმ!
ბისმილლე რაჰმანი რაჰიმ!
ჟულჰალა, ფეთალა, ჰოსელემით ჟელლემი ცულლეთ,
ჟელლემი ჟულლეთ ჰუთ ჟე ნაჰათ, ჰუ!
ბისმილლე რაჰმანი რაჰიმ,
ჰოსელემით ჟელლემი ცულლეთ,
ჟელლემი ჟულლეთ ჰუთ ჟე ნაჰათ, ჰუ!
ბისმილლე რაჰმანი რაჰიმ,
ჰოსელემით ჟელლემი ცულლეთ,
ჟელლემი ჟულლეთ აჰუთ ჟე ნაჰათ, ჰუ!
ბისმილლე რაჰმანი რაჰიმ, თებეთიე დან
ებილეჟებე ენუმალუ ჟემს ქესეფ!

მთქმელის სიტყვით, ესაა ყურანიდან ამოღებული ლოცვა, რომელიც გამოიყენება თვალის ცემის საწინააღმდეგოდ. სიტყვების მნიშვნელობა, ცხადია, მისთვის უცნობია, რადგანაც, როგორც თავად გვითხრა, ლოცვა მან დიდი ბებიისგან დაიბეპირა: „**ეგი მე ჰემ ჟთქტი და ჰემ გეჟბერე, დიდი ნენედან!..**“; ტექსტი ყურადღებას იქცევს იმით, რომ არაბული სიტყვა-ფორმები მასში თურქული ორთოეპიული ნორმითაა მოცემული, ისე როგორც თურქები კითხულობენ ყურანს.

1.3.2.2. ქართველ მუჰაჯირთა ფოლკლორული პროზა

თურქეთის შუა შავიზღვისპირეთის ქართველ მუჰაჯირთა დღევანდელი შთამომავლების პროზაული ფოლკლორი, პოეზიისგან განსხვავებით, მხოლოდ დიალექტზე იქმნება. ეს შეეხება როგორც ქართულენოვან, ისე თურქულენოვან ფოლკლორულ მასალებს. ჩვენ მიერ ჩაწერილი პროზაული ფოლკლორული ტექსტების უმეტესობა გადმოცემებია. შედარებით იშვიათად შეგვხვდა ზღაპრები.

უნიეს სოფ. გუზელიალიში **საიმე ოზგუნისგან (მოწყობილისგან)** ჩავიწერეთ გადმოცემა, რომელიც თავად მან ასე დაასათაურა: „**ცხენის მოკდომის წყალი**“. მისი თქმით, ქართველმა მუჰაჯირებმა ასე უწოდეს წყაროს, რომელიც სოფლის ახლოს, მთაზე გადმოდის:

ჩუენი დიდტანები, ზამუნზე ომ მოსულან, იქ — თეფეზე მოსულან, ქედზე მოსულან. მოსახლობა მუწყუტინ. იქიდანბერი, მილლეთი გაბრეჟლებულა. იქა, ერთი წყალი გუაქ ჩუენ: ახლა,

ხელს ჩადეფ — დეფქუაჲს, ციჲია! ზამთარში და — ტანი დედაბან, იმფერა, თუბილია. იმ წყალის სახელი უნა უთქუა ახლა.

ნედას, ერთი, ბათომიდან ასე, ქმარები (//კაცები) გადმორებულან. ცხენზე ყოფილან, ცხენზე შემუდარან. უჭენებან, მოღალულან, მოღალულან, მოღალულან. ოფლი, ოფლი, ოფლი გამბთარა ცხენი. ის ცხენიზა უთქმან: ცამადჲმ დერზე ცერთი წყალი არი, ის წყალი იმ ცხენს უასუათო, უთქმან.

ის ცხენი მუყუანია, ის წყალი უსმია — ცხენი მომკტარა!.. იმ წყალის სახელი — ათლოშანია! ცხენი მუკლია, წყალს. ოფლიანი უსმია, ჰემენ — ორი ფეხი გუბიჯებია, მომკტარა!.. ათლოშანი — ცხენის მოკდომის წყალი⁴⁴.

როგორც ვხედავთ, ტექსტი აჭარულ დიალექტზეა. თავად საიმე ოზგუნი ქალაქ უნიეს ახლოს, ქობულეთიდან წამოსული მუჰაჯირების სოფელში — ჩათალბუვარშია დაბადებული, თუმცაღა ქედელეების (მისი თქმით — „აჭარლების“) სოფელ გუზელია-ლიშია გათხოვილი. მისი მეტყველება, ნაწილობრივ, ქობულეთურია, ნაწილობრივ, ქედურ კილოკავს მიჰყვება. სამეტყველო კოდთა შერევის თვალსაზრისით, ტექსტში საყურადღებოა ის, რომ მიკროტოპონიმი, რომელიც წყაროს ქართველმა მუჰაჯირებმა უწოდეს XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს, თურქულია და არა ქართული⁴⁵.

ზღაპრებს რაც შეეხება: ზოგადად, ზღაპრის საწყისი ფრაზა ემთხვევა თურქულს: **ერთი ყოფილა, ერთი არ ყოფილა** < Biri var idi, biri yok idi. აღსანიშნავია, რომ ზოგი მთქმელი ამ თურქულ ფრაზას ზღაპრის ქართულად თხრობის დროსაც ამბობს დიალექტური ფორმით: **ბირი ვარიდი, ბირი დოლიდი**; მაგალითად, წარმოგიდგინოთ სინოპის სოფელ დიბექლიში **შაჰინ გეულისგან** ჩაწერილი ზღაპრის დასაწყისს:

ბირი ვარიდი, ბირი დოლიდი. ერთი კაცი და მისი ქალი ყოფილა. იგინს შუტილი არ ყოლებიან მევერ. ხანმაც გეუდა, ბერი ვახთენ და ჰინ შუტილი არ ყაუან ქი, რა-ნდა ენან? ნედასე, ქალმა უთხრა მევერ:

⁴⁴ „ჩვენი წინაპრები, ადრე რომ მოსულან, იქ — მთაზე დასახლებულან, ქედზე. სამოსახლოები მოუწყვიათ. იქიდან მოყოლებული, ხალხი გამრავლებულა. იქ ერთი წყალი გვაქვს ჩვენ — ახლა (=ზაფხულში) ხელი რომ ჩაყო, ისეთი ცივია, დაგწავს, ზამთარში კი ისეთი თბილია, ტანსაც კი დაიბან. იმ წყლის სახელი უნდა ვთქვა ახლა.

ერთხელ ბათუმიდან ვაჟკაცები გადმოსულან. ცხენით ყოფილან, ცხენზე მკდარან. უჭენებიათ და დაულ-ლიათ ცხენები, ძალიან გაოფლიანებულა [ერთი] ცხენი. იმ ცხენის გამო უთქვამთ: ამა და ამ ადგილას ერთი წყალია, ის წყალი მაგ ცხენს დავალევიწოთო.

ის ცხენი მოუყვანიათ, წყალი დაუღევიანებიათ და ცხენი მომკვდარა! იმ წყალს ჰქვია „ათ ლოშან“ — ცხენი მოუკლავს წყალს. ოფლიანს დაუღევია და ფეხები გაუფშეკია. „ათ ლოშან“ — ცხენის მომკლავი წყალი.

⁴⁵ ჩვენი აზრით, ამას ამგვარი მიზეზი უნდა ჰქონოდა: იმ პერიოდში უნიეს ილჩეს ტერიტორია პონტოელი ბერძნებით იყო დასახლებული. მუსლიმანი ქართველი მუჰაჯირები იქ, ოსმალეთის სულთნის ბრძანებით, სწორედ ქრისტიანი ბერძნების საპირწონედ ჩაასახლეს. ამიტომ, ოსმალურ-თურქული ქართველებისთვის ერთგვარ პრესტიჟულ ენად იქცა.

- *კაცო, ბერი გაუბთით და შუილი არ მყატან, რაფრა ჩუენი საქმე იქნას? წაღ დუნდაზე, პაწაჲ ჰაცხა გეძარე და ამისი ილაჯი ნახე-დედი*⁴⁶.

აღსანიშნავია, რომ სოფელ დიბექლიში 140 წელია, ერთმანეთის გვერდიგვერდ სახლობენ მაჭახლელი და ლივანელი (ნიგალელი) მუჰაჯირების შთამომავლები. მათი სამეტყველო ქართულიც მაჭახლური და ლივანური (ნიგალური) დიალექტების ნარევია. თავად შაჰინ გული ლივანელი მუჰაჯირების შთამომავალია, თუმცა როგორც ზემოთ მოყვანილი ტექსტიდან ჩანს, მის მეტყველებას მაჭახლურის გავლენა ეტყობა: **მეგერ** (< თურქ. meğer) „თურმე“ ლივანურში არ იხმარება. ასევე: ლივანურში არ ითქმის **ხანმა გეუტა** „დრო გავიდა“ — იმ მნიშვნელობით, როგორც ტექსტშია, იტყვიან: **ტახტი გედეუტა** და ა.შ. ყურადღებას იქცევს ასევე სხვათა სიტყვის **-ო** ნაწილაკის ფარდად თურქულიდან ნასესხები **დედი** „თქვა“ ზმნის გამოყენება — თურქეთის შუა შავიზღვისპირეთში მცხოვრებ ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებისთვის ეს, ზოგადად, მეტად დამახასიათებელია.

ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლები (უმეტესად, ისინი, ვინც ქართულს სრულყოფილად ვერ ფლობს,) ზღაპრებს და გადმოცემებს თურქულადაც ჰყვებიან. ამ შემთხვევაშიც, როგორც ითქვა, ისინი დიალექტს იყენებენ. მათ თურქულ მეტყველებაში შეინიშნება ქართული ენის გავლენა ფონეტიკისა თუ აქცენტუაციის მხრივ. მაგალითად, ესაა ჩარშამბას სოფელ ქესთანეფინარში **ვედათ სალიჰოლისგან** ჩაწერილი გადმოცემის დასაწყისი:

*ბირ ზამანლარ მაჭახელდე ბირ ფაყირ ინსან ვარმუშ — ძაშლი ამა, საღლუქლი; ჩუნქი, მაჭახელდე სუდუნი იხარ, ბალუნი დერმუშ... ამა ფარასი დოხმუშ. ჰერქესე ძარდუმ ედარ, ილილიქ ედარ ამა, ფარასი ჰიჩ ოლმამმუშ...*⁴⁷

შდრ. იმავე ტექსტის **სამწიგნობრო თურქული** ვერსია:

Bir zamanlar macahelde bir fakir insan varmış - yaşlı ama, sağlıklı: Çünkü macahelde suyunu içer balını yermiş... ama parası yokmuş. Herkese yardım eder, iyilik yapar ama parası hiç olmamış.

ჩვენ მიერ ჩაწერილი ტექსტი თურქული ენის შავიზღვისპირული დიალექტის ბრწყინვალე ნიმუშია. როგორც ცნობილია (იხ. ვექილოვი, 1973: 12-24), ამ დიალექტში მოშლილია ხმოვანთა ჰარმონია, დაკარგულია პალატალიზებული ხმოვნები, გვხვდება კავკასიური (ქართული) ტიპის მკვეთრი თანხმოვნები, კბილბაგისმიერი **ფ** ნაპრალო-

⁴⁶ „იყო და არა იყო რა. ერთი კაცი და მისი ცოლი ყოფილა. მათ შვილი არ ჰყოლიათ თურმე. ხანი რომ გავიდა, დაბერდნენ და სულ შვილი რომ არ ჰყავთ, რაღა ქნან? მერე, ქალმა უთხრა თურმე: — კაცო, დაბერდით და შვილი არ გვყავს. როგორ იქნება ჩვენი საქმე? წადი ქვეყანაზე, ცოტა გაიარე და ამის წამალი ნახე რამეთუ.“

⁴⁷ „ერთ დროს, მაჭახელში ერთი ღარიბი კაცი ყოფილა — ხნიერი, მაგრამ ჯანმრთელი: ალბათ, იმის გამო, რომ მაჭახლის წყალს სვამდა, თაფლს ჭამდა... მაგრამ ფული არ ჰქონია. ყველას დახმარებას უწევდა, სიკეთეს აკეთებდა, მაგრამ ფული სულ არ ჰქონია.“

ვანი სისტემურად იცვლება ბაგისმიერი ფ ხშულით და ა.შ. აქცენტუაციას რაც შეეხება: ცნობილი ჰოლანდიელი თურქოლოგის — ბ. ბრედმუნის ცნობით, შავიზღვისპირულ თურქულში მახვილი სუსტი და დინამიკურია და არა ინტენსიური და ფიქსირებული, როგორც სამწიგნობრო თურქულში. ეს მოვლენა უპირატესად ქართული ენის გავლენით იხსნება (ბრედმუნი, 1996: 9). თითქმის ყველა თავისებურება, რასაც მკვლევრები აღნიშნავენ, დაფიქსირებულია ჩვენ მიერ თურქეთის შუა შავიზღვისპირეთში მცხოვრები ქართველი მუჰაჯირების შთამომავლებისგან ჩაწერილ თურქულ მასალებში.

140 წელია, თურქეთის შუა შავიზღვისპირეთში მცხოვრებ ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებს ცხოვრება უწევთ არაქართულ გარემოში. 60 წელზე მეტია, ძალზე ინტენსიურად მიმდინარეობს მათი ინტეგრაცია თურქულ საზოგადოებრიობაში. მიუხედავად ამისა, ეს ხალხი მეტ-ნაკლებად ინარჩუნებს ქართულ თვითაღქმასა და ენას. დაცული აქვთ, ასევე, ზნე-ჩვეულებებიც, თუმცა რწმენით მათი აბსოლუტური უმრავლესობა სუნიტი-მუსლიმანია. ისინი ატარებენ თურქულ სახელებსა და გვარებს და არიან თურქეთის რესპუბლიკის ღირსეული მოქალაქეები, მაგრამ არ ივიწყებენ წინაპრებსა და მათ სამშობლოს — საქართველოს.

აქედან გამომდინარე, ქართველ მუჰაჯირთა დღევანდელი შთამომავლების ფოლკლორში, ისევე როგორც ზოგადად, მეტყველებაშიც, თავს იჩენს ქართულ-თურქულ სამეტყველო კოდთა შერევა/აღრევა. ეს განსაკუთრებით საგრძნობია პროზაულ ფოლკლორში. პოეზია შედარებით უკეთაა დაცული, თუმცა უცხო ენობრივი გარემოთი განპირობებული გავლენები ამჟამად უკვე იქაც შესამჩნევია.

ნაწილი მეორე

ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების მშობლიური – ქართველური მეტყველების ძირითადი ნაირსახეობანი. ქართველურ-თურქულ სამეტყველო კოდთა შერევა სხვადასხვაგვარ კომუნიკაციურ სიტუაციებში და მისი მთავარი მიზეზები

თავი I

მუჰაჯირთა შთამომავლებს შორის გავრცელებული აჭარული დიალექტი

2.1.1. ზოგადი ცნობები

ჩვენი მასალების მიხედვით, მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლების უმეტესობის ამჟამინდელი ქართული მეტყველება წარმოადგენს **აჭარულ დიალექტს**, რომელიც XIX საუკუნის ბოლოდან ვითარდება გარკვეულწილად იზოლირებულ გარემოში (აღარ აქვს მჭიდრო კავშირი სამწიგნობრო ქართულ ენასთან და სხვა ქართულ/ქართველურ დიალექტებთან) და დღემდე განიცდის თურქული ენის გავლენას. იმავდროულად, მას შემორჩენია თითქმის ყველა ის ძირითადი ნიშან-თვისება, რაც ამჟამადაც ახასიათებს აჭარულ დიალექტს უშუალოდ აჭარის ტერიტორიაზე.

აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებს შორის დღეს აჭარულ დიალექტზე მეტყველებს ბევრი ისეთი პირიც, რომლის წინაპრებიც წარმოშობით აჭარლები არ ყოფილან. როგორც გირესუნ-ფაცა-ორდუ-სინოპის, ისე დუზჯე-ადაფაზარ-საქარიისა და ბურსა-ინეგოლის რეგიონებში დასახლებული **ნიგალებებისა (ლივანელებისა)** და **იმერხეველების** შთამომავლებიც აჭარულ დიალექტზე მეტყველებენ. იმავდროულად, ამ უკანასკნელთა აჭარულში **ნიგალური (ლივანური)** და **იმერხეული** დიალექტების სუბსტრატიცაა შემორჩენილი – უმეტესწილად, ლექსიკასა და (შედარებით იშვიათად) სინტაქსში.

მაშასადამე, სწორედ იქიდან გამომდინარე, რომ მუჰაჯირთა შორის ყველაზე მეტი იყო აჭარის მკვიდრი ქართველობა (ზემო და ქვემოაჭარლები, ქობულეთელ-ჩაქველები და მაჭახლელები), **აჭარული დიალექტი საყოველთაოდ განზოგადდა და მუჰაჯირთა იმ ნაწილმაც, რომელიც აჭარის მემობელი კუთხეებიდან იყო წამოსული, აჭარულად დაიწყო მეტყველება.** მსგავს შემთხვევებში, ამა თუ იმ დიალექტის განზოგადება ძალზე ჩვეულებრივი პროცესია და გარდაუვალიც კია. აქ ანგარიში უნდა გაეწიოს იმ ფაქტსაც, რომ ოსმალეთის იმპერიაში გადასული სხვადასხვა კუთხის ქართველობა აღრეულად დასახლდა. აგრეთვე, ღირსსაცნობია ისიც, რომ **აჭარული, ნიგალური (ლივანური) და იმერხეული ისედაც მეტად ახლოა ერთიმეორესთან.**

მკვლევრებს აჭარულის კილოკაური დაყოფის შესახებ სხვადასხვა შეხედულება აქვთ. მაგალითად, ჯ. ნოლაიდელმა გასული საუკუნის 30-იან წლებში გამოყო საკუთრივ აჭარული და ქობულური კილოკაულები: „აჭარელთა მეტყველებაში ჩვენ კილოს ორი შტო უნდა დაინახოთ, სახელდობრ: ა). აჭარული, რომელიც მოიცავს ორ რაიონს: ხულასა და ქედის, ბათუმის რაიონის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილის ჩათვლით, რომელსაც, კერძოდ, ახალციხური მეტყველების და, საერთოდ, სამხრეთი საქართველოს (შავშეთი, კლარჯეთი და სხვ.) გავლენის ბეჭედი აზის და ბ). ქობულური, რომელიც ქობულეთის რაიონის და ბათუმის რაიონის ნაწილს შეიცავს, რომელსაც გურული დიალექტის დიდ გავლენას ვამჩნევთ“ (ნოლაიდელი, 1936: 3). ჯ. ნოლაიდელმა შემდგომ რამდენადმე შეიცვალა აზრი და გამოყო მთისა და ბარის აჭარული კილოკაულები (ხოლო ქობულეთური თქმა ბარის აჭარულში მოაქცია, იხ. ნოლაიდელი, 1972: 209).

შ. ნიჟარაძის აზრით, ზემოაჭარული კილოკავი მოიცავს ხულოს, შუახევისა და ქედის რაიონებს; ქვემოაჭარული — ხელვაჩაურს, ქობულეთური კი აჭარული კილოს ცალკე კილოკავია (ნიჟარაძე, 1961: 10; ნიჟარაძე, 1975: 15-22).

ი. გიგინეიშვილის და ვ. თოფურიას „ქართულ დიალექტოლოგიაში“ ორი თვალსაზრისი განიხილება: ერთი თვალსაზრისით, ზემოაჭარული მოიცავს ხულოსა და შუახევის, ქვემოაჭარული — ქედის, ხელვაჩაურის და ქობულეთის მეტყველებას; მეორე თვალსაზრისით კი, ზემოაჭარული აერთიანებს ხულოს, შუახევის, ქედისა და ნაწილობრივ ხელვაჩაურის მეტყველებას, ქვემოაჭარული — ნაწილობრივ, ხელვაჩაურის და მთლიანად ქობულეთის მეტყველებას (გიგინეიშვილი... 1961: 43-44).

ქობულეთურს აჭარულის კილოკავად განიხილავს შ. ძიძიგურიც; მისი ავტორობით 1974 წელს გამოცემულ ნაშრომში: „ქართული დიალექტოლოგიის მასალები“ ქობულეთური ტექსტები აჭარული დიალექტის განყოფილებაშია დაბეჭდილი. შ. ძიძიგური წინასიტყვაობაში აღნიშნავს: „1929 წელს ჩავიწერეთ **აჭარული** (უფრო ზედმიწევნით — ქობულეთური კილოკავის) ტექსტები“ (ხაზგასმა ავტორისაა, იხ. ძიძიგური, 1974: 5).

ბ. ჯორბენაძის აზრით, აჭარულში გამოიყოფა როგორც ზემოაჭარული და ქვემოაჭარული კილოკაულები, ისე თქმებიც: ხულოური, შუახევური და ქობულეთური (ჯორბენაძე, 1989: 540).

მ. ფალავას შეხედულებით, „აჭარულში შეიძლება გამოიყოს კილოკაულები: ა) ზემო-აჭარული (ქედის, შუახევისა და ხულოს მეტყველება); ბ) ბათუმური (ბათუმის მიმდებარე სოფლების მეტყველება, შეიძლება ვუწოდოთ ქვემოაჭარულიც); გ) ქობულეთური (ქობულეთისა და ჩაქვის მეტყველება)“ (ფალავა, 2013: 138). მოგვიანებით მანვე ნ. ცეცხლაძესთან ერთად გამოქვეყნებულ ნაშრომში აღნიშნა, რომ „აჭარულის კილოკაური შედგენილობის საკითხი კიდევ ერთხელ გახდება მსჯელობის საგანი, მაგრამ ეს მომავლის საქმეა“ (ფალავა... 2017: 39).

ჩვენი ამრით, დღევანდელ აჭარულ დიალექტში უნდა გამოიყოს ოთხი კილოკავი: ზემოაჭარული, მაჭახლური, კირნათ-მარადიდული, ქვემოაჭარული (ქობულეთურ-ჩაქვეური)⁴⁸. ამასთან, ზემოაჭარული კილოკავი სამ თქმად წარმოდგება:

- ქედური თქმა;
- შუახევურ-ხიხანური თქმა;
- ხულოური თქმა.

140 წლის განმავლობაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მუჰაჯირი ქართველების შთამომავალთა შორის სამი ლოკალური თვითაღქმა ჩამოყალიბდა: „ქობულეთური“ ანუ „ჩურუქსული“, „აჭარული“ და „ზეგნური“; თანაცხოვრების პროცესში შუახევის, ხიხაძირისა და ხულოს მკვიდრთა შთამომავლებს დიალექტური „იდენტობაც“ ერთი აქვთ; „ზეგნელთა“ მეტყველებაში დომინანტური გახდა ზემოაჭარული კილოკავის ხულოური თქმა. შესაბამისად, დღეს მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლების ქართული მეტყველება სამ კილოკავად შეიძლება წარმოვადგინოთ:

- ქობულეთელების/ჩაქველების შთამომავალთა კილოკავი;
- ქედელების და ხელვანაურელების შთამომავალთა („აჭარლების“) კილოკავი;
- შუახეველების და ხულოელების შთამომავალთა (ზეგნელების) კილოკავი;

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ამ კილოკავებს შორის უმნიშვნელო ფონეტიკურ-ლექსიკური ხასიათის სხვაობაა.

2.1.2. ძირითადი ფონეტიკური თავისებურებანი

ფონეტიკის მხრივ, მუჰაჯირთა შთამომავლების აჭარული მეტყველება ახლოსაა ქართულ სამწიგნობრო ენასთან — უფრო ახლოს, ვიდრე, მაგალითად, თურქეთისავე ტერიტორიაზე (ისტორიულ შავშეთში) გავრცელებული იმერხეული დიალექტი.

2.1.2.1. ხმოვანთა სისტემა

აწეულობა	რიგი		
	წინა	შუა	უკანა
მაღალი	ი		უ
საშუალო	ე		ო
დაბალი		ა	

ხუთ სადა ხმოვანს (ა, ე, ი, ო, უ) მუჰაჯირთა აჭარულ მეტყველებაში ემატება მათი გრძელი კორელატები (ა, ე, ი, ო, უ), ასევე — პალატალიზებული ო და უ. ეს

⁴⁸ ზოგადად, ქობულეთურ-ჩაქვეური მეტყველება გარდამავალი სამეტყველო კოდია აჭარულ და გურულ დიალექტებს შორის.

უკანასკნელი ხმოვნები თავს იჩენს, ძირითადად, თურქულიდან შემოსულ სიტყვებში, შედარებით იშვიათად — ძირეულ ლექსიკურ ერთეულებში (როგორც წესი, იქ, სადაც სამწიგნობრო ქართულსა და დანარჩენ დიალექტებში გვაქვს **ჴე** და **ჴი** კომპლექსები); მაგალითად: **ქჴლთჴრი** „კულტურა“, **წრრი** „წვერი“, **წჴმა** „წვიმა“ და ა.შ. აღსანიშნავია ისიც, რომ პალატალიზებულ ხმოვანთა პოზიცია არცთუ მყარია — თურქულიდან ნასესხებ სიტყვებში მათ თავისუფლად ენაცვლება სადა **ლ** ან **უ** (**ქჴლთჴრი** > // **ქულთური**), ხოლო ძირეულ სიტყვებში — **ჴე** და **ჴი** კომპლექსები (**წრრი** > // **წჴერი**, **წჴმა** > // **წჴიმა**...). როგორც წესი, პალატალიზებული ხმოვნების წარმოთქმა უფრო მეტად დამახასიათებელია 40 წელზე უმცროსი თაობის წარმომადგენელთათვის, რომლებიც უკეთ ფლობენ თურქულს.

გრძელ ხმოვნებს რაც შეეხება: ესენიც მეორეული ბგერებია, რომლებიც მიიღება ან ორი ერთგვარი სადა ხმოვნის შერწყმით (ისევე, როგორც სამწიგნობრო ქართულ ენაში), ან კიდევ — ასიმილაციის გზით. მაგალითად: **გააგნებია** > **განგნებია** „გააგებინა“, **დაუძახა** > **დოუძახა** > **დუუძახა** > **დჴუძახა** „დაუძახა“; არაიშვიათად, გვაქვს ასევე საკომპენსაციო სიგრძეც: **ორმო** > **რმო** „ორმო“, **ერთი** > **ეთი** „ერთი“... აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თუ გრძელი ხმოვანი მიღებულია ორი ერთგვარი სადა ხმოვნის შერწყმით, მაშინ ის ყოველთვის ინარჩუნებს სიგრძეს, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც გრძელი ხმოვანი მიღებულია კომპენსაციის ანდა ასიმილაციის გზით, ხშირად კარგავს სიგრძეს და სადა ხმოვანად იქცევა; მაგალითად, გვაქვს ფორმა **დჴკლია** „დააკვლევინა“, მაგრამ არ გვაქვს ***დაკლია** — მაშინ, როცა პარალელური ფორმებია **დჴძახა** და **დუძახა** „დაუძახა“, **ეთი** და **ეთი** „ერთი“ და ა.შ.

მუჰაჯირთა შთამომავლების აჭარულში დასტურდება ნეიტრალური **გ** ხმოვანიც — უმეტესად, ე.წ. „თანხმოვანთგამყარის“ ფუნქციით. აკუსტიკურად ის ერთობ ძნელად აღსაქმელია; მაგალითად, ითქმის **გოგვები** და **გოგვები** „გოგოები“, **მოკდა** (//**მოკტა**) და **მოკვდა** „მოკვდა“ და მისთ. აქ თანხმოვანთკომპლექსებს ნეიტრალური ხმოვნის გარეშე წარმოთქვამს, ძირითადად, 40 წელზე უფროსი თაობა (რომელიც ქართულს უკეთესად ფლობს, ვიდრე თურქულს), ხოლო ნეიტრალური ხმოვნით — უმცროსი თაობა (რომელიც თურქულს უკეთესად ფლობს, ვიდრე ქართულს). შესაბამისად, ვასკვნიტ, რომ ნეიტრალურ **გ** ხმოვანს ფონემატური ღირებულება არ აქვს.

აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ნასესხებ თურქულ სიტყვებში მოსალოდნელ **გ** ხმოვანს (თურქ. **ğ**) მუჰაჯირთა შთამომავლები, ჩვეულებისამებრ, **ი** ან **უ** ხმოვნით გადმოცემენ. მაგ.: **ჟარი** (< თურქ. **Yarı**) „შეყვარებული“, **ფუნღარი** (< თურქ. დიალ. **Pingar** „მალარო“) „წყარო“ და მისთ.

დასტურდება **ღ** და **ჴ** სონანტებიც. ამასთან, ძირეულ ქართველურ სიტყვა-ფორმებში ისინი თავისუფლად მონაცვლეობენ **ი** და **უ** ხმოვნებთან: **არღან** // < **არიან** „არიან“, **წრთჴა** // < **წრთუა** და ა.შ. თუმცა, თურქულიდან ნასესხებ ფორმებში **ღ** / **ი** მონაცვლეობა არ ხდება — როგორც ცნობილია, თურქული **y** სონანტი არ არის.

ქართულად ის **ღ** სონანტით გადმოიცემა, მაგრამ ამ უკანასკნელს სრულხმოვანი **ი** არასოდეს ენაცვლება. მაგალითად, ითქმის: **იაშარი** (< თურქ. **Yaşar**) „იაშარი, მამაკაცის საკ. სახელი“, **იარი** (< თურქ. **Yarı**) „შეყვარებული“ და არა — ***იაშარი** ან ***იარი**. ასევე: თურქულიდანვე ნასესხებ სიტყვებში **ჟ** სონანტი სისტემურად გადმოიცემს თურქული ენის კბილბაგისმიერ **v** (ანდა **f**) სპირანტ თანხმოვნებს: **აჟგი** (< თურქ. **Avci**) „მონადირე“, **ჟესიეთი** (< თურქ.-არაბ. **Vesiyet**) „ანდერძი“, **მუთჟაღი** (< თურქ.-არაბ. **Mutfak**) „სამზარეულო“ და ა.შ. რასაკვირველია, ამგვარ შემთხვევებში **ჟ** სონანტს არასოდეს ენაცვლება **უ** ხმოვანი.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ სიტყვის თავში ყველა ხმოვანი წარმოითქმის ე.წ. „მაგარი შემართვით“ — წარმოთქმისას, დამატებით სახმო სიმების იჭიმება. ასეთ დროს, ჩვეულებრივ, ხმოვნის წინ მოისმის სუსტი, ხორხისმიერი ხშული ბგერა, რომელიც ტრანსკრიფციაში **ჟ** ნიშნით ან აპოსტროფით აღინიშნება. **ჟ** ჩვეულებრივი თანხმოვანია, მაგრამ როცა ხმოვნის მაგარი შემართვის ელემენტია, მას ფონემატური ღირებულება არ აქვს. სწორედ ამ მიზეზით, მაგარ შემართვას ტრანსკრიფციაში არ აღნიშნავენ, რადგან ხსენებული მოვლენა თავს იჩენს მხოლოდ მკაცრად განსაზღვრულ პოზიციაში⁴⁹.

2.1.2.2. თანხმოვანთა სისტემა

მუჰაჯირთა აჭარულ მეტყველებაში დასტურდება ყველა ის თანხმოვანი ფონემა, რომელიც გვაქვს სამწიგნობრო ქართულ ენაში: **ბ, ფ, პ, გ, ქ, კ, დ, თ, ტ, ძ, ც, წ, ჯ, ჩ, ჭ, ვ, ჟ, შ, ზ, ს, ღ, ხ, ყ, ჰ, ჭ, მ, ნ, რ, ლ**. ორთოეპიული ნორმებიც იგივეა, გარდა რამდენიმე ძალზე ღირსსაცნობი შემთხვევისა, რომელთაც აქვე განვიხილავთ.

უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ 40 წელზე უმცროსი თაობის მეტყველებაში გარკვეულწილად შერყეულია მკვეთრი თანხმოვნების წარმოთქმა — მათ ენაცვლება შესაბამისი რიგის ფშვინვიერები, მჟღერები ანდა ნაპრალოვნები; მაგ.: **ბიჭი > ბიჩი** „ბიჭი“ **კაი > გაი** „კარგი“, **წევდა > *ცევდა > სევდა** „წავიდა“ და ა.შ.

⁴⁹ იხ. არნ. ჩიქობავასა და ი. ცერცვაძის შეხედულება ხუნძური ენის ხმოვანთა მაგარ შემართვაზე: „ყოველი თავკიდური (ასევე ცალკე წარმოთქმული) ხმოვანი ხუნძურში — მეტ-ნაკლებად თვალსაჩინოდ სხვადასხვა დიალექტში — მაგარ შემართვიანია: ხმოვნის წარმოთქმაში ერევა ბგერა (თანხმოვანი), რომელიც უდრის ზანურიდან ცნობილ **ჟ**-ს... რაკი მაგარ შემართვიანი ხმოვანი სრულიად გარკვეულ შემთხვევაში იჩენს თავს და ფონემა არ არის, მისთვის სპეციალური სატრანსკრიფციო ნიშანი არ არის აუცილებელი“ (ჩიქობავა... 1962: 23). შდრ., ასევე, ნ. ქუთელია: „ლაზურს მიდრეკილება აქვს ანლაუტის გართულებისაკენ, თუ შეიძლება ასე ითქვას. მარტივხმოვნიან ანლაუტს ლაზური ერთგვარად გაურბის“ (ქუთელია, 2005: 45). ეს უკანასკნელი მოსაზრება, რომელიც ნ. ქუთელიამ ლაზურის შესახებ გამოთქვა, თამამად შეგვიძლია, თითქმის ყველა ქართველურ კოლოზე და თვით სალიტერატურო ენაზეც კი განვავრცოთ.

ჩქამიერები:

	ხშულები			ნაპრალოვნები	
	მჟღერი	ფშვინვიერი	მკვეთრი	მჟღერი	ყრუ
ბაგისმიერი	ბ	ფ	პ	პ	[ფ]
ენა-კბილისმიერი	დ	თ	ტ	-	-
წინანუნისმიერი	ძ	ც	წ	ზ	ს
უკანანუნისმიერი	ჯ	ჩ	ჭ	ჟ	შ
უკანაენისმიერი	გ	ქ	კ	ღ	ხ
ხახისმიერი	-	-	-	-	ყ
ხორხისმიერი	-	-	(ღ)	-	(ჰ)

სონორები:

	ნაზალები	ორალები	
		პირდაპირი	გვერდითი
ბაგისმიერი	მ	-	-
წინანუნისმიერი	ნ	-	ლ
შუანუნისმიერი	-	რ	-

შეინიშნება ამგვარი თავისებურებაც: აკუსტიკურად ძნელი გასარჩევია, მკვეთრია თანხმოვანი თუ შესაბამისი რიგის ფშვინვიერი; მაგალითად, დუზვეს სოფ. ჩითთლიქლოს მკვიდრნი – 45 წლის ერდალ აიღინი და მისი ოჯახის ახალგაზრდა წევრები, რომელთაც მშობლიური სოფლის გარდა, სხვაგან არსად უცხოვრიათ, სიტყვებს: **კეტი** „ჭოკი“, **ჭიბონი** „გუდასტერი“, **წარი** „სწორი“... წარმოთქვამდნენ თითქმის ისე, როგორც „ქეთი“, „ჩიბონი“ და „ცორი“, მაგრამ როცა ჩვენც ამ სიტყვებს ფშვინვიერი თანხმოვნებით წარმოვთქვამდით, მათ ძალზე ეუცხოებოდათ და მუდამ გვისწორებდნენ.

ჩვენი აზრით, ზემოთ აღწერილ შემთხვევაში, შესაძლებელია გვექონდეს იმგვარივე (ან მსგავსი) თანხმოვნები, როგორიც დასტურდება, მაგალითად, ოსურში (ახვლედიანი, 1933: 2), ანდიურში (ცერცვაძე, 1964: 23), ადიღური ენის ბჟედულურ და შაფსულურ კილოებში (როგავა, 1966: 34) და ა.შ. ესაა ე.წ. „მინიმალურად ფშვინვიერი“ ანუ პრერეპტივი ბგერები, იგივე „ნახევარაბრუპტივები“ (ი. ცერცვაძის ტერმინია). ახალგაზრდა დუზველთა მეტყველებაში ისინი, უდავოდ, ალოფონური ბგერებია, რამდენადაც მუჰაჯირთა უფროსი თაობა, როგორც აღინიშნა, მკვეთრ თანხმოვნებს თავისუფლად წარმოთქვამს.

რამდენადაც მუჰაჯირთა შთამომავლების აჭარულ მეტყველებაზე უწინდელ მკვლევრებს ხელი ნაკლებად მიუწვდებოდათ, ჩვენ მიერ აღწერილი მოვლენა სპეც. ლიტერატურაში დაფიქსირებული არაა. არადა ფაქტია, რომ მუჰაჯირთა ახალგაზრდა

შთამომავლების მეტყველებაში მკვეთრი თანხმოვნები უკვე დაკარგვის გზაზეა. ეს პროცესი უდავოდ თურქულენოვანი გარემოს წამლევველი გავლენის შედეგია.

მეორე ღირსსაცნობი ნიშანი, რაც მუჰაჯირთა აჭარულში დასტურდება, არის არავიბრანტი [რ] სონორი. მისი წარმოთქმის დროს ნუნებთან ენის წვერის ვიბრაცია არ ხდება. ამგვარი თანხმოვანი ერთობ დამახასიათებელია უმეტესწილად ე.წ. **საკუთრივ აჭარელთა** (ანუ, დღევანდელი ქვემო აჭარიდან წასული მუჰაჯირების შთამომავალთა) კილოკავისათვის. **ზეგნელების** კილოკავში რ უფრო მეტი ვიბრირებით გამოირჩევა (**თუმცა, სალიტერატურო ქართულის შესაბამის ბგერასთან შედარებით, ენის წვერის ვიბრაცია აქაც სუსტია**).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქვემოაჭარულ მეტყველებაში არავიბრანტი რ სონორი დაადასტურა ნ. სურმაგამ: „ქვემოაჭარულისათვის ნიშანდობლივია რ ბგერის რეფლექსი, არტიკულაციურად რამდენადმე განსხვავებული საერთო-ქართული რ ბგერისაგან. ამ ნიშნით ქვემოაჭარული შეიძლება დაუპირისპირდეს აჭარული დიალექტის სხვა კილოკავებს“ (სურმაგა, 2008: 66). მკვლევარი ამას ლაზურ კილოთა გავლენით ხსნის.

ჩვენეული დაკვირვებით, არავიბრანტი [რ] დასტურდება მაჭახლურსა და ტაოურ-შიც; შესაბამისად, იგი ვერ ჩაითვლება ლაზური კილოების გავლენით გვიან გაჩენილ ფონემად. შესაძლებელია, არავიბრანტი [რ] იყო საერთო-ქართველურისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ბგერა (დანელია... 1985: 302), რომელმაც ზოგ ქართველურ კილოში თანდათან გადაფარა ვიბრანტი რ.

არავიბრანტი რ-ს ოდინდელი არსებობის კვალი მართლაც ჩანს სალიტერატურო ენასა და მეგრულ-ლაზურ კილოთა შორის არსებულ რ : ჯ შესატყვისობაში (**პირი : პიჯი, ღორი : ღეჯი, ყური : ყუჯი**) — არავიბრანტი რ-ს ხშირად ენაცვლება მაგარ-სასისმიერი ღ სონანტი, რომელიც, თავის მხრივ, საკმაოდ ბევრ ქართველურ კილოში თავისუფლად მონაცვლეობს, ასევე, უკანანუნისმიერი რიგის მჟღერ თანხმოვნებთანაც (**ჯ ხშულთან და ჟ ნაპრალოვანთან**); ეს პროცესი დღესაც ფართოდ დასტურდება ლაზურ (ათინურ-ართაშენულ და ვიწურ-არქაბულ) კილოებში, სვანურ (ბალსქვემოურ, ლენტეხურ) კილოებში, ისტორიულად დადასტურებულია ასევე მესხურში („ჟარე“ — იარე მესხურად“, იხ. ორბელიანი, I, 1991: 634). არავიბრანტი რ-სგან მომდინარეობს ჟ ნაპრალოვანი სვანურ სიტყვაში **შყაჟჟ** „მწყერი“ (< *შყაჟჟ-ი < *ჯყარ-უ-ი) და ა.შ.

დუბჯეში მოსახლე „აჭარლების“ (ქვემოაჭარლების) მეტყველებაში არავიბრანტი რ ხშირად იკარგება, „ზეგნელთა“ (ზემოაჭარელთა) მეტყველებაში კი მყარია. ეს მოვლენა კილოკავთა სხვაობის ერთ-ერთ მთავარ ნიშნად ქცეულა: **აჭარლები „მაილს“ რომ ვიტყვი, ზეგნელები — „მარილიო“, იტყვიან**, — გვამცნო სოფელ ჰაჯიაქუფის მცხოვრებმა, 82 წლის მეჰმეთ ჩელებიმ. როგორც ითქვა, „ზეგნელთა“ (ზემოაჭარელთა) მეტყველებაში რ ბგერა ნახევრად ვიბრანტია. შესაბამისად, მისი სიმყარეც სწორედ ამითაა განპირობებული.

პოზიციურად მიღებულ თანხმონებებს რაც შეეხება: მუჰაჯირთა შთამომავლების აჭარულში გვხვდება თანხმონი ბგერებიც, რომლებიც ინტენსიური გამოთქმით ხასიათდება. ისინი შეიძლება იყოს ნასესხები (უცხო სიტყვებს შემოყოლილი), ანდა რომელიმე ფონეტიკური პროცესის შედეგად წარმოქმნილი. ამ შემთხვევაში, როგორც წესი, მუჰაჯირთა აჭარული ასეთ ვითარებას წარმოგვიდგენს:

ნასესხებ სიტყვებში ყველაზე ხშირად გვხვდება **ლლ** გემინატი: **ილლა // ილლაქი** „აუცილებლად“, **ბელი** „აშკარა“, **შელიგი** „ლხინი“, **ფელი** „ადგილობრივი“ და ა.შ. ყველა ეს სიტყვა ნასესხებია თურქულიდან. ცალკეულ სიტყვებში დასტურდება სხვა გემინატებიც — **ზზ**: **მუეზზინი** „მუეძინი“, **სს**: **ჰელესსა** „ელესა [სასიმღერო რეფრენი]“, **კკ**: **ხაკკი** „ჰაკი [მამაკაცის სახელი]“ **მმ**: **ამმა** „მაგრამ“, **დდ**: **ბედდუა** „წყევლა“... ესენიც ნასესხები სიტყვებია. ჩამოთვლილ გემინატებს არაიშვიათად ენაცვლება შესაბამისი სადა თანხმონები და ითქმის ასევე **ილა//ილაქი**, **ბელი**, **შელიგი**, **ფელი**, **მუეზინი**, **ჰელესა**, **ხაკი**... მსგავსი ტიპის მონაცვლეობა ერთი და იმავე პირის მეტყველებაშიც კი დაგვიდასტურებია. შესაბამისად, მივიჩნევთ, რომ **ნასესხებ სიტყვებს შემოყოლილი გემინატი (ინტენსიური) ბგერები ფონემები არაა**.

დასტურდება ასევე, ფონეტიკური პროცესების შედეგად წარმოქმნილი გემინატი თანხმონები: **მისსა** „მისცა“, **მოშშრა** „მოჭრა“... ანალოგიური თანხმონები აჭარულ კილოში პირველად დადასტურა ჯ. ნოლაიდელმა (ნოლაიდელი, 1972: 45); ამავე ბგერების დახასიათებისას ბ. ჯორბენაძე შენიშნავს, რომ „ასიმლაცია აქ არ ივარაუდება; **სც**, **შჭ**... კომპლექსები მარტივდება (ივარგვის **ც**, **ჭ**...) ხოლო **ს**, **შ**... სპირანტები **ინტენსიური გამოთქმით** ხასიათდება (ჯორბენაძე 1989: 544; ხაზი ჩვენია — ავტორთა ჯგუფი).

დუბჯეში გავრცელებულ აჭარულ მეტყველებაშიც ეს ბგერები აშკარად შესამჩნევი ინტენსიურობით გამოირჩევა; რაც ყველაზე საინტერესოა, შესაბამისი სადა თანხმონები მათ არ ენაცვლება. მიუხედავად ამისა, ფონეტიკური პროცესების შედეგად წარმოქმნილი გემინატებიც ვერ ჩაითვლება ფონემებად, რადგან ისინი პოზიციურად მიღებული ბგერებია.

2.1.2.3. სინტაგმატიკა. ფონეტიკური პროცესები

მუჰაჯირთა შთამომავლების აჭარული მეტყველების **ხმოვანთკომპლექსებში** ფართოდაა გავრცელებული ფონეტიკური ცვლილებები, რომლებიც უხვი ნაირსახეობით გამოირჩევა.

აე, **ოე** კომპლექსები ფონეტიკური ცვლის შედეგად სამგვარ ნაირსახეობას იძლევა: ა) სრული რეგრესული ასიმლაციით, ***ეე** საფეხურის გავლით მიიღება გრძელი **ეე** ხმოვანი: ***გაეგნა > *გაეგნა > გეგნა** „გაეგო (ეტიმ. „გაეგნო“), **დაეკიდა > *დეკიდა > დეკიდა** „დაეკიდა, გადაეხვია“, **მოეწყო > *მეეწყო > მეწყო** „შეთვისა, შეურიგა“; რთულ ზმნისწინებში ასეთ დროს არაიშვიათად იცვლება ორივე კომპონენტის ხმოვანი:

გადაეყლაბა > *გედეეყლაბა > გედეყლაბა, გამოეყვანა > *გამეეყვანა > *გემეეყტანა > გემეყტანა, *წამოეგნო > *წამეეგნო > წემეგნო „თვალში შეეჩხირა“ ...
ბ) სრული რეგრესული ასიმილაციით მიღებული *ეე, თავის მხრივ, განიცდის რეგრესულ დისიმილაციას – *ეე > *იე > იე: გევენა, დეეკიდა, მეეწყო, გედეეყლაბა, გემეეყტანა, წემეეგნო...
გ) პირველადი აე ხმოვანთკომპლექსისგან სრული რეგრესული ასიმილაციით მიღებული *ეე გვაძლევს ერთ სადა ხმოვანს: *უსტაები > *უსტეები > უსტები; ოე კომპლექსის ო იქცევა სონანტ ტ–დ: გოგოები > გოგტები...

ანალოგიურ შედეგს იძლევა პირველადი ეე, უე კომპლექსებიც: შეეტყო > შეტყო // შეეტყო, დელეები > დელეები, ყრუ // ყურუ > ყრტები // ყურტები და ა.შ.

საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ იე (<ია) კომპლექსი გრძელ თ–ს გვაძლევს მხოლოდ ერთ შემთხვევაში — გარდაუვალ ზმნათა აწმყო დროის მე–3 პირის მრავლობითი რიცხვის ფორმაში: *იენებიან > *იენებიენ > იენებჲ „იქნებიან“; ამ დროს თ, შესაძლებელია, სადა ი–დაც იქცეს, ანუ სიგრძე დაკარგოს და, შესაბამისად, გვექნება პარალელური ფორმა იენებინ.

ეა, თა კომპლექსები კი, არასრული რეგრესული ასიმილაციის შედეგად, გვაძლევს შესაბამისად და და ტა დიფთონგებს: *შეაკითხა > შიაკითხა > შიაკითხა „შეაგინა, შეუკურთხა“, *ჩარეა > *ჩარია > ჩარდა (ერცხტა რა ჩარდა? „სხვა რა გზაა, რა ჩარაა?“) მოატანინა > მუატანია > მტატანდა, საძოვარი > *საძოარი > *საძუარი > საძტარი; აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ხშირად ასეთსავე შედეგს იძლევა პირველადი ია, უა კომპლექსებიც: აჯაბ, ისი რა კაციატო? „ნეტავი, ის რა კაცილო?“ *ბედდუაი > ბედდტაი (< სპარს.–არაბ.–თურქ. Beddua) „წყევლა“ და ა.შ.

აი, თი კომპლექსები შემდეგ ნაირსახეობებს იძლევიან: ა) არასრული რეგრესული ასიმილაციით მიღებული *ეი გადადის ედ დიფთონგში: *გაიგნო > გეიგნო > გეგგნო „გაიგო“, დიიწყო > დეიიწყო > დეეეწყო, მოიტანა > მეიტანა > მეეტანა; ბ) ამ კომპლექსთა პირველი კომპონენტი უცვლელი რჩება, მეორე კი იქცევა დ სონანტად: *ზაიდე > ზადდე (< არაბ.–თურქ. Zahide) „ზაიდე (ქალის სახელია)“, ფენწოი > ფენწოდ „ლოკოკინა“ (ასევე, პარალელური ფორმაა ფენწო)

აუ, ეუ კომპლექსებიც შემდეგ ნაირსახეობებს გვაძლევენ: ა) სრული რეგრესული ასიმილაციით მიღებული *უუ საფეხურის გავლით მიიღება გრძელი ტუ ხმოვანი: წაულო > *წოულო > *წუულო > წტულო, შეუგნია > *შოუგნია > შტუგნია „გაუგია, მოუსმენია“ და ა.შ. ბ) უ ხმოვანი იქცევა ტუ სონანტად: *ჭილაური > ჭილატრი „ჭილაური (სოფელია)“, *ავადებული > *ავადეული > ავადეტული „ავადმყოფი“... ამ შემთხვევაში ტუ სონანტი მონაცვლეობს, ასევე, ბაგისმიერ ვ ნაპრალოვანთანაც და გვაქვს პარალელური ფორმები: ჭილავრი, ავადეული და სხვ.

უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე ისიც, რომ აჭარული კილოს მასალაზე დაყრდნობით, ანალოგიური მოვლენის გაანალიზებისას, ბ. ჯორბენაძე ასკვნის: „ეს... მახვილის

შედეგი ჩანს: პირველ შემთხვევაში მახვილი უ ხმოვანს მოუდის (**წაჭლო > წულო > წლო**), მეორე შემთხვევაში — მის წინამავალ ხმოვანს (**აქაქრობა > აქავრობა**). ანალოგიურად აიხსნება ეუ კომპლექსის ცვლილებაც“ (ჯორბენაძე, 1989: 546).

ეო, იუ კომპლექსები ძირითადად გვაძლევს, შესაბამისად **ეუ** და ***უუ > უ** სახეობებს: ***მეორე > მეტრე** „მეორე; სხვა“, **მიუგზავნა > მუგზანა**, ***მიუღირა > მუღირა** „მიუშვირა“ და სხვ.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე ჩვენ ვასკვნით, რომ მუჰაჯირთა აჭარული მეტყველებისათვის უცხოა ხმოვანთა თავშეყრა (ჰიატუსი) და, მის დასაძლევად ხმოვანთა კომპლექსებისგან მიიღება გრძელი ხმოვნები ან დიფთონგები — მოქმედებს „ერთი ხმოვნის“ პრინციპი. ეს, საერთოდ, მეტად დამახასიათებელია მესხური ჯგუფის სხვა კილოთათვისაც.

თანხმოვანთა კომპლექსებს რაც შეეხება: მეტად საყურადღებოა ლაბიალიზებული კომპლექსები. პირობითად, ლაბიალიზებული კომპლექსი შესაძლებელია გამოისახოს როგორც **სტ**, ანუ თანხმოვანი + სონანტი **ტ**.

ტერმინი „ლაბიალიზებული კომპლექსი“ ქართულ ენათმეცნიერებაში დაამკვიდრა გ. როგავამ (იხ. ჩიქობავა...1962: 81). ლაბიალიზებულ კომპლექსში **სტ** სონანტი „რამდენადმე შერწყმულია წინამავალ ძირეულ თანხმოვანთან, მაგრამ მაინც ცალკე ერთეულად აღიქმება“ (იხ. იქვე). სწორედ ამით განსხვავდება ასეთი კომპლექსი ლაბიალიზებული თანხმოვანი ბგერისაგან.

ლაბიალიზებულ კომპლექსებში ძირეულ თანხმოვანად (ანდა, უკეთ რომ ვთქვათ — თანხმოვნურ ელემენტად) შესაძლოა შეგვხვდეს ყველა თანხმოვანი, გარდა ბაგისმიერი **ბ, ფ, ჰ** ხშულებისა: **გემეყტანს** „გამოჰყავს“, **აძტია** „მოაძოვა; მოატყუა“, **გოგტები** „გოგოები“ და ა.შ.

სალიტერატურო ენისგან განსხვავებით, მუჰაჯირთა შთამომავლების აჭარულში ყველა ლაბიალიზებული კომპლექსი მარტივდება, თუ მას მოსდევს თანხმოვანი: **შეძრა** „შეძვრა“, **გახრიტა** „გახვრიტა“, **[ხელი] გაწდა** „ხელის გაწვდა, ჩამორთმევა“ და სხვ.

ხმოვნის წინ ლაბიალიზებული კომპლექსი შენარჩუნებულია: **შეძტერი** „შეძვერი“, **[ხელი] გუწტადა** „ხელი გაუწოდა, ჩამოართვა“... თუმცა, ზოგჯერ აქ შერწყმაც ხდება: ***ქტემო > ქომო** „ქვემო“; ამ მაგალითში ბოლოკიდური **ო** ხმოვნის გავლენით, **ქტ** კომპლექსის სონანტური ელემენტი და მისი მომდევნო **ე** ხმოვანი **ო** ხმოვანად შეირწყა. ასეთივე შემთხვევაა ***გაუშეებს > გუშოფს**, ოღონდაც აქ ლაბიალიზებული კომპლექსის სონანტური ელემენტისა და **ე** ხმოვნის შერწყმით, მეორეული **ო** ხმოვნის მიღებას ხელი შეუწყო ბაგისმიერმა მჟღერმა **ბ** ხშულმა, რომელიც, თავის მხრივ, შემდგომში დაყრუვდა.

მუჰაჯირთა შთამომავლების აჭარულშივე თვალშისაცემია ლაბიალიზებული კომპლექსის გათიშვა ნეიტრალური ხმოვნით, ოღონდ ამ დროს სონანტ **ტ-ს** ენაცვლება

ვ ნაპრალოვანი თანხმოვანი, მაგ.: **გოგვეები** „გოგოები“, **მეთქვეი** „[სული] მოითქვი“, **გშვეს** „გაუშვეს“, **თქვა** „თქვა“, **დათვი** „დათვი“... ჩვენეული დაკვირვებით, ამგვარი რამ უფრო მეტად დამახასიათებელია ახალგაზრდების მეტყველებისათვის.

საზოგადოდ, ნეიტრალური ხმოვნით შეიძლება გაითიშოს თითქმის ნებისმიერი თანხმოვანთკომპლექსი; ამავე დროს, მნიშვნელობა არა აქვს, ჰომოგენური იქნება ის თუ ჰეტეროგენული. მაგ., პარალელური ფორმები: **მცხენი // მსხენი და მცხენი // მსხენი** „ცხენი“, **ძმა და ძემა, ფხა და ფგხა, ბუძგი და ბუძგი** „ზღარბი“ და ა.შ. საინტერესოა, რომ თანხმოვნები ნეიტრალური ხმოვნით შეიძლება გაითიშოს მაშინაც, თუკი ერთ-ერთი მათგანი ლაბიალიზებული კომპლექსისგან მომდინარეობს: **შეძგრა** „შეძგრა“, **მოკვდომა** „მოკვდომა, სიკვდილი“, **გაცვლიდა** „[გა]ცვლიდა“... ამგვარი სახის ფონეტიკური თავისებურება მეტად დამახასიათებელია როგორც აჭარული, ისე, ზოგადად, სამხრეთ-დასავლური დიალექტებისათვის.

რასაკვირველია, ნეიტრალურხმოვნიანი ფორმები გვხვდება ამოსავალი ფორმების პარალელურად და, ამ უკანასკნელებთან შედარებით, ნაკლები სისშირით გამოირჩევა; ზოგჯერ ნეიტრალურ ხმოვანს სხვა ხმოვნებიც ენაცვლება და გვაქვს: **ჭრელი // ჭგრელი // ჭერელი, კბილი // კვბილი // კიბილი, ყრუ // ყგრუ // ყურუ** და ა.შ. ასევე: **ჩჷენ // ჩგვენ // ჩუვენ** „ჩვენ“, **თქტა // თქგვა // თქუვა** „თქვა“ და ა.შ.

ფონეტიკური პროცესებიდან დუმჯეს აჭარულში გავრცელებულია ასიმილაცია, დისიმილაცია, სუბსტიტუცია, მეტათეზისი, რედუქცია, ბგერათა დაკარგვა და განვითარება, აფრიკატიზაცია, დემბაფრიკატიზაცია და ა.შ.

დისტანციური რეგრესული ასიმილაციის ნიმუშებია შემდეგი ფორმები: **დევიჭირა // დიგიჭირა** „დაგიჭირა“, **შემემიშტა // შიმიმიშტა** „შემომიშვა“, **შინჯეთს** „სინჯავს“, **ყორყელი (< *ხორხ-ყელი)** „ხახის უკანა ნაწილი“ და ა.შ.

კონტაქტური რეგრესული ასიმილაციის ნიმუშებია: **ფხარი** „მხარი“, **ფჭამაჷ //პჭამაჷ** „ვჭამ“, **მოკვლიდა** „მოგკლავდა“... ასევე ზემოთ განხილული ფორმებიც: **მეტანა, გეგნო, შაკითხა** და მისთ.

პროგრესული ასიმილაციის ნიმუშებია: **დახთა** „დახვდა“, **დათფა** „დათბა; გათბა“... უნდა აღინიშნოს აგრეთვე ისიც, რომ ეს მოვლენა დუმჯეს აჭარულში შედარებით ნაკლებად გავრცელებულია: მაგალითად, უფრო ხშირია ფორმა **მოკვდა** ვიდრე **მოკტა** („მოკვდა“), ზოგან კი, სადაც ქართული ენა უკვე ნელ-ნელა თმობს პოზიციებს, დასტურდება **მოკვდა, გდარი** ფორმებიც კი.

დისიმილაციის ტიპობრივი ნიმუშებია: **არ არის > არ ალი, * სერასქერი > სერესქელი** (არაბ.-თურქ. Serasker) „ოფიცერი“, **ეუბნება > ებნევა**... დასტურდება ასევე შემთხვევები ამა თუ იმ ბგერის დისიმილაციური გამჟღერებისა (**ტკიბა** „ტკიპა“) ანდა დაკარგვისა (**ცხტიპირი** „ცხვირპირი“). დისიმილაციის საფუძველზეა წარმოქმნილი ზემოთ განხილული **დევიკიდა, გეგნო** ფორმებიც.

მუჰაჯირთა შთამომავლების აჭარულ მეტყველებაში ფართოდაა გავრცელებული ასევე სუბსტიტუციაც: **დაგჯანის** „დაგჯანის, მოგერევა“, **დემიწყა** „დაივიწყა“, **მაყაყი // მაყაი** „ბაყაყი“, **ბულთი** „ბურთი“, **ტრინკი** „ტლინკი“ და ა.შ.

მეტათეზისის ნიმუშებია: **შეპოტუა** „შეტოპვა“, **ძტილაა < *ძლივაა** „ძლივს“ **ჭროფი // ჭროფლი** „ჭორფლი; გამონაყარი სახეზე“, **ლაკაიპი // > ლაკააბი** „ლაპა-რაკი“, **დაბუგტა** „დაგუბება“ და ა.შ.

რედუქციის ტიპური ნიმუშებია: **გეუტდა** „გავიდა“, **ნახტარი** „ნახევარი“, **დამა-ლტენ** „[და]მალავენ“... ეგევე მოვლენა, ჩვეულებისამებრ, არაიშვიათია სახელთა ბრუნებისა თუ ზმნის უღლების დროს, შდრ.: **ნალები** და **ნაღბის**, **ნაღბით** (**ნაღბისი** **გაკეთუ აც კად ვიცით ჩტენ** „ნაღბისი გაკეთებაც კარგად ვიცით ჩვენ“), ასევე: **გეფგნო** „გაიგო“ და **გეუტგენ** „გავიგე“ (და მაინც: ამის პარალელური ფორმაა **გეუტგენ**); რედუქციის ერთ-ერთ სახეობად შესაძლოა განვიხილოთ, ასევე, ბოლოკიდური ხმოვნის მოკვეცაც: **ე კაც ა[რ] იყო** „არავინ არ იყო (ეტიმ. „ერთი კაცი არ იყო“)“, **ჭირნილ მან არ აკეთებდა ჩემ ბაბომა, ნაძახ ლაზფუს აკეთებებდა** „[სამდინარო] ნავს თვითონ არ აკეთებდა ჩემი მამა, [სპეციალურად] მოყვანილ ლაზებს აკეთებინებდა“; თუმცა ეს უკანასკნელი მოვლენა შედარებით იშვიათია.

მუჰაჯირთა შთამომავლების აჭარულში უაღრესად გავრცელებულია ბგერათა დაკარგვა ან განვითარება. მაგალითად, საკუთრივ აჭარულ კილოვაეში იკარგვის **რ** – თავკიდურა პოზიციაში: **ქა** „რქა“, **კინა** „რკინა“; თანხმოვნებს შორის: **ბძანა** „ბრძანა“, **გძელი** „გრძელი“; ხმოვნებს შორის: **წოი** „სწორი“, **ყუი** „ყური“; ხმოვანსა და თანხმოვანს შორის: **ჩეზბინა** „ჩაირბინა“, **რმო** „ორმო; ფქვილის შესანახი სათავსო“; სიტყვის ბოლოკიდურ პოზიციაში: **აღწ** „აღარ“, **წ** „არ“... ამ ორ პოზიციაში **რ** ბგერის დაკარგვას ხშირად თან სდევს მეზობელი ხმოვნის საკომპენსაციო დაგრძელება.

ასევე, **მ** სონორი იკარგვის სიტყვის თავკიდურა და ბოლოკიდურა პოზიციებშიც: **კლავი // კილავი** „მკლავი“, **წარე** „მწარე“, **რატო** „რატომ“, **მარა** (< *მარამ) „მაგრამ“... გარდა ამისა, იკარგვის **ვ** ხმოვანს და თანხმოვანს შორის: **გზანის** „გზავანის“; **ნ** – იმავე პოზიციაში: **მაიც // მაივ** „მაინც“, **დ** – ხმოვანთა შუა: **როის // როფს** „როდის“... ყურადღებას იქცევს **ს** ნაპრალოვნის დაკარგვის ტენდენციები: **ეშქიეფ გუგნძან, რუმ ავბეო შეფხოლლი გემეაროსო** „ყაჩაღებს გაუგიათ, რომ აქ შეიხოლლი გამოივლისო“, **იშტად წ მაქ** „მადა არ მაქვს“, **იმა ნა მივცე ქალი** „იმას უნდა მივათხოვო („მივცე“) ქალი“ და ა.შ.

2.1.2.4. მახვილი და ძირითადი ინტონაციური თავისებურებანი

ინტონაციურად, მუჰაჯირთა შთამომავლების აჭარულ მეტყველებას უპირატესად იგივე თავისებურებები ახასიათებს, რაც ზოგადად აჭარულ დიალექტს; კერძოდ: მახვილი დინამიკურია და სუსტი. ძირითადად, ის პირველ მარცვალს მოუდის, მაგრამ

თუ სიტყვა სამზე მეტმარცვლიანია, შესაძლოა, მთავარ მახვილთან ერთად გვექონდეს, ასევე, **ტონური** თანამახვილიც — უმეტესად, ბოლოდან მეორე ანდა მესამე მარცვალზე.

ხმოვანი, რომელსაც ტონური თანამახვილი მოუდის, თითქოს ამალღებულად, ოდნავ წაგრძელებულად მოისმის. მაგალითად, **დღღამისი** სიტყვაში **ა** ხმოვანი, შესაძლებელია, სიგრძის ნიშნით გამოვსახოთ. უნდა ითქვას ისიც, რომ აქცენტუაციის განსაზღვრაში, საკმაოდ დიდ როლს თამაშობს ენკლიტიკაც: სიტყვათა შერწყმული წარმოთქმისას, არაიშვიათად, პირველი სიტყვის მახვილი ხდება მთავარი, ხოლო მეორის კი — თანამახვილი. აგრეთვე, ენკლიტიკის შედეგად, თანამახვილიც ზოგჯერ მთავარ მახვილად იქცევა ხოლმე.

კითხვით და კითხვით-დახილის წინადადებებში, ბოლოკიდურა სიტყვის ბოლოდან მეორე მარცვალს ტონური მახვილი მოუდის, განურჩევლად იმისა, მრავალმარცვლიანი სიტყვაა თუ ენკლიტიკა. ამ დროს ტონური მახვილი ხშირად ჩრდილავს კიდევაც მთავარ მახვილს.

აქ უნდა აღინიშნოს, ასევე, ერთი თავისებურება: მიმართვისას ხმოვანფუძიან საკუთარ სახელებში მახვილი მუდამ ინაცვლებს ბოლო მარცვალზე, მაშინ როცა საუბრისას, როგორც წესი, პირველ, მეორე ანდა ბოლოსწინა მარცვალზეა. მაგალითად, შდრ.:

ფეგზი მრსულა და ფეგზრ!

სულემანას უთქმია „სულემანს უთქვამს“ და **სულემანჭუ!** „სულემან!“

ეს მოვლენა შეგვეძლო თურქული ენის გავლენით გაჩენილადაც ჩაგვეთვალა, მაგრამ საქმე ისაა, რომ სამწიგნობრო ქართული ენის ზეპირმეტყველებით ფორმაშიც ზუსტად ასე ხდება. შესაბამისად, გავლენა აქ არ უნდა გვექონდეს. დავძენთ იმასაც, რომ თანხმოვანფუძიან სახელებს მიმართვისას წოდებითი ბრუნვის **-ო** სუფიქსი დაერთვის და მახვილიც, რა თქმა უნდა, ბოლოსწინა მარცვალს მოუდის:

დურსტნო! „დურსუნ!“

აიდრნო! „აიდინ!“

დემურალო! „დემურ-ალი!“ და ა.შ.

ბოლო მაგალითი საინტერესოა იმიტაც, რომ თურქულიდან შემოსული **დემურალი** საკუთარი სახელი ხმოვანფუძიანია, მაგრამ მისი ბოლოკიდურ ხმოვანი ასოცირდება სახელობითი ბრუნვის **-ი** ნიშანთან და, შესაბამისად, მიმართვისას ფუძეს სცილდება — მას ცვლის წოდებითი ბრუნვის ნიშანი.

2.1.3. ძირითდი მორფოლოგიური თავისებურებანი

ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების აჭარული დიალექტი, მორფოლოგიური თავისებურებების მხრივ, ყველაზე ნაკლებად სხვაობს სამწიგნობრო ქართულისა თუ აჭარაში გავრცელებული აჭარული დიალექტისაგან. სხვაობა, რაც ამჟამად დასტურ-

დება, თავს იჩენს ძირითადად სახელთა ბრუნებისა და ზმნის უღვლილების სისტემაში, თუმცა კი უმნიშვნელოა:

2.1.3.1. სახელთა ბრუნების თავისებურებანი

ქართული ენის სახელის ფორმაცვალება ხდება ბრუნვისა და რიცხვის ნიშნებით. ბრუნვის ფორმები სამ ჯგუფად შეიძლება დავყოთ: მარტივი ბრუნვები (ფუძე + მარტივი ბრუნვის ნიშანი), რთული ბრუნვები (მარტივი ბრუნვის ნიშანს ერწყმის თანდებული ან მეორე ბრუნვის ნიშანი), ბრუნვები ცალკე მდგომი თანდებულებით (მსჯელობისთვის იხ. ვაშაკიძე, ფუტკარაძე, 2019: 70–71; 84–89; ვაშაკიძე, 2021: 109–115).

მუჰაჯირთა შთამომავლების აჭარულში ბრუნების ტიპი ერთია, მაგრამ ამ ერთი ტიპის ფარგლებში გვაქვს რამდენიმე სახეობა — ბრუნების თავისებურებებიდან გამომდინარე, გამოიყოფა სახელთა ჯგუფები.

2.1.3.1.1. მარტივი ბრუნვები

განვიხილოთ მარტივი ბრუნვების ნიშნები:

სახელობითი ბრუნვის ნიშანია, როგორც წესი, თანხმოვანფუძიან სახელებთან — **ი**, ხოლო ხმოვანფუძიან სახელებთან კი —**ა**: **კაც-ი**, **ცხენ-ი**, **ცოლ-ი... მთხა-ა** „თხა“, **ბაბო-ა** „მამა“, **მაჭიხლურა-ა** „მაჭახელა თოფი“...

არაიშვიათად, ხმოვანფუძიან სახელებს სახელობითი ბრუნვის ნიშანი ეკვეცებათ და მხოლოდ ფუძის სახით წარმოდგებიან ხოლმე, ისევე, როგორც სალიტ. ენასა და მეტწილ კილოებში: **ხალა** „დეიდა“, **ძმა // ძგმა** „ძმა“, **ბაბო** „მამა“. ანალოგიურად, ბრუნვის ნიშანი ეკვეცებათ თანხმოვანფუძიან სახელებსაც, ოღონდ შედარებით უფრო იშვიათად:

ი კაც 5 წეტდა ემესას (ერეგ.) „ის კაცი არ წავიდა იქით, რა ჰქვია...“;

ცხენ 3ა კყუანდეს, ჭოტ? (ქურ.) „ცხენი სად გყავდათ, ბიჭო?“

მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი მუჰაჯირთა შთამომავლების აჭარულშიც, სამწიგნობრო ქართულისამებრ, არის —**მა**: **კაცმა** „კაცმა“, **ბაბომა** „მამამ“, **ხალამან** „დეიდამ“... როგორც წესი, ხმოვანფუძიან სახელებთან ამავე ბრუნვის ნიშნის ალოფონი იქნება —**მ**: — **ნენემ**, **ბაბომ**...

ძალზე იშვიათად, გვხვდება მოთხრობითი ბრუნვის არქაული დაბოლოება —**მან**: **ბაბომან** „მამამ“, **ბიჭმან** „ბიჭმა“ და მისთ.

როგორც ცნობილია, მოთხრობითი ბრუნვის არქაული —**მან** // > —**მა** ნიშანი ერთადერთი ნორმა აჭარულის კირნათ-მარადიდულ კილოკავში (ცინცაძე, 1954: 145); სხვა აჭარულ კილოკავებში —**მა** ნიშანი არაიშვიათად ხმოვანფუძიან სახელებთან გვხვდება, რაც არქაული ვითარების გადმონაშთია (ჯორბენაძე, 1989: 552).

მიცემითი ბრუნვის ძირითადი ნიშანია —**ს**, რომელიც შეიძლება სულაც დაიკარგოს ანდა ფშვინვიერ დამართვად იქცეს (დაწვრილებით იხ. ზემოთ); არაიშვიათად, მას ერთვის —**ა** სავრცობი ხმოვანიც: **კაცს[ა]**, **თაჭს[ა]**, **ეშქიასა** „ყაჩაღს“...

ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია **-ის**, რომელიც ხმოვანფუძიან სახელებთან ზოგჯერ **-ს** ვარიანტით გვაქვს, ზოგჯერ **-ის** ვარიანტით. არაიშვიათად, ამ ბრუნვის ნიშანს ერთვის **-ი** სავრცობი ხმოვანიც: **ბიჭისი ბაბო** „ბიჭის მამა“, **ზექიქისი კაცი** „ზექიქს ქმარი“, **აღასი ნათქვამი** „ბატონის (აღას) ნათქვამი“ და ა.შ. ზოგჯერ ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის თანხმომავნური ელემენტი იკარგება ისევე, როგორც ეს ქართლურსა და კახურ კილოებს ახასიათებთ — **ქალი მოყვანა** „ცოლის მოყვანა“, **ნაღბი გაკეთვა** „ნაღბის გაკეთება“... ასე ხდება მხოლოდ თანხმომავნური სახელებთან.

საინტერესოა ისიც, რომ ნათესაობითი ბრუნვის ნიშანზე **-ი** სავრცობის დართვა ანალოგიურ შემთხვევებში ახასიათებს მეგრულს, სამივე ლაზურ კილოს (შდრ. კარტოზია, 2005: 345), ასევე — აჭარულს (ნიჟარაძე, 1975: 32; ფუტყარაძე, 1987).

მოქმედებითი ბრუნვის ნიშანია **-ით // -ით // -თ**; სავრცობი **-ი** ამ ბრუნვის ნიშანსაც ხშირად ერთვის: **ნაჯალით[ი]** „ნაჯახით“, **მაჭხილურადით[ი]** „მაჭახელა თოფით“, **შიშათ[ი]** „შეშით, [მოჭრილი] ხით“ და ა.შ. სავრცობი **-ი** შესაძლოა დაერთოს ასევე, **-ნ** ელემენტიც: **შიშათინ** „შეშით“, **კაციტინ** „კაცით“... ეს მოვლენა პარალელს ჰპოვებს ლაზურ კილოებში, სადაც ამავე ბრუნვის ნიშანია **-თე // -თენ**; თუმცა მის **-ე** ხმოვნურ ელემენტს, მომდევნო **-ნ** ელემენტთან ერთად, სავრცობად, როგორც წესი, არ თვლიან (იხ. ჩიქობავა, 2008: 72; კარტოზია, 2005: 84).

ვითარებითი ბრუნვა დღესდღეობით მუჰაჯირთა შთამომავლების აჭარულშიც, ისევე როგორც სამივე ლაზურ კილოში, არქაული სახითღა შემონახული; მისი ნიშანია **ა//ა-ა⁵⁰**: **მისებურა // მისებურა** „თავისებურად; მარტო“, **ჩემეტლა // ჩემეტლა** „ჩემდათავად“ და ა.შ. ჩვეულებისამებრ კი, ვითარებითი ბრუნვის ფუნქციებს მუჰაჯირთა შთამომავლების აჭარულში სხვა ბრუნვები (ან თანდებულებიანი ბრუნვები) გადმოსცემს:

ხუსენმან კაე გაგნაჟს ჭანებური (ბურს.) „ჰუსეინმა კარგად (ეტიმ. „კარგი“) იცის (ეტიმ. „[გა]აგნებს“) ლაზური“;

წეტდეს ქალი მოსაყვანში ზომო ქურასას (გირეს.) „წავიდნენ ქალის [წა]მოსაყვანად ზემო ქურაძეებში“.

ვითარებითი ბრუნვის შეზღუდულ ხმარებაზე აჭარულშიც მიუთითებენ (ნოლაი-დელი, 1972ა: 43; ნიჟარაძე, 1975: 67).

წოდებითი ბრუნვის ნიშანია თანხმომავნური ნიშანებთან **-ო**, ხმოვანფუძიანებთან კი **-უ**. იშვიათად, ერთმარცვლიან ხმოვანფუძიანებთან დაჩნდება ასევე, **-უო** ალომორფიც. თანხმომავნური სახელები წოდებითი ბრუნვის ნიშანს ხან ირთავენ, ხან არა: **ხუსენ! // ხუსენო! დურსუნ! // დურსუნო!** და ა.შ. ჩვეულებისამებრ, წოდებითი ბრუნვისნიშნისანი საკუთარი სახელებით უფრო მეტად ახლობელ ადამიანებს მიმართავენ. ეს მოვლენა ანალოგიას პოვებს ზემოაჭარულ მეტყველებებში, სადაც ასე პატივსაცემ

⁵⁰ არნ. ჩიქობავა, მიმართულებითი, (გარდაქცევითი) ბრუნვის მნიშვნელობისა, წარმოებისა და ისტორიისათვის, სბიქე, I, 1956.

ადამიანებს მიმართავენ (ჯორბენაძე, 1989: 554). ხმოვანფუძიანი საკუთარი სახელები, ჩვეულებისამებრ, **-ჟ** ნიშანს უფრო ხშირად ირთავენ: **სანიეჟ! ზერაჟ! ნაილეჟ!** და ა.შ.⁵¹

ერთადერთ შემთხვევაში, კონტამინირებული **-ოჟ** ნიშანი გვაქვს თანხმოვან-ფუძიან **ბიჭ-ი** სახელთან – **ბიჭოჟ!** // **ბიჯოჟ!** „ბიჭო!“ საიდანაც წარმოდგება შემოკლებული ფორმა **ჭოჟ!**

როგორც ითქვა, მუჰაჯირთა შთამომავლების აჭარულ კილოვანებაში, ბრუნების თავისებურებებიდან გამომდინარე, გამოიყოფა სახელთა ჯგუფები. თუმცა, სანამ მათ განვიხილავდეთ, საჭიროა აღვნიშნოთ, რომ სამწიგნობრო ქართულში იმავე თავისებურებებიდან გამომდინარე, სახელთა მ ჯგუფი გამოიყოფა:

პირველ ჯგუფში ერთიანდება სახელები, რომელთაც აქვთ ყველა ბრუნვის ფორმა. სახელობითში დაირთავენ **-ი** ნიშანს; ბრუნებისას კი არც სახელის ფუძე იცვლება, არც ბრუნვის ნიშანი.

მეორე ჯგუფში გაერთიანებულია სახელები, რომლებსაც ასევე აქვთ ყველა ბრუნვის ფორმა, სახელობით ბრუნვას აფორმებს **-ი**, ნათესაობით, მოქმედებით და ვითარებით ბრუნვებში ფუძე იკუმშება.

მესამე ჯგუფის სახელებს აქვთ ყველა ბრუნვის ფორმა, თუმცა სახელობითი ბრუნვა უნიშნოა (ფუძე ბოლოხმოვნია); მოთხრობით, ნათესაობით, მოქმედებით, ვითარებით ბრუნვებში ბრუნვის ნიშანი რედუცირებულია.

მეოთხე ჯგუფში სახელებს აქვთ ყველა ბრუნვის ფორმა, სახელობითი ბრუნვა **-ი** ნიშანს არ დაირთავს, ბრუნვის ნიშანი იკვეცება მოქმედებით, ვითარებით და წოდებით ბრუნვებში, ხოლო ფუძე იკვეცება ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში.

მეხუთე ჯგუფში სახელებს აქვთ ყველა ბრუნვის ფორმა, სახელობითი კი ბრუნვის ნიშანს არ ირთავს. სახელობით, მოთხრობით და წოდებით ბრუნვაში იკვეცება ბრუნვის ნიშანი. ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვაში ფუძე კარგავს ბოლო ორ ხმოვანს.

მეექვსე ჯგუფის სახელებს აქვთ ყველა ბრუნვის ფორმა, მაგრამ ზოგ ბრუნვაში ისინი არქაული სახით წარმოდგებიან.

მეშვიდე ჯგუფის სახელებს არ აქვთ ყველა ბრუნვის ფორმა (შებლუდული ბრუნების სახელებია).

მერვე ჯგუფის სახელები ბრუნებისას ავლენენ ორ ფუძეს⁵².

ამგვარი კლასიფიკაცია მუჰაჯირთა შთამომავლების აჭარულისთვისაც გამოსადეგია, თუმცა გარკვეული დაზუსტებებით, კერძოდ:

⁵¹ მუჰაჯირთა შთამომავლების განმარტებით, **სანიე! ზერა! ნაილე!** თურქული ან „ჭანებური“ (= ლაზური) ფორმებია, **სანიეჟ! ზერაჟ! ნაილეჟ!** – „გურჯული“ // „ქართველებური“.

⁵² ვრცლად ამის თაობაზე იხ. ტ. ფუტკარაძე, „ბრუნება, როგორც სახელის ფორმათწარმოების ერთ-ერთი ასპექტი (სახელის სინთეზისა და ანალიზის ფორმალისტული მოდელებისათვის)“; გიორგი როგავას საიუბილეო კრებული, თბილისი 1997;

პირველი და მეორე ჯგუფის სახელთა მახასიათებლები იგივე იქნება, რაც სალიტ. ენაში: **კაც-ი, კაც-მა, კაც-ს...** და **ნალები, ნაღემან, ნაღეს, ნაღის...** ამასთან, პირველში გაერთიანდება ის სახელებიც, რომელთაც ტ. ფუტკარაძე, სალიტერატურო ენის მაგალითზე, მეექვსე ჯგუფში აერთიანებს: **ღმერთი, ღმერთის და ღინი, ღინის;**

მესამე ჯგუფის სახელებში სახელობითის ნიშანი იქნება **-ჲ** ან ნული; მოთხრობითის — **-მა**; ხოლო ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში კი გვექნება ნიშნების ორ-ორი ალოფონი: **-ღს//ს** და **-ღთ //თ**, სათანადო სავრცობი ხმოვნითურთ. წოდებითი ბრუნვის ნიშანი იქნება — **ჴ** ან ნული: **ბაბოღ, ბაბომ[ა], ბაბოღს[ი] // ბაბოს[ი], ბაბოღთ[ი] // ბაბოთ[ი], ბაბოჴ! // ბაბო!**; მესამე ჯგუფში გაერთიანდება, აგრეთვე, ის სახელებიც, რომლებსაც სალიტ. ენის მაგალითზე ტ. ფუტკარაძე მეხუთე ჯგუფში აერთიანებს: **ფენჯერეჲ „ფანჯარა“, ფენჯერემ[ა], ფენჯერეს[ა], ფენჯერეს[ი]...**

მეოთხე, მეშვიდე და მერვე ჯგუფების ძირითადი მახასიათებლები იგივე იქნება, რაც სალიტ. ენაში: **კიბის[ა], ხის[ა]... შენ, შენი, შენით... ეს[ე], ამან, ამას[ა], ამის[ი]...** ანუ მუჰაჯირთა შთამომავლების აჭარულ კილოვაში ბრუნების თავისებურების მიხედვით, ექვსი ჯგუფი უნდა გამოიყოს, ნაცვლად რვისა; თუმცა, ისიც ნათელია, რომ ამგვარი ვითარება მეორეულია და ნიველირების შედეგია.

2.1.3.1.2. რთული ბრუნვები

„რთულ ბრუნვებად“, როგორც წესი, მივიჩნევთ ისეთ ფორმებს, რომლებშიც ბრუნვის ნიშანს პირდაპირ მიერთვის (ანდა ერწყმის) თანდებული. ზოგადად, ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნოთ თვისებებისა და ფუნქციების მიხედვით განსხვავებული შემდეგი ერთეულები: ბრუნვის ნიშანს მიერთებული თანდებული (**-ზე, -ში, -გან, -ვენ...**), ცალკე მდგომი თანდებული (**მიერ, შესახებ, გამო, მიმართ...**) და ნათესაობითის ფორმით განსაზღვრული ზმნისართი (**წინ, უკან, ირგვლივ...**), რომელსაც ზოგი მკვლევარი თანდებულად მიიჩნევს (იხ. ფუტკარაძე, 1997: 163).

გემოთქმულიდან გამომდინარე, ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების აჭარულ დიალექტში შესაძლებელია გამოიყოს შემდეგი რთული ბრუნვები:

1. **მყოფობით-მიმართულებითი.** ნიშანია **-ისას // -ღსას // -სას**: **კაცისას, ბაბოღსას, ხოჯასას...** ნიშანი შეიძლება გართულდეს ასევე, სავრცობი ხმოვნითაც: **შეველი იგზე, ერ ჭანისასა — ველიოღლი დურსუნაჲ ეთქჴა...** (ბურ.) „შევედი იქ ერთი ლაბისას — ველიოღლი დურსუნა ერქვა...“;
2. **დანიშნულებითი.** ნიშანია **-ისთჴინ // -ღსთჴინ**, აგრეთვე **-ისთჴინაჲ // -ღსთჴინაჲ**: **ქალისთჴინ, დაღსთჴინ, მაღისთჴინაჲ...** იშვიათად დანდება ასევე ოდენ **თჴინ // -თჴინაჲ** სახითაც: **ჩემთჴინაჲ ფრობლემი არ** (დუზგ.) „ჩემთვის პრობლემა არაა“;
3. **მსგავსებითი I.** ნიშანია **-ისავეთ // -ღსავეთ // -სავეთ**: **კაცისავეთ, ძგმაღსავეთ // ძგმასავეთ...**

4. **მსგავსებითი II.** ნიშანია **-ისავეფ // -დასავეფ // -სავეფ: ჩემსავეფ, მისავეფ, დასავეფ // დადასავეფ...**
5. **საზედლო.** ნიშანია **-ზე // -ზენ: დაილაზე // დაილაზენ „ილაღზე“, გზაზე „გზაზე, გზაში“, აგზე „აქ-ზე, ამ ადგილზე“...**
6. **საშიდაო.** ნიშანია **-ში // -შიან: წყალში // წყალშიან, შეყერში // შეყერშიან „ქალაქში“ და ა.შ.**
7. **თანაობითი.** ნიშანია **-თან // -სთან // -სან // -დან: კაცთან, ბაბოდასან „მამასთან“, ამედასან „აჰმედასთან“, ხესთან... ზოგჯერ რთულდება სავრცობი ხმოვნით: მიველ მენას იმ კაცთანა, გაფკითხე ხებრები ერცხა (ვეის.) „მიველი მეც იმ კაცთან, „ქეც“ გამოვკითხე ამბები“...**
8. **დაწყებით-გამოსვლითი.** ნიშანია **-იდან // -დან // -დდან // -იდამ // -დამ // -დდამ: სახლიდან // სახლიდამ, წყაროდან // წყაროდდამ, დაილადან // დაილადად „ილაღიდან“ და ა.შ. შეიძლება გართულდეს სავრცობი ხმოვნით: გემეჟდეს ხასანებ სახლიდამა (ბურს.) „გამოვიდნენ ჰასანაანთი სახლიდან“;**
9. **მიმართულებითი.** ნიშანია **-ისკენ // -დსკენ // -სკენ // -კენ: თისკენ „მთისკენ“, იმკენ „იმისკენ, იქითკენ“, დაილადასკენ „ილაღისკენ“... რთულდება სავრცობი ხმოვნითაც: ჩემ დედემან თიჯარეთი იქმოდა მევერ ამკენა (ერეგ.) „ბაბუაჩემი ვაჭრობდა თურმე აქეთკენ“;**
10. **მიწევნითი.** ნიშანია **-ამდი // -ამდინ // -მდი // -მდინ: სახლამდი //სახლამდინ, თმდი // თამდი // თმდინ // თამდინ „მთამდე“; რთულდება სავრცობი ხმოვნითაც: ველან მუჟაწრობ თუ, სადილობამდინა? (ბუჯ.) „განა ვერ მოვასწრებ სადილობამდე?“**

როგორც ვხედავთ, რთული ბრუნვების უმეტესობის ფუნქციაა მიმართულების ანდა ადგილის ჩვენება. ორი მათგანი მსგავსებას, ერთი კი თანაობას გამოხატავს. აქვე დავძენთ იმასაც, რომ მსგავსებითი I და მსგავსებითი II ფუნქციურად აბსოლუტურად იდენტური ბრუნვებია — ისინი მხოლოდ ნიშნებით განსხვავდებიან; ამასთანავე, მუჟაჯირთა ზოგი სოფლის მეტყველებაში უფრო გავრცელებულია მსგავსებითი I, მსგავსებითი II კი იშვიათია და პირიქით. აღსანიშნავია ასევე ისიც, რომ ეს ათივე რთული ბრუნვა სალიტერატურო ენაშიც დასტურდება (ფუტკარაძე, 1997: 163). ამავე დროს მუჟაჯირთა შთამომავლების აჭარულში არ გვხვდება სამი რთული ბრუნვა, რომლებიც 1997 წელს ტ. ფუტკარაძემ სალიტერატურო ქართულ ენაში გამოყო: დანიშნულებითი **-ისად** ნიშნით (**კაც-ისად**), თანამდევრობითი (**ჭამ-ისთანავე**) და თანხლებითი (**კაც-ითურთ**); შესაბამისად, მათ ფუნქციებს ინაწილებს, ერთი მხრივ, **ისტინ** ნიშნიანი, იგივე დანიშნულებითი და მეორე მხრივ კი — **ჰემენ ჭამის ხან, კაცის ერთაჲ...** ტიპის აღწერითი ფორმები. ასევე: **-ისად** ნიშნიანი დანიშნულებითი არც

ლაზურ კილოებში გვაქვს, მაშინ როცა მეგრულ კილოში ის პროდუქტიულია — **კონ-იშო[თ]**⁵³ (კიბირია, 1976: 11).

2.1.3.1.3. თანდებუიანი ბრუნვები

„ორმაგნიშნიან“ რთულ ბრუნვათა ფორმებად ვთვლით ისეთ ფორმებს, რომლებშიც წარმოდგენილია ბრუნვის ნიშანს მირთული ორი თანდებული, რითაც, ჩვეულები-სამებრ, კონკრეტდება ხოლმე ადგილმდებარეობა ან მიმართულება. ასეთი რთული ბრუნვები გვხვდება სვანურ კილოებში (მაგ., ბქვ. **დეცხენჩუ** „ციდანქვე“), აგრეთვე ხევსურულში (**ქალაქშით**), თუშურში (**წელზეით**)... მთის იბერიულ-კავკასიურ ენათაგან — ნახურ-დაღესტნურ ენებში და ა.შ.

მუჰაჯირთა შთამომავლების აჭარულში თანდებუიანი ბრუნვის ფორმები დღეს პროდუქტიული არაა, მაგრამ უწინ რომ უნდა ყოფილიყო, ეს დასტურდება შემდეგი მაგალითებით (რაც საყოველთაოდ გავრცელებულია): **აგბეღამ** „აქედან, ამ ადგილიდან, *ეტიმ.* აქ-ბე-დან“, **სხტაგნიღამ** „სხვა ადგილიდან, *ეტიმ.* სხვა-გან-იდან“, **იგბესავეფ // იგბესავეთ** „იქ რომაა, ისეთი, *ეტიმ.* იქ-ბე-სავით“, **სხტაგნისავეთ** „სხვა ადგილივით, *ეტიმ.* სხვა-გან-ისავით“, მაგ.:

ჩვენი დედე იგბეღამ ამოსულიყო ბურსას (ბურს.) „ჩვენი ბაბუა იმ ადგილიდან ამოსულიყო ბურსაში“;

ე ჭანებ' აგბე დაჰა სხტაგნიღამ მოსულან, დამქდარან იშთე (ბურს.) „ეს ლაზები ამ ადგილას უფრო სხვა ადგილიდან მოსულან [და აი], დასახლებულან [კიდეც]“;

ჩემ დედემან იტყოდა: ბათუმი დეინახო, ჰინ აგბე 5 მოხტალ დეი, იგბესავეფ კაღობა ისთანბულ ჰად იქნასო? (დუბჯ.) „ჩემი ბაბუა იტყოდა: ბათუმი [რომ] დაინახო, საერთოდ აქ არ მოხვალთ, იქაურობასავით სიკეთე („კარგობა“) სტამბოლში სად იქნებაო?“;

ჩტენ იგბესავეფ, აგბეს იმსოდ დოღმალი სახლები დტუღგმან გურჯეფ (ვეის.) „ჩვენი იმ ადგილივით, აქაც იმგვარი დოღმიანი სახლები დაუდგიათ ქართველებს“;

აქა სხტაგნისავეფ არ არი, ჰინ ჭანი არ მირევიან ჩუვენ, თელი გურჯი ვართ (ბურს.) „აქ სხვა ადგილივით არ არის, ლაზი სულ არ გვირევიან ჩვენ, სულ გურჯ[ებ]ი ვართ“;

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი თანდებუიანი რთული ბრუნვის ფორმა დღეს უკვე სუბსტანტივიზებულიცაა — **სხტაგნიით** „სხვა ადგილი, *ეტიმ.* სხვა-გან-ით-ი“; მისგან ახალი ფორმებიც იწარმოება:

⁵³ ჩვენი აზრით, ლაზურ კილოებსა და მუჰაჯირთა შთამომავლების აჭარულში **-ისად** ნიშნიანი დანიშნუ-ლებითი რთული ბრუნვის უქონლობა უკავშირდება მარტივი ვითარებითი ბრუნვის მოშლას; თუმცადა აქ ისიც საყურადღებოა, რომ იმავე დანიშნულებითის **-ისტინ** ნიშანს მუჰაჯირთა შთამომავლების აჭარულში აქვს აგრეთვე **-ისტინა** ვარიანტიც (შედარებით უფრო ნაკლებად გავრცელებული), სადაც **-ად** ელემენტი აშკარად ვითარებითის ნიშანია.

იმა სხტაგნიტურ ქალი მწყვანიაო და, გეჟგენ მე (ბუჯ.) „იმას სხვა მხრის („სხვა-გან-ით-ელი“) ქალი მოუყვანიაო, გავიგე მე“;

აღნიშნულ ფორმას აქვს ასევე, ლოკატივის მნიშვნელობაც:

ერთი ძმა იგზენ დამჟდარა მეგე[რქემ, მეტრეს — სხტაგნიტი (ბურს.) „ერთი ძმა იქ დასახლდა თურმე, მეორე კი — სხვაგან“.

ამდენად, უდავოა: თანდებულისანი რთული ბრუნვები მუჰაჯირთა შთამომავლების აჭარულ კილოკავშიც უწინ პროდუქტიული ყოფილა, მაგრამ დროთა განმავლობაში მოშლილა და მხოლოდ არქაიზმის სახითა შემორჩენილა, რაც სამწიგნობრო ქართულსა და სხვა ქართველურ დიალექტებში განვითარებული ენობრივი მოვლენების ანალოგიურია.

2.1.3.2. სახელთა მითითების თავისებურებანი

მუჰაჯირთა შთამომავლების აჭარულში სახელთა მითითების თავისებურებანი (რომლებიც უცხოა აჭარაში გავრცელებულ მეტყველებაში) ძირითადად ასეთია: ჩვენებით (დეიქტურ) ნაცვალსახელთა შორის მოიპოვება ფორმა იგირის // იგირიმ, რაც მიუთითებს როგორც მთქმელისაგან, ისე თანამოსაუბრისაგან თანაბარი მანძილით დაშორებულ, მაგრამ ხილულ ობიექტზე; მაგალითად:

იგირის კაცი ვინ არი, გეგნელი მია, აჭარელი მია, ჩურუქსული მია? (ბურს.)

„აი, ის კაცი ვინ არის, გემოაჭარელია, ქვემოაჭარელი თუ ქობულეთელი?“

იგირიმ სახლ ხედავ, ხუმ? ე, მაგზე ვჟდივარ მე! (დუბჯ.) „აი, იმ სახლს ხედავ, ხომ? აი, მანდ ვცხოვრობ მე!“

იგირისინი ზათენ რაცხაფერჯე ლაპარაკობენ ქი, არც თურქი იქნებიან! (სინ.)

„აი, ისინი საერთოდ რაღაცნაირად ლაპარაკობენ, თურქები არც იქნებიან!“.

ამგვარი ტიპის დეიქტური ნაცვალსახელები, მართალია, აჭარაში გავრცელებულ მეტყველებაში არ იპოვება, მაგრამ ბუნებრივია ისეთ დიალექტებში, როგორიც არის, მაგალითად, მთიულური და მოხეური; აქვე დავძენთ იმასაც, რომ ამ უკანასკნელ დიალექტებში დღესდღეობით მხოლოდ უფროსი თაობის მეტყველებაშია გვხვდება მსგავსი ფორმა: ეგემაგ „აი, ეგ“; ინგილოური დიალექტისთვისაც დამახასიათებელია ფორმა ოგის „აი, ის“, ოგეს „აი, ეს“ (ჯორბენაძე, 1989: 345) და ა.შ. ამდენად, ჩვენი აზრით, მუჰაჯირთა შთამომავლების აჭარულისათვის დამახასიათებელი იგირის // იგირიმ ფორმები საკუთრივ ქართულ ნიადაგზეა წარმოშობილი. შდრ., აგრეთვე: თურქულ დიალექტურ მეტყველებაშიც დასტურდება როგორც მთქმელისგან, ისე თანამოსაუბრისაგან თანაბარი მანძილით დაშორებული ობიექტის აღმნიშვნელი დეიქტური ნაცვალსახელები **Hao** და **Habu**, რომლებშიც **Ha-** დეიქტური ნაწილაკი გამოიყოფა (ვექილოვი, 1973: 54); ამდენად, სავარაუდოა, რომ მუჰაჯირთა შთამომავლების აჭარულში აღნიშნული დეიქტური ნაცვალსახელის გააქტიურება

(და არა — გაჩენა) თურქული დიალექტური მეტყველების გავლენითაც იყოს განპირობებული.

2.1.3.3. ზედსართვი სახელი

ამკარად შესამჩნევი თავისებურებები, რაც სამეტყველო კოდთა შერევას გამოუწვევია და ზედსართავ სახელებში დასტურდება, შემდეგია: აღმატებითი ხარისხი იწარმოება ანალიზურად, თურქული ენის ყაიდაზე, თურქულიდანვე შეთვისებული **ენ** ელემენტით: **ენ შავი** „უშავესი“ (შდრ. თურქ.: En kara), **ენ დიდი** „უდიდესი“ (შდრ. თურქ.: En büyük) და მისთ. არც ბურსა-ინეგოლის, არც დუზჯე-საქარიის და არც ფაცა-ორდუ-სინოპის ქართველ მუჰაჯირთა მეტყველებებში სამწიგნობრო ქართული ენის ყაიდაზე ნაწარმოები აღმატებითი ხარისხის ფორმები ამჟამად აღარ მოიპოვება. ისინი საერთოდ, გაუგებარიც კია მათთვის, ვინც სამწიგნობრო ქართულს ვერ ფლობს.

ამასთანავე, შედარებითი ხარისხის ფორმები შესადარებელ სახელებს მართავენ დაწყებით-გამოსვლით ბრუნვაში (თურქული ენისამებრ) და არა საზედაო ბრუნვაში, როგორც სამწიგნობრო ქართულის წესია; მაგალითად:

ამიდან კაი გოგოს ჰა ნახავო? (ბურს.) „ამაზე კარგ გოგოს სად ნახავო?“

ჩემიდან ვორი წლითი დიდია ისი (დუზჯ.) „ჩემზე ორი წლით დიდია ის“;

იგირიმიდან იმფო კაი ვიცი მე გურჯიჯაი (გირ.) „აი, მაგაზე უკეთესად ვიცი მე ქართული“.

აჭარაში გავრცელებულ აჭარულ დიალექტში მსგავსი კონსტრუქციები გვხვდება მხოლოდ უფროსი თაობის მეტყველებებში. ის უდავოდ, თურქულის გავლენით არის წარმოქმნილი, რამდენადაც თურქულში შედარებითი ხარისხის ფორმები სწორედაც რომ დაწყებით-გამოსვლით ბრუნვაში მართავენ სახელებს (დაწვრილებით იხ. ასევე ქვემოთ). იმ ქართულ (ქართველურ) დიალექტებშიაც, რომლებიც დღეს თურქეთის ტერიტორიაზეა გავრცელებული, ამავე შემთხვევაში თურქულისებური კონსტრუქცია გვხვდება ხოლმე. ამდენად, აქ უკვე ნათელია, რომ სამეტყველო კოდთა შერევის გზით მომხდარა სიტყვაწარმოებითი კალკირება.

მაშასადამე, ქართველ მუჰაჯირთა აჭარული დიალექტის ყველა ის თავისებურება, რაც ქმნის განსხვავებას საკუთრივ აჭარაში გავრცელებული მეტყველებისგან, უეჭველად განპირობებულია თურქული ენის უშუალო (ანუ, შეძენილი ორენოვნების შესაბამისი) გავლენით გამოწვეული **სამეტყველო კოდთა შერევის** შედეგად. თუმცაღა ქართული ენობრივი სისტემა, ძირითადად, მაინც უცვლელადაა დაცული.

2.1.3.4. რიცხვითი სახელი

მნიშვნელოვანი თავისებურება, რაც მუჰაჯირთა შთამომავლების აჭარულისთვისაა დამახასიათებელი, არის ის, რომ როგორც რაოდენობითი, ისე რიცხობითი რიცხვითი

სახელების უმეტესობა პირდაპირაა ნასესხები თურქულიდან. რაოდენობით რიცხვით სახელებში ძირეული ქართული რიცხვითი სახელები გვაქვს მხოლოდ **ერთიდან ცხრამეტამდე**, ცხრამეტის შემდგომ კი გამოიყენება თურქული რაოდენობითი რიცხვითი სახელები. მაგალითად:

ჰაა? ცხრამეტის მემრენაც რა მოდის? ჩვენი აქა, თურქულად ვიტყვით – დირმი, იმის მემრენაც: დირმი ბირ, დირმი იქი, დირმი უჩ... მთელლი თურქულადა! (ბურს.) „რაო? ცხრამეტის მერე რა მოდისო? ჩვენში თურქულად ვიტყვით – დირმი (ოცი), იმის მერეც: დირმი ბირ (ოცდაერთი), დირმი იქი (ოცდაორი), დირმი უჩ (ოცდასამი)... სულ თურქულადაა!“

ამისი ბაბო ქაჩ დაშინდუა, იცი? ერცხვა, ჟუბ ბირ აათავა, დაა! (დუზგ.) „ამისი მამა რამდენი წლისაა, იცი? ას ერთისა შესრულდა უკვე, რა!“

აქა რამითი გურჯი იქნება, მკითხე? ბრეველი ვართა, თუბ ბინ ვიქნებით მთელლი ბითუმი! (გირ.) „აქ რამდენი ქართველი იქნებაო, მკითხე? ბევრნი ვართ, ოცდაათი ათასი ვიქნებით სულ ერთიანად!“

რიგობით რიცხვით სახელებს რაც შეეხება: ამჟამად, მუჰაჯირთა შთამომავლების აჭარულში შემორჩენილია მხოლოდ **პირველი** და **მეორე** „მეორე“, თუმცა მათაც ძალზე ხშირად ენაცვლება თურქულიდან ნასესხები **ბირინჯი** და **იქინჯი** ფორმები. ზოგადად იტყვიან: **ბირინჯი ხელზე** „პირველად“, **იქინჯი ხელზე** „მეორეჯერ“ და მისთ. ასაკოვან პირებსლა ახსოვთ წმინდა ქართული ფორმები: **პირვლათ // პილლათ // პილლა** ანდა **მევერეხელ** „მეორეჯერ“ (ეს უკანასკნელი ფორმა, ასევე, ნიშნავს „ხელახლა“)...

დანარჩენი რიგობითი რიცხვითი სახელები, გამონაკლისის გარეშე, თურქულიდან არის ნასესხები; მაგალითად:

ჩემი ბეშინჯი ბაღვია ესა, ხუსიკაა თქვია! (ბურს.) „ჩემი მეხუთე შვილია („ბავშვია“) ეს, ხუსიკა ჰქვია!“

უჩუნჯი ქალიც მყავს მე, ამა იგი აქ არ მიჟდია! (დუზგ.) „მესამე ცოლიც მყავს მე, მაგრამ ის აქ არ მყავს („მიზის“)!“

ელლი იქინჯი წელია, აგზე ვჟდივართ, ქოვში ვსაქმოფთ, იმავიჯებით (ვეის.) „52-ე წელია, აქ ვცხოვრობთ, სოფელში ვსაქმიანობთ, იმას ვირჯებით“.

ჟუბ ყირხინჯი სენეას უკან ჰად წევდე? (გირ.) „140 წლის მერე სად[ღა] წავიდე?“ ... აღსანიშნავია, რომ არა მხოლოდ ქართველ მუჰაჯირთა, არამედ ზოგადად ყველა ეროვნების მუჰაჯირთა შთამომავლების მშობლიურ ენაში შეიმჩნევა მსგავსი მოვლენა: რიცხვით სახელთა უმრავლესობა პირდაპირ ნასესხებია თურქული ენიდან (რალა თქმა უნდა, სათანადო ფონეტიკური ცვლილებებით), ძირძველი ფორმები კი თითქმის არც გამოიყენება.

ჩვენი აზრით, ძირეულ რიცხვით სახელთა გაქრობა უნდა გამოეწვია, უპირველეს ყოვლისა, იმას, რომ ყიდვა-გაყიდვა, როგორც წესი, ოსმალური ფულით წარმოებდა და დიდ რიცხვებში (ოცის ზემოთ) ანგარიშიც თურქულად უფრო გავრცელებული იყო. აქ

მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ მუჰაჯირები ერთმანეთში მხოლოდ და მხოლოდ ნატურით ვაჭრობდნენ, ფულს კი იყენებდნენ სხვა ეთნიკური ერთობის წარმომადგენლებთან ურთიერთობისას. თურქულ ენაზე ანგარიშიც სწორედ ამიტომ უწევდათ და ოცნე მაღალი რიცხვითი სახელებიც თურქულად შეითვისეს.

დავძენთ იმასაც, რომ მუჰაჯირთა შთამომავლების ახალგაზრდა თაობას ამჟამად ქართული რიცხვითი სახელები არ ეუცხოება, რამდენადაც ბურსა-ინეკოლში, დუზჯე-ადაფაზარსა და ფაცა-ორდუ-სინოპში გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მრავლად მოქმედებს ქართული სამწიგნობრო ენის კურსები. თუმცა, ზოგადად, დიდ რიცხვთა დაანგარიშება თურქული რიცხვითი სახელებით უფრო ეადვილებათ.

ამავე მხრივ, ჩვენ საგანგებოდ დავაკვირდით ქართველ მუჰაჯირთა მეზობლად მცხოვრებ სხვა ეროვნების მუჰაჯირებს — აფხაზ-აბაზებს, ჩერქეზებს, ბოსნიელებსა თუ ალბანელებს და შეგვიძლია დარწმუნებით განვაცხადოთ, რომ მათ მეტყველებებშიც ზუსტად იდენტური სურათი გვაქვს: ძირეული რაოდენობითი რიცხვითი სახელები შემორჩენილია და გამოიყენება მხოლოდ ერთიდან ცხრამეტამდე (ზოგჯერ ათამდე ან თხუთმეტამდე), მერე კი იყენებენ თურქულ რიცხვით სახელებს. რიგობით რიცხვით სახელებში კი თურქულ ნასესხობათა ხვედრითი წილი გაცილებით მაღალია: ხშირად ძირეული რიგობითი სახელები არც კი შემორჩენილია (მაგალითად, ასეთი რამ ბურსელ აფხაზთა მეტყველებაში დავადასტურეთ 2022 წლის ივლისში).

2.1.3.5. სამეტყველო კოდთა შერევა სახელურ სიტყვათწარმოებაში

აქ, უპირველეს ყოვლისა, უნდა განვიხილოთ ისეთი შემთხვევები, როცა ქართულ სახელურ ძირს ერთვის თურქულიდან ნასესხები აფიქსი ან პირიქით — როცა ქართული აფიქსი ერთვის თურქულ ძირს. ჩვენეული დაკვირვებით, შედარებით უფრო ხშირია მეორე შემთხვევა, ვიდრე პირველი, თუმცა განსაკუთრებულ ინტერესს, სამეტყველო კოდების შერევის თვალსაზრისით, მაინც ის იწვევს, თუ რომელი თურქული აფიქსი იქნა შეთვისებული ქართველურენოვან მუჰაჯირთა აჭარულ მეტყველებაში. ამიტომ, პირველ რიგში, თურქული აფიქსები განვიხილოთ:

-ჯი (< თურქ. **-ci// -ci// -cu// -cü**) ხელობის აღმნიშვნელი სუფიქსია. თურქულ ენაში, ხმოვანთა ჰარმონიის საყოველთაოდ ცნობილი წესიდან გამომდინარე, აქვს ოთხი ფორმა, მაგრამ მუჰაჯირთა შთამომავლების აჭარულში შესული და დამკვიდრებულია მხოლოდ **ი** ხმოვნის ვარიაცია:

მაღ კაცი, ჩემო ციციავ, იმფერ დიდი ვონტკაჯი ვინცხაი ყოფილა რომენ, ქლათ ახალ კტარს დააბეჩებდა, მეგერემ (დუზჯ.) „ეგ კაცი, ჩემო გოგო, ისეთი ლოთი („მეარყე“) ყოფილა, რომ მეტი არ შეიძლებოდა, თურმე“ („მთლად ახალ მკვდარს გააშტერებდა“);

რა ხარ ჭოვ, ამსოა ცეკვაჯი, დადექ და, ერსალიკ! (ბურს.) „რა ხარ, ბიჭო, ასეთი მოუსვენარი, გაჩერდი რა, ერთ ადგილას!“

იგბე ვინცხად იყო, ხასან თოფალი ეთქვა, გუდაჯი! „იქ ვილაცა იყო, ჰასან თოფალი ერქვა, მესტვირი!“

ამ წინადადებებში გამოყენებული ლექსიკური ერთეულები: **ვონტკაჯი** „ლოთი“ (< რუს. вода „არაყი“ + თურქ. -ci), **ცეკვაჯი** (< ქართ. ცეკვა + თურქ. -ci) „მოუსვენარი“, **გუდაჯი** (< ქართ. გუდა + თურქ. -ci) ნაწარმოებია სამეტყველო კოდთა შერევის გზით: ქართულ (ან ქართულში მუჰაჯირობამდე შეთვისებულ) ლექსემას ერთვის თურქული სუფიქსი.

-ლი (< თურქ. -li// -lu// -lü) მიუთითებს სადაურობაზე, ანდა ყოლა-ქონაზე. აქვს ოთხი ფორმა. მუჰაჯირთა შთამომავლების აჭარულში შესული და დამკვიდრებულია მხოლოდ **ი** ხმოვნიანი ვარიაცია:

ბათუმელი კაცი ყოფილა ისი, მუჯირში გამოსული ამფრად, ჩვენსავით (ვეის.) „ბათუმელი კაცი ყოფილა ის, მუჰაჯირად წამოსული ასე ჩვენსავით“;

შენაც იმსო ნამუსლი თუ ხარ... (ინეგ.) „შენც ისეთი ნამუსიანი თუ ხარ...“;

რაფერ-ნა იყოდეს, იმკენლი კაცი ჰაცხა ვინმე არ ვნახოთ, ახლა? (დუმჯ.) „ისე როგორ იქნება, რომ იქაური („იმკენ-ელი) კაცი სადღაც არავინ ვნახოთ, ახლა?“.

-სუზი (< თურქ. -siz// -suz// -süz) მიუთითებს უყლობა-უქონლობაზე და აქვს ოთხი ფორმა. მუჰაჯირთა შთამომავლების აჭარულში შესული და დამკვიდრებულია მხოლოდ **უ** ხმოვნიანი ვარიაცია:

სადილსუზი ჰადმე არ გიგიშვა-ნა, დაჯექ აგბე, დაა! (ბურს.) „უსადილოდ არსად გაგიშვებ, დაჯექი აგერ, რა!“;

იმფერ კილსუზი ციცაა ხუმ ყოფილა, ამა... (ჰას.) „ისეთი უნაკლო („უკილო“) გოგო კი ყოფილა, მაგრამ...“;

გელინი ქლათ სიტყვასუზი, ადგა და გევდა მისთვინ გარეთ (დუმჯ.) „რძალი მთლად სიტყვის უთქმელად („უსიტყვოდ“) ადგა და გავიდა თავისთვის გარეთ“.

-ჯა// -ჯე (< თურქ. -ca// -ce) მიუთითებს მანერაზე, მსგავსებაზე, რაიმე ენაზე; აქვს ორი ძირითადი ფორმა და მუჰაჯირთა შთამომავლების აჭარულში დამკვიდრებულია ორივე:

ქალო, შენ შენჯე რაჰ იჯები, რაფრაც რომ მე გითხრა, იმფრად ქენ, დაა! (ბურს.) „ქალო, შენ შენებურად რას აკეთებ, როგორც მე გეტყვი, ისე ჰქენი, რა!“;

იგინმა იგინჯა იმსო გუურიგეს, იმფრათ უთხრეს (დუმჯ.) „იმათ მათებურად იმგვარად აუხსნეს, ისე უთხრეს“;

ე რაფერჯე ლაკაიბოფ, ჭოვ, რა გავაგნოვო? (გირ.) „ეგ რა ენაზე ლაპარაკობ, ბიჭო, რა გავიგოვო?“.

-ლულ- (< თურქ. -lik// -luk// -lük) ეფარდება ქართულ **-ობა** სუფიქსს. აქვს ოთხი ფორმა, მაგრამ მუჰაჯირთა შთამომავლების აჭარულში დამკვიდრებულია **უ** ხმოვნიანი ვარიაცია:

ჰინ კაცლული არ აქვა, რამსო ვინცხადა?! (ბურს.) „ვაჟკაცობა სულ არ აქვს, რა ვილაცაა?!“;

პატრონლული არ უქნია თუ? (დუმჯ.) „ყურადღება არ მიუქცევია, თუ რა?“
(„პატრონობა არ უქნია, თუ?“)...

ზოგჯერ, ითავსებს ცოტა სხვა სახის დეტერმინაციულ სემანტიკასაც:

მის დუგუნზე, მამალული ის ყოფილა (ვეის.) „მის ქორწილში მამობილი ის ყოფილა“⁵⁴;

ვინცა რომ მისი კაცლული იქნას-ნა... (გირ.) „ვინც მისი საქმრო იქნება...“

-სო (< თურქ. Soy „გვარი“, „ჯიში“) თურქულში დამოუკიდებელი სიტყვა-ფორმაა, მუჰაჯირთა შთამომავლების აჭარულში კი სუფიქსად ქცეულა: **ამსო** „ამგვარი“, **იმსო** „იმგვარი“, **ჩემსო** „ჩემგვარი, ჩემნაირი“... მაგალითად:

ამფრათ შენსო გურჯი პირველა ისთანბულ ნახე მე (დუმჯ.) „ასე შენგვარი (= საქართველოდან ჩამოსული) ქართველი პირველად სტამბოლში ვნახე მე“;

ესე რაცხა არი რომე, ჰინ რამ-სო არ ალი! (ბურს.) „ეს რაღაც ისეთია, რაც არაფრის მსგავსი არ არის!“;

შენო ვინსო კაცი ხარო? (სინ.) „შენო რა („ვინ-გვარი“) კაცი ხარო?“

თურქული ენიდან შეთვისებული ეს სუფიქსები მოიპოვება ამჟამინდელ აჭარაში გავრცელებულ მეტყველებაშიც, მაგრამ იქ, როგორც წესი, ისინი მხოლოდ და მხოლოდ თურქულ ფუძეებთან გვხვდება: **იალი** (< თურქ. Yağlı „ქონიანი“, **დილსუზი** (< თურქ. Dilsiz) „უენო“, „მუნჯი“... ამავდროულად, აჭარის აჭარულში ასეთ, უწინდელ ნასესხობებს თანდათან ცვლის ძირეული ქართული ეკვივალენტები.

მუჰაჯირთა შთამომავლების აჭარულში, როგორც ვხედავთ, დღემდე უადრესად პროდუქტიულია თურქულიდან (თან, არა სამწიგნობრო ენიდან, არამედ უშუალოდ დიალექტური ნაირსახეობიდან) ნასესხები სუფიქსები, რომლებიც თავისუფლად და სპონტანურად შესაძლოა დაერთოს ნებისმიერ ძირ-ფუძეს: როგორც თურქული ენიდან ნასესხებს, ისე ძირეულ ქართულსაც. რაღა თქმა უნდა, ამგვარი ვითარება თურქულ-ქართულ სამეტყველო კოდთა შერევის ლოგიკურ შედეგს წარმოადგენს.

ახლა კი განვიხილოთ ისეთი შემთხვევები, როცა თურქულიდან ნასესხებ ფუძეებს დაერთვის ქართული აფიქსები. ზოგადად, თურქულიდან ნასესხები ყველა სახელი, ქართული ენის წესისამებრ, შეუზღუდავად იბრუნვის, თუმცაღა ჩვენ მხედველობაში გვაქვს ისეთი მოვლენები, როგორიცაა **ახალ სიტყვათა (სახელთა) წარმოება**. ამდენად, ქვემოთ მოვიყვანთ საყურადღებო, ქართველურ-თურქული შედგენილობის ლექსიკურ ერთეულებს, რომლებშიც ძირი/ფუძე თურქულია, აფიქსები კი — ქართველური:

საგელინო „სარძლო; საპატარძლო“ (< თურქ. Gelin „რძალი“):

შენ რამფერ კაი ხარ, გოვ, საგელინოთ-ნა დიგიყენო, მეტი გიმიხარდება!
(ბურს.) „შენ რა კარგი ხარ, გოგო, სარძლოდ რომ წაგიყვანო, ძალიან გამეხარდება!“;

⁵⁴ **მამალული** ანუ მამობილი ქორწილში არის მამაკაცი (როგორც წესი, ოჯახის ახლობელი), რომელსაც პატარძალი მიჰყავს სიძესთან.

მე რაჰ მიყურეფს ისი, საგელინთ არ დუდგე-ნდა, სხვაფრაც ჰინ რამ არ ვაქნიო... (სინ.) „მე რას მიყურებს ის, სარძლოდ არ გავყვები და სხვაგვარადაც არაფრის ნებას არ მივცემ...“;

საგელინთ ვინცხა რომ არი, იგიც მოვა იგზე, გეძარს და გამეძარს ლამაზობით, კარგობით (დუმჯ.) „გასათხოვარი („სარძლო“) ვინცაა, ისიც მოვა იქ, გაივლის და გამოივლის, როგორც წესია“...

მუაჯირულა // მტაჯირულა „მუჰაჯირულად; არათურქულად“ (< არაბ.-თურქ. Muhacir „მუჰაჯირი“):

ახლა, თურქულა ამსოდ არ-ნა იყოს, მუაჯირულა არი ესე (ბურს.) „ახლა, თურქულად ასე არ იქნება, არათურქულად არის ეს“;

მე რუმ მუაჯირულა იგზე რაცხა ვთქვა, ქირდათ არ იმიღონ-დედი (დუმჯ.) „მე რომ არათურქულად იქ რაღაცა ვთქვა, არ დამცინონ-მეთქი“;

შენ შენთვინა, მტაჯირულა მღერობა იცი, თურქულა არ გეფერება! (სოფ. ვეისელი) „შენ მხოლოდლა არათურქულად იცი სიმღერა, თურქულად კი ვერ ახერხებ!“
ეგევე ტერმინი მხოლოდ გირესუნში იხმარება ასევე „ქართულის“ სინონიმადაც.

აბურჯუბრისავებური „გაუგებარი, არეულ-დარეული და გაურკვეველი“ (< თურქ. Aburcubur „გაურკვეველი, არეული“):

თურქული მან არ იცოდა, ლაკაიფში ვერ აგნევედა ქი, აბურჯუბრისავებური ეყურებოდა (ბურს.) „თურქული თვითონ არ იცოდა, ვერც კი გებულობდა ლაპარაკს, გაუგებრად ეყურებოდა“;

მაღ აბურჯუბრისავებური რაფერჯე იყო? (დუმჯ.) „ეგ გაურკვეველი და არეულ-დარეული რა ენა იყო?“;

იმ კუდიან ახლაც ვერ უქართულეფ — აბურჯუბრისავებური არიო და იხუეფს ისე (ჰას.) „იმ თურქს ახლაც კი ვერ დაელაპარაკები ქართულად — არეულ-დარეულიო და იუცხოვებს“...

ბამბეაზლულობაზე[დ] „დღისით-მზისით, დაუფარავად“ (< თურქ. Bambeyazlık „უკიდურესი სითეთრე“):

ამფრა ბამბეაზლულობაზედ უქნია და დუნახვან მეგერემ ქურთეფს (დუმჯ.) „ასე დაუფარავად უქნია და დუნახვთ, თურმე, ქურთებს“;

იგიც ისე ვინცხად იყო, რომენ, იგირიქ რომ კაცი იჟდა, ბამბეაზლულობაზე ფარაჰ ართვამდა, ვალლაი! (ბურს.) „ისიც ისეთი ვინმე იყო, რომ აი, იქ რომ კაცი იჯდა, დღისით-მზისით ფულს ჰპარავდა, ღმერთმანი!“;

შენ რომ ასთე ბამბეაზლულობაზედ მე დანეთი მიქენ, ე რაფერ-ნა იყოდეს-დედი? (ვეის.) „შენ რომ ასე დაუფარავად მე მიღალატე, ეგ როგორ იქნებო?“

ოიან-ბუიანურად // ომბუიანურად // ომბუინურად „დაუდგრომელი ხასიათის ვინმე; პოპულარული — ვისაც ყველგან იცნობენ; ვისაც ყველა მხარეში ნაცნობი ჰყავს“ (< თურქ. O yana bu yana „აქეთ-იქით“):

მა ქალი გურჯი არ ალი, ამა გურჯეფშიაც ხუმ ლამაზი, ოღან-ბუღანურადა, იშეთ! (ბურს.) ეგ ქალი ქართველი არ არის, მაგრამ ქართველებშიც კი პოპულარულია ძალიან, აი!";

ომბუღანურად რათ მინდა, კაცი ქლათ ჩემი-ნა იყოს, ძიავ! (დუმჯ.) „დაუდგრომელი ხასიათისა რად მინდა, ქმარი მარტო ჩემი უნდა იყოს, ბიძია!“;

იმფერ ომბუინურად ყოფილა რომენ, ჰეფთენ ფაშა გონებიან იგნეფს (ფაც.) „ისე გავლენიანი ყოფილა, რომ სულაც ფაშა ჰგონებიან იმათ“.

ახნამინდელზე „მოსალამოვებულზე, მოსალამოვებისას“ (< თურქ. Akşam „სალამო“):

ახლა მე წავდე-ნა, ამა ახნამინდელზე მოვდე აქ, ჩემსას იგიყვან (დუმჯ.) „ახლა მე უნდა წავიდე, მაგრამ მოსალამოვებულზე მოვალ აქ, ჩემთან აგიყვან“;

ახნამინდელზე მოვდა მუსაფირმაც (ბურს.) „მოსალამოვებულზე მოვიდა სტუმარიც“...

შედარებით იშვიათად გვხვდება ფორმა **ახნამინდელი** „სალამოსდროინდელი; სალამოსი“:

ახლა, ახნამინდელი ნამაზი არსად გუშუვა, ძიავ! (ვეის.) „ახლა, სალამოს ნამაზი არ გამოგრჩეს, ბიძი!“;

შენაც ახნამინდელი კეკალი გიგისთა თუ? (ბურს.) „ვახშმის ვადა შენც გაგივიდა, თუ?“

იქინდინისიქეველი „ნაშუადღევი“ (< თურქ. İkinci „შუადღე“):

იქინდინისიქეველი მოდივო, მითხრა, ილლაქი რაცხა მოგიხაზრო-ნდავო (ბურს.) „ნაშუადღევს მოდიო, მითხრა, ნაღდად რამეს მოგიხერხებო“;

იქინდინისიქეველი იყო, ისე იგზე, ღობი ქენერ-ქენერ გადასლაში დევნახე (დუმჯ.) „ნაშუადღევი იყო, როცა აი, იქით, ღობის კიდებზე გადასვლისას დავინახე“;

უბეე!.. იქინდინისიქეველი იმფრად იქნა, ჰინ რაცხაი საჭმელი არ მოგვეც, რაფერ იმაჯეხი შენა? (ვეის.) „აუუჰ!.. ნაშუადღევი ისე დადგა, არაფერი არ მოგიცია საჭმელად, როგორ იქცევი შენ?“ ...

ალიშვერიშობა „ყიდვა-გაყიდვა; ბიზნესი“ (< თურქ. Alışveriş „აღებ-მიცემობა“):

იმა იგზე მარკეთი აქვა, ალიშვერიშობას იჯება, არი მისთვინა გენგინათ! (ბურს.) იმას იქა მარკეთი აქვს, ბიზნესს ეწევა, არის თავისთვის მდიდრ[ულ]ად!“;

ხუთ წელიწად იქანაც ალიშვერიშობა ვქენით, ლამაზობით ვისაქმეთ (ინეგ.) „ხუთ წელიწადს იქაც ბიზნესს ვაწარმოეთ, კარგად ვიმუშავეთ“;

ენ წინ, ალიშვერიშობაში ვიყავ, იქ ვისაქმებდი, ჰაცხა რუმ გუშინ მიველით, დაა! (ჰას.) „უწინ ბიზნესში ვიყავი, იქ ვიმუშაობდი, სადაც გუშინ მიველით, რა!“

გითთი-გელდიობა „მისვლა-მოსვლა; აქეთ-იქით მოძრაობა“ (< თურქ. Gitti ve geldi „წავიდა და მოვიდა“):

იგი ჩაქველებიანი ქირვადა, დიდი გითთი-გელდიობადც აქვანან, ლამაზობით, კარგობით! (ინეგ.) „ის ჩაქველების ნათლიაა, დიდი მისვლა-მოსვლა აქვთ სიკეთით!“;

სინორზე აწისავეფ გითთი-გელდიობა არ ყოფილა... (ბურს.) „საზღვარზე ახლანდელისამებრ აქეთ-იქით მოძრაობა არ ყოფილა...“;

გითთი-გელდიობაში, ამ ბიჭ ი ციცად ქი მუუქებნია, მეგერემ (სინ.) „მისვლა-მოსვლაში, ამ ბიჭს ის გოგო კი უნახავს, თურმე“.

ყათლიანი „სართულიანი“ (< თურქ. Katlı „სართულიანი“):

აგზე ორყათლიან სახლ დავდგამ, ყასაბაშიც აფართმან ევლეფო, — ფიქრი ქნა (ინეგ.) „აქ ორსართულიან სახლს დავდგამ, დაბაში კი ბინას ვიყიდო, — იფიქრა“;

რამითი ყათლიანიც ისთერ იყოდესო, მაგრათ ნაკეთები იქნება და მეტი რა გინდავო? (ბურს.) „რამდენსართულიანიც გინდა იყოსო, მაგრად ნაკეთები იქნება და მეტი რა გინდაო?“;

იგზე პაწაფც რომ გეძარ, კორჯა ოთელ დეფნახავ-ქი, ოთხ-ხუთ ყათლიან... (ორდ.) „იქ კიდევ ცოტას რომ გაივლი, დიდ სასტუმროს დაინახავ, ოთხ-ხუთ სართულიანს...“

2.1.3.6. ზმნა (ზოგადი მიმოხილვა)

ზმნა პარადიგმების წარმოების თავისებურებების მხრივ, ძირითადად, მესხურ კილოებს მიჰყვება, თუმცა ხოფურ კილოსთანაც გარკვეულ სიახლოვეს იჩენს. ზოგადად კი, ქართველური ზმნური სისტემა თავისი წარმოქმნისა და უღლების კატეგორიებით მუჰაჯირების შთამომავალთა აჭარულში კარგადაა დაცული. გამოიყოფა კაუზატივის, პოტენციალისის, უნებურობის და სხვა კატეგორიები.

ქართული ზმნის სირთულის ერთ-ერთი საფუძველი აფიქსებთან დაკავშირებული პრობლემაა: ერთი და იგივე კატეგორია შეიძლება რამდენიმე აფიქსით გადმოიცეს და, პირიქით, მასალობრივად ერთი და იგივე აფიქსი არაიშვიათად შესაძლოა, რამდენიმე ფუნქციით მოგვევლინოს.

რამდენადაც ზმნის ერთ ფორმაში შეიძლება აისახოს სუბიექტური და ობიექტური პირები, ზმნამ შეიძლება ფორმა იცვალოს **ვ**-ინის ან **მ**-ანის რიგის ნიშნების მიხედვით⁵⁵.

2.1.3.6.1. დრო, კილო და ასპექტი

მუჰაჯირების შთამომავალთა აჭარული კილოკავის ზმნა განარჩევს სამ დროს — წარსულს ანუ ნამყოს, ახლანდელს ანუ აწმყოს და მომავალს, ანუ მყოფადს; ამასთან, მყოფადი დროის ფორმებს გააჩნიათ ზოგადი და აუცილებლობითი სემანტიკაც; მაგ.,

⁵⁵ სახელდება **ვ**-ინის / **მ**-ანის რიგი პირობითია; შემუშავებულია იმის მიხედვით, თუ რით აღინიშნება პირველი პირი: **ვ** თუ **მ** ბგერით.

დწკეთა „გააკეთა (ბევრი)“ არის ნამყო დრო, **დწკეთაჲს** „აკეთებს (ბევრს)“ — აწმყო, **დწკეთოს** „გააკეთოს; გააკეთებს“ — მყოფადი-ჩვეულებრივი; მყოფადი-აუცილებლობითა **დწკეთოსუნდა // დწკეთოს-ნა** „უნდა გააკეთოს; გააკეთებს აუცილებლად“ და ა.შ.

კილოც, შესაბამისად, სამია: თხრობითი, კითხვითი და კავშირებითი; მაგ., **მეჲტდა** „მოვიდა“ თხრობითი კილოა და გულისხმობს იმას, რომ ზმნით გამოხატული მოქმედება ნამდვილ ფაქტად უნდა იქნას აღქმული; **მეჲტდა-თუ?** „მოვიდა?“ კი კითხვითი კილოა და, დაფძენთ იმასაც, რომ კითხვის გამოხატვა მუჲჯირების შთამომავალთა აჭარულში შესაძლებელია ორი სახით, სათანადო ნაწილაკებისა და კითხვითი სიტყვის მეშვეობით; ამასთანავე, იშვიათად — ინტონაციითაც. კავშირებითი კილო გამოხატავს შესაძლებლობას, სურვილს, ნატვრას: **აჯაბ მეჲტდეს!** „ნეტავ მოვიდეს!“; **ბექიმდა მეჲტდესუნ-დოდა, ჲ ვიცი!** „შესაძლოა, მოსულიყო, რა ვიცი!“ და ა.შ.

მუჲჯირების შთამომავალთა აჭარულ კილოკავში ზმნას შეიძლება გააჩნდეს ორი ასპექტი: სრული ან უსრული: თუკი მოქმედებას ბოლო უჩანს, ასპექტი სრულია. წინააღმდეგ შემთხვევაში — უსრული. სალიტ. ენისაგან განსხვავებით, სრული ასპექტი მუჲჯირების შთამომავალთა აჭარულში ზმნისწინებით იშვიათად იწარმოება.

2.1.3.6.2. ზმნის პირი და რიცხვი

სალიტერატურო ენისა და სხვა დიალექტთა მსგავსად, მუჲჯირების შთამომავალთა აჭარულის ზმნა განარჩევს სამ პირსა და ორ რიცხვს. პირისა და რიცხვის ნიშნებიც ასევე, ძირითადად, სალიტერატურო ენის იდენტურია (განსხვავებები აიხსნება, უმეტესწილად, ფონეტიკურ ნიადაგზე); როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, პირის ნიშნები ორი რიგისაა: ვ-ინის და მ-ანის; მაგ.:

ვ-ინის რიგის ნიშნები

მხოლოდობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
1: ვ-, ჲ-, ფ-;	ვ-, ჲ-, ფ- ——— -თ
2 : 0-, ჰ- // ხ-, ს- // შ-	0-, ჰ- // ხ-, ს- // შ- ——— -თ
3: 0- ——— -ს, -ა;	0 ——— -ენ, -ან, -ეს

მ-ანის რიგის პირის ნიშნები

მხოლოდობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
1: მ-	მ- / გვ-
2 : გ- // ქ- // ვ-	გ- // ქ- // ვ-
3: 0-, ხ-, ს- // შ-	0-, ხ-, ს- // შ-

1-ელი პირის ვ- ნიშანს აქვს ალოფონებიც; უ-: გუტგნე „გავიგე“, გუტბდი „გავიზარდე“, ფ-: დაფჩი „დავრჩი“, ფჭამაჟ „ვჭამ“ და ა.შ. აგრეთვე, ლაბთა მუჰაჯირების შთამომავალთა აჭარულ მეტყველებაში დასტურდება ალოფონები: ბ-: დებლჟარე „ოფლში გავიღვარე“, ფ-: ფთქტი „ვთქვი“, პ-: დაპკარგე „დავკარგე“...

აღსანიშნავია, რომ მუჰაჯირების შთამომავალთა აჭარულში მ-ანის რიგის პარალელური გვ- პრეფიქსი მრავლობით რიცხვში თითქმის არც კი გვხვდება: ის მეტისმეტად იშვიათად შეიძლება დადასტურდეს მხოლოდ იმ პირების მეტყველებაში, რომლებსაც მჭიდრო კავშირი აქვთ საქართველოსთან და შეუძლიათ სალიტერატურო ენაზე გამართულად საუბარი. ლივანურის კილოკავებში პარალელურად პრეფიქსული წარმოებაც გვაქვს გვ- ნიშნით: მაქვან „გვაქვს“, გვაქვა „გვაქვს“.

ვ-ინის რიგის მე-2 და მ-ანის რიგის მე-3 პირის ნიშნები დღეს მუჰაჯირების შთამომავალთა აჭარულ დიალექტში დაკარგვის გზაზეა; იშვიათად თუ შეგვხვდება ისეთი ფორმები, როგორცაა, მაგალითად, ახკიდე „აჰკიდე“, შეჭამა „შეჭამა“, ასწია „აილო; ასწია“... — ჩვეულებისამებრ, უფრო ბუნებრივია აკიდე, შეჭამა, აწია ფორმები. პირისნიშნის ფორმებს ხმარობენ ზემო მურღულის მკვიდრთა უფროსი თაობის წარმომადგენლები. ეს მოვლენა, ზოგადად, ქართველურ დიალექტებში მიმდინარე პროცესის ანალოგიურია. ეს პროცესი (ვ-ინის რიგის მე-2 და მ-ანის რიგის მე-3 პირის ნიშნების გაქრობა) სალიტ. ქართულში კარგა ხანია დასრულებულია.

მ-ანის რიგის მე-2 პირის ნიშანია გ-, რომელსაც აქვს ალოფონები: ქ- (მოქცემ „გაძღვევ“, გაქტანან „გაქეთ“), კ- (მოკვლის „გკლავს“, გიგიკეთეთ „გაგიკეთეთ“...).

ყველა ზმნას ნამყო დროთა მე-3 პირის მრ. რიცხვის დაბოლოებად მოუდის -ეს: წუტდეს, მოტდეს, მაკითხეს... სხტები ისტამბულა, იქა-იქა წუტდეს (სინოპი) < „წავიდნენ“; ...ჩემი სოფელებში ბაშხაჲ კაცები მოტდეს (სოფ. ქილიჩლი) შდრ. მოტდეს < „მოვიდნენ“; ბაბომა მაკითხეს... (სოფ. ერფელელი.) < „გვაკითხა“.

ახალგაზრდათა მეტყველებაში ვლინდება -ენ სუფიქსიც: წუტდენ, მოტდენ, მქონდენ, ქონდენ, იჯებოდენ... მაგალითად: ესენი მოტდენ (ქილიჩ.), გემით მოტდენ აქ (ერფ.), თუთუნი მქონდენ (ლალა), ცხვარი ქონდენ (ერფ.), ბეჭრი ხისმეთი იჯებოდენ (ერფ.).

იშვიათად კავშირებითის ფორმებში, მე-3 პირის მხ. რიცხვის დაბოლოებად გვაქვს -ოს: = მოტდოს - ტინცხა მოტდოს (ლალა) (შდრ. II კავშირებითში -ო (-ე, -ა სუფიქსების ნაცვლად) გვხვდება სხვა კილოებშიც. გამოვდ-ო-ს, მოქც-ო-ს (ლივან.), დადგ-ო-ნ, დავრჩ-ო-თ, წოვდ-ო-თ (მაჭახლ.), შეშინდ-ო-ნ, მოქც-ო-ნ (ტაოური) (ფუტკარაძე, 2016: 210, 246, 378). ამგვარი ფორმები გვაქვს ინგილოურშიც (ალიაბადურში): მე-2 კავშ.: დავდგ-ო, გითხრ-ო, დიგიკლ-ო, მოვკლ-ო (იმნაიშვილი, 1966: 118).

2.1.3.6.3. ზმნისწინი

მუჰაჯირების შთამომავალთა აჭარულში დასტურდება ყველა ზმნისწინი, რაც კი გვაქვს სალიტერატურო ენაში. მათი ერთადერთი ფუნქციაა ზმნაში მიმართულების ჩვენება — სალიტერატურო ენისაგან განსხვავებით, მუჰაჯირების შთამომავალთა აჭარულ კილოვაში ზმნისწინებს სხვა ფუნქცია არ გააჩნიათ; მაგ.:

– **რა დჯები ჭოტ, რა გნკეთათ?**.. „როგორა ხარ, ბიჭო, რას შვრები?..“

– **კად ვარ! იშტა, არაბა მოვახაზირატ!** „კარგად ვარ! აი, მანქანას ვაკეთებ!

და შდრ.:

– **შიმდი რა ძქნას, ე ფერიშანი ქარგო ვინ გიგინაზირას, ჭო?!..** „ახლა რა იქნება, ამ გაფუჭებულ ტრაილერს ვინ გაგიკეთებს, ბიჭო?!..“

– **შენ კად ყოფილიყტე, მე მოვახაზირო, და!** „შენ კარგად იყავი, მე გავაკეთებ, რა!

ამ მაგალითებში კარგად ჩანს ზმნისწინთა ფუნქცია: **გნკეთათ** ნიშნავს „აკეთებ [მანდ, შენკენ]“, **მოვახაზირატ** — ვაკეთებ/ვარემონტებ [აქ, ჩემკენ]; ასევე: **გიგინაზირას** ნიშნავს „შეგიკეთოს/შეგიკეთებს [მანდ, შენკენ]“, ხოლო **მოვახაზირო** — „გავაკეთო/გავაკეთებ [აქ, ჩემკენ]“ და მისთ. ამგვარადვე განსხვავდება ფორმებიც: **ჩეკეთეს (მათებურა ჩეკეთეს საქმე** „თავიანთთვის მოიკეთეს საქმე“) და **მეტკეთეთ** (< *მოვიკეთეთ: **რაფერ ე საქმე უნდა მეტკეთოთ?** „როგორ მოვავარებთ ამ საქმეს?“), **დაჩეხა (შიშა დაჩეხა „შეშა დაჩეხა“)** და **მიჩეხა (შიშა ჯირეგზე მიჩეხა „შეშა ჯირეგზე დაჩეხა“)**...

აღნიშნული ვითარება საერთოქართველური მოვლენაა.

2.1.3.6.4. ხმოვანპრეფიქსული წარმოება

ქართული ენის ზმნის ხმოვანპრეფიქსთა სემანტიკა ჯერჯერობით საბოლოოდ დაზუსტებული არ არის.

მუჰაჯირების შთამომავალთა აჭარულში გვხვდება ყველა ის ხმოვანპრეფიქსი, რომლებიც სალიტერატურო ენაში გვაქვს: **ა-**, **ე-**, **ი-**, **უ-**; სემანტიკითაც ისინი სალიტერატურო ენის ხმოვანპრეფიქსთა იდენტურნი არიან, მაგ.: **ფწერატ** „ვწერ“ — **ვაწერატ** „ვაწერ“ — **ვიწერატ** „ვიწერ“ — **ჟუწერატ** „ვუწერ“; **ე-** ხმოვანპრეფიქსს შესაძლოა დამატებით ჰქონდეს უკუქცევითობის სემანტიკაც:

შიმდი აგზე დობიძტი ბაშკათული ვწერტებიტა (ქურ.) „ახლა აქ იობიძეები სხვანაირად ვიწერებით“;

რა დყო, ჭო, რაჰ ელაძგუნები?! (ერეგ.) „რა იყო, ბიჭო, რა უშნოდ იღეჭები?!“...

ასევე — პოტენციალისა:

ჩემი ნენეჰ თურქჩე ვე ეთქტოდა, დაიმა გურჯიჯა მომიქცეუტდეს (მურდ.) „ბებიჩემი თურქულად ვერ ლაპარაკობდა („ვერ ეთქმოდა“), სულ ქართულად მოგვმართავდა“;

გურჯია გავაგნაჲ და ამა, ვე მქერტება! (გონგ.) „ქართული კი ვიცი („გავაგნებ“), მაგრამ ვერ ვწერ („ვერ მქერტება!“)!“

ასევე: მუჰაჯირების შთამომავალთა აჭარულში პოტენციალის სემანტიკა, შესაძლოა, ჰქონდეს ი- ხმოვანპრეფიქსსაც, მაგ.:

ჰელე, ასე მექცევა თუ, ჭოტ?! (ქურ.) „აბა, ასე მოქცევა შეიძლება, ბიჭო?!“;

იშვიათი სახით ასეა სალიტ. ენაშიც: „**ასე არ ითქმის // არ ითქმება**“ ნიშნავს, რომ ასე თქმა არ შეიძლება; თვით ფორმაც: „**შეიძლება**“ ი- ხმოვანპრეფიქსიანი პოტენცი-ალისია; მუჰაჯირების შთამომავალთა აჭარულში ამგვარი წარმოება დღესაც ნორმაა.

არაიშვიათად, მუჰაჯირების შთამომავალთა აჭარულში ხმოვანპრეფიქსი გვხვდება იქაც კი, სადაც სალიტერატურო ენაში უხმოვანპრეფიქსო წარმოება გვაქვს:

მე შენ წერილი მოგიწერო-ნა, ადრესი მომეც, და! „მე შენ წერილი უნდა მოგწერო („მოგიწერო“), მისამართი მომეცი!“;

იმ დელიყანმან ქალ წელზე თოკი მჭდუბ მეგერემ და ისთე დეფთესლიმა (ავან.) „იმ ვაჟკაცმა ქალს წელზე თოკი მოსდო („მოუდო“) თურმე და ისე დაატყვევა („ჩაიბარა“)“...

აღსანიშნავია, რომ ხმოვანპრეფიქსული წარმოება მუჰაჯირების მეტყველებაში საერთოქართველურის ანალოგიურია.

2.1.3.6.5. კაუზატივი (შუალობითი კონტაქტი)

მუჰაჯირების შთამომავალთა აჭარულში კაუზატივი (შუალობითი კონტაქტი) იწარმოება სალიტერატურო ენის ანალოგიურად, კერძოდ, **ა-** პრეფიქსითა და **-ი (< -ინ)** სუფიქსით: **კ[კ]ლის** „ჰკლავს“ — **აკლიათს** „აკვლევინებს“; **წერათს** „წერს“ — **აწერათს // < აწერიათს** „აწერინებს“; **აკეთათს** „აკეთებს“ — **აკეთათს // < აკეთიათს** „აკეთებინებს“ და ა.შ.

2.1.3.6.6. ზმნური ყალიბები

ქართული ზმნური ფორმები ტ. ფუტკარაძემ **სამი დონის** პარადიგმად წარმოადგინა (ფუტკარაძე, 1997: 157-170). პირველი დონის ყალიბებს (ნაკვთებს) ქმნის ხმოვანპრეფიქსებით, კაუზატივითა და სხვა სემანტიკური მახასიათებლებით განსხვავებული ზმნური ფორმები; მეორე დონეს ქმნის დრო-კილო-ასპექტით განსხვავებული ფორმები (მწკრივის ფორმები), მესამეს — პირისა და რიცხვით განსხვავებული ფორმები.

ამასთან, პირველი დონის ყველა ფორმა (ყველა ნაკვთი) შეიცავს მეორე დონის ფორმებს (დრო-კილო-ასპექტით განსხვავებულ ფორმებს); ხოლო მეორე დონის ყველა ფორმა (ყველა მწკრივი) — მესამე დონის ფორმებს (პირისა და რიცხვის ფორმებს).

პირველი დონის ფორმები ერთმანეთისგან განსხვავდებიან ხმოვანპრეფიქსების, კაუზატივის, **-დ** სუფიქსის პოზიციებით, ზმნის ფუძის სემანტიკური ადგილიანობით⁵⁶, ზმნით გამოხატული მოქმედების/მდგომარეობის მიმართულებით, ზმნაში მოაზრებული შედეგის დანიშნულებით.

„გარკვეული პირობითობით, **პირველი დონის ფორმებს** შეიძლება ვუწოდოთ მოქმედების /პროცესის, მდგომარეობის/ მიმართულებისა და ვალენტობის წარმომჩენი ფორმები; შესაძლებლად მიგვაჩნია ამ ყალიბთა ზოგად სახელად გამოვიყენოთ არნ. ჩიქობავას ტერმინი: **ნაკვთი**; შდრ., სხვადასხვა ნაკვთები: **ვაწერ, ვიწერ, ვუწერ, ვწერდი, ვიწერები...**“ (ფუტკარაძე, 1997: 157-170).

მეორე დონის ფორმების — დრო-კილოსა და ასპექტის გამომხატველი ყალიბების — ზოგად სახელად, ტ. ფუტკარაძის აზრით, მოსახერხებელია აკ. შანიძის ტერმინი: **მწკრივი**⁵⁷. მწკრივები ერთმანეთისგან ფორმოებრივად განსხვავდებიან ზმნისწინებით, თემის ნიშნებით და ზოგ შემთხვევაში, სხვა დამატებითი ნიშნებით (მწკრივის ფორმის სავრცობით, მწკრივის ნიშნით), სემანტიკურად — დროის, კილოს და ასპექტის მიხედვით.

მესამე დონეს „ქმნიან ერთმანეთისაგან პირისა და რიცხვის მორფოლოგიური კატეგორიების მიხედვით განსხვავებული ფორმები; კერძოდ, მესამე დონის ყალიბები (პირობითი სახელწოდებით — პირის ფორმები) ერთმანეთისგან განსხვავდებიან ზმნაში წარმოდგენილი ან ნაგულისხმევი პირების კომბინაციებით (და არა — რაოდენობით), ხოლო სემანტიკურად — მოქმედ და აღმქმელ (განმცდელ) პირ(ებ)ზე ორიენტირებით“ (ფუტკარაძე, 1997: 157-170).

ჩვენ ტ. ფუტკარაძის ზემოთ მოყვანილი დებულებები გამოვიყენეთ მუჰაჯირების შთამომავალთა აჭარულისა და მუჰაჯირების შთამომავალთა ლაზურ ზმნურ პარადიგმათა ასაგებად. აქვე უნდა ითქვას, რომ ორივე სხენებული კილოკავის პარადიგმები მცირედ განსხვავდებიან სალიტერატურო ენის პარადიგმებისგან — სხვაობა ძირითადად, ფონეტიკური ხასიათისა და არსებით დაბრკოლებას არ ქმნის. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ტ. ფუტკარაძის ამ დებულებათა მიხედვით აგებული ზმნური პარადიგმები შედარებით სრულყოფილად წარმოაჩენს მუჰაჯირების შთამომავალთა აჭარულის და მუჰაჯირების შთამომავალთა ლაზურის ზმნის სისტემას, ისევე როგორც სხვა ქართველური კი-

⁵⁶ ტ. ფუტკარაძის ახსნით: „ზმნის უნარს, დაიკავშიროს პირები (მოქმედი, ინიციატორი, განმცდელი, აღმქმელი, ადრესატი, პაციენსი...), შეიძლება ეწოდოს **ადგილიანობა**, ხოლო ზმნაში პირის ნიშნების ასახვის შესაძლებლობას — **პირიანობა**; შესაბამისად, "ადგილიანობა" უნდა გავიაზროთ, როგორც სემანტიკური კატეგორია, რომელიც, როგორც წესი, გარკვეულწილად აისახება ზმნურ ყალიბებშიც (ადგილიანობას მორფოლოგიურ კატეგორიად მანამ ვერ გავიაზრებთ, სანამ არ მოხერხდება ზმნური ყალიბების ლოგიკური კლასიფიკაცია ადგილიანობის მიხედვითაც)“ (ფუტკარაძე, 1997: 157-170)

⁵⁷ აკ. შანიძის გრამატიკებში ტ. ფუტკარაძის მიერ II დონის ფორმებად მიჩნეული ყალიბები განიხილება პირველი და მეორე სერიის მწკრივებად.

ლოებისასაც: სანიმუშოდ, ქვემოთ წარმოვადგენთ **ღარაჟს** „ხატავს“ ზმნის პარადიგმებს:

პირველი დონის (დიდი) პარადიგმა:

- მე **ჟ-ღარ-აჟ** ის (მიუმართავი მოქმედება, ორვალენტიანი ყალიბი)
- მე **ვ-ა-ღარ-აჟ იმას** ის (საბედლო მოქმედება, სამვალენტიანი ყალიბი)
- მე **ვ-აღარ-აჟ იმას** ის (კაუზატიური მოქმედება, სამვალენტიანი ყალიბი)
- მე **ჟ-ჟ-ღარ-აჟ იმას** ის (ადრესატული მოქმედება, სამვალენტიანი ყალიბი)
- მე **ვ-ი-ღარ-აჟ** ის (ადრესატული მოქმედება, ორვალენტიანი ყალიბი)
- მე **ვ-ი-ღარ-ჟ-ებ-ი** (ადრესატული მოქმედება, ერთვალენტიანი ყალიბი)
- მე **ვ-ე-ღარ-ჟ-ებ-ი იმას** (უნებლიე მოქმედება, ერთვალენტიანი ყალიბი)
- [მე **ვ-ე-ღარ-ჟ-ი-ებ-ი იმას**] (კაუზატიური მოქმედება, ორვალენტიანი ყალიბი)
- [მე **მ-ი-ღარ-აჟ-ს იმას იმას** ის] (კაუზატიური მოქმედება, ოთხვალენტიანი ყალიბი)
- მე **ვ-ი-ღარ-ჟ-ი** (პოტენციალური მოქმედება, ერთვალენტიანი ყალიბი)
- მე **ვ-ე-ღარ-ჟ-ი იმას** (პოტენციალური მოქმედება, ორვალენტიანი ყალიბი)
- მე **და-ჟ-ღარ-ილ-ჟარ** (უნახავი, მიუმართავი მოქმედების ერთვალენტიანი ყალიბი)
- მე **დი-მ-ი-ღარ-ჟ-ი-ა** ის (უნახავი მოქმედების ერთვალენტიანი ყალიბი)
- მე **დ-ჟ-ღარ-ჟ-ი-ვარ იმას** (თურმეობითი და უნახავი მოქმედების გამომხატველი ერთვალენტიანი ყალიბი)
- მე **დაღარჟილი ვარ** (აღწერითი ერთვალენტიანი ყალიბი)

მეორე დონის (კლასიკური) პარადიგმა:

- მე **ჟ-ღარ-აჟ** ის (აწმყო/მომავალი დრო, თხრობითი კილო, უსრული ასპექტი)
- [მე **და-ჟ-ღარ-აჟ** ის] (აწმყო/მომავალი დრო, თხრობითი კილო, სრული ასპექტი, ხოლმეობითი)
- მე **ჟ-ღარ-აჟ-დ-ი // ჟ-ღარ-ჟ-ი-დ-ი** ის (წარსული დრო, თხრობითი კილო, სრული ასპექტი)
- [მე **და-ჟ-ღარ-აჟ-დ-ი** ის] (წარსული/მომავალი დრო, თხრობითი კილო, სრული ასპექტი, ხოლმეობითი)
- მე **ჟ-ღარ-აჟ-დ-ე // ჟ-ღარ-ჟ-ი-დ-ე** ის (აწმყო/მომავალი დრო, კავშირებითი კილო, უსრული ასპექტი)
- მე **ჟ-ღარ-ე** ის (წარსული დრო, კავშირებითი კილო, უსრული ასპექტი)
- მე **და-ჟ-ღარ-ე** ის (წარსული დრო, კავშირებითი კილო, სრული ასპექტი)
- შენ ღარ-ე** ის! (მომავალი დრო, ბრძანებითი კილო, უსრული ასპექტი)
- შენ და-ღარ-ე** ის! (მომავალი დრო, ბრძანებითი კილო, უსრული ასპექტი)

მე ტ-ღარ-ო ის (აწმყო/მომავალი დრო, კავშირებითი კილო, უსრული ასპექტი)
 მე და-ტ-ღარ-ო ის (აწმყო/მომავალი დრო, კავშირებითი კილო, სრული ასპექტი)

მესამე დონის (მცირე) პარადიგმა:

მე გ-ღარ-აჲ შენ		
მე გ-ღარ-აჲ-თ თქუვენ		
მე ტ-ღარ-აჲ ის		
მე ტ-ღარ-აჲ ისინი		
ჩუვენ გ-ღარ-აჲ-თ შენ		
ჩუვენ გ-ღარ-აჲ-თ თქუვენ		
ჩუვენ ტ-ღარ-აჲ-თ ის		
ჩუვენ ტ-ღარ-აჲ-თ ისინი		
მე მ-ღარ-აჲ შენ	შენ ღარ-აჲ ის	
მე მ-ღარ-აჲ-თ თქუვენ	შენ ღარ-აჲ ისინი	
მე მ-ღარ-აჲ-ს იმან	თქუვენ ღარ-აჲ-თ ის	
მე მ-ღარ-აჲ-ენ იმათ	თქუვენ ღარ-აჲ-თ ისინი	
ჩუვენ მ-ღარ-აჲ-თ შენ	შენ გ-ღარ-აჲ-ს იმან	იმან ღარ-აჲ-ს ის
ჩუვენ მ-ღარ-აჲ-თ თქუვენ	შენ გ-ღარ-აჲ-ენ იმათ	იმან ღარ-აჲ-ს ისინი
ჩუვენ მ-ღარ-აჲ-ენ იმან	თქუვენ გ-ღარ-აჲ-ენ იმან	იმათ ღარ-აჲ-ენ ის
ჩუვენ მ-ღარ-აჲ-ენ იმათ	თქუვენ გ-ღარ-აჲ-ენ იმათ	იმათ ღარ-აჲ-ენ ისინი

სალიტერატურო ენისგან განსხვავებით, მუჰაჯირების შთამომავალთა აჭარული კილოკავის ზმნურ ყალიბთა პირველი დონის (დიდ) პარადიგმაში არის ასევე, პოტენ-ციალური მოქმედების ერთვალენტისანი (მე ვ-ი-ღარ-აჲ-ი) და ორვალენტისანი (მე ვ-ე-ღარ-აჲ-ი იმას) ყალიბებიც, ხოლო მეორე დონის (კლასიკურ) პარადიგმას აკლია მომა-ვალი დროის, კავშირებითი კილოს და სრული ასპექტის ნაკვთი (*და-ტ-ღარ-აჲ-დ-ე//და-ტ-ღარ-აჲ-ი-დ-ე), დანარჩენი პარადიგმები კი სალიტერატურო ენის იდენტურია.

2.1.3.7. სახელზმნა

2.1.3.7.1. საწყისი

მუჰაჯირების შთამომავალთა აჭარულ კილოკავში საწყისის (იმავე მასდარის, სახელზმნის) მაწარმოებელი სუფიქსებია -ტა, -ება, -ობა, -ომა, -ა... მაგ.: გაკეთტა „გაკეთება“, წერთა „წერა“, ზარება „დაზარება“, მოწრება „მოსწრება“, ჭედობა „ჭიდაობა“, ლაკირლობა „ლაპარაკი“, მოკვდლობა „მოკვდობა“, ძგრომა „ძგრომა“, გაწკვდა „გაწვდა, გაწვდობა“; ასევე, გვხვდება -ილ: ყჷირილი // ყურილი

„ყვირილი“, **ყვილი** „კვილი“, **ცინილი** „სიცილი, დაციწვა“, **დავილი** „დავა“, **ბინილი** // **ბენილი** „სირბილი“... ხშირად, **-ილ** სუფიქსით ნაწარმოებ საწყისებს აქვთ პარალელური ფორმები: **ყტირტა // ყურება** „ყვირილი“, **ყივობა** „ყვილი“, **ცინტა // ცინება** „სიცილი“... იშვიათია **სი-** — **-ე** ცირკუმფიქსით ნაწარმოები საწყისები.

სალიტერატურო ენისა და სხვა დიალექტთა მსგავსად, საწყისი ისევე იბრუნვის, როგორც სახელი. ამასთანავე, მუჰაჯირების შთამომავალთა აჭარულში საკმაოდ ბევრი ზმნის საწყისის დაბოლოება არ ემთხვევა სალიტერატურო ენაში მიღებულ ფორმას; მაგ., შდრ.: **გაკეთტა** „გაკეთება“, **დნომა** „დნობა“, **სურტა** „სურვილი, სურვება“ და ა.შ.

2.1.3.7.2. მიმღეობა

მუჰაჯირების შთამომავალთა აჭარულში მიმღეობა სამი სახისაა: აწმყოსი, ნამყოსი და მომავლისა. სამივე სახის მიმღეობა იმავე აფიქსებით იწარმოება, რითაც სალიტ. ენაში; როგორც წესი, მიმღეობას შესაძლოა, დაერთვოდეს ზმნისწინები.

აწმყოს მიმღეობის წარმოებისას, ძირითადია **მ-, მო-, მე-** პრეფიქსები, რომელთაც შეიძლება ახლდეს სხვადასხვაგვარი სუფიქსები: **გა-მ-კეთ-ავი** „მკეთებელი; ვინც რასმე აკეთებს ხოლმე“, **მოლაპარ[რ]იკე** „მოლაპარაკე“, **მო-ცინ-ალი** „მოცინარი“, **მ-პარ-ტ-ელ-ი** „მპარავი“, **მ-კვლ-ელ-ი** „მკვლელი“, **და-მ-ხაზირ-ე** „დამამზადებელი; ის, ვინც რასმე ამზადებს ხოლმე“; **მოსურტალი** „მსურველი“, **მე-კდომ-არი** „მომაკვდავი“ და მისთ.

ნამყოს (წარსულის) მიმღეობა ორგვარია: სუფიქსიანი და პრეფიქსიანი. პირველი იწარმოება საწყისის ფუძეზე **-ილ-**, **-ულ** სუფიქსთა დართვით: **დაღარტილი** „დახატული“, **დაკეთტილი // დაკეთული** „გაკეთებული (ბევრი რამ)“, **დახმარული** „ნახმარი“, **ნახული** „ნახაბი“... მეორე სახის მიმღეობა კი იწარმოება ზმნურ ფუძეზე **ნა-** პრეფიქსის დართვით: **ნათქტი** „ნათქვამი“, **ნაღარ[ტი]** „ნახატი“, **წანათალი** „წანათალი, ნაფოტი“, **ნანთხტი** „სილა გაწული ([მო]ნთხტა „სილის გაწვნა“), **ნაზარები** „დანაზარები“... არაიშვიათად, აგრეთვე კონტამინირებული ფორმებიც დასტურდება: **გა-ნა-ს-ულ-ი** „განასვლელი“, **დანაკეთული** „ნაკეთები (ბევრი რამ)“ და ა.შ.

იშვიათად შეგვხვდება ასევე, სხვაგვარად ნაწარმოები ნამყოს მიმღეობებიც: **კვდარი** „მკვდარი“, **ჟდარი** „დამჯდარი; მჯდარი“; სოფელ გურბინის მცხოვრებთა ახალგაზრდა თაობის მეტყველებაში გავიგონია მათი პარალელური ფორმებიც: **კვდილი**, **ჟდუმილი // ჟდუმილი**. ბოლო შემთხვევაში, **ჟდუმილი** ფორმა ემთხვევა შესაბამისი ზმნის საწყისის ფორმას; თუმცა, შდრ. **დაჟდუმა** „დაჯდომა“ — **დაჟდუმილი** „დამჯდარი“...

ნამყოს მიმღეობას აქვს აგრეთვე, უარყოფითი ფორმებიც, რომლებიც **უ-** — **-ელი** ცირკუმფიქსით იწარმოება; თუმცაღა, სალიტერატურო ენისგან ოდნავ განსხვავებულად: ზმნისწინიან ფორმებს **უ-** პრეფიქსი ორმაგად ერთვის — **უ-დ-ტ-ნახ-ტ-ელ-ი** „[და]უნახავი“, **უ-გ-ტ-კეთ-ტ-ელ-ი** „[გა]უკეთებელი“... შდრ. ასევე: **უ-თქუმ-ელ-ი** „უთქმელი“, **უსუმელი** „უსმელი“ და ა.შ.

მყოფადის მიმღეობა იწარმოება **სა-** პრეფიქსით, რომელსაც შესაძლოა, ერთვოდეს სხვადასხვაგვარი დაბოლოებებიც: **სათქუნი // სათქუამი** „სათქმელი“, **საკეთუნი // საკეთავი** „საკეთებელი“, **დასაწერავი** „[და]საწერი“, **სა-ძახ-ტ-ელი** „დასაძახი“...

აღსანიშნავია ისიც, რომ სალიტერატურო ენისაგან განსხვავებით, მაგ., **დასაწერავი** ნიშნავს არამართო იმას, **რაც დაიწერება**, არამედ — იმასაც, **ვინც დაწერს**:

მე ე[რ] წერილი დასაწერავი ვარ (ერევ.) „მე ერთი წერილი დასაწერი მაქვს“;

შენდა რაცხად სათქუამი ვარ (მურღ.) „შენთვის რაღაც სათქმელი მაქვს“.

მიმღეობა ისევე იბრუნვის, როგორც სახელი. **-ობა** სუფიქსის დართვით კი, მისგან აბსტრაქტულ ცნებათა დასახელებები იწარმოება:

მოცინალობა „სიცილ-ხარხარი“:

იგზე გოგო-ბიჭებ’ შეყრილიყუეს და ისმოდა ერ კად მოცინალობა [ერევ.] „იქ[ით] გოგო-ბიჭები შეყრილიყვნენ და ისმოდა ერთი კარგი სიცილ-ხარხარი“;

სათქუამობა „სასაუბრო თემა“:

ჩემი სათქუამობა შიმდი ისია, რომე... [გურბ.] „ჩემი სასაუბრო თემა ახლა ისაა, რომ...“

2.1.3.8. ზმნიზედა

მუჰაჯირების შთამომავალთა აჭარულში გვხვდება მარტივი და კომპოზიტური ზმნიზედები. შინაარსის მიხედვით კი, გამოიყოფა ადგილის, ვითარების, დროის, ზომა-წონის, კითხვის, ოდენობის... ზმნიზედები.

ადგილის ზმნიზედებია: **აქ, იქ, ავირაქ**, „აი, აქ“ **ივირიქ** „აი, იქ“, **ავირ** „ავერ“, **ივირ** „ივერ“... ბევრ მათგანს შეიძლება დაერთოს ბრუნვის ნიშნებიც: **აქში** „ამ ადგილში“, **იქში** „იმ ადგილში“, **ავზე** „აქ-ზე, ამ ადგილზე“, **ივზე** „იქ-ზე, იმ ადგილზე“, **აქიღამ** „აქედან“, **იქიღამ** „იქიდან“... ასევე ადგილის ზმნიზედებია: **წინ, უკან, მალღა, მემრე** „მერე, შემდეგ“, **ზევთ** „ზევით“, **ქვეთ** „ქვევით“, **ზომოში** „ზემით“, **ქომოში** „ქვემით“, **ახლოზე, ახლოში, ახლოს** „ახლოს“; მაგ.:

აიღინი მაქა ახლოზეა-თუ, გოტ? [კაბ.] „აიღინი მანდ ახლოსაა, გოგო?“...

ვითარების ზმნიზედებია: **თქუენებურა[ღ]** „თქვენებურად“, **ძუელეებურა[ღ]** „ძველებურად“, **ამასავეთ // ამასავეფ** „ამასავით“... ზედსართავი სახელები, უმეტესად, ვითარებითი ზმნიზედების მნიშვნელობით სახელობითი ბრუნვის ფორმით იხმარება: **კაი აკეთაუტს** „კარგად აკეთებს“, **წორი იფიქრაუტს** „სწორად ფიქრობს“... ხშირად, ვითარებით ბრუნვას ენაცვლება საზედაო: **წითელზე მოაფერა** „წითლად შეღება“ და მისთ.

დროის ზმნიზედებია: **შიმდი** (< თურქ.) „ახლა“, **მაშინ // იმაშინ** „მაშინ, ე მაშინ“, **ენ წინ** „ადრე, უწინ“, **ადრეულში** „წარსულში“, **ყუელდღებე // ყუელდღეში** „ყოველდღიურად“, **ვეელი** (< არაბ.-თურქ.) „პირველად“; მაგ.:

აგზე ვეელი ხრისტიანობა იყო, მუსლიმანობა მემრე გიდიქა მეგერემ [მურღ.] „აქ პირველად ქრისტიანობა იყო, მუსლიმანობა მერე შემოსულა თურმე“).

კითხვითი ზმნიზედებია: რატუმ „რატომ“, რისთუინ // რისთუინაჲ „რისთვის; რა მიზნით“, როჲს „როდის“, როჲდამ „როდიდან“, სად // სა // ჰად // ჰა? „სად“...

ზომა-წონის ზმნიზედებია: ბრეჲული „ბევრი“, ცოტა // წუნტა „ცოტა“, პაწაჲ „პაწია, ცოტა“, პატინა „მცირედი“, ამითი // ამდეთი „ამდენი“...

მიზნის ზმნიზედებია: მოსასლეჲაჲ „მოსასვლეჲად“, სასყიდჲეჲაჲ „საყიდ-ლაჲ“ და მისთ.

კომპოზიტური ზმნიზედები ორი განსხვავებული ან ერთნაირი ზმნიზედის ჯამს უდ-რის: აქა-იქში „აქა-იქ“, იმკენ-ამკენ „აქეთ-იქით“ პაწა-ბრეჲული „ბევრი თუ ცოტა“...

2.1.3.9. ნაწილაკი

მუჰაჯირების შთამომავალთა აჭარულ კილოკავში დასტურდება ენკლიტიკური ნაწილაკები:

სხვათა სიტყვისა: -მე „-მეთქი“, -თქუა „-თქო“, -ო // -ტო // -ვო „-ო“:

მოდ-მე აგზე, გითხარ შენ, ჭო! (კაპ.) „მოდ-მეთქი აქ, გითხარი შენ, ბიჭო!“;

წაჲ და იმაჰ უთხარ: ბადრამ-ოღლი შენ საძებარში დაჲვა-თქუა, და! (ერეგ.) „წაჲდი და იმას უთხარი: ბაირამ-ოღლი შენს საძებრად დაიარება-თქო, რა!“;

ისი რა არიჲო? (მურღ.) „ის რა არისო?“...

ქართული სხვათა სიტყვის ნაწილაკები ხშირ შემთხვევაში იცვლება შესაბამისი თურქული ნასესხობებით, თუმცა იშვიათად შეინიშნება უცვლელი ფორმითაც: მაგ.:

რატომ იქმობდენ და დაჲდენ დედემ, ისტამბოლის დედემ (ერფ.) „რატომ გააკეთეს და დასახლდნენ-მეთქი, სტამბოლში-მეთქი“ (-მეთქი < თურქ. dedim);

რას იჯებოდენ იმათ დედემ? (ერფ.) „რას აკეთებდნენ-მეთქი?“

მაგრამ, შდრ.: ქართული სხვათა სიტყვის ნაწილაკი უცვლელი ფორმით:

ერთ ქენარში დამჲდარიყენ და ბალი ჲიქნეოდით ჩჲენს-მეთქი... „ერთ მხარეში დასახლებულიყვნენ და ...ვიქნებოდით ჩვენც-მეთქი“;

ბათუმიდან ქი საქ გამეიქცენ-მეთქი (ერფ.) „ბათუმიდან აქ გამოიქცნენ-მეთქი“.

სინოპელთა მეტყველებაშიც, ქართული სხვათა სიტყვის ნაწილაკებს ხშირად ენაცვლება თურქული ნასესხობებით; შდრ.:

რატომ იქმობდენ და დაჲდენ დედემ, ისტამბოლის დედემ (ერფ.) „რატომ გააკეთეს და დასახლდნენ-მეთქი, სტამბოლში-მეთქი“ (-მეთქი < თურქ. dedim), **რას იჯებოდენ იმათ დედემ?** (ერფ.) „რას აკეთებდნენ-მეთქი?“ მაგრამ, შდრ.: ქართული სხვათა სიტყვის ნაწილაკიანი ფორმით: **ერთ ქენარში დამჲდარიყენ და ბახტლი ჲიქნეოდით ჩჲენს-მეთქი...** „ერთ მხარეში დასახლებულიყვნენ და ბედნიერი ვიქნებოდით ჩვენც-მეთქი“; **ბათუმიდან ქი საქ გამეიქცენ-მეთქი** (ერფ.) ბათუმიდან აქ გამოიქცნენ-მეთქი და ა.შ.

შდრ. თურქ. Yirmi yaşındayım, dedim „20 წლის ვარ-მეთქი“. ნაწილაკად ქცეული **დედიმ** წარმოშობით თურქული Demek „თქმა“ ზმნის ნამყო სრული დროის პირველი პირის ფორმაა.

კითხვითი: -თუ, -ა, -აჯაბ:

შენ მურღულარი არ ხარ-თუ? (ერეგ.) „შენ მურღულელი არ ხარ?“

ამედაფსი გოგო ჰაცხან ახლოზე არ ა[რ]სა? (მურღ.) „აჰმედას გოგო სადმე ახლოს ხომ არაა აქ?“

ენ წინ მოხტელ-აჯაბ, ფადიმეუ? (მურღ.) „ადრე ხომ არ მოხვედი, ფადიმეუ?“

შენ რა იტყუი-აჯაბ, ჭოტ? (გურბ.) „შენ რას იტყვი ნეტავ, ბიჭო?“...

-აჯაბ ნაწილაკი წარმოშობით თურქულია და მუჰაჯირების შთამომავალთა ლაზურშიც არის.

სათანაო: -ს < // -ც, მაგ.: მე-ნ-ა-ს „მეც“, შე-ნ-ა-ს „შენც“, მე ბიჭის მყავა და გოგოფს! (მურღ.) „მე ბიჭიც მყავს და გოგოც!“ ამოსავალი - **-ც** ვარიანტი დღეს უკვე მეტისმეტად იშვიათია; გვხვდება უფრო მეტად მოხუცების მეტყველებაში.

მიწევნი-გაძლიერებითი: -ბილე (თურქ.); მაგ.: **ისი წეუდა-ბილე, თქუვენ მოხტელით კი!** (ერეგ.) „ის წავიდა და თქვენც მოხვედით!“.

2.1.4. ძირითადი სინტაქსური თავისებურებანი

აქ ჩვენ განვიხილავთ მუჰაჯირთა შთამომავლების აჭარული დიალექტის იმ სინტაქსურ თავისებურებებს, რომლებიც სამწიგნობრო ქართული ენისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავდება.

ატრიბუტულ სინტაგმაში რიცხვსა და ბრუნვაში შეთანხმება არ ხდება: **კაფ კაცი, კაფ კაცმა, კაფ კაც[ს]... კაფ კაცები, კაფ კაცებმა...**; **ლაზურ' სახლი, ლაზურ' სახ[ლ]მა, ლაზურ' სახ[ლ]ს... ლაზურ' სახლები, ლაზურ' სახლემმა...**

პრედიკატულ სინტაგმაში სახელი ზმნას ითანხმებს რიცხვში: **ბიჭებ' მეუდეს „ბიჭები მოვიდნენ“, გოგუებ აგზე არიან** „გოგოები აქ არის“.

ზმნური ფორმები დალაგებული გვაქვს სუბიექტის კონსტრუქციების მიხედვით⁵⁸. სულ 3 განსხვავებული კონსტრუქცია დასტურდება: ერგატივიანი (მოთხრობითბრუნ-ვიანი), დატივიანი (მიემითბრუნვიანი) და ნომინატივიანი (სახელობითბრუნვიანი).

ბევრი ზმნა ერგატიულ კონსტრუქციას ქმნის I და II სერიებში; შდრ.:

ქალმან აკეთათს საჭმელი „ქალი აკეთებს საჭმელს“,

ქალმან აკეთათდა //აკეთათიდა საჭმელი „ქალი აკეთებდა საჭმელს“,

ქალმან გნაკეთა საჭმელი „ქალმა გააკეთა საჭმელი“...

ლაზურ კილოებშიც ასევე, იდენტური ვითარებაა:

⁵⁸ ვაშაკიძე, ფუტკარაძე, 2019: 183-184.

**ობორჯაქ დობუნუფს ოჭკომალე,
ობორჯაქ დობუნუბტუ ოჭკომალე,
ობორჯაქ დობუნუ ოჭკომალე⁵⁹.**

ლაზური კილოებისგან განსხვავებით, მუჰაჯირების შთამომავალთა აჭარულში, პარალელურად, სალიტერატურო ენისათვის დამახასიათებელი ვითარებაც დასტურდება, თუმცა, შედარებით უფრო იშვიათად: ზმნა ერგატიულ კონსტრუქციას მხოლოდ II სერიაში ქმნის; მაგ.: **ადინი რაჰ იქამს, რადჯება-ოტი?** (სოფ. ერეგუნა) „ადინი რასა იქმს, რას ირჯება, ნეტავ?“ — აქ დავძენთ იმასაც, რომ სალიტერატურო ენის მსგავსი ერგატიული კონსტრუქცია მუჰაჯირების შთამომავალთა აჭარულ მეტყველებაში არაბუნებრივად ჟღერს და უფროსი თაობის მეტყველებაში არც კი გვხვდება.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის, რომ ხშირად ერგატიული კონსტრუქცია გვაქვს ნომინატიური კონსტრუქციის ზმნასთანაც:

ბაბამ მომიკდა მე (ამბ.-დამ.) „მამა მომიკვდა მე“,

ღორმა ჟომდახუთი წელიწადია, აქით მოტდა (ქუჩ.-ვიმ.) „25 წელია, რაც ტახი აქეთ გამოჩნდა“.

ამ მაგალითებში მოყვანილი ზმნური ფორმები: **მომიკვდა** და **მოვიდა** ქართულ სამწიგნობრო ენაში მხოლოდ ნომინატიურ კონსტრუქციას ქმნიან. სამწიგნობრო ქართულში, ზოგი სხვა ენის მსგავსად (მაგ., ჰინდი-ურდუ, მაროი და ა.შ.) გვაქვს ე.წ. „მსხვრეული ერგატიულობა“ (ინგლ. Split Ergativity) ანუ არასრული ერგატიულობა — ერგატიული კონსტრუქცია დამახასიათებელია მხოლოდ პოლიპერსონალურ ზმნურ ფორმათა ნამყოფ დროებში: „მან გააკეთა ის“, „მან მისცეს მას ის“ — აქ აქტიურია სუბიექტი — ის ითხოვს სპეციალურ, მოთხრობით ბრუნვას, ობიექტი კი სახელობით ბრუნვაშია.

ქართველურ დიალექტებში ამ მხრივ სხვაგვარი სიტუაციაა — ერგატიული კონსტრუქცია შეიძლება დადასტურდეს დატიური და ნომინატიური კონსტრუქციების ნაცვლად:

ჩემ ძმამ ეცოდნება (ლალა) „ჩემს ძმას ეცოდინება“;

ჩუნენას ნენებმა სახში არცა ჟაბირობენ გურჯუჯე (ლალა) „ჩვენთან დედები სახლში ა[ლა]რც საუბრობენ ქართულად“;

ადაფაზარ დამჟღარან ძმებმა (ლალა) „ადაფაზარში დასახლებულან ძმები“.

2.1.5. ლექსიკური ფონდი (ზოგადი მიმოხილვა)

მუჰაჯირების შთამომავალთა აჭარული დიალექტის ლექსიკური ფონდის ძირითადი ნაწილი კარგადაა დაცული. ეს სიტყვები საერთოა სალიტერატურო ენასა და სხვა ქართველურ კილოებთან: **დაფ** „და“, **ძმად** // **ძგმა** // **ძუმა** „ძმა“, **ნენედ** „დედა, ნენა“,

⁵⁹ მაგალითები მოგვყავს ხოფური კილოდან.

ბაბო „მამა, ბაბა“, **მზე** „მზე“, **მთარე** „მთარე“, **წისქვილი** „წისქვილი“... აღსანიშნავია არქაული ქართული ლექსიკა: **მერხულე** „სუფისტი, მერჯულე“, **ტანჯორი** „ბზრიალა“, **ხანაში** „ხენეში, ცუდი“, **ხიზანი** „საცოდავი“...

ბუნებრივია, ლექსიკის გარკვეულ ნაწილს თურქული (და მისი მეშვეობით, არაბული და სპარსული) ნასესხობები წარმოადგენს: **შიმდი** „ახლა“, **ზამანი** „დრო“, **ყინი** „მამლი; ცოლისძმა“, **დელიყანი** „ვაჟკაცი“, **ხოჯა** „მოლა“, **ასკერი** „ჯარისკაცი“... არის ასევე თურქულის მეშვეობით ბერძნულიდან ნასესხები სიტყვები: **მარანდომი** „დურგალი“, **ფისკოფომი** „ეპისკოპოსი“, **ფენერი** „ფანარი“... თურქულის მეშვეობით ევროპული ენებიდან: **ფირანგოდ** „რულეტი“, **ჩიმენტოდ** „ცემენტი“...

შედარებით ცოტაა სომხურიდან (ხეშმილთა დიალექტიდან) ნასესხობები: **სურიკი** „შაშვი“, **ჟაჟიკი** „ხაჭო“, **ანდერი** „უპატრონო“, **აბური** „შეჭამანდი“...

აღვნიშნავთ იმასაც, რომ თითქმის ყველა ის თურქულ-არაბულ-სპარსული ლექსიკური ერთეული, რომელიც აჭარულ დიალექტს XX საუკუნის I ნახევრამდე ახასიათებდა და მერე შესაბამისი ქართული ეკვივალენტით შეიცვალა (იხ. ნიჟარაძე, 1971: 59–65), მუშაჯირ ქართველთა შთამომავლების მეტყველებაში დღესაც ცოცხალია. ასეთი სიტყვებია, მაგალითად: **ლულე** „ჩიბუხი“, **ბარდალი** „ჭიქა“, **ანჯახ** „ძლივსლა“, რომლებსაც, შ. ნიჟარაძის სიტყვით, დღევანდელ აჭარულში შეესაბამება ძირეული ქართული ფორმები: **კიპაჲ**, **ჭიქაჲ**, **ძვილაჲ**. მუშაჯირთა შთამომავალ ქართველთათვის ეს უკანასკნელნიც ცნობილია, თუმცა უპირატესობას ნასესხებ სიტყვებს ანიჭებენ.

იმ ლექსიკური ერთეულებიდან, რომლებსაც გირესუნელ ქართველთა შორის ადრინდელი მნიშვნელობა შეცვლიათ, დავასახელებთ ფორმას **მოწირიხება** „მოხვევა“:

აგზე პაწად მუწირიხო-ნდა (ამბ.-დამ.) „აქ ცოტათი უნდა მოუხვიო“.

ამავე ძირიდან ნაწარმოები ფორმა, **მოწირეხვა** სახით, შ. ნიჟარაძეს მოჰყავს ორი მთავარი მნიშვნელობით: „1. წირეხად (ღვლერჯად) დაგრეხა წნელისა... 2. გადმოგრეხა, მოღრეცა, მოქცევა“ (ნიჟარაძე, 1971: 272); ასევე: **ყართოფილა** გირესუნელ ქართველთა აღქმით, მხოლოდ „კარტოფილის ნაყოფს“ ნიშნავს, შემწვარ კარტოფილს კი **პურად** ჰქვია. ასევეა დუბჯეს ილჩის სოფ. ჰამამუსტისა და ჰაკი-აქუფშიც.

ყურადღებას იქცევს ზოგიერთი ფრაზეოლოგიზმიც, მაგ.: **დასახილოლებელი ნუ გაუხთებით!** ნიშნავს: „ისე ნუ იზამ, რამე საფრთხე რომ დაგვემუქროს!“ — აქ **დახილება** გულისხმობს საკმევლის კმევას, თუმცაღა მუშაჯირი ქართველების შთამომავლებმა ეს აღარ იციან. ასევე: **ფუნაჲს მოკიდება** ნიშნავს „საქმის გაჭირებას“: **რა ფუნა მედვიდე, ჭოუ?!.. პაწად დადექი, დნ!** (ქუჩ.-კიშ.) „რა გააჭირე, საქმე, ბიჭო?!.. ცოტა მოიცადე, რა!“

შემორჩენილია ძველი ლექსიკური ერთეულებიც — ზოგი შეცვლილი, ზოგი უცვლელი ფორმით:

მოტუნაჭე „გავკრიჭე“: **ცხტარი მოტუნაჭე** (ლალა)

ტუნაჭე „ვრეცხავთ“: **მატყლი ტუნაჭე** (ლალა)

გაპუმპლაუტ „გაპუტავ“: **ქათამი გაპუმპლაუტ** (ერფელელი)

წუთხე „მარილიანი“: მარილი თუ ჩაუყარეთ — წუთხეა (ლალა)
 უწუთხო „უმარილო“: მარილი თვარა ჩაუყარეთ — უწუთხოა (ლალა)
 საჩინელი „საჩინელი“ (ლალა)
 ვეწიკებით „ვეზიდებით“ (ლალა)
 პატინაძან პაწაძ, პატარა“ (ლალა)
 ნაჭარი „ქალაღის ფული“ (ლალა)
 მარჩილი „რკინის ფული“ (ლალა)
 ღარჭი „ბავშვი“ (ქილიჩლი)
 ციცაძ „გოგო“ (ქილიჩლი)

საინტერესოდ გვეჩვენება შემდეგი ფაქტიც:

ზოგ შემთხვევაში ბორჩხიდან და მაჭახელიდან წამოსულთა მეტყველებაში დაფიქსირებულია განსხვავებული ლექსიკა:

- „საუბარი“ ბორჩხელისთვის არის **უბირობა**, ხოლო მაჭახელისთვის ანდა აჭარელისთვის — **ლაპარიკი**.
- **გაჭგულიანი** ბორჩხელისთვის არის: „გული დამეწვა“, „ავტირდი“, „დავსევდიანი“ , ხოლო მაჭახელისათვის კი „გავგულისდი“ ანუ იგივე, რაც **გავბღბღი** „გავბრაბდი“. თქმათა შორის არსებულ ამგვარი ტიპის სხვაობაზე მთქმელებიც მუდამ შენიშნავენ: **მაჭახლელებმა ბორჩხას უბირობაზე მეტი ვერ გვიგნებენ** „მაჭახლელები ბორჩხის საუბარს უფრო ვერ იგებენ“ **მაჭახელის ლაპარიკი დაჰა წმინდაა, ბორჩხას დაჰა ბაშქა** „მაჭახლის კილო უფრო წმინდაა, ბორჩხის — უფრო სხვაა“.

ძველი ნასესხობები მუჰაჯირების შთამომავალთა აჭარულ კილოკავში შეგუებულია ქართველური ენობრივი სისტემის ფონეტიკურ კანონებს, ახალი ნასესხობები ან ოკაზონალიზმები კი იმავე კანონებს ნაკლებად ემორჩილება და, არაიშვიათად, უცხო ენიდან (უპირველეს ყოვლისა კი — თურქულიდან) შემოსულ სიტყვებს შემოჰყვება ხოლმე უცხო გამოთქმაც, მაგ.: **რრეთმენი // ორეთმენი** (< თურქ. **Öğretmen**) „მასწავლებელი“, **ქულთური // ქულთური** (< თურქ. **Kültür**) „კულტურა“ და ა.შ.

2.1.6. დასკვნითი სიტყვა

ამრიგად, ქართველურენოვან მუჰაჯირთა შთამომავლებს დღემდე შემორჩენილი აქვს ქართული მეტყველება, რომელიც ძირითადად ჰგავს აჭარულ კილოს, მაგრამ ახასიათებს გარკვეული თავისებურებებიც; საკუთრივ ქართული სამეტყველო კოდების შერევის გარდა, აღსანიშნავია თურქული და ქართული სალიტერატურო ენების გავლენა, კერძოდ, გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული (როცა თურქეთში თურქულენოვანი საშუალო განათლება ყველასთვის სავალდებულო გახდა), ქართველ მუჰაჯირთა მეტყველება უწყვეტად განიცდის სამწიგნობრო თურქული ენის ძლიერ ზემოქმედებას და ბოლო პერიოდში სალიტერატურო ქართული ენის გავლენასაც.

ამ ბოლო 140 წლის განმავლობაში მიმდინარე **სამეტყველო კოდების შერევის გამო** ისტორიული დედაენა დაცული აქვს მხოლოდ უფროს თაობას; ამ თაობის უმეტესობამ საკმაოდ სუსტად იცის თურქული ენა. საშუალო თაობაში ფართოდაა გავრცელებული ქართულ-თურქული ბილინგვური მიმართება. უმცროსი თაობა კი ამჟამად თითქმის მთლიანად გადასულია თურქულ ენაზე, რომელიც მათთვის უფრო პრესტიჟულია, ვიდრე წინაპრების დედაენა; შესაბამისად, **თურქეთში ქართველური ენის აჭარულ დიალექტს ახლო მომავალში სრული გაქრობის საფრთხე ემუქრება**. საფრთხეს ზრდის ისიც, რომ ახალი თაობის ის წარმომადგენლები, რომლებიც დაინტერესებული არიან წინაპრების ენის შესწავლით და საქართველოსთან ურთიერთობით, სწავლობენ უფრო ქართულ სამწიგნობრო ენას. სამწიგნობრო ქართული ენის შესწავლის შემდეგ ისინი უკვე პრინციპულად ცდილობენ, რომ „სწორად“ იმეტყველონ და არაიშვიათად, თავსაც კი არიდებენ დიალექტიზმებს.

მუჰაჯირ ქართველთა მეტყველება უნდა **განვიხილოთ აჭარული დიალექტის ვარიანტად — ქართველური დიალექტური მეტყველების ახალ სახესხვაობად**. ამასთანავე, ვფიქრობთ, რომ უფრო გამართლებულია, „ჩვენებურების ქართული“ ეწოდოს მხოლოდ მუჰაჯირ ქართველთა მეტყველებას, რადგან ის განსხვავდება ქართული ენის ტაოური, ასევე, იმერხეული და ლივანური დიალექტებისაგან⁶⁰.

მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლების აჭარულ დიალექტებში ძირითადად დაცულია საერთოქართველური ენობრივი სისტემა, თუმცა თურქულენოვანი გარემოს ზემოქმედების შედეგად გამოიკვეთა გარკვეული განსხვავებები ფონეტიკაში, მორფოლოგიაში, ლექსიკაში, რაც უდავოდ მოწმობს სამეტყველო კოდთა შერევის ფაქტს.

- 40 წელზე უმცროსი თაობის მეტყველებაში მკვეთრი თანხმოვნები უკვე დაკარგვის გზაზეა — მათ ენაცვლება შესაბამისი რიგის ფშვინვიერები, მჟღერები ან ნაპრალოვნები; შდრ.: ბიჭი > ბინი, კაა > გაა „კარგი“, წევდა > *ცევდა > სევდა „წავიდა“...
- ფონეტიკური პროცესების შედეგად წარმოქმნილი გემინატი თანხმოვნები (**შელლიგი, მუემზინი, ბედდუა**), რომელთაც შესაბამისი სადა თანხმოვნები არ უდასტურდებათ, ვერ ჩაითვლება ფონემებად, რადგან წარმოადგენენ პოზიციურად მიღებულ ბგერებს.
- პალატალიზებული **რ** და **ჟ** ხმოვნები თავს იჩენს, ძირითადად, თურქულიდან შემოსულ სიტყვებში, შედარებით იშვიათად — ძირეულ ლექსიკურ ერთეულებში (როგორც წესი, იქ, სადაც სამწიგნობრო ქართულსა და დანარჩენ დიალექტებში გვაქვს **ჟე** და **ჟი** კომპლექსები); მაგალითად, შდრ.: **ქულოთური** „კულტურა“, **წორი** „წვერი“, **წუმა** „წვიმა“...
- ზედსართავ სახელებში აღმატებითი ხარისხი იწარმოება თურქული ყალიბით — **ენ** ელემენტით: შდრ.: **ენ შავი** „უშავესი“, **ენ დიდი** „უდიდესი“...

⁶⁰ შდრ.: ამავე ტერმინით – „ჩვენებურების ქართული“ შ. ფუტკარაძე აერთიანებს თურქეთში არსებულ რამდენიმე ქართულ დიალექტს: ტაოურს (ტაოს ქართულს) და კლარჯულ დიალექტებს: ლივანურს (ნიგალურს), მაჭახლურსა და იმერხეულს (ფუტკარაძე, 2016: 9-13).

- ქართული აფიქსების პარალელურად აქტიურად გამოიყენება თურქული სიტყვა-წარმოებელი ელემენტები; ფუძე შეიძლება იყოს როგორც ქართული, ისე უცხო: შდრ.: **ნამუსლი** „ნამუსიანი“, **გუდაჯი** „მესტვირე“, **ახჩამინდელზე** „მოსალამო-ვებულზე“, **ალიშვერიშობა** „ვაჭრობა/ყიდვა-გაყიდვა“ ...
- ქართულ სხვათა სიტყვის ნაწილაკებს არაიშვიათად ენაცვლება შესაბამისი თურქული ეკვივალენტები: შდრ.: **გამეიქცენ-მეთქი, დაჟდენ დედემ** „დასახლდნენ-მეთქი“ ...
- ლექსიკური ფონდის ძირითადი ნაწილი კარგადაა დაცული. ბევრია საერთოქართ-ველურიდან მომდინარე სიტყვები; ბუნებრივია, ლექსიკის გარკვეულ ნაწილს თურქული (და მისი მეშვეობით, არაბული და სპარსული) ნასესხობები წარმოადგენს. მაგალითად, რიცხვით სახელთა უმრავლესობა პირდაპირ ნასესხებია თურქული ენიდან (სათანადო ფონეტიკური ცვლილებებით), ძირძველი ფორმები კი თითქმის არც გამოიყენება. რაოდენობით რიცხვით სახელებში ძირეული ქართული რიცხვითი სახელები გვაქვს მხოლოდ **ერთიდან ცხრამეტამდე**, ცხრამეტის შემდეგ კი გამოიყენება თურქული (**ცხრამეტის მემრენაც რა მოდის?** „ცხრამეტის მერე რა მოდისო?“ **ჯირმი, იმის მემრენაც: ჯირმი ბირ...** „ჯირმი (ოცი), იმის მერეც: ჯირმი ბირ (ოცდაერთი)...“).

თავი II

მუჰაჯირთა შთამომავლებს შორის გავრცელებული ლაზური მეთყველება და მისი კვალიფიცირების ზოგიერთი საკითხი

2.2.1. ზოგადი ცნობები

ამჟამინდელ ლაზთა მეტყველება, როგორც ცნობილია, მოიცავს სამ დიალექტს — **ხოფურს** (იგივე **ხოფურ-ჩხალურს**), **ვიწურ-არქაბულსა** და **ათინურ-ართაშენულს**. ეს სამივე ვარიაცია, თავის მხრივ, შეიცავს კილოკავებს — ხოფური: **სარფულს, ნოდედურ-აზლადურს, ორთახოფურს, ფხიგურს, პირონითულ-ბუჩურს, ჩხალურ-ბედლევნურ-მურდულურს** (ანუ **ჩხალურს**). ვიწურ-არქაბული — **ვიწურს, არქაბულს**; ხოლო **ათინურ-ართაშენული**, შესაბამისად: **ათინურს, ართაშენულს**. კილოკავებში გამოიყოფა თქმები, თქმებში კი — ქცევები. **ზოგადად, ლაზური მეტყველების უკლებლივ ყველა ვარიაციას საკმაო თავისებურებები ახასიათებს და არაიშვიათად, მათ შორის გაგებინებაც დიდად გაძნელებულია.**

ლაზური დიალექტები სამწიგნობრო ქართულ ენას დღესდღეობით შესამჩნევად დაშორებულია. ზოგადად, თითოეული მათგანი ყველაზე მეტად მეგრულ დიალექტს უახლოვდება, თუმცა ამ უკანასკნელისაგან ტერიტორიულად გათიშულია. **ქართული საბჭოთა ენათმეცნიერების ერთ-ერთი ცნობილი წარმომადგენელი, არნ. ჩიქობავა ლაზურს (მისი ტერმინოლოგიით — ჭანურს) და მეგრულს დამოუკიდებელი ქართველური ენის — ე.წ. „ზანურის“ დიალექტებად თვლიდა; შესაბამისად,**

ხოფურს, ვიწურ-არქაბულსა და ათინურ-ართაშენულს ლაზური დიალექტის კილოკავებად მიიჩნევდა (ჩიქობავა, 2008: 25). მოგვიანებით ქართველ ენათმეცნიერთა ერთმა ნაწილმა გაიზიარა თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ლაზურიცა და მეგრულიც ქართველურ ენათა ოჯახის ზანური (ან კოლხური) ჯგუფის დამოუკიდებელ ენებადაა მიჩნეული (სარჯველაძე... 1989: 3; კარტოზია, 2005: 3; ქუთელია, 2005: 5-6); მისი ავტორია გერმანელი ენათმეცნიერი გ. დეეტერსი.

ამ საკითხის თაობაზე ჩვენ ვიზიარებთ იმ მართებულ მოსაზრებას, რომელსაც ქართველი ენათმეცნიერები (პ. ჭარაია, ს. ხუნდაძე, მ. ჯანაშვილი და სხვ.) ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდამდე ავითარებდნენ: ლაზურიც, მეგრულიცა და სვანურიც ერთიანი ქართული/ქართველური ენის განუყოფელ ნაწილებს წარმოადგენს (ჭარაია, 1997: 203-204; ხუნდაძე, 1920: 100). 2005 წელს ტ. ფუტკარაძემ ქართველი ერის ლოკალურ ჯგუფთა საშინაო-სამეტყველო ერთეულები (ანუ ქართული/ქართველური ქვესისტემები) ცენტრალურ, განაპირა და საქართველოს ისტორიული ტერიტორიის გარეთ არსებულ დიალექტთა ჯგუფებად დაყო; იმავე დროს, განაპირა დიალექტთა ჯგუფში 6 ქვეჯგუფი გამოყო, კერძოდ, ლაზური და მეგრული განაპირა კილოთა ზანურ ქვეჯგუფში მოაქცია (ფუტკარაძე, 2005: 74).

ქართულ სამეტყველო ერთეულთა ამგვარი დაყოფა არსებითად მართებულია, ოღონდაც დღევანდელი გადასახედიდან უკვე დარწმუნებული ვართ, რომ ერთიანი ლაზური დიალექტის გამოყოფა გაძნელებულია – უპირველეს ყოვლისა, იმ არსებით და აშკარა განსხვავებათა გამო, რომლებიც ამჟამად ისტორიული ლაზეთის სხვადასხვა ნაწილში მცხოვრებ ლაზთა მეტყველებაში დასტურდება. დღეს ხოფურს, ვიწურ-არქაბულსა და ათინურ-ართაშენულს შორის არსებული სხვაობანი უფრო დიალექტური ხასიათისაა და კილოკავურზე მეტია. ამავდროულად, სამივე ლაზურ დიალექტში მაინც ვარგადაა დაცული მეგრულ დიალექტთან საერთო ის თავისებურებანი, რომელთა მიხედვითაც ისინი ერთად უნდა დაჯგუფდეს.

აქედან გამომდინარე, უმჯობესია, თუ ქართველურ განაპირა დიალექტთა ზანურ ჯგუფში მეგრულთან ერთად გავაერთიანებთ არა ერთიან ლაზურ დიალექტს, არამედ ცალკე გამოყოფილ ხოფურს, ვიწურ-არქაბულს და ათინურ-ართაშენულ დიალექტებს, რომელთაც ტრადიციულად მოვიხსენებთ, როგორც ლაზების (იმავე ჭანების) საშინაო სამეტყველო, ლაზურ (ჭანურ) დიალექტებს.

ლაზეთიდან წასული მუჰაჯირების დღევანდელ შთამომავალთა მეტყველება ჩხალური კილოკავის განაყოფია; ამ უკანასკნელი დასახელებით კი მურღულის ხეობის ჩრდილოეთით, მდ. ჩხალასა და მდ. ბელღენის ხეობებში გავრცელებული ლაზური (უფრო ზუსტად — ხოფური) მეტყველება აღინიშნება. ამასთანავე, ჩხალური ყველაზე ნაკლებადაა შესწავლილი — ის პირველად ი. ყიფშიძემ აღწერა გასული საუკუნის 10-იან წლებში (ყიფშიძე, 1911: 32); 1991-1992 წწ. ჩხალაში იმყოფებოდა გ. კარტოზია; მან ჩაიწერა ტექსტები, რომელთა ნაწილი გამოაქვეყნა (კარტოზია, 1993: 303-313); ამ

ტექსტებზე დაყრდნობით, ჩხალური კილოკავისათვის დამახასიათებელი რამდენიმე ძალიან საინტერესო მოვლენა მოკლედ განიხილა (იქვე: 378–380). 2005 წელს ჩხალის ხეობაში რამდენიმე თვის განმავლობაში იმუშავა ამ სტრიქონების ერთ-ერთმა ავტორმა — მიხეილ ლაბაძემაც, ჩაიწერა ფოლკლორული და ეთნოგრაფიული ხასიათის ტექსტები, რომელთა მცირე ნაწილიც 2013 წელს საკუთარი სადოქტორო დისერტაციის დანართად გამოაქვეყნა.

ლაბეთიდან წასული მუჰაჯირების დღევანდელ შთამომავლებთან (დუზჯესა და საქარიის ილებში) ამ სტრიქონების ავტორებმა 2021 წლის ივლის-აგვისტოსა და 2022 წლის ივლისში ვიმუშავეთ. მათი მეტყველება მთლიანად ჩხალური კილოკავია და თუ რამდენიმე უმნიშვნელო სხვაობას არ მივიღებთ მხედველობაში, 140 წელზე მეტი ხნის განმავლობაში რამე შესამჩნევი ცვლილება არ განუცდია. მორფოლოგიაში კარგად შემონახულა ბრუნების სისტემა, ასევე — ზმნის უღლება და აგებულება, რაც ნებისმიერი ქართველური მეტყველებისათვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. სინტაქსური ურთიერთობისთვის დამახასიათებელია ერგატიული კონსტრუქცია, რომელიც სამწიგნობრო ქართულისაგან განსხვავებით, დასტურდება ნომინატიური და დატიური კონსტრუქციების ნაცვლადაც.

აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართველურენოვან მუჰაჯირთა შთამომავლებს შორისვე გავრცელებული აჭარული დიალექტისაგან განსხვავებით, ჩხალური კილოკავი გაცილებით უფრო მონოლითურია — დიფერენცირებული არ არის. ჩვენეული ვარაუდით, ამას სამი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს:

1. მუჰაჯირი ლაბები იმ მხრიდან იყვნენ, სადაც დღესაც გავრცელებულია ერთი დიალექტი — **ხოფური**, რომლის კილოკავები მეტ-ნაკლებად ახლოსაა ერთმანეთთან;
2. ლაბ მუჰაჯირთა უმრავლესობა ჩხალის და ბელღევის ხეობის მკვიდრი იყო; გონი-ოელები, სარფელები, ნოღედელები (მაკრიალელები), აზლაღელები, ლიმანელები შედარებით ცოტანი იყვნენ. სწორედ ამგვარ ფონზე, ლაბ მუჰაჯირთა შორის ჩხალური კილოკავი განზოგადდა. მის განზოგადებას ხელი შეუწყო, ასევე, იმანაც, რომ 1877-1895 წლებში ლაბეთიდან წასულ მუჰაჯირთა აბსოლუტური უმრავლესობა კომპაქტურად დაბინავებული იყო ერთ კონკრეტულ ადგილას — ქ. სტამბოლის ერთ-ერთი აზიური გარეუბნის ტერიტორიაზე; მათი განსახლება დღევანდელ დუზჯეს და საქარიის ილთა სოფლებში მოგვიანებით — XIX საუკუნის ბოლო ათწლეულსა და XX საუკუნის პირველ ოცწლეულში მოხდა. შესაბამისად, ის ძალზე უმნიშვნელო სხვაობანი, რაც ამჟამად აქა-იქ დასტურდება ზოგი სოფლის მეტყველებაში, ახალი წარმონაქმნია;
3. დღევანდელი დუზჯეს და საქარიის ილები, არეალური თვალსაზრისით, ერთ ტერიტორიას წარმოადგენს. ეს ნიშნავს იმას, რომ იქ გავრცელებული ლაბური (უფრო ზუსტად — ჩხალური) მეტყველება არ იყოფა ე.წ. „ენობრივ კუნძულაკებად“.

ამასთანავე, ლაზები სახლობენ თანამემამულე გურჯებთან ერთად და არა — სხვა რომელიმე უცხო ეთნოსის გვერდიგვერდ; გარდა ამისა, ლაზური, როგორც იმ ადგილებში მოგვიანებით მოსული ხალხის მეტყველება, მონოლითურობას ინარჩუნებს **ლ. ბლუმფილდის წესის** თანახმად (ამ წესის თაობაზე ვრცლად იხ. ბლუმფილდი, 1956: 47; ლაბაძე, 2015: 151-153).

მაშასადამე, **ქართველურენოვან მუჰაჯირთა შთამომავლების ერთ ნაწილში დღემდე ფართოდ გავრცელებული ლაზური მეტყველება კვალიფიცირებული უნდა იქნეს, როგორც ქართულ/ქართველურ განაპირა დიალექტთა ზანური ჯგუფის ხოფური დიალექტის ჩხალური კილოკავის დიასპორული სახესხვაობა.**

2.2.2. ძირითადი ფონეტიკური თავისებურებანი

2.2.2.1. ხმოვანთა სისტემა

ზოგადად, ლაზური კილოების ხმოვანთა სისტემა მარტივია. სალიტერატურო ქართულის მსგავსად, აქაც ხუთი სადა ხმოვანი ფონემა გამოიყოფა: **ა, ე, ი, ო, უ**. ესენი წარმოდგენილია სამივე ლაზურ კილოში.

ხუთი სადა ხმოვნის გარდა, ათინურ-ართაშენულ კილოში სპორადულად დაჩნდება ასევე, ნეიტრალური **გ**-ს უმარცვლო ვარიანტი, რომელიც **უ, ო** სავრცობის ალოფონად რეალიზდება (**ჰინდოსუ > ჰინდოსგ** „იმ დროს“, **იქუმსო > იქუმსგ** „იქმს“...). რასაკვირველია, მას ფონემის სტატუსი არ აქვს.

ლაზურ კილოთა ზოგიერთი მკვლევარი (ნ. მარი, ს. ჟღენტი, ნ. ქუთელია...) გამოყოფს აგრეთვე, ე.წ. დოტიზებულ ანუ პალატალიზებულ ხმოვნებს: **ია, იე, იო, იუ**; ჩვენი აზრით, ესენი ჩვეულებრივი აღმავალი დიფთონგებია და არა ხმოვნები. მით უმეტეს, რომ როგორც სამართლიანად მიუთითა გ. კარტოზიამ, ლაზურ კილოებში მოიპოვება **ი** დიფთონგიც, რომელსაც სხვა ავტორები არ აღნიშნავენ (იხ. კარტოზია, 2006: 19).

ს. ჟღენტის აზრით, ლაზურში მოიპოვება „ფშვინვიერშემართვიანი“ **ჰა, ჰე, ჰი, ჰო, ჰუ** ფონემები (ჟღენტი, 1953: 16); „ასპირირებულ“ ხმოვნებზე საუბრობს, აგრეთვე, ნ. ქუთელიაც (ქუთელია 2005: 44-45). ჩვენი აზრით, ფშვინვიერი შემართვა ლაზურ მეტყველებაში, ისევე როგორც სხვა ქართველურ კილოებშიც, დამოუკიდებელ ფონემებს არ წარმოქმნის.

ს. ჟღენტი, ასევე, დამოუკიდებელ ფონემებად გამოყოფს „მაგარშემართვიან“ **‘ა, ‘ე, ‘ი, ‘ო, ‘უ** ხმოვნებს (იხ. ჟღენტი, 1953: 16). ნ. ქუთელია მათ ფარინგალიზებულ ხმოვნებს უწოდებს, თუმცა სამართლიანად აღნიშნავს, რომ „ფონოლოგიური ღირებულება არ გააჩნიათ“ (იხ. ქუთელია, 2005: 21).

ჩვენ მსგავსი „შეფერილობის“ ხმოვნები დადასტურებული გვაქვს მხოლოდ ვიწურ-არქაბული კილოს ზოგ თქმაში. ოლონდ, ამავდროულად, ვფიქრობთ, რომ მათი

ფარინგალიზებულიობა არის ყ-ს რეფლექსი, მაგ.: **მოყონაფუ** (ხოფ.) > **მოფონაფუ** (არქ.) > **მო'ონაფუ** (ორჭ.) „მოყვანა“, ანდა: **ყვილუფს** (ხოფ.) > **ილომს** (ვიწ.) > **'ილომს** (მზუღ.) „კლავს“; ამ ტიპის „ფარინგალიზებული ხმოვნები“ გვხვდება ძირითადად მთიელ ლაზთა მეტყველებაში.

გრძელ ხმოვნებს რაც შეეხება: ლაზურ კილოებში ფონემატური ღირებულების მქონე გრძელი ხმოვნები არ დასტურდება: როგორც წესი, ორი იდენტური ხმოვნის შერწყმით ყოველთვის მიიღება შესაბამისი სადა ხმოვანი (ჩიქობავა, 2008: 51); თუმცა ზოგი მკვლევარის აზრით, გრძელი ხმოვანი შესაძლებელია გაჩნდეს ინტერვოკალურ პოზიციაში თანხმოვნის ამოვარდნის შედეგად – **ნჯაა <- // ნჯარა** „წყალზე გადებული ხის მორი“, **ჰანთეე <- // ჰანთეფე** „ესენი“... (ქუთელია, 2005: 58–59). ჩვენი აზრით, ასეთ მაგალითებში უფრო ორი იდენტური ხმოვანი გვაქვს, ვიდრე ერთი გრძელი ხმოვანი – თუნდაც პოზიციურად მიღებული.

ამასთანავე, მუჰაჯირთა შთამომავლების ლაზურ მეტყველებაში ხმოვნის სიგრძე აწ უკვე დაკარგული ფშვინვიერი შემართვის რეფლექსია და შესაბამისად, იშვიათად გვხვდება (იხ. ზემოთ); ბუნებრივია, ამ ტიპის გრძელ ხმოვნებს ფონემატური ღირებულება ვერ ექნებათ.

ამდენად, ლაზური კილოების ხმოვანთა სისტემა მარტივია ისევე, როგორც ბევრ სხვა ქართველურ ქვესისტემასა და სამწიგნობრო ქართულ ენაშიც.

აქვე დავძენთ, ასევე, შემდეგს:

წარმოებისა და რაგვარობის მიხედვით, ლაზურ დიალექტთა **ა, ე, ი, ო, უ** ასე შეიძლება დავახასიათოთ:

ა მაქსიმალურად ღია (ფართო), დაბალი აწეულობის, შუა (ანდა უკანა) რიგის, არალაბიალური ხმოვანია;

ე პალატალური ანუ მაგარსასისმიერი, წინა რიგისა და საშუალო აწეულობის, არალაბიალური ხმოვანია;

ი ასევე პალატალური (მაგარსასისმიერი) და წინა რიგის, ოღონდ მაღალი აწეულობის არალაბიალური ხმოვანია;

ო უკანა რიგის, საშუალო აწეულობის ლაბიოველარული ხმოვანია;

უ უკანა რიგის, მაღალი აწეულობის ლაბიალური ხმოვანია.

აწეულობისა და რიგის მიხედვით ამ ხმოვნების დაპირისპირება სქემატურად ასეთ სახეს მიიღებს:

აწეულობა	რიგი		
	წინა	შუა	უკანა
მაღალი	ი		უ
საშუალო	ე		ო
დაბალი		ა	

ასე რომ, ლაზური კილოების **ა, ე, ი, ო, უ** იდენტურია სალიტერატურო ქართულის **ა, ე, ი, ო, უ** ხმოვნებისა.

საარტიკულაციო აპარატის (ზესადგამი მილის) ღიაობის მიხედვით, სალიტ. ქართულის ბგერათა მიმართებას ტ. ფუტკარაძე ასე წარმოგვიდგენს (იხ. ფუტკარაძე, 2006: 157): **ა > ე/ო > ი/უ**; ხმოვანთა მიმართება სწორედ ამგვარი იქნება ლაზურ კილოებშიც.

სალიტერატურო ენის მსგავსად, ლაზურ კილოებშიც **ა, ე, ი, ო, უ** ხმოვნები რეალიზდებიან ყველა პოზიციაში; რაიმე დისტრიბუციული შეზღუდვა მათ არ გააჩნიათ; მაგალითად, შდრ.:

ა: **ნცა** (ხოფ., ათინ.-ართ.)// **მცა** (ვიწ.-არქ.) „ცა“, **ტორა** „კინალამ“, **ალანი** „თანატოლი“, **რაკანი** „მთა“, **ჭალანა** „კიბორჩხალა“...

ე: **თე** „სინათლე“, **ხე** „ხელი“, **ეზბა** (ვიწ.-არქ.) „ასანთი“, **ნენა** „ენა“, **ბერე** „ბავშვი“, **მალთე** (არქ.) „კარის მეზობელი“, **მოლე** „გამოღმა“...

ი: **პი** „ვექენი“, **თი** „თავი“, **იხი** „ქარი“, **ირი** „ყოველი“, რინცი (ხოფ.) „ცისარტყელა“, **ინჭირი** „ანწლი“, **მჩირე** „ფართო“, **ხინჯი** „ხიდი“...

ო: **მწკო** (ხოფ., ვიწ.-არქ.) „წყავი“, **ჰო** „ჰო, დიახ, კი“, **ორდო** „მალე; ჩქარა“, **ოხორი** „სახლი“, **კონი** „კაცი“, **თოლი** „თვალი“, **ფალო** „უბრალო“, **ემო** (ხოფ.) „ისე“...

უ: **მწუ** (ათინ.-ართ.) „წყავი“, **შუ** „სველი“, **უფი** „ოფლი“, **უნა** „მავი“, **ბურჭული** „წალდი“, **გური** „გული“, **წულუ** (ათინ.-ართ.) „პაწია“, **ჭინუ** (ვიწ.-არქ.) „ქაფშია თევზის საჭერი ერთგვარი“...

2.2.2.1.1. პალატალიზებული ხმოვნები

ლაზურ კილოთათვის უცხოა ხმოვნების პალატალიზაცია (უმლაუტიზაცია). თურქულად მეტყველების დროსაც ლაზები თავს არიდებენ **რ** და **ჭ** ბგერათა წარმოქმნას; მათ, ჩვეულებრივ, ცვლიან **ო, უ, ი** ხმოვნებით. თურქული **რ** და **ჭ** ხმოვნები **ო** და **ე** დიფთონგებით გადმოიცემა მხოლოდ მაშინ, თუ ისინი მოსდევს უკანაენისმიერ **გ, ქ** ხშულებს. ამის ნათელ მაგალითად გამოდგება ქვემოთ მოყვანილი ნაწყვეტიც ჩვენ მიერ ხოფაში ჩაწერილი ლექსიდან, რომელიც შერეული მეტყველების საინტერესო ნიმუშია:

არ სიფტერი ოპჭოფი
დოდან დაზიდენ კარა,
ბანა **სოზი** ვერმესსან,
დოფხედა დო ვიმგარა...

„ერთი მიმინო დავიჭირე,
შავზე უფრო უშავესი,
სიტყვას თუ არ მომცემ,
დავჯდები და ვიტირებ...“

გინძე მხოხა ვოჭაფა
დუგმელერი გჟუმიშთენ,
მემოწკედი, დამთირე,
გჟუბელ მიმე ეენიშთე?

გრძელ ჩოხას შევაკვრვინებ,
ვერცხლის დილებიანსა,
შემომხედე, სიდედრო,
კარგი სიძე თუ ვარ?“

ლექსში გამოუქებულია ის სიტყვები, რომლებშიც, წესით, პალატალიზებული ხმოვნები უნდა გვხვდებოდეს. როგორც ჩანს, მათ ნაცვლად აქ წარმოდგენილია უბრალო ხმოვნები და აღმავალი **ჟ** დიფთონგი; შდრ.: **სოზი** < თურქ. **Sözü**; **დუგმელერი** < თურქ. **Dügmeleri**; **გუმშიშთენ** < თურქ. **Gümüştên**; **გუზელ** < თურქ. **Güzel**; დავძენთ იმასაც, რომ **გ**, **ქ** ხშულთა მომდევნო პალატალიზებული ხმოვნების აღსანიშნავად დიფთონგები გამოიყენება იმიტომ, რომ ხსენებული ხშულები თურქულში პალატალიზდებიან. ამდენად, **გ** ნახევარხმოვანი სწორედ თანხმოვნის პალატალიზაციას გადმოსცემს, **უ** ან **ო** კი — პალატალიზებულ ხმოვანს. **აქედან ცხადად ჩანს, რომ ლაზური მეტყველებისთვის უცხოა პალატალიზებული ხმოვნები, მაგრამ ჩვეულებრივია უკანაენისმიერ ხშულთა პალატალიზაცია პალატალური ე, ი ხმოვნებისა და გ ნახევარხმოვნის წინ. ამიტომ ლაზები თურქული გ, ქ ხშულების პალატალიზაციას აღიქვამენ უპირატესად, ხოლო პალატალიზებული ხმოვნები კი, როგორც მშობლიური მეტყველებისათვის შეუსაბამო ბგერები, აღუქმელი რჩებათ.**

შენიშვნა: პალატალიზებული ხმოვნები არ დასტურდება ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთის თურქულ დიალექტებში – ამაზე საგანგებოდ უთითებს თურქულ დიალექტთა ცნობილი ფინელი მკვლევარი მიიკა რიასიანენი (რიასიანენი, 1932: 12); მისი ცნობით, პალატალიზებულ ხმოვნებს იქ ჩვეულებრივი ხმოვნები შეესატყვისება; ამავე დროს, **გ** და **ქ** დეპალატალიზებული ხმოვნების წინაც ისევე გვაძლევს **ჯ**-სა და **ჩ**-ს, როგორც ეს პალატალური **ე** და **ი** ხმოვნების წინ ხდება; მაგალითად, გვაქვს: **გელ** > **ჯელ** „მოდი“, **გით** > **ჯით** „წადი“, **ქენდი** > **ჩენდი** „თვითონ“, **ქითაფ** > **ჩითაფ** „წიგნი“ და **გუნ** > **ჯუნ** „დღე“, **გონ** > **ჯონ** „თვალი“, **ქუმე** > **ჩუმე** „ჩურჩხელა“, **ქრა** > **ჩრა** „სოფელი“... ანუ, სალიტ. თურქულის პალატალიზებულ **გ**, **ქ** ხშულებს ყოველთვის **ჯ**, **ჩ** აფრიკატები ესაბამება. რიასიანენის ცნობას იმორჩმებს ა. ვექილოვიც (იხ. А. Векилов, 1973: 19); ჩვენი მხრივ, დავძენთ, რომ ხსენებული მოვლენა ქართველური მეტყველების სუბსტრატია – ათინურ-ართაშენულ კილოში **გ**, **ქ**, **ვ** ხშულები პალატალური **ე**, **ი** ხმოვნების წინ სისტემებრ გადადის **ჯ**, **ჩ**, **ჭ** აფრიკატებში – უკანაენისმიერ ხშულებს პალატალიზებული ალოფონები არ გააჩნია.

საინტერესოა ისიც, რომ ლაზურ კილოთა მკვლევრებს, პალატალიზებულ ანდა „დოტიზებულ“ ხმოვნებზე საუბრისას, მაგალითებად მოჰყავთ ან თურქულიდან შემოსული ის სიტყვები, რომლებშიც თურქულის პალატალიზებული ხმოვნები აღმავალი დიფთონგებით გადმოიცემა, ანდა ზმნური ფორმები. არსებითად, აღმავალი დიფთონგები აქაც ანალოგიურადაა წარმოქმნილი: კერძოდ, მხედველობაში გვაქვს **გე**–ზმნისწინიანი ის ფორმები, რომლებშიაც ზმნისწინს უშუალოდ მოსდევს **-ო-**, **-უ-** და **-ა-** ხმოვანპრეფიქსები. ამ დროს **გე**–ზმნისწინის **ე** ხმოვანი ქრება, მაგრამ მისი გავლენით **გ** პალატალიზდება და ხმოვანპრეფიქსი კი დიფთონგად იქცევა: **გოჭკუ** < ***გე-ო-ჭკ-უ** „დაიწყო“, **გოდუ** < ***გე-უ-დ[ვ]-უ** „დაუდო“, **გაკარბუ** < ***გე-ა-კარბ-უ** „აებლანდა“ და ა.შ. თუკი ზმნისწინსა და ქცევის ნიშანს შორის პირის ნიშანი ჩაერთო, დიფთონგი აღარა გვაქვს: **გევოჭკი**, **გევოდვი**, **გემაკარბუ**...

ამდენად, ზმნურ ფორმებშიც **ღ** უკანანისმიერი **გ** ხშულის პალატალიზაციის აღმნიშვნელია. ეს რომ ასეა, იქიდან მტკიცდება, რომ ათინურ-ართაშენულში, სადაც ხოფურისა და ვიწურ-არქაბულის **გ, ქ, კ** ხშულთა პალატალიზებულ ვარიანტებს **ჯ, ჩ, ჭ** აფრიკატები შეესაბამება და **გე-** ზმნისწინიც **ჯე-** ფორმითაა წარმოდგენილი, გვაქვს: **ჯოჭუ < *გო-ო-ჭუ < *გე-ო-ჭუ < *გე-ო-ჭკ-უ, ჯუღუ < *გო-უ-ღ-უ < *გე-უ-ღ[კ]-უ...** ფორმები; შდრ.: **ჯევოჭი < *გე-ვ-ო-ჭ-ი < *გე-ვ-ო-ჭკ-ი, ჯევუღვი < *გე-ვ-უ-ღვ-ი** და ა.შ.

საინტერესოა, რომ ზოგ სახელურ ფორმაშიაც, პალატალიზებული **გ** ან **ჯ** გვაქვს ხოლმე იქ, სადაც ეტიმოლოგიურად **ღი // ღე** კომპლექსი ივარაუდება. მაგალითად, ხოფურ და ვიწურ-არქაბულ კილოთა სიტყვა **გარი** „საჭმელი ეტიმოლოგიურად სვანურ კილოთა **ღიწ** (*ღიარ-ი) „პური“ და მეგრულის **ღიარა** „ლხინი, პურობა“ ფორმებს უკავშირდება. ათინურ-ართაშენულში მას შეესაბამება **ჯარი** ფორმა, რომელიც სვანურ კილოთა დარად, „პურის“ აღმნიშვნელია. ეჭვგარეშეა, რომ ლაზურ კილოებში ამოსავალი ფორმა იქნებოდა **ღიარ**; **ი** ხმოვნის დოტაზაციის შედეგად, რაც უნდა მოჰყოლოდა მახვილის გადაწევას ბოლოსწინა მარცვალზე, მივიღეთ ***ღიარი**, საიდანაც მიღებულია ხოფური და ვიწურ-არქაბული **გარი**, ეს კი, თავის მხრივ, ამოსავალია ათინურ-ართაშენულის **ჯარი** ფორმისათვის.

ასე რომ, ლაზური მეტყველებისათვის არაბუნებრივი **ღე** კომპლექსის დაძლევა მოხდა **ღე > გე** გზით. ხოლო, პალატალიზებული **გე-სგან** კი, როგორც წესი, ათინურ-ართაშენულში მოგვიანებით **ჯ** მივიღეთ.

შენიშვნა: **ღე** ბგერათკომპლექსი ხოფურსა და ვიწურ-არქაბულ კილოებში შესაძლოა წარმოიქმნას მორფემათა შეერთების ზღვარზე – სხვათა სიტყვის **-ა** ნაწილაკის დოტის გავლენით მჟღერდება მრ. რიცხვში პირველი და მეორე პირის **-თ** სუფიქსი: **ვიდაღა < // ვიდათა** „წავიდეთ“, **ყვიღა < // ყვითა** „ჰქენით“ და ა.შ. თუმცაღა, ამ დროს დ არ პალატალიზდება. იმ მაგალითებში, სადაც **ღე > გე**, ამოსავალი **ღ-**ს პალატალიზებას უთუოდ ხელი შეუწყო **ღ-**ს მომდევნო **მახვილიანმა** ხმოვანმაყ: ***ღიარი < გარი** „საჭმელი“, ***მეროღა < *მეროგა < მერგა // მერგა** „ოხრახუმი“ (შდრ. ბერძნ. Μεριδιά `მწვანილი“). ბოლო მაგალითი საინტერესოა იმ მხრივაც, რომ იქ **ღე > გე** პროცესის შემდეგ მომხდარა მახვილის გადანაცვლება.

2.2.2.1.2. **ღ ბგერა**

ღ პალატალური, ანუ მაგარი სასისმიერი, მჟღერი ბგერაა. ის ახლოსაა, ერთი მხრივ, წინა რიგისა და მაღალი აწეულობის პალატალურ **ი** ხმოვანთან და, არაიშვიათად, მასთანაც მონაცვლეობს; შესაბამისად, **ი / ღ** შეიძლება განვიხილოთ სონანტად.

ი / ღ მონაცვლეობის ფაქტები ყველაზე ხშირად დასტურდება ლექსებში, სადაც ჩვეულებისამებრ, დიდი მნიშვნელობა აქვს მარცვლების რაოდენობას. შესაბამისად, ერთსა და იმავე ფორმებში **ი** გვაქვს მაშინ, როცა ეს მარცვალთა რაოდენობას ესაჭიროება, ხოლო **ღ** კი — როცა არ ესაჭიროება; მაგ.:

ნდლა დიჩოდუ, მჟუათი ქოგეილუ,
სეიჟ გვერდის დიდი ხარბიზ გეიჭკუ...

„დღე დასრულდა, მზეც კი ჩავიდა,
შუალამისას დიდი ომი დაიწყო...“

და შდრ.:

მჟუა გეილუ, ხვალა ბდგი თეფელულის,
ოროფათე გეიჭკასუნ სევიდალულის!

„მზე ჩავიდა, მარტო ვდგავარ გორაკზე
სიყვარულისგან იწყება მოწყენილობა!“

როგორც ვხედავთ, პირველ მაგალითში გვაქვს ფორმები ქოგეილუ, გეიჭკუ, ხოლო მეორეში კი — გეილუ, გეიჭკასუნ. საუბარში, ჩვეულებისამებრ, ფორმები იხმარება, მაგრამ მარცვალთა რაოდენობიდან გამომდინარე, ლექსში **ღ** გვაძლევს სრულხმოვან **ი**-ს.

ახლა განვიხილოთ საპირისპირო შემთხვევა — როცა სრულხმოვანი **ი**, მარცვალთა რაოდენობიდან გამომდინარე, გვაძლევს **ღ**-ს:

მენჯელი ღორმოთიჟ მექჩას, ჩქიმი ნანიკო,
იდაგვალი გუჲ კაპეტი ქომიონუტიკო!
...გუი-სქანის დერდ ვა ბძირა, იდა იბირას,
ჰაწიშქულე შვი, იქეფი, სეჲ კაჲ განჯიას!⁶¹

„ძალღონე ღმერთმა მოგცეს, ჩემო დედიკო,
მუდამჟამს გულ-მაგრად მყოლოდე!
...შენს გულში დარდი არ ვნახო, სულ იმღეროს,
აწი სვი, იქეიფე, ღამით კარგად გეძინოს!“

ამგვარად, ამ ლექსში გამოქცეულია ჩვენთვის საინტერესო ფორმები, სადაც **ი > ღ**; შესაბამისად, ზეპირმეტყველებაში, ჩვეულებრივ, იხმარება ხოლმე: გუი (< // გური), ქომიონუტიკო, სეი (< // სერი), კაი, განჯიას (< // განჯირას) და ა.შ.

მეორე მხრივ, **ღ** სხვა ქართველური კილოების მსგავსად, რეალიზდება **ჟ, რ, ლ, ს, შ, ქ, ჯ** თანხმოვნების ალოფონებადაც; კერძოდ:

ღ ვიწურ-არქაბულ და ათინურ-ართაშენულ კილოებში სისტემებრ ენაცვლება ხოფურის უკანა-ნუნისმიერ, ჩქამიერ ნაპრალოვან მჟღერ **ჟ** თანხმოვანს გეჟო-, გოჟო-, ეჟო-, მეჟა-, მოჟო- ზმნისწინებში; შესაბამისად, ვიწურ-არქაბულსა და ათინურ-ართაშენულში გვექნება: გეილ- (ვიწ.-არქ.) // ჟეილ- (ათინ.-ართ.), გოილ-, ეილ-, მეილ-, მოილ-; ამოსავალი ვითარება ხოფურს დაუცავს, ვინაიდან ამ ზმნისწინებში **ჟ** ნაშთია **ჟინ „ზედ“** თანდებულისა, რომელიც ვიწურ-არქაბულშიაც ამავე სახით გვხვდება, ათინურ-ართაშენულში კი **ჯინ (< ჟინ)** ფორმა გვაქვს. ლაზურ მეტყველებაში დასტურდება, აგრეთვე, საპირისპირო — **ჟ < ღ** პროცესიც: ჟურ < *ღურ „ორი“, ჟერინე // < ღერინე „მაგივრად“ (იხ. ჟღენტი, 1953: 64–65), თუმცა ამის მაგალითები ცოტაა.

სამივე ლაზურ კილოში **ღ**, მეტ-ნაკლები სიხშირით, შეიძლება შეენაცვლოს შუანუნისმიერ **რ** სონორს. ლაზურ კილოებში **რ** არავიზრანტი ბგერაა: გური // გუი „გული“, ირი // იი „ყოველი“, რაკანი // რაკანი (ღვანდ.-ძღემ.) „მთა“, რენ // რენ „არის“,

⁶¹ ავტორ-მოქმელი წათე ბაწაში (მემეტ კაზანჯიოლი); იხ. გ. კარტოზია, ლაზური ტექსტები II, თბილისი, 1993: 123.

ირრავგალი // ირდაგვალი // იდაგვალი „მუდამ“... დასტურდება აგრეთვე საპირისპირო პროცესიც: **ღ > რ**, უმეტესად — ვიწურ-არქაბულში. მაგ.: **დოღვარონენ // < დოღვაფონენ** „ჩაპყვება“, **ორორე // < ოფორე** „კვახი“, **მერემიხთუ // < მემემიხთუ** „[ხედ] გადამხდა“ და ა.შ. (ჟღენტი, 1938: 12). ამგვარივე შემთხვევა ვრცლად განხილული გვაქვს ზემოთაც.

ათინურ-ართაშენულ კილოში დადასტურებულია აგრეთვე წინანუნისმიერი **ლ-ს** გადასვლა **ღ-ში**, თუმცა ეს ხდება მხოლოდ ერთ სიტყვაში — **უკალე // > უკაფე** „შემდეგ“; მეგრული კილოსაგან განსხვავებით, ლაზურ კილოებში **ლ** მაგარი წარმოებისაა.

წინანუნისმიერი ჩქამიერი **ს** თანხმოვნის **ღ-ში** გადასვლაც ათინურ-ართაშენულში დასტურდება. ამ მხრივ, ხსენებული კილო რამდენადმე მსგავსებას ამჟღავნებს კახურ კილოსთან — ათინურ-ართაშენულშიაც, სისტემებრ **ღ-დ** იქცევა ხოლმე მიცემითი ბრუნვის ნიშანი **-ს** (**შკაფ გორტუნ < // შკას გორტუნ** „წელს არტყია“, **ხეფ უკაჩუნ < // ხეს უკაჩუნ** „ხელში უჭირავს“...), ნამყო დროის ფორმებში მესამე პირის მრ. რიცხვის — **ეს**, ასევე, კავშირებით ფორმებში მესამე პირის მხ. რიცხვის **-ს** სუფიქსები გვაძლევს, შესაბამისად, **-ფე** (**მობტეფ < // მობტეს** „მოვიდნენ“, **დობენამტეფ < // დობენამტეს** „აკეთებდნენ“) და **-ფე** (**ნოწედაფ < // ნოწედას** „შეხედოს“, **უშქურტაფ < // უშქურტას** „იცოდეს“) სახეობებს.

გარდა ამისა, ათინურ-ართაშენულში **ღ-დ** იქცევა მესამე პირის აწმყო დროის მხ. რიცხვის **-ს** სუფიქსიც. თანაც, ამ დროს უკვალოდ ქრება თემის ნიშნის (ან თუ ზმნა უთემისნიშნოა, ზმნური ფუძის) თანხმოვნური ელემენტი: **ჭოფუფ < // ჭოფუმს** „იჭერს“, **გამილაფ < // გამილამს** „გამოაქვს“, **იმჩიფ < // იმჩირს** „ცურავს“, **იხაპაფ < // იხაპარს** „ლაპარაკობს“ და ა.შ.

ხოფური კილოს მუჰაჯირთა შთამომავლების ლაზურ და ჩხალურ კილოკავებში ნათესაობითი ბრუნვის **-ში** ნიშანი სისტემებრ იქცევა **ღ-დ** — ამ მხრივ, მუჰაჯირთა შთამომავლების ლაზური და ჩხალური კილოკავები ქართლურ და კახურ კილოებს მოგვაგონებს: **ლაზუტიფ მჭკიდი** „სიმიდის მჭადი“, **დაფ ბერე** „დის შვილი“, **ე ბოზოფ ბაბა** „იმ გოგოს მამა“, **ემუფ ოხორი** „იმისი სახლი“, **ბერეფეფ მანჯე** „ბავშვების პატრონი“... ჩხალურ კილოკავში ხსენებული მოვლენა ძალიანაა გავრცელებული და თითქმის ნორმადაც კია ქცეული.

ათინურ-ართაშენულში **ღ** ენაცვლება უკანაენისმიერ ჩქამიერ **ქ** თანხმოვანს, რომელიც, ჩვეულებისამებრ, მოთხრობითი ბრუნვის მაწარმოებელია: **ხასანიფ ტკუ** „ჰასანმა თქვა“, **ბოზონთაფ ოხორი დოქოსუ** „გოგონამ სახლი დაგავა“... ამასთან, მსგავს ფორმებში **ღ**, შესაძლოა, დაიკარგოს კიდევაც და შესაბამისად, მოთხრობითის ფორმა დაემთხვეს სახელობითისას. გარდა ამისა, **ქ > ღ** პროცესი გვაქვს სხვა შემთხვევაშიც — ათინურ-ართაშენულის თითქმის ყველა კილოკავში დასტურდება პარალელური ფორმები: **ნაქე > // ნაფ?** „სად?“, **ჰაქ > // ჰაფ** „აქ“, **ჰიქ > // ჰიფ** „იქ“; საინტერესოა, რომ ბოლო მაგალითში, ნაცვლად მოსალოდნელი ***ჰიფ** ფორმისა, გვაქვს

ჰეფ. აქედან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ **ქ > ღ** პროცესი აქ მანამდე მოხდა, ვიდრე ძველი **ჰექ** ფორმისგან **ჰიქ** ფორმას მივიღებდით (შდრ.: ხოფ. **ექ**, ვიწ.-არქ. **ჰექ** „იქ“).

ათინურ-ართაშენულშივე დადასტურებულია უკანანუნისმიერი, ჩქამიერი მჟღერი **ჯ** თანხმოვნის გადასვლა **ღ**-ში, ოღონდაც მხოლოდ ერთ შემთხვევაში — ხოფურისა და ვიწურ-არქაბულის **-ჯობ-** ფუძე ათინურ-ართაშენულში ყოველთვის **-ღობ-** სახითაა წარმოდგენილი; შდრ.: ხოფ., ვიწ.-არქ. **ჯობო** და ათინ.-ართ. **ღობო** „სახელი“, ხოფ., ვიწ.-არქ. **ოჯობინუ** და ათინ.-ართ. **ოღობინუ** „ძახება“... აქვე აღსანიშნავია, რომ ამ ფუძის ათინურ-ართაშენულ ვარიანტში **ჯ**-საგან მიღებული **ღ** შეიძლება დაიკარგოს კიდევაც ისეთ ფორმებში, როგორიცაა **უღობამს > // უობამს** „ეძახის“, **გამიღობამს > // გამიობამს** „გაიძახის, ხმას გამოსცემს“ და ა.შ. დღესდღეობით, ათინურ-ართაშენულში **ჯ / ღ** მონაცვლეობა ცოცხალი სახით არ დასტურდება; თუმცა, ჩვენ მიერ მოყვანილი მაგალითი ცხადყოფს, რომ ისტორიულად ეს პროცესი ხსენებული ლაზური კილოსათვის დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო.

2.2.2.1.3. უმარცვლო ჟ

ლაზურ დიალექტებში ძალზე იშვიათად გვხვდება აგრეთვე, **ჟ** ბგერა, რომელსაც ამჟამად დამოუკიდებელ ფონემად ვეღარ მივიჩნევთ. **ჟ** თანამედროვე ლაზურ მეტყველებლაში თითქმის ყოველთვის თავისუფლად მონაცვლეობს **უ** ხმოვანთან: **კაჟლი // კაული** „სანაძლეო“, **დაჟლი // დაული** „დოლი“, **იაჟ // იაუ** „აუპ! (შორისდ.)“, **ბრეჟლი // ბრეული** (ჩხალ.) „მრავალი“... მეორე მხრივ კი, ის ბაგისმიერი **ვ** თანხმოვნის ალოფონად გვევლინება ლაბიალიზებულ კომპლექსებში; მაგალითად: **გვაბლუ // გჟაბლუ** „შემოესია“, **თქვანი // თქანი** „თქვენი“, **უმჭვას // უმჭას** „დაუჩქაროს“ და ა.შ.

ლაბიალური ანუ ბაგისმიერი, მჟღერი, სონანტი ბგერაა.

2.2.2.1.4. ხმოვანთა შემართვა

ლაზურ დიალექტებში დასტურდება ხმოვანთა ორგვარი შემართვა: მაგარი და ფშვინვიერი. ამასთანავე, შემართვით ხმოვანი წარმოითქმის ძირითადად სიტყვის თავში.

ხმოვანთა მაგარი შემართვა უმეტესად დამახასიათებელია ათინურ-ართაშენული, ხოფური კილოებისთვის, ნაწილობრივ — ვიწურ-არქაბულის ვიწური კილოკავისთვისაც. ფშვინვიერი შემართვა, ძირითადად, ვიწურ-არქაბულს და ათინურ-ართაშენულს ახასიათებს; თუმცა, ერთეულ შემთხვევებში ხოფურ კილოშიაც გვხვდება.

მაგარი შემართვა გვაქვს მაშინ, თუკი სიტყვის აბსოლუტურ თავში ან სიტყვის შიგნით — ხმოვნის მომდევნოდ, ნებისმიერი ხმოვნის წარმოთქმისას დამატებით ხდება სახმო სიმების დაჭიმვა. ამ დროს, ჩვეულებრივ, ხმოვნის წინ მოისმის სუსტი, ხორხისმიერი ხშული ბგერა, რომელიც ტრანსკრიფციაში **ჟ** ნიშნით აღინიშნება. ამასთან,

სიტყვის შიგნით, ანუ ინლაუტში ხმოვნების მაგარი შემართვით წარმოთქმის მაგალითები თანამედროვე ლაზურ მეტყველებაში იშვიათია, თუმცა საკმაოდ დასტურდება ვერ კიდევ გასულ საუკუნეში ჩაწერილ ტექსტებში.

სიტყვის თავში ხმოვანთა მაგარი შემართვით წარმოთქმა არც სასაუბრო-ლიტერატურული ენისთვისაა უცხო: მაგალითად, წარმოთქმის: „**ენა**“, „**ერთი**“, „**იქ**“... მაშინ როდესაც იწერება: „ენა“, „ერთი“, „იქ“ და ა.შ. აღსანიშნავია, რომ მაგარი შემართვა განსაკუთრებით საგრძნობია შორისდებულებში: „**ცაფტ!**“, „**ეჰჰ!**“ და მისთ.

ცხადია, ქართველურ კილოებში ხმოვანთა მაგარი შემართვა კიდევ უფრო მეტად შესამჩნევი და გავრცელებულიც შეიძლება იყოს. ამის ნათელ მაგალითად გამოგვადგება ჩალმათუშური კილო, რომელშიც ხმოვნები მაგარი შემართვით წარმოითქმის არამართო სიტყვის თავში, არამედ სიტყვის შიგნითაც და, ამასთან, არსებობს მაგარი დამართვაც; მაგ., შდრ.: **ეჰამბჷ** „ესაუბრა“, **წვერაჰიძე** „წვერაიძე (გვარია)“, **გჷჰკიდ** „გაეკიდა“ ...

ლაზური კილოები ამ მხრივ სალიტერატურო ენას უფრო უახლოვდება, თუმცა ათინურ-ართაშენულში მაგარი შემართვა ზოგჯერ, ჩალმათუშურის მსგავსად, ძლიერ შესამჩნევიცაა. ეს კარგად ჩანს, სხვათა შორის, ი. ყიფშიძის, არნ. ჩიქობავასა თუ ს. ჯიქიას მიერ გასული საუკუნის პირველ ნახევარში ჩაწერილ ტექსტებში, სადაც ანლაუტში ხმოვნის მაგარი შემართვა, უმეტეს შემთხვევაში, საგანგებოდაა აღნიშნული. შესაბამისად, გვაქვს ფორმები: **ყარ** „ერთი“, **ყეგაზდენ** „აიტან“, **ყიმტუ** „გაიქცა“, **ყომ** „ასი“, **ყუოხუ** „დაუძახა“... ამასთან დაკავშირებით, არნ. ჩიქობავა საგანგებოდ აღნიშნავს: „**ყარ** ს. ჯიქიას მიერ ჩაწერილ ათინურ ტექსტებში გვაქვს. თავკიდური **ყ** აბზაცის (ე.ი. მაგარი შემართვის — ავტორთა ჯგუფი) აღმნიშვნელია და ფონემის მნიშვნელობა არა აქვს“ (ჩიქობავა, 1938: 212).

მაგარი შემართვისაგან უნდა განვასხვავოთ ხმოვანთა ფარინგალიზაცია — **ყ** თანხმოვნის ერთ-ერთი რეფლექსი ვიწურ-არქაბულის ზოგ კილოკავში; ამ დროს იცვლება ხმოვნის „შეფერილობა“, ანუ ის თითქოსდა ღრმად, ხახაში გამოითქმის; თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ საკმაოდ ხშირად — განსაკუთრებით, ახალგაზრდების მეტყველებაში — ფარინგალიზებულ ხმოვნებს მაგარშემართვიანი ხმოვნები ენაცვლება ხოლმე.

უნდა ითქვას, რომ ტრანსკრიფციაში სიტყვის თავკიდურ ხმოვანთა მაგარი შემართვა აღნიშვნას არც საჭიროებს, ვინაიდან თავისთავადაც იგულისხმება; სიტყვის შიგნით კი, მაგარი შემართვა მხოლოდ ვიწურ-არქაბულსა და ათინურ-ართაშენულ კილოებს ახასიათებს — ხსენებულ კილოებში ეს **ყ** თანხმოვნის ერთ-ერთი რეფლექსია. მაგალითად, შდრ.: **დიყუ** (ხოფ.) და **დიჰუ** (ათინ.-ართაშ.) „იქნა“, ანდა — **გიყონუნ** (ხოფ.) და **გიჰონუნ** (ვიწ.-არქ.) „გყავს“... რასაკვირველია, მსგავს შემთხვევებში მაგარი შემართვა ტრანსკრიფციაში აუცილებლად უნდა აღინიშნოს.

ამასთანავე, ათინურ-ართაშენული მასალის ჩაწერისას მაგარ შემართვას, როგორც წესი, სიტყვის თავშიაც აღვნიშნავთ, თუ ის ძლიერ შესამჩნევი, ანდა **ყ** თანხმოვნის რეფლექსს წარმოადგენს.

ფშვინვიერი შემართვა, როგორც ითქვა, უმეტესად ვიწურ-არქაბულ და ათინურ-ართაშენულ კილოებს ახასიათებს, თანაც მხოლოდ და მხოლოდ განსაზღვრულ ფორმებში; ამ დროს, სიტყვის თავეში ხმოვნის წარმოთქმისას, დამატებით ფილტვებიდან ამოედინება ჰაერის ნაკადი და, შესაბამისად, ხმოვნის წინ ისმის სუსტი ჰ-ს მსგავსი, ყრუ ხორხისმიერი ფშვინვიერი ბგერა.

ჩვეულებრივ, ლაზური მეტყველების ტრანსკრიბირებისას, ფშვინვიერ შემართვას ჰ ნიშნით აღნიშნავენ. მართლაც, ხსენებული მოვლენა ისტორიულად სწორედ ხორხისმიერი ჰ თანხმოვნის ერთ-ერთი რეფლექსია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ლაზურ კილოებში ეს თანხმოვანი იმდენად შესუსტებულა, რომ ფონემატური მნიშვნელობა დაუკარგავს და მომდევნო ხმოვნის შემართვის ელემენტად ქცეულა.

ხოფურ კილოში ამჟამად ფშვინვიერი შემართვა რამდენიმე ფორმაში გვაქვს: ჰო „ღიახ, კი“, აჰა „აგერ“, ეჰე „ეგერ“, ჰელე „აბა“, ჰაიდე „ჰაიდა“... სხვაგან მას მაგარი შემართვა ენაცვლება. მაგალითად, შდრ.:

ვიწურ- არქაბული	ათინურ- ართაშენული	ხოფური	სალიტერატურო ქართული
ჰაშო	ჰაშო	აშო	„ასე, აქეთ“
ჰექო	ჰიქო	ექო	„იქ“
ჰემკელე	ჰიმკალე	ემკელე	„იქითკენ“
ჰაგაგა	ჰაგაგა	აგაგა	„ქარაფშუტა“
ჰაფალა	ჰაფალა	აფალა	„თეგზის ჯიში“

ლაზურ კილოებში ფშვინვიერი შემართვა სიტყვის შიგნით სამად სამ ფორმაშილა გვხვდება: აჰა „აგერ“, ეჰე „ეგერ“, ეჰო „ღიახაც, სწორედაც“; სამივე ნაწარმოებია და არა პირველადი — თავკიდური ა და ე აქ ჩვენებითი ნაწილაკებია.

ვიწურ-არქაბული კილოს არქაბულ კილოკავში კი ფშვინვიერი შემართვა ხანდახან იმგვარ სიტყვებშიც გვაქვს, სადაც ეტიმოლოგიურად ჰ თანხმოვანი არ ივარაუდება; მაგალითად, იტყვიან: ჰემთუმანი „აღმართი“, ჰემქია „ყაჩალი“, ჰეფეი „საკმარისი“... მაშინ, როცა სხვაგან ყველგან დაცულია ამოსავალი ემთუმანი, ემქია, ეფეი... ფორმები.

შენიშვნა: ნ. ქუთელია ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე, არნ. ჩიქობავას მიერ ათინელ ისქანდერ ციტაშთან (ციტაიშვილთან) საუბრისას დაფიქსირებულ ფორმებზეც: ჰვით (=ჰჷით) „ათი“, ჰვითოში (=ჰჷითოში) „ათასი“... და მათ „ასპირირებული ანლაუტის“ (ანუ, ფშვინვიერი შემართვის) საინტერესო მაგალითებად მიიჩნევს (ქუთელია, 2005: 47). ეს ფორმები მართლაც საინტერესოა. ამავდროულად, სრულიად უჩვეულოა არამართო ათინურ-ართაშენული დიალექტისათვის, არამედ მთელი ლაზური მეტყველებისთვის და, ჩვენი აზრით, უფრო იდიოლექტური თავისებურება უნდა იყოს.

სხვა ქართველური კილოებიდან ფშვინვიერი შემართვა ახასიათებს, ასევე, ინგილოურს: **ჰუთქომ** „უთქვამს“, **ჰემანდ** „ემანდ“, **ჰადჷლ** „ადვილი“...

ფშვინვიერი შემართვის მაგალითები მრავლად მოიპოვება ასევე, ბალსზემოურში, ბალსქვემოურში, მესხურ-ჯავახურსა და სხვა კილოებში. ამასთანავე, მეგრულ კილოში ხსენებული მოვლენა მხოლოდ თითო-ორჯერ სიტყვაშია შემორჩენილი, ხოფურის მსგავსად.

ს. ჟღენტი თავის ცნობილ ნაშრომში: „მეგრულ-ჭანურის ფონეტიკა“ მაგარ და ფშვინვიერშემართვიან ხმოვნებს დამოუკიდებელ ფონემებად მიიჩნევს (ჟღენტი, 1953: 16). ჩვენი აზრით, ასეთი თვალსაზრისი მცდარია, ვინაიდან შემართვა ფონემის განმსაზღვრელ მთავარ ნიშნად ვერ ჩაითვლება.

სხვათა შორის, ლაზურ კილოებში ხმოვანთა შემართვის შესახებ საინტერესო მოსაზრებას ავითარებს ნ. ქუთელია: „ლაზურს მიდრეკილება აქვს ანლაუტის გართულებისაკენ, თუ შეიძლება ასე ითქვას. მარტივხმოვნიან ანლაუტს ლაზური ერთგვარად გაურბის“ (ქუთელია, 2005: 45); ჩვენი მხრივ, დავძენთ, რომ ანლაუტის ამგვარი გართულება დამახასიათებელია არამარტო ლაზური კილოებისათვის, არამედ, საერთოდ, ქართველური ენობრივი სისტემისათვის.

საინტერესოა, რომ მუჰაჯირთა ლაზურ მეტყველებაში ფშვინვიერი შემართვა უკვე მთლიანად გამქრალია; თუმცაღა იმ ფორმებში, რომლებშიც ხოფურ კილოში (და ჩხალურ კილოკავში) ხსენებული მოვლენა შემორჩენილია, მუჰაჯირთა მეტყველებაში გვაქვს გარკვეული რეფლექსი — გრძელი ხმოვანი, მაგ.:

რ დიახ, კი, რდოდგითუ (შდრ. ხოფ., ჩხალ.: **ჰოდოდგითუ**) „ქე დადგა, კი დადგა“,

ქლე „აბა“ (**ქლე ვიგზალათ, ბიჭეფე!** „აბა წავიდეთ, ბიჭებო!~),

ადე „ჰაიდა; მიდი“ (**ა პარამითინა გიწვაი? - ჰადე, დომიწვი!** „ერთი ზღაპარუკა მოგიყვე? — მიდი, [ქე]მომიყვე!“).

რაც შეეხება ხოფურის **აჰა** და **ეჰე** ფორმებს, ისინი მუჰაჯირებთან **ჰჰა** და **ქჰე** სახით გვაქვს:

ჰჰა, მუსას ოხორი, ამეის რენ „აგე, მუსას სახლი, აგერაა“;

ქჰე, ნამეი ენ არხა! „ევე, რომელი [ადვილია] არხვა!“...

აღსანიშნავია, რომ მუჰაჯირთა შთამომავლების ლაზურში გრძელი ხმოვანი სხვა შემთხვევებში არ გვხვდება; შესაბამისად, ის ფონემა არაა.

2.2.2.2. თანხმოვანთა სისტემა

ლაზური კილოების თანხმოვანთა სისტემა თითქმის მთლიანად ემთხვევა სალიტერატურო ენის და სხვა ქართველურ კილოთა თანხმოვანთა სისტემას. დასტურდება 30

თანხმოვანი. აქედან 26 ჩქამიერია, 4 კი სონორი. თავის მხრივ, ჩქამიერი თანხმოვნები იყოფა ხშულებად და ნაპრალოვნებად, სონორები — ნაზალებად და ორალებად.

გარდა ამისა, სონორი და ჩქამიერი თანხმოვნები, შესაძლებელია, დაჯგუფდეს ასევე ლოკალური რიგის მიხედვითაც — ასეთ შემთხვევაში გვექნება 8 რიგი: ბაგისმიერნი, ენა-კბილისმიერნი, წინანუნისმიერნი, უკანანუნისმიერნი, შუანუნისმიერნი, უკანანუნისმიერნი, ხახისმიერნი და ხორხისმიერნი.

წარმოვადგენთ ჩქამიერ და სონორ თანხმოვანთა სქემებს ცალ-ცალკე:

ჩქამიერები:

	ხშულები			ნაპრალოვნები	
	მჟღერი	ფშვინვიერი	მკვეთრი	მჟღერი	ყრუ
ბაგისმიერი	ბ	ფ	პ	-	ფ
ენა-კბილისმიერი	დ	თ	ტ	-	-
წინანუნისმიერი	ძ	ც	წ	ჩ	ს
უკანანუნისმიერი	ჯ	ჩ	ჭ	ჟ	შ
უკანანუნისმიერი	გ	ქ	კ	ღ	ხ
ხახისმიერი	-	-	-	-	ყ
ხორხისმიერი	-	-	(ღ)	-	(ჰ)

სონორები:

	ნაზალები	ორალები	
		პირდაპირი	გვერდითი
ბაგისმიერი	მ	ვ	-
წინანუნისმიერი	ნ	-	ლ
შუანუნისმიერი	-	რ	-

უნდა აღინიშნოს, რომ ხორხისმიერი ჩქამიერები კვადრატულ ფორხილებში გვაქვს ჩასმული, რადგანაც არცერთი აღარაა ფონემა — ამჟამად ორივე მხოლოდ ხმოვანთა შემართვის ელემენტსა წარმოადგენს.

ამასთან, თანხმოვანთა რაოდენობა სამივე ლაზურ კილოში ერთგვარი არ არის — ვიწურ-არქაბულსა და ათინურ-ართაშენულში გვაკლია ხახისმიერი მკვეთრი ხშული ყ. აღვნიშნავთ იმასაც, რომ ხოფურშიც, ვიწურ-არქაბულშიცა და ათინურ-ართაშენულშიც ფონემის სტატუსი აქვს ბაგისმიერ ყრუ ფ ნაპრალოვანს, რომელიც სხვა ქართველურ კილოებში (და სალიტ. ენაში) ძირითადად, სხვა ბგერათა ალოფონს წარმოადგენს. გარდა ამისა, შუანუნისმიერი რ არავიბრანტია, ისევე, როგორც მუჰაჯირთა შთამომავლების აჭარულში (ეს ბგერა უკვე განვიხილეთ აქვე, I თავში).

2.2.2.2.1. გემინატი (ინტენსიური) თანხმოვნები

ლაზურის სამივე დიალექტში მოიპოვება პოზიციურად მიღებული თანხმოვანი ბგერები, რომლებიც ინტენსიური გამოთქმით ხასიათდება. ისინი შეიძლება იყოს ნასესხები (უცხო სიტყვებს შემოყოლილი), ანდა ფონეტიკური პროცესების შედეგად წარმოქმნილი. ამგვარი ბგერები, როგორც წესი, არ გვხვდება სამწიგნობრო ქართულში.

ნასესხები გემინატებიდან მუჰაჯირთა შთამომავლების ლაზურში (resp. სხვა ლაზურ კილოებშიც) ყველაზე ხშირია **ლლ** და **ნნ**: **ილლა** „აუცილებლად“, **თემენნა** „ისლამური მისალმება“, **შელლილი** „მხიარულება“, **დელლი** „ადგილობრივი“... აღსანიშნავია, რომ ეს სიტყვები გემინატთა იდენტური გამოთქმით გვხვდება სხვა მესხურ კილოებშიც და მუჰაჯირთა თურქულ მეტყველებაშიც.

ცალკეულ ნასესხებ სიტყვებში, მუჰაჯირთა შთამომავლების ლაზურშიც დავადასტურეთ ასევე **სს**: **ჰელესსა** „ელესა [სასიმღერო რეფრენი]“, **კკ**: **ხაკკი** „ჰაკი [მამაკაცის სახელი]“, **დდ**: **ბედდჷაჲ** „წყევლა“... საინტერესოა აგრეთვე ისიც, რომ მუჰაჯირთა შთამომავლების ლაზურში ნასესხებ გემინატებს შესაბამისი სადა თანხმოვანი მეტისმეტად იშვიათად ენაცვლება ხოლმე.

ათინურ-ართაშენულ კილოში მეორეული გემინატი თანხმოვნები მოიპოვება ასევე, საკუთარ ლექსიკურ ერთეულებში: **ოტტუ** (<--//**ორტუ**) „იყო“, **მუდდული** (<--//**მურდული**) „მურდული“ და ა.შ. ესენი, არსებითად, ისეთივე გზითაა წარმოქმნილი, როგორც ზემოთ განხილული, **მისსა** და **მომშრა** ტიპის ფორმებში პოვნეირი გემინატები. განსხვავება მათ შორის ისაა, რომ ათინურ-ართაშენულში მეორეულ გემინატებს/ინტენსიურ თანხმოვნებს თავისუფლად ენაცვლება შესაბამისი სადა თანხმოვნები, მურდულურ-ლივანურში კი ასეთი რამ, მოცემულ შემთხვევაში, არ დასტურდება.

ჩვენი აზრით, ზოგადად ლაზურ კილოებში, ისევე, როგორც ლივანურსა და სხვა ქართველურ კილოებში, ფონეტიკური პროცესების შედეგად წარმოქმნილი გემინატები ვერ ჩაითვლება ფონემებად, რადგანაც ისინი პოზიციურად მიღებული ბგერებია.

2.2.2.3. სინტაგმატიკა. ფონეტიკური პროცესები

ლაზური დიალექტების **ხმოვანთკომპლექსებში** გავრცელებული ფონეტიკური ცვლილებები უხვი ნაირსახეობით გამოირჩევა.

ეა, ეო, თა კომპლექსები, არასრული რეგრესული ასიმილაციის შედეგად, გვაძლევს და, დო და ჭა დიფთონგებს: დალენ <- *ე-ა-ლ-ენ „შეუძლია ავიდეს“, დონჭუ <- *ე-ო-ნჭ-უ „აღმართა, ასწია“; დტაყუ <- *დო-ა-ყ[ვ]-უ „შეექნა“ და ა.შ.

ეი, თი კომპლექსებიც შემდეგ ნაირსახეობებს იძლევიან: 1) არასრული რეგრესული ასიმილაციის შედეგად ეფ, თფ დიფთონგებს: ეინჭუ <- *ე-ი-ნჭ-უ „აღმართა, აიწია“, გეფლუ <- *გე-ი-ლ-უ „ჩავიდა“, გოფკითხუ <- *გო-ი-კითხ-უ „გაიკითხა“, თფჭოფუ <- თ-ი-ჭოფ-უ „დაჭერილ იქნა, დაიჭირეს“... 2) დი დიფთონგს ან სადა ი ხმოვანს, უი ბგერათკომპლექსს; მაგ., მოყვანილი მაგალითები პარალელურად გვხვდება ამგვარი ფორმითაც: დინჭუ, გილუ, გუიკითხუ...

აე და აი კომპლექსები, ძირითადად, უცვლელი დარჩება: ვაენ <- // ვარენ „არ არის“, გედგითაე (არქ.) <- // გედგითარე „დადგები“, გაიმღებუ <- *გა-ი-მღებ-უ „გაღიზიანდა“, ამბაი <- *ამბავი „ამბავი“... თუმცაღა – არაიშვიათად, აე კომპლექსი სრული პროგრესული ასიმილაციის შედეგად იძლევა აა კომპლექსსაც: ვაენ -> ვაან, გედგითაე -> გედგითაა და ა.შ. ამგვარი რამ უფრო ვიწურ კილოკავს ახასიათებს, მაგრამ ჩვენ მუჰაჯირთა შთამომავლების ლაზურ კილოკავშიც დავადასტურეთ: 100 წლის ერეგუნელი ქალბატონი ჰიდაეთ ბათალოღლი ყოველთვის ასეთ ფორმებს იყენებდა.

ოუ, ეუ კომპლექსები კი შემდეგ ნაირსახეობებს გვაძლევენ: ა) სრული რეგრესული ასიმილაციით, *უუ საფეხურის გავლით, მიიღება სადა უ ხმოვანი: გუკირუ // გუკორუ <- *გო-უ-კირ-უ // *გო-უ-კორ-უ „გაუკრა; ირგვლივ შემოაკრა“; ბ) ოუ კომპლექსი უცვლელი რჩება: ოუჭოფუ „დაუჭირა“, ოუჭკომუ „შეუჭამა“... გ) ეუ კომპლექსისაგან, არასრული რეგრესული ასიმილაციით, *იუ საფეხურის გავლით, მიიღება დუ დიფთონგი გფულარუ <- *გე-უ-ღარ-უ „დაუხატა“, დუჭოფუ <- *ე-უ-ჭოფ-უ „აუღო; გამოართვა“... გ) ეუ ხმოვანთა კომპლექსის უ იქცევა ჭ სონანტად: ჩქიმიშელი <- ჩქიმი-შე-ულ-ი „ჩემული“, ხეჭრი <- *ხე-ურ-ი „ერთი ხელით ასაღები რამ, ხელეური“... მსგავს შემთხვევებში, ჭ სონანტი მონაცვლეობს ასევე ბაგისმიერ ვ ნაპრალოვანთანაც და გვაქვს პარალელური ფორმები: ჩქიმიშეული, ხევრი და ა.შ.

ლაზურ კილოებში გვაქვს ასევე ტრიფთონგებიც, რომელთა სონანტური ელემენტი უმეტესად არის დ: ადა // ჰადა „ეს“, მაფესი „მაისი“, მომილაფე (არქ.) „მომიტან“, ამბაი „ამბავი“; ასეთ კომპლექსებს „სამწევრა ვოკალურ ჯგუფებსაც“ უწოდებენ (იხ. ქუთელია, 2005: 68). ჩვენი მხრივ, დავძენთ, რომ თითქმის ყველა ტრიფთონგი მეორეულია და თანაც, არაიშვიათად, მარტივდება კიდევ: ჰაა (ვიწ.) „ეს“, მაესი (ჩხალ.) „მაისი“, მომილაა (ვიწ.) „მომიტან“.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე ჩვენ ვასკვნი, რომ ლივანური კილოსაგან განსხვავებით, ლაზურში ჰიატუსი უცხო არაა და „ერთი ხმოვნის პრინციპსაც“ არ აქვს სისტემური სახე. მუჰაჯირთა შთამომავლების ლაზურშიც ამ შემთხვევაში, დიდად სხვაობს მურღულურ-ლივანურისაგან.

თანხმოვანთა კომპლექსებს რაც შეეხება: აქაც საყურადღებოა ლაბიალიზებული კომპლექსები. თანხმოვნურ ელემენტად შესაძლოა, შეგვხვდეს ყველა თანხმოვანი, გარდა ბაგისმიერი **ბ, ფ, ჰ** ხშულებისა. ისევე როგორც ლივანურ კილოში, ლაზურ კილოებშიაც ლაბიალიზებული კომპლექსები გვხვდება მხოლოდ ხმოვნის წინა პოზიციაში: **ოხტენუ** „კეთება, მზადება“, **ოშტელუ** „შველა“, **გუამტუ** „გაეცა“, **ღტინჭი** „ნაღინჭალი (იმერ.)“ და ა.შ. ხოფურ კილოში ზოგჯერ დასტურდება ლაბიალიზებულ კომპლექსთა გამარტივების შემთხვევები: **ოხონუ** „კეთება, მზადება“, **ოშოლუ** „შველა“...

აღსანიშნავია ისიც, რომ ლაბიალიზებულ კომპლექსებშიც **ტ** სონანტს არაიშვიათად ენაცვლება ბაგისმიერი **ვ** ნაპრალოვანი და შესაბამისად, გვაქვს პარალელური ფორმები: **ოხვენუ, ოშველუ, გვამტუ**...

ლაზურ კილოებში, როგორც წესი, ხახისმიერი ყრუ **ყ** ნაპრალოვანი თანხმოვნის შემცველი ჰარმონიული კომპლექსები არაბუნებრივია: ასეთ შემთხვევებში ხოფურსა და ვიწურ-არქაბულში **ყ**-ს ენაცვლება უკანაენისმიერი **კ** ხშული და შესაბამისად, გვექნება: **წკარი** (შდრ. მეგრ.: **წყარი**) „წყალი“, **მჭკეში** (შდრ. მეგრ.: **ჭყეში**) „მწყემსი“, **ტკები** (შდრ. მეგრ.: **ტყები**) „ტყავი“ ..., ათინურ-ართაშენულ კილოში კი ასეთ შემთხვევებში **ყ** საერთოდ ქრება — რეფლექსი ნულია და გვაქვს: **წარი, მჭეში, ტები** და ა.შ.

მიუხედავად ამისა, ნ. მარმა, ნ. ქუთელიამ და გ. კარტოზიამ ხოფურ კილოში **ყ** ნაპრალოვნის შემცველ ჰარმონიულ კომპლექსთა არსებობის საკმაო მაგალითი გამოავლინეს (იხ. მარი 1910: XX, 191, 222-223, 225, 227, 228; ქუთელია, 1986: 52-58; ქუთელია, 2005: 94-110; კარტოზია, 1993: 375). ჩვენი მხრივ, დავძენთ, რომ ამგვარი კომპლექსები მურღულის ხეობის ლაზურ მეტყველებაშიც დასტურდება და თან — არცთუ იშვიათად: მაგალითად, **ოწკერს** „უცქერს, უყურებს“ ზმნა ზოგი მურღულელის მეტყველებაში ჟღერს, როგორც **ოწყერს** (შდრ. მეგრ.: **ორწყენ** [წ], „id.“) და შესაბამისად, გვაქვს პარალელური ფორმებიც — **ოწკომილუ // ოწყომილუ** „ცქერა, ყურება“, მაშინ როცა ხოფურში (ასევე სხვა კილოებში) ბუნებრივია მხოლოდ **ოწკერს** და **ოწკომილუ**⁶².

ამასთან, საინტერესოა, რომ **ყ** ნაპრალოვნის შემცველი ჰარმონიული კომპლექსი მურღულურში შეიძლება გვქონდეს იმ ფორმაშიც კი, სადაც სამივე ლაზურ კილოში მხოლოდ თანხმოვანი დასტურდება; ამ მხრივ საყურადღებოა მურღულური ფორმა **ოჭაჭყუ**, რაც „ჭყლეთას, ჭეჭყვას“ ნიშნავს და ყველა სხვა ლაზურ კილოში (ასევე, ჩხალურ კილოვანში) **ოჭაჭუ**’ს სახით გვხვდება. შესაბამისად, სიტყვა **ჭაჭა** „ჭაჭა“ მურღულის ხეობაში ჟღერს, როგორც **ჭაჭყა**⁶³ — თანაც არა მხოლოდ ლაზების, არამედ ლივანელთა

⁶² ქ. მურღულში ჩვენი ყოფნის დროს შევესწარით ასეთ კურიოზს: იქ მომუშავე არქაბელი მეჭმედ ლაზოლი და სოფ. ისქების მკვიდრი დურსუნ ოზგიუჩი წაკამათდნენ, „**ოწკომილუ**“ ითქმოდა თუ „**ოწყომილუ**“. **წყ** კომპლექსიანი ფორმა არქაბელისათვის უცხო იყო, მაგრამ დურსუნ ოზგიუჩი და სხვა მურღულელები უმტკიცებდნენ, ასეც ვხმარობთო. გულმოსულმა მეჭმედ ლაზოლიმ ბოლოს წამოიყვირა: „**კოკუშეფ’ ხოჟ ვაეთ ჭე, მუჭოში გამიღარკალამთ!**“ — „ინდაურები ხომ არა ხართ ჭო, როგორ ყიბყიბებთო!“

⁶³ მურღულის ხეობაში ჭაჭას მარილს ურევენ და მიმინოს საკვებად იყენებენ.

მეტყველებაშიც; მურღულის ხეობაში მიაჩნიათ, რომ სიტყვა „ჭაჭას“ პირველსახე სწორედ **ჭაჭყა** გახლავთ, რადგან ის დაჭყლეტილი (**ჭაჭყერი**) ყურძნის აღმნიშვნელია.

გარდა ამისა, ის ჰარმონიული კომპლექსები, რომლებიც მორფემათა შეერთებით მიიღება, მურღულურ მეტყველებაში უცვლელად ნარჩუნდება: მაგ., იტყვიან **პყვილუფ < *ვ-ყვილ-უფ** „ვკლავ“ (მდრ. ხოფ., ჩხალ.: **პილუფ**), **მყორუ** „[გადა]მსხმელი“ (მდრ. ხოფ., ვიწ.-არქ., ათინ.-ართ.: **მპორუ**); ამ გზით მიღებული ჰარმონიული კომპლექსები იშვიათად ჩხალურსა და ხოფურის ზოგ სხვა კილოკავშიც ასევე დაცულია: **პყოროფ** „მიყვარს, ვყვარობ“ (მდრ. ვიწ.-არქ.: **მპორომ**), **პყაზუფ** „ვთლი“ (მდრ. ათინ.-ართ.: **პაზუმ**) და ა.შ.

ამასთან, ხოფურის სხვა კილოკავებში (მათ შორის, ჩხალურშიც) მორფემათა შეერთების ზღვარზე ***მ-ყ** იძლევა **მპ** კომპლექსს, ხოლო მურღულურში კი უცვლელი რჩება: **მყოროფს** „მიყვარობს, ვუყვარვარ“ (მდრ. ხოფ.: **მპოროფს**), **მამყვილუ** „მკვლელი“ (მდრ. ხოფ.: **მამპილუ**). აღსანიშნავია ისიც, რომ მუჰაჯირთა შთამომავლების ლაზურში, ხოფურისა და სხვა ლაზურ კილოთაგან განსხვავებით, შენარჩუნებულია ამოსავალი **მყ** კომპლექსიც — **გემყონუ** „დამყნობა“ (მდრ. ხოფ., ვიწ.-არქ., ათინ.-ართ.: **გემპონუ // ჯემპონუ**); აგრეთვე, **მყ** კომპლექსი მუჰაჯირთა შთამომავლების ლაზურში ბგერის განვითარებითაც მიიღება — მყვალი „ყველი“ (მდრ. ხოფ. **ყვალი**, არქ. **მკვალი**), **მყვა** „შუბლი“ (მდრ. ხოფ.: **ყვა**)...

მუჰაჯირთა შთამომავლების ლაზურში საკმაოდ გვხვდება ასევე, **ტყ** ჰარმონიული კომპლექსის შემცველი ფორმებიც; მაგ.: **გოლოტყლაპერი** „გადატალახებული“, **იწოტატყუ** „ბავშვის აყვანა, ატატება“, **ტატყუნა** „ახალფეხადგმული ბავშვი“... ეს სიტყვები მხოლოდ მურღულის ხეობაში დასტურდება; ამასთან ერთად, მუჰაჯირთა შთამომავლების ლაზურში მოიპოვება **ტყ** კომპლექსის შემცველი თითქმის ყველა ის ფორმაც, რომელიც ლაზურ კილოთა მკვლევარებმა (ნ. მარმა, ა. ჩიქობავამ, ნ. ქუთელიამ, გ. კარტოზიამ...) სხვადასხვა დროს ხოფურში დაადასტურეს: **ტყუბი** „ტყუბი“, **ოტატყალუ** „[წყლის] თუხთუხი“, **ოტყლიპუ** „ტყეპვა“ და ა.შ. (იხ. მარი, 1910: XX; ჩიქობავა, 1938: 90, 143-144; ქუთელია, 1986: 52-58; კარტოზია 1993: 375).

ამდენად, ხახისმიერი ყრუ **ყ** ნაპრალოვანი თანხმოვნის შემცველი ჰარმონიული კომპლექსები მუჰაჯირთა შთამომავლების ლაზურში უმეტესად შენარჩუნებულია; ეჭვგარეშეა, რომ ეს მესხურ კილოებთან (კერძოდ — ლივანური კილოს მურღულურ-ლივანურ კილოკავთან) მჭიდრო კონტაქტისა და განსაკუთრებით, დიალექტურ კოდთა შერევის შედეგია და არა „ქართული ენის გავლენისა“, როგორც ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს⁶⁴ (მდრ. კარტოზია, 2005: 37).

⁶⁴ ჩვენი მხრივ, აქვე დავძენთ, რომ უფრო მართებული იქნება, თუკი ყრუ **ყ** ნაპრალოვანი თანხმოვნის შემცველ ჰარმონიულ კომპლექსთა ცვლილებას ვიწურ-არქაბულსა და ხოფურის კილოკავთა უმეტესობაში წარმოთქმის რავგარობის მიხედვით მომხდარი ასიმილაციით ავხსნით (მკვეთრ **წ, ჭ, ტ** ხშულთა გავლენით, ხახისმიერი ყრუ **ყ** ნაპრალოვანი უკანაენისმიერ მკვეთრ **კ** ხშულად იქცა), ათინურ-

ფონეტიკური პროცესებიდან ლაზურ კილოებში გავრცელებულია ასიმილაცია, დისიმილაცია, სუბსტიტუცია, მეტათეზისი, ბგერათა დაკარგვა და განვითარება, აფრიკატიზაცია, დემბაფრიკატიზაცია და ა.შ.

ხოფურსა და ვიწურ-არქაბულ კილოებში **ე-// აე-, გე-, გო-, დო-** ზმნისწინთა ხმოვნები, თუ მათ უშუალოდ მოსდევს **ა- თ- ან უ-** ხმოვანპრეფიქსები, **ღ** და **ჟ** სონანტებში გადადის და ხმოვანპრეფიქსებთან ერთად, დიფთონგებად წარმოგვიდგება: **ენჭაფუ** „აწვდომა“ — **ანჭუ** „აწვდა“, **გედვალუ** „ზედ დადება, დარქმევა“ — **გოდუ** „ზედ დაადო, დაარქვა“, **ეკიდინუ** „გაბმა“ — **დუკიდუ** „გააბა“, **გობლაფუ** „შესევა“ — **გტაბლუ** „შეესია“, **დოყოფინუ** „შექქმნა“ — **დტყყუ** „შექქმნა, ეყოლა“ და ა.შ. ამასთან, თუ ზმნისწინსა და ხმოვანპრეფიქსს შორის პირის ნიშანი ჩაერთო, ზმნისწინისეული ხმოვანი ამოსავალი სახით აღდგება: **ევანჭი** „ავწვდი“, გევოდვი „დავადე, დავარქვი“, **ევუკიდი** „გავაბი“, **გომაბლუ** „შემომქმნა“, **დომაცყუ** „შემექქმნა, მეყოლა“... (იხ. ასევე, ლაბაძე, 2008: 173).

ანალოგიურ შემთხვევებში, მურღულის ხეობის ლაზურ მეტყველებაში მეტად საინტერესო მოვლენა ფიქსირდება — **ზმნისწინს და ხმოვანპრეფიქსს შორის პირის ნიშნის ჩართვისას, ზმნისწინის ხმოვანი არა ამოსავალი, არამედ დავიწროებული სახით აღდგება: ივანჭი, გივოდვი, ივუკიდი, გუმაბლუ, დუმაცყუ...** ანუ, ამ ფორმებში გვაქვს ხმოვანთა არასრული დისტანციური რეგრესული ასიმილაცია, რაც ლაზური მეტყველებისთვის არაბუნებრივად გამოიყურება. აღსანიშნავია ისიც, რომ სწორედ ხმოვანთა არასრული დისტანციური რეგრესული ასიმილაციის შედეგად მურღულის ხეობის ლაზურ მეტყველებაში **ელა-, ეწა-, გელა-, გეწა-, ეშა-, გეშა-**... ტიპის რთული ზმნისწინები წარმოდგენილია მხოლოდ ასეთი სახით: **ილა-, იწა-, გილა-, გიწა-, იშა-, გიშა-**... ზმნისწინთა ასიმილირებული ვარიანტები ჩხალურ კილოკავშიაც იხმარება, მაგრამ შედარებით იშვიათად — ჩაკითხვის შემთხვევაში მთქმელები უპირატესობას ამოსავალ ვარიანტს ანიჭებენ.

აგრეთვე, სხვა ლაზურ კილოთაგან/კილოკავთაგან განსხვავებით, მუჰაჯირთა შთამომავლების ლაზურში დასტურდება ხმოვანთა სრული დისტანციური რეგრესული ასიმილაციაც; მაგ., იტყვიან: **დივიყტი** „შევიქენი“ (შდრ. ხოფ.: **დოვიყტი**), **მინდივიყონი** „წავიყვანე“ (შდრ. ჩხალ.: **მინდავიყონი**), **დიმიჯოხუ** „დამიძახა“ (შდრ. ვიწ.-არქ.: **დომიჯოხუ**), **ქიდიგიწუ** „ქე ვითხრა, მოვიყვა“ (შდრ. ათინ.-ართ.: **ქლოდიგიწუ**)... თუმცა, უნდა ითქვას ისიც, რომ მუჰაჯირთა შთამომავლების ლაზურშივე, ამგვარ ფორმათა პარალელურად, სხვა ლაზური კილოებისთვის ბუნებრივი ფორმებიც

ართაშენულში კი - **ყ** ნაპრალოვნის არტიკულაციის ყველა პოზიციაში მოშლით (განსხვავებით ვიწურ-არქაბული კილოსაგან, სადაც ყრუ **ყ** ნაპრალოვანი მხოლოდ აბსოლუტურ ანლაუტში, ხმოვნის წინ მოიშალა), რამაც ეს თანხმოვანი მხოლოდ რეფლექსების სახითა შემოგვიწინა. მესხურ კილოებთან (აჭარული, ლივანური) უფრო მჭიდრო კონტაქტების (და არა გავლენის) წყალობით, ხოფურ კილოში ამოსავალი ვითარება მეტ-ნაკლებად შენარჩუნდა.

იხმარება. ჩაკითხვის შემთხვევაშიც, არაიშვიათად, სწორედ ამ უკანასკნელთ უფრო ასახელებენ ხოლმე.

ვფიქრობთ, უეჭველია, რომ ამ ტიპის მოვლენები მურღულურ მეტყველებაში ლაზურ და მესხურ დიალექტურ კოდთა შერევის შედეგადაა გაჩენილი — როგორც ცნობილია, ხმოვანთა სრული რეგრესული ასიმილაცია ყველაზე მეტად სწორედ მესხურ (კერძოდ, ლივანურ, აჭარულ და იმერხეულ) კილოებს ახასიათებს.

კონტაქტური რეგრესული ასიმილაციის ნიმუშებია: **ფხარი <- *ვ-ხარ-ი** „დახიე“, **პჭკომი<-*ვ-ჭკომ-ი** „ვჭამე“, **დოკყვილუპტუ<- *დო-გ-ყვილ-უფ-ტუ** „მოგკლავდა“... და ასევე, როგორც აღინიშნა — **გელუ <-*გე-ი-ლ-უ** „ჩავიდა“, **გოჯითხუ <- *გო-ი-კითხ-უ** „გაიკითხა“, **ოჭოფუ <- ო-ი-ჭოფ-უ** „დაჭერილ იქნა, დაიჭირეს“... ფორმებიც.

პროგრესული ასიმილაციის ნიმუშებია ზემოთ უკვე განხილული **ვაენ -> ვაან**, **გედგითაე -> გედგითაა** და ა.შ. ფორმები; საერთოდ, როგორც მურღულურ-ლივანურში, ისე მუჰაჯირთა შთამომავლების ლაზურშიც ეს მოვლენა იშვიათია.

დისიმილაციის ტიპობრივი ნიმუშებია: **დოხარელენ<*დოხარერენ** „დახია თურმე“, **სერასქერი > სერესქელი** (არაბ.-თურქ. Serasker) „ოფიცერი“... დასტურდება შემთხვევები ამა თუ იმ ბგერის დისიმილაციური გამჟღერებისა (**ტკიბა** „ტკიპა“) ანდა დაკარგვისა (**წკაბურბალი<- *წკარბურბალი** „წისქვილის ბორბალი“). როგორც ითქვა, დისიმილაციის საფუძველზეა წარმოქმნილი, ასევე ზემოთ განხილული ფორმებიც: **დონჭუ <- *ე-ო-ნჭ-უ** „აღმართა, ასწია“; **დტყყუ <- *დო-ა-ყ[ვ]-უ** „შეექნა“ და მისთ.

მუჰაჯირთა შთამომავლების ლაზურში ფართოდაა გავრცელებული სუბსტიტუციაც: **მაყაყი //მაყაი** „ბაყაყი“, **ბულთი** „ბურთი“, **ტრინკი** „ტლინკი“ და ა.შ.

მეტათებისის ნიმუშებია: **ამაპოტტა** „შეტოპვა“, **კლებური** „კრებული; სასოფლო კრება“ **ჭროფი <- // ჭროფლი** „ჭორფლი; გამონაყარი სახეზე“ და ა.შ.

რედუქცია მუჰაჯირთა შთამომავლების ლაზურშიც, ისევე, როგორც სხვა ლაზურ კილოებში, არ დასტურდება, მაგრამ ერთ-ერთ თავისებურებად შესაძლოა განვიხილოთ ბოლოკიდური ხმოვნის მოკვეცა, რაც ახასიათებს არქაბულ კილოკავსაც: **მით ვართუ** (ბუჯ.) „არავინ არ იყო (ერთი ვინმე არ იყო)“, **ოხორჯალეფექ ხიპირეფ წილუპტეს** (ერეგ.) „ქალები კიტრებს კრეფდნენ“ თუმცაღა, მუჰაჯირთა შთამომავლების ლაზურში ეს უკანასკნელი მოვლენა შედარებით იშვიათია.

ლაზურ დიალექტებში (resp. ქართველურენოვან მუჰაჯირთა შთამომავლების ლაზურ მეტყველებაში) მეტად გავრცელებულია ბგერათა დაკარგვა და განვითარება. მაგალითად, იკარგვის **რ: ხაშიი <- // ხაშარი** „სარი“, **გუპიჯი <-// გურპიჯი** „გულმკერდი“, **ა <- // არ** „ერთი“; აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლო ორ პოზიციასში მეზობელი ხმოვნის საკომპენსაციო დაგრძელება, რაც ლივანურისთვისაა დამახასიათებელი, ლაზურში არ ხდება.

აგრეთვე, **მ** სონორი იკარგვის ხოლმე სიტყვის თავკიდურა და ბოლოკიდურა პოზიციებში: **ღირი <- // მღირი** „მღვრიე“, **ჭოხა <- // მჭოხა** „მწარე“, **მარა (<**

***მარამ**) „მაგრამ“... გარდა ამისა, ხოფურში იკარგვის **ვ** ხმოვანთა შორის: **ლოიყტი <- // დოვიყტი** „შევიქენი“, **მეაგნეუ <- // მევაგნეუ** „ვხვდები“... მუჰაჯირთა შთამომავლების ლაზურში ეს პროცესი მეტისმეტად იშვიათად დასტურდება; ჩხალური კილოვანებისთვისაც ნაკლებადაა დამახასიათებელი, თუმცაღა აქ უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ყველა კილოში გამონაკლისს წარმოადგენს სიტყვა **ამბაი <- *ამბავი**.

მუჰაჯირთა შთამომავლების ლაზურ მეტყველებაში ფართო გასაქანი ეძლევა ბგერათა განვითარების ტენდენციებს; განსაკუთრებით საინტერესოა **რ** სონორის განვითარების ზოგი შემთხვევა — ხმოვანთა შუა, დაკარგული **ვ**-ს ადგილს **რ** იკავებს: **გოროკუცხინაფ <- // გოკუცხინაფ <- // გოვოკუცხინაფ** „ვალვიძებ“, **ამბარი <- // ამბაი <- *ამბავი**; ასე ხდება ზოგჯერ იმგვარ შემთხვევებშიც, როცა დაკარგულია (ან ეტიმოლოგიურად დაკარგულად ივარაუდება) სხვა თანხმოვანი: მაგ., **ენტერე <- // ენთერე <- // ენთერე** „ესენი“, **მარე <- *მაცაყე** (არქ., ათინ.-ართ.) „ბაცაყი“...

სხვა ბგერათაგან, ხშირია ასევე **მ**-ს განვითარება: **მცხენი** „ცხენი“, **მხხური** „ცხვარი“, **მწკო // მწუ** „წყავი“... ვითარდება **ბ: ბღტარი** „ღვარი“; **ნ: ნძტირი** „ძვირი“, **ნჯენი <- // ჯენი** (ათინ.-ართამ.) „ხბო“ და ა.შ.

ათინურ-ართამშენულ დიალექტში განსაკუთრებით გავრცელებულია ე.წ. „სავრცობი ხმოვნების“ (**ო, უ, გ**; იშვიათად — **ე**) განვითარება სიტყვა-ფორმებთან: **ხორძასუ** „ქალსა“, **ვორერთგ** „ვართა“, **ულუნო** „აქვსა“... ეს მოვლენა ზუსტად ისეთივე ტიპისაა, როგორც მეგრულში, რაჭულში, ქართლურში, კახურსა და ზოგ სხვა ქართველურ კილოში. ლაზურ კილოთა შორის სავრცობი ხმოვნები მხოლოდ ათინურ-ართამშენულს ახასიათებს.

ლაზურ დიალექტებში აფრიკატიზაცია ფართოდაა გავრცელებული: **ჭაკუჭი** „ჩაქუჩი“, **ოხოტორუ <-// ოხოტორუ** „ხოტრვა“, **ხოწი** (ათინ.-ართამშ.) „ხოცი“... **გ, ქ, კ** უკანაენისმიერ ხშულთა პოზიციური (**ი, ე** ხმოვანთა წინ) აფრიკატიზაცია ათინურ-ართამშენული კილოს ერთ-ერთი უმთავრესი მახასიათებელია — ამ კილოში **გ, ქ, კ** ხშულთა გაპალატალეული ალოფონები გამონაკლისის გარეშე აფრიკატებად ქცეულან: **ჯეფთი <- გეფთი** „ჩავედი“, **ჩეფინი <- ქეფინი** „სუდარა“, **ჭერფი <- კეფრი** „კანაფი“... ამ ტიპის აფრიკატიზაცია, ასევე, შავიზღვისპირეთის თურქულ დიალექტებშიც შეიმჩნევა.

დემოფრიკატიზაცია შედარებით უფრო იშვიათია: **ზირომს <- ძიროფს** „ხედავს“, **ზაბუნნი** „ძაბუნი, [მძიმედ] ავადმყოფი“ და ა.შ.

2.2.2.4. მახვილი და ძირითადი ინტონაციური თავისებურებანი

ინტონაციურად ლაზური კილოები შესამჩნევად განსხვავდებიან ერთიმეორისაგან.

ლაზურ კილოთა ინტონაცია სათანადოდ შესწავლილი არაა. პირველად ამ საკითხს შეეხო არნ. ჩიქობავა: „...[ჭანური] მახვილი სუსტია, მისი ადგილი სიტყვაში ამიტომაც საძებარი გამხდარა; ძებნის შედეგად იმასვე ვიღებთ, რაც ქართულის შესახებაა ცნობილი: ორმარცვლიან სიტყვებში მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზეა, სამ- და მეტ-მარცვლიანებში — ბოლოდან მესამე მარცვალზე... ათინური ტექსტებისა და აქა-იქ

არქაბული ტექსტების ჩაწერისას დადასტურებულ იქნა ტონური მახვილის (თუ: ტონური მახვილის ტიპის ხმის ამალღების!) არსებობა ჭანურში; მისი ადგილი გარკვეულია: თითქმის ყოველთვის ბოლოდან მეორე მარცვალზე (იშვიათად – უკანასკნელზე); სათანადო ხმოვანი გაგრძელებულად გამოითქმის“ (ჩიქობავა, 2008: 61).

არნ. ჩიქობავას მოყვანილი ეს დასკვნა არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს ქართველ ენათმეცნიერებს თურქეთის საზღვრებში მოქცეული ლაზური საზოგადოებების მეტყველების საკვლევად ხელი არ მიუწვდებოდათ. ჩვენ საგანგებოდ ვაწარმოებდით ამ მხრივ დაკვირვებას ლაზურ კილოებზე და, მოპოვებულ მასალებზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავაზუსტოთ არნ. ჩიქობავას მიერ შვიდ ათეულ წელზე მეტი ხნის წინ გამოთქმული დასკვნები; ლაზური კილოების ინტონაცია-აქცენტუაციის საკითხების გამოწვლილვით შესწავლას კი მომავალში განვაგრძობთ.

ხოფურ დიალექტში (resp. ჩხალურ კილოკავში) მახვილი დინამიკურია და სუსტი. ძირითადად, პირველ მარცვალს მოუდის, მაგრამ ამასთან, თუკი სიტყვა სამზე მეტმარცვლიანია, შესაძლოა, მთავარ მახვილთან ერთად გვექონდეს ასევე, **ტონური** თანამახვილიც – უმეტესად, ბოლოდან მეორე მარცვალზე. ხმოვანი, რომელსაც ტონური თანამახვილი მოუდის, ამალღებულად და ოდნავ წაგრძელებულად გაისმის. მაგ., **რხორმონდული** „წინკარი“ სიტყვაში უ ხმოვანი შესაძლებელია, სიგრძის ნიშნითაც გამოვსახოთ. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ აქცენტუაციის განსაზღვრაში დიდ როლს თამაშობს ენკლიტიკა: სიტყვათა შერწყმული წარმოთქმისას, არაიშვიათად, პირველი სიტყვის მახვილი ხდება მთავარი, ხოლო მეორის კი – თანამახვილი. ასევე, ენკლიტიკის შედეგად, თანამახვილიც ზოგჯერ მთავარ მახვილად იქცევა ხოლმე; მაგ.:

↑ ↑ ↑ ↑
ქრეგუნასქ **ჟურ_ხანექ** **ქრვორეთ_ქი,ქ** **ჭერვათოღღეექ**↓
„ერეგუნაში ორი კომლი კი ვართ, ჭერვათოღღეები!“

ვიწურ-არქაბულში მახვილი ძირითადად ისეთივეა, როგორც ხოფურში, მხოლოდ განსხვავება ისაა, რომ სამზე მეტმარცვლიან სიტყვებში ტონური თანამახვილი ხშირად ყლაპავს მთავარ (დინამიკურ) მახვილს: მაგ., ზემოთ მოყვანილი **რხორმონდული** სიტყვა არქაბულ კილოკავში ითქმის, როგორც **რხორმონდული**, თუმცა სიტყვას **რხორი** „სახლი“ იქაც პირველ მარცვალზე მოუდის მახვილი, ისევე როგორც ხოფურში. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არქაბულისთვის დამახასიათებელი მოვლენაა სიტყვის ბოლოკიდური ხმოვნების მოკვეცა, რის შედეგადაც, არაიშვიათად, მახვილის გადაადგილებაც კი ხდება:

ოხორჯალღეექ ხიპირღეე წილმტეს -> **ოხორჯალღეექ ხიპრღეე წილუმტეს**
„ქალები კიტრებს ჰკრეფდნენ“;

მუღდინში რხორი წალღ-დგინ, ეჰე! -> **მუღდინში ხორ წალღ-დგინ, ე!**
„მუღდინის სახლი ქვემოთ დგას, ეგერ!“

ათინურ-ართაშენულ კილოში კი აქცენტუაცია მკვეთრად განსხვავებულია ყველა ლაზური კილოსგან — მახვილი აქ ძლიერი და ფიქსირებულია: მოუდის ბოლოდან მეორე მარცვალს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ათინურ-ართაშენულის მახვილი ძალიან წააგავს იტალიური სალიტერატურო ენის მახვილს: **ობორი** „სახლი“, **წულუტრნა** „პაწაწინა“ და **ობორტყე** „სახლები“, **წულუტინაფე** „პაწაწინები“. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სავრცობი ხმოვნები აქცენტუაციაზე გავლენას ვერ ახდენს, მაგ.:

შკუ ლაზე ვართუ, ჰამინტფესუ არტაშენრშე მრფტითუ! „ჩვენ ლაზები ვართ, ამ ადგილებში ართაშენიდან მოვედით!“

ხოფური კილოსა და არქაბული კილოკავის კითხვით წინადადებაში, თუკი მასში კითხვა სპეციალური ნაწილაკითაა გამოხატული, ტონური მახვილი მოუდის შესაბამისი ზმნის (რომელსაც ერთვის, ჩვეულებრივ, კითხვითი ნაწილაკი) ბოლოდან მესამე მარცვალს, ხოლო კითხვითი ნაწილაკი წაგრძელებულად ისმის:

↑
ჩქინდა ვა მრხთათ? „ჩვენთან არ მოხვალთ?“ (ხოფ.)

↑
სითი გჳურჯი ღერ? „შენც ქართველი ხარ?“ (არქ.)

ვიწურ კილოკავში კი, ამგვარ შემთხვევებში მთავარი მახვილი მოუდის კითხვით ნაწილაკს, ანუ ზმნის ბოლოკიდურ მარცვალს:

↑
სი არ სოთი ვიწეშა მეგისთიმუნ? „შენ როდისმე ვიწეში ჩასულხარ?“

ათინურ-ართაშენულშიც, კითხვითი ნაწილაკი ამ დროს ყოველთვის მახვილიანია, მაგრამ ფრაზაში ცალკე გამოიყოფა, რის გამოც წინადადება ინარჩუნებს იმ ინტონაციას, რაც მას ჰქონდა თხრობით კილოში; კითხვითი ინტონაციით ითქმის მხოლოდ კითხვითი ნაწილაკი:

↑ ↑ ↑ ↑
ხორძალტყე ლივადი იჩალიშჳმან რ? „ქალები ბაღში მუშაობენ?“

ამასთან, თუ წინადადებაში კითხვითი სიტყვაა, მაშინ ბოლოდან მეორე მარცვალზე მას მოუდის ტონური მახვილი (ზმნას კითხვითი ნაწილაკი აღარ ერთვის);

↑
ე კონის მუშენი ლაზური უჩქინ? „იმ კაცმა საიდან („რატომ“) იცის ლაზური?“ (ხოფ.)

↑
მურღულიშე მუჭრთე ქაფხითი? „მურღულში როგორ ამოხვედი?“ (ვიწ.-არქ.)

↑
ტკვა ტურჩე მრჳ ვა გიშქურანუ? „თქვენ თურქული რად არ იცით?“ (ათინ.-ართ.)

მუჰაჯირთა შთამომავლების ლაზური მეტყველება ინტონაციურად ხოფურს ემსგავსება, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ვიწურ-არქაბულისთვის დამახასიათებელი თავისე-

ბურებებიც იჩენს ხოლმე თავს. ჩვეულებისამებრ, მუჰაჯირი ლაზები თავიანთ ინტონაცია-აქცენტუაციას თურქულად მეტყველების დროსაც ინარჩუნებენ.

2.2.3. ძირითადი მორფოლოგიური თავისებურებანი

ქართველურენოვან მუჰაჯირთა შთამომავლების ლაზური მეტყველება მორფოლოგიური თავისებურებებითაც ხოფური დიალექტის ჩხალურ კილოკავთანაა ახლოს, თუმცაღა მისთვის არც ხოფურის სხვა კილოკავებში – სარფულში, ნოღედურ-აზღალურში დადასტურებული მოვლენებია მთლად უცხო.

2.2.3.1. სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოება

როგორც ცნობილია, ლაზურ დიალექტებში მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი ერთადერთი სუფიქსია **-ეფ-** (**->//-ფ-**): თანხმოვანფუძიან სახელებს, ისტორიული ვითარების შესაბამისად, პირდაპირ ფუძებზე ერთვის ჯერ მრ. რ.-ის და შემდეგ – სახელობითი ბრუნვის ნიშნები: **-ეფ+-ე** (მასზე იხ. ქვემოთ): **კონ-ი** „კაცი“ **-> კონ-ეფ-ე** „კაცები“; ხმოვანფუძიან სახელებთან კი გვაქვს მხოლოდ **-ფ-ე**: **ბოზო** „გოგო“ **-> ბოზო-ფ-ე** „გოგობი“ და ა.შ.

ლაზურ დიალექტებში არსებობს ჯგუფი ისეთი სახელებისა, რომლებიც ამჟამად ხმოვანფუძიანებია, მაგრამ მრ. რიცხვის ფორმათა წარმოების დროს აღუდგებათ გამქრალი ფუძისეული თანხმოვანი **-ლ-**: **ქტა** „ქვა“ **-> ქტა-ლ-ეფ-ე**, **ყა** „ტოტი ხეზე“ **-> ყა-ლ-ეფ-ე** „ტოტები“; **ჯუმა** „ძმა“ **-> ჯუმა-ლ-ეფ-ე** „ძმები“ და ა.შ.

ჩხალურ კილოკავში ეს ფუძისეული **-ლ-** დღეს არსად ჩანს: ბოლოხმოვნიან ფუძეს პირდაპირ ერთვის **-ეფ-** (და არა **-ფ-**, როგორც ეს სხვა ხმოვანფუძიან სახელებთან გვაქვს); მაგ.: **ქტა-ეფ-ე**, **ყა-ეფ-ე**, **ჯუმა-ეფ-ე**... ამ მხრივ, გამონაკლისი არ არსებობს. სხვათა შორის, ეს თავისებურება ჩხალურ კილოკავში პირველად ი. ყიფშიძემ დაადასტურა (იხ. ყიფშიძე, 1911: 12).

2.2.3.2. სახელთა ბრუნების თავისებურებანი⁶⁵

ლაზურ დიალექტებში ბრუნების ორ ტიპს გამოვყოფთ – ორფუძიანსა და ერთფუძიანს. ორფუძიანი ბრუნება ახასიათებს სახელებს, რომლებიც ისტორიულად თანხმოვანფუძიანებია. მათ სახელობითი ბრუნვის ნიშანი **-ი** სხვა ბრუნვებშიც გადაჰყვებათ; ერთფუძიანი ბრუნება ახასიათებს სახელებს, რომლებიც ისტორიულად ხმოვანფუძიანებია. აღსანიშნავია ისიც, რომ მრ. რიცხვში ყველა სახელს ორფუძიანი ბრუნება ახასიათებს.

ლაზური დიალექტების სახელთა ბრუნების ამ თავისებურებას პირველად ყურადღება მიაქცია გ. კარტოზიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ „ლაზურში ყველა სახელი

⁶⁵ ბრუნვის ფორმათა ჯგუფებზე იხ. ქვეთავი: 2.1.3.1.

ხმოვან-ფუძიანია... სახელობითი ბრუნვის ნიშანი სახელებში ფუძესთანაა შეზღუდული“ (კარტოზია, 2005: 60-61). არსებითად, იმავე მოსაზრებას ავითარებს მ. ნაჭყებიაც: „ლაზურში სახელი ფუძის დაბოლოების მიხედვით ოდენხმოვნია, ანუ თანამედროვე ლაზურში თანხმოვანზე დაბოლოებული სახელი არ არსებობს. თქმულიდან გამომდინარე, ლაზურის სახელობითის ფორმა ნულოვანი მორფემითაა წარმოდგენილი“ (ნაჭყებია, 2009: 57).

ჩვენი აზრით, ლაზურში სახელობითი ბრუნვის ნიშანი ნულოვანი მორფემით არაა წარმოდგენილი — ასეთ შემთხვევაში ახლად ნასესხებ სიტყვებს ან ოკაზიონალიზმებსაც არ დაერთვოდა **-ი**; მაგ., იტყვიან:

სი ლაზებურა რაკამი (< თურქ.-არაბ. **Rakam**) **გიჩქინი?** (ხოფ.) „შენ ლაზურად თვლა („რიცხოვნობა“) იცი?“

აფდინი (კაცის სახელია: თურქ. **Aydın**) **მოხთუ** „აიღინი მოვიდა“.

მრ. რიცხვში, როგორც წესი, ეს **-ი** გაქრება: **რაკამ-ეფ-ე** „რიცხოვნობანი; რიცხვები“, **აფდინ-ეფ-ე** „აიღინი და მისიანები“...

აქედან გამომდინარე, ჩვენი დაკვირვებით, ლაზურის ორფუძიანი ბრუნება ისეთივე მოვლენაა, როგორც სასაუბრო ენაში დასტურდება ზოგი საკუთარი სახელის ბრუნებისას: **ნოდარი, ნოდარიმ, ნოდარის, ნოდარი!** და ა.შ.

2.2.3.2.1. მარტივი ბრუნვები

განვიხილოთ მარტივი ბრუნვების ნიშნები:

სახელობითი ბრუნვის ნიშანია (მხ. რიცხვში) ისტორიულად თანხმოვანფუძიან სახელებთან **-ი**, ხოლო ხმოვანფუძიან სახელებთან კი **0**: **კონი** „კაცი“, **ცხენი** „ცხენი“, **ჩილი** „ცოლი“... **მთხა** „თხა“, **ბაბა** „მამა“, **ბოზო** „გოგო“ და ა.შ. მრ. რიცხვში **-ე**: **კონ-ეფ-ე** „კაცები“, **ცხენ-ეფ-ე** „ცხენები“, **მთხა-ლ-ეფ-ე** „თხები“, **ბოზო-ფ-ე** „გოგოები“...

აღსანიშნავია ასევე ისიც, რომ ზოგი სიტყვის მხ. რიცხვის ფორმაშიც, მკვლევარებს სახელობითი ბრუნვის ნიშნად ეგევე **-ე** მიაჩნიათ: **ბერ-ე** „ბავშვი“, **იმმოჯ-ე** „სიზმარი“... (ჩიქობავა, 2008: 65; ნაჭყებია, 2009: 32) ჩვენი აზრით, ეს **-ე** მეორეულია: პირველ სიტყვაში **-ი** ნიშნისგანაა წარმოქმნილი სრული პროგრესული ასიმილაციით, მეორეში კი **-ჯე** სუფიქსის ანალოგიაა (მდრ.: **მ-ხირა-ჯე** „მპარავი“, **მ-შქურინა-ჯე** „მშიშარა“...); უწინ კი უნდა ყოფილიყო: ***ბერ-ი**, ***იმმოჯ-ი**...

ამდენად, სახელობით ბრუნვას ლაზურ დიალექტებში აქვს ორი ნიშანი: **-ი** მხოლოდობითში (მისი ალომორფია **0**) და **-ე** მრავლობითში.

მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი სამივე ლაზურ დიალექტში არის **-ქ**; ამასთანავე, ისტორიულად თანხმოვანფუძიან სახელებთან და მრ. რიცხვის ფორმებთან ბრუნვის ფუძედ აღებულია სახელობითის ფორმა, რასაც ერთვის ხსენებული ნიშანი: **კონი-ქ** „კაცმა“, **ცხენი-ქ** „ცხენმა“, **ხოჯი-ქ** „ხარმა“... ისტორიულად ხმოვანფუძიან სახელებს კი ბრუნვის ნიშანი **-ქ** უშუალოდ დაერთვის: **ბაბა-ქ** „მამამ“, **ნანა-ქ** „დედამ“... ათინურ-

ართაშენულში მოთხრობითი ბრუნვის ნიშანს, შესაძლოა, მოსდევდეს სავრცობი ხმოვანი — **კონ-ი-ქ-ო**, **ბაბა-ქ-გ** და ა.შ. იმავე დიალექტში, მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი, შესაძლოა, მოსდევდეს თანაობით ნაწილავს: **კონ-ი-თი-ქ** „კაცმაც“ (შდრ. სხვა ლაზური დიალექტები: **კონ-ი-ქ-თი** „id.“) და მისთ.

ათინურ-ართაშენულშივე, მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი შესაძლოა იქცეს **ა-დ**, ან საერთოდაც კი დაიკარგოს; ანუ, მოთხრობითის ფორმა დაემთხვეს სახელობითს:

ბოზოდ ამბარი მუში დომიწუ „გოგონამ თავისი ამბავი მომიყვა“,

ხასანი ჭუკალი დომხმარაფუ „ხასანმა ქოთანი მათხოვა“.

ამგვარადვე, ვიწურ-არქაბულსა და ხოფურის მუჰაჯირთა შთამომავლების ლაზურ, სარფულ, პირონითულ კილოკავებში მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი, შესაძლოა, მჟღერი **გ-ს** სახითაც გვექონდეს: **ნანაგ მიწუ** „დედამ მითხრა“ ...

მიცემითი ბრუნვის ნიშანია **-ს**, რომელიც ათინურ-ართაშენულში შეიძლება იქცეს **ა-დ**, ან საერთოდ, უკვალოდ გაქრეს; ისტორიულად თანხმოვანფუძიან სახელებთან და მრ. რიცხვის ფორმებთან ბრუნვის ფუძედ აქაც სახელობითის ფორმაა: **კონ-ი-ს** „კაცს“, **კონ-ეფ-ეს** „კაცებს“... ისტორიულად ხმოვანფუძიან სახელებს კი ნიშანი პირდაპირ ერთვის: **ნანა-ს** „დედას“, **კადა-ს** „კლდეს“ და ა.შ.

ათინურ-ართაშენულში მიცემითი ბრუნვის ნიშანს, შესაძლებელია, ერთვოდეს სავრცობი ხმოვანი — **კონ-ი-ს-ო**, **ბაბა-ს-გ** და ა.შ. იმავე დიალექტში მიცემითი ბრუნვის ნიშანი, შესაძლოა, მოსდევდეს თანაობით ნაწილავს: **კონ-ი-თი-ს** „კაცსაც“ (შდრ. სხვა ლაზური დიალექტები: **კონ-ი-ს-თი** „id.“) და მისთ. როგორც აღინიშნა, მიცემითის ნიშანი ათინურ-ართაშენულში შესაძლოა, უკვალოდ გაქრეს კიდევაც და მიცემითის ფორმა დაემთხვეს სახელობითს:

ხასანი ჰად დუჩანი უდუნო „ხასანს აქ დუქანი აქვს“;

ზოგჯერ კი გვაქვს **-ა**:

ბოზოდ ფსქუა თოლეფე უდურენ „გოგოს ლამაზი თვალები აქვს“.

ვიწურ-არქაბულსა და ხოფურის მუჰაჯირთა შთამომავლების ლაზურ, სარფულ, პირონითულ კილოკავებში მიცემითი ბრუნვის ნიშანი შესაძლოა ასევე მჟღერი **ზ-ს** სახითაც გვექონდეს: **ნანაზ უწუ** „დედას მითხრა“ ...

ამდენად, მიცემითის ნიშანია **-ს**, რომლის ალომორფებიცაა **-ზ**, **-ა** და **-ო**.

ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი ისტორიულად თანხმოვანფუძიან სახელებთან არის **-იშ**, რომელიც ხოფურში, მუჰაჯირთა შთამომავლების ლაზურში, ჩხალურ და სარფულ კილოკავებში ზოგჯერ **-ის** // **-იფ** ვარიანტითაც გვაქვს⁶⁶. საინტერესოა, რომ ბრუნვის ფუძედ მხ. რიცხვში ისტორიულად თანხმოვანფუძიან სახელებთან წმინდა ფუძეები გამოიყენება (**კონ-იშ** // **კონ-ის** // „კაცის“, **ცხენ-იშ** „ცხენის“...) და არა

⁶⁶ დოტიანი ვარიანტი გვხვდება ჩხალურ კილოკავში; მუჰაჯირთა შთამომავლების ლაზურში — იშვიათია.

სახელობითი ბრუნვის ფორმები; თუმცა, ეს უკანასკნელი, ჩვეულებისამებრ, გამოყენებულია მრ. რიცხვში **კონ-ეფ-ე-შ // კონ-ეფ-ე-ს // კონ-ეფ-ე-ჲ** „კაცების“.

ისტორიულად ხმოვანფუძიან სახელებთან (და მრ. რიცხვშიც, როგორც წესი — ყოველთვის) წარმოდგენილია **-შ // -ს // -ჲ** ალომორფები, რომლებიც ასევე წმინდა ფუძეს დაერთვის (მრ. რიცხვში — სახელობითის ფორმას [იხ. ზემოთ]) **ბაბა-შ // ბაბა-ს // ბაბა-ჲ** „მამის“, **ბოზო-შ // ბოზო-ს // ბოზო-ჲ**... მუჰაჯირთა შთამომავლების ლაზურში კი, ზოგჯერ ასეთ შემთხვევებში დასტურდება ალომორფი **-ჲშ**: **ბაბა-ჲშ** „მამის“, **ბელა-ჲშ** „ხათაბალის“; ასევე: **კონ-ეფ-ე-ჲშ** „კაცების“ ა.შ. ეჭვგარეშეა, რომ **-ჲშ <- -იშ**. ვერ დავადასტურეთ ***-ჲს** ვარიანტი.

ხშირად, ნათესაობითი ბრუნვის ნიშანს ერთვის **-ი** სავრცობი ხმოვანი: **ბიჭიში ბაბა** „ბიჭის მამა“, **ზექიეში ქიმოლი** „ზექიეს ქმარი“, **აღაში ნოთქტამე** „ბატონის (აღას) ნათქვამი“... მუჰაჯირთა შთამომავლების ლაზურში, ჩხალურსა და სარფულში პარალელური ფორმებიც გვაქვს: **ბიჭის // ბიჭიდ ბაბა, ზექიეს // ზექიედ ქიმოლი, აღას // აღად ნოთქტამე**...

მოქმედებითი ბრუნვის ნიშანი ლაზურ დიალექტებში არის **-ითე // -ითენ** ისტორიულად თანხმოვანფუძიან სახელებთან, **-თე // -თენ** — ისტორიულად ხმოვანფუძიანებთან (ასევე — მრ. რიცხვშიც): **ცხენ-ითე** „ცხენით“, **ცხენ-ეფ-ე-თე** „ცხენებით“, **ბელა-თე** „ხათაბალით“... აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ნათესაობითის მსგავსად, აქაც ბრუნვის ფუძედ მხ. რიცხვში ისტორიულად თანხმოვანფუძიან სახელებთან წმინდა ფუძეები გამოიყენება (**კონ-ითე // კონ-ითენ // „კაცის“, ცხენ-ითე // ცხენ-ითენ** „ცხენის“...) და არა სახელობითი ბრუნვის ფორმები; თუმცა, ეს უკანასკნელი, ჩვეულებისამებრ, გამოყენებულია მრ. რიცხვში.

ერთი შეხედვით, იქმნება შთაბეჭდილება, რომ მოქმედებითი ბრუნვის **-ე** ხმოვანითი ელემენტი, მომდევნო **-ნ** ელემენტთან ერთად, სავრცობია, თუმცა მკვლევარები, როგორც წესი, ასე არ თვლიან (ვრცლად იხ. ჩიქობავა, 2008: 72; კარტოზია, 2005: 84).

ვითარებითი ბრუნვა ამჟამად სამივე ლაზურ დიალექტში უკვე არქაული სახითაა შემონახული. ამასთან, მისი ნიშანია უმთავრესად **-ო // -ოთ**: **დიდ-ო** „დიდად; ძალიან“, **ალბონურ-ოთ** „დაწვრილებით“ (ეტიმ. „ანბანურად“), **ლაზურ-ოთ** „ლაზურად“... უნდა აღინიშნოს, რომ **-ო // -ოთ** ნიშნიანი ვითარებითი ბრუნვის შემორჩენილი ფორმები თითბე ჩამოსათვლელია.

ვითარებითი ბრუნვის ნიშანი **-ა**'ს სახითაა შემონახული ფორმებში: **მუშებურ-ა** „თავისებურად; მარტო“, **ბერებურ-ა** „ბავშვურად“, **ჩქიმებურ-ა** „ჩემებურად“, **ლაზებურ-ა** „ლაზურად, ლაზისებურად“... სხვათა შორის, **-ა** ამოსავალია **-ო // -ოთ** ვარიანტისა. აქვე დავძენთ იმასაც, რომ ვითარებითი ბრუნვის ნიშნიანი მრავლობითი რიცხვის ფორმები არც ერთ ლაზურ დიალექტში გამოვლენილი არაა; მხ. რიცხვში კი მისი ნიშანი უშუალოდ ფუძეს დაერთვოდა. დღეს ლაზურ დიალექტებში ვითარებითის გაქვავებულ ფორმებს არც თუ ისე იშვიათად, სახელობითის გაგებაც აქვთ და ხელახლა იბრუნვიან:

დიდოქ თქვეენ აშო დო მანთი ქოდომაჯერუ (ხოფ.) „ბევრმა თქვა [თურმე] ასე და მეც ქე დავიჯერე“;

ან:

მულულის დიდოფეს კაი უჩქინ ლაზური (მურდ.-ლაზ.) „მურლულში ბევრ[ებ]მა კარგად იცის ლაზური“...

ჩვეულებისამებრ კი, ვითარებითი ბრუნვის ფუნქციებს ხოფურ და ვიწურ-არქაბულ დიალექტებში ზედსართავ სახელებთან ხშირად გადმოსცემს თანდებული **ხეშა**, რომელიც სახელობითი ბრუნვის ფორმას ერთვის: **კაი ხეშა** „კარგად“, **მჭითა ხეშა** „წითლად“... ეს თანდებული წარმოშობით **ხე** „ხელი“ სიტყვის მიმართულებითი ბრუნვის ფორმაა.

ვითარებითის ფუნქციებს ლაზურ დიალექტებსა და კილოკავებში სხვა მარტივი (ან თანდებულიანი) ბრუნვებიც გადმოსცემს, მაგ.:

ხუსეანიქ კაი გაგნეფს ჭანებური (მურდ.-ლაზ.) „ჭუსენიმა კარგად (*ეტიმ.* „კარგი“) იცის (*ეტიმ.* „[გა]გნებს“) ლაზური“;

იდეს ქალე მოყონაფუშენი არქაბეშა (ერეგ.) „წავიდნენ ქალის [წა]მოსაყვანად არქაბში“.

ვითარებითი ბრუნვის შემზღულ ხმარებაზე აჭარულშიც მიუთითებენ (იხ. ნოლა-იდელი, 1972ა: 43; ნიჟარაძე, 1975: 67).

წოდებითი ბრუნვა ლაზურ დიალექტებში **აღარ მოგვეპოვება**, თუმცადა მის ფუნქციას დღეს **ე // ჰე** და **ბე** შორისდებულები ითავსებს, რომლებიც სახელებს წინ უძღვის: **ე ნანა! // ჰე ნანა!** „დედა!“, **ბე ფადიმე!** „ფატიმა!“ და ა.შ. ერთადერთი ფორმა, სადაც შემონახული უნდა იყოს წოდებითი ბრუნვის ძველი ნიშნის ერთ-ერთი ალომორფი, დავადასტურეთ ათინურ-ართაშენული კილოს დუთხურ კილოკავში — **ჭეუ! // ჭეჟ!** „ჭოვ!“; გამორიცხული არაა, რომ მომავალში სხვაგანაც აღმოჩნდეს მსგავსი ფორმები.

წინამდებარე ნაშრომის I თავში, მურლულურ-ლივანურ კილოკავში ჩვენ, ბრუნების თავისებურებებიდან გამომდინარე, ტ. ფუტკარაძის კლასიფიკაციაზე დაყრდნობით⁶⁷, გამოვყავით ნ ჯგუფი (ნაცვლად სალიტერატურო ენის მ ჯგუფისა). იქვე აღვნიშნეთ, რომ ასეთი ვითარება მეორეულია და ნიველირების შედეგია. ლაზურ დიალექტებში ნიველირების პროცესი კიდევ უფრო შორსაა წასული, კერძოდ:

პირველი, მეორე და მერვე ჯგუფის სახელები ლაზურ დიალექტებში გაერთიანდება ერთ ჯგუფად — ორფუძიანობის ნიშნით: სახელობითის **-ი** ნიშანი მათ მიცემითსა და მოთხრობითშიც გადაჰყვებათ: **კონ-ი, კონ-ი-ქ, კონ-ი-ს...** ამავე ჯგუფში გაერთიანდება ის სახელებიც, რომელთაც ტ. ფუტკარაძე, სალიტერატურო ენის მაგალითზე, მეექვსე ჯგუფში აერთიანებს: **ღორმოთ-ი, ღორმოთ-იმ** და **ღჷინ-ი, ღჷინ-იმ**.

⁶⁷ ვრცლად ამის თაობაზე იხ. ტ. ფუტკარაძე, „ბრუნება, როგორც სახელის ფორმათწარმოების ერთ-ერთი ასპექტი (სახელის სინთეზისა და ანალიზის ფორმალისტული მოდელებისათვის)“; გიორგი როგავას საიუბილეო კრებული, თბილისი 1997;

მესამე, მეოთხე და მეხუთე ჯგუფის სახელები გაერთიანდება ცალკე ჯგუფში შემდეგი ნიშნებით: სახელობითის ნიშანი არის ნული, ბრუნვის ნიშნები კი უშუალოდ დაერთვიან ფუძეს: **ბაბა, ბაბა-ქ, ბაბა-ს...**

ცალკე ჯგუფად გამოიყოფა ის სახელები, რომელთაც ტ. ფუტკარაძე მეშვიდე ჯგუფში აერთიანებს: **სინ, სქანი, სქანითე...**

აქედან გამომდინარეობს დასკვნა: ზოგადად, **ლაზურ დიალექტებში (და მუჰა-ჯირთა შთამომავლების ლაზურ კილოკავშიც) ბრუნების თავისებურების მიხედვით, სამი ჯგუფი უნდა გამოვყოთ, ნაცვლად ლივანური კილოს (მურღულურ-ლივანური კილოკავის) ექვსი და სალიტ. ენის რვა ჯგუფისა; ნათელია, რომ ლაზურის ამგვარი ვითარება მეორეულია და ნიველირების შედეგია, ამოსავალი კი სალიტერატურო ენაში დაცული ვითარებაა.**

2.2.3.2.2. რთული ბრუნვები

განვიხილოთ რთული ბრუნვები:

1. **მიმართულებითი I.** ნიშანია **-იმა // -შა; -იშე // -შე** (არქ.): **კონ-იმა** „კაცისკენ, კაცისას“, **ბაბა-შა** „მამისკენ, მამისას“, **ხოჯა-შე** „ხოჯასკენ, ხოჯასას“ **-იშე // -შე** ვარიანტი არქაბულ კილოკავშია: **ამაფთი ჰექოლე, არ გჟურჯიშე** — ალიოლლი იბრაიმი ჯოხონტუ... „შევედი იქ, ერთი ქართველისას — ალიოლლი იბრაჰიმი ერქვა...“;
2. **დაწყებით-გამოსვლითი.** ნიშანია **-იშენ // -შენ // -მშენ: ოხორიშენ** „სახლიდან“, **წკართლიშენ** „წყაროდან“, **აილაშენ // აილაშენ** „იალალიდან“ და ა.შ.
3. **დანიშნულებითი.** ნიშანია **-იშენი // -მშენი // -შენი: კონ-იშენი** „კაცისთვის“, **და-შენი** „ღისთვის“, **ემუ-შენი** „იმისთვის, იმიტომ“, **ბელა-მშენი** „ხათაბალისთვის“.
4. **მსგავსებითი I.** ნიშანია **-ისტერი // -მსტერი // -სტერი: კონ-ისტერი** „კაცივით“, **ბელა-მსტერი** „ხათაბალასავით“, **ჯუმა-სტერი** „ძმასავით“... პარალელურად გვხვდება ასევე **-ისტერი // -მსტერი // -სტერი** ვარიანტიც.
5. **მსგავსებითი II.** ნიშანია **-კათა: ემ-კათა** „იმასებრ“, **და-კათა** „დასავებრ“...
6. **თანაობითი.** ნიშანია **-იკალა // -კალა // -იშკალა // -შკალა: კონ-იკალა** „კაცთან [ერთად], **ბაბაკალა** „მამასთან“, **ამედ-იშკალა** „აჰმედთან“... **-იშკალა // -შკალა** ვარიანტები ათინურ-ართაშენულშია. ხოფურსა და ვიწურ-არქაბულში კი ნათესაობითის ნიშანი უკვე დაკარგულია.
7. **მიმართულებითი II.** ნიშანია **-კელე // -კალე // -შკალე: რაკანიკელე** „მთისკენ“, **ემკელე** „იმისკენ, იქითკენ“, **გოლაშკალე** „იალაღისკენ“... **-იშკალე // -შკალე** ვარიანტები ათინურ-ართაშენულშია, ხოფურსა და ვიწურ-არქაბულში კი ნათესაობითის ნიშანი უკვე დაკარგულია.

როგორც ვხედავთ, რთული ბრუნვების უმეტესობის ფუნქციაა მიმართულების ანდა ადგილის ჩვენება. ორი მათგანი — მიმართულებას, ორიც — მსგავსებას, ერთი კი თანაობას გამოხატავს. აქვე დავძენთ იმასაც, რომ მსგავსებითი I და მსგავსებითი II ფუნქციურად აბსოლუტურად იდენტური ბრუნვებია — ისინი მხოლოდ ნიშნებით განსხვავდებიან. რაც შეეხება მიმართულებით I-სა და მიმართულებით II-ს, მათ შორის განსხვავება მცირეა და ისიც ნიუანსური: მიმართულებითი II უფრო შეესაბამება სალიტ. ენის **-ისკენ** ნიშნიან რთულ ბრუნვას, ვიდრე მიმართულებითი I.

აღსანიშნავია, რომ მიმართულებით I-ის, დაწყებით-გამოსვლითის, დანიშნულებითის და მსგავსებით I-ის ფორმებში აშკარად გამოიყოფა ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი, რომელსაც შეზრდია თანდებულები: **-იშა <- -იმ + [დ]ა** (შდრ.: ჩქიმ-და „ჩემკენ“, „ჩემსას“; **სქან-და** „შენკენ“, „შენსას“), **-იშენ <- იშ-[დ]ენ** (შდრ.: ჩქიმ-დენ „ჩემგან“; **სქან-და** „შენგან“), **-იშენი <- -იშ-[დ]ენ-ი[თ]** (ეს ეტიმოლოგია მოითხოვს შემდგომ კვლევას), **-ისთერი <- ის-თერი** (აქ **-თერი** იგივე უნდა იყოს, რაც სპარსული **თარ** „მსგავსი“ და, საყურადღებოა, რომ ნათ. ბრუნვის ნიშანი **-ის** ვარიანტით შემორჩენილა). ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი ათინურ-ართაშენულში თანაობითსა და მიმართულებით II-შიც შემორჩენილა. ხსენებული ორი ბრუნვის ნიშნები კი, ჩვენი აზრით, ასე უნდა დაიშალოს: **-იკალა <- *-იშ-კალ-[დ]ა**, ხოლო **-იკელე // -იშკალე <- *-იშ-კალ[დ]ე**.

აღსანიშნავია ასევე ისიც, რომ ეს შვიდივე რთული ბრუნვა სალიტერატურო ენაშიც დასტურდება (ფუტკარაძე, 1997: 150). ამავე დროს, ლაზურ დიალექტებში არ გვხვდება სამი რთული ბრუნვა, რომელიც 1997 წელს ტ. ფუტკარაძემ სალიტერატურო ქართულ ენაში გამოყო: დანიშნულებითი **-ისად** ნიშნით (**კაც-ისად**), თანამდევრობითი (**ჭამ-ისტანავე**) და თანხლებითი (**კაც-ითურთ**); შესაბამისად, მათ ფუნქციებს ინაწილებს ერთი მხრივ, **-იშენი** ნიშნიანი იგივე დანიშნულებითი და, მეორე მხრივ კი — თანაობითი, ასევე აღწერითი ფორმები. შდრ.: **-ისად** ნიშნიანი დანიშნულებითი ბრუნვა მეგრულში პროდუქტიულია — **კონ-იშო[თ]** (კიზირია, 1976: 32).

მურღულურ-ლივანურთან შედარებით, მუჰაჯირთა შთამომავლების ლაზურში არ გვაქვს საშიდაო და საზედაო ბრუნვები, მიწევნითის ფუნქცია კი ორმაგნიშნიანი რთული ბრუნვით გამოიხატება.

2.2.3.2.3. თანდებულებიანი ბრუნვები

„ორმაგნიშნიანი“ რთულ ბრუნვათა ფორმებად ვთვლით ისეთ ფორმებს, რომლებშიც წარმოდგენილია ბრუნვის ნიშანს მითრული ორი თანდებული, რითაც ჩვეულები-სამებრ, კონკრეტდება ხოლმე ადგილმდებარეობა ან მიმართულება.

ჩვენი აზრით, ლაზურ დიალექტებში უნდა გამოიყოს შემდეგი თანდებულებიანი ბრუნვები: **მიწევნითი, დაწყებით-გამოსვლითი II, მიმართულებით-გამსჭვალვითი** (I და II) და **დაშორებით-გამსჭვალვითი** (I და II).

მიწევნითი ბრუნვის ნიშანია რთული -იშადა // -იშაქის (იშლება ასე: -იშ-ა-და // -იშ-აქ-ის):

მურღულიშადა მოფთით-ბილე, ბენზინი დომაროდეს (ერეგ.) „მურღულამდე რომ მოვედით, ბენზინი მაშინ გაგვითავდა“;

ხუთ საათიშაქის მზუმერტუ დო უკანხე იგზალუ (არქ.) „ხუთ საათამდე მიცდიდა და მერე წავიდა“.

დაწყებით-გამოსვლითი II-ის ნიშანია -იშენდონ // -იშენდო // -იშენდონი (იშლება ასე: -იშ-ენ-დონ[ი]):

მურღულიშენდო გეჭკერი, თაა ერეგუნაშადა, ლაზეფე დიდო ფხეთ! (მურღ.) „მურღულიდან დაწყებული, ვიდრე ერეგუნამდე, ლაზები ბევრი ვცხოვრობთ!“

ბეროლაშენდონი მიჩქინ ლაზური! (ხოფ., ვიწ.-არქ.) „ბავშვობიდან ვიცი ლაზური!“...

ეს ბრუნვა ათინურ-ართაშენულში არ დასტურდება.

მიმართულებით-გამსჭვალვითი წარმოდგენილია ორგვარი ვერსიით:

1. **-იკელეშა** (იშლება: -ი-კელ-ე-შ-ა): **ხასანიში ოხორიკელეშა ვიგზალათ** (ხოფ., ვიწ.-არქ.) „ხასანის სახლის გავლით // სახლის მიმართულებით წავიდეთ“;
2. **-იკელეშადა // -იკელეშაქის** (დაიშლება ასე: -ი-კელ-ე-შ-ა-და // ი-კელ-ე-შა-ქის): **ა ორჭიკელეშაქის ეფთარე** (არქ.) „ერთი, ორჭის მხრისაკენ უნდა ავიდე“ (თარგმანი მიახლოებითია); ათინურ-ართაშენულ დიალექტში, შესაბამისად, გვექნება **-იკალეშა** და **-იკალეშადა**.

დაშორებით-გამსჭვალვითიც ასევე, ორი ვერსიითა წარმოდგენილი:

1. **-იკელეშენ** (იშლება: -ი-კელ-ე-შ-ენ): **ჩქუნეფე არქაბიკელეშენ ჰაქოლე მოკახთესდოენ** (არქ.) „ჩვენები არქაბის გავლით-დან აქეთ გადმოვიდნენ“
2. **-იკელეშენდო // -იკელენდო** (იშლება ასე: -ი-კელ-ე-შ-ენ-დო // -ი-კელ-ენ-დო): **თქვანიკელენდო სუმ კოჩი მოხთუ დო მიწვეს, ჩქუნთი ლაზი ვორეთაა დო** (მურღ.) „თქვენგნით სამი კაცი მოვიდა და გვითხრა: ჩვენც ლაზები ვართო“...

როგორც ჩანს, მუჰაჯირთა შთამომავლების ლაზურ კილოკავში, მურღულურ-ლივანურისაგან განსხვავებით და სხვა ლაზურ კილოთა/კილოკავთა მსგავსად, კვლავაც ცოცხალი და პროდუქტიულია ორმაგნიშნიანი რთული ბრუნვები.

2.2.3.3. ზედსართავი სახელი

ლაზურ დიალექტებში (resp. მუჰაჯირთა შთამომავლების ლაზურ მეტყველებაში) ზედსართავი სახელი ისეთივე თავისებურებებით ხასიათდება, როგორც სამწიგნობრო ენაში; განსხვავება თავს იჩენს მხოლოდ იმაში, რომ ლაზურ დიალექტებში დაკარგული ჩანს (უკვეთ ვთქვათ - პროდუქტიული აღარაა) ხარისხების ორგანული წარმოება.

შესაბამისად, ამჟამად ზედსართავთა ხარისხის ფორმები ლაზურ დიალექტებში

აღწერითად იწარმოება: **კაჲ** „კარგი“ — **მციქა კაჲ** „მოკარგო“ — **ენ // ენნი კაჲ** „უკეთესი“... ორგანული წარმოების ფორმები მეტისმეტად იშვიათია და მისი მაწარმოებელია, ძირითადად, **მო— —ანე** ცირკუმფიქსი:

მოფართანე ფიცარეფე ეზდიფან, აკირი-ბუკირი ქაგედუმელან... (ხოფ.) „მოფართოლო ფიცრებს იღებენ, გარდი-გარდმო დებენ...“

რაკანეფეს მოუხანე დო პევი ქარციმალი ქაგოლადაუ (არქ.) „მთებს მოშავო და სქელი ნისლი [გა]დაედო“;

კოხა ლულის მოხჩანე რენგიშ წკარი გამუხთეფს (მურდ.) „მკვახე ლედვს მოთეთრო ფერის წვენი („წყალი“) გამოსდის“.

უფროობით ხარისხს რაც შეეხება: ის აქაც ისევე, როგორც სალიტერატურო ენაში, აღწერითად იწარმოება, ოღონდ ნასესხები **დაჰა // დაა** (> თურქ. **daha**) „უფრო“ ლექსემის მეშვეობით:

ოხიი ჩქიმი ამუშენ დაა დიდი რენ (ხოფ.) „ჩემი სახლი ამაზე უფრო დიდია“;

მან ლაზებურა დაჰა კაჲ ბირაფაფე გიბირარე (არქ.) „მე ლაზურად უფრო კარგ სიმღერებს გიმღერებ“.

ლაზურ დიალექტებში პროდუქტიული აღარაა შედარებითი ხარისხის ფორმებიც — მათ ნაცვლადაც ამჟამად უკვე აღწერითი ფორმები გამოიყენება: **ამკათა მაღალა** „ამსიმაღლე“, **ოთხო კითიკათა მჩხუ** „ოთხი თითის სიმსხო“ და ა.შ. ორგანული წარმოების ფორმების საწარმოებელი ცირკუმფიქსი იყო **მა— —ანა**:

ოთხო კითიშ მაჰეჯანა ფიცარი გეყაზუფან (ხოფ.) „ოთხი თითის სიმსხო ფიცარს თლიან“;

ჰემ ბოზოს სერიშ მაუჩანა თომა ულუტუ (არქ.) „იმ გოგოს ლამესავით შავი თმა ჰქონდა“.

დღეს ორგანული წარმოების შედარებითი ხარისხის ფორმები გვხვდება მხოლოდ ხოფურ კილოსა და არქაბულ კილოკავში, თუმცა იქაც უკვე მეტისმეტად იშვიათია. მუჰაჯირთა შთამომავლების ლაზურ კილოკავში ჩვენ ორგანული ფორმები ვერ დავადასტურეთ, თუმცა მუჰაჯირ ლაზებს ხსენებული ფორმები მაინც არ ეუცხოებათ.

2.2.3.4. რიცხვითი სახელი

ლაზურ დიალექტებში რაოდენობით რიცხვით სახელებს, სალიტერატურო ენისგან განსხვავებით, ერთი თავისებურება ახასიათებს: 10-დან 20-მდე ისინი **დო** „და“ კავშირით იწარმოება. ზოგადად, ლაზური რაოდენობითი რიცხვითი სახელები კი შემდეგია:

1 – არ

2 – ჟურ

3 – სუმ

4 – ოთხო

5 – ხუთ

- 6 - ანშ
- 7 - შქით
- 8 - ოვრო
- 9 - ჩხორო
- 10 - ვით
- 11 - ვიტჷარ <- *ვით დო არ „ათი და ერთი“
- 12 - ვიტოჷურ <- *ვით დო ჟურ „ათი და ორი“
- 13 - ვიტოსუმ < *ვით დო სუმ „ათი და სამი“
- 14 - ვიტოთხო // ვიტოთხო
- 15 - ვიტოხოთ
- 16 - ვიტჷანშ
- 17 - ვიტოშქით
- 18 - ვიტოოვრო
- 19 - ვიტოჩხორო
- 20 - ეჩ
- 21 - ეჩ დო არ
- 22 - ეჩ დო ჟურ
- 30 - ეჩ დო ვით
- 31 - ეჩ დო ვიტჷარ
- 40 - ჟურენენ...

ლაზურ რაოდენობით რიცხვით სახელთა ერთ-ერთ თავისებურებად შესაძლებელია ჩაითვალოს ის, რომ მათ სახელობითის ნიშნები იშვიათად ერთვის.

მუჰაჯირთა შთამომავლების ლაზურ კილოკავშიც, ისევე როგორც მურღულურ-ლივანურში, დღეს ოცს ბემოთ რაოდენობით რიცხვით სახელთა ძველი — ქართველური სახელწოდებები იშვიათად იხმარება (ძირითადად, მოხუცთა მეტყველებაში გვხვდება); ჩვეულებრივ, მათ ცვლის თურქულიდან ნასესხები შესატყვისები:

ბიჭინა ჩქიმი დირმი ბირ დაშინდი ენ, ბოზოთი დაა დიდი ენ იშთე! (ბუჯ.) „ჩემი [უმცროსი] ბიჭი 21 წლისაა, გოგო კი უფრო დიდია, რა!“ — შდრ. თურქ. სალიტ. **Yirmi bir yaşında** // დიალ. **Yirmi bir yaşinde** „21 წლისა“;

ოთუბ ბირ ხანე ლაბე ვორერთუ! (ერეგ.) „31 კომლი ლაბი ვართ!“ — შდრ. თურქ. **Otuz bir** „ოცდათორმეტი“.

რიგობითი რიცხვითი სახელები იწარმოება იმგვარადვე, როგორც სალიტერატურო ენაში: **მა-** პრეფიქსით, ანდა **მა-** — **-ანი** ცირკუმფიქსით: **მართა // მართანი** „პირველი“, **მაჟურა // მანჯურა // მაჟურანი** „მეორე“, **მასუმა // მასუმანი** „მესამე“, **მავიტჷარა** „მე-11-ე“ და ა.შ.

გარდა ამისა, ლაზურ დიალექტებშივე დასტურდება ფორმები: **ართენერი** „პირველადი“, **ჟურენერი** „მეორეული“, **სუმენერი** „მესამეჯერადი“... მუჰაჯირთა შთამომავლების ლაზურში დღეს ასეთი ფორმები აღარ გვხვდება.

2.2.3.5. ნაცვალსახელი

ლაზურ დიალექტებში ნაცვალსახელთა თითქმის ყველა ის ჯგუფი დასტურდება, რომლებიც სამწიგნობრო ენაში გვაქვს:

1. პირის ნაცვალსახელები: **მან //მა** „მე“, **სინ // სი** „შენ“, **მუქ** „მან; თავად ის“; **ჩქინ // ჩქუ // შკუ** „ჩვენ“, **თქჷან // თქჷა // ტკჷა** „თქვენ“, **მუთეფე // მუნთეფე // მუნი** „თავად ისინი“;
2. კუთვნილებითი ნაცვალსახელები: **ჩქიმი//შქიმი** „ჩემი“, **სქანი** „შენი“, **მუში** „მისი“; **ჩქინი // ჩქუნი // შკუნი** „ჩვენი“, **თქჷანი // ტკჷანი** „თქვენი“, **მუთეფეში // ნიში** „მათი“...
3. კითხვითი ნაცვალსახელები: **მინ // მი?** „ვინ?“, **მუ? // მუა?** „რა?“ **ნამუ // ნაა?** „რომელი?“, **მუფერი?** „როგორი?“, **მუჭომფერი?** „როგორი?“, **მუსთერი?** „რანაირი?“, **მუკო // ნაკო** „რამდენი?“, **მუკონარი // ნაკონარი** „რამოდენა?“...
4. ჩვენებითი ნაცვალსახელები: **ია // ჰეა // ჰიმ** „ის“, **აა // ჰააა // ჰამ** „ეს“...; მრ. რიცხვში: **ენტეფე // ჰემთეფე** „ისინი“ **ანთეფე // ჰანთეფე** „ესენი“...
5. განუსაზღვრელი ნაცვალსახელები: **მინთხა // მითხანი** „ვიღაცა“, **მითი** „ვინმე“, **მუთხა // მუნთხა // მუთხანი** „რაღაცა“, **მუთუ // მუთი** „რამე“, **ნამუთხანი** „რომელიღაც“, **ონდი** „მავანი; რაღაც/ ვიღაც; ის, რა ჰქვია...“, აგრეთვე: **ბაშქა // ბაქშა** „სხვა“, **მაჟუანი** „სხვა, მეორე“, **ჩქა** „კიდევ სხვა, კიდევ ერთი“... განუსაზღვრელი ნაცვალსახელები გამოიყენება ასევე მიმართებითი (**ნა** „რომ“ კავშირითურთ: **მითხა ნა აქ ლაზი რენ, გურჯიჯათი კაა გაგნეფს** [ერეგ.] „ვინც აქ ლაზია, ქართულსაც კარგად გებულობს“) და უარყოფითი (**ვარ // ვა, ჰინ** ნაწილაკებითურთ: **მითი ვარენ** „არავინ არ არის“, **ჰინ მუთუ ვარ** „ალარაფერი“) ნაცვალსახელების ფუნქციითაც;
6. უკუქცევითი ნაცვალსახელები: **დუდო** „თვითონ, თვით“: **მან დუდო** „მე თვითონ“, **სინ დუდო** „შენ თვითონ“...; ასევე — **მუშებურა** „მან თვითონ“, **ჩქიმებურა** „მე თვითონ“, **სქანებურა** „შენ თვითონ“ (**ჩქიმებურა დოვიგუი ხორონი** [ერეგ.] „მე თვითონ ვისწავლე ხორუმის ცეკვა“);
7. ურთიერთობითი ნაცვალსახელები: **ართიქართი** „ერთმანეთი“, **ართიმაჟურა // არ დო მანჯურა** „ერთიმეორე“ (**ართიმაჟურას უწევს: პია, ია მუ რენა?** [ერეგ.] „ერთმანეთს უთხრეს: ნეტავ, ის რა არისო?“).

2.2.3.6. ზმნა (ზოგადი მიმოხილვა)

მუჰაჯირთა შთამომავლების ლაზურში (ისევე, როგორც ლაზურ დიალექტებში ზოგადად) ზმნა, პარადიგმების წარმოების თავისებურებების მხრივ, მცირედ განსხვავდება სალიტერატურო ენის ზმნისაგან. ზოგადად კი, ქართველური ზმნური სისტემა თავისი წარმოქმნისა და უღლების კატეგორიებით მუჰაჯირების შთამომავალთა ლაზურში კარგადაა დაცული. გამოიყოფა კაუზატივის, პოტენციალისის, უნებურობის და სხვა კატეგორიები.

ქართული ზმნის სირთულის ერთ-ერთი საფუძველი აფიქსებთან დაკავშირებული პრობლემაა: ერთი და იგივე კატეგორია შეიძლება რამდენიმე აფიქსით გადმოიციეს და, პირიქით, მასალობრივად ერთი და იგივე აფიქსი არაიშვიათად შესაძლოა, რამდენიმე ფუნქციით მოგვევლინოს.

სახელზმნა ბრუნებადი სიტყვაა. ლაზურ დიალექტებში დასტურდება ორი სახის საწყისი: ოდენსუფიქსიანი (**სთიმაჟა** „წასვლა“) და ცირკუმფიქსიანი (**ლხთიმუ** „id.“) – პირველი არქაული ფორმაა, მეორე კი საყოველთაოდ გავრცელებული.

ლაზურ დიალექტებში ზმნისწინთა რაოდენობა მეტია, ვიდრე სალიტერატურო ენაში და ამავდროულად — ნაკლები, ვიდრე მეგრულ დიალექტში; ისიც აღსანიშნავია, რომ სამივე ლაზურ დიალექტში დასტურდება ყველა ის მარტივი ზმნისწინი, რაც სალიტერატურო ენაში გვაქვს, ოღონდ — ცვლილი სახით; როგორც წესი, **ზმნისწინით უმეტესად მოქმედების ადგილი, ან მიმართულება გადმოიციება.**

ლაზურ დიალექტებში, როგორც სალიტერატურო ენასა და სხვა დიალექტებში, ზმნათა სისტემა სახელთა სისტემაზე უფრო მეტი სირთულით გამოირჩევა. ამ სირთულეს კი უპირველესად განაპირობებს ზმნურ კატეგორიათა სიმრავლე. ისინი შეიძლება ორ ჯგუფად დალაგდეს — **უღლების კატეგორიები** და **წარმოქმნის კატეგორიები**.

აქაც, ზმნის სირთულის ერთ-ერთი საფუძველი აფიქსებთან დაკავშირებული პრობლემაა: ერთი და იგივე კატეგორია შეიძლება რამდენიმე აფიქსით გადმოიციეს და, პირიქით, მასალობრივად ერთი და იგივე აფიქსი არაიშვიათად შესაძლოა, რამდენიმე ფუნქციით მოგვევლინოს.

რამდენადაც ზმნის ერთ ფორმაში შეიძლება აისახოს სუბიექტური და ობიექტური პირები, ზმნამ შეიძლება ფორმა იცვალოს **ვ**-ინის ან **მ**-ანის რიგის ნიშნების მიხედვით.

2.2.3.6.1. დრო, კილო და ასპექტი

მუჰაჯირთა შთამომავლების ლაზური კილოკავის ზმნა განარჩევს სამ დროს — წარსულს ანუ ნამყოს, ახლანდელს ანუ აწმყოს და მომავალს ანუ მყოფადს; ამასთან, მყოფადი დროის ფორმებს გააჩნიათ ზოგადი და აუცილებლობითი სემანტიკაც; მაგ., **დჷაკეთუ** „გააკეთა“ არის ნამყო დრო, **დჷაკეთეფს** „აკეთებს“ — აწმყო, **დჷაკეთას**

„გააკეთოს; გააკეთებს“ — მყოფადი-ზოგადი, მყოფადი-აუცილებლობითია **დტჷაკეთასუნონ // დტჷაკეთასუნ** „უნდა გააკეთოს; გააკეთებს აუცილებლად“ და ა.შ.

კილო ხუთია: თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი, კავშირებითი და პირობითი; მაგალითად, **მოხთუ** „მოვიდა“ თხრობითი კილოა და გულისხმობს იმას, რომ ზმნით გამოხატული მოქმედება ნამდვილ ფაქტად უნდა იქნას აღქმული; **მოხთუ-ი?** „მოვიდა-ა?“ კი კითხვითი კილოა. კითხვის გამოხატვა მუჰაჯირთა შთამომავლების ლაზურში შესაძლებელია ორი სახით – სათანადო ნაწილაკთა მეშვეობით და კითხვითი სიტყვის მეშვეობით; ამასთანავე, იშვიათად — ინტონაციითაც. ბრძანებითი კილო აღნიშნავს ბრძანებას: **მოხთი!** „მოდი!“; ან თხოვნას:

ა მოხთატი ჩქიმდა, მუ იყვენ! „ერთი, მოდი („მოხვიდოდე“) ჩემთან, რა იქნება!“

კავშირებითი კილო გამოხატავს შესაძლებლობას, სურვილს, ნატვრას:

პია მოხთას! „ნეტავ მოვიდეს!“;

ბექიმდა მოხთასუნტუ ვა მიჩქინ! „შესაძლოა, მოსულიყო, რა ვიცი!“ ...

პირობითი კილო ასახავს პირობას ფაქტის საწინააღმდეგოდ:

სინ მოხთატიკონ-ნა, კად იყოფუნ „შენ რომ მოხვიდოდე, კარგი იქნება“;

მურდულის ხახური ბეფეს კითხიკონ, ვარ უჩქინან; ბადეფეს მკითხანუნ „მურდულში ხახური (უბნის სახელია — მ.ლ.) ბავშვებს რომ ჰკითხო, არ იცინან; მოხუცებს უნდა გვკითხო“;

ცხენი ჩქინი ხემშილიქ ნიხირელეტუკონი, ადინიქ ჩქტა გაგნასუნტუ „ჩვენი ცხენი ხემშილს რომ მოეპარა, ადინი უკვე გაიგებდა“.

მუჰაჯირთა შთამომავლების ლაზურ კილოკავში ზმნას შეიძლება გააჩნდეს ორი ასპექტი: სრული ან უსრული: თუკი მოქმედებას ბოლო უჩანს, ასპექტი სრულია. წინააღმდეგ შემთხვევაში — უსრული. სალიტ. ენისაგან განსხვავებით, სრული ასპექტი მუჰაჯირთა შთამომავლების ლაზურში ზმნისწინებით იშვიათად იწარმოება.

2.2.3.6.2. ზმნის პირი და რიცხვი

სალიტერატურო ენის და სხვა დიალექტთა მსგავსად, მუჰაჯირთა შთამომავლების ლაზურის ზმნა განარჩევს სამ პირსა და ორ რიცხვს. პირისა და რიცხვის ნიშნებიც ასევე, ძირითადად, სალიტერატურო ენის იდენტურია (განსხვავებები აიხსნება უმეტესწილად, ფონეტიკურ ნიადაგზე):

ვ-ინის რიგის ნიშნები

მხოლოდობითი რიცხვი

1: ვ-, ბ-, ფ-, პ-, მ-, ფ-;

2: 0-

3: 0- ————— -ს, -ნ, -უ;

მრავლობითი რიცხვი

ვ-, ბ-, ფ-, პ-, მ-, ფ- ————— -თ

0- ————— -თ

0- ————— -ენ, -ან, -ეს

გე- — საიქეთო. მიუთითებს ზევით და მარჯვნივ მოქმედებაზე, მაგ.: **გეფთი** „ჩავედი“, **გევოლტი** „დავადე; დავარქვი“; **გევოთქვი** „[თქმულს] კვლავაც სიტყვა დავაყოლე“, **გევოჭკომი** „საჭმელი დავაყოლე რამეს“, ზოგჯერ სალიტერატურო ენის **ა-//ად-** ზმნისწინსაც ეფარდება: **გეპჭარი** „აღვწერე“...

გო- — ფონეტ. შესატყვისი სალიტ. ენის **გან-** ზმნისწინისა; მიუთითებს გარდი-გარდმო მიმართულ მოქმედებაზე: **გოჭოფეს** „აქეთ-იქიდან დაიჭირეს, გამოიჭირეს“, **გოვიკითხი** „მიმოვიკითხე, გავიკითხე; უკანასკნელი სიტყვით ვაგინე, განვიკითხე“; **გოიტუ** „აქეთ-იქით მიმოდიოდა“...

მო- — სრული შესატყვისი სალიტ. ენის **მო-** ზმნისწინისა, სააქეთო; მაგ.: **მოვიყონი** „მოვიყვანე“, **მოვიკითხი** „მოვიკითხე“ **მოვიდგი** „მოვიდგი“...

მე- — ფონეტ. შესატყვისი სალიტ. ენის **მი-** ზმნისწინისა, საიქეთო: **მეველი** „მივუტანე“, **მევეზი** „მივუწიე“... ხმოვნის წინ სახეს იცვლის და გვაქვს **ნი-, ნო-, ნა- ნუ-** ვარიაციები: **ნულუ** (<* **მე-უ-ღ-უ**) „მიუტანა“, **ნობარუ** (<* **მე-ო-ბარ-უ**) „მიაბარა“, **ნაგნუ** (<* **მე-ა-გნ-უ**) „გაიგო, ეტიმ. მიაგნო“...

გა- გვხვდება მხოლოდ ხოფურში. სრულად ეფარდება სალიტ. ენის **გა-** ზმნისწინს: **გაიმღებუ** „გაბრაზდა“, **გახადეფს** „გახდის, აქცევს“, **გავაგნი** „გავიგე; ეტიმ. გავაგნე“...

წა- დამოუკიდებელი ზმნისწინის სახით დღეს დასტურდება მხოლოდ ერთ ზმნაში: **წახთუნ** „ფუჭდება, [წა]ხდება“ და მისგან ნაწარმოებ ფორმებში.

ამ მარტივი ზმნისწინებისგან იწარმოება სამი **რთული ზმნისწინი** იმავე პრინციპით, როგორც სალიტერატურო ენაში, სადაც ორმა მარტივმა ზმნისწინმა შესაძლოა მოგვეცეს ერთი რთული; ამავე დროს, ლაზურ დიალექტებში ორი მარტივი ზმნისწინის შეერთებით მიღებულ რთულ ზმნისწინებში დაცულია მარტივ ზმნისწინთა ამოსავალი ფორმები:

ამა- (< **ა+მა**) მიუთითებს რაიმეთა შორის და შიგნითკენ მიმართულ მოქმედებაზე. ეფარდება სალიტერატურო ენის **შე-** და **შემო-**, **ჩა-** ზმნისწინებს. ეტიმოლოგია ნათელია — ის ამჟამინდელი **ო-** (< **ა-**) და **მო-** (< **მა-**) ზმნისწინთა შეერთებითაა მიღებული: **ამახთუ** „შევიდა, შემოვიდა“, **ამავიდამავიდიტი** „[პირში] ჩავიდე; [ბალიშქვეშ] ამოვიდე“...

გამა- (< **გა+მა**) სრულად ეფარდება სალიტ. ენის **გამო-** ზმნისწინს, თუმცა სააქეთო მიმართულების გარდა, მიუთითებს საიქითო მიმართულებასაც: **გამახთუ** „გამოვიდა“, **გამათქუ** „გათქვა; გამოთქვა“... ამჟამად **გა-** ზმნისწინი ლაზურში ცალკე იშვიათია.

მენდა- <-// **მედა-** <- // **მინდა-** საიქეთო. უთითებს მთქმელის მოპირდაპირე მხრის უკიდურესი წერტილისაკენ მიმართულ მოქმედებაზე; ეფარდება სალიტერატურო ენის **წა-** ზმნისწინს. მენდა მიღებულია ამჟამინდელი **მე-** (< **მი-**) და **დო-** (< **და-**) ზმნისწინთა შეერთებით, ფონეტიკურ ნიადაგზე **ნ-**ს განვითარებით: **მენდახთუ** „წავიდა“, **მინდუნუ** „გადენა, მიდენა“, **მედლონუ** (არქ.) „წაიყვანა“:

ლაზურ კილოთა დანარჩენი რთული ზმნისწინების შემადგენლობაში გამოვყოფთ ე.წ. „მაკონკრეტებელ ელემენტებს“ **-ლა//ლო, -ვა//ვო, -წა//წო, -შა//შო, -ჟა//ჟო** და **-ხო**, რომელთა ფუნქციაა **მოქმედების მიმართულების დაკონკრეტება: -ლა//-**

ლო უთითებს გვერდით, **-კა// -კო** — უკან, **-წა// -წო** — წინ, **-შა// -შო** — შიგნით, **-ჟა// -ჟო** — ზევით, ხოლო **-ხო** კი ზოგადად, საითკენმე მიმართულ ქმედებას აღნიშნავს.

ხსენებული ელემენტები მარტივ ზმნისწინებთან კომბინაციაში ქმნის შემდეგ **რთულ ზმნისწინებს**:

დო-ლო- საიქეთო. შეესატყვისება სალიტერატურო ენის **ჩა-** ზმნისწინს: **დოლოხთუ** „შიგ ჩავიდა“, **დოლობდუ** „ჩაყარა“, **დოლტაბონუ** „ჩაეკონა“ ...

ე-ლა- საიქეთო. მიუთითებს გვერდით, ანდა ზემოთკენ და გვერდით მიმართულ მოქმედებაზე: **ელუხედუ** „გვერდით დაუჯდა“, **ელახთუ** „[ფერდობზე] ავიდა“ ...

გე-ლა- საიქეთო. მიუთითებს კიდებე მიმდინარე, ანდა ზემოდან ქვემოთკენ და გვერდით მიმართულ მოქმედებაზე: **გელუხუ** „[კიდებე] მიდენა, ჩამოდენა“; **გელიყონუ** „[ფერდობზე ქვემოთ] ჩამოიყვანა“ **გელუჭკირუ** „[კიდე] ჩამოაჭრა“ **გელახედუნ** „[კიდებე] ჯდება“

მე-ლა საიქეთო. მიუთითებს უკიდურესი წერტილისაკენ მიმართულ მოქმედებაზე; გვხვდება იშვიათად: **მელაჭკომაფუ** „საჭმელზე მისატანი რამ“ .

გო-ლო- საიქეთო. შეესატყვისება სალიტერატურო ენის **გადა-** ზმნისწინს: **გოლუსუ** „გადაუსვა“, **გოლოვიყონი** „გადავიყვანე“, **გოლოტყლაპერი** „გადატალახებული“ ...

ე-წა- მიუთითებს ზემოთკენ და წინ მიმართულ მოქმედებაზე: **ეწაზდუ** „ზემოთ და წინ ასწია“, **ბერე ხეს ეწუქაჩუნ** „ბავშვი ხელში უკავია“ ...

გე-წა- მიუთითებს ზემოდან ქვემოთკენ და წინ მიმართულ მოქმედებაზე: **გეწიწკერს** „[სარკეში] იხედება“, **გეწიკიდუ** „[წინ] ჩამოიკიდა“ ...

გო-წო- მიუთითებს წინ და გარდვიგარდმო მიმართულ მოქმედებაზე: **გოწოვუნ-კაპი** „[წინ] გადავირბინე“ **გოწოვუყონი** „მოვტაცე [ქალი“

ე-კა- მიუთითებს ქვემოდან ზემოთ და უკან მიმართულ მოქმედებაზე: **კე[რ]ას ეკუხენ** „კერას უზის“, **ეკტყაყონუ** „აჭყვა, მიბაძა; საიდანმე ჩამოაჭყვა“ ...

ო-კო- მიუთითებს ორივე მხრიდან ურთიერთისაკენ მომართულ ან ურთიერთიდან გამომდინარე მოქმედებაზე: **ოკუნგაფან** „ერთმანეთს ჰგვანან“, **ოკოხთეს** „თავი მოიყარეს“, **ოკიკათეს** „ერთმანეთში აირივნენ; ერთმანეთს შეხვდნენ“ ...

მო-კა- საიქეთო. მიუთითებს მთქმელის მოწინააღმდეგის უკანა მხრიდან მთქმელის მხარეს მიმართულ მოქმედებაზე: **მოკამიხედი** „[უკან] მომიჯექი“, **მოკულუ** „გადმოუღო; უკანვე მოუტანა“; **მოკუტკოჩუ** „უკანვე გადმოუგდო“ ...

მე-კა საიქეთო. მიუთითებს მთქმელის უკნიდან მოპირდაპირე მხარეს მიმართულ მოქმედებაზე: **მიკიდუ** „უკანვე წაიღო, აიღო“, **მიკუყურუ** „ბურგში მიაყვირა“ ...

ე-შა- მიუთითებს ქვემოდან ზემოთკენ და შიგნით, რაიმეთა შორის მიმართულ მოქმედებაზე: **გოლაშა ეშახთუ** „მთაში (იალაღებზე) ავიდა“; **კუიშენ წკარი იშიდუ** „ჭიდან წყალი ამოიღო“ ...

გე-შა- მიუთითებს ზემოდან ქვემოთკენ, რაიმეზე დამართვით და შიგნით, რაიმეთა შორის მიმდინარე მოქმედებაზე: **ჯას გეშიკიდუ** „ხიდან ჩამოეკიდა“ ...

მე-შა- საიქეთო. მიუთითებს მთქმელის მხრიდან მოპირდაპირე მხარეს და შიგნით, ღრმად რამეთა შორის მიმართულ მოქმედებაზე: **მეშახთუ** „შიგ ღრმად შევიდა“; **მიშილუ** „შიეტანა შიგ ღრმად“...

მო-შო- სააქეთო. მიუთითებს მთქმელის მოპირდაპირე მხარეს რაიმეთა შორის სიღრმიდან გარეთ მომართულ მოქმედებაზე: **მოშავიმერ** „სიღრმიდან გამომაქვს“, **მოშტაკათუ** „[შუიდან] გამოეყო“...

გო-შო- მიუთითებს რაიმეთა შორის და გარდიგარდმო მიმართულ მოქმედებაზე: **გოშადგინან** „[სიღრმეში] მიმოდგანან“, **მურღულის ბაზი ოფუტეფეს ლაზუი დაა ელახი გუშიდარლალენ** (ერევ.) „მურღულის ზოგ სოფლებში ლაზური უფროა გავრცელებული („სიღრმეში და იქით აქეთ ილაპარაკება“) და მისთ.

ე-ჟა- მიუთითებს ქვემოდან ზემოთ, რაიმეზე გადავლით მიმართულ მოქმედებაზე: **ჯაშ კაწარის ფაჭავრაფე ეჟოვუკიდაფთ** (ავან.) „ხის კენწეროზე ჭინჭებს [ა]ვკიდეთ“...

გე-ჟო- მიუთითებს ზემოდან ქვემოთ და რაიმის წვერზე დამართვით მიმდინარე მოქმედებაზე: **ბერეს ნა დუწკეს კიბიი ოხოიშ მოთჷალეს გეჟატკომალან** (მურღ.) „ბავშვს რომ ამოუღეს, იმ კბილს სახლის სახურავზე აგდებენ“;

მე-ჟა- საიქითო. მიუთითებს ზემოდან გადავლით რამე უკიდურესი წერტილისკენ მიმართულ მოქმედებაზე: **წ, თის მუეფე მეჟამიხთუ** (მურღ.) „აი, თავზე რაები გადამხდა“, **რაკანეფეს მეჟავიყონი** „მთებზე ზემოდან გადავიყვანე, გადავატარე“...

მო-ჟა- სააქეთო. მიუთითებს ზევით და უკიდურესი წერტილიდან მთქმელისაკენ მომართულ მოქმედებაზე: **ა ნჯუმუთი მოჟობდი!** (ერევ.) „ერთი, ზედ მარილიც მოაყარე!“ **გოწოს დუსუფელიშენდო ნისათი მოჟავიყონით** (მურღ.) „შარშან იუსუფელიდან რძალიც გადმოვიყვანეთ“...

გო-ჟო- მიუთითებს ზევით და ორმხრივ, გარდიგარდმო მიმართულ ქმედებაზე: **არ ე თელი გოჟოვოკიდათ და, მხუჯი მომჩი!** (მურღ.) „ერთი, ეს მავთული გა[და]ვებათ, რა, მომეხმარე!“; **გოჟოფუთხუ** „ზემოდან გადააფრინდ-გადმოაფრინდა“...

ო-ხო- მიუთითებს ზოგადად საითკენმე ან საიდანმე მიმართულ მოქმედებაზე: **არ თქაფა თურქული ფთქჷათ-ნა, ლაზუითი ოხოვუქთინათ** (ერევ.) „ერთ წინადადებას თუ თურქულად ვიტყვით, ლაზურსაც გავურევთ“; **ოხოწონაფს** „შეისმენს“ და ა.შ.

ამ „მაკონკრეტებელი ელემენტების“ ეტიმოლოგია საყოველთაოდ ნათელია — მათი უმეტესობა დასტურდება სალიტერატურო ენაშიაც: მაგ., **-წა-//-წო-** და **-შა-//-შო-** იგივე **წა-** და **შე-** (<-შა) ზმნისწინებია, **-კა-//-კო-** - არქაული **უკუ-** ზმნისწინი (**უკუიქცა, უკუდგა...**), **-ჟა-//-ჟო-** იგივეა, რაც **-ზე** თანდებული; **-ლა-//-ლო-** კი დასტურდება სვანურ დიალექტებში ზმნისწინისგე ფუნქციით — **ლააჭემე** „ცოტა მოთიბა, წათიბა“, **ლახჭედდა** „შეეკითხა“ და მისთ. ერთ-ერთ სვანურ დიალექტში — ლენტეხურში დასტურდება აგრეთვე **-ხო-** ელემენტიც — მიმართულებითი ბრუნვის ნიშნის ფუნქციით **ლენტეხახო** „ლენტეხისკენ“...

ამათ გარდა, გვაქვს **გო-წო-ნა-** და **ო-კო-ნა-** სამმაგი ზმნისწინები. პირველი მათგანი მიუთითებს მთქმელის მოპირდაპირე მხარის მიმართულებით, გარდიგარდმო მიმდინარე მოქმედებაზე: **გოწონახთუ** „წინიდან გავიდა“; მეორე — მთქმელის მოპირდაპირე მხარეს, რამეზე დამართვით მიმდინარე ქმედებაზე: **ოკონადგინუ** „შეეწინააღმდეგა“, **ოკონადურუ** „პირდაპირ ზედ მიაკვდა“ და ა.შ. ორივე სამმაგ ზმნისწინში გამოიყოფა **-ნა-** ელემენტი, რაც შესაძლოა, **მე-** ზმნისწინისგან მომდინარეობდეს (იხ. ზემოთ).

ბუნებრივია, ლაზურ დიალექტებში ზმნისწინები სხვადასხვა ფონეტიკური ვარიაციით გვხვდება — მაგ., ათინურ-ართაშენულში: **გე > ჯე-, გელა > ჯელა-, ეშა- > ეშქა-, გეშა- > ჭეშქა-, გეჟო- > ჯეოლ-...** ვიწურ-არქაბულში ხოფურის **გეჟო-, გოჟო-, ეჟო-, მეჟა-, მოოლ-** ვარიანტებს. ხოფურში **ე-** ზმნისწინი ზოგჯერ დოტირით ითქმის: **დუხთიმუ** „ასვლა“ და სხვ.

ამდენად, ზმნისწინთა სისტემა ლაზურ დიალექტებში რთულია.

2.2.3.6.4. ხმოვანპრეფიქსული წარმოება

ქართული ზმნის ხმოვანპრეფიქსთა სემანტიკა, როგორც უკვე ზემოთაც აღინიშნა, ვერჯერობით საბოლოოდ დაზუსტებული არ არის.

ლაზურ დიალექტებში გვხვდება ყველა ის ხმოვანპრეფიქსი, რაც სალიტერატურო ენაში გვაქვს: **ო-, ა-, ი-, უ-; ო- და ა-** ფონეტიკურად ცვლილი **ა-** და **ე-** ხმოვანპრეფიქსებია, დანარჩენები კი ლაზურ დიალექტებშიც იმავე სახითაა, როგორც სალიტ. ენაში. მუჰაჯირთა შთამომავლების ლაზურში **ა-** და **ე-** ამოსავალი ფორმითაც არაიშვიათად შეიძლება შეგვხვდეს: **დოვაკეთი** „გავაკეთე“, **ვეცადებურ** „ვეცდილობ, ვეცდები“ ... სხვა ლაზურ კილოთათვის კი ასეთი რამ დღეს უკვე უჩვეულოა.

სემანტიკითაც, ისინი სალიტერატურო ენის ხმოვანპრეფიქსთა იდენტურნი არიან: **ბღარუფ** „ვხატავ“ — **ვღღარუფ** „ვხატავ“ — **ვიღარუფ** „ვიხატავ“ — **ვუღარუფ** „ვუხატავ“ ...; **ა-** ხმოვანპრეფიქსს ხშირად აქვს პოტენციალისის სემანტიკაც:

ნანდიდი ჩქიმის თურქჩე ვა ათქუტუ, დაიმა ლაზუი მიღალატეს „ბებიჩემი თურქულად ვერ ლაპარაკობდა („ვერ ეთქმოდა“), სულ ლაზურად გველაპარაკებოდა“;

გაურჯული გავაგნეფ დო, კაითი მაღალალენ! „ქართული ვიცი („გავაგნებ“) და, კარგადაც შემიძლია ვილაპარაკო“ და მისთ.

აგრეთვე: ლაზურ დიალექტებში პოტენციალისის სემანტიკა, შესაძლოა, ჰქონდეს **ი-** ხმოვანპრეფიქსსაც, მაგ.: **ჰელე, ეშო გუიქთინენი, ჭე?! (ქურ.)** „აბა, ასე მოცევა შეიძლება, ბიჭო?!“; იშვიათი სახით, ეს ასეა სალიტ. ენაშიც: **„ასე არ ითქმის“** ნიშნავს, რომ ასე თქმა არ შეიძლება; თვით ფორმა „შეიძლება“ —ც **ი-** ხმოვანპრეფიქსიანი პოტენციალისია; ლაზურ დიალექტებში ამგვარი წარმოება დღესაც ნორმაა.

ხშირად, ლაზურ დიალექტებში ხმოვანპრეფიქსი გვხვდება იქ, სადაც სალიტერატურო ენაში უხმოვანპრეფიქსო წარმოება გვაქვს:

მა სი ჭარელი მოგიჭარაუნონ, ადრესი მომჩი, და! (კაპ.) „მე შენ წერილს მოგწერ („მოგიწერო უნდა“), მისამართი მომეც!;

ემ დელიკანიქ კულანის შქას თოკი ქომუდტყვენ დო ეშო ქონიბარელენ (ავან.) „იმ ვაჟკაცმა ქალს წელზე თოკი მოსდო („მოუდო“) თურმე და ისე დაატყვევა („ჩაიბარა“) თურმე“...

2.2.3.6.5. კაუზატივი (შუალობითი კონტაქტი)

მუჰაჯირთა შთამომავლების ლაზურში კაუზატივი (შუალობითი კონტაქტი), სალიტერატურო ენისგან და სხვა კილოთაგან განსხვავებულად, -აფ- სუფიქსით იწარმოება; სალიტერატურო ენის მსგავსად კი, ამ დროს ზმნის ფუძეს ერთვის **ო-** ხმოვანპრეფიქსიც: **ყტილუფს** „ჰკლავს“ — **ოყტილაფაფს** „აკვლევინებს“; **ჭარუფს** „წერს“ — **ოჭარაფაფს** „აწერინებს“; **დტაკეთეფს** „აკეთებს“ — **დოკეთაფაფს** < ***დო-ო-კეთ-აფ-აფ-ს** „აკეთებინებს“ და ა.შ. სალიტერატურო ენასა და მურღულუღ-ლივანურ კილოკავში დადასტურებული კაუზატივის **-ინ** ნიშანი მუჰაჯირთა შთამომავლების ლაზურში (ზოგადად — ლაზურ დიალექტებშიც) ოდნავ უფრო განსხვავებული სემანტიკით გვხვდება; მაგ., შდრ.: **დოხცუნ** „ლპება“ და **დოხცინაფს** (<***დო-ო-ხც-ინ-აფ-ს**) „აღბობს“, **ოხტაქთენ** „[შე]ერევა, [გა]ერევა“ და **უხუქთინაფს** (<***ოხო-უ-ქთ-ინ-აფ-ს**) „[შე]ურევს, [გა]ურევს“...

2.2.3.6.6. ზმნის მწკრივები

მუჰაჯირთა შთამომავლების ლაზური კილოკავის ზმნის პარადიგმები რომ აკ. შანიძისეული სისტემით დავალაგოთ, მწკრივების რაოდენობა უფრო მეტი იქნება, ვიდრე სალიტერატურო ენაშია — მიუხედავად იმისა, რომ როგორც მურღულუღ-ლივანურში, ისე მუჰაჯირთა შთამომავლების ლაზურში დაკარგულია მყოფადის კავშირებითი, ხოლო მყოფადის წრის მწკრივთა ფორმები დღეს მეტისმეტად იშვიათია — როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, ზმნისწინებით, ლაზურ დიალექტებში, მხოლოდ და მხოლოდ მოქმედების მიმართულება გადმოიცემა.

სანიმუშოდ წარმოვადგენთ **პჭარუფ** „ვწერ“, **ბღურურ** „ვკვდები“ ზმნების ფორმებს:

| სერია

1. აწმყო: **პ-ჭარ-უფ...; ბ-ღურ-უ-რ...**
2. უწყვეტელი: **პ-ჭარ-უპ-ტ-ი...; ბ-ღურ-უ-ტ-ი...**
3. უწყვეტლის თურმელობითი: **პ-ჭარ-უპ-ტ-ერე...; ბ-ღურ-უ-ტ-ერე...**
4. აწმყოს კავშირებითი: **პ-ჭარ-უპ-ტა; ბ-ღურ-უ-ტა...**

5. უწყვეტლის პირობითი: **პ-ჭარ-უპ-ტ-ი-კონ...; ბ-ღურ-უ-ტ-ი-კონ...**
6. მყოფადი: **[დო-პ-ჭარ-უფ...], [დო-ბ-ღურ-უ-რ...]**
7. ხოლმეობითი: **[დო-პ-ჭარ-უპ-ტ-ი] [დო-ბ-ღურ-უ-ტ-ი]**

II სერია

8. წყვეტილი: **დო-პ-ჭარ-ი..., დო-ბ-ღურ-ი...**
9. წყვეტილის პირობითი: **დო-პ-ჭარ-ი-კონ..., დო-ბ-ღურ-ი-კონ...**
10. წყვეტილის თურმეობითი: **დო-პ-ჭარ-ელე..., დო-ბ-ღურ-ელე...**
11. წყვეტილის თურმეობითი II: **დო-პ-ჭარ-ელე-ტი... დო-ბ-ღურ-ელე-ტი...**
12. წყვეტილის დაქვემდებარებითი: **დო-პ-ჭარ-ი-კონ... დო-ბ-ღურ-ი-კონ...**
13. II კავშირებითი: **დო-ბ-ჭარ-ა..., დო-ბ-ღურ-ა...**
14. II კავშირებითის ხოლმეობითი: **დო-ბ-ჭარ-ა-ტ-ი..., დო-ბ-ღურ-ა-ტ-ი...**
15. II კავშირებითის ხოლმეობითის პირობითი: **დო-ბ-ჭარ-ა-ტ-ი-კონ..., დო-ბ-ღურ-ა-ტ-ი-კონ...**

III სერია

16. I თურმეობითი: **დო-მ-ი-ჭარ-უ-ნ...; დო-ბ-ღურ-აფ-ერე**
17. II თურმეობითი: **დო-მ-ი-ჭარ-უ-ტ-უ...; დო-ბ-ღურ-აფ-ერე-ტ-ი**
18. III კავშირებითი: **დო-მ-ი-ჭარ-უ-ტ-ა-ს...; დო-ბ-ღურ-აფ-ერე-ტ-ა**
19. II თურმეობითის პირობითი: **დო-მ-ი-ჭარ-უ-ტ-უ-კონ, დო-ბ-ღურ-აფ-ერე-ტ-ი-კონ...**

არსებითად, მწკრივთა ასეთივე სქემა წარმოადგინა გ. კარტოზიამ 2005 წელს (კარტოზია, 2005: 96–97), თუმცა იგი ზოგ მწკრივს სხვა დასახელებით იხსენიებს და, მყოფადის წრის მწკრივთა ფორმებად მოდალურ კონსტრუქციებს მიიჩნევს, რაშიც ცდება⁶⁸. ჩვენ მყოფადის წრის ორივე მწკრივის ფორმები კვადრატულ ფრჩხილებში გვაქვს ჩასმული, რადგანაც ისინი მეტისმეტად იშვიათია — ამ შემთხვევაში, მუჰაჯირთა შთამომავლების ლაზური სხვა ლაზურ დიალექტებს მიჰყვება: მყოფადის მწკრივთა ფორმები (უფრო უკეთ რომ ვთქვათ, ზმნისწინიანი ფორმები მყოფადის მნიშვნელობით) თითქმის არ იხმარება.

მყოფადის კავშირებითს რაც შეეხება: მის მაგივრად, ლაზურ დიალექტებში დღეს II კავშირებითის ხოლმეობითის პირობითის ფორმები იხმარება:

ემუქ გელაჩატუკონ, მან ვიბირატი! (მურღ.) „ის რომ დაუკრავდეს, მე ვიმღერებდი!“

მუჰაჯირთა შთამომავლების ლაზურ კილოკავში, როგორც სხვა ლაზურ დიალექტებსა და, ლივანურ დიალექტშიც, მყოფადის გაგება აქვს II კავშირებითის მწკრივის ფორმებს:

⁶⁸ საერთოდაც, ლაზური დიალექტების ზმნური პარადიგმები უფრო მეტია, ვიდრე ეს ზემოთ მოყვანილ მწკრივებსა და სერიებშია წარმოდგენილი (დაწვრილებით, იხ. თანდილავა, 2015: 198–249)

ბირათა გინონან-ნა, მიწუთ არჩქა დო, ვიბირა! (ერევ.) „სიმღერა თუ გინდათ, მითხარით და ვიმღერებ!“;

ჰელბეთ ეთი მოხთას, ჰელე მა მუ მიჩქინ! (ქურ.) „ალბათ ისიც მოვა, აბა მე რა ვიცი!“

აუცილებლობის სემანტიკის გამოსახატავად კი მუჰაჯირთა შთამომავლების ლაზურში, საერთო სამხრეთ-ქართული ყალიბის თანახმად, II კავშირებითის ფორმას ერთვის **უნონ** „უნდა“ მეშველი ზმნა:

იაჟ! მემეტითი მოხთასუნონ-მა, გიწუთი და, ჰე! (მურდ.) „აჟ! მემეტიც მოვა [აუცილებლად]-მეთქი, ხომ გითხარი, ბიჭო!“;

კურნაზი ნა-ენ ბოზოქ, ბენი დოყვასუნონ ქიმოჯი მუში, ჰჰ! (ქურ.) „ვინც ცბიერია, ის გოგონა გააგიჟებს მის ქმარს, მაშ!“ და მისთ.

ათინურ-ართაშენულსა და ვიწურ-არქაბულში II კავშირებითის ფორმას ერთვის – **ერენ // -ენ (< ორენ)** „არის“ მეშველი ზმნა: **მოხთასერენ** (ათინ.-ართ.) // **მოხთასენ** (ვიწ.-არქ.) „[აუცილებლად] მოვა...“

ხოლმეობითის გაგება II კავშირებითის ფორმაზე **უნონ** ზმნის უწყვეტლის ფორმის დართვით გადმოიცემა: **მოხთასუნტუ** „მოვიდოდა“, **მოხთაუნტუ** „მოხვიდოდი“, **მოფთა-უნტუ** „მოვიდოდი“ და მისთ.; შდრ.:

აწი მან დოგიჭარაუნტუ, მარა გურჯიჯა ვა მიჩქინ-ქი, ჰარტა! (მურდ.) „ახლა მე [კი] დაგიწერდი, მაგრამ ქართულად არ ვიცი წერა!“;

აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სემანტიკას ამ შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს: არააუცილებლობა II კავშირებითის ხოლმეობითის ფორმებით გადმოიცემა:

ეფჩი! მან მუჭოთე დოგიჭაადტი, ჰარა ვარ მიჩქინ ქი! (მურდ.) „ბიჭოს! მე როგორ დაგიწერდი, აკი წერა არ ვიცი!“;

ათინურ-ართაშენულში, შესაბამისად, არის: **მოხთასერტუ** „მოვიდოდა“, **მოხთარტუ** „მოხვიდოდი“, **მოფთარტუ** „მოვიდოდი“...

III კავშირებითის ფორმები მუჰაჯირთა შთამომავლების ლაზურში პროდუქტიულია:

სი ჩქინის კად ყოფერეტა, დერდი მო იქიპტა ემუში!.. (ერევ.) „შენი ჭირიც წაუღია („შენ ჩვენსას კარგად ყოფილიყო“), ნულა დარდობ იმას!..“

ამ მნიშვნელობითვე გამოიყენება II თურმეობითის ფორმები და **ე-ნა** კავშირი:

კად ე-ნა ყოფერეტი! „კარგად ყოფილიყო!“;

ასთეი ბრეტული ე-ნა დომიკეთაფუნან! „ასე ბევრი გაგვეკეთებინოს!“

2.2.3.6.7. ზმნური ყალიბები

ქართული ზმნური ფორმები ტ. ფუტკარაძემ **სამი დონის** პარადიგმად წარმოადგინა (ვაშაკიძე... 2019: 230-231), სადაც პირველი დონის ყალიბებს (ნაკვეთებს) ქმნის ხმოვანპრეფიქსებით, კაუზატივითა და სხვა სემანტიკური მახასიათებლებით განსხვავებული

ზმნური ფორმები; მეორე დონეს ქმნის დრო-კილო-ასპექტით განსხვავებული ფორმები (მწკრივის ფორმები), მესამეს — პირითა და რიცხვით განსხვავებული ფორმები.

სანიმუშოდ, ქვემოთ წარმოვადგინოთ **ღარუფს** „ხატავს“ ზმნის პარადიგმებს:

პირველი დონის (დიდი) პარადიგმა:

მა ბ-ღარ-უფ ია (მიუმართავი მოქმედება, ორვალენტიანი ყალიბი)

მა ვ-ო-ღარ-უფ ემუს ია (საზედაო მოქმედება, სამვალენტიანი ყალიბი)

მა ვ-ო-ღარ-აფ-აფ ემუს ია (კაუზატიური მოქმედება, სამვალენტიანი ყალიბი)

მა ვ-უ-ღარ-უფ ემუს ია (ადრესატული მოქმედება, სამვალენტიანი ყალიბი)

მა ვ-ი-ღარ-უფ ია (ადრესატული მოქმედება, ორვალენტიანი ყალიბი)

მა ვ-ი-ღარ-ებ-უ-რ (ადრესატული მოქმედება, ერთვალენტიანი ყალიბი)

მა ვ-ე-ღარ-ებ-უ-რ ემუს (უნებლიე მოქმედება, ერთვალენტიანი ყალიბი)

მა ვ-ა-ღარ-აფ-უ-რ ემუს (კაუზატიური მოქმედება, ორვალენტიანი ყალიბი)

მა მ-ი-ღარ-აფ-აფ-ს ემუქ ია ემუს (კაუზატიური მოქმედება, ოთხვალენტიანი ყალიბი)

მა ვ-ი-ღარ-ე-რ (პოტენციალური მოქმედება, ერთვალენტიანი ყალიბი)

მა ვ-ა-ღარ-ე-რ ემუს (პოტენციალური მოქმედება, ორვალენტიანი ყალიბი)

მა დო-ბ-ღარ-აფ-ერე (უნახავი, მიუმართავი მოქმედების ერთვალენტიანი ყალიბი)

მა დო-მ-ი-ღარ-უ-ნ ია (უნახავი მოქმედების ორვალენტიანი ყალიბი)

მა დო-ვ-უ-ღარ-უ-რ ემუს (თურმეობითი და უნახავი მოქმედების გამომხატველი ერთვალენტიანი ყალიბი)

მე დოდარელი ვორე (აღწერითი ერთვალენტიანი ყალიბი)

მეორე დონის (კლასიკური) პარადიგმა:

მა ბ-ღარ-უფ ია (აწმყო/მომავალი დრო, თხრობითი კილო, უსრული ასპექტი)

[მა დო-ბ-ღარ-უფ ია] (აწმყო/მომავალი დრო, თხრობითი კილო, სრული ასპექტი, ხოლმეობითი სემანტიკა)

მა ბ-ღარ-უპ-ტ-ი ია (წარსული დრო, თხრობითი კილო, სრული ასპექტი)

[მა დო-ბ-ღარ-უპ-ტ-ი ია] (წარსული/მომავალი დრო, თხრობითი კილო, სრული ასპექტი, ხოლმეობითი სემანტიკა)

მან ბ-ღარ-უპ-ტი-კონ (წარსული/მომავალი დრო, პირობითი კილო, უსრული ასპექტი, პირობითი სემანტიკა)

მან დო-ბ-ღარ-უპ-ტი-კონ (წარსული/მომავალი დრო, პირობითი კილო, სრული ასპექტი, ხოლმეობითი სემანტიკა)

მა ბ-ღარ-უპ-ტ-ა ია (აწმყო/მომავალი დრო, კავშირებითი კილო, უსრული ასპექტი)

მა ბ-ღარ-ი ია (წარსული დრო, თხრობითი კილო, უსრული ასპექტი)

მა ბ-ღარ-ი-კონ ია (წარსული დრო, პირობითი კილო, უსრული ასპექტი)

მა ბ-ღარ-ელე ია (წარსული დრო, თხრობითი კილო, უსრული ასპექტი, თურმეობითი სემანტიკა)

მა ბ-ღარ-ელე-ტი ია (წარსული დრო, კავშირებითი კილო, უსრული ასპექტი, თურმეობითი სემანტიკა)

მა ბ-ღარ-ელე-ტი-კონ ია (წარსული დრო, კავშირებითი კილო, უსრული ასპექტი, პირობითი სემანტიკა)

მა დო-ბ-ღარ-ი ია (წარსული დრო, თხრობითი კილო, სრული ასპექტი)

მა დო-ბ-ღარ-ი-კონ ია (წარსული დრო, პირობითი კილო, სრული ასპექტი)

მა დო-ბ-ღარ-ელე ია (წარსული დრო, თხრობითი კილო, სრული ასპექტი, თურმეობითი სემანტიკა)

მა დო-ბ-ღარ-ელე-ტი ია (წარსული დრო, პირობითი კილო, სრული ასპექტი, თურმეობითი სემანტიკა)

მა დო-ბ-ღარ-ელე-ტი-კონ ია (წარსული დრო, პირობითი კილო, სრული ასპექტი, პირობითი სემანტიკა)

სინ ღარ-ი ია! (მომავალი დრო, ბრძანებითი კილო, უსრული ასპექტი)

სინ დო-ღარ-ი ია! (მომავალი დრო, ბრძანებითი კილო, სრული ასპექტი)

მა ბ-ღარ-ა ია (აწმყო/მომავალი დრო, კავშირებითი კილო, უსრული ასპექტი)

მა ბ-ღარ-ა-ტი ია (წარსული/მომავალი დრო, კავშირებითი კილო, უსრული ასპექტი)

მა ბ-ღარ-ა-ტი-კონ ია (წარსული/მომავალი დრო, პირობითი კილო, უსრული ასპექტი)

მა დო-ბ-ღარ-ა ია (აწმყო/მომავალი დრო, კავშირებითი კილო, სრული ასპექტი)

მა დო-ბ-ღარ-ა-ტი ია (წარსული/მომავალი დრო, კავშირებითი კილო, სრული ასპექტი, ხოლმეობითი სემანტიკა)

მა დო-ბ-ღარ-ა-ტი-კონ ია (წარსული/მომავალი დრო, პირობითი კილო, სრული ასპექტი, ხოლმეობითი სემანტიკა)

მესამე დონის (მცირე) პარადიგმა:

მა გ-ღარ-უფ სინ

მა გ-ღარ-უფ-თ თქჴან

მა ბ-ღარ-უფ ია

მე ბ-ღარ-უფ ენთეფე

ჩქინ გ-ღარ-უფ-თ სინ

ჩქინ გ-ღარ-უფ-თ თქჴან

ჩქინ ბ-ღარ-უფ-თ ია

ჩქინ ბ-ღარ-უფ-თ ენთეფე

მა მ-ღარ-უფ სინ

სინ ღარ-უფ ია

მა მ-ღარ-უფ-თ თქჴან

სინ ღარ-უფ ენთეფე

მა მ-ღარ-უფ-ს ემუქ

თქჴან ღარ-უფ-თ ია

მა მ-ღარ-უფ-ან ენთეფექ	თქჷან ღარ-უფ-თ ენთეფე	
ჩქინ მ-ღარ-უფ-თ სინ	სინ გ-ღარ-უფ-ს ემუქ	ემუქ ღარ-უფ-ს ია
ჩქინ მ-ღარ-უფ-თ თქჷან	სინ გ-ღარ-უფ-ან ენთეფექ	ემუქ ღარ-უფ-ს ენთეფე
ჩქინ მ-ღარ-უფ-ან ემუქ	თქჷან გ-ღარ-უფ-ან ემუქ	ემუქ ღარ-უფ-ან ია
ჩქინ მ-ღარ-უფ-ან ენთეფექ	თქჷან გ-ღარ-უფ-ან ენთეფექ	ენთეფექ ღარ-უფ-ან ენთეფე

სხვა ლაზურ კილოთაგან და კილოკავთაგან განსხვავებით, მუჰაჯირთა შთამომავ-
 ლების ლაზურის ზმნურ პარადიგმაში თავისებურია ადრესატული მოქმედების ერთვა-
 ლენტისანი ყალიბის **მა ვ-ი-ღარ-ებ-უ-რ** „მე ვიხატები“, ასევე ორვალენტისანი ყალიბის
მა ვ-ე-ღარ-ებ-უ-რ „მე ვეხატები“ ფორმები; სხვა ლაზურ დიალექტებში ასეთი
 წარმოება უცხოა. სალიტერატურო ენისგან განსხვავებით, ზმნურ ყალიბთა პირველი
 დონის (დიდ) პარადიგმაში არის პოტენციალური მოქმედების ერთვალენტისანი (**მა ვ-ი-
 ღარ-ე-რ**) და ორვალენტისანი (**მე ვ-ა-ღარ-ე ემუს**) ყალიბებიც, ხოლო მეორე დონის
 (კლასიკურ) პარადიგმას აკლია მომავალი დროის, კავშირებითი კილოს და სრული
 ასპექტის ნაკვთი, სამაგიეროდ, დასტურდება ბევრი პირობითი კილოს ნაკვთი,
 დანარჩენი პარადიგმები კი სალიტერატურო ენის იდენტურია.

2.2.3.7. სახელზმნა

2.2.3.7.1. საწყისი

მუჰაჯირთა შთამომავლების ლაზურ კილოკავში საწყისის (მასდარის, სახელზმ-
 ნის) არქაული — ოდენსუფიქსიანი ფორმა უფრო გავრცელებულია, ვიდრე ცირკუმ-
 ფიქსიანი; საწყისის მაწარმოებელი სუფიქსებია **-ტა, -ება, -აფა, -ომა, -ა, -ი...** მაგ.:
დოკეთტა „გაკეთება“, **ჭარტა** „წერა“, **ზარება** „დაზარება“, **მოწრება** „მოსწრება“,
ოკოკიდაფა „წაკიდება, ჩხუბი“, **ლაკირდაფა** „ლაპარაკი“, **დოღურაფა** „მოკვდომა“,
ძირომა „ნახვა“, **ჯოხინი** „ძახება, დაძახება“; გვხვდება რთული **-ოლ-ა: ყიოლა**
 „ყივილი“, **ჭყვიოლა** „ჭყივილი“... შდრ. ამას, დანარჩენ კილოთა **ოჭარუ, ოკოკიღინუ,**
ოლაკირდუ, დოღურინუ, ოძირამუ, ოჯოხინუ // ოფოხინუ ფორმები, რომლებიც
 ცირკუმფიქსით იწარმოება. მუჰაჯირთა შთამომავლების ლაზურში ასეთ ფორმებს
 უფროსი თაობა საერთოდ არ იყენებს.

სალიტერატურო ენისა და სხვა დიალექტთა მსგავსად, ლაზურ დიალექტებშიც
 საწყისი ისევე იბრუნვის, როგორც სახელი.

2.2.3.7.2. მიმღეობა

მუჰაჯირთა შთამომავლების ლაზურში მიმღეობა სამი სახისაა: აწმყოსი, ნამყოსი
 და მომავლისა. როგორც წესი, მიმღეობას შესაძლოა, დაერთვოდეს ზმნისწინები.

აწმყოს მიმღეობა იწარმოება **მ-უ**, იშვიათად კი **მა-ე, მა-ეჯ, მ-აჯე** ან
მო-ე ცირკუმფიქსები: **დო-მ-კეთ-უ** „მკეთებელი“, **მ-ღარღალ-ეჯ-ი** „მოლაპარაკე“,

მა-ძიცინ-ე „მოცინარი“, **მ-ხირ-აჯე** „მპარავი“, **მ-ყტილ-უ** „მკვლელი“, **დო-მ-ხაზირ-ე** „დამამზადებელი“, **მოსტენე** „მოქმედი; შემძლე“, **მა-ღურ-ინ-ე** „მომაკვდავი“ და მისთ.

ნამეოს (წარსულის) მიმღეობა ორგვარია: სუფიქსიანი და პრეფიქსიანი. პირველი იწარმოება საწყისის ფუძეზე **-ერ- //-ელ** სუფიქსის დართვით: **დოდარ-ელ-ი** „დახატული“, **დოკეთაფ-ერ-ი** „გაკეთებული“, **ხმარ-ელ-ი** „ნახმარი“, **ძირომ-ელ-ი** „ნანახი“... მეორე სახის მიმღეობა იწარმოება ზმნურ ფუძეზე **ნო-** — **-ე** ცირკუმფიქსის დართვით: **ნოთქამე** „ნათქვამი“, **ნოღარე** „ნახატი“, **გენოყაზე** „წანათალი, ნაფოტი“, **ნონთხიმე** „სილაგაწ-ნული (ნთხიმა „სილის გაწვნა“), **ნოზარეზე** „დანაზარები“, **მონოხთიმე** „მონასვლელი“...

ნამეოს მიმღეობას აქვს უარყოფითი ფორმებიც, რომლებიც **-უ-** — **-უ** ცირკუმფიქსით იწარმოება; ამასთან — როგორც მურღულურ-ლივანურში, ისე აქაც, ზმნისწინიან ფორმებს **-უ-** პრეფიქსი ორჯერ დაერთვის ხოლმე — **უ-მ-უ-ხთიმ-უ** „მოუსვლელი“, **უ-დ-უ-კეთ-აფ-უ** „[გა]უკეთებელი“... შდრ. ასევე: **უ-თქუმ-უ** „უთქმელი“, **უშუმუ** „უსმელი“ და ა.შ.

მყოფადის მიმღეობა ორი სახისაა: 1) შესაძლებლობითი და 2) აუცილებლობითი; პირველი იწარმოება **-ონ-** — **-ონ** ცირკუმფიქსით და აღნიშნავს შესაძლო გასაკეთებელს; მაგ.: **ოჭარონი** „[შესაძლო] საწერი“, **ოთქონი** „[შესაძლო] სათქმელი“, **ოკეთონი** „საკეთებელი“, **ონჯახონი** „[შესაძლო] დასაჯახებელი“... მეორე სახის მყოფადის მიმღეობა იწარმოება **-ში-** ცირკუმფიქსით; აღნიშნავს აუცილებლად გასაკეთებელს: **ოთქუში** „[აუცილებლად] სათქმელი“, **ოჭარუში** „[აუცილებლად] საწერი“, **ოყაბუში** „[აუცილებლად] გასათლელი“ და ა.შ.

მყოფადის მიმღეობას ზმნისწინი თუ დაერთო, პრეფიქსი გაქრება და მხოლოდდა სუფიქსი დარჩება: **დოჭარონი** „შესაძლო საწერი“ **დოთქუში** „აუცილებლად მოსაყოლი“ და ა.შ.

აღსანიშნავია ისიც, რომ მაგ., **ოჭარუში** ნიშნავს არამართო იმას, **რაც აუცილებლად დაიწერება**, არამედ — იმასაც, **ვინც აუცილებლად დაწერს**:

მა ა[რ] ჭარელი ოჭარუში ვორე (ერეგ.) „მე ერთი წერილი დასაწერი მაქვს“;

სქანდა მუთხა ოთქუში ვოე (მურღ.) „შენთვის რაღაც აუცილებელი სათქმელი მაქვს“;

ასევე — **ოჭარონი** ნიშნავს არამართო იმას, **რაც შეიძლება დაწერონ**, ან რითაც შეიძლება დაწერონ, არამედ იმასაც, **ვისაც შეუძლია, რომ დაწეროს**:

ოქტანებურა ეთი ოჭარონი რენ (გონგ.) „ოქვენებურად (ქართული ანბანით — მ. ლ.) იმასაც შეუძლია დაწეროს („ისიც შესაძლო დასაწერია“)“;

აია კალემი ენ, ოჭარონი, და! (ერეგ.) „ეს კალამია, საწერი, რა!“

მიმღეობა ისევე იბრუნვის, როგორც სახელი.

2.2.3.8. ზმნიზედა

მუჰაჯირთა შთამომავლების ლაზურში გვხვდება მარტივი და კომპოზიტური ზმნიზედები. შინაარსის მიხედვით კი, გამოიყოფა ადგილის, ვითარების, დროის, ზომა-წონის, კითხვის, ოდენობის... ზმნიზედები.

ადგილის გმნიზებდებია: აქ // აქო // აქონ „აქ“, ექ // ექო // ექონ „იქ“, ემის „ეგერ“, ამის „აგერ“... ბევრ მათგანს შეიძლება დაერთოს ბრუნვის ნიშნებიც: აქონაში „აქანა“, ექონაში „იქანა“, აქჩადა „აქამდე“, ექჩადა „იქამდე“, აქოლენ „აქედან“, ექოლენ „იქიდან“... ასევე ადგილის გმნიზებდებია: წოხლე „წინ“ უკუჩახე „უკან, მერე“, ჟინდოლე „მაღლა“, ეკულე „შემდეგ“, ჟილე „ზევით“, წალე „ქვევით“, ჟინ „ზევით“ თუდე „ქვევით“, ხოლოს „ახლოს“ ხოლოშა „ახლოსკენ“ (ადინი ექ ხოლოშა გოლახთასი, ჭეუ? [კაპ.] „აიდინი მანდ ახლოს გაივლის, ბიჭო?“)...

ვითარების გმნიზებდებია: თქუანებურა „თქვენებურად“, მჯუეშებურა „ძველე-ბურად“, ამკათა // ამუსთერი „ამასავით“... ზედსართავი სახელები, უმეტესად, ვითარებითი გმნიზებდების მნიშვნელობით, სახელობითი ბრუნვის ფორმით იხმარება: კაი და-კეთეფს „კარგად აკეთებს“, წორი იზმონს „სწორად ფიქრობს“... არაიშვიათად კი, ვითარებით ბრუნვის ფუნქცია გააჩნია მიმართულებითს: მჭითაშა მათერუ „წითლად შეღება“ და მისთ., ვითარების გმნიზებდაა ხეშა, რომელიც ზედსართავ სახელებს ერთვის და დამოუკიდებელი მნიშვნელობა არ აქვს: კაი ხეშა „კარგად“, უჩა ხეშა „შავად“ და ა.შ.

დროის გმნიზებდებია: აწი „ახლა“, ემინდოს „მაშინ, იმ დროს“, ენ წოხლე „უწინ“, ოდრო „ადრე“, ათხე „წარსულში“, ეველი (< არაბ.-თურქ.) „პირველად“ (აქონ ეველი ხრისტიანობა ტუ, მუსლიმანობა უკუჩახე მეშახთეენ [მურღ.] „აქ პირველად ქრისტიანობა იყო, მუსლიმანობა მერე შემოსულა“), კათთა ნდლას // კათთა ნდლასი „ყოველდღიურად“;

კითხვითი გმნიზებდებია: მუშენი „რატომ“, მოთ „რად, რისთვის; რა მიზნით“, მუდეს „როდის“, მუდეშენ „როდიდან“, სო „სად?“ ნაქ „სად?“ ნამეის „რომელ ადგილას?“ და ა.შ.

ზომა-წონის გმნიზებდებია: ბრეჭული „ბლომად“, დიდო „ბევრი“, მციქა „ცოტა“, ჭიტა „პატარა, ცოტა“, ჭიტანა „მცირედი“, აკო „ამდენი“, აკოსნარი „ამხელა“...

მიზნის გმნიზებდებია: მოხთიმუშა „მოსასვლელად“, ოყირდუშა „საყიდლად“... კომპოზიტური გმნიზებდები ორი განსხვავებული ან ერთნაირი გმნიზების ჯამს უდრის: ექო-აქო „აქა-იქ“, ემკელ-ამკელე „აქეთ-იქით“ ჭიტა-ბრეჭული „ბევრი თუ ცოტა“...

2.2.3.9. ნაწილაკი

მუჭაჯირთა შთამომავლების ლაზურ მეტყველებაში დასტურდება შემდეგი ტიპის ენკლიტიკური ნაწილაკები:

სხვათა სიტყვისა: -მა „-მეთქი“, -შო „-თქო“, -ა // -და „-ო“:

მოხთი-მა აქჩადა, გიწუი სინ, ჭე! „მოდი-მეთქი აქ, გითხარი შენ, ბიჭო!“

იდი დო ემუს დუწუი: ბაღრამოლლი სინ ოგორუშა გულუნ-შო, და! „წადი და იმას უთხარი: ბაღრამოლლი შენს საძებრად დაიარება-თქო, რა!“

ია მუ რენდა? „ის რა არისო?“...

ყველა ამ ნაწილაკს თავისუფლად შეიძლება შეენაცვლოს თურქული ენიდან ნასესხები -დედი.

კითხვითი: -ი, -ოტი:

სინ მურღულარი ვარე-ი? (დუბჯ.) „შენ მურღულელი არ ხარ?“

ამედიში ბოზო სონთხა ხოლოს ვარ ენ-ი? (საქ.) „აჰმედის გოგო სადმე ახლოს ხომ არაა?“

ენ წოხლე მოხთი-ოტი, ფადიმე? „ადრე ხომ არ მოხვედი, ფადიმე?“

სინ მუ ზოპონ-ოტი, ჭეუ? „შენ რას იტყვი ნეტავ, ბიჭო?“ ...

ეს -ოტი ნაწილაკი წარმოშობით ბერძნულია და ნიგალურ დიალექტშიც არის.

სათანაო: -თი, მაგ.: **მან-თი** „მეც“, **სინ-თი** „შენც“:

მან ბიჭითი მიყუნ დო ბოზოთი! „მე ბიჭიც მყავს და გოგოც!“;

ეგვე ნაწილაკი ზმნასაც ერთვის:

მოფთი-თი დო ია ბძირი-თი „კიდევ მოვედი და კიდევ ვნახე ის“ ...

მიწევნით-გაძლიერებითი: -ბილე; მაგ.:

ია იდუ-ბილე, თქუან მოხთით ქი! (ერევ.) „ის წავიდა და თქვენც მოხვედით!“;

ეს ნაწილაკი თურქულია.

2.2.4. ძირითადი სინტაქსური თავისებურებანი

აქ განვიხილავთ მუჰაჯირთა შთამომავლების ლაზურისთვის დამახასიათებელ მხოლოდ იმ სინტაქსურ თავისებურებებს, რომლებიც სამწიგნობრო ენისგან მეტ-ნაკლებად განსხვავდება.

ატრიბუტულ სინტაგმაში რიცხვსა და ბრუნვაში შეთანხმება არ ხდება: **კაე კონი** „კარგი კაცი“, **კაე კონიქ** „კარგმა კაცმა“, **კაე კონის** „კარგ კაცს“ ... **კაე კონიფე** „კარგი კაცები“, **კაე კონიფექ** „კარგმა კაცებმა“ ...; **ლაზური ოხორი** „ლაზური სახლი“, **ლაზური ოხორიქ** „ლაზურმა სახლმა“, **ლაზური ოხორის** „ლაზურ სახლს“ ... **ლაზური ოხორიფე** „ლაზური სახლები“, **ლაზური ოხორიფექ** „ლაზურმა სახლებმა“ ... გარდა ამისა, ზოგჯერ პრედიკატულ სინტაგმაში ზმნა სახელს ითანხმებს რიცხვში: **ბიჭიფე მოხთეს** „ბიჭები მოვიდნენ“, **ბოზოფე აქ რენან** „გოგოები აქ არიან“; ზმნა სახელს მართავს: ა) რეალურ სუბიექტს — სახელობითსა და მოთხრობით ბრუნვებში; ბ) გრძნობა-აღქმის ამსახველი ზმნები სახელს მიცემით ბრუნვაში მართავს. რაც შეეხება რეალურ ობიექტს, იგი ყველა ზემოდასახელებულ ზმნასთან სახელობით ბრუნვაშია.

პრედიკატულ სინტაგმაში უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭება ზმნის ვალენტობას: ზოგი ზმნის სინტაგმა ორწევრიანია (სუბიექტი + პრედიკატი), ზოგისაც — სამწევრიანი (რეალური სუბიექტი + პრედიკატი + რეალური ობიექტი).

ბევრი ზმნა ერგატიულ კონსტრუქციას ქმნის I და II სერიებში; შდრ.:

ოხორჯაქ დოხტენუფს ოჭკომალე „ქალი აკეთებს საჭმელს“,

ოხორჯაქ დოხტენუბტუ ოჭკომალე „ქალი აკეთებდა საჭმელს“,

ოხორჯაქ დოხტენუ ოჭკომალე „ქალმა გააკეთა საჭმელი“.

ლაზურ დიალექტებში, როგორც წესი, სამწიგნობრო ენისათვის დამახასიათებელი ვითარება ნაკლებად დასტურდება.

ჰიპოტაქსი არაა განვითარებული — **რთული დაქვემდებარებული წინადადების შინაარსის გადმოსაცემად ლაზურ დიალექტებში გამოიყენება ხოლმე ზმნის პირიანი ფორმები, რომელთაც ერთვის მარტივი ან რთული ბრუნვის ნიშნები;** მაგ.: **მოფთი-ში** „როცა მოვედი“, **მოფთა-ში** „როცა მოვალ“, **მოფთი-შ-უკუღე** „მას მერე, რაც მოვედი“, **მოფთი-შა** „სანამ მოვიდოდი“... ასევე: **მოფთი-შენი** „იმის გამო, რომ მოვედი“, **მოფთი-კელე** „იქით, საიდანაც მოვედი“, **მოფთი-კალა** „სწორედ მაშინ, როცა მოვედი“ და მისთ.:

მან მოფთიში, ადინი იდასუნტენ მციქა ჩქტა დო, ჰომძირუშუკულე დიდო ახელუ „მე რომ მოვედი, ადინი უნდა წასულიყო ცოტახანში და, ქე რომ დამინახა [მერე] ძალიან გაეხარდა“.

2.2.5. ლექსიკური ფონდი (ზოგადი მიმოხილვა)

მუჰაჯირთა შთამომავლების ლაზური კილოკავის ლექსიკური ფონდის ძირითადი ნაწილი კარგადაა დაცული. ეს სიტყვები საერთოა სალიტერატურო ენასა და სხვა ქართველურ დიალექტებთან: **და** „და“, **ჯუმა** „ძმა“, **ნანა** „დედა, ნენა“, **ბაბა** „მამა, ბაბა“, **მჟორა** „მზე“, **თუთა** „მთვარე, თთჱ“, **კონი** „კაცი“, **ქალე** „ქალიშვილი... აღსანიშნავია არქაული ქართული ლექსიკა: **მერჩულე** „სუფისტი, მერჯულე“, **ტანაჯორი** „ბზრიალა“, **ხანაში** „ცუდი“, **ხიზანი** „საცოდავი“...

ბევრია ნიგალურ დიალექტთან საერთო სიტყვები: **ფუტკარა** „მშრომელი“, **ვარიკა** „ვარია“, **სიმინდი** „[თეთრი] სიმინდი“, **წკებელი** „[საჩეჩი] წკებლა“, **ჩეჩილი** „დაწული ყველი“, **ზარება** „დაზარება“ და მისთ.

ბუნებრივია, დასტურდება თურქულიდან (და მისი მეშვეობით, არაბულიდან და სპარსულიდან) ნასესხები ბევრი ლექსიკური ერთეული: **ჰალა** „ახლა“, **ზამანი** „დრო“, **ილა** „აუცილებლად“, **ყინი** „მაზლი; ცოლისძმა“, **დელიყანი** „ვაჟკაცი“, **ხოჯა** „მოლა“, **ასკერი** „ჯარისკაცი“, **ბენქსი** „ბლაგვი“, **ბენგი** „ხალი“... არის ასევე თურქულის მეშვეობით ბერძნულიდან ნასესხები სიტყვები: **მარანლოზი** „დურგალი“, **ფისკოფოზი** „ეპისკოპოსი“, **ფენერი** „ფანარი“... თურქულის მეშვეობით ევროპული ენებიდან: **ფი[რ]ანგო** „რულეტი“, **ჩიმენტო** „ცემენტი“ და ა.შ.

საკმაოდია ასევე, სომხურიდან (ხემშილთა დიალექტიდან) ნასესხობები: **სურიკი** „შაშვი“, **ანდერი** „უპატრონო“, **აბური** „შეჭამანი“, **დალა** „მოსამსახურე“...

უცხო ენებიდან უფრო ძველი ნასესხობები მუჰაჯირთა შთამომავლების ლაზურ მეტყველებაში შეგუებულია ქართველური ენობრივი სისტემის ფონეტიკურ კანონებს.

ახალ ნასესხობებს რაც შეეხება: ქართველურენოვან მუჰაჯირთა შთამომავლების

აბსოლუტური უმრავლესობა მშობლიური ენის დონეზე ფლობს თურქულს — როგორც უკვე ზემოთაც არაერთხელ აღინიშნა, დღესდღეობით, მათ შორის უკვე აღარც კი არიან ერთენოვნები. სწორედ აქედან გამომდინარე, ახალი ლექსიკური ერთეულების სესხება თურქული ენიდან ხდება, უპირატესად, თურქულივე ორთოეპიის სრული დაცვით და ეს პროცესი ყოველთვის სპონტანურია; მაგალითად:

ოთობუსითენ მოხითი აქოლე? „ავტობუსით მოხვედით აქ?“ (ოთობუსი < თურქ. Otobüs);

გობლუდი სქანის ა სოთი კაი ოწკედი, ვა მეგიტროხას... „შენს სათვალეს როგორმე კარგად მიხედე, არ გაგიტყდეს..“ (გობლუდი < თურქ. Gözlük).

უპირველეს ყოვლისა, ეს ასეა საშუალო და უმცროსი თაობის მეტყველებაში; უფროსი თაობის მეტყველებაში კი ძალზე ხშირად, ნასესხები სიტყვები სრულად ექვემდებარება ხოლმე ქართველურ ორთოეპიას. ასე მაგალითად, ითქმის: **ოთობუსი, გობლული** და ა.შ.

2.2.6. დასკვნითი სიტყვა

ამრიგად, საენათმეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრების საპირისპიროდ, ერთიანი ლაზური დიალექტის გამოყოფა ძნელია იმ აშკარა განსხვავებათა გამო, რომლებიც ისტორიული ლაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ლაზთა მეტყველებაში დასტურდება; დღეს ხოფურს, ვიწურ-არქაბულსა და ათინურ-ართაშენულს შორის არსებული სხვაობანი უფრო დიალექტური ხასიათისაა და კილოკავურზე მეტია. ლაზურის სამივე დიალექტში კარგადაა დაცული მეგრულთან საერთო ნიშნები.

როგორც კვლევის შედეგად გამოირკვა, ქართველურენოვან მუჰაჯირთა ერთ ნაწილში დღემდე შემონახული ლაზური მეტყველება წარმოადგენს იმავე ჩხალურ კილოკავს, რომელიც იმთავითვე გავრცელებული იყო და არის დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე — ართვინის ილის ბორჩხას ილჩეში, მდინარეების: ჩხალასა და ბელღევნის ხეობებში. ამ მიწებზე ლაზური მეტყველება ავტოქთონი ქართველების ერთ-ერთი ლოკალური ჯგუფის — **ლაზების** (ანუ **ჭანების**) ენობრივი ერთეულია. მუჰაჯირთა ლაზურში ხოფური დიალექტის სხვა კილოკავების: სარფულის, ნოღედურ-აზლაღურის... ერთობ მცირე გავლენა საგრძნობია, უპირველეს ყოვლისა, ლექსიკაში: მუჰაჯირთა შთამომავლები იყენებენ ბევრ ისეთ სიტყვასაც, რაც ჩხალელებმა ან ბელღევნელებმა არ იციან, მაგრამ საყოველთაოდ ცნობილია სარფში, ნოღედში (მაკრიალში) და ისტორიული ლაზეთის ხოფის თემის მრავალ ზღვისპირა სოფელში.

გაქრობის საფრთხეებს რაც შეეხება: **მუჰაჯირთა შთამომავლების ლაზური უფრო მასშტაბური საფრთხის წინაშე დგას, ვიდრე იმავე მუჰაჯირთა შთამომავლებს შორის გავრცელებული აჭარული დიალექტი.** თუ დღეს აჭარულ დიალექტზე მეტყველნი თავიანთ მშობლიურ ენად, ზოგადად, ქართულ/ქართველურ ენას აღიქვამენ

და შეგნებულიც აქვთ, რომ როგორც ქართველები, 15-საუკუნოვანი სამწიგნობრო ენისა და კულტურის მქონენი არიან, ლაზურად მეტყველი პირები ძალზე ხშირად თვლიან, რომ **ლაზური** და **გურჯული** ახლომონათესავე, მაგრამ სხვადასხვა ენაა; აქედან გამომდინარე კი, მიიჩნევენ, რომ ქართული/ქართველური კულტურა და ენა ლაზების არაა. ეს, რასაკვირველია, მცდარი შეხედულებაა, მაგრამ სამწუხაროდ, ფაქტია.

სწორედ ეს — **მემკვიდრეობითი ჯაჭვის წყვეტა** — განაპირობებს იმას, რომ თურქეთში მცხოვრები ლაზების უდიდესი ნაწილი ნელ-ნელა, ენობრივ-ეთნიკურად ასიმილაციას განიცდის. ისინი ცდილობენ, „ლაზური ენისთვის“ შექმნან ახალი ანბანი ლათინური გრაფიკის საფუძველზე, ჩამოაყალიბონ წერილობითი ნორმა, თუმცა ამას ვერ ახერხებენ, რადგან ლაზურ დიალექტთა გამოცალკევება ქართული/ქართველური ენობრივი სისტემიდან შეუძლებელია. აგრეთვე: ანბანი, რომელსაც თითქოსდა ახლად ქმნიან, სინამდვილეში იგივეა, რაც თანამედროვე თურქული დამწერლობა (რამდენიმე დიაკრიტიკული ნიშნის დამატებით). თურქული და ქართველური სხვადასხვა, ერთობ დამოუკიდებელი ენობრივი სისტემებია; **ამიტომ, ქართველურის რომელიმე ქვესისტემისათვის თურქული ანბანი, ჯერ ერთი, არაფრით გამოდგება და მეორეც: თუკი მაინც ჯიუტად გამოვიყენებთ, ქართველური ორთოეპია უეჭველად დაზიანდება: მოიშლება ყველა სპეციფიკური ბგერა (მათი წარმოთქმა გაიგივდება იმ ასობგერების წარმოთქმასთან, რომელთა აღმნიშვნელი ნიშნებიც დიაკრიტიკის საყრდენია), ნელ-ნელა შეიცვლება აქცენტუაცია. სხვათა შორის, ამგვარი შედეგები უკვე აშკარაა იმ პირთა მეტყველებაში, რომლებიც ლაზურისთვის ლათინურ ანბანს იყენებენ.**

ამიტომაც, **ლაზური მეტყველების გადასარჩენად აუცილებელია, მისი კვლევა და შესწავლა წარმოებდეს სხვა ქართველური ქვესისტემებისა და სამწიგნობრო ენისგან განუყოფლად.** მხოლოდ ამგვარად შეიძლება ის გადარჩეს.

მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლების ლაზურ დიალექტში ძირითადად დაცულია საერთოქართველური ენობრივი სისტემა, თუმცა თურქულენოვანი გარემოს ზემოქმედების შედეგად გამოიკვეთა გარკვეული განსხვავებები ფონეტიკაში, მორფოლოგიაში, ლექსიკაში, რაც უდავოდ მოწმობს სამეტყველო კოდთა შერევის ფაქტს:

- ლაზურ კილოთათვის უცხოა ხმოვნების პალატალიზაცია (უმლაუტიზაცია). თურქულად მეტყველების დროსაც ლაზები თავს არიდებენ **ö** და **ü** ბგერათა წარმოთქმას; მათ, ჩვეულებრივ, ცვლიან **o**, **u**, **i** ხმოვნებით. თურქული **ö** და **ü** ხმოვნები **o** და **u** დიფთონგებით გადმოიცემა მხოლოდ მაშინ, თუ ისინი მოსდევს უკანაენისმიერ **g**, **j** ხშულებს: **სოზი** < **Sözü** „პირობა“, **დუგმელერი** < **Dügmeler** „ღილები“ **გაზბელ** < **Güzel** „ლამაზი“...
- პოზიციურად მიღებული თანხმოვანი ბგერები ინტენსიური გამოთქმით ხასიათდება. ისინი შეიძლება უცხო ნასესხობების გზით გავრცელდნენ მეტყველებაში ანდა

ფონეტიკური პროცესების შედეგად იყონ წარმოქმნილი. ამგვარი ბგერები, როგორც წესი, არ გვხვდება სამწიგნობრო ქართულში. ნასესხები გემინატებიდან მუჰაჯირთა შთამომავლების ლაზურ კილოებში ყველაზე ხშირია **ლლ** და **ნნ**: **ილლა** „აუცილებლად“, **თემენნა** „ისლამური მისალმება“, **შელლიდი** „მხიარულება“... კვლევის შედეგად ასევე დავადასტურეთ **სს**, **კკ**, **დდ** გემინიტები ცალკეულ ნასესხებ სიტყვებში: **ჰელესსა** „ელესა [სასიმღერო რეფრენი]“, **კკ**: **ხაკკი** „ჰაკი [მამაკაცის სახელი]“, **დდ**: **ბედდჷა** „წყევლა“...

- ლაზურის კილოებში ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმები, ისევე როგორც მუჰაჯირთა შთამომავლების აჭარული კილოში, იწარმოება თურქული ყალიბით — **ენ // ენნი, დაჰა // დაა** ელემენტებით; შდრ.: **ენ // ენნი კაა** „უკეთესი“, **დაა დიდი/დაჰა კაა** უფრო დიდია“...
- სხვათა სიტყვის ნაწილაკების პარალელურად გამოიყენება თურქული ეკვივალენტები; შდრ.: **მოხთი-მა — მოხთი დედიმ** „მოდი-მეთქი“...
- ლექსიკური ფონდის ძირითადი ნაწილი კარგადაა დაცული. ბევრია საერთოქართველურიდან მომდინარე სიტყვები, ბუნებრივია, ლექსიკის გარკვეულ ნაწილს თურქული (და მისი მეშვეობით, არაბული და სპარსული) ნასესხობები წარმოადგენს. მაგალითად, ლაზურ დიალექტებში ოცს ზემოთ რაოდენობით რიცხვით სახელთა ძველი — ქართველური სახელწოდებები იშვიათად იხმარება (ძირითადად, მოხუცთა მეტყველებაში); ჩვეულებრივ, მათ ცვლის თურქული შესატყვისები (**ოთუზ ბირ ხანე ლაზე ვორერთუ!** „31 კომლი ლაზი ვართ!“).

თავი III

სამეტყველო კოდთა შერევის სხვადასხვა ტიპი ქართველურენოვან მუჰაჯირთა მეთყველებაში

2.3.1. ქართველური და თურქული დომინაციები ქართველურენოვან მუჰაჯირთა შთამომავლების თანამედროვე მეტყველებაში. ქართველურ-თურქულ სამეტყველო კოდთა შერევა-გადართვის ძირითადი სახეობები

თურქეთში მცხოვრებ ქართველურენოვან მუჰაჯირთა შთამომავლების აწინდელ მეტყველებაში დასტურდება ქართველურ-თურქულ სამეტყველო კოდთა შერევისა და გადართვის ორგვარი სახეობა: 1) **ქართველური დომინირებით**, როდესაც ძირითადია ქართველური მეტყველება და მასში ჩაერთვება თურქული ლექსიკური ერთეულები ან ფრაზები; 2) **თურქული დომინირებით**, როცა, შესაბამისად, ძირითადია თურქული მეტყველება და მასში ჩაერთვება ქართველური ლექსიკური ერთეულები/ფრაზები. აქვე დავძენთ აგრეთვე იმასაც, რომ როგორც წესი, სამეტყველო კოდთა შერევა და გადართვა ქართველური დომინირებით 50 წელზე მეტი ხნის პირებისთვისაა

დამახასიათებელი, ხოლო უმცროსი თაობის მეტყველებაში კი, უმეტესწილად, დასტურდება სამეტყველო კოდთა შერევა თურქული დომინირებით.

სამეტყველო კოდების ფლობის, შერევის და გადართვის მიხედვით, დღეს მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლები სამ პირობით ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

- 50 წელს გადაცილებული პირები: III თაობა — უფროსი თაობა;
- 25–დან 50 წლამდე პირები: II თაობა — შუა თაობა;
- 25 წლამდე პირები: I თაობა — უმცროსი თაობა.

ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებში მშობლიური ენა კარგადაა დაცული III თაობის ეთნიკურ ქართველებში. ექსპედიციის მონაწილეებთან საუბრისას უფროსი თაობის პირები სასაუბრო ენად ირჩევდნენ მუდამ ქართულ ენას (აჭარულ დიალექტს ან ჩხალურ კილოკავს); საშუალო განათლების მქონე ამ თაობის პირებმა, აგრეთვე, იციან **თურქული ენაც**, მაგრამ მათი თურქული წარმოთქმა, როგორც წესი, ყოველთვის ქართული აქცენტისაა. გარდა ამისა, თურქულად საუბრისას ძალზე ხშირია ქართული სიტყვების გამოყენების შემთხვევებიც.

შუა (II) თაობის მუჰაჯირთა შთამომავლები დღეს თითქმის თანაბრად ფლობენ როგორც თურქულ სალიტერატურო ენას, ისე დედაენას (ქართულ ენას); კერძოდ კი, აჭარულ დიალექტს ან ჩხალურ კილოკავს. თანამემამულეებთან საუბრისას, მეტწილ შემთხვევებში ისინი იყენებენ ქართულ ენას (აჭარულ კილოს); თურქულად საუბრისას კი ნაკლებად იყენებენ ქართული დიალექტური სამეტყველო კოდის ლექსემებს (ანუ ე.წ. „თეგებს“).

უმცროსი (I) თაობა, როგორც წესი, უმეტესად მხოლოდ თურქულად მეტყველებს. ამ თაობის ორენოვან წარმომადგენლებში ყოველთვის ძალზე მაღალია თურქული ენის პრესტიჟი. ქართული/ქართველური ენა — ისტორიული დედაენა — უმცროსი თაობის დიდ ნაწილს ესმის, მაგრამ უჭირთ მისი გამოყენება ელემენტარული კომუნიკაციის დროსაც კი.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ შუა თაობისათვის უფრო დამახასიათებელია ქართულ-თურქულ სამეტყველო კოდთა გადართვა (კოდ-სვიჩინგი): შედარებით უფროსთათვის (35–50 წელი) — ქართულის დომინირებით, შედარებით უმცროსებისათვის (25–35) — თურქულის დომინირებით.

ქართველურ-თურქულ სამეტყველო კოდთა შერევა თურქულენოვანთა მიერ მუდამ აღიქმება „ქართულ აქცენტად“, რამდენადაც, დომინირების მიუხედავად, ამ დროს მაინც აშკარად საგრძნობია ქართული ორთოეპიულ-ინტონაციური ნორმების დიდი გავლენა; მაგალითად, ძალზე ხშირად თავს იჩენს მკვეთრი თანხმოვნები (ე.წ. კავკასიური ხშულები), ან კიდევ – ხმოვანთა ჰარმონიის მოშლა და მახვილის მოძრავი პოზიცია. ჩვენი დაკვირვებით, იმ ქართველებს, რომლებმაც მშობლიური ენა არ იციან (ან ძალიან სუსტად იციან), მაგრამ ქართულენოვანი მშობლები ჰყავთ, ყოველგვარ სიტუაციაში ახასიათებთ ეს „ქართული აქცენტი“ და სწორედ ამის გამო, სამწიგნობრო ქართულსაც უფრო იოლად სწავლობენ.

თურქეთისავე ავტოქთონი ქართველებისაგან განსხვავებით, ქართველურენოვანი მუჰაჯირების შთამომავლებში თურქულის არმცოდნე ინდივიდები არ შეგვხვდებიან; სამაგიეროდ, დღითიდღე იზრდება ქართულის არმცოდნეთა რაოდენობა.

სპეციალურ ლიტერატურაში გამოყოფენ ენობრივ კოდთა შერევის ორ უმთავრეს ტიპს: **კოდ-მიქსინგსა** და **კოდ-სვიჩინგს** (ბოკამბა-ეიამბა, 1989: 14; ლი-ვეი 1998: 28; ქლანი, 2000: 77); პირველი ტიპი გულისხმობს დიაქრონიულ პროცესს — A და B ენობრივ კოდთა შერევის საფუძველზე C ენობრივი კოდის მიღებას, მეორე ტიპი კი გულისხმობს სინქრონიულ პროცესს — A და B ენობრივ კოდთა კონტაქტურ თანაარსებობას თანასწორ (როდესაც ორივე ენობრივი კოდი თანაბარუფლებიანია) ან უთანასწორო (როდესაც ერთ-ერთი ენობრივი კოდი მეორეზე პრესტიჟულია) პირობებში. **კოდ-სვიჩინგი** (< ინგლ. **switching** „გადართვა“) სპონტანური, გაუაზრებელი პროცესია და გვხვდება მხოლოდ იმგვარ საზოგადოებაში (სოციუმში), რომელსაც სრული ბილინგვიზმი ან დიგლოსია ახასიათებს, ანუ მისი წევრები თანაბრად ფლობენ A და B ენებს (ან დიალექტებს).

გამოიყოფა კოდ-სვიჩინგის ხუთი ძირითადი ქვეტიპი:

1. **თეგ-სვიჩინგი (Tag-switching)** — A ენის/დიალექტის ფრაზის თავში ან ბოლოში B ენის/დიალექტის ლექსიკური ერთეულის (ე.წ. „თეგის“ — **Tag**) დართვა;
2. **ინტრასენტენციალური (ფრაზის შიდა) გადართვა (Intra-sentential switching)** — A ენის/დიალექტის ფრაზაში B ენის/დიალექტის ლექსიკური ერთეულის ჩასმა;
3. **ექსტრასენტენციალური (ფრაზის გარე) გადართვა (Extra-sentential switching)** — A ენის/დიალექტის ფრაზიდან B ენის/დიალექტის ფრაზაზე გადასვლა;
4. **ფონემურ-მორფემული გადართვა (Intra-word switching)** — A ენაში/დიალექტში B ენიდან/დიალექტიდან ფონემათა და მორფემათა სესხება; ასევე B ენაზე/დიალექტზე მეტყველებისას A ენისთვის/დიალექტისთვის ერთობ უჩვეულო ფონემის ჩანაცვლება რომელიმე სხვა — ჩვეული ფონემით.
5. **კალკური გადართვა (Calque switching)** — იგულისხმება A ენაში/დიალექტში, B ენის/დიალექტის გავლენით, ლექსიკურ-გრამატიკული კალკების უცებ, სპონტანურად წარმოქმნა.

შესაბამისად, როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ მუჰაჯირ ქართველთა მეტყველებაში ქართველურ-თურქულ სამეტყველო კოდთა შერევაზე, მხედველობაში გვაქვს როგორც **კოდ-მიქსინგი**, ისე **კოდ-სვიჩინგიც** — როგორც უკვე ითქვა, **ქართველური** ან **თურქული** დომინირებით. ამასთან, მეტწილად სწორედ ქართველურ-თურქულმა კოდ-მიქსინგმა განაპირობა მუჰაჯირთა აჭარულის, როგორც აჭარული დიალექტის დიასპორული სახესხვაობის, ჩამოყალიბება (ცხადია, ქართველურ დიალექტურ კოდთა შერევისასთან ერთად; ამის შესახებ დაწვრილებით იხ. ქვემოთ). მუჰაჯირთა შთამომავლების

ლაზურ მეტყველებასაც, რასაკვირველია, აღნიშნულმა პროცესმა აშკარად შესამჩნევი კვალი დაამჩნია.

ქართველურ-თურქულ სამეტყველო კოდთა გადართვისას, დასტურდება ხუთივე ქვეტიპი, მაგალითად, მუჰაჯირების აჭარულ დიალექტში:

პირველი ქვეტიპი:

ბახტგმ ქი, ისიც მუჰაჯირულა ლაკაბოფს „შევხედე, რომ ისიც მუჰაჯირივით/ ქართულად ლაპარაკობს“ (ბახტგმ ქი < თურქ. დიალ.: Baxtim, ki).

მე უილაპარიკეფ, შენ დიმიყურე, დატურუმ! „მე [რომ] ვილაპარაკებ, შენ მომისმინე, გენაცვალე!“ (დატურუმ < თურქ. Yavrum)

მეორე ქვეტიპი:

კარმა'მ გიესხნწ, ჰეფთენ თამამ ოლდუ, დეიწყო მისლა-მოსლა „[სარფის] კარი რომ გაიხსნა, ერთობ კარგი იქნა, დაიწყო მისვლა-მოსვლა“ (ჰეფთენ თამამ ოლდუ < თურქ. Hepten tamam oldu).

იმას დუძახა-ქი, უესიეთ ყაბულ ედაჯახსინ-დედი, უთხრა „იმას დაუძახა და ანდერძი უნდა აასრულოო, უთხრა“ (უესიეთ ყაბულ ედაჯახსინ-დედი < თურქ. დიალ.: Vesiyet qabul edäcäxsın, dedi).

მესამე ქვეტიპი:

მე ყამიონჯი უარ, ბირ არადა თრაბზონა გითთიმ „მე სატვირთო მანქანის მძღოლი ვარ [და] ერთხელაც ტრაპიზონში წავედი“ (ბირ არადა თრაბზონა გითთიმ < თურქ. Bir arada Trabzon'a gittim).

ჩუენებური ხარ თუ, თურქქა ნიდა ბილმიდისუნ? „ჩვენებური თუ ხარ, თურქული რად არ იცი?“ (თურქქა ნიდა ბილმიდისუნ? < თურქ. დიალ.: Türkçä niyâ bilmiyorsun?)

მეოთხე ქვეტიპი:

გახედე ერთი, ზეგნელი მია, უინ არი?! „გახედე, ერთი, ზეგნელია თუ ვინ არის?“ (მი < თურქ. Mi).

შენ დაჯექ და დიმიყურე, ჯანუმ! „შენ დაჯექი და მომისმინე, გენაცვალე!“ (ჯანუმ < თურქ. დიალ.: Canum).

მეხუთე ქვეტიპი:

ჩემ გონში ცარ მოდის ისი, უერ გეუგნეფ!.. „ვერ ვხვდები მაგას, ვერ ვგებულობ!..“ (ჩემ გონში ცარ მოდის < თურქ. Aklıma gelmiyor).

ინათ ნუ იქ, ჭოტ!.. „ნუ ჯიუტობ, ბიჭო!..“ (ინათ ნუ იქ < თურქ. İnat etme).

პრინციპულად იმავე ტიპისა იქნება კოდ-სვიჩინგი მუჰაჯირების შთამომავალთა ლაზურ (ჩხალურ) მეტყველებაშიც, მაგალითად:

პირველი ქვეტიპი:

რწვედენ ჰიჩ თურქჩა ვარ ტეენ „ადრე არასდროს თურქული არ ყოფილა“ (რწვედენ ჰიჩ < თურქ.: Önceden hiç).

აწი გდარი პჯკომად დო, ოზამან ვიდათ „ახლა საჭმელი ვჭამოთ და შემდეგ (იმ დროს, მერე) წავიდეთ“ (ოზამან < თურქ.-არაბ. O zaman).

მჯვეშეფეჟ მუ იქიპტეს-ქი ზათენ, მჯკიდი ჯკომუპტესი, მესელჷ? „წინაპრები რას აკეთებდნენ რო საერთოდ, მჭადს ჭამდნენ, მაგალითად? (ქი < თურქ.-სპარს. Ki, ზათენ < თურქ.-არაბ. Zaten, მესელჷ < თურქ.-არაბ. Mesela).

მეორე ქვეტიპი:

ლომან ჟუ ქიშიქ ოჯკომალე დოგისონითში, კად გაწონესი ჩქვა? „გუშინ ორმა კაცმა საჭმელი რომ გაგიკეთეთ, მოგეწონათ, აწი?“ (ქიში < თურქ. Kişi).

აწი ემ ბილგისადარი ხოლო ქაგამახთუ, მუ ნა გინონ, გაძირას ექონაში! „ახლა ეგ კომპიუტერი ქე გამოვიდა კიდევ, რაც რომ გინდა, შეგიძლია ნახო იქ! (ბილგისადარი < თურქ. Bilgisayar).

მესამე ქვეტიპი:

ქინძი... ბაშქა ნე, ანნემ, ბაშქა ბაქ, მათი ვა მიჩქინ, ქინძი ბაშქა ყოფერენ „ქინძი.., სხვა რაღა, დედი, სხვა ნახე, მეც არ ვიცი, ქინძი სხვა ყოფილა“ (ბაშქა ნე, ანნემ, ბაშქა ბაქ < თურქ. Başka ne, annem, başka bak).

მეოთხე ქვეტიპი:

ოზამან მან მუ პაუნონ, ამუს-მი დოლოვობღაი?! „მაშინ მე რაღა უნდა ვქნა, ამაში უნდა ჩავყარო, თუ?“ (ოზამან < თურქ.-არაბ. O zaman; -მი < თურქ. mi).

დოქ, ია დონხაუნონ „არა, ეგ უნდა გარეცხო“ (დოქ < თურქ. yok).

მეხუთე ქვეტიპი:

იშთე, ჩქარ თურქჩე უგნეფინუ ორას, ბერეს ლაზური უწვასუნტუ „თურქული რომ არ ესმოდა, ბავშვს ლაზურად ეტყოდა“ (თურქჩე უგნეფინუ ორას < თურქ. Türkçe anlamadığı zamanında).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართველურ-თურქულ სამეტყველო კოდთა შერევა-გადართვაზე ჩვენამდე სხვა მკვლევრებსაც არაერთხელ გაუმახვილებიათ ყურადღება, ქართული/ქართველური ენის ავტოქთონური გავრცელების არეალის (თანამედროვე საქართველოს ან ისტორიული ქართული კუთხეების) გარეთ მოქცეული ქართული მეტყველება კი ამ მხრივ მხოლოდ ერთეულებს შეუსწავლიათ. ჩვენ მიერ მოკვლეული

მასალებით, მუჰაჯირების შთამომავალ ქართველთა მეტყველებაში, სამეტყველო კოდთა თურქული დომინირებით შერევისას, შეიძლება გამოვყოთ შემდეგი ზოგადი ქვეტიპები:

ა) ძირეული სიტყვები ქართულია, მაწარმოებელი აფიქსი და წინადადების წყობა – თურქული:

ჩემი ნენესიმ და ბაბასგმ სოიადგ – შენ „დედაჩემისა და მამაჩემის გვარი არის „შენი“.

ნარევი **ნენესიმ** და **ბაბასგმ** ფორმები შეიცავს ქართულ სიტყვებს: **ნენე** „დედა“, **ბაბა** „მამა“; თურქული **-im // -ım** სუფიქსი კუთვნილებას გამოხატავს და იგივე სემანტიკა აქვს, რაც ქართულ 1-ელი პირის კუთვნილებით ნაცვალსახელს „ჩემი“; ამდენად, **ჩემი ნენესიმ** = „დედაჩემის“, **ბაბასგმ** = „მამაჩემის“. **მთქმელი ნათესაობით ბრუნვაში მდგარ ქართულ სიტყვებს თურქული მორფემით აფორმებს. წინადადების წყობაც თურქულს მისდევს – ზმნა არაა წარმოდგენილი.** იხ. თურქ.: **Benim annemin ve babamın soyadı - Şen.**

ჩხალაში გზა მუში ქენდიმ დე ვარ მიჩქინ, მუჭო სი გიწვა? „ჩხალას გზა მე თვითონაც არ ვიცი, შენ როგორ[და] გითხრა?“

აქ სინტაგმა **ჩხალაში გზა მუში** „ჩხალას გზა“ გამართულია თურქული სინტაქსით: სიტყვა **ჩხალა** „ჩხალა“ ნათესაობით ბრუნვაშია, **გზა** „გზა“ კი დამატებით ფორმდება მე-3 პირის სათავისო-კუთვნილებითი ნაცვალსახელით **მუში** „მისი“. მომდევნო ორი თეგი – **ქენდიმ დე** „მე თვითონაც“ თურქულია და მას შემდეგი ფრაზაც **მუჭო სი გიწვა?** თურქული სინტაქსითაა გამართული. შდრ. მართებული ლაზური: **ჩხალაში გზა მათი დუდო ვა მიჩქინ, სი მუჭო გიწვა?** იხ. თურქ.: **Çhala'nın yolu kendim de bilmiyorum, nasıl sana deyim?**

ბ) ძირეული სიტყვები თურქულია, მაწარმოებელი თურქულიცაა და ქართულიც, თუმცა წინადადება თითქოს თურქული სინტაქსით იმართება:

ბაბალარი, ანელერი ჰადან, ჭო? „[შენი] დედა, მამა საიდანაა, ბიჭო?“

Baba-lar „მამები“; **Anne-ler** „დედები“ – თურქულ ენაში **-lar // -ler** მრავლობითის სუფიქსია. ამ თურქულ მრავლობითის ფორმებს ქართული სახელობითი ბრუნვის **-ი** ნიშანი ემატება და მოსდევს ქართული ზმნისართი **ჰადან?** „საიდანა?“; წინადადებაში ზმნა არაა წარმოდგენილი. შდრ. მართებული აჭარული: **ნენეჲ, ბაბაჲ ჰადანაა, ჭო?** შდრ. დიალექტური თურქული: **Baban ve annen nerderler, ey uđlan?** ე.ი. **ზემთ მოყვანილ ნარევ წინადადებაში მრავლობითის აფიქსი გამოხატავს არა ჩვეულებრივ მრავლობით რიცხვს, არამედ უფრო – დედისა და მამის ერთობას, რაც თავისთავად, ერთობ ღირსსაცნობი ფაქტია.**

გიდირსუნ დო იგზალი, ამა მან მუ დაფარუმ? „მიდიხარ და წადი, მაგრამ მე რალა ვქნა?“

თურქული დიალექტური ფორმაა თხრობითი **gidiyorsun** „მიდიხარ“, **do** კავშირი და **igbali** ბრძანებითი ქართულია, **ama** კავშირი — თურქულ-არაბული; ნაცვალსახელები: **man** „მე“, **mu** „რა“ — ქართული; თურქული დიალექტური ფორმაა **yaparım** „გავაკეთო“, „ვექნა“; შდრ. მართებული ლაზური (ჩხალური): **igbal do igbali, ama man mu pawnsun?** და შდრ. მართებული თურქული: **Gidiyorsun da git, ama ben de ne yapayım?**

გ) ძირეული სიტყვები ქართულიცაა და თურქულიც; მაწარმოებლებიც — ქართული და თურქულია. წინადადების სინტაქსი აშკარად სცდება ქართულს, თუმცაღა მისკენ უფრო იხრება, ვიდრე თურქულისკენ:

დედაჩემი და გურჯი, დაილერი-მაილერისი და გურჯიდურ! „დედაჩემიც ქართველია, მისი ბიძა-მიძებიც ქართველია!“

ქართული ძირეული სიტყვა **დედაჩემი** ფორმდება თურქული თანაობითი და აფიქს-ნაწილაკით. მათ მოსდევს გაქართულებული ფორმა **გურჯი**, შემდეგ კი — თურქული კომპოზიტი **დაილერი-მაილერისი** „მისი ბიძა-მიძები“; ღირსსაცნობია, რომ ეს ფორმაც გაქართულებულია — დაერთვის სახელობითი ბრუნვის **-i** ნიშანი; ამ უკანასკნელის გავლენით კი, მე-3 პირის თურქული კუთვნილებითი სუფიქსი უკვე წარმოდგენილია ისე, როგორც ხმოვანფუძიან სახელებთან, ანუ **-si** ფორმით. ამრიგად, აქ გვაქვს უაღრესად ღირსსაცნობი შემთხვევა: **თურქულ ფორმაზე დართული ქართული სახელობითის ნიშანი მთქმელმა ფუძისეულად აღიქვა და ჰიპერკორექტულად გამოიყენა თურქული კუთვნილებითი აფიქსი**. თურქულ-ქართულ ნარეგ ფორმას მოსდევს თურქული და — თანაობითი აფიქს-ნაწილაკი და ასევე, თურქულივე **-დურ** „არის“ — კოპულადართული გაქართულებული **გურჯი** ფორმა. შდრ. მართებული აჭარული: **დედაჩემიც გურჯია, მისი ბიძა-მიძებიც გურჯი არაან!** შდრ. ასევე, მართებული დიალექტური თურქული: **Annem de Gürçi, dâyelâri-mâyelâri de Gürcidir!**

ულა, ნე ლაზურისი? თურქული დე მოდა ბილიდრსუნ, მუსლიმანი ვარეი? „რაის ლაზური, ბიჭო? თურქული რად არ იცი, მუსლიმანი არ ხარ?“

აქ დიალექტურ თურქულ აპელატივს **uğlan!** „ბიჭო!“ მოსდევს თურქულ-ქართული კითხვითი ფრაზა **ნე ლაზურისი?** ანუ სიტყვასიტყვით: „რაის ლაზური?“, რომელიც იმავდროულად, გამართულია თურქული სინტაქსით; ამ ფრაზას მოსდევს შემდეგი ფრაზა: **თურქული დე მოდა ბილიდრსუნ, მუსლიმანი ვარეი?** „თურქულიც რად არ იცი, მუსლიმანი არ ხარ?“ ფრაზაში პირველი ბმნა, აგრეთვე თანაობის აღმნიშვნელი აფიქს-ნაწილაკიც თურქულია, მეორე ბმნა და დანარჩენი სიტყვებიც — ქართული. ზოგადად, სინტაქსი უფრო ქართულისაკენ იხრება. შდრ. მართებული ლაზური: **მუში ლაზური, ჭე? თურქული მოდა გიჩინ, მუსლიმანი ვარეი?**; შდრ. მართებული თურქული: **Ne lazcası, ey oğlan? neden türkçe de bilmiyorsun, Müslüman değil misin?**

დ) თურქული სიტყვა თურქულივე თანდებულითაა გაფორმებული:

სულთელვენ ქალ-კაციც ერთად იყუნენ დუგუნდე... „კაციც, ქალიც – ყველა ერთად იყო ქორწილში“; **Düğün** თურქულად „ქორწილი“.

ბიჭის კუთხე რომ მივა გოგოს სახლში, მეიპარებენ ჭიქებმ და ბიჭის სახლის კართან გატეხვენ, ბერეკეთიხუნ „ბიჭისიანები რომ მივლენ გოგოს სახლში, მოიპარავენ ჭიქებს და ბიჭის სახლის კართან გატეხენ, ბარაქისთვის“;

ფორმა **Bereket için** დიალექტური თურქულად ნიშნავს „ბარაქისათვის“; შდრ. სამწიგნობრო თურქული: **Bereket için**.

ჩირბულითი ია ენ, ჰერ ჰალდე! „ტაფამწვარიც ეგაა, ყოველ შემთხვევაში!“; **Her hal** თურქულად „ყოველი შემთხვევა“;

აწი შექვეტე ულური სინ? „ახლა ქალაქისაკენ მიდიხარ, შენ?“; **Şehir** თურქულად „ქალაქისაკენ“;

ე) ქართული სიტყვა თურქული თანდებულითაა გაფორმებული:

ამ სოფელდე სამი ხანე რეიზოღლი ვართ, შვიდი ხანეც, იმთე — ახისხალოღლია, და! „ამ სოფელში სამი კომლი რეიზოღლები ვართ, ხოლო შვიდი კომლი – ახისხალოღლია, რა!“ სოფელდე = ქართ. სოფელ-ი + თურქ. **-de** „-ში“.

ზულადა ჩხომი ჭოუფან... აქ ზულა და აოქ, ჩხომი დე აოქ! „ზღვაში თევზს იჭერენ... აქ არც ზღვაა, არც თევზია!“

ზულადა = ქართ. (ლაზ.) ზულა „ზღვა“ + თურქ. **-da** „-ში“; და ასევე: ზულა და „[არ]ც ზღვა“, ჩხომი დე „[არ]ც თევზი“ ფორმებშიც თურქული სათანაო აფიქს-ნაწილაკი მონაწილეობს.

აქ აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელი — ე განყოფილებაში განხილული შემთხვევა უფრო მეტად ოკაზიონალურია, ვიდრე სხვა შემთხვევაში განხილული შემთხვევები. იმასაც დავძენთ, რომ საილუსტრაციო ფრაზები აღებულია სამივე თაობის წარმომადგენელთა სპონტანური მეტყველებიდან.

ორენოვანთა სპონტანური მეტყველებისთვის ერთობ დამახასიათებელი მოვლენაა ოკაზიონალიზმების გამოყენება. ჩვენი გამოკვლევების თანახმად, ქართველურენოვან მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებაში დადგინდა თურქულ ოკაზიონალიზმთა გამოყენების შემდეგი ძირითადი ქვეტიპები:

ა) უცებ დავიწყებული ქართული სიტყვის ნაცვლად ამბობენ თურქულ სიტყვას:

აჭარული:

სხვაფრა იქნება, ფაკათ მე იმღონი ვიცი „სხვანაირად იქნება, ოღონდ მე [მხოლოდ] ეგოდენი ვიცი“;

fakat (თურქ.-არაბ.) — „ოღონდ“;

ფეხსაცმელი იყო, ფანთოლონ იყო... „ფეხსაცმელი იყო, შარვალი იყო...“;

Pantolon (თურქ.) „შარვალი“;

ბელელი და ნალია ადნი „ბელელი და ნალია ერთი და იგივეა“;

Ayni (თურქ.) „იგივე“;

სამანლული არი ახორის ჰემენ იგბე „სათივე არის ეგრევე ბოსლის იქითკენ“;

Hemen (თურქ.) „უცებ, ეგრევე“.

ჰინ არ ვიცი!.. „სულ არ ვიცი!..“

Hiç (თურქ.) — „საერთოდ არაფერი“.

იხვი, კვატად, ორდექ იყო... „იხვი, კვატი, ბატი იყო...“

Ördek (თურქ.) — „ბატი“;

ლაზური:

აწი მუ დოგიწვა, ჰეფ შეფლერი სინ ქოგიჩქინტენ „აწი რა მოგიყვე, ყველაფერი შენ ქე გცოდნია“;

hep şeyleri (თურქ.) „ყველა რაღაც“;

ააა მუში ენდა დო, დომკითხი? ბილლური ალთგენ, ვანა ოქროში რენ! „ეს რისიაო, მკითხე? პირწმინდად „ალთგენისა“, ანუ ოქროსია!“

billûri (თურქ.-არაბ.) „წმინდა“;

Altın (თურქ.) „ოქრო“;

ბ) უცებ დავიწყებული ქართული სიტყვის ნაცვლად, ამბობენ თურქულ სიტყვას, რომელიც ფორმდება სათანადო ქართული აფიქსით:

აჭარული:

ლაზლარი „კაკალს“ იტყვიან; ჩვენებურებმა „ნიგომი“ იციან „ლაზები „კაკალს“ იტყვიან; ჩვენებურებმა „ნიგომი“ იციან“.

ლაზლარ-ი „ლაზები“ < თურქ **Lazlar** + ქართ. -ი;

ჭოვ, მაა რაღა დემელია, მითხარ ახლა?! „ბიჭო, ეგ რაღას ნიშნავს, მითხარი ახლა?!“

დემელ-ი-ა „თქმა“ < თურქ. **Demek** + ქართ. -ი-ა;

ლაზური:

გენჩლიღში ამბარეფე პანტა კაი გომინონი იყვენ! „ახალგაზრდობის ამბები მუდამ კარგი გასახსენებელია!“

გენჩლიღ-იში „ახალგაზრდობის“ < თურქ. **Gençlik** + ქართ. (ლაზბ.) -იში;

ე სადგვლგქ თქუ ქი, ქომოხთიდ დო ვიძირადა! „იმ სახელგანთქმულმა თქვა, რომ ქე მოდით და ვინახულოთ [ერთმანეთი]ო!“

სადგვლგ-ქ „სახელგანთქმულმა“ < თურქ. **Saygılı** + ქართ. (ლაზბ.) -ქ;

გ) ერთსა და იმავე სიტყვას ზოგჯერ თურქულად იტყვიან, ზოგჯერ – ქართულად:

აჭარული:

შუადღის მემრენ ბიჭის თარაფა მოვლიან გოგოსთან, იქეიფებენ. იმას მემრე ბიჭის კუთხე გოგოს წეიყვანებენ კვირა დღეს... „შუადღის მერე ბიჭის მხარე მოვა გოგოსთან, იქეიფებენ. იმის მერე ბიჭის მხარე გოგოს წაიყვანს კვირას...“

თარაფა (თურქ.-არაბ. **Taraf**) – „მხარე“, „კუთხე.“

ტყემალი ჟავე იქნება, კორკმელი დაა თათლისი, დაა გემრიელი იქნება „ტყემალი მჟავე არის ხოლმე, კორკმელი უფრო გემრიელი არის ხოლმე“.

თათლისი = თურქ. **Tatlısı** – „გემრიელი“.

ლაზური:

აქოლე აჟუ მოხთიმუთე ქომულუნ ამა, აწი – ყინვას მთუთი ვა მოხთას-ქი, ჯანს! „აქ დათვი მოსვლით ქე მოდის, მაგრამ ახლა – ზამთარში, დათვი არ მოვა, სძინავს!“

აჟუ = თურქ. **Ayı** „დათვი“, ლაზ. **მთუთი**;

დ) წაცდენილ თურქულ სიტყვას უმაღვე თვითონ ასწორებენ:

აჭარული:

ლობიე, ფხალი, ფათათესი მქონდა... ფათათესი არა – ყარტოფაჟ! „ლობიო, ფხალი, ფათათესი მქონდა... ფათათესი არა – კარტოფილი!..“

ფათათესი = თურქ. **Patates**; აჭარ. **ყარტოფაჟ**.

ლაზური:

სინ არაშთურმაჯი დე, მან მიჩქინ. არაშთურმაჯი დანი, ჩქინაფეი! „შენ არაშთურმაჯი ხარ, მგონი... არაშთურმაჯი ანუ, მეცნიერი!“

არაშთურმაჯი = თურქ. **Araştırmacı**; ლაზ. **ჩქინაფე[რი]**;

ე) თურქული და ქართული ფორმები ერთდროულად არის გამოყენებული:

აჭარული:

ჩვენნი ზამანის დროს სხვაფერი დუგუნები იყო „ჩვენს დროს სხვანაირი ქორწილები იყო“;

ზამანი = თურქ.-არაბ.: **Zaman** „დრო“;

ლაზური:

მოხთიმაფა ჩქვათის-ბილე ქოდომიჯოხუ – თილიფონი მოლოდუ „მოსვლისთანავე შემეხმინა [„დამიძახა“] – ტელეფონით დამირეკა“.

ბილე = თურქ. **bile** „ვე“, ქართ.(ლაზ.) **ჩქვათის**;

ამასთანავე, ოკაზიონალიზმებად უნდა განვიხილოთ იმგვარი კალკები, რომლებიც თურქულიდან მომდინარეობს, თუმცა ქართველურენოვან მუჰაჯირთა მეტყველებაში დამკვიდრებული არ არის და ჯერჯერობით, მხოლოდ ქართული/ქართველური ენის სუსტად მცოდნეებს ახასიათებთ ხოლმე მათი გამოყენება. **ამ მხრივ, განსაკუთრებით საყურადღებოა მუჰაჯირთა აჭარულში ქონა-ყოლის აღმნიშვნელ ზმნათა სპონტანური აღრევის შემთხვევები:**

ერთი ბაღინა მაქ „ერთი ბავშვუკა მყავს“;

ჯამუში ჩვენ არ გუქონდა „კამეჩი ჩვენ არ გვყავდა“;

ენსთრუმანებიც მეყოლება. შენ რემელი გინდა, აქარდონი თუ? „ინსთრუმენტებიც მაქვს ხოლმე [გასაყიდად]. შენ რომელი გინდა, აკორდეონი?“

როგორც ცნობილია, თურქულ ენაში ქონა-ყოლის გამოსახატავად არის ერთადერთი ფორმა **var** „მაქვს“, რომელიც თანაბრად მიემართება სულიერსაც და უსულოსაც. უნდა აღვნიშნოთ, რომ მუჰაჯირთა ლაზურში მსგავსი აღრევა ვერ დაგადასტურეთ, მაგრამ დადასტურდა სხვაგვარი ტიპის კალკური ოკაზიონალიზმები:

ტილიფონი ვარ გომინწკუ < Bana telefon açmadı (თურქ.) „არ დამირეკა“.

ეს წინადადება სიტყვასიტყვით ითარგმნება, როგორც „ტელეფონი არ გამიხსნა“ და წარმოადგენს კალკურ ოკაზიონალიზმს, რამდენადაც მუჰაჯირთა ლაზურშივე სწორი ფორმაა ტილიფონიში ოლოდინუ „ტელეფონის ქმნა“: ტილიფონი ვარ მოლოდუ „არ დამირეკა“.

ღნოსიშა მომიხთუ < Aklıma geldi (თურქ.) „გამახსენდა“.

ეს თქმა სიტყვასიტყვით ითარგმნება, როგორც „გონებაში მომივიდა“ და აშკარად კალკურ ოკაზიონალიზმს წარმოადგენს, რამდენადაც ლაზურში არსებობს და მეტად აქტიურადაც გამოიყენება ზმნა გოშინაფუ: გომაშინუ „გამახსენდა“.

მაშასადამე, ამჟამად ქართველურენოვან მუჰაჯირთა შთამომავლების ქართულ მეტყველებაში თურქულის გავლენა აშკარად იზრდება, რაც ადვილად აიხსნება. ჩვენი ვარაუდით, შესაძლოა, დღევანდელი კალკური ოკაზიონალიზმები მომდევნო თაობაში საყოველთაოდ გავრცელდეს და დამკვიდრდეს.

აქვე უნდა აღვნიშნოს ერთი რამ: ქართველურენოვან მუჰაჯირთა შთამომავლების ყველა საცხოვრებელ არეალში თურქული ენა, როგორც წესი, ფუნქციონირებს ორგვარი სახით: 1) ოფიციალური სამწიგნობრო ფორმით და 2) სასაუბრო-დიალექტური ფორმით; პირველი სახესხვაობა, რაღა თქმა უნდა — ოფიციალური კომუნიკაციისას და მასმედიის საშუალებებში, ასევე სასწავლო დაწესებულებებში გამოიყენება, მეორე — ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში. აუცილებლად დავძინებთ იმასაც, რომ სტანდარტულ და დიალექტურ თურქულს შორის საგრძნობია განსხვავება.

ამდენად, **ქართველურ-თურქული სამეტყველო კოდების შერევის დროს, როგორც წესი, თურქულ კოდად გვევლინება უფრო დიალექტი, ვიდრე სამწიგნობრო**

ენა, რადგან ისინი, რომელთაც საუბრისას კოდების შერევა ან/და გადართვა ახასიათებთ, ხშირად თურქულ სამწიგნობრო ენას გამართულად ვერც კი ფლობენ.

ქართველურენოვან მუჰაჯირთა შთამომავლების 60 წელზე უფროს თაობაში, სასაუბრო-დიალექტური თურქულის გვერდით, უწინ ფართოდ იყო გავრცელებული იმავე სასაუბრო-დიალექტური თურქულისა და ქართველურის შერევით წარმოქმნილი პიჯინი, რომლის ფონეტიკა და სინტაქსი ქართველური იყო, მორფოლოგია — უმეტესად თურქული, ლექსიკაში კი 50/50-ზე იყო ქართველური და თურქული ლექსემები. ამჟამადაც, თურქულად ასეთ მეტყველებას ეწოდება „Çikirtulice//Çikirtulice“ — ეს ტერმინი ქართული „ჩიქორთული“⁶⁹ ფორმისაგან მომდინარეობს.

პიჯინი (ინგლ. **Pidgin**) ინგლისური ტერმინია და აღნიშნავს სამეტყველო კოდთა შერევის შედეგად მიღებულ ერთგვარ ჟარგონულ მეტყველებას, რომელიც გამოიყენება რაიმე განსაზღვრული მიზნით (მაგალითად, სავაჭრო ურთიერთობებისას), ახასიათებს მაქსიმალურად გამარტივებული და, არაიშვიათად, არანორმირებული გრამატიკული წყობა. საინტერესოა, რომ თავად ხსენებული ტერმინი წარმოადგენს ერთგვარ ვარიაციას ინგლისური სიტყვისა „**Business**“ — „პიჯინ ინგლიში“ ანუ იგივე „საქმიანი ინგლისური“ პირველად უწოდეს იმ ჟარგონს, რომელსაც XIX საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული, ჩინეთის ნავსადგურებში ბრიტანელი მებღვაურები და ჩინელი ვაჭრები ერთმანეთთან ურთიერთობისთვის იყენებდნენ (ბელიკოვი, 1998: 198–200).

როგორც წესი, პიჯინი ემყარება ერთ კონკრეტულ ენას (ჩვეულებრივ, მას, რომელიც რეგიონში პრესტიჟულია): ცნობილია ინგლისური, პორტუგალიური, ესპანური და სხვა ენების საფუძველზე წარმოქმნილი პიჯინები. ამასთან, პიჯინის ფართოდ გავრცელების შემთხვევაში ხდება **კრეოლიზაცია** — მომდევნო თაობისათვის პიჯინი იქცევა მშობლიურ ენად და შესაბამისად, ის იძენს ნებისმიერი სრულფასოვანი ენობრივი ერთეულისათვის აუცილებელ ყველა ატრიბუტს. ძველ პიჯინთა საფუძველზე წარმოქმნილი კრეოლური ენებია, მაგალითად, **კაბვერდიანუ** კაბო-ვერდეს კუნძულებზე, **გულა** — აშშ-ში (სამხრ. და ჩრდ. კაროლინის შტატების ზღვისპირეთში), **ფანაგალო** — სამხრეთ აფრიკაში, **ლინგალა** — კონგოს დემოკრ. რესპუბლიკაში, **აისიენი** — ჰაიტის რესპუბლიკაში, **რასტა-პატუა** — იამაიკაზე, **სრანან-ტონგო** და **ნეხერჰოლანდსი** — სურინამში, **კრიო** — სიერა-ლეონეში და ა.შ. ფაქტობრივად, კრეოლური მეტყველება ასევე, **აფრიკაანსიც** — ბურების ენა (სამხრეთ აფრიკაში), **სუაჰილიც** (აღმოსავლეთ აფრიკის რიგ ქვეყნებში) და მისთ.

ამდენად, პიჯინის წარმოქმნა გარკვეულწილად, პირველი საფეხურია დაპყრობილ თუ კოლონიზებულ რეგიონში დამპყრობელთა/კოლონიზატორთა ენის საყოველთაოდ და საბოლოოდ დამკვიდრების გზაზე. საინტერესოა, რომ კრეოლიზაცია მას მოსდევს იმ შემთხვევაში, თუ დამპყრობლები არ ცდილობენ ადგილობრივთა ენობრივ ასიმი-

⁶⁹ ჩიქორთული — პროფ. რევამ შეროზიას ახსნით: ცუდი ქართული

ლაციას; მაგალითად, ფანაგალოს კრეოლური მეტყველება ყოფილ კაპის კოლონიაში (სამხრეთი აფრიკა) ჰოლანდიური ენის ლექსიკურ საფუძველზე (ისიზულუსა და ისინკოსას ენათა სუბსტრატითა და ადსტრატით) წარმოიშვა შავკანიან მონათა შორის იმ მიზეზით, რომ ბურები მათ სასტიკად უკრძალავდნენ ჰოლანდიურის (ან აფრიკანსის) შესწავლასა და შესაბამისად — ლაპარაკსაც, რამდენადაც ეს ენა თეთრკანიანებისა იყო (ვან გაალი, 2012: 27).

ბრაზილიის ამაზონიაში კი, ჯერ პორტუგალიელი კოლონიზატორები და შემდეგ — ბრაზილიელი ახალმოსახლეები ადგილობრივ ინდიელ ტომთა შორის „ცივილიზაციის გავრცელებას“, უპირველეს ყოვლისა, პორტუგალიური ენის დანერგვით ცდილობდნენ და დევნიდნენ არამარტო ინდიელთა ენებს, არამედ **ლინგუა ჟერალსაც** (პორტუგ. **Língua geral** „საერთო ენა“), რომელიც წარმოადგენს პორტუგალიურის, ტუპი-გუარანის (ბრაზილიის ინდიელებში ყველაზე მრავალრიცხოვანი ეთნოსის ენა) და ესპანურის აღრევით წარმოქმნილ კრეოლურ მეტყველებას. ამის შედეგად, დღეს ლინგუა ჟერალი თითქმის გაქრა, თუმცაღა მისთვის დამახასიათებელი თავისებურებანი და ლექსიკური ერთეულები მრავლად შეითვისეს იმ პორტუგალიურმა დიალექტებმა, რომლებიც უკვე XIX საუკუნის ბოლოდან ჩამოყალიბდა ამაზონიაში (დი ფალკუ, 2010: XII).

ქართველურენოვან მუჰაჯირთა შთამომავლებს რაც შეეხება: მათ წინაპართა შორის ბევრი იყო ისეთი, ვინც, სამწიგნობრო ან დიალექტური თურქულის ნაცვლად, ფლობდა და თურქებთან ურთიერთობისას ფართოდ იყენებდა ქართველურ-თურქულ პიჯინს. აქ უნდა ითქვას ისიც, რომ ზემოთ მოყვანილი მაგალითებისაგან განსხვავებით, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს იმ ისტორიულ კუთხეებში, რომლებიც ოსმალეთის უღელქვეშ იყო, ქართველურ-თურქული პიჯინის კრეოლიზაცია არ მომხდარა, მაგრამ სამაგიეროდ, მისი ელემენტები უხვად შეითვისეს იქ ფორმირებულმა თურქულმა დიალექტებმა და კილოკავებმა (მაგალითად, ართვინულ-ყარსულმა ან ახალციხის თარაქამულმა). ამაზე მიუთითებს ცნობილი საბჭოთა თურქოლოგი ა. ვექილოვიც: მისი თქმით, მდ. ჭოროხის და მისი შენაკადების ხეობათა თურქული მეტყველება წარმოადგენს ე.წ. „სუპერსტრატულ დიალექტს“ — მასზე მეტყველთა დიდი ნაწილი ეთნიკურად ქართველი ან ქურთია; იქვე აღნიშნავს, რომ ხსენებული დიალექტის ფონეტიკამაც და ლექსიკამაც ქართული ენის დიდი გავლენა განიცადა (ვექილოვი, 1974: 14).

ამგვარივე აზრისაა მეორე ცნობილი რუსი თურქოლოგი ნ. ბასაკაოვიც: ის მიიჩნევს, რომ მთელ ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთში, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დიალექტია ართვინული, რომელიც გარკვეულწილად უახლოვდება აზერბაიჯანულის თარაქამულ დიალექტს, თუმცაღა ფონეტიკასა და ლექსიკაში ქართული და სომხური ენების შესამჩნევი გავლენა ემჩნევა (ბასაკაოვი, 1936: 63).

ჩვენთვის საინტერესო უმთავრესი მოვლენა, რასაც თითქმის ყველა თურქოლოგი აღნიშნავს, გახლავთ ე.წ. „კავკასიურ მკვეთრთა“ (**პ, ტ, კ, წ, ჭ**) არსებობა ჩრდილო-აღმოსავლურ თურქულ დიალექტებში. ცნობილი თურქოლოგი რ. შორი ჯერ კიდევ 1930

წელს აღნიშნავდა, რომ როგორც ართვინ-არტაანში (თურქეთი), ისე აწყურში (საქართველო) მცხოვრებ თურქულენოვან მოსახლეთა ენაში დასტურდება მკვეთრი თანხმობებიც: „ეს წმინდა ქართული ბგერები გვხვდება არა მხოლოდ ქართულ ან ლაზურ ნასესხობებში, არამედ თვით ძირეულ თურქულ სიტყვებშიც კი“ (შორი, 1930: 12; ხაზგასმა ჩვენია — ავტორები).

ამასთან, ქართულ-შოტლანდიური წარმომავლობის ცნობილი რუსი ენათმეცნიერი ნიკოლაი (ნიკო) მარი და მისი შვილი — აღმოსავლეთმცოდნე იური მარი, ერთობლივ ნაშრომში „შენიშვნები აბასთუმნის მიდამოთა თურქული ენის თაობაზე“ (რუსულ ენაზე, მოსკოვი-ლენინგრადი, 1937) იმოწმებენ რ. შორის ზემოთ მოყვანილ ცნობას და, თურქულ დიალექტურ მეტყველებაში ქართულ მკვეთრ თანხმობანთა დამადასტურებელი ათეულობით სხვა მაგალითიც მოჰყავთ.

მკვეთრ თანხმობანთა არსებობაზე მიუთითებენ ასევე, ისტორიული ლაზეთისა და რიზე-ოფ-ტრაპიზონის ტერიტორიაზე გავრცელებულ თურქულ დიალექტებშიც (ამის თაობაზე ვრცლად იხ. ბ. ბრედმუნის, ა. ვექილოვისა და განსაკუთრებით კი, მ. რიასიანენის მონოგრაფიები და სტატიები). ეგვევ ბგერები იანეთში დასახლებულ მაჰმადიან მესხთა თურქულ მეტყველებაშიც დასტურდება (ქამუშაძე, 2006: 28); გარდა ამისა, ლაზეთსა თუ ტაო-კლარჯეთში ყოფნისას, ჩვენც არაერთხელ დაგვიდასტურებია იქაურთა თურქულ მეტყველებაში მკვეთრი თანხმობების არსებობის ფაქტი; ამასთან — არა მხოლოდ ქართულიდან ან სომხურიდან ნასესხებ, არამედ ასევე ძირეულ თურქულ სიტყვებშიც: მაგალითად, თითქმის მთელ ჭოროხის ხეობაში სიტყვა **Konuşmak [ქონუშმე]** „ლაპარაკი, საუბარი“ წარმოითქმის, როგორც **კონუშმხ**, ტრაპიზონელები სიტყვას **Doğru [დრ]** „მართალი“ წარმოთქვამენ, როგორც **ტოლრ** და ა.შ.

ჩრდილო-აღმოსავლურ თურქულ დიალექტთა მეორე — არანაკლებ მნიშვნელოვანი თავისებურება ისაა, რომ სხვა თურქულ დიალექტთაგან განსხვავებით, მათთვის უცხოა პალატალიზებული ხმოვნები და ნეიტრალური **g** ხმოვანი: ფინელი თურქოლოგი მიიკა რიასიანენი საგანგებოდ მიუთითებს, რომ რიზე-ტრაპიზონულ დიალექტს აქვს 5 სადა ხმოვანი: **ა, ე, ი, ო, უ** და მათი გრძელი ვარიანტები, ხოლო პალატალიზებული და ნეიტრალური ხმოვნები იქ უკვე გამქრალია — გადასულია სადა თუ გრძელ ხმოვნებში. აქ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რიზე-ტრაპიზონული თურქულის ამ ხმოვანთა წარმოთქმა თითქმის იდენტურია მეზობელ ლაზურ კილოთა ხმოვნების წარმოთქმისა (რიასიანენი, 1932: 23).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, რიზე-ტრაპიზონულში, ისევე როგორც საერთოდ ყველა ჩრდილო-აღმოსავლურ თურქულ დიალექტში, ირღვევა ხმოვანთა ჰარმონიის წესი, რაც გულისხმობს იმას, რომ ერთ სიტყვაში მხოლოდ ერთი რიგის ხმოვნები უნდა იყოს და რაც საერთოა თურქულ ენათა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობისათვის (თუმცა, ამ მხრივ არსებობს აშკარა გამონაკლისებიც: ხმოვანთა ჰარმონია მოშლილია სამწიგნობრო უზბეკურში, რომელიც ისტორიულად სპარსულ-ტაჯიკური ენის დიდ

გავლენას განიცდიდა); შესაბამისად, ბევრი სიტყვათწარმოებითი აფიქსი, რომელსაც სალიტერატურო თურქულ ენაში რამდენიმე ვარიანტი აქვს, ჩრდილო-აღმოსავლურ დიალექტებში დასტურდება მხოლოდ ერთი ვარიანტით; მაგ., შდრ. სალიტ. თურქული ენის **Açlık** [აჩლკ] „შიმშილი“, **Özgürlük** [რზგურლუქ] „თავისუფლება“, **Gençlik** [გენჩლიქ] „ახალგაზრდობა“, **Mutluluk** [მუთლულუქ] „იღბლიანობა“ ფორმები და, მათი ჩრდილო-აღმოსავლური ვარიაციები: **აჯლუხ//აჯილუხ, ოზგურლუხ, გენჯლუხ, მუთლულუხ...** ანუ **-lık** სიტყვათმაწარმოებელ სუფიქსს სალიტერატურო ენაში, ხმოვანთა ჰარმონიის წესიდან გამომდინარე, აქვს ოთხი ძირითადი ვარიანტი, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლურ დიალექტებში მათგან განზოგადებულა ერთი — **უ** ხმოვნიანი ვარიანტი, რამდენადაც იქ ხმოვანთა ჰარმონია მოშლილია (რიასიანენი, 1934: 22).

ამჟამინდელ ჩრდილო-აღმოსავლურ თურქულ დიალექტებში ხმოვანთა ჰარმონიის აბსოლუტურ მოშლას სავსებით სამართლიანად უკავშირებენ ქართველურ ენობრივ სუბსტრატს: მაგალითად, მ. რიასიანენი წერს, რომ რიზე-ტრაპიზონის დიალექტის ეს თავისებურება ლაზურ და სხვა ქართულ მეტყველებებთან კონტაქტს უნდა გამოეწვია და ის პონტოურ-ბერძნული სუბსტრატი არაა: „ლაზური რეგიონში უპირველესი ენა იყო და, მისი გავლენა თავად პონტოურ-ბერძნულზეც, ისტორიულად, მეტად ძლიერი გახლდათ. ამიტომაც ხმოვანთა ჰარმონიის მოშლა სწორედაც ლაზურ სუბსტრატს უნდა მივაწეროთ და არა ბერძნულს“ (რიასიანენი, 1934: 23).

ჩვენი დაკვირვებით, ზოგ ჩრდილო-აღმოსავლურ თურქულ დიალექტში (რიზე-ტრაპიზონულში, ართვინულში...) **r** სონორი არავიბრანტია ისევე, როგორც ლაზურსა და რიგ მესხურ კილოებში (ზოგადად, სამხრეთ-დასავლურ ქართულ მეტყველებაში — ამის თაობაზე უფრო ვრცლად იხ. აქვე: 225). როგორც ცნობილია, არავიბრანტი **r** თურქულ ენობრივ სისტემას საერთოდ არ ახასიათებს.

ქართველური მეტყველების შესამჩნევი გავლენა იგრძნობა, ჩრდილო-აღმოსავლურ თურქულ დიალექტთა ინტონაციაშიც, რაზეც პირველად მიუთითა ნ. მარმა: მისი შენიშვნით, ოპიზის მკვიდრნი თურქულად იმდენად სწრაფად მეტყველებენ, რომ ერთი მარცვლის წარმოთქმის დრო ჰყოფნით სამ- და მეტმარცვლიანი თურქული სიტყვების წარმოსათქმელად (მარი, 1911: 12). ნ. მარის ამ შენიშვნაზე მოგვიანებით ვ. თოფურიამ გაამახვილა ყურადღება: „უნებლიეთ მოგაგონდება კაცს გურული მეტყველების ტემპი, გადატანილი თურქულ ენაში“ (ჯორბენაძე, 1989: 45).

ჩრდილო-აღმოსავლური თურქული დიალექტების აქცენტუაციაში ლაზური (resp. ქართული) მეტყველებისათვის ერთობ დამახასიათებელი რიგი თავისებურებები გამოავლინა ჰოლანდიელმა თურქოლოგმა ბ. ბრედმუნმა. მისი აღნიშვნით, რიზე-ტრაპიზონის თურქულში მახვილი დინამიკურია და სუსტი; ამასთან, მოძრავია და არა ფიქსირებული, როგორც სამწიგნობრო თურქულ ენასა და ზოგადად, თურქულ ენობრივ სისტემაში: „საკმაოდ ბევრ სიტყვაში კი — არამართო ნასესხებ, არამედ ძირეულ ფორმებში — მახვილი პირველ მარცვალზე მოდის“ (ბრედმუნი, 2001: 90).

ჩამოთვლილი მოვლენების გარდა, ჩრდილო-აღმოსავლურ თურქულ დიალექტებს ახასიათებს ბევრი სხვა თავისებურება, რომლებიც ქართველურ-კავკასიური ენობრივი სისტემების გავლენით იხსნება.

ქართველური სუბსტრატი განსაკუთრებით თვალსაჩინოა ჩრდილო-აღმოსავლურ დიალექტთა ლექსიკაში, სადაც ათასობით მოიპოვება ქართველური სიტყვა-ფუძეები: მაგალითად, ართვინულ-ყარსული დიალექტის საკმაოდ ვრცელ ლექსიკონში, რომელიც გამოქვეყნებულია ინტერნეტში, ვებგვერდზე: <http://www.artvinliyiz.net> და 30 ათასზე მეტ სიტყვას მოიცავს, ჩვენ დავადასტურეთ დაახლოებით, 9 ათასამდე ქართველური ფუძე ან სიტყვა, როგორებიცაა, მაგალითად⁷⁰: **დედაბერ** „დედაბერი“, **ზაღარ** „ძაღლი, ქოფაკი“, **ჯოლა** „ბჟოლა, თუთა“, **კოლო** (წერია: **ქოლო**) „კოლო“, **ლობიო** „ლობიო“ და ა.შ., აგრეთვე, შორისდებულები:

გო „გოგოვ!“ – **გო, ნერა გიდეაასუნ?** „გოგოვ, სად მიდიხარ?“

ჭო (წერია **ჩო**) „ბიჭო!“ – **ნე ხებერ, ჭო?** „რა ამბავია, ბიჭო?“

მაშასადამე, ქართველ მუჰაჯირებს სამშობლოდან გამოჰყვათ, თუკი შეიძლება ასე ითქვას, თურქული პიჯინისა თუ დიალექტური მეტყველების ისეთი სახეობა, რომელიც ქართველურის გავლენას განიცდიდა. გარდა ამისა, ქართველურ-თურქულ სამეტყველო კოდთა შერევა მოხდა მოგვიანებითაც — იმ ადგილებში, სადაც ქართველები დასახლდნენ და ადგილობრივ თურქულ (ან თურქულის მცოდნე) მოსახლეობასთან ურთიერთობას შეუდგნენ. დღემდე ქართველურ-თურქულ სამეტყველო კოდთა შერევის და გადართვის სისშირე მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლების უფროს თაობაში უფრო მაღალია, ვიდრე უმცროსებს შორის, რომლებიც თურქულს უკვე მშობლიურის დონეზე ფლობენ: ქართულად საუბრის თავისუფლად გაგება ამ უკანასკნელთ თითქმის აღარც შეუძლიათ. ბებია-ბაბუებიც, ცხადია, მათთან კომუნიკაციისას, ქართველურ-თურქულ სამეტყველო კოდთა გადართვას მიმართავენ. აქედან გამომდინარე, მუჰაჯირ ქართველთა მსცოვანი შთამომავლების თურქული მეტყველება ერთგვარად ისევ პიჯინიზებულია. ამიტომაც, რომ ახალგაზრდა თაობის მიერ ის, როგორც წესი, „ცუდ თურქულად“ აღიქმება.

აღსანიშნავია ისიც, რომ დღეს მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლების ახალგაზრდა თაობა თავისუფლად მეტყველებს თურქულისავე ადგილობრივ — ჩრდილო-დასავლურ დიალექტებზე, რომლებიც რადიკალურად განსხვავდება ჩრდილო-აღმოსავლურისაგან ან ქართველურ-თურქული პიჯინისგან. ეს უკანასკნელი ახალგაზრდა ქართველთა მიერ აღიქმება „ქართველთა თურქულად“ (**Gürcülerin Türk şivesi**). რამდენჯერმე დადასტურდა ასეთი საყურადღებო შემთხვევა: როდესაც ქართველებზე (აჭარლებზე ანდა ლაზებზე) ანეკდოტს ჰყვებიან, სწორედ ე.წ. „ჭოროხული“ დიალექტით ან ქართველურ-თურქული პიჯინით გადმოსცემენ ხოლმე მთავარი გმირის მეტყველებას.

⁷⁰ მეტი თვალსაჩინოებისათვის, სიტყვები მოგვყავს ქართული ტრანსკრიფციით.

2.3.2. ქართველურ-თურქულ სამეტყველო კოდთა შერევა ონომასტიკაში

2.3.2.1. ანთროპონიმია

ონომასტიკაში ქართველურ-თურქულ სამეტყველო კოდთა შერევას რაც შეეხება: უპირატესად უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ მუჰაჯირთა შთამომავალი ყველა მორწმუნე ქართველი მუსლიმანი-სუნიტია. ასევე მათი წინაპრებიც — ქართველი მუჰაჯირები, რომლებიც იქ ჩავიდნენ და დაესახლნენ, მუსლიმანი-სუნიტები იყვნენ და ატარებდნენ არაბულ-ოსმალურ სახელებს, თუმცა შენარჩუნებული ჰქონდათ ქართული გვარები: ან ძველი (ოსმალობამდელი), ანდა ოსმალურ ყაიდაზე მოდიფიცირებული სახით. აქვე დავძენთ, რომ როგორც ცნობილია, ოსმალეთში გვარი არ არსებობდა, მაგრამ არათურქული წარმომავლობის ხალხები (ქართველები, ალბანელები, ბოსნიელები და ა.შ.) ატარებდნენ ე.წ. მეტგვარებს, რომლებიც ნაწარმოები იყო მამის ან მუსლიმანობაზე მოქცეული პირველი წინაპრის სახელიდან. ხშირად, ქართველებს, ბულგარელებსა და ბოსნიელებს — განსაკუთრებით, დიდგვაროვნებს — ოსმალური მეტგვარის ფუძედ ძველი გვარის ეპონიმიც კი ჰქონდათ შენარჩუნებული (ჩაღლაარი, 2016: 32).

დღესდღეობით თურქეთის მოქალაქე ეთნიკურ ქართველთა უმრავლესობას აქვს საშინაო მეტსახელიც, რომელიც, როგორც წესი, ქართული წარმოშობისაა. აღვნიშნავთ იმასაც, რომ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებაში სულაც არ გვხვდება ტერმინი „მეტსახელი“; ამ მნიშვნელობით გამოიყენება ფორმა **ლაღაბი**⁷¹. როგორც წესი, „ლაღაბი“ შერქმეულია რაიმე განკერძოებული ნიშნის მიხედვით და იუმორისტულ-დამცინავი შინაარსისაა; მაგ., მელოტ ადამიანს შეიძლება ერქვას **„ბურძღლია“** — დიდთმინანი; ქერა ადამიანს — **ქოსაჲ** „უთმო“. ლექსიკური ერთეული „ლაღაბი“ **ამავე მნიშვნელობითაა** სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მკვიდრ ქართველთა მეტყველებაშიც: აჭარულში, მაჭახელურში, იმერხეულში, ტაოურში, ნიგალურში, სამცხურ-ჯავახურში...

ოსმალური მეტგვარი სტრუქტურით ძალიან ახლოს დგას ტრადიციულ ქართულ და ბალკანურ-სლავურ პატრონიმებთან — იწარმოება ეპონიმზე **-ოღლუ (-oğlu, თურქ. „მისი ძე, შვილი“)** ფორმანტის დართვით. ის, როგორც წესი, გამოიყენებოდა ოსმალეთის არათურქი წარმოშობის ქვეშევრდომის ოფიციალური იდენტიფიცირების დროს, ხოლო არაოფიციალურად, რასაკვირველია, უფრო ფართოდ იყო გავრცელებული ძველი, ადგილობრივი პატრონიმები (ჩაღლაარი, 2016: 34–35).

⁷¹ არაბ.-ოსმ. **Lakup** მრ. რიცხვის ფორმაა სიტყვისა **Lakab** „[საგვარეულო] მეტსახელი“. ლაზურში მისი სინონიმია ძირეული ქართველური ფორმა: **ძეგლი/ძეგნი „მეტგვარი“**. ისეთ ქართველურ ქვესიტყვებში, როგორიცაა მაგ., **აჭარული, იმერხეული...** „ლაღაბი“ ნიშნავს კონკრეტული პირის მეტსახელს (და არა — ადამიანთა ჯგუფის მეტსახელს).

თურქეთის შუა შავიზღვისპირეთში, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთსა და მარმარილოს ზღვისპირეთში მოსახლე ქართველებს — 1877-1882 წწ. მუჰაჯირთა შთამომავლებს — ახსოვთ ან თავიანთი ძველი ქართული გვარები, ან — შედარებით გვიანდელი ოსმალური მეტგვარები. დღეს ისინი, ისევე როგორც მთელი თურქეთის მოსახლეობა, ატარებენ ახალ თურქულ გვარებს, რომელთა წარმოქმნაც უკავშირდება ქემალ ათათურქის მიერ 1934 წელს მიღებულ „გვარის კანონს“ (Soyadı Kanunu). ჩვენი მასალების მიხედვით, როგორც წესი, მუჰაჯირთა შთამომავლების საკუთარი სახელებიც თურქულ-არაბულია (მუსლიმანურია); პიროვნული მეტსახელები („ლაღაბები“) კი მეტწილად ქართულია. აღვნიშნავთ იმასაც, რომ საკუთარი თავის წარდგენისას ზოგი ქართველი თავს გვაცნობს ქართული სახელით და ძველი ქართული გვარით (თუმცა, პასპორტში სახელის ეს ვარიანტი არ უწერია).

მუჰაჯირთა შთამომავალი ქართველები ამჟამად ოფიციალურად აღმოსავლური წარმომავლობის (არაბული, თურქული, სპარსული...) სახელებს იყენებენ; ამასთან, ყველა სახელი ფონეტიკურად შეცვლილი სახით დასტურდება, მაგ.:

კაცის სახელები:

ხასან, მუხემმედ // მემეტ, დუსუფ // დუსუფ // ისუფ // ისუფ, ხაკკი, ჯეჟდეთ, მუსტავა, რესან, ხუსეან, ოსმან, ბესიმ, დალიფ, მემედ-ალი, შემსუდინ, ნურეთთინ, ნურულლა, აბდულა, ალი, დურსუნ, დემურ, დემირ-ალი, ადინ, ირფან // ირფან, ნადიმ, ნასიმ // ნაზიმ, მელუდ...

ქალის სახელები:

ზეანაფ, ნურთენ, ფადიმე // ფადიმე, ფატყუმე, ლუთვიე, საბრიე, სარიე, გელიხე, ასიე, ზადდე, ზორადდე, ფერიდე // ფერიდე, ნეზაქეთ, ნაზლიე, აიშე // აჩე, სელმა, მერიემ, ნურიე, ურიე // ხურიე, ნადიმე, ალიმე, გჟულლუ, სეჟგი, საფიე // საფიე, ხატიჯე, ნაილე, სანიე, სარიე, მულქიე, მელიქე, მედინე...

გარდა იმისა, რომ აქ მოყვანილი სახელების ოფიციალური ფორმები, როგორც წესი, განსხვავდება მურღულელთა შორის დადასტურებული ფორმებისაგან, საინტერესოა ის, რომ არაიშვიათად, ეს სახელები გვხვდება შემოკლებული სახით ან ქართული კნინობითი სუფიქსებითაც. ამასთან, შემოკლებული ფორმა ამა თუ იმ სახელისა, ზოგჯერ ცალკეც კი გვხვდება, როგორც დამოუკიდებელი ანთროპონიმი. მაგალითად: **მუხემმედ და მემეტ, ფადიმე და ფატყუმე და ა.შ.**

სახელს შემოკლებისას, როგორც წესი, ჩამოსცილდება ბოლო მარცვალი ანდა ბგერა: **მუსტავა — მუსტა, რესან — რესა, შემსუდინ — შემსუ // შემსო, ნურეთთინ — ნურეთ, აბდულა — აბდუ, იბრეჰიმ — იბრე // იბრო, გელიხე — გელი, მერიემ — მერი, საბრიე — საბი, ასიე — ასი, ურიე // ხურიე — ური // ხური, დურსუნ — დური, ნურულლა — ნური და ა.შ. ამ შემოკლებულ ფორმებს, შესაძლოა, დაერთოს კნინობითი სუფიქსებიც და ვიღებთ: რესა — რესუკა, ხუსეან — ხუსიკა, შემსო — შემსიკა, გელი — გელიკო, ური — ურიკო...**

ქართველთა თურქულ-არაბული ანთროპონიმები შესამჩნევადაა შეცვლილი ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებაში; კერძოდ:

- ოსმალური ან არაბული ანთროპონიმი განიცდის ფონეტიკურ მოდიფიცირებას ქართული ენის ფონემატური სტრუქტურის შესაბამისად; მაგ.: **Yılmaz - ილმამ-ი**, **Vedat - უედათ-ი**, **Feride - ფერიდე-ი** და ა.შ.

- ყოველ მათგანს ერთვის ქართული სახელობითი ბრუნვის **-ი//ი** ნიშანი, მაგ.: **Şaban - შაბან-ი**, **Musa - მუსა-ი**, **Sedat - სედათ-ი**... ნიშანდობლივია, რომ თვით თურქულად მეტყველების დროსაც კი, ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლები ამ თავიანთ სახელებს არაიშვიათად, ქართული სახელობითის ფორმით იყენებენ:

ჭოტუ ბახ, ორადა ქიმ?.. სედათი მი? (შდრ. სამწიგნ. თურქ.: **Bak oğlan, orada kim?.. Sedat mı?**) „ბიჭო, შეხედე, იქ ვინაა? სედათია თუ?“ (ბულანჯაქი, სოფ. დამუდერე);

ჰა, შიმდი ბურაა მუსაა გელიო[რ]... (შდრ. სამწიგნ. თურქ.: **Ha, şimdi buraya Musa geliyor**) „აი, ახლა აქეთ მუსა მოდის“ (სინოპი, სოფ. ვეისელი)...

- ანთროპონიმები დაირთავენ ქართული წოდებითის **-ო//ო** ნიშანსაც: როგორც ქართულად, ისე თურქულად მეტყველების დროს, მაგ.:

დურსუნო!.. რაფერ ხარ, რაფეები, ჭოტუ? „დურსუნ!.. როგორა ხარ, რას შვრები, ბიჭო?“ (ჩარშამბა, სოფ. მუსლუბეი);

საიმეჟ, რაფა კჭირიან ესენი? „საიმე, რისთვის გჭირდებათ ესენი?“ (უნეი, სოფ. გუმელიალი//მიტრაპოლი);

მუსაჟ!.. სენინ ბაბან და გურჯი მიდირ? (შდრ. სამწიგნ. თურქ.: **Musa!.. Senin baban da Gürcü mü?**) „მუსა!.. მამაშენიც ქართველია?“ (ქ. ფაცა);

ნერიფე გიდიმ[რ]სუნ, მემედო? (შდრ. სამწიგნ. თურქ.: **Nereye gidiyorsun, Mehmet?**) „სად მიდისხარ, მეჰმედ?“ (გირესუნი, სოფ. ანბარალანი) და ა.შ.

- თურქულ-არაბული ანთროპონიმებს ქართული ენის ყალიბით ეწარმოებათ კნინობით-ალერსობითი ფორმები; მაგ.: **ცადილ - ცადილ-ა-ი**, **ოსმან - ოსმან-ა-ი**, **აიშე - აიშე-უკა-ი**, **ხაჯერი // > ხაჯე - ხაჯე-ულა-ი**... ყველაზე პროდუქტიული ამ მხრივ არის **-ა** სუფიქსი, რომელიც შეიძლება დაერთოს ყველა თანხმომავანფუძიან სახელს. ამ მიზეზით, ზოგი თურქულ-არაბული ანთროპონიმი ჰიპერკორექციასაც კი განიცდის: მაგ., სახელი **Abdullah** ქართულ ყაიდაზე გადმოდის, როგორც **აბდულა-ი**. ბოლოკიდური **ა** ფუძისეულია, მაგრამ ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების მიერ აღიქმება, როგორც კნინობით-ალერსობითი სუფიქსი და აქედან გამომდინარე, ოფიციალურ ფორმად ისინი მიიჩნევენ მხოლოდ ჰიპერკორექტირებულ **აბდულ-ი** ფორმას:

დიღუანების ხებრები შენაც იცი თუ, აბდულო?.. „წინაპრების ამბები შენც იცი, აბდულაჰ?..“ (სინოპი, სოფ. ლალა);

ესე სახლებიც აქა ციმან დწკეთებია, აჭაროლი აბდულმა!.. „ეს სახლებიც აქ იმან ააშენებინა — აბდულაჰ აჭაროლიმ!..“ (გირესუნი, სოფ. ანბარალანი);

მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველების ნიმუშების ჩაწერისას მასალებში დაფიქსირდა მრავალი პიროვნული მეტსახელი; მათი უდიდესი ნაწილის ფუძეც და მაწარმოებელიც ქართულია; მაგ.:

- გირესუნის ილჩეს სოფ. ანბარალანში დაგვისახელეს გასული საუკუნის 30-იან წლებში, საქართველოს სსრ-დან („რუსიდან“) გადმოხვეწილი **ლოლო ამედაი (ყარამანოლი)**, რომელსაც განსაკუთრებით ჰყვარებია ზრდილობიანი, რბილი საუბარი და მეტსახელადაც ამიტომ შეურქმევიათ **ლოლო** (შდრ. ლაზური **ლულუ** „რბილი, ფაქიზი“ და სამწიგნობრო ქართული ენის ფორმა **ლოლო-იავ-ი**);

- უნიეს სოფ. გუმელიალიში//მიტრაპოლში ჩავიწერეთ მეტსახელი **თაატბუძილაი (თატი „თავი“ და ბუძილი-ი „გაბურძგნული“)**;

- სოფ. ექინჯულში: **ხეჭეჭურაი (ხეჭეჭური მსხლის ჯიშია), ყუერიტყაპუნაი (ყუერი „testiculus“ და ტყაპუნაი), ნაჭარულაი (ნაჭარი „ნაჭერი; ფული“)**...

- ჩარშამბას სოფ. მუსლუბეში: **მოდრეჯილაი (მოდრეჯილი „დაჭმუჭნული“), ასითაი (ასი და თითი)** და ა.შ.

ჩვენ მიერ ჩაწერილ მასალაში მეტსახელთა ორი ჯგუფი შეიძლება გამოვყოთ: (1) მეტსახელები, რომლებითაც ამაცობენ და (2) მეტსახელები, რომელთაც უარყოფენ. მაგ., უნიელი ორი მთქმელიდან ერთმა დიდი სიამაყით დაგვისახელა საკუთარი მეტსახელი **აჭარულაი**, ხოლო მეორემ კი უარყო მეტსახელი **თაატბუძილაი**.

იშვიათ შემთხვევაში ნეგატიური მეტსახელიც პოზიტიურადაა აღქმული; მაგ., ჩარშამბას სოფ. მუსლუბეის მცხოვრებს, რომელიც ახალგაზრდობაში გაქნილი ჯიბის ქურდი ყოფილა, შეარქვეს **ასითაი**; ამ მეტსახელით იგი თურმე ძალზე ამაცობდა და თუ ვინმე ნამდვილ სახელს დაუძახებდა, არც კი გამოეხმაურებოდა ხოლმე.

მეტსახელთა ნაწილი წარმოქმნილია დასახლებული პუნქტის მიხედვითაც; კერძოდ, აჭარაში ფართოდ გავრცელებული წესის შესაბამისად, არაიშვიათად რძლის მეტსახელი შექმნილია მშობლების სოფლის ან კუთხის მიხედვით; მაგ., უნიეს სოფ. გუმელიალიში//მიტრაპოლში, ზემოაჭარლების ოჯახის ქობულეთელმა რძალმა ხუმრობით გვითხრა:

მე ჩურუქსულაი უარ ამა, აჭარლეთში მოტხთი „მე ქობულეთელი ვარ, მაგრამ აჭარლებში მოვხვდი“.

ასეთივე ყაიდის მიკროანთროპონიმებად სხვაგან დაგვისახელეს **მაჭახლურაი** (ტოპონიმ **მაჭახელიდან**), **დე[რ]მენჯულაი** (ტოპონიმ **დერემენჯი ქლოდან**), **ზეგნურაი** (ოიკონიმ **ზეგანიდან** [=შუახევი და ხულო]) და ა.შ.

საკმაო რაოდენობით ჩავიწერეთ აგრეთვე, ისეთი მიკროანთროპონიმები, რომელთა ფუძე თურქულია, ხოლო მაწარმოებელი სუფიქსი — ქართული; მაგ.: **ქესკინაი** (< თურქ. Keskin „ხელმარჯვე, მოხერხებული“), **კურნაზაი** (< Kurnaz „ცბიერი“), **თათაროღლაი** (< Tataroğlu „თათრის ძე“)... გამოვლინდა ასევე რთული — ქართულ-თურქული ფუძეებიც: **მუხტრიფეხაი** (< თურქ. Muhtar „გამგებელი“ და ქართ. **ფეხაი**; ასე შეარქვეს ჩარშამბას სოფ. მუსლუბეში კაცს, რომელიც მუდმივად სოფლის გამგებელს

დაპყვებოდა), **თენჯირნაწყეტაჲ** (< თურქ. Tencir „კარდალა“ და ქართ **ნაწყეტაჲ**; ასე შეარქვეს ერთ სინოპელს, რომელსაც ბევრი ჭამა უყვარდა) და ა.შ.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებში დაცული **გვარები და მეტგვარები**. როგორც უკვე აღინიშნა, მუჰაჯირთა შთამომავლებს ახსოვთ თავიანთი ძველი ქართული გვარები თუ ოსმალური მეტგვარები, მაგრამ სოფლების უბნების დასახელებისას გამოყენებულია ოსმალური ვარიანტები, რაც, ბუნებრივია, ასახავს ჩამოსახლების პერიოდიდან შექმნილ ტრადიციას; მაგ., გირესუნის სოფ. **ანბარალანში** ცხოვრობენ შემდეგი გვარები: **ჩელებიოღლი, აჭაროღლი, დელია-სანოღლი, ჩინეკოღლი...** ბულანჯაქის სოფ. **დამუდერეში** სახლობს მხოლოდ **ჭელიმოღლის** გვარის ხალხი; ამჟამად, ჩარშამბას სოფ. **ქვედა ქესთანეფუნდარში** არიან: **თათუნოღლი, ხოჯაოღლი, ალიმოღლი, ახისხალოღლი, სალიხოღლი...** იქვე, **ზედა ქესთანეფუნდარში**: **ჩოლოღლი, აბდიოღლი, უსტაოღლი, თოფუზოღლი...** სინოპის სოფ. **ერფელექში**: **ბექიროღლი, თემიროღლი, შაინოღლი** და ა.შ. უმეტესობას ფუძედ აქვს თურქულ-არაბული ანთროპონიმი, ზოგიც (მაგ., **აჭაროღლი, ახისხალოღლი**) ძველი თემონიმებისაგან წარმოდგება (შდრ. თურქ.: Acar „აჭარელი“, Ahiskalı „ახალციხელი“).

ქართველ მუჰაჯირთა დღევანდელ შთამომავლებს, მეტ-ნაკლებად, თავიანთი ძირძველი ქართული გვარებიც ახსოვთ: ქ. **ფაცაში** ერთ-ერთმა მთქმელმა, თანამედროვე თურქულ სახელსა და გვართან ერთად, სიამაყით დაგვისახელა ქართული გვარიც — **კაკალაძე**, თან აღნიშნა:

აქაური ქართულეფს ჩუენი სახელი, გუარი არ დაგუატიწყდა-ქი, უციით იგინი. სულ ადამიანმა თაუისი გუარი იცის. პირუელაჲ ქი საქართუელოს კარები გახსნენ, დეიწყო მისლა-მოსლა: შენ რა გუარი ხარ? შენ რა სოფლიდან ხარ? — მე კაკალაძე უარ, მე ინაფშული უარ, მე ქათამაძე უარ — ისე დეიწყო, გამეუკითხეთ, უციანით, უნახეთ. მეორე ქართული კიდე გარი აქა — აჭარელი, იგინმა მისი გუარი გარ იცან. ქედედან უინც რომ ჩამოსული არიან, სულ თურქქა გუარები იცან იგინმა. ქართულები არან ამა, თურქქა გუარები აქუან. მესელა, მე მკითხუნ — მე კაკალაძე უარ, უამბოფ. იმას კითხუნ — თურქულ გუარ ამბოფს: ჭეჭელოღლი უარო, წითელოღლი უარო — იტყუიან. მერე გედეგებენ ამა, ქართული გუარი არ არი-ქი ესე, თურქულია, ოსმალურია. ქობლეთლებმა უფრო კარქათ იცის თაუისი ქართული გუარი. „აქაურ ქართველებს ჩვენი სახელები და გვარები არ დაგვიწყნია, ვიცით ისინი. ყველა ადამიანმა თავისი გვარი იცის. პირველად რომ საქართველოს სამღვარი გაიხსნა, დაიწყო მისვლა-მოსვლა [და გამოკითხვა]: შენ რა გვარი ხარ? შენ რა სოფლიდან ხარ? — მე კაკალაძე ვარ, მე ინაიშვილი ვარ, მე ქათამაძე ვარ — ამგვარად დაიწყო, გამოვიკითხეთ, [ნათესავეები] ვიცანით, ვნახეთ. სხვა [თემის] ქართველებიც არიან აქ — აჭარლები. იმათ თავიანთი გვარები აღარ იცან. ქედადან ვინც არიან ჩამოსულები, სულ

თურქული გვარები იციან იმათ. ქართველები არიან, მაგრამ თურქული გვარები აქვთ. მაგალითად, მე [რომ] მკითხავენ — მე კაკალაძე ვარ[-მეთქი], ვამბობ. იმას [რომ] ჰკითხავენ — თურქულ გვარს ამბობს: ჭეჭელოლლი ვარო, წითელოლლი ვარო — იტყვიან. მერე კი გაიგებენ [ხოლმე], რომ ქართული გვარი არ არის ეს, თურქულია, ოსმალურია. ქობულეთლებმა უფრო კარგად იციან თავიანთი ქართული გვარ[ები]“.

მონათხრობში ყურადღებას იქცევს მთქმელის დამოკიდებულება გვარებისადმი: **მისი აზრით, ქართულია მხოლოდ ისეთი გვარსახელი, რომელიც ტრადიციული ქართული ფორმანტებით ბოლოვდება. გვარსახელი, რომლის ეპონიმიც ქართულია, მაგრამ ფორმანტი — უცხოური, მას ქართულად აღარ მიაჩნია** (მის მიერ დასახელებული ოსმალური მეტგვარები: **ჭეჭელოლლი** და **წითელოლლი** ძირძველ ქართულ ეპონიმებს კი შეიცავს, მაგრამ არაქართული **-ოლლი** სუფიქსით ფორმდება). მთქმელი მონათხრობში უთითებს იმასაც, თუ რატომაა საჭირო მუჰაჯირთა შთამომავლებისათვის ძირძველი გვარის ზუსტად ცოდნა: სხვაგვარად, საქართველოში ნათესავების გამოძებნა გაჭირდება.

უნიეს სოფელ **ეჟინჯულშიც**, ერთ-ერთმა მთქმელმა თურქულ სახელსა და გვართან ერთად დაგვისახელა ქართული გვარი — **ხოხოტაძეშვილი**. ოსმალური მეტგვარი მან არ იცოდა, რაკილა მისი წინაპარი (ბაბუის მამა) საქართველოდან 1921 წელს — გასაბჭოების შემდეგ — წამოსულიყო თურქეთში. სამაგიეროდ, მისმა ახლო ნათესავმა, რომელიც ქვემო მაჭახლის იმავე სოფლიდან 1879 წ. გადმოსახლებული მუჰაჯირების შთამომავალია, გვითხრა, რომ **ხოხოტაძეშვილების** მეტგვარი იყო **ყადილოლლი**. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უნიეს სოფ. ეჟინჯულშივე დასტურდება მიკროტოპონიმი **ყადილი გოლები** „ყადილის ტბები“; მთქმელის შენიშვნით:

ყადილადა ყოფილა ერთი და იმიდან — ყადილი გოლები ეტყჷიან „ვინმე ყადილი ყოფილა და იმის გამო — [იმ ადგილს] ყადილის ტბებს ეძახიან“.

ჩვენი აზრით, **ყადილოლლი** უშუალოდ მუჰაჯირობის შემდგომ მიღებული მეტგვარი უნდა იყოს.

სინოპში დავაფიქსირეთ მეტად ნიშანდობლივი ფაქტი: მთქმელს თავისი ქართული გვარი — **კუირტიძე** — ახსოვდა იქიდან გამომდინარე, რომ მისივე თქმით, წინაპრები სულ ცდილობდნენ, როგორმე დაბრუნებულიყვნენ საქართველოში:

ჩუენ კუირტიძე უართ. ახლა ბათუმიდან აქა მოსულუნ, ჩუენი დედები მოსულან. უკან წასლა სურუებიან ქი, თაბი, ერთ-ორ ვაც... იმთე, სონრა უკან წასულან, ბექი მიუდეთო, გერი იქ ჩუენ სახლეფ დუტრიალდეთო. წესულან ქი, ჰუდუტბეც რუსეფ დუყენებიან: ესენი უინ ჰრიახო? კუირტიძე? რ!.. წაფთ ახლა ყუელაფ უკანო! რა გინდებიან აქაო?!.. ჩუენე კუირტიძესთან უერ დაუჟდები-თო!.. კუირტიძე იმთე, დიდი ეშქიადს სულუნლე ყოფილა იქა. კუირტიძე დიდი გუარი ყოფილა, დიდი გუარი იქ. „ჩვენ კვირტიძე[ები] ვართ. აქ ბათუმიდან მოსულან, ჩვენი წინაპრები მოსულან. უკან წასვლა [მო]სურვებიათ, რასაკვირველია,

ზოგიერთებს... ჰოდა, მერე უკან წასულან: ეგებ მივიდეთო, ისევ იქ, ჩვენს სახლებს და-
ვუბრუნდეთო. რომ წასულან, სამღვარზე რუსებს გაუჩერებიათ: ესენი ვინ არიანო? [— რუს
მესაზღვრეებს უკითხავთ ერთმანეთისთვის,] კვირტიძეო? ოო!.. წადით ახლავე ყველანი
უკანო! რა გინდათ აქო? ჩვენ კვირტიძეებთან ვერ ვიცხოვრებთო!.. კვირტიძე ცნობილი
ყაჩაღების გვარი ყოფილა იქ. კვირტიძე დიდი გვარი ყოფილა, დიდი გვარი იქ“.

ამ მონათხრობში ყურადღებას იქცევს ის ფაქტიც, რომ მთქმელი თურქულ-არაბულ
სულწლედ (გვარი, ჩამომავლობა) ფორმის პარალელურად, იქვე იყენებს ძირეულ
ქართულ ფორმას — **გუარი**. ნიშანდობლივია ისიც, რომ იმავე მთქმელმა თანამედროვე
თურქული გვარის მიღების ისტორია ასე მოგვითხრო:

**ჩუენი დედენუ უკან წასლა სურტებიან ქი, ტერ წესულან და ტერ წესულან...
მემრენ-და, ჰუტქუმათ თურქჩა სოჟადი „დურსუნ“ მუცემია. თურქჩა დურსუნ ნე
დემექ ქი, ბილიდრსუნ? აანი: დადექი, გაჩერდი - ეს თქმაჟა „ჩვენს წინაპრებს უკან
წასვლა ხომ სდომებიათ, [მაგრამ] ვერ წასულან და ვერ წასულან. მერე, მთავრობას
ასეთი თურქული გვარი მიუცია [მათთვის]: დურსუნ. თურქულად „დურსუნ“ რას ნიშნავს,
თუ იცი? „დადექი“, „გაჩერდი“ — ამას ნიშნავს“.**

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საკუთარ გვართან (ანდა მეტგვართან) დაკავშირე-
ბული ისტორიები სმენიათ მათაც, ვინც წინაპრების ენა — ქართული — უკვე აღარ იცის,
ან ძალზე სუსტად იცის: მაგ., სამსუნის ილის ჩარშამბას ილჩეს სოფ. **ქესთანეფუნ-
ღარში** (თურქ. Kestanepınarı köyü) ჩვენ სწორედ ქართული ენის სუსტად მცოდნე, 30
წლის მთქმელისგან ჩავიწერეთ ლეგენდა მისი მეტგვარის — **სალიხოლლი**'ს შესახებ;
ლეგენდის მიხედვით 1879 წელს, ბათუმიდან სამსუნში ჩამოსულ გემს სხვა ქართველ
მუჰაჯირებთან ერთად, ჩამოუყვანია 10-11 წლის ობოლი ბიჭუნა, სახელად **სალიხი**,
რომელმაც თავისი ქართული გვარი არ იცოდა. მუჰაჯირებმა სალიხს უპატრონეს,
დააქორწინეს და მის შთამომავლებს უწოდეს **სალიხოლლები** ანუ **სალიხაშუილები**.
მთქმელმა თურქულად მეტყველების დროს ორივე ვარიანტი გამოიყენა.
საყურადღებოა, რომ თურქულ (**-ოლლი** ფორმანტიან) ვარიანტში ეპონიმი ამოსავალი
ფორმით (**სალიხ**) დაფიქსირდა, ქართულ ვარიანტში კი — კნინობით-ალერსობითი
ფორმით (**სალიხ-ა**).

ხშირ შემთხვევაში ბევრი წახნაგითაა საინტერესო ოსმალური მეტგვარებიც; მაგ.:

**ა) იქიდან ომ აქ მოტუსულტართ, მას მემრე, ანი, აქაური სახელი ჰელი-
მოლლი დურქემიან. ჩუენ' ემეუბი — ქლათ ჰელიმოლლი! ამა იქ — ბარამიძე
ტყოფილტართ და აქ რომ მოელით, აქ გამოცვლილა** (ბულანჯაქი, სოფ. დამუდერე)
„იქიდან (=საქართველოდან) რომ აქ მოვსულვართ, მას მერე, ესე იგი, [წინაპრებს]
აქაური სახელი (=გვარი) ჰელიმოლლი დაურქმევიათ. ჩვენი ნათესაობა [ამჟამად] —
სულ ჰელიმოლლები [არიან], მაგრამ იქ (=საქართველოში) ბარამიძე[ები] ვყოფილვართ
და აქ რომ მოვედით, აქ [გვარი] გამოცვლილა“.

ბ) ჩუენი სულწლედ უარი აჭაროლლაჟ. ჩუენი სოფელი ჰაცხან იყო იგბე,

აჭარაში. იქიდან ქი მოჭდეს დედებო, აჭარელი იყტეს ქი, იმიდან — აჭაროლი დნრქტეს, ამფ[რ]ათ დწრქმეჭდან იშთე. ბათუმიდან მოსულან თუ, ჰაცხაფ სხტავნიდამ — ყარ ტიცი (გირესუნი, სოფ. ანბარალანი) „ჩვენი ჩამომავლობა არის აჭაროლი. ჩვენი სოფელი სადღაც იყო იქ, აჭარაში. იქიდან რომ მოვიდნენ წინაპრები, აჭარლები ხომ იყვნენ და იმიტომ „აჭაროლლ[ებ]ი“ დაარქვეს, ასე დაურქმევიათ, რა. ბათუმიდან მოსულან თუ სადღაც სხვა ადგილიდან — არ ვიცი“...

ამ ორ მონათხრობში საინტერესო ფაქტები იჩენს თავს:

პირველი მთქმელი ხაზს უსვამს, რომ ოსმალური მეტეგვარი მათ მიიღეს მას შემდეგ, რაც საქართველოდან (კერძოდ, აჭარიდან) ოსმალეთში გადმოსახლდნენ. რალა თქმა უნდა, მის წინაპრებს — ბარამიძეებს — აჭარაში ცხოვრების დროსაც ექნებოდათ ამგვარივე მეტეგვარი, მაგრამ ძირეულ ქართულ მიწაზე, სადაც ქართული სოციალური ურთიერთობების სისტემა ოსმალეთის იმპერიის ბატონობის პირობებშიც არსებობდა და საკმაოდ ანგარიშგასაწევ მოვლენას წარმოადგენდა, მამაპაპისეული გვარსახელი უფრო პრესტიჟული იყო და ფასობდა, ვიდრე ოსმალო მოხელეთა მიერ მიცემული **მეტეგვარი**.

მეორე მთქმელი საკუთარ ოსმალურ მეტეგვარს კნინობით-ალერსობითი ფორმით მოიხსენიებს, რადგანაც ქვეცნობიერად იცის, რომ ეს არაა მისი ნამდვილი გვარი, არამედ შერქმეულია წარმომავლობის ადგილის — აჭარის — მიხედვით. მას არც წინაპრების სამკვიდრო სოფლის თუ ქალაქის სახელი სმენია ზუსტად, მაგრამ დარწმუნებულია, რომ ისინი აჭარიდან იყვნენ, რაკილა ოსმალეთში მეტეგვარად „აჭაროლი“ დაირქვეს (თუ დაარქვეს). ძალზე ნიშანდობლივია ისიც, რომ სოფ. ანბარალანის მკვიდრნი თურქულად მეტყველების დროსაც კი, **აჭაროლი** გვარსახელს ქართული მკვეთრი თანხმობით წარმოთქვამდნენ.

მაშასადამე, თურქეთის შუა შავიზღვისპირეთში მცხოვრებ ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებაში ანთროპონიმისა და პატრონიმების წარმოებაში შეიძლება გამოვყოთ როგორც საკუთრივ ქართველური, ასევე, თურქული ფენები. ბილინგვურ გარემოში ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, თუმცა, ჩვენს შემთხვევაში მნიშვნელოვანია ის, რომ ფონემატური სტრუქტურა და სიტყვაწარმოება ძირითადად ქართველურია. ხსენებულ რეგიონში ჩაწერილი „ონომასტიკური ლეგენდები“ ცხადყოფს, რომ ცალკეულ საიდენტიფიკაციო ონიმთა, კერძოდ, ანთროპონიმთა ფორმირება მუჰაჯირთა შორის ქართული სოციალური ნორმების მიხედვით ხდებოდა ოსმალეთში დამკვიდრების შემდეგაც. სწორედ ამის წყალობით, ისინი დღემდე ინარჩუნებენ როგორც ქართულ, ასევე თურქულ მახასიათებლებს.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მუჰაჯირთა შთამომავალ ქართველთა მნიშვნელოვან ნაწილს ახსოვს წინაპრის ქართული გვარი, თუმცა მასზე უფრო ხშირად ყოფითი კომუნიკაციების დროს ოსმალურ „ძეგლთა“ ფუძეებისგან ნაწარმოები ჩამომავლობის სახელები იხმარება:

- ვისი ხარ, ჭოვ?
- ყარაალიეთი (= ყარაალიოლი)

ზემოთქმულიდან გამომდინარე, დუბჯელ ქართველთა შორის გავრცელებულია, უპირატესად, არაქართული წარმოშობის სახელები და გვარები, რომლებიც მეტწილად, უკვე, ასე ვთქვათ, „გაქართულებულია“: თავად თურქების მიერ **ხუსიკა, სულიკა** ტიპის კნინობითი სახელები უცხოდ ჟღერს, მაშინ როდესაც ამათივე სრული ფორმები: **ხუსეფ, სულეფან** არ ეუცხოებათ⁷². ოსმალთა დროინდელი „ძეგლებიც“ ასევე, თურქთათვის უჩვეულოა.

2.3.2.2. ტოპონიმია

სოფლების ქართული სახელები, მეტწილად, თურქული დიალექტური ფორმებიდან წარმოდგება: მაგ., სამსუნის ილის ჩარშამბას ილჩეში — **ზედა და ქვედა ქესთანე-ფუნდარი**, სინობის ილის მერქეზ-ილჩეში — **ყარაფუნდარი**, ამასიის ილის თაშოვას ილჩეში კი — **ტათლიფუნდარი**; ამ ტოპონიმების საზღვრული კომპონენტია **ფუნდარ-ი** ლექსემა, რომელიც მომდინარეობს თურქული დიალექტური **pingar // pungar** ფორმისაგან. სამწიგნობრო თურქულში ამ უკანასკნელის ეკვივალენტია **pınar** ფორმა და მას აქვს „მაღაროს“, „საბადოს“ მნიშვნელობა, მაშინ როცა თურქულ დიალექტებში ნიშნავს „წყაროს“ (ქარაბაშოღლუ, 1967: 565). ამდენად, მხოლოდ დიალექტური მასალის გაანალიზებით ხდება ცხადი ზემოთ ჩამოთვლილ ტოპონიმთა ზუსტი ეტიმოლოგია: **ქესთანეფუნდარი** „წაბლის წყარო“, **ყარაფუნდარი** „შავი წყარო“, **ტათლიფუნდარი** „გემრიელი წყარო“ და ა.შ.

ძირითადად, თურქულიდან მომდინარე ტოპონიმები დასტურდება ქართული ენის ფონემატური და მორფოლოგიური სტრუქტურების შესაბამისად; მაგ., ბულანჯაქის ილჩეს სოფლებია: **თექმეზერი (Tekmezer), ქუჩუქდერე (Küçükdere), თეფეჰრანი (Tepeviran köyü)**; მათი არაოფიციალური სახელწოდებები თურქული კია, მაგრამ ქართულ საწარმოთქმო და გრამატიკულ ნორმებთანაა მისადაგებული. დავძენთ ასევე იმას, რომ ამ სოფლების მკვიდრნი თურქულად მეტყველების დროსაც კი, როგორც წესი, ტოპონიმებს ქართული ფონეტიკით წარმოთქვამენ:

ალი დე თექმეზერიფე გიდიფრ, დწ!.. „ალიც თექმეზერში მიდის, რა!.. (შდრ. სამწიგნობრო თურქული: Ali de Tekmezer’e gidiyor);

ო ქრფჷნ ადი — თეფეჰრანი, ჰა ონუნ და — ქუჩუქდერე! „იმ სოფლის სახელია თეფეჰრანი, აგე იმისი კი - ქუჩუქდერე!.. (შდრ. სამწიგნობრო თურქული: O köyün adı - Tepeviran köyü, işte onun da - Küçükdere);

თურქული წარმომავლობის ტოპონიმთა გარდა, აქა-იქ გვხვდება ასევე, პონტორბერძნული ტოპონიმები: მაგ., სოფელი **აფაზა** (ბერძნ. **Αγίασμα** „ნაკურთხი წყალი“) არის ფაცას ილჩეშიც და ჩარშამბას ილჩეშიც; ფაცას **აფაზას** დღეს ოფიციალურად (თურქულ ენაზე) ეწოდება **Ayazlı köyü** „მუჯე სოფელი“, ხოლო ჩარშამბას **აფაზას**

⁷² ეს სახელები წარმოშობით არაბულია და მთელს ისლამურ სამყაროშია ცნობილი.

შერჩენილი აქვს ძველი სახელწოდება. უნიეს ილჩეში დიდი ქართული სოფელია **მიტრაპოლი**, რომელსაც დღეს ოფიციალურად ეწოდება **Güzelyalı köyü** „ლამაზი სანაპიროს სოფელი“. სახელი, რომელსაც ქართველი მუჰაჯირების შთამომავლები იყენებენ, ბერძნულია: **Μητρόπολις** „მთავარი დასახლება; დედაქალაქი“; ცნობილია, რომ 1877–1878 წწ. რუსეთ–ოსმალეთის ომამდე თურქეთის შუა შავიზღვისპირეთის მოსახლეთა მნიშვნელოვან ნაწილს სწორედ პონტოელი ბერძენები შეადგენდნენ, რომლებმაც ჯერ — 1879–1882 წლებში და მერე — 1922–1923 წლებში დატოვეს აქაურობა (გერმანჩუკი, 2010: 161). თავად ქართველი მუჰაჯირების შთამომავლებიც ასევე გადმოგვცემენ, რომ მათ მოსვლამდე იქ, სადაც დღეს სახლობენ, „რუმების“ ანუ პონტოელ ბერძენთა დასახლებები ყოფილა.

ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის ექსპედიციის მასალებში მხოლოდ ერთხელ დადასტურდა ისეთი შემთხვევა, როცა მუჰაჯირთა შთამომავლების სოფელს არაოფიციალურად საქართველოდან (კერძოდ, **ქობულეთიდან**) გადმოტანილი სახელი შერქმევია: მხედველობაში გვაქვს ფაცას ილჩეს სოფ. **ყაბახდალი** (**Kabakdağı köyü**), რომელსაც 50 წელზე უფროსი თაობა **სამებას** უწოდებს. **ზედა სამება** და **ქვედა სამება** დღესაც არსებობს საქართველოში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქობულეთის მუნიციპალიტეტში. ფაცას ილჩეს **სამებაში** მცხოვრებ ქართველთა წინაპრები, ერთ–ერთი მათგანის ცნობით, 1879 წელს სწორედ ქობულეთის სამებიდან წამოსულან ოსმალური გემით, რომელსაც **გჟუნჩალი** რქმევია.

რაც შეეხება მიკროტოპონიმის:

ჩვენი მასალების მიხედვით, ქართველებით დასახლებულ პუნქტებში ქართულენოვანი მიკროტოპონიმია ჭარბობს; კერძოდ, როგორც წესი, სოფლის სახელწოდება თურქულია ან ბერძნული, ხოლო უბნების სახელწოდებები კი ქართულია. მაგ., უნიეს ილჩეს სოფ. **მიტრაპოლში** არის ორი უბანი — **ჭალახმელე** და **დონოვანი**. ამ მიკროტოპონიმების შესახებ ჩვენი რესპონდენტებისაგან ჩაწერილი ხალხური ისტორია („ლეგენდა“) ასეთია: **ჭალახმელე ბათუმის სახელი ყოფილა, ისე ეამბობენ. ზამნზე, იმ იქიდან სახელი დწოქმეტიან. იქიდან ქი ჩამოსულან, აქაც ჭალახმელე დწოქმეტიან. ერთ მწლლესაც დონოვანი თქტია. იქ რწცხა რომ მქდარან, იმის ბედელი ტყიები მიუცემიან აქ. იქ სახელები რაცხა რომ იყო, აქ დწრქმეტიან.** „ჭალახმელა ბათუმის სახელი ყოფილა, ისე ამბობენ. უწინ იმის გამო დაურქმევიათ სახელი. იქიდან რომ ჩამოსულან, აქაც ჭალახმელა დაურქმევიათ. ერთ უბანსაც დონოვანი ჰქვია. იქ როგორც იყვნენ, ისევე აქაც ტყეები მიუციათ. იქ რაც სახელები იყო, აქ დაურქმევიათ“. **მიტრაპოლის** დანარჩენ უბნებს ეწოდება: **ასარმაღ**, **გორჯოტაზი** და **კგბჯჯქ ეზიდა**. იქაც ქართველები სახლობენ, მაგრამ მიკროტოპონიმები უცხოენოვანია.

ასეთივე ვითარება დასტურდება უნიეს ილჩეს სოფ. **ექინჯულშიც**, სადაც უმეტესად, მაჭახლის ხეობიდან წამოსული მუჰაჯირების შთამომავლები ცხოვრობენ. ეს სოფელიც

წმინდა ქართულია, მაგრამ მიკროტოპონიმიაში უცხოენოვანი ელემენტები იჩენს თავს.

საინტერესოა ისტორიულ ქართულ ტოპონიმთა საკითხიც:

მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლების დიდი ნაწილი თავიანთ წინაპართა საცხოვრისად ასახელებს **ბათუმს**. რესპონდენტთა მეტყველებაში „ბათუმი“ აღნიშნავს არა ქალაქს, არამედ მთლიანად ბათუმის ოლქს — ძირითადად, აჭარას. მუჰაჯირთა თურქულ მეტყველებაში შესიტყვება **Batum muhacirleri** ნიშნავს, ზოგადად, ქართველ მუჰაჯირებს და არა „ქალაქ ბათუმიდან წამოსულ მუჰაჯირებს“. ამ შესიტყვებას აქტიურად იყენებს ქართული მოსახლეობის ის ნაწილი, რომელმაც მშობლიური ენა უკვე სუსტად იცის. ისინი, არაიშვიათად, თავს „ბათუმის ქართველებს“ (თურქ. **Batum Gürcüleri**) უწოდებენ, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მათგანი წარმომავლობით ზემო აჭარიდანაა. მუჰაჯირ ქართველთა დღევანდელ შთამომავლებს ზოგ შემთხვევაში ახსოვთ უშუალოდ იმ სოფლების სახელებიც, საიდანაც წამოსულან მათი წინაპრები. ჩვენ მიერ ჩაწერილ მასალებში იხსენიება, მაგ., ქედის სოფლები: ჭალახმელა, დოლოვანი... ზემო აჭარის სოფლები: ჭვანა, წონიარისი... ქობულეთის სოფლები: სამება, კვირიკე, გვარა და ა.შ.

2.3.3. ქართველურ სამეტყველო კოდთა შერევის საკითხები

ქართველურ-თურქულ სამეტყველო კოდთა შერევის გარდა, მუჰაჯირ ქართველთა დღევანდელი შთამომავლების მეტყველებაში დასტურდება უშუალოდ ქართველური სამეტყველო კოდების შერევაც — ახალ სოფლებში, სადაც თავის დროზე ერთმანეთის გვერდიგვერდ დასახლდნენ ქობულეთიდან, აჭარიდან, მაჭახლიდან, ლაზეთიდან, ნიგალიდან, იმერხევიდან წამოსული, სხვადასხვა დიალექტზე მეტყველი მუჰაჯირები, მეორე და მესამე თაობაში საკმაოდ სწრაფად მოხდა დიალექტურ თავისებურებათა აღრევა, რამაც თავისთავად, განაპირობა რიგი თავისებურებების გაჩენა ფონეტიკაში, მორფოლოგიაში, სინტაქსსა და, განსაკუთრებით, ლექსიკაში.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან ოსმალეთის იმპერიაში გადასული ყოველი მუჰაჯირი დღევანდელ ადგილებში განსახლებამდე ოსმალებმა დროებით დააბინავეს შუა შავიზღვისპირეთის სანავსადგურო ქალაქების გარეუბნებში. რამდენადაც ამ ხალხის ძირითადი მასა, პრაქტიკულად, ერთენოვანი იყო (ოსმალურ-თურქული მათგან ძალზე ცოტამ იცოდა), დროებით საბინადრო ადგილას მათ იქაურ მოსახლეობასთან (რომელიც თურქულენოვანი იყო) მჭიდრო ურთიერთობა თითქმის არც კი ჰქონდათ. სამაგიეროდ, ურთიერთობდნენ ერთიმეორესთან. **რადგანაც გასახლებულთა შორის აჭარლები მეტნი იყვნენ, საყოველთაოდ განზოგადდა აჭარული დიალექტი. ამასთანავე, განზოგადების პროცესი დაიწყო სწორედ დროებით საბინადრო ადგილებში.**

საბოლოოდ კი, ახალ სამოსახლოზე, ქართული/ქართველური ენის გავრცელების ტრადიციული არეალიდან მოშორებით დამკვიდრებული ქართველების მეტყველებამ

სახე იცვალა იმისდა მიხედვით, თუ რომელი ლოკალური ჯგუფის წარმომადგენლები აღმოჩნდნენ მეტნი ამა თუ იმ დასახლებულ პუნქტში: მაგალითად, იქ, სადაც აჭარლები მეტობდნენ, ნიგალელ მუჰაჯირთა შთამომავლობამაც აჭარული დიალექტი შეითვისა და პირიქით; ასევე: აწინდელი იზმიტის რ-ნის სოფელ ჩუბუქლუ-ბალაში 1878 წელს ერთად დასახლებული ლაზების და აჭარლების შთამომავალთაგან ამჟამად თითოეული თანაბრად კარგად მეტყველებს ლაზურადაც და აჭარულადაც.

იმ ადგილებში, სადაც კონკრეტული კუთხიდან წამოსული მუჰაჯირები თავიდანვე კომპაქტურად განსახლდნენ, სხვა კუთხის წარმომადგენელი მუჰაჯირები კი შედარებით გვიან მივიდნენ (ასეთია, მაგალითად, დღევანდელი ორდუს ილის ფაცას ილჩე, სადაც ჯერ ქობულეთელები დასახლდნენ, მერე — ზემოაჭარლები, უფრო უკეთ შენარჩუნდა დიალექტურ-კილოვაკური განსხვავებანი, თუმცაღა დღესდღეობით უკვე ქართველური მეტყველება იქაც აშკარად ნარევი სახისაა.

ცხადია, ასეთი ვითარება დიდად განაპირობებს იმას, რომ დღეისთვის მუჰაჯირთა შთამომავლების ქართველური მეტყველება უდავოდ გამოირჩევა როგორც არქაიზმების, ისე — იმ ინოვაციების სიჭარბით, რომლებიც უშუალოდ სამშობლოდან გადასახლების შემდეგ, ახალ ადგილზე დამკვიდრების პერიოდში წარმოიქმნა. ამაზე მართებულად მიუთითა 1992 წელს შ. ფუტკარაძემ, რომელმაც ბურსა-ინეგოლის თუ დასავლეთი თურქეთის სხვა ადგილებში დასახლებული ქართველების მეტყველება მონოგრაფიულად პირველად შეისწავლა. მაშასადამე, ქართველურენოვან მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველება უნდა გაერთიანდეს საქართველოს ფარგლებს გარეთ გავრცელებულ კილოთა ჯგუფში — ფერეიდნულთან, პლასტუნკურთან და ყიზლარ-მოზლოკურთან ერთად. ჩვენი აზრით, მუჰაჯირ ქართველთა ნებისმიერი დღევანდელი მეტყველება დიალექტურ სამეტყველო კოდთა შერევის გზით წარმოქმნილ ორ დიდ დიალექტს ქმნის — **მუჰაჯირთა აჭარულსა** და **მუჰაჯირთა ლაზურს**.

მუჰაჯირთა აჭარული დიალექტი, ძირითადად, აჭარულსავე დიალექტს ეფუძნება: ფონეტიკურ-მორფოლოგიურ-სინტაქსური თავისებურებების მიხედვით, მუჰაჯირების შთამომავალთა „გურჯებად“ ცნობილი ნაწილის მეტყველება იგივეობს თანამედროვე აჭარის მკვიდრთა დიალექტურ მეტყველებასთან, თუმცა რიგი არსებითი ნიშნებით მაინც განსხვავდება მისგან. ეს ნიშნები, თურქული ენის გარდა, ქართველურ დიალექტებთან ურთიერთობის შედეგადაა გაჩენილი: უპირველეს ყოვლისა, აქ დავასახელებთ იმგვარ მნიშვნელოვან თავისებურებას, როგორცაა ერგატიული კონსტრუქციის გამოყენების არეალის გაფართოება ნიგალურ-ლაზურისებურად; მაგ.: **კაცმა საჭმელი აკეთეს** „კაცი საჭმელს აკეთებს“, **დუმჯეს ორ ძმამ ალიშვერიში იქამდა** „დუმჯეში ორი ძმა ვაჭრობდა (ვაჭრობას იქმდა)“ და ა.შ. როგორც ცნობილია, თანამედროვე ზემოაჭარულს ასეთი რამ არ ახასიათებს, მაგრამ მუჰაჯირთა შთამო-

მავლების მეტყველებაში ის, შეიძლება, ძალზე ხშირად შეგვხვდეს, როგორც ნიგალურთან და ლაზურთან ინტერფერენციის შედეგი.

დავადასტურეთ ასეთი შემთხვევა: მოთხრობითი ბრუნვა ზოგჯერ უთითებს სახელის განსაზღვრულობაზე; მაგ.: **კაცი გეძარა** ნიშნავს: „[ვიღაც] კაცმა გაიარა“, ხოლო **კაცმა გეძარა** კი იქნება: „[ნაცნობმა] კაცმა გაიარა“ — აქ ბრუნვის ნიშანი, როგორც ითქვა, იმაზე მიუთითებს, რომ გამვლელი პირველ შემთხვევაში უცნობია, უწინ მასზე საუბარი არ ყოფილა, ხოლო მეორე შემთხვევაში — პირიქით: ცნობილია, ვინ არის, მასზე ადრეც იყო საუბარი. იხ. ასევე, მსგავსი მაგალითები გაბმული ტექსტებიდან:

ჩემ კაცმა სახლიდამ გამოვდა იშთე, ძალლი წაყურა... „ჩემი ქმარიც სახლიდან გამოვიდა რა, ძალლი გააჩუმა“.

სახლიდან ერთი კაცი თუ გამოვდავო, ნავხოთო, აჯაფ იმანაც რამე გვითხრასო... „სახლიდან ვინმე კაცი თუ გამოვიდა, [აბა] ვნახოთო, იქნებ იმანაც რამე გვითხრასო“.

აღსანიშნავია, რომ ასეთი რამ თანამედროვე აჭარულ დიალექტში არ დასტურდება, მაგრამ სამაგიეროდ, ჩვეულებრივია ნიგალური კილოს აღმოსავლურ კილოკავებში. შესაბამისად, მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლების მეტყველებაშიაც ის ნიგალიდან წამოსული მუჰაჯირების მეშვეობით უნდა გაჩენილიყო.

მუჰაჯირთა ლაზურ დიალექტს რაც შეეხება: ზემოთ უკვე არაერთხელ აღინიშნა, რომ ის ხოფური დიალექტის ჩხალურ კილოკავს ეფუძნება, რამდენადაც ლაზეთიდან წამოსულ მუჰაჯირთა შორის ყველაზე მეტნი ჩხალელები და ბელღევენელები იყვნენ. აქვე დავძენთ იმასაც, რომ ლაზები მუჰაჯირად 1877 წლის ბოლოს წავიდნენ და იმთავითვე ოსმალეთის იმპერიის ცენტრალურ რეგიონში — ქ. სტამბოლის გარეუბნებში აღმოჩნდნენ. იქ მათ გაატარეს 18 წელი (1877-1895 წწ.) და შემდეგდა განსახლდნენ ისეთ ადგილებში, სადაც მათივე თანამომემნი - აჭარლები, ნიგალელები, ქობულეთლები და სხვები იყვნენ დასახლებული. სწორედ ამ მიზეზის გამო, ლაზურ-აჭარული ანდა ლაზურ-ნიგალური შერევა აღარ მომხდარა — **ლაზთა შორის განზოგადდა მხოლოდ ჩხალური კილოკავი და, სხვათა შორის, ამ განზოგადების შედეგად აღარ მიგვიღია თანამედროვე ჩხალურისაგან შესამჩნევად განსხვავებული ენობრივი ერთეული: უპირველეს ყოვლისა, იმიტომაც, რომ მუჰაჯირად წამოსულ ლაზთა აბსოლუტური უმრავლესობა ერთ — ხოფურ დიალექტზე მეტყველებდა, მისი კილოკავები კი (მათ შორის, ჩხალურიც) დიდად არც კი შორდება ერთიმეორეს.**

დღესდღეობით, მუჰაჯირთა ლაზური კვლავინდებურადვე ხოფური დიალექტის ტიპის მეტყველებაა. იმავდროულად, ჩხალური კილოკავისაგან განსხვავება თავს იჩენს მხოლოდ ფონეტიკასა და ლექსიკაში: მუჰაჯირთა ლაზურში გვაქვს ბევრი ისეთი ფორმა, რომლებიც ჩხალურს კი არა, სარფულ და ნოდედურ-აზლალურ კილოკავებს უფრო მეტად

ახასიათებს; მაგალითად: **ჩხუნდი** „ცხვირი“, **დოხონაფუ** „კეთება“, **ოსთომილუ** „სროლა“, „გადაგდება“... შდრ. ჩხალური: **ჩხვინდი**, **დოკეთაფუ**, **ოსთოლამუ** და მისთ.

ასევე: ჩხალურში **დოპაუნონ** ნიშნავს „ვიზამ [აუცილებლად]“, „უნდა ვქნა“; ხოფური დიალექტის სხვა კილოკავებში ანალოგიური მნიშვნელობით ითქმის **დოპამი-ნონ**. როცა სურს გამოხატოს სურვილი ქმნისა, ჩხალელი იტყვის: **მინონ ოტი დოპა** „მინდა, რომ ვქნა“ ან **მინონ დოპა** „მინდა ვქნა“, ხოლო ხოფური დიალექტის სხვა კილოკავებზე მეტყველი კი ამისთვისაც იმავე **დოპამინონ** „ვიზამ [აუცილებლად]“, „უნდა ვქნა“ ფორმას იყენებს.

მუჰაჯირთა ლაზურში, რომელიც, კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, სწორედ ჩხალურ კილოკავს ეფუძნება, **დოპაუნონ** იქნება „ვიზამ [აუცილებლად]“, „უნდა ვქნა“, თუმცაღა „მინდა, რომ ვქნა“ იქნება არა **მინონ ოტი დოპა**, არამედ — **დოპამინონ** (ე.ი. ისე, როგორც ხოფური დიალექტის სხვა კილოკავებშია); ეს, ცხადია, ძალიან მცირე სხვაობაა, მაგრამ აქ მნიშვნელოვანი ისაა, რომ წარმოქმნილია სწორედ სამეტყველო კოდთა შერევით.

აქვე აღვნიშნავთ, რომ როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ენებისა და დიალექტების ურთიერთგავლენა, უპირველეს ყოვლისა, თავს ლექსიკაში იჩენს. სიტყვათა სესხება ენაში ძალიან ბუნებრივი და, ფაქტობრივად, შეუზღუდავი პროცესია, განსაკუთრებით კი, დიგლოსიისა და ბილინგვიზმის შემთხვევაში. ბევრი მკვლევრის აზრით, სამეტყველო კოდთა შერევა სწორედ სიტყვათა აქტიური სესხებით იწყება; მხოლოდ მას შემდეგ, რაც ენაში/დიალექტში ნასესხები უცხო ლექსიკის ხვედრითი წილი გადაამეტებს 20%-ს, მოსალოდნელია ცვლილებები მორფოლოგიაში, აგრეთვე ფონეტიკასა და არაიშვიათად — სინტაქსშიც (მატრასი... 2003: 37).

შესაბამისად, სამეტყველო კოდთა დიგლოსიურ შერევასაც, ცხადია, წინ უძღვის ე.წ. **„მეორეული წარმოშობის საერთო ლექსიკური ფონდის“** ჩამოყალიბება — სპეციალურ ლიტერატურაში **სხენებული ტერმინით აღინიშნება ის იდენტური ლექსიკა, რომელიც ისტორიული ურთიერთგავლენის შედეგად ყალიბდება ხოლმე სხვადასხვა ჯგუფის დიალექტებში და მათი ძირითადი ლექსიკური ფონდის განუყოფელ ნაწილად იქცევა**. აქვე დავძენთ იმასაც, რომ **დიალექტიდან დიალექტში (ან დიალექტიდან კილოკავში და პირიქით) სიტყვაფორმის შესვლა სესხებად არ შეიძლება იწოდებოდეს, რამდენადაც ერთი სისტემის ფარგლებში ლექსიკური ფონდიც მთლიანია; ამიტომ, სიტყვაფორმათა ქვესისტემურ დონეზე გადანაცვლებას „შეთვისება“ უფრო შეეფერება**.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქართული/ქართველური ენის აჭარული და ნიგალური დიალექტები ერთმანეთისაგან საგრძნობლად განსხვავდება ფონეტიკურ-მორფოლოგიურად და ლექსიკით, მიუხედავად იმისა, რომ ორივე მესხური ჯგუფის დიალექტია. ნიგალურის სპეციფიკური გრამატიკული მოვლენები და ლექსიკა აჭარელისთვის არ არის

აჭარული და პირიქით. თვით აჭარულ დიალექტშიც სხვაობს ქობულეთური, ზემოაჭარული, ქვემოაჭარული კილოვანებები — მათზე მეტყველთ, ცხადია, საკმაოდ ზუსტადაც შეუძლიათ დაასახელონ, რომელი ფორმა რომელ კილოვანს ახასიათებს. ესაა **დიალექტურ ვარიაციათა თვითშეფასებითი გამიჯვნა**, რაც თავის მხრივ, ყოველთვის დამახასიათებელია ყველა ენობრივი სისტემის ქვესისტემაზე მეტყველთათვის.

თანამედროვე აჭარლებისა და ნიგალელებისგან განსხვავებით, ქართველურენოვან მუჭავიტთა შთამომავლები (აქ, რასაკვირველია, ვგულისხმობთ იმათ, ვისთვისაც ქართული მშობლიურია, ანუ უპირატესად — უფროს თაობას) ვერ ახდენენ დიალექტურ ვარიაციათა ამგვარ გამიჯვნას. ამის მიზეზი, რა თქმა უნდა ისაა, რომ **მათი ქართული წარმოდგენს ქართულ/ქართველურ დიალექტურ სამეტყველო კოდთა შერევის შედეგად ქართულ/ქართველური ენობრივი სისტემის გავრცელების არეალის ფარგლებს გარეთ წარმოქმნილ მეტყველებას**. ამიტომაც, რომ იქ მეორეული წარმოშობის საერთო ლექსიკა, როგორც წესი, უფრო მრავალრიცხოვანია, ვიდრე აჭარული ანდა ნიგალური ლექსემები. მაგალითისათვის, აქვე წარმოვადგენთ ჩვენ მიერ დუბჟეში ჩაწერილ აჭარულ ტექსტს — გასაუბრებას; ამ ტექსტში გამუქებულია რეპლიკები, რომლებიც ეკუთვნის დუბჟეს ილის სოფ. **ჰაჯი-დაქუფის** მკვიდრს — ამ სტრიქონების ერთ-ერთ ავტორს, ფეხში ჩელეების, ხოლო ჩვეულებრივი შრიფტით კი წარმოდგენილია საქარიის ილის სოფ. **ფუნდუქლი აქსუს** მცხოვრებთა რეპლიკები.:

- *რავა ხართ?*
- **ზოლ კაი ვარ, ღმერთის შუქურით!**
- *ზოლ კაი ხარ თუ ძალვან კაი ხარ?*
- **ძალვან კაი ვარ!**
- *ბათუმის რომელ სოფლიდან არიან თქვენები ის იცით?*
- **ნაღვარი იცით? ნაღვარი... სოფელ ნაღვარიდან, ბათუმ, შუახევი.**
- *თქვენი გვარი რა არის?*
- **ხაფიზაშვილი!**
- *აქ რა გახდით?*
- **ილდირიმი!**
- *ისეა?*
- **ისეა. ჩემი გვარი ხოჯა ყოფილა...ხაფიზი ყოფილა...ჩვენი ჯინსი ისე ყოფილა..**
- *თქვენ როდის ჩამოდით აქ?*
- **დოქსან უჩდე ბინ სექიზ...**
- *იმ სოფელიდან მართო დედეშენი იყო თუ?*
- **დედე იქიდან გამოსულა... ემია ერთი წლის ნახვარი ყოფილა, იქ.. ბაბუა იშთე, აქ დაბადებულა!**

- დედეს რას ეტყვიო?
- ჰაფიზი ალი!
- დედე მარტო მოვდა თუ ძმები ყოლია თუ?
- ძმები ყოლია ამა, გემიდან წამოსული ხარ? დაურიგებიან იქა... რომელ კუთხეში წევდა არ იცოდა...
- წა... სად არიან ერთმანები, არ იცოდა...
- სამი ძმა გამოსულან, და, გემით... ისე დუუფანტებიან...ზოგი ისე, ზოგი ასე...
- დაფანტულად...ვეღარ მოჭუჭკულან ახლა...ინტერნეტი არ იყო, არაფეი არ იყო....
- თქვენ რა გქვიათ?
- მემედა!
- ბაბუად რა ქვიოდა?
- ბაბუად ისაჲ ქვიოდა, დედეჲ ალიაჲ....
- იმისი მამა?
- არ ვიცი!
- ახლა თქვენ რამდენი მოსახლე ხართ?
- აქა თუ?
- ჰო!
- აქა...ბევრიც არ ვართ ჩვენა... ხუთი-ექსვი მოსახლე ვართ, ამა ქვევით არიან....
- ჩვენი ნათესავები არიან...
- სხვა გურჯები ჰად არიან?
- აქ ხიდზე არიან, ჯივიჩი ხიდზე!
- ამ სოფელს რა ქვია?
- აქსუ, ფუნდუკლი აქსუ... თხილიანი აქსუ... თხილი აქვა და მიტო თქვია...

ჰაჯი-დაქუფში ქართველების უმეტესობა აჭარიდან წამოსულ მუჰაჯირთა შთამომავალია, ხოლო ფუნდუქლი აქსუში — ნიგალელებისა. ამიტომაცაა, რომ ჰაჯი-დაქუფის მკვიდრის მოკითხვაზე — **რავა ხარ?** ფუნდუქლი აქსუს მკვიდრი პასუხობს ნიგალურ ყაიდაზე: **ზოლ კაი ვარ!**.. მერე, როცა ჰაჯი-დაქუფელი აზუსტებს — **ზოლ კაი ხარ თუ ძალვან კაი ხარ?** მოკითხვის მეორე ნაწილი — **ძალვან კაი ხარ?** — უკვე აჭარულ-ნიგალური ნარევი ფორმაა.

საყურადღებოა, რომ ფუნდუქლი აქსუს მკვიდრი წინაპრების სოფლად აჭარის ა.რ. შუახევის რ-ნის წყალსაყარის თემის სოფ. **ნაღვარევს** ასახელებს, მაგრამ ტოპონიმს წარმოთქვამს კვლავაც ნიგალურ ყაიდაზე — **ნაღვარი**.

გარდა ამისა: ტექსტში „დიდი ბაბუს/წინაპრის“ მნიშვნელობით ორივე მთქმელი იყენებს თურქულიდან ნასესხებ ლექსიკურ ერთეულს **დედე**, რომელიც ყველაზე მეტად

გემოაჭარულ მეტყველებაში დასტურდება. იმავდროულად, მთქმელები იყენებენ ასევე **ბაბუა//ბაბუა** ფორმასაც, ხოლო ზმნა **ქვია (ქვიოდა)** ამ სახელს შეიწყობს სახელობით ბრუნვაში — ეს ნიგალური დიალექტისთვისაა დამახასიათებელი: იქ გვაქვს ფორმა **თქვია**, რომელიც სახელს სწორედ სახელობით ბრუნვაში შეიწყობს: **ი ქოვი გველი თქვია** „იმ სოფელს გეული ჰქვია“ (სიტყვასიტყვით: „ის სოფელი გეული თქმულია“); **ესკი სოფლი ჩვენი — ლასტაკანიძე თქვია** „ჩვენი ძველი გვარი ლასტაკანიძე[დ] თქმულია“ და ა.შ. **ქვია**, რასაკვირველია, ზოგადქართული **ჰქვია** ფორმაა, თუმცა დუბჟე-საქარიელ ქართველთა მეტყველებაში ნიგალური დიალექტის **თქვია** ფორმასთან ასოცირდება.

აქვე წარმოვადგენთ ასევე გასაუბრებას ლაზურ დიალექტზეც, რომელიც საქარიის ილში ჩავიწერეთ. მოსაუბრენი არიან ჩხალას ხეობის სოფ. **დუბქაოში** მცხოვრები **ჰასან გუნიშ-ობიძე** და ქ. საქარიაში მცხოვრები **მურათ ალთუნსო-ნარაკიძე**:

- *სელამუნ ალეძქუმ! მუ ხალი გიღუნ?*
- *ქოვორე, მუ პა... სინ მუ ხალი გიღუნ?*
- *მანთი ვორე კაიშა, ალლაა შუქურ! სინ სონური კოჩი რე, მჯვეშეფე სქანი აქ სოლენ მოხთერენან, დოგათქენი?*
- *ჰელე, მუჭო ვა მათქვენ?!.. ჯიჯი ჩქიმითე სარფული ვორე, დედემ დე, დედემუნ დედესი დე, სარფულეფე ყოფერენან, ექოლენდო მოხთერენან!*
- *პოი? ჯიფ ხილი! ამა, სარფული ვორედა დო თქუმარ დო... ხალის-მუხლისი ნა რენ ჩხალური შივეთე ილაღალ. ადა მუჭო იყუ, მუთენ გალოდუ?*
- *მუჭო-ქი „მუთენ მალოდუ“? ო ნე დემექ, ჯანუმ? ზათენ, ნანა დო ბაბა ჩქიმიქ მუფეი ლაზური ნა მილაღალტეს, მანთი ქოდოვიგური. ჩხალას ჰინ ვა ვიდი, ვა ბიძირი!*
- *მთინი თქუმარი? აფერუმ!.. სარფულეფექ ა ჭიტა ბაშქა თურლი ილაღალან, ამა სინ ხალის-მუხლის ჩხალური შივე ქოვიჩქინ! დედენუნ დედესი მი ოღლი რტუ?*
- *ჩაქიროღლი, იშთე! მჯვე ძეგლი ჩქინითი ქომიჩქინ — ნარაკიძე ვორტიო!*
- *აფერუმ სანა, ჯანუმ! მანთი დობიძე ვორტი...⁷³*

⁷³ „- გამარჯობა! როგორ ხარ?

- ქე ვარ [კარგად], რა ვქნა! შენ როგორ ხარ?

- მეც ვარ კარგად, ღვთის წყალობით! შენ სადაური ვაცი ხარ, შენი ძველები აქ საიდან მოსულან, შეგიძლია მითხრა?

- აბა, როგორ არ შემიძლია?! ჩემი ძირით სარფელი ვარ, ბაბუაჩემიც, ბაბუაჩემის ბაბუაც სარფელები ყოფილან, იქიდან მოსულან!

- ჰო? ძალიან კარგი! მაგრამ, სარფული ვარო, ამბობ და... ნაღდ ჩხალურ კილოკავებე ლაპარაკობ. ეს როგორ მოხდა, რითი დაგემართა?

- როგორ თუ „რითი დამემართა“, ეგ რა თქმაა, გენაცვალე? საერთოდ, ჩემი დედა და მამა როგორი ლაზურითაც ძელაპარაკებოდნენ, მეც [ის] ვისჩავლე. ჩხალაში სულაც არ ვყოფილვარ, არც მინახავს!

აქ ჰასან გჟუნეშ-დობიძის (რომლის რეპლიკებიც დახრილი შრიფტითაა წარმოდგენილი) გაცემა გამოიწვია იმან, რომ მურათ ალთუნსოდ-ნარაკიძე საკუთარ თავს „სარფელს“ უწოდებდა, არადა წმინდა ჩხალურ კილოკავზე მეტყველებდა, რაკი მისი მემობლები, რომელთა წინაპრებიც მის წინაპრებთან ერთად მოსულიყვნენ და დასახლებულიყვნენ საქარიაში, სწორედაც რომ ჩხალელები იყვნენ.

დუბჯელი გურჯებისი ნაღდი ამბავები გინდა?.. გითხრა. ენ წინ, ეშქია ჯემალისი ვთქვათ–ნა. აქავრი იყო ისი, ამ მეელლეში იჟდა. დემირჯი იყო, მისთვინაჲ საქმობდა. ხოდაა, მაშვინ აგბე ენ დიდი მქუცავები ყოფილან–ქი, ზამანი იყო იმფერი, არეული. მისი ემაშვილი ყოფილა და იგიც ჯემალი... ჯემალი ეთქვა სახელი. ამასაც ჯემალი. იმ ემაშვილს ჰაცხან რაცხა უქნია და მევედა ჯანდარმაც ჩვენსას: „ადილოლი ჯემალი ქიმდურ, ნერდედურ?“ ამანაც: ბენუმ ადიმ ჯემალ, ნე ‘სთერსინიზ?‘

ხოდა, ჯანდარმაც ეტყვის მეგერემ: შენ რომ ჰაცხა რაცხა გიქნია, რაჲბა ჰქენო? წამოი ახლა, წამომეყენა კონაღშიო, საქმე–ნდა გავარჩივოთო, ამავეალი კაცისთვინ ძროხაჲ მოგიპარავსო, დაა!.. აგი იხუა ჯემალმაც: რაფერ მომიპარავს, რას ამბოფო?! ჯანდარმამ დედაზე შამოაგინა – წამოფო, ჯემალმა გუუშალა და დახკრა თოფი, ფეხები ქებაბსავენ გაასისტიკინებია. ვინემ იქ კაცები მოვდოდა, მან გეექცა, დაღდაღან გევედა და ეშქია იქნა.

ჰუქუმათამდი ქი მევედა ამბავი, რუმ დუბჯელი ჯემალ დემირჯი გაემქიავედავო, ჯანდარმები გამოდენეს – დეჭირეთ! დაკალით!.. შიშმანი ქურთი იყო იმათი დუღვანი, აბდურრახმან ალას ეტყოდენ, ასკრები. მის აქ მოსლაში, ჩვენი მეელლევეც ქოვი ყოფილა. ახლა რომ მაქით მერქებ ბანკასი დგანა, იგბეჲდამ მოყოლილი ე, იქამდინ – თაა ბოლომდინ, დაღი ყოფილა, ტყე ყოფილა. იქში იყო ეშქია ჯემალი, ზენგინი ვინც რომ იყო, ღამ–ღამ გამოვდოდა, გახქუცვიდა, მემრეც ფარაჰაც გაფუხრებულებ დუურიგებდა.

აბდურრახმან ალასი ასკრები რუმ მოვდა, ზენგინი იყო ერთი აქა, ნური აბუკეთილოლი, მის სახში დადგა აბდურრახმან ალამ. ასკრებიც ქურთები ხყავდა, მეგერემ. ისნებმაც ჩადირები აქ დეიდგენ – ქურთები ჩადირეფში ჯდანან, ხო იცი? ხოდაა, ისე. მემრენ, დაღდაღან დეეფინენ ასე, [ტყეში შევიდნენ], დეჭირონა ჯემალი, ამა ვერ მოხელეს, ვერ ნახეს. ერთი, ორი, სამი, ოთხი დღეი ისე იარეს და მემრენ, ნური აბუკეთილოლიმ უთხრა–ქი, აბდურრახმან–ალასა: ეშქია ჯემალი იმ დაღში თქვენ რაფერ–ნა დეჭიროთ, მგელსავენ მუხლები აქვაო. დაღს ერი ცეხლი წუუკიდევით, ის დეჭივება და ჯემალიც და შიან გაცთება, და გარეთ გამოხტებავო.

კაივო – აბდურრახმან ალამა უთხრა. წუუკიდეს ცეხლი დაღსა, დასწევს და გამოხტა ჯემალმა გარეთ. დახკრეს თოფები, ტაბანჯები, მანაც დახკრა, შვიდი ქურთი დააწვინა. მემრე მოკლეს, ამა მოკლომამდი ეს ლექსი დათქვა:

ეშქია ვარ, ჯემალი ვარ, მე მივალ მოუსლელ გზაზე,
შვიდი ქურთი გევიმძღვანე, ჩემ ტაბანჯის ერთ დაკრაზე.
შიშმან აბდურრახმან–ალამ „დონღუმ, დონღუმ!“ მიყვიროდა,

გადმოკრამდინ, რომ გავხედე – მაშუყეთი მიცინოდა.
მე გასროლა დამმიწყნოდა მაშუყეთის იმ სიცილში,
აბდურახმანს გუუსრია, ყურშუმი რომ ხქონდა პირში.

ახლა, იგიც რაფერ იყო: აბდურახმან–ალა იმფრათ სროდა, რუმ ცალი ყურშუმი პირით
ეჭირა, ასე, ა!.. ჯემალმა მის მაშუყეთს რომ დეენახვა, გედცინა და ტაბანჯასი გადმოკრა
[დატენვა იტყვით, თქვენ!] დაამიწყდა. იმან პირიდან გამეილო ყურშუმი, გადმოკრა
თოფი და სხრიკა, მოკლა ეშქია ჯემალაი.
ასე იქნა. ნაღდი ამბავია ესე, აბა!

დუბჯე

მოქმელი: ქენან მიმარი

3. ვოდმე, ჩემო მიმინოვო

ვოდმე, ჩემო მიმინოვო,
ფაცდავ, ჩემო შირინოვო,
შენ რომ ცოლად არ მომყობი
დავჟდე უნდა, ვიტროვო!

ვოდმე, ჩემო მიმინოვო
მითხარ რაბე ვიტროვო
ძმაბიჭებში გემევსხრიკე,
ტყე–ტყე უნდა ვირბინოვო!
ვოდმე, ჩემო მიმინოვო
ფაცდავ, გერჩექ შირინოვო
არ მომყვე–ნდა და მოგიტაცო,
ტყეშიც რაბე ვირბინოვო?!

ვოდმე, ჩემო მიმინოვო,
ფაცდავ, ჩემო შირინოვო
არაბაბე შეგაჟდუმლო,
წინ–წინ გამოგირბინოვო...

ბევრი არი ამა, ამდენი ანჯახ მახსოვს მე!..

ჰაჯი-იაქუფი

მოქმელი: ქემალ ჩელები

4. ფადისი ლექსი

(მურღულიდამ მოტანილი)

ეგ გიდი ფადი და, დედ გიდი ფადი,
შენ ვინ მოგიფერა – გოგლიეთს წადი,
შენ უმისოთ არ იქნა აქ ე[რ]სხუა ნადი,

მე აქ შენთუთინ უტუთირი, შენ იქ გეგებარეო!

ფადი, იქნა ახლა შენი გულისა,
დამამწარე მოსავალი თუეღისა,
დაკკარგნია ბეჭედი რომ ხელისა,

მე აქ შენთუთინ უტუთირი, შენ იქ გეგებარეო!

სოხახში ავლიხან დეუნახე სხალი,
ერთხელა[ა] ტიროდნენ თუთა და მბალი
დაუჯექ, მეც უტიტირე, წემიჟდა ჰალი

მე აქ შენთუთინ უტუთირი, შენ იქ გეგებარეო!

ეგ გიდი ფადი, ჩუენი საქმე რა-ნდა იქნასო! ჩუენ თუ ერთმდეთი ვერ ვითხოვეთო?!...
ჰეეეი გიდი, აი!... უტირიან, უტირიან და -

ზენგინი ყოფილა ბაშკოილი ყადი,
ეგვიდე გუდა და წისქუილზე წადი,
და ერთი გამოვა და ორი, მჭადი,

მე აქ შენთუთინ უტუთირი, შენ იქ გეგებარეო!

ჰელალი ოლსუნ! [ისკენდერი: ხოლონეთ უნახე, ფადი, შენი ხერტალი...] ჰა, დაჟ,
აფერუმ! ხოლონეთ... ჰო!

ხოლონეთ უნახე, ფადი შენი ხერტალი,
ვერ შეიგნე ყურანი და ყათალი,
ფადიჰ ფასი, აჯაბ, ფარა არ არი,

მე აქ შენთუთინ უტუთირი, შენ იქ გეგებარეო!

დაჟ, სიზე დე ჰელალი ოლსუნ!

დუბჯე

მთქმელი: აბდულაჰ ჩელები

5. ზაიდეს ხებრობა

[ხასანი:]- ნენეჟ, ახლა შენ გურჯიჯაც იცი, ლაზჯაც იცი. გურჯიჯა ვილაპა[რ]აკოთ!

[ზაიდე:]- რა ვილაპა[რ]იკოთ?

[ხასანი:]- რა ვილაპა[რ]იკოთ? ახლა, შენ რად გქუთია, სად დედადე...

[ზაიდე:]- მა ზადდე მქუთა და გურჯიჯას უიცი, ლაზჯას უიცი, თურქქას უიცი, ამა ოყუმუშუმ დოქ...
დოქსან უჩთან ბერი...

[ხასანი:]- ესენი თურქქა არი ამა... გურჯიჯა ვილაპარიკოთ! გურჯიჯა თუ ვერ მოაფერე, ლაზჯა!...
რას აკეთეფ, რავად ხარ...

[ზაიდე:]- კად ვარ... დომათესი ვიქამ, სიმინდი ვიქამ, პური ვიქამ... სხუა რა გითხრა,
ყუელამფერი ვიქამ. დილიდან აჟღეგები, ზროხა საძუარზე გაჟღენაჟ, მემრეთი მუალ და

სახლისი საქმე ვიქამ. მემრეთი წავალ, ყანა დაჭყაჭო-ნა, იქისი საქმეც მე ვიქამ, ჩემ' კაცი მოკვდომის მემრე... სხუა რა ვითხრა, კიდუნ ერცხუა რამე რომე იქნება, გასაკეთუი მე ვარ ავირ. მუსაფირი ეგერე მეჭედეს-თუ, მე შეუხედე-ნა, კად ვუბამო-ნდა, ფალან-ფელან, ეშო-აშო... თქუან გურჯი ხარ-თუ, ეფენდი, ჰიდამ მოხუელ აგზე? კაი შექხდით, კაი მოხითთ, ენ კაი გოლოდან ღორმოთიქ... ღემე[რ]თმა კაი გიზამონ...

ათი და შუიდი წლისა ვიყაჟ ქი, ჩემმა ბაბომ გამათხუია, ჩემ კაც მიმცა. ჩემ კაცი ერცხუა დიდუანი იყო, დურსუნად ეთქუა. ჩქუენის აშო... ასე სახელეფ' იციან: დურსუნი, თემელი, მუხემმედი... თქუენის სხუა... ე-და გევეთხუვე ათი და შუიდი წლისა, დურსუნეთ წეველ. ემ ზემანზე გურჯიჯა იმფო კაი მუაფერაჟდი, თურქია ჰინ რამ არ ვიცოდი. წეველი და ემ ჩემი კაცისი ნენემან: „გელონ, ემესას წად, ემესას წამოფ, იგი წეფლე, წემეფლე!“-ჟო და, დაყიმა მე გურჯიჯა მეტყუოდა. ისე დევეხანე გურჯიჯასა. ჩემ ყაინანამან თურჯა არ იცოდა, ოქი გურჯი იყო ქი, ჭოროხ გაღმადამ მოსული აქა. ისნემმა თურქქია ჰინ რამ არ იციან, ერთი გურჯიჯა. თურქია ვერ მუაფერაჟდა ჩემ ყაინანამან, ეგერ ვინცხა მეჭედოდა თურქი დადა ხემშილი და ჭინგენე, მე მალაპარაკაჟდა.

ჩემ ბაბოფ მარანლოზი კაცი იყო, სახლებ იქამდა. სახლებ იქამდა ქი, დოღმალი, ორტაბაკალი. დიდი საფილი კაცი იყო. ჭირნილ მან არ აკეთაჟდა ჩემ ბაბოი, ნაძახ ჭანეფს აკეთიებდა... ჭანები რა არი? ჭანები ლაზეფს ეტყუიან აქაჟრები, ლაზლარ დანი, კარადენიზდენ გელმიშლერ. ყუელ წელზე გემეჭედოდეს, აქ ჭირნილებ' იქამდეს, ღელედსი ჭირნილები. აგზეს იყნეს უსტები, ჭერკემოღლი აქუანდეს ძეგლი. ისნემმას კაი ჭირნილები იქამდეს ამა, ჭანის ნაკეთუი სხუა იყო, იშთე...

შუილები? ერთი ბიჭი მყავა და სამის - გოგოფ. ჩუენის, გოგოფ შუილი არ იხსენება ქი, შუილი ბიჭია. ენ წინ გოგუები დაჟსხი, მემრეთი ახირეთ - ბიჭი. შიმდი სტამბოლოშია მთელი ისნები, იქ არდან, ზიან, საქმე იქმენ. ბიჭი ფოლისის დიდია, გოგუების ერთმანას იქა ისაქმაჟს, ფოლისია ისიცა. მეჭერეს - ქუაფორი აქუა, ქენდისი ქუაფორი, იქ ისაქმაჟს.

ჰანი ა, ეს არი ჩემი ყუელამფერი.

მელენაღზი

მოქმელი: ზეინეფ ოზქანი

6. ხასანის ხექია

ერთი იყო, ერთი არ იყო, ერ ქოჟში ერთი ბიჭი იჟდა, თერექემე ხასანი ეტყუოდეს და ნენეფ და ბაბოფ აღარ ყაჟდა, მჟკდა მეგერემ იმაჰ. ისე ჟდუმილა, დეთიმი. ერთი მამალი უდიჟოდა ეზოზე და სხუამფერ დაღნიზი იყო.

ე[რ] დღეზე გეხედა, ორთალოდ გუჭიჭინა იშტე, რა დედნახა! მისი მამალი მელას უჭამოდა ქი, მისებურა იგზე მიწოლილა გაძღუმილი, ჰარექეთი დაკარგნია. აწია ბიჭმან ჯოხი, გამუარდა, დეფჩირა მელადა და მოკლას-ნა.

- ამანო, ნუ მომკლიო, - მელამან უთხრა, - ეგერთუ არ მომკლი, ყისმეთი განახუიო-ნაო.

- ყისმეთი რაფერ-ნა მანახუიო?

- შიმიდი გიმიში და რაცხა-ნა გითხრა, ქენეო!

თერექემე ხასანმან იფიქრა ქი, აუწიო და გუუშუა-ნა, ერთი, ჰიდაური ყისმათიაო და გუშუა. მელამან უთხრა:

- წამოად ჩემ ნაფეხეზე დარევიო, დარანში წეუდეთნაო.

წეუდა მელადა, მიხხუა თერექემე ხასანის მისი ნაფეხეზე. დარეს, დარეს - ბრეული თუ წუნტა გეადრეს, მიუდეს ერ ადგილზედა. იქ პაწაწად დარანი იყო, მელადასი დარანი ჰელბეთთე. მელამან უთხრა ბიჭსა, ქი: ექა შეძურ, ყამჭი ქი არი, გემედლეც და მომინთხი ერთი კაიო.

შეძრა თერექემე ხასანი დარანში და ყამჭი მედხელა. გამოსლიხან, მედქნივა და ერთი იშთე, მუნთხა მელასა. ჰემენ, მელადას დუნდა გეუბელი იქნა.

- აჰა, ხასანო, - უთხრა გეუბელმან ბიჭსა, - შენი ყისმათი მე ვიყენები, წეუდეთ შენსასო.

წეუდეს და ის გოგოდაც ითხუა და აქ იქნა თამამი.

მელენაღი

მოქმელი: სევეი თათაროღლუ

7. დადლაჯი ქალებისი ლაბა[რ]იკი

[**ზეინეფი:**] რა ვქნათ-ქი, ბაღნები მარტოდ მყავს სახში... შენაც მემრე ჩამოხვალ, კილო მევჭუჭკვით, და!..

[**ფადიმე:**] ებბედი არ ჩამოვალ, თხილ' დაწყობამდი!..

[**ზეინეფი:**] კილო მევჭუჭკვით ჩვენ იმ... იმაში, ქალაქშიც წევალო, დაა!

[**ფადიმე:**] თხილი დაწყობამდი არ უნა წევილო, აქა-ნდა ვიყო! შეიძლება? ბოშ ვევერ!..

[**ზეინეფი:**] არა, ზათი, წელს იმფრად ვქნად-ნა და, მიერებე არ უნა წეუდოთ! მიერებე ბექი, გელინი არ ამოვა აქა!

[**ფადიმე:**] ოფლი არ მაქ, არ ვიღალვი, აფერი არაა, აგზე ხობოს ვადგებ, მისთვინად ძოვს... ეს სახლი ლამაზი, ყანა მაქ - უყურეფ... რატუმ-ნა ქალაქ წეუდო?!

[**ზეინეფი:**] ძროხებმაც ერთ ლამაზა გიეჩვიენ, ერთ ლამაზა ქეფოზენ, ძროხებიც კი, რომ იცოდე!.. რა ქვია, ამას...

[**ფადიმე:**] ჯლიბად აღარ ჰქონიან, ჯლიბად არ აქ ჩემ ხობოს!

[**ზეინეფი:**] ბუზი არალი, რამედ არალი აქა. სერინია, ლამაზათ, არც ცხელა, ოფლ არ ასხმენ ძროხეფს, აფერი... თიები ლამაზი, ამა, მიერეზე ბელქი გელინი იქა მარტუად არ დარჩება, ჩემი ბაღანეჰაც არ გამოგზანის ისტანბულიდამ. მაშინ მეც რას ვიქ?! თხილის დაზლობამდი აქიდამ არ წავალ! გელინმა ილაპარაკოს და იყოს, ამა, იმანაც დიეჩვიოს მარტუა ყოფას, ჰო, დაა!..

[**ფადიმე:**] დიეჩვევა, დიეჩვევა!..

[**ზეინეფი:**] დღეს ამბოფს–ქი, ისა, რა ქვიავო, დაილაზე მეც მინდავო, ძროხამ იმფო ლამაზა დიეჩვია იქავო, სერინი იქნავო და მეც მინდავო, ამა, ახლა ევალ და მიერეზე იქ ენჯამი არ წევალო, ისე ამბოფს! აბა–მეთქინ, მე თხილი დაზლობამდე მაქ არ ჩემუალ, შენ იჯექ მარტუა და თვალე ბუზები–მეთქინ!.. ახლა ევალ და მიერეზე არავო, ბათენ...

[**ფადიმე:**] რატუმ არავო?!

[**ზეინეფი:**] ჩვენსავეფ დაილაჯი ხუმ არაა ისი, და? დუზველია, ქალაქისი გოგოა, იშთე, რა იცის დაილა! აქიდამ რამითი იმას რძეა, ყველი, იგენი–ნდა უზიდო, მადრიელი იქნება, შესუმს, შეჭუმს, თეშექქედურ ედერიმო, გეტყვის და მორჩა, გითთი, კაიბოლდი!

[**ფადიმე:**] ოხ, რა კაია? ნენევე, აწინდული გენჯები რაღას ფიქრობენ, რაღას იქმან, რაღას აპირობენ, ვერ გევეგენ, დაა!

[**ზეინეფი:**] თემიზლული კი კაი იცის, სახლში დედტევება, ერთცხვა! ასუფთავეფს იგზე, აწკრუალეფს, ყველამფერ მის რიგზე, მის წესზე იმაიჯება... ამითი კაი გოგოა.

[**ფადიმე:**] ალლაჰ, ალლა! კაიდან კაი ქნას გამჩენელმა! ამა აქ, დაილაზე, ტაროზი კააა, აერი კააა, დილიდამ აერზე ხარ, რამედ არ გაწუხვეფს... ჰიჩ ბირი ქენდინი ბილსუნ, და!.. ბირი გელან, ბირი გედან!..

გოლდაქას იაილა

მელენაღზი

მთქმელი: გეინეფ ოზქანი

8. ბახმაროს თებზე

ბახმაროს თებზე გაუთოტნიწ დწ,
შენ შეყტარებულს მარიმეტ, სხტა უთხოტნიწ...
ბახმაროს თებზე გაუთოტნიწ დწ,
მემრენ ისიც რომ დწგდია, სხტა უთხოტნიწ...
ოდ მარიმეტ, მარიმეტ, გაუთოტნიწ დწ,
შენ შეყტარებულ[ს] ბახმაროს სხტა უთხოტნიწ...
ჰარალო, ჰარი არალოო დაა,
შენ შეყტარებულს მარიმეტ, სხტა უთხოტნიწ...

ესე მუჰაჯირობის ზამანზე უმღერიან – ასე ვიცი მე. ვინცხა ყოფილა, მარიმე და იმას ერი დელიყანი უყვარდა მეგერემ. მარიმეი იქ დარჩომილა, მისი დელიყანიც – ამ აქით

წამოსულა, თურქიეში. უცადა, უცადა, უცადა იქ მეგერემ, მარიმემ მის მაშუყეთს, მარა აქით
წამოსული კაცი რაფერ უკან წევდოდა? ხო და, აგი სიმღერაც თქვენ ხალხმა.

დუბჯე

მთქმელი: ნიგარ ოზქანი

9. რაფერ წევდეთ მუჰაჯირათ

რაფერ წევდეთ მუჰაჯირათ,
რა ლამაზი დარიაო,
ჩვენი მუჰაჯირათ წასლა
ამ ტაროზში ბრალიაო!

სა დაგტიე ჩემო სახლო,
ჩემო ეზო, ჩემო კარო
ეივახ, ერთხელ ვედარ გნახო
სიბერეში ვერ ვიხარო!

ზათენ, წევველ მუჰაჯირათ
დიდი გემით შეველ ზღვაში
მეზობლებსა დუუბარე:
ნუ მომყობით ყველა კვალში!

კაკალოლლი დურსუნი ვარ
ჩურუქსუდან, ლექსის მთქმელი
ძალვან გაჭვივრებული ვარ,
კაციშვილი ვერ მიშველი.

სა დაქტიე, ჩემო ნენევ,
კდარი დარჩა ჩემი გული
მე დღეს მივალ მუჰაჯირათ
შენთვინ სუმთლათ დაკარგული...

დუბჯე

მთქმელი: სინან მიმარი

10. მე აქავრი არ გახლავარ

მე აქავრი არ გახლავარ,
ძაან შორით ვარ მოსული
ბეგნელი მუჰაჯირი ვარ,
ყურშუმი ვარ გამოსრული.

რაც შენ გინდა – არ იქნება,

იმას ვიზამ, რაც მე მინდა!
თურქის ქოქი მეიძრება,
გურჯის სისხლი არი წვინდა!

ტაბანჯას თუ მომალირავ –
თოფს დაგახლი მაჭიხლისას
ყამჩსა შენსგან არ დევიკრავ,
შეხვეტერება ვიცი მტრისა!

ე ლექსი რუმაა, აი რაფერაა: აქ რომ ჩვენები, გურჯები მოსულან, იმ ზემანზე აქ მქუცვები ყოფილან, რუმები ყოფილან. ზათენ, იმათა ჩვენები არ უპატივებიან, არ დუუქდომლებიან–ქი აქა: ჰაცხაიდამ რუმ მოხვე[ლ]თ, იქით წადთო, – უთქმინან, დაშინდებიანო. ამა გურჯები არ დაშინებულან, ზათენ აქ დამჟდარან, რაფრაც უნდენ, ისე უქნიათ. ე, იმ ზემანზე აბდულ–ყედირაი ყოფილა ერთი, ზეგნელი. აქა ჟდომებულა ისი. ენ წინ, მქუცვები მისას მისულან – უსტა კაცია, ფარა ექნება, დევეცეთ, გახეჭუცოთო. დევეცენ, ამა ვერ გახეჭუცეს იშთე: აბდულ–ყედირსა თოფი ხონებია, ტაბანჯაი, ფიშტოი და უსრია, დუუკლია მქუცვები. მემრენ, ზედაც ეს ლექსი დუუთქმია ასე.

დუბჯე

მთქმელი: სინან მიმარი

11. ომალ–ხან ჩობანი

დიმიყურევით ჭო, ახლა ერთი ჰეჩიად–ნდა გითხრა თქუვენ, ალლაჰუნ ემრილე: იყო და რამეი არ იყო, ერთი ჩობანი კაცი იყო. ცხუარი ხყავდა ბრევლი იმასა. ამ ცხუარს ცავდა და იყო ქი, მისთვინად.

ერ დღეს, ცხუარს ცავს იშთე და, გეხედა ერსალიკ, გელი მოდის. მევდა ეს გელმა, ერთი ცხუარი დეხელა, ამედდვა ღლიაში – გითთი! გადმედლო ამანაც ტაბანჯად, თრახ–თრახ–თრახ! ესრია, მარა რამე არ იქნა, გედბინა და წევდა გელმა.

მევრე დღეზეც, ამფრათ – მევდა გელმა, დეხელა სხუა კიდვენ ცხუარი, ამედდვა ღლიაში და გითთი, კაიბოლდი! ესრია ჩობანმაც ტაბანჯად, მარა რას უზმოდა – რამეიც ვერ უქნა–ქი, წევდა ეს გელმა, გედბინა ჰაცხა.

ადგა ახლა, ეს ჩობანი და წევდა შეჰერში, ყოინქოფელი იყიდა. მეფყანა, დააყენა იგზე და ცავს. მევდა ისვენ ი გელმა, დეხელა ცხუარი და, დახელვის უკან ესცა ეს ყოინქოფელი. ახლა იგიც იმფრად დეხელა, ერთხელად დეხელა, ცხუვარის ერთად, ასწია და წეფყანა.

ბიჭო?! გადელდა ეს ჩობანმა: რა–ნდა ქნა კაცმავო, რაფრათ ამ გელმა გამქუცოსო და, იგზე დაჟდა: ხვალეზე და მე ვიყენ, და ეს გელიო. ხოდა, მევრე დღეზე რუმ გელმა მევდნ, ჩობანიც გადელებული დუუხდა, დიეჭიდა, ხკრა გვერდი და დედთესლიმა:

– უხ, გელო, შენ დედაგასკუკვილო, დიგიჭირევ თუ არავო! – უთხრა, – ახლა რაიც რომ მოგივდეს–ნა, შენ თავ დააბრალებიო!

- ამან ჩობანო, ყურბანოლუმ სანა, ნუ მომკლიო! - გელმან უთხრა, - ჩემი მოკლით რა-ნა ნახო, არ მომკლი-და - დუნდა გდუბელი რომელიც რომ იყოს, იმ ქალ გათხუვიეფო!..

- შენ ქალი რაფერ-ნა მათხუვიო, რას იტყვიო?!.. - გაცეცთა ჩობანი.

- გიმიში და, თუვარ გათხუვიო, დიმიჭირე, ქი მაჯალინე, რაფრაც რო გინდავო! - უთხრა გელმა.

ჩობანმა ფიქრი ქნა, რომე: გუშუვა უნდა ეს გელი, წევდეს და მისთვინად რაც რომ უნდა, ქნასო. კიდვენ მოვდეს-თუ, მემრენ იშთე, მე მცოდნეზიავო! - ხოდა, გუშუვა.

წევდეს უნდა ახლა, ეს გელმა, მარა წასლამდინაც მუუტრიალდა, ასე უთხრა: მე წევალ და მალრიბისი ფადიშაის ქალ მოგიყვან, გათხუვიეფო! გეარა, წევიდა. ჩობანმა მისთვინად დადგა, ცხუვარის ყურებაში. ფიქროფს: გელმა რაფერ ქალი მათხუვიოს, წევდეს, დეფარქოს იქითო.

ამა გელი თურმის, წევდა იქით მალრიბისი ფადიშაის კარბედ. მისლიხან, დუუძახა: მე შორებელი კაცი მეველი და მუსაფირი თუ დამაყენოთო? ვინ ხარო? - იქ ზაფთიემ დუუკვილა.

- ომალ-ხან ჩობანისი კაცი ვარ, ალიე-ოსმანიე დამ მოვალო!

- მოდიო!

მივდა, დადგა მუსაფირათ. იგბე, იმ ფადიშაის ვეზირს უჩივა, რომე: მევო, ჩემი ალაღს დასაკარებლათ მეველ და თქუენი ფადიშაის გოგო იმას მივცე-ნაო. ვეზირმა უთხრა, რომე: მოი, ფადიშასთან შიგიყვან, ერთხელად დეფლაპარიკევიოთ. სულ კად იქნება, შიმიყვანევიო.

ახლა, ამან იგბე შიან შიიყვანა და გელმა უთხრა ფადიშასა: ეფენდიმ, ამფერ და ამფერი კაიდან კაი საქნელბედ ვარ მოსული - ჩემი ალაღ და შენი გოგოდ ალლაჰუნ ემრილე, ერთხელად შევჰყაროთო.

- რაფერი კაციავო შენი ალაღვო?

- ოო, ჩემი ალაღ იმფერ კაი ზენგინია, რომე, დედნახო - გაცეცთეზივო!

- თამამ-დედი, მევედეს ჩემსას, აგბე დემენახვოს ქი, რა დელიყანის ემეავო?

- დროდ უკეთესია, მევეყვანოვო!

გამობრუნდა გელმა უკან, მოდის და, დედნახა ერსალიკ - კაცები ყანას ფაჭვენ. დუუძახა ისნებს, რომე: ვაი, თქუენ დდეს, აგბე რუმ ფადიშაი ჩამეაროს მისი ასკრების ერთათ და ყველას დედა გიტროთ-ნაო! ისნებმაც: რა ვქნათ, რაფრა გადავ[რ]ჩეთ?

- რაფრად-და, ფადიშამა რომ კკითხონ: ეგი ყანად ვისიავო, ომალ-ხან ჩობანისი-თქვა და გადარჩებით. თვარადა - არავო!

- კაი, მეგფერ ვიტყვიოთ! - და დუუძახეს.

მოდის კიდვენ ეს გელი და, ახლა დედნახა ქი, ქალები ზიან, მატყლუს დაჩეჩვენ. ახლა იმათაც დუუკვილა, ქი:

- ვაი, თქუენ დდეს, აგბე რუმ ფადიშაი ჩამეაროს მისი ასკრების ერთათ და ყველას დედა გიტროთ-ნაო!

ისნებმაც: რა ვქნათ, რაფერ-ნა გადავ[რ]ჩეთ?

გელმაც უთხრა, რუმ:

- რაფრად-და, ფადიშამა რომ კკითხონ: ე ვისი მატყლი გიჩეჩვიანო, ომალ-ხან ჩობანისი-თქვა და გადარჩებით. თვარადა - არავო!

ისნემმაც: სულ კად იყოს, მეგფერ ვიტყვითო.

იარა ახლა ეს გელი, მოვდა ჩობანისას და უჩივა, რუმ: წამოდ, ფადიშაისას მივდეთ უნდა, ქალი ქვყავს სანახველიო!

- ურბა რუმ რამეი არ მაქვა, რაფრა მოვდევო? - ჩობანმა უთხრა.

- კვცო, შენ წამოდ და სხუაიც მე ვიცევო! - წევდა, წყევანა.

იარეს, იარეს და ერთი დიდი ღელედა. იმ ღელეში ღვირი წყალი დის. გეძხედა გელმა და უთხრა ჩობანსა: გეძხადე მად დაგლეჯილი ზუბუნი და ჩახტი შიდავო!

გეძხადა იმან და ჩახტა. ახლა რა ვქნავო? - უყურეფს გელსა. ახლა, ასწიე და იცურავე მაქ, ვინემ მე არ მუალ, ზედთ ხმელზე არ-ნა გამოხვიდეო, - გელი უჩივა. დედწყო იმან შიან ცურავი, რაფრაც რომ უთხრა. გელი გეძარა, წევდა ისვენ ფადიშაისას:

- ეფენდიმ, ერთი ყაღლა მოგვიხთა, ახლა გვინდა მოხმარებავო! - უჩივა.

- რა იქნა, რა მოგობთათ?

- რა და, გზაზე მოსლაში ჩემი აღად წყალში ჩავარდა და იხჩვის, მშველელი უნდავო. ჰემ, რაც რომ მოქქექონდა, ისიც კაიბი გვექნავო!

ფადიშამა ასკრები გუშუვა, რომ მიემველეთ ომალ-ხან ჩოფანსა, არ დეიხჩვასო. წევდეს, ეს გელიც წყევანეს, თაბი. გზაში რომ მიდიან, დედანხეს ი კაცები, რომ ყანას ფაჭვიდენ. იმათ უძახეს, ქი: ეს ყანაი ვისიავო?

- ომალ-ხან ჩობანისია, ეფენდიმ!

გაცეცთენ ასკრები ქი, ამ ომალ-ხან ჩოფანსა რამსოი ყანები ხონებიავო!.. პაწად კიდვენ რომ გეძარეს, ახლა ის მატყლისი დამჩეჩველი ქალები ნახეს. იმათაც ხკითხეს, რომ: ვისია ეს მატყლივო? იმათმაც:

- ომალ-ხან ჩობანისია, ეფენდიმ!

ბირდენ და გაცეცთენ იგი ასკრები: რაფერ ზენგინი ყოფილა ის ვინცხადა, ჩობანი ქი თქვიავო?! რა იციან, რუმ ყველაფერი ეს გელმა ქნა?!..

ამფრად, მივდენ ი ღელი პირსაც. ნახეს - წყალში წევს კად დელიყანი, ურბა წყალ[ს] წუღია. ამეყვანეს, ჩააცვეს, დაახურვეს და ფადიშაისას წყევანეს. იმანაც რუმ ნახა - ბიჭო, კაი ბიჭია?! - მეეწონვა. დუუძახა მის ქალ, დუუყენა ამ ჩობანსა გუვერთში და - შენ კაცი და ეს ცოლიო! - ემრი უქნა.

აი, ამფრათ იმ გელმა ი ჩობანსა კაი ქალი ათხოვნია. ეს ჰექდაიც აგზე დავათავოთ.

დუზჯე

მოქმელი: სინან მიმარი

12. ჩემი სახელი - მემედი

ჩემი სახელი - მემედი, აქ დუნიაზე მევედი
ძალვან რომ კაი ვერ ვნახე, ქლათ ისტანბულსა წევედი,

იქ ერთი ჯამე დევნახე, ავსწიე, შიან შევედი
 იქ რომ იმამი არ ხყავდეს, დევნახე: „აგერ მევედი!“
 დადგენ და წინ დიმიყენეს, ჰადმენაც ველარ წევედი,
 ერთი ბისმილლად დავსძახე, ბოლომდინ ველარ გევედი.
 მემრენ გურჯიჯაც ვურივე, ამფერ იოლზე წევედი,
 ის ნამაზი რომ ვამთავრე, გავშპი ჰაცხან და წევედი,
 კაცებმა ძებნა დიმიწყეს, ჯამეის უკან გევედი
 იქ ჰაცხან რომ ვიმაღვიდი, ჩემთვინაჲ ძილში წევედი.
 დიმიჭირეს, წიმიყვანეს – ეფავს, შენი მემედი!
 ჰუქუმათსა ჩამაბარეს, სულთან-ხაფისში შევედი
 ასე ვიფიქრე – გამუალ! ეფავს, ვერ გამევედი,
 ფენჯერეს თვალი დავხკარი, ერწამზე ზედთ ევედი.
 მემრე ვთქვი: „კაი იქნება, ყვინჩი რომ იყოს მემედი!“
 რა-ნდა ვქნა, რაფერ წევიდო – სულ ამის ფიქრში შევედი,
 იმდენსაც რას ვიფიქრებდი, რუმ დედძახეს – მემედი!
 ზაფთიეთსა გამოვხყევი, ხაფისის დიდთან შევედი.
 იმანაც მკითხა: იავრუმ, შენ ხარ თუ, გურჯი მემედი?
 ჯულაბი მივეც: ჰავრე-და, ხომ ხედავ, შენსას მემედი
 შენ აქა არ გაჩერდები, შენ თუ ხარ მართლა მემედი,
 წად და ფარა მიშოვე, გიგიშვა ევედ-ევედი!
 ასე ვუთხარი: გიშოვი – გამომიშვა და წევედი,
 რა ფარა გინდა, რის ფარა?! გევედი, აღარ მემედი.
 ახლაც იგზე ბის, იძახის: „ჰაბუ ნე ოლდუ, მემედი?!“

დუბჯე

მოქმელი: სინან მიმარი

13. ზეგნელი სულემანა

ხულოს ზედამ – ქედლები,
 ჩემს ჭიბონისი დედნები
 ლამაზ გოგოს რომ დევნახავ,
 ერბოსავენ დევდნები!

იგერ, გაღმა თეთრი ქვაო,
 ხელი დავხკარ – თან ამყვაო,
 გოგოვ შენმა სიყვარულმა,
 ჰაცხან წეველ – იქ წამყვაო!

ბათუმში ჩამოვბლაყუნდი

მე – ზეგნელი სულემანა,
ჩაქურის ყიდვა მინდოდა,
ყართოფაის ვყიდდი, განა?!

დემესიენ ჯიბგირები,
გადმოგვიგდე – მთხუვენ, – ფარა!
ისნეფ ფარას რას მივცემდი,
გავდელდი და ვიძრევე ყამა.

გავხკარი და გამოვხკარი,
დოუვარე განდაგანა
შვიდსა კაცსა მუშტით დავცემ,
ყამას ვიქნევე ხანდახანა.

ამფერი ბიჭი ვყოფილვარ
მე – ზეგნელი სულემანა
განდაგანაც რომ ვისამე,
გადავხკარი იქ ყოლსამა.

ჯიბგირები იძახიან:
„ალარ გვინდა შენი ფარა!..“
ჰემ ჯიბრობენ, ჰემ ხკვირობენ:
„რაფრად ცეკვობს ასე, თვარა?!“

კიდვენ ერთხელ მოგახსენო:
ზეგნელი ვარ, სულემანა
ჯიბგირები გადავრეკე
სულ ცეკვობით, გან და განა!

ჰაჯი-იაქუფი

დუზჯე

მთქმელი: აბდულაჰ ჩელები

14. ხუშტი ბუძიე

ხუშტი ბუძიეი, მეგემ, მუაჯირათ წამოსული ქობლეთელი ყოფილა, ძაან თემბელი, რომ თურქულიც არ ცოდნებია, იშთე!.. ერ დღებე, მის ეზოში რომ არი მისთვინაჲ მიწოლილი, გემეარა ვინცხა ვორი ალაფრანგა. მეგემ, იგბე მუსაფირათ მოსლას ფიქრობენ, ამა ვისას მივდონ უნდა, არ იციან. ამისი – ხუშტი ბუძიესი კაპი რომ ნახეს, მეეწონვენ და შევდენ. დედნახეს, რომ კაცი – ეზოში მისთვინაჲ მიწოლილი. ჰემენ, თურქულა დიელაპარიკენ, ქი:

– ნასილსუნ, ეფენდუმ? მუსაფირი ისთიორ მუსუნ?

– წადთ, თქვენი დედაიც მაქ გავსკუჯევო!.. – ხუშტი ბუძიემ.

ალაფრანგებმა რამე ვერ გეგნეს, რამე ვერ გააგნებინ და გატრუალდეს უკან. წევდეს რომ, ეგი რა კაცია, ვერ ვიცანეთო. იმათი წასლის უმალ, ესცა მისი ქალიც ხუშტი ბუძიესა:

- კაცო, ხომ გითხარ, რუმ თურქული იპწავლე, თურქული იპწავლე-მეთქინ?! რა ყედერია ახლა ესა, გეპწავლოდა, გცოდნებოდა – წაგადგებოდავო!..

- წად ქალო, გეძარევიო!.. აბა, ისნემმა ხუმ იცოდეს ლამაზობით, კარგობით და წაადგათ თუვო?!..

დუბჯე

მთქმელი: აბდულლაჰ მიმარი

15. ნენესი სიზმარი და კომუთანი

ახლა, ერთი აქავრელი – დუბჯელი მუჰაჯირი, იშთე, ასკერში წუყყვანიან. წუყყვანიან რომ, ავდასფონში მოხვედრილა ისი, ტეარეს ემეი რუმაა, იქ. ყუელ დილლას, შენ ხარ ბატონი, იმას კომუთანი სხუების ერთად ისე, ტეარეში ჩასხამს, ეიყვანს ცაში და იქიდამაც, ფარაშუთით ახტუნლებს, ზეიდამ. ამფერ არიან, ამფერ საქმობენ-ქი, ავდასფონში, დაა! ევიც არი, ფარაშუთი აქვა მისი, ასკერლულ იჯება, ლამაზობით, კარგობით.

ერ დღეზე – ტეარედამ მე აღარ-ნა გადმოვხტე, კომუთანუმო, – მის კომუთანს უჩივა. იმან გაცეცთა: რა იქნა, რატუმ აღარ გადმოხტევიო?

- რატუმ და, გუშინ ჩემი ნენეჩემისი წერილი მივღე, რუმ გლახა სიზმარი უნახვან და იმ გლახა სიზმრის ბარობაზეც მე დღეს თუ გადმოვხტე, ფარაშუთი აღარ გეიხსნის, ჩემთვინად გაცეცთე-ნაო!

- გეიხსნის, ჭოვ, რაფრა არავო?!

- ეაჰ, არა, კომუთანუმო! არ გეიხსნის და გაცეცთები, ნენემ ამფრად სიზმარი უნახვანო!

- გადმოხტეო!

- არავო!

- გადმოხტევიო!

- არავო!

ენ ჯამი, ვერ გადმოახტუნლეს, დაა! უჩივა კომუთანი: მოდ და ფარაშუთები გავსცვალოთ და იმფრად გადავხტეთო. გასცვალეს და გადახტეს. გეშალა ამისი ფარაშუთი, კომუთანისიც არ გეიშალა. დიესხრიკენ ქვეით იშთე და ეს მუჰაჯირი უძახის კომუთანსა:

- კომუთანუმ, იშთე გეშალა და ვესხრიკვი და შენ რადჯებიო?

- რავიჯები და ერთი იმ შენი ნენეშენისიც და მისი სიზმარისაცავო! – კომუთანის რუმ არ გეშალა, დაა, ამფერ დუჰკვილა, გაცთომამდი.

ჰაჯი იაქუფი

მთქმელი: აბდულლაჰ მიმარი

16. დუბჯელი ბულფიყარა

დუბჯელი მუჰაჯირი იყო ერთი, ზეგნელი. ბულფიყარაი ეთქუა. იმფერ კაცი ყოფილა ქი, ძალვან რამეი ბეჩი. ერთხენ თურმის, ცოლი უჩივა: წად შეერშივო და ერი მჯიხი მარილი მომიტანე, აღარ მაქო.

- მარილიო, ხო? - კითხა.

- ხო, არ დაგამიწყდეს, იცოდევო.

წევდა. წასლისას, პაწა გეძარა, ბრეული გეძარა, დედნახა, რომ დუგუნია. სელამუნ ალეიქუმო, დუუძახა. ჰემენ გუმუდგეს, დეჭირეს და გალახეს: ვისაა, შენ სელამუნ ალეიქუმ უძახი, დუგუნზე ომ კაც დედნახავ, რაფრა-ნდა უთხრა, არ იცივო? არა, არ ვიცივო.

- ალლაჰუნ ემრილე, ლამაზობით, კარგობით იყავ-თქვა და უთხრა უნდაო - დუუთითეს და დაბლანეს, - სხვაი რამე არ-და უთხრა და იცოდევო.

- კაივო!

გუშუვეს და იარა. წევდა პაწა, გეიწია და ხედავს, რომ ჯენაზე მუაქვან, ტირიან, ჟღავიან, იმფრად მოდიან. ხოდა, ამანაც ფიქრი ქნა, რომე - აგინი დუგუნჯები იყნებიანო და ბირდემ დუუძახა:

- ალლაჰუნ ემრილე, ლამაზობით, კარგობით იყავითო!

ჰეფთენ დიესიეს, ურტყეს, გალახეს: ვისაა, შენ მეგფრად რუმ უყვირი აგზე, ვერ ხედავ-ქი, ჯენაზე მოგვაქ, სიხინთი ვიჯებითო?!

- აბა, რაფრა გითხრათ-ნავო?

- რაფრა და, ალლაჰუნ ემრილე, მაი ბოლო იყოს თქუენ სულალეშიდ, ღმერთმა ერთი ეგი გაკმარონო, ამფრად გვითხარო!..

გუშუვეს ისნემმაც და წევდა. ერ ქოვში მივდა რომ, ხედავს: ეზოზე ზის ნენეა და ხელში ბაღანაა უჭირავს. იგზე ბაბოიც დგანა და უმღერის იმას. ბულფიყარამ ფიქრი ქნა, რომ ტირის ახლა ეგიო, და:

- ალლაჰუნ ემრილე, მაი ბოლო იყოს ქლად თქუენ სულალეშიდ, ღმერთმა ერთი ეგი გაკმარონო! - დუუძახა.

ვუი, დეიჭირა ბაღვისი ბაბამ და ურტყა, გაათავა. ხკრა მერე ჩარფუზი და გააგლო - არც რამეი უთხრა, არც რამეი აჰწავლა, - ხკრა ჩარფუზი და გააგლო, იმთე.

ახლა, მოდის ეს, ასე კაწვა-კაწვით, ტირილით და მოვდა შეპერში. ამფრადაა გადაწეველი წელში, ხელიც აქვა მოკიდებული და მიდის უსულ-უსულა. მივდა ხომ, იმსალიკ, ჰაცხაც რომ მარილი-ნა იყიდოს - წელში გადაწეველი, ხელ ასე მოკიდული, უსულ-უსულა და იქ კიდვენ იგი - მარკეთ საები დგანა. უყურეფს და ფიქრი ქნა, რუმ: ესე ვინცხაა, მქუცავი ხუმ არაა, რას მეიპარვის, რომ მეიპარვისო? უდრუზა გარგანი ბეჭებში საწყალს, გააგლო და მიაძახა: წად, შე მქუცავო მამაძაღლო, აქ რა გინდებიანო?!

ასე იქნა დუბჯელი ბულფიყარაის ბეჩობის ამბავი - ვერც რამე ქნა, ვერც რამე იჰწავლა, იმ ზავალმა. წევდა ისვენ მის სახ[ლ]ში გაცეცებული, მარილიც ვერ იყიდა და ქალმაც

რუმ ისე ხელცარივლათ დედნახა, ასწია და გამუავდო კარში – რათ მინდა მე ამფერი ბეჩი კაცი, რამეი რომ არ იცის, წად და დილენჩი გახთი, შენთვინად იყავიო.

დუბჯე

მთქმელი: აბდულლაპ მიმარი

17. სიძე-სიძავრი

სიძე-სიძავრი, მარიმევ, სიძე-სიძავრივო
სანადიროში, მარიმევ, ჰაცხან წასულანო...
წასლით წასულან, მარიმევ, დაღში გასულანო,
იმ დაღშიც ხიდი უნახვან, იგბე გასულანო.
ხიდბეც ირემი უნახვან, მალალ-ქიანივო,
ირემს დუუწყია, მარიმევ, თურმის ღრიალივო:
სიძავრი ჩივა: სასიძოვ, გახკარ ისარივო.
სასიძოვც რომ ქესქინია – გახკრა ისარივო.
გახკრა ისარი, მარიმევ, დასჭრა ირემივო,
„ახლა შენ გახკარ, სიძავრო, მოხკალ ირემივო.
გახკრა სიძავრმა, მარიმევ, გახკრა ისარივო
ირემს ესრიდა, მარიმევ, მოხკლა სასიძოვო!
„შვილო, მარიმევ, მარიმევ, გახკარ ისარივო,
ირემსა ვკლიდი მეგონა და მოგიკალ ქმარივო!“
სიძე-სიძავრი, მარიმევ, სიძე-სიძავრივო
სანადიროში, მარიმევ, ჰაცხან წასულანო...
წასლით წასულან, მარიმევ, დაღში გასულანო,
დაღში გასულან, მარიმევ [და] აღარ მოსულანო...

შაირი მითხარივო და, აგი შაირი არაა, სიმღერაა!..

დუბჯე

მთქმელი: აბდულლაპ მიმარი

18. ფევიზისი და აინურისი ლაპაიკი

- ვთქვა?
- თქვი...
- ის სიმღერად ინა ვთქვა კიდევ? აჰა, ახლა ვიტყვი:
ნენემ კაბა შემიკერა,
ზედ კოპჭები დემიკერა,
ნენევ, ადრე გამათხოვებ და
ძალვან ვარ გაჭირვებული...
- სხვაი...? ამის მეტი არ იცით?

- არ ვიცი.
- სხვა, ახლა თქვი ჩასაცმელებიდან რა იცოდით? თავზე რა ახურიოდათ ადრე?
- თავზე რა ახურიოდათ და? დაზმა... დაზმას იხურვიდა იგი, დოდოფალი, დოდოფალი დაზმას დეიხურვიდა, ენიშთე დე - სხუაფერ იმა, რაცხა რამ იყო...
- ლაჩაქი არ იცოდით?
- კი, ახლა შენ თქვი და გამეხსენა...
- ფეხზე ჩასაცმელი რა იყო?
- ფეხსაცმელი იყო, კუნდურაი.
- ფანთოლანი რა იყო? შალვარი, ხო?
- არ ვიცი...
- შალვარი არ იყო?
- ჩვენ იქით - შალვარი არა, აქანაი დევნახე შალვარი მე..
- ებოში სახლთან რა გქონდათ?
- ბელელი...
- ბელელი თუ.. სხვა გახსოვს? ნალია გახსოვს?
- ნალია იშთე..ნალია და ბელელი აინე..
- ნალია თუ ბელელი?
- ნალიაც, ივიც... ორვე ჩივიან, ღორის სახლია!
- ღორის იქნება?..
- ნალიე ბელელია, კი.
- ნალიაში რა იყო?
- ნალიეში რა იყო? თრუშები იყო, ვაშლი, სხალი..მეივე, დანი
- ხილი იყო? ხილები?
- ხილი... ხილი და იყო, ჰო! რაფერ იყო, იცი? ჩუვენ ასე დავხყრიდით, ნალიაში დავხყრიდით ხილსა, მისთვინაჲ გახმებოდა იგზე და, გახმობის უკან, ჩამეველებდით იმასა, შეეჭამდით, დაა! ასე იყო, ნალიაში ასე ინახვიდა ხილსა ჩუვენი გურჯობა. თურქემმა ნალიაჲ არ იცის. აგზე რომ ჩუვენ მოველით, მემრე დავაკეთეთ ნალიები, გურჯების სოფლებში. ახლა ჰაცხან რომ ნალიაჲ, გურჯობაც იმსალიკბეა. ხომ იცი, შენც?
- შენ რამსოი გურჯი ხარ? შენი დიდები აგზე ჰიდამ მოვდენ, ე?
- ქობლეთელი გურჯი ვარ, აინური ჯინჯარიშვილი.

გოლდაქა

მთქმელი: ფეხში ჩელები

19. გარეული ნადირებზე ვილაპარაკოთ

მე ძან ავკი კაცი ვიყა ჩემ ახლობაში ქი, დაღში გევდოდი, გარეული ნადირებსა ვკლიდი, სახლში მევეტანებდი. ბაზი აქ მ[ო]ქონდა, საჭმელათ, ბაზი და - გახყიდდი ბაზარში, რა

ვიცი, იმთე, ავჯობას ვიჯებოდი, ჩემო ბუძიევ. ახლაც, გარეველი ნადირებზე ვილაპარაკოთ.

ლორი ძალვან იყო აქა. [ჭამთ ღორის ხორცს?] ეაჰ, არა კვცო, როისმე არ მიჭმია, ებბედი არც შევჭამო! ამა, მიკლია ისი მე. რაფერ იყო, იცი? ჩემ ახლობაში, ღორმა რომ აქით გამოვდა, დასწუხდა ეს ჩვენი კაცები ძალვან. დასწუხდეს ქი, ღორი ღამეზე, ასე შალამებული იქნა თუ, მოვდოდა, ყანებში შემევედოდა, შამოჯლიგინდებოდა, შასჭამდა იმასა, ნათესავსა, თუ კიდევ არ შასჭამდა, მოსჯეგავდა, დათხრიდა და წევდოდა. კაციშვილი მისი მამკლავი არ იყო ქი – ემინოდენ: შადთანია, რა არივო, რაფერ მოკლათო?! ხოდა, დიმიძახეს ასე მეც: დემურალო, შენ ძან ავჯი ვინმე კაცი ხარავო, მოდი ერთი, ჩოუჯექი ჰაცხან ამ ღორსავო, დაგვაწუხა აგზე ეს ხალხივო. მე ვთქვი: წამოვიდე. წეველ ქი, ჩემი იგი მქონდა – მინჩისთერი, კაი მაგარი იყო ისი, ავრუფადან მოტანილი. წევლე და წეველ, გადაღმა ქოვში გედეველ, ჰაცხა რომ ღორი იყო, იქა.

გედეველ ქი, ღამეზე ერი ვინცხაის ყანა რომ იყო იქ, ჩოუჯექით სამი ბიჭების ერთათ. მე მინჩისთერი მაქ, იგინსაც ვორ-ვორი ყამა ურჭვიან ქემერში. ღორი მე-ნდა მოვკლა და აგინმან ნა მხარი მომცენ მემრე, თუ ლაზიში რამე მექნა. ასე, ვყურობდით იმასა თელ ღამეს და დილლა რომ იქნას უნდა, აფხანიკი მებნევა ქი, გეხედე იგზე, დემურალო, ის თუ ღორიც არ იყოს და მამაჩემი მაგინევი. გეხედევ და – გერჩექ, ღორია. ბიჭო, – მე ვუთხარ, – თქუენ ახლა აგზე დარჩით და მე წევდე, ახლოდამ-ნა ვესრიო-მეთქინ იმასა. რომ დიციძახოთ, მემრე მოდთ, ისე აქ იყავით-მეთქინ. კაივო, მითხრეს. დარჩეს იქ და მე წინ წეველ.

ლორი ნამეტური იბლისი სულია – ვინც რომ გინდა იყავ, იგნებს შენ სულსა, ძალლისავენ არი, დაა! ეს ხუმ ვიცოდი მეც, ამიზა უსულ-უსულა წეველ, გავხობთი იგზე, კაი გავხობთი და დევეახლოვე. იმფრად ახლოს მიველ ქი, მისი ყრალი სუნი ჰეფთენ ცხვირში მესცა. ვაი-და, შენ დემურალსა! დავაჩაღე ეს თოფი, ეს მინჩისთერი და მობრუნებხინან, ბირდემ ვესრიე. მოხთა ქი, დაქოქვილსა, დეფყო ჯიჯლინი, გემეიწია და მეც, გამოწვევის უმალ, მევრე ქეზი ვესრივე. ივიც მუარტყი, შუბ[ლ]ში დავნიშნე. ჯიჯლინ-ჯიჯლინით, დეესხრიკა იქიღამ და ქი წახყო დინგი მიწაში, ათხარა მიწა. „აბა, ბიჭებო, გამოით ახლა!..“ – მეთქინ, ვიძახე. აფხანიკებიც ერთ წამას მოვდეს, მხარი მომცეს – იი ღორი ყამაებით ისე ჩაჩხეს, ჩაადუმეს. მემრე ავსწიეთ, კუდი მოვსჭართ, წამეველეთ და მიუტადთ ხოჯასა, ჯამეშიდ. ნახა – აფერუმ სანა, დემურალო, ბაბა დილითი იმიშუნო, მითხრა, ათი თავი ყურშეში მომცა. ამფრად იყო ეს ლაპარაკი. დემურალი ვარ მე, კირნათელოლლი.

ჰაჯი-აქუფი

დუბჯე

მთქმელი: აბდულაჰ ჩელები

20. შინაურობის ამბევბი (ფევზისი და ყადრიესი ლაპარაკი)

- შენი სახელი რასოია? რას გეტყვიან?
- ყადრიე ვარ, ხაილოლლი. გურჯი ვარ, გურჯის და ქალი ვარ.

- აბა, შინაურობის ამბევები ვთქვათ: ძროხა თუ გყავდათ, ე?
- კი, ძროხა იყო, ხარიც იყო. წინ-წინ, ხარიც იყო და მემრენ - ძროხა, მარტო ძროხა. ბაბაი მომიკდა მე და მისი მოკდომის მემრენ, ხარი გაგხყიდეთ. დარჩა ძროხა.
- ძროხას სად აჭმოვდით, რაში ჩოუყრიდით იმ საჭმელს?
- საჭმელს ჩალას ვაჭუმდით...
- კი ჩალას აჭმოვდით...ბალახს აჭმოვდით...სიმიინდს რას ეტყოდით?
- ბალახი, სიმიინი ჩალა...მოვკრეფდით, ბალახ გავახმოვდით...ჩემი ნენეი და ბაბაი...ბაბაი არ მყოლოდა...მოვკვდა...პაწაი იყო მოვკვდა..ნენეი დიდი ბაბაი იშთე...ჩალა აჭამდნენ..
- ბაგა იყო ოხორში? ბაგა არ გახსოვს?
- კი...
- საბზელი გქონდათ?
- სამანლული არის ოხორის ჰემენ...ახლო..ძროხის საჭმელი იქანა იქნებოდა, ჩალაი ბალახი იქანადა ხოპოი არის და ზროხა...ერთი ზროხა, ერთი ხოპოი იქნებოდა...ბრეველი არ იყო....აწევდნენ ძროხას მისცემდნენ...
- კამეჩი არ იყო?
- კამეჩი ჩვენ არ გქონდა..
- სხვა რა ცხოველები იყო თქვენს სოფელში? ტყეში რა იყო, რა ცხოველი...კურდღელი, მგელი, რა, რა იყო...?
- ტურა
- ტურა იყო....დათვი?
- ის არ დევნახე.
- შველი? ირემი?
- ისინი სახელებთაც არ იცი, რომ არ დევნახე
- არ დევნახე, ბათენ ჰიჩ სახელი არ ვიცი...ტურა.....
- მგელიც არ გახსოვს?...ფრთა რომ აქვს ის?...ქათამის გარდა ეზოში რა იყო? იხვი იცით?
- ქათამი, მამალი..
- იხვი, ბატი?...ორდელი იყო?
- ორდელი გქონდა...
- ორდელი თუ იყო, იხვიც იყო....
- კი, იხვი...ჩვენი დიდვანები....
- გაზი? გაზი იყო...ბატი გაგონილი არ გააქვს?
- არა..არ დაილია?
- არა..
- ახლა სახლში შევედით. სახლში რამდენი ოდა გქონდათ? ერთი სართული თუ იყო?
- ოთხი ოდა გქონდა
- ერთი სართული თუ იყო ორი? რამდენი კატ იყო? რამდენს იტყვით თუ რამეთი?

- რამეთი..
- რამეთი კათი იყო?
- ერთი კათი იყო და ქვეშ და ერთი ოდა იყო. ყურბენი ფექმეზი...ნენეი იქანად გააკეთებდა..
- ოჯაყი არის იქანად, იქანად ყურძენის ბექმეზია აადულებდა... ვაშლი, სხალი, ყურძენი...
- რაში ჩაასხამდა იმათ?
- დერგში
- რაფერ შეინახავდა? რა საცმელეფს აკეთებდით ? სემელეფის სახელები გახსოვს?
- ლობიე, ფხალი, ფათათესი..
- ფათათეს რას ეტყოდით?
- კარტოფად
- კი
- სხვა? სემელეფის სახელები? ხინკალი გაგონილი გაქვს?
- არა
- სინორი? სინორი გეცოდინება
- სინორი ვიცი
- სინორი თუ სილორი?
- სილორი ჩვენებმა არ იცის, აქანე დევსტავლეთ სილორი..
- სხვა...მაღახთო იცით?
- მაღახთო დიდვანებმა იცის, მე არ ვიცი..
- მე ძალიან მიყვარს, ქინძიანი უნდა იყოს...
- ჩვენ ქინძი ვიცით, აგენმა არ იციან..
- ეცოდებიან, ლაზებსაც ეცოდებიან..
- არა იციან... ჩვენ ახლა იქანე მივიდიან 40 ქიშე, იქანე მივედით. ვჭამეთ, სვით, წევედით და იქანა ენ კაი საჩმელი თქვენებმა გააკეთა...
- რა გააკეთა, რა იყო სახელი?
- ბადრიჯან...შიგ..
- ნიგოზი?
- კი ნიგოზი..
- ნიგოზი თუ კაკალი?
- ნიგოზი კაკალი..
- თქვენ რას იტყვით?
- ნიგოზი... კაკალი. ლაზებმა იცის... აგენმა კაკალს იტყვიან, ჩვენებურმა ნიგოზი...პატლიჯანის გააკეთა ზალიან კაი საჩმელები
- პატლიჯანის ზევით რა გააკეთა?
- მჟავე
- მჟავე არა , ბროწეული..ნარი...

- არა, არა..მჟავე ჩემი ნენე იცოდა...ჩვენებურმა ბროწეულის წყალი არადა, ადუღებული წყალი არადა მჟავეს, მჟავე ეგში კორკმელი, ტყემალი...
- კორკმელი რა რის?
- კორკმელი დაჰა თათლისი დაჰა გემრიელი
- გემრიელი კორკმელი..ტყემალი ჟავე იქნება?
- ჯავე იაფიოდი პატრიჯანის ზედ ჟავეს დაადებდენ...
- კორაო რა არი?
- რაცხას ჩივოდენ დიდვანები. იშთე, მე არ ვილაპააკე, ვერ ვილაპარაკე..დამავიწყდა..
- ჟავე თუა ჟავე..
- ამას არს იტყვით, ეს რა არის?
- ზლუად..ზლუა
- ზღვად, მზოლა, მზლუად
- ზოგი ამბობს ზოლა
- ზღვაში რა თევზებია?
- თევზის სახელები?
- კი...გახსოვს?
- ფალამუთი, ქაფშია, ქაფშიე
- ქაფშიე რაფერი თევზია იცი? ერთი კი ვიცი ჩვენებურა
- პაწად
- ქაფშია ლაზლარი..ქაფშიე ჩვენს..ქაფშია ათეში, ქაფშიე ჩქინი...
- ჩიტების სახელები გახსოვს? მერცხალი, ჩიტი, ბელურა...
- არ ვიცი...ჩიჩინაკი ბევრი იყო...

გოლდაქა

მთქმელი: ფევზი ჩელები

21. ჩვენებური ქორწილი რაფერ იყო (ფევზისი და ყადრიესი ლაპარაკი)

- თქვენს ბაღნობაში მგონია გახსოვდება ესე დუგუნები...ქორწილი? იცით?
- ქორწილი
- რაფერ იყო? რას აკეთებდენ? რაფერი იქნებოდა ქორწილი..გოგოს რაფერ მეითხოვდით..ბიჭი და გოგო ერთმანეთს დეინახავდენ?...ისინი გახსოვს, რაფერ იყო?
- არა ჩვენი ზამანის დროს..
- თქვენს დროს...
- დიდვანები მივდოდენ გელენის(?)...ბაბა, ბაბამუში (მამამისი), მივდოდა დიდვანებს დედლაპარაკებდენ...
- (ბაბამუში ლაზურად..დადი დიდნენე დიდნანა..)
- სხვა?

-იშთე ნენემისი მივდოდა, მამამისი მივდოდა (ნენემისი დედამისი ორივე შეიძლება იქისიდე ოლიო)

-ორივე იცი შენ: ნენემისი და დედამისი აინეა ხო?

-აინე აინე..ნენამისი ნენემისი აინე...

ნენემისი მივდა წევდა..მამამისი მივდა..გოგო ნენემის მამამის უთხრა სიტყვას ეილებს...მიდიან ესენი მეითხოვენ...

-მიითხოვენ..კი ასეა...ქორწილი რაფეია? თუ რაფერ იქნება?

-ქორწილი რაფერ იქნება....ქორწილი შაფათი

-შაფათს დეიწყებს?

-შაფათს შუადღის მერმენ დეიწყებს, კვირეს შუადღის მერმენ დეილევა.

-ორი დღე?

-ჰო

-რა იქნებოდა?

-გოგოს სახლჩი...

-გოგოს მეორე დღეს მოიყვანებენ თუ რა?

-ჰო, მეორე დღეს.შაფათს დეიწყებს...საჩმელს ჭამენ..შუადღეს შაჭმელს ჭამენ...ქორწილი დეიწყება..ისამებენ..

-რას ისამებდენ? რას სამავდენ?

-საადაჯე თურქული

-ჩვენებური არ იცოდნენ?

-ჩვენებური ბიჭებ კაცებმა ჰორონი ... იშთეფიშთობენ..

-ესვრიდენ ჰო? სროილობდენ ფიშტოს ხოლო?...სხვა? პირველი დღე ესე გევილიდა...კვირა დღეს რა იცი?

-კუჩრე, კუჩრე ოილე შუადღეს კიდევ ემწემ მოჟლიან, შუადღეს მოჟლიან კიდე სუ მთელი შაჭმელს ჭამს იქანად კვირა დღეს, შუადღეს მერმე დოდოფალი(ალმენენ გელიოლარ)

-აჰა დედოფალს მეიყვანებენ..კვირა დღეს შუა დღეს უკან....შუა დღეს უკან თუ შუა დღეს მემრე?

-შუადღეს მემრე..შუადღის მემრე ბიჭის თარაფა მოვლიან

-ბიჭის კუთხე..

-ჰოო...იგინი მოვლიან დოდოფალი წეიყვანებდან კვირა დღეს..

-ბიჭის კუთხე...იმ კართან რა იქნებოდა მისცემთა თუ ძმა, მამამისი?...გაატანდა თუ?...თუ არა რაცხას მოითხოვდა?

-გოგოს ძმა იქნებოდა კართან..ფარას...ნაჭარს აართმავს..მერე დედოფალი.. და მისცემს სიძეს...

-მისცემს თუ გაატანს?

-მისცემს და არის და გაატანს და არის

-იანი ძმა....რაზე ჩაჯდებიან? ცხენზე თუ?

-წინ- წინ ცხენი იყო..შოფერ სადღა იყო მაშინ? მერმენ არაბა...

-იმის შემდეგ რომ ახლა ცხენზე შეჯდა...დედოფალმა სიძეს კართან მივიდა...კართან მისლამდის , კართან რომ მივა, სევა, გზაში არაფერი არ დაემართა? სხვა რამე არ არის? იმ გოგოს კუთხე არ მიდევს? რამეს არ მოითხოვენ, რომ მივა?

-ახლა ბიჭებმა მოუდა, კაცმა მოუდა და დედოფალი წეიყვანოს...დედოფალის სახლიდან ჭიქა ამფერის ჭიქა მეიპარებდენ

- დედოფალის სახლიდან მეიპარებენ?

-ჰო...სულ თელს ამიდამ მეიპარებს...რომ მივლიან ბიჭის სახლში დედოფალი წეიყვანეს სახლში გასტეხონა...

-გატეხონა ჭიქები..ბიჭის კუთხე რომ მივა გოგოს სახლში, მეიპარებენ ჭიქეფს და ბიჭის სახლს კართან გატეხვენ..რატო? ბერეუქეთისთვის...

-არ ვიცი...მერმე ქორწილი დეილია...დეილევა ძალიან...

-ქალ- კაც ბიჭი გოგო ერთად იცეკვებდენ?

-კი სულ მთელ ქალ კაცი ერთად იყო...

ჟორი არაბა მოვიდა აქანა: ჟორი კაცი ჟორი ქალი.ახლა კაცები ჩივანებენ ჩვენ სოფრა მივეცი..ქალებს წყალიმიეცი...შევშალე და რატომ ესე ჩივიან? სენი ქალია და დაჯექ...

-შეგაწუხეთ..დიდი მარდი ლაბურია... დიდი მადლობა ქართული..ასევე გმადლობ..მადლი მევიდოთ..

-ჩვენებურად დათვლი? თვლა?

-ერთი, ვორი სამი ვოთხი ხუთი ექსი შვიდი რვაი ცხრაი ათი თერმეტი ორმეტი თექესმეტი თოთხმეტი ტუთხმეტი ცრამეტი შვიდმეტი ვოცი ვოცდაერთი ვოცდაორი ვოცდასამი ვოცდაოთხი ვოცდახუთი ვოცდაექსი ვოცდაშვიდი ვოცდარვა ვოცდაცხრა ვოცდაათი....

გოლდაქა
მთქმელი: ფეგზი ჩელები

22. გურჯიჯა არ იცით? (აბდულასი და ხასანისი ლაპარიკი)

-თქვენ გურჯები არ ხართ? გურჯუჯე არ იცით?

- დევიფიქრო...

-შენ იცი, იცი...მიხდები (აბდულა ჩელები)

-ქონუშმიო ააა..

-გურჯისტანდან ჰაიდან მოსულხართ თქვენ? საიდან თუ იტყვით, თუ ჰაიდან თუ იტყვით, რას იტყვით?

-აჯარადან, ბათუმ-აჯარადან

-სოფელებს რა ქვია?

-აჯარადან რომელი სოფელი იყო? ეს სოფელი, რა ქვია ამ სოფელს?

- აჭარა...
- რომ აჭარადან ჩამოედით, აქაც აჭარა დაარქვით სოფელი...
- არ ლაპარაკობს, რატომ არ ლაპარაკობს?
- იცის...ცხვენია...
- არ ცხვენია..
- აჭარადან რომ ჩამოდიტ პირველად ამ სოფელში თუ ჩამოდიტ თქვენ?
- კი....ბურია გელდილერ..
- თქვენ რომელ სოფლიდან ხართ? ამ სოფელში დეიბადეთ?
- აჭარა...
- თქვენი კაცი ქმარია ხო? ქმარ იტყვით თუ კაც. შენი კაციც აჭარელი იყო?
- ძველი ისინი კითხო და ადეთები რადაცები, დუგუნები რაფერ იყო, დუგუნი, ქორწილი იცი?.....დავდეთ რაცხა...
- შენც მოდი, შენც მოდი და ერთად ვილაპააკოთ... შენ კარგი იცი და შენ ახლა თავად გეშინია?
- არ ეშინია...

დუბჯე

მთქმელი: აბდულაჰ ჩელები

23. ლუთფიესი ამბევები (ფევზი და ლუთფიე)

- აბა გეცოდნება, გეცოდნება....შენი ეს სამი სახლია თუ...ორი
- ერთი, ორი.... ორი.ა...
- ორი შენი შვილებისა, ეს შენი ..მირე(მეორე) დედაშენის
- მამამისის
- ეს რა იყო ადრე?
- ნალია იყო
- შენ გააკეთე?...ნალია აქ ქონდათ? ამ ადგილზე რა იყო ებოში, სხვა რა იყო? სახლ ქონდათ, ნალია ქონდათ? სამანლული იყო?
- სამანლული იყო....
- საბზელი არ იყო?
- სიმინდი ქოი...
- არა, საბზელი გაგონილი გაქვს საბზელი?
- სიმინდი ფხული-მუხლი...თქვი...(სხვა რესპოდენტი)
- კი სიმინდი, სხვა? თავთავი, ლობია...პური....კიიი.....სურუნჯი არ იცი?
- რამე არა...რამე რაი...
- სახლში რა საჩმელეფს აკეთებდით?

- საჩ(ჭ)მელები?
- ჰო
- ლობია, ფხალი..
- სხვა?
- სხვა არაფერი...
- მალახთო? მალახთო გახსოვს?
- ჰოო...
- რატო არ მითხარი? მაშინ ფაფა? ყურძნის ფაფა?
- ყურძნის ფაფა..კი
- იმ პურიდან გაკეთებდით იმ ფაფას?
- ტყემალისა
- ტყემალს რა?
- სხვა რა იყო ეზოში?
- სიმინდი მოვხარშავ...
- მოვხარშე რა ლამაზი თქვა და არ ვიცო (აბდულა ჩელები)
- ხილი რა იყო ეზოში?
- ვაშლი, ფხალი (მსხალი) თხილი..ყურბენი ჭებუი (ლაზჩა) (წაბლი) ჭებუი ჭებლი
- ზღმარტლი იყო? ზრმარტი მუშმელა, ბალი?, ვიშნე?...
- ბალი არა ვიშნე...ბალი ბელი თუფლია (თაფლი)
- მწვანილები რა იყო? ხახვი იყო მაკიდო სხვა?
- სხვა ...ქინძი, მაიდონუმი პიტნა// ნანე იყო...
- შენი შვილი არ ლაპაიკობს არ გეხმარება...
- თხილი იყო...
- კაკალი თუ ნიგოზი?
- კაკალი ნიგოზი არა
- ტყეში რა იყო ცხოველი?
- ზროხა
- ზროხა –სახში. ახორში...ზროხა გეყოლებოდატყეში?
- კი, ზროხა დავაბანდი...
- სხვა რა იყო ზროხას გარდა, ცხვარი იყო?
- ცხვარი იყო
- სხვა? თხა?
- თხა..
- ქათმები გყავდენ?

- ქათმები
- იხვი?
- იხვი ნე?
- იხვი რა არის? ორდექი
- სხვა...ბატი?
-
- ტყეში რა იყო, ტყეში გელი იყო?
- ტყეში შემა იქნება...
- ტყეში კი შემა იქნება...თუ მოჭრი შემა იქნება...
- იიის...ცხოველებიდან რა იქნება
- გელი რა...არის
- გელი დათვი აირ
- ახლა არის დათვი?
- ახლა არა
- სხვა რა იქნება
- გუელი...
- გველი...კურდღელი? კურდღელი არ იცით?
- არა...
- დათვი იცით, გელი იცით გელი არ იცით
- გეის ვიტყვით
- შევლი? არ გახსოვს ტყეში რა არის?
- ადრე ნადები იყო, ხო ნადები, ნადი იყო
- რაფერ აკეთებდით ნადს?
- საჩმელეფს გავაკეთებდით რავიცი მე....
- საჩმელეფს აკეთებდით, რომ ნადზე მოვიდოდნენ..იმათ საჩმელეფს მისცემდით ხო?
- იქ სიმღებები რაგაცები იქნება თუ?
- იქნება...
- იქნებოდაგახსოვს იმათიდან..
- შარქი-მარქი, სიღმერა-მიღმერა იქნებოდა
- გახსოვს?
- ამ მახსოვს
- რა გახსოვს ახლა იმათიდან?
- ფიცარი...
- სიმღერა...სიმღერა რას გაქვს..სიმღერა ცეკვა

- არა ნუ იმღე და სიტყვით თქვი
- ძველი ლოცვები გახსოვს ლოცვები?რომ ავად გახდები...შერცხვა და არ მღერობთ-ვიცი
- არ მრცხვენია, მცხვენია აახლა მე?
- ლოცვები იცი?
- ვიცი
- რას ილოცავდით, რომ ავად გახდებოდა ბიჭი, ქალი, კაცი, რომ ლოცავდით....თვალი რომ ეცემოდა თვალი რომ დიეცაო ამაზე....რას ულოცავთ
- ვიკითხავდით და რა ვიცი
- რას იკითხავდით?
- ყუბელა?????
- ასეთი ლოცვები არ იყო თუ?: ალიოსა მალიოსა, შეგილოცავთ თვალისასა შიგნისასა, გარესასა...“
- ჰაიდან მოგაგონდა არ იცი ახლა? ..შენ მგონი ესენიც იცი, ცოტა გახსოვს....ცოტა ახსოვს მე ასე მგონია...მე ვიცი და მე ვამბობ, მე არ მცხვენია და შენ რატომ გცხვენია. ახლა ჩვენ რომ თვალი ეცემა ჩვენ ასე ვულოცავთ:
„, ალისასა მალისასა, შეგილოცავ თვალისასა შიგნისასა გარესასა ცხრათებური ქალისასა მოვიდოდა შავი წყალი მას მოჰქონდა შავი გველი ჩავყავ ჩემი ყავარჯენი, ამოვყევი შავი ქონი გავაყევი შავი გელი.....“
- არ იცი?..
- არ ვიცი
- მანიები მანი იცი? დოულექსავდით ერთმანეთს? ლექსები?
- შევეკითხავდით ერთმანებს ესე
- შევეკითხვა რაფერ იყო?...მე შენზე მეტი ვილაპააკე სენ არ დემელაპარაკე....ახლა თქვენ რას იტყვით რავახართ თუ იტყვით, რაფერ ხარ თუ იტყვით?
- რა სოიხარ, კაიხარ თუ?
- რა სოიხარ,,ლაპარაკი თუ ლაპაიკი თუ რომელი
- ლაპაიკობ...რასოი ლაპაიკობ?
- ლაპაიკობ...
- მაგრამ არ გახსომს ადრე ნადზე რას იღმერებდით. იმას არ ამბობ.., ისინი არ გახსოვს?...ქორწილი რაფერ იყო, ქორწილი? რაფერ, რაფეი თუ რაფერიმე...
- რასოი დაქორწილდი?

- ახლა მითხარი, რა...გეკითხები რასლი მოგთხუეს, მოთხოვა ხო? რომ რასლი ბიჭის კუთხე მივა გოგოს კუთხეს მოთხოვს...რასლი მოგთხუეს?
- რა მომთხუეს?
- ვინ მოიდა მოთხოვნებაზე, ვინ მოიდა იმ დროს...შემალი(შუამავალი)...
- ვინ მოვდა?
- ჰო ბიჭის კუთხიდან ვინ მოვდა?
- ბიჭის კუთხიდან მოვდენ და
- ვინ იყვნენ არ გახსოვს?
- არ მახსოვს..
- და მოთხუეს შენი თავი, რა საჩუქარი (საჩუქარი იცი? ჰედიე) გახსოვს? საჩუქარი
- რა გაჩუქესო?... (სხვა..)
- ჰაა...ქართულად არ შემძლია
- ქართულად მჭირდება მე...რა გაჩუქეს...კაბა?
- ყველაფერი რაც იტყვის
- ყველამფერი
- კაბა გაჩუქეს... სხვა? ლაჩაქი?
- ყოლაფეი იანე!
- პერანგი?
- პერანგი წინდა
- ფეხზე ჩასაცმელი?
- ჰო
- სხვა?...ბეჭედი?
- არ ვიცი
- ბეჭედი რა არის?
- იუბული... მაწკინდი!
- დუგუნი რასლი იყო?
- კაი იყო...კაი იყო ლაბჯა...რა დლა...
- რა დლეს იყო? შაფათ-კვირა, ორშაფათი სამშაფათი ოთხშაფათი ხუთშაფათ...არ გახსოვს?
- რამდენი დლე იყო? რამდენი თუ რამდონი?
- რამდონი
- რამდონი დლე იყო...
- არ ვიცი, მე არ ვიცი
- ერთ დლეს, ორ დლეს?
- ერთი, ორი...ორ დლეს

- ორი დღე იყო...სახლიდან ვინ გამოგიყვანა?
- (იცინის...) იცის და არ ლაპაიკობს ჭო///
- არ ვიცი..
- იცი, ძალიან კარგა იცი...
- სახლიდან რომ გამოდი ვინ გახლავდა? ვინ?...იქ ნუ უყურებ ახლა, შენ აქ კითხო...ვინ გახლავდა სახლიდან რომ გამოდი?...შენ ძმამ თუ გამოგიყვანა სახლიდამ?
- ჰო...ძმამ
- და? და გყავდა?
- ჰო...სხვა რამე არა
- ცხენით თუ გამოდი? ცხენი თუ იყო?
- ცხენი რა? არა იცი?
- ცხენი თუ იყო, ხარის არაბა თუ იყო
- არაბა იყო
- არაბა იყო? არაბა იქნებოდი, თქვენ ზენგინი ყოფილან,,,არაბათ ჩამოსულან
- დუგუნზე საჩმელი იყო ხომ? რა აჭამეს?
- ყულაფერი ჭამეს...
- ყველამფერი ხო..
- არ მელაპარაკება ჭო რა ვქნა
- კარქა იცის, კარქა..
- იცის და არ ლაპაიკობს
- ძალიან კარქა იცი ...მოაგნდოსნა...სენ ახლა ქართულიდან გამოსული გოგოა იმას ელაპააკე
- რა ქვია იმ გოგოს? სქართველოდან რომ ჩამოვიდა მითხრეს
- ვილაპააკოთ აბა მოიდოს....მიყურე...ქორწილზე თქვენ დუგუნზე ისამეს?
- ისამეს
- ქალებმა და კაცებმა ერთად?
- ქალებმა აირ და კაცებმა აირ
- ერთად რა ისამეს ის გახსოვს??
- ყველაფერი ისამეს
- რა ჰქვიოდა ის სემეს...
- დამავიწყდა!
- ყველაფერი დაგავიწყდა?..

გოლაქა

მთქმელი: ფეხები ჩელები

24. სულტანუნ ქეჩი ყულახლარი ვარ!..

ერთი იყო, ერთიც – არ იყო. იყო ერთი სულტანი-ქი, თხადს ყურები ხქონდა იმასა. სადგე თხადს ყურები ემბა. ამა, თმად დიდი ხქონდა, იშთე, სხვანები ვერ ხედვიდეს, თმადსი შიან არ ჩანდა, დაა! ზათინ, კაი სულტანი იყო იგი სულტანი: ჰეჩიმლუდი, ჰუქუმათი სულ კაი ხქონდა, იშთე, ლამაზობით, კარგობით. ერთი მისი ბერბერი ხევანდა, იგი კრეჭავდა თმასა-ქი, თხადს ყურებიც რუმ ხქონდა, სადგე იმან იცოდა.

ზათინ, რამითი ხანმაც გევდა და მოკდა ის ბერბერი. დაბერდა და მოკდა. რა ქნას ახლა, სულტანმა, თმად რაფერ-ნა გეევრიჭოს? ხოდა, ასწია და დუძახა მისი ვეზირებსა, რომე: „წადთ, გეარევით, ვინცხა რუმ ენ კად ბერბერი იყოს, მომიყვადთ!..“ – ასე უთხრა. წევდეს ვეზირები, გეარ-გამეარეს, დედიეს, მონახეს და მწყვანეს ერთი კაცი. გახედა ამფრათ, იმ სულტანმა იმასა და კითხავს, ქი:

– შენ მუსლიმანი ხარ თუ?

– ელჰემდულილლა, მუსლიმანი ვარ!

– ბერბერი ხარ თუ?

– ალლაა შუქურ, ბერბერი ვარ!..

– მად ნამეტურ კაი, მარა, ერთი რაცხად მარიფეთიც რომ გეგნო, თჷ ახირზამანუნ კადარ შონახონდა?

– ბისმილლა, შევინახონდა!..

– ნამეტურ კად. მოდი, ხეგმეტი ქენე!..

დადგა ახლა, მისას ეს ბერბერი, დეჟდუმლა წინ ეს სულტანი და ხკრეჭავს თმასა. ერთი – კრიჭ, უროი – კრიჭ და ჰემენ... ბიჭო! დედნახა, რომ თხადს ყურები [აქვა]. გალიგდა ამფრათ-ქი, ვერც რამედ თქუა, ვერც რამედ ქნა.

– რა დედნახევი? – სულტანმა.

– თხადს ყურებივო.

– ხოდა, მაია ერთი რაცხად მარიფეთი, თჷ ახირზამანუნ კადარ შონახონდაო!

– დროდ უკვეთესიავო!..

არი ახლა, ეს ბერბერი სულტანის ერთად. როდცხა ლაზიმი რუმ ექნება, უკრეჭს თმასა. ჰემ იცის, ხოშ, თხადს ყურებიც რომ აქვა, ამა ჰადმეც არ ამბოლუს, არ იტყვის. მისთვინად მარტო, მის კაკალ გულში აქვა მარიფეთი.

იშთე, არ იტყვის, არ იტყვის და, დასწუხდა-ქი, კაცი!.. სიხინთი ექნა, რომ მარიფეთი იცის და ჰადმენ რომ არ-ნა თქუას, არ-ნა იტყოდეს. იმფერ სიხინთი ექნა, რომ სუნთლა ზაიფი გახთა, ავადეული შეექნა. აი გეგნო ხოშ, მისმა ქალმა და დაჰკითხა, რუმ რა გაგჭირვნიავო, რა სიხინთი ვაქვაო (*ქალი შაიტანის გუვარისია, ჰემენ რამე რომ გაგჭირდეს, მიხთება, ხოშ?*)

– ამფერ და ამფერ სიხინთი მაქვაო, რაცხად მარიფეთი ვიცი და დუაზე ვარ დაყენებული, რუმ ჰადმენ არ-ნა ვიტყოდევო! – კაცმა უთხრა, ბერბერმა.

– შენ მაი მარიფეთი მე მითხარო.

– ვერა, ვერც შენ-ნა გითხრავო!

- ო ზამწნ, ასწიე და გაი ჰაცხან იგზე, დალდალან გეფარევიო. ჰაცხან რუმ კაცისი შვილი არ იყოს, იმფერ ალიგზედ, გასთხარევე ორმო, ჩასძახევე მას მაი შენი მარიფეთი და გერი წამოიო!

- ნამეტურ კაიო!..

წევდა ეს კაცმა, რაფრაც რომ ქალმა იშაყეთი უზამა, მანაც ისე ქნა: გეფარა დალდალან და ნახა, ჰაცხან რომ ვინმე არ იყო, იმფერი ალიგი. გასთხარა ორმო, კად მოღმა გასთხარა და შით თურქულად, ზოვლი ჩახყვირა:

- სულტანუნ ქეჩი ყულახლარი ვწრ!.. სულტანუნ ქეჩი ყულახლარი ვწრ!..

აი, ჩემო ეფენდივ, ჩვენებურად იგი თქმადა, რომე: სულტანსა თხადს ყურები აქვაო. ზათინ ასე ჩახყვირა და წამევდა მის სახში. დედსვენა, გვგდო სიხინთობა - ჩუნქი მარიფეთი დათქუა, მეღსვენა მისმა რუხმაც. არი ახლა, დარაჰათებული, იშთე.

იგიც ამფრად რუმაა, რამითი ხანმაც გევდა და, იმსალიკ, ჰაცხან რუმ მან ორმო გასთხარა, ერთი ყოინჯი გეფარა. კავალი დაფერიშნებოდა იმასა, აღარ ხქონდა და ახალ კავალს ეძიებდა. ბირდემ, იმ ორმოზგე, ჰაცხან რუმ იმან - ბერბერმან, დაა, ემე ქნა, ერი რაცხა ნარის ხედ ასული ნახა. გახედა - მოწონდა: „ამისგნით დავთლი ერთი, ახალი კავალსო“ - ფიქრი ქნა. მოშშრა და დათალა ერთი მისი დალი, კავალი გააკეთა. წამედლო, წამუფინა იგზე მისი ყოინი და გზაში, მოღმა დუჭიბონა იმასა. დახკრა კავალმა ქი, ჰემენ კაცებურა დეძახა:

- სულტანუნ ქეჩი ყულახლარი ვწრ!.. სულტანუნ ქეჩი ყულახლარი ვწრ!..

აი იმაზედაა, ჩემო ძმავო, რუმ: რაცხა გინდა, მარიფეთი იყოს და იმაღვიდეს, როდცხა რომ ღმერთმა ინებოს, მევედეს უნდა მისი ღროდც და ილლა, დედთქუას უნდა. გინდა რაც გინდა, იყავ - შენ ებბედი ვერ დააკავებ იმასა.

დუბჯე

მთქმელი: ქენან მიმარი

25. თქვენ გურჯები არ ხართ? (ფევიზი, აბდულა ჩელეები და ღრმად მოხუცი ქალი)

-თქვენ გურჯები არ ხართ? გურჯუჯე არ იცით?

- დევიფიქრო... კი, კი, გურჯი ვართა!..

-შენ იცი, იცი...მიხდები!

-ქონუშმიორუმ, ააა..

-გურჯისტანდან ჰაიდან მოსულხართ თქვენ? საიდან თუ იტყვით, თუ ჰაიდან თუ იტყვით, რას იტყვით?

-აჯარადან, ბათუმ-აჯარადან

-სოფელებს რა ქვიან?

-აჯარადან რომელი სოფელი იყო? ეს სოფელი, რა ქვია ამ სოფელს?

-აჯარა...

-რომ აჯარადან ჩამოედით, აქაც აჯარა დაარქვით სოფელი...

-არ ლაპარაკობს, რატომ არ ლაპარაკობს?
 -იცის...ცხვენია...
 -არ ცხვენია..
 -აჭარადან რომ ჩამოდით პირველად ამ სოფელში თუ ჩამოდით თქვენ?
 -კი....ბურია გელდილერ..
 -თქვენ რომელ სოფლიდან ხართ? ამ სოფელში დეიბადეთ?
 -აჭარა...
 -თქვენი კაცი ქმარია ხო? ქმარ იტყვით თუ კაც. შენი კაციც აჭარელი იყო?
 - ძველი ისინი კითხო და ადეთები რაღაცები, დუგუნები რაფერ იყო, დუგუნი, ქორწილი იცი?.. დავჯდეთ რაცხა...
 -შენც მოდი, შენც მოდი და ერთად ვილაპა(ა)კოთ... შენ კარგი იცი და შენ ახლა თავად გეშინია!
 -არ მეშინია...

დუბჯე

მთქმელი: აბდულაჰ ჩელები

26. ხუთკანჭილას ხეცია

მე ჩურუქსული ვარე, აჭარლების და გელინი ვარე. ხეცია? ხეციები იმითი ვიცი, რომ, თვალო, თვალო - ვერ დეფთვალო! ბირდემ, თელ ღამეზე აქ მე ხეციები გითხრა-ქი, ერწამად არ გავჩერდე, არ წავყურდე, ბა!.. მე ახლა, ერთი ხუთკანჭილას ხეცია გითხრა შენა:

იყო ერთი და, ერთიც - არ იყო. ერ კაცს, ცოლი და შვილი ხყავდა. ეს შვილი იმფერი კად ქესქინად ვინცხად იყო-ქი, ვინმე ვერ იკავებდა იმასა. ბრევლსა სუმდა, ბრევლსა ჭუმდა და იყო დიდი რაცხა, ქორმუცელი. ზათინ, ის მამამისი უჩივა ნენემისსა, ქი:

- ქალო, ეს ვინ ქორმუცელი რაცხად დასვი, რუმ ვერ გიმიძლიავო! რა ვუყოთ ამასავო?

- რაფერ და რა ვუყოთ? ფადიშადისი კარზედ მიყვანოთ, იქ დავჭტოთ!

მიიყვანეს, დაჭტოეს. ნახეს ფადიშადისი ვეზირებმა აგი ბიჭი, გახედეს და კითხეს: შენ ვინ ხარ, ჰადდამ მოხველ აქაო?

- ვინ ვარ და კაცი ვარე, ხუთკანჭილაი მთქვიავო!

- რადჯები, ხუთკანჭილავო?

- დაალუქ, ერი კაი საჭმელი მაჭმიეთ და მემრენ, რაცხა რომ გინდოდესთ, იმა ვიზამო!

დასვეს, მუტანეს ერი დიდი რაცხად, ჯამუში. ედლო, გახკრა კიბილი, ერ ლუკმაზეც ჰემენ შესჭამა. გაცეცთეს ის ვეზირები და, „კიდვენ რამედ არ გაქვანო?!..“ - ხუთკანჭილამ იკითხა.

ახლა, ერთი დიდი ფილავი მუტანეს. იგიც იმფრათ - ედლო, ერთ ლუკმაზედ ჩახყლაპა. ზედ ორი ფუთი წყალი შეასვა და ასე, პირი გედეფწვინდა: ეე, ახლა ქი გავძეხივო. რა გინდათ, აბა, მითხართო.

– ჩვენი ფადიშახსა ერთი მღვევი რაცხა ედუმშანება და, ეფენდიმ, შენ თუ მას დაჰბორკლი და აქ მეფყვან, რაცხა რომ გასვით, გაჭამეთ, ზედაც კიდვენ ორ მაგფერს გასუმთ, გაჭუმთო!

– კაივო! თქვენ ერთი გუდა, ნაცრილით სავსე რუმ იყოს, ამკიდევით, მემრეც–და ერთი ყველი, ერთი დიდი ბიზი მომეცით, ჩარუხები შემაცვით და მე ვიცით!

გუუკეთეს ყველამფერი ისე, რაფრაც რომ თქუა ისე. ასწია, მეგვიდა ის გუდაი, დეფჩირა ხელში ის ყველი, ის ბიზი, გეარა და წევდა, გითთი, კაიბოლდი! იარა, იარა, იარა, იარა და – ბირ დერენუნ იანინდა გირდი... დელი პირზე გამევედა, დანი. გეფხედა რომ – დიდი მღვევი აქ ყოფილა. წევს დერენუნ იანისინე, იმაჯება რაცხას მისთვინაფ, რაჰათოფს, სვენობს, და! იმან ეს ვერ დეფნახა და ამან ის დეფნახა:

– ჰე! – დუუძახა, – ვინცხა რუმ მაგზე ხარ, გამოფ, ბრუგზე შემიჟდუმლე და იმგადაღმა გამიყვაფო!

– ვინ ხარო? – მღვევი გაცეცთა, – რა გინდებიანო?

– გამოფ და მნახონდაო!

– ერთი, მაქიდან დამანახე, რა კაცი ხარო?

ეფლო ხუთკანჭილამ ერი დიდი ქუა, ქვემე ყველი ამუუდვა, ხელი მუუჭირა ასე და ჰემენ წყალი გაადენია. ყველსა, ბიჭო, განა ქუასა? მარა, იმას, მღვეს ეჩვენა–ქი, ამან ქუას სულ წყალი გაადენიავო:

– უხ, შენ რა ყოფილხარო!.. – დუუძახა.

ადგა მღვევი, გამოვდა დელისი ამგადმოღმა, შამეფუდუმლა ფხარზედაც და გახყავს რუმ, რაცხა ნამეტურ სუმბუქი ექნა:

– ბატონო, რაფერ ნამეტურ სუმბუქი ხარ, რა ხარ?

– ვინაა, ჭოვ, სუმბუქი?! ალლაა შუქურ, ხელი ცაზე მიჭირია, რუმ სუმბუქათ ვიარებოდე, თვარადა, ნახავდი, რამითი ძიმეფც ვარო!

– მართლა? აბა შენ და, ცოტაზე ხელი უტიე, შენი სიმძიმელი მანახვიევო?

ასწია ამ ხუთკანჭილამ ის მისი ბიზი და მღვეს ჩააჭირა–ქი, კისერში! სანქი, ამფრათ ძიმე ვარ და იცოდეო. მღვევი დაგლახთა:

– უუუ, რაფრა ძიმეფ ყოფილხარო?! ამან, უუშვი, ამან, უუშვივო!..

უუშვა ხუთკანჭილამ მისი ბიზი. მეფრახათა მღვემა. წევდა, იარა, მიიყვანა მისას, მის სახში. დასვა, გუუწყო სუფრა და, ბუფრუმ ეფენდივო, უთხრა.

გახკრა კიბილი იქით–აქით ხუთკანჭილამ, შესჭამა მთელი, რაც რომ იყო. მღვევი გაცეცთა ქი, ესე რა არივო? კიდვენ ბრეველი საჭმელი, მეფტანა, დაჰყარა – შესჭამა ხუთკანჭილამ და:

– კაცო, ვინ ხარ შენევო? რაფრაა, რუმ ამითი ჭუმ, ამითი სუმ და ბირდენ დე, ამფერ პაწად ხარო?!

– ამფრა პაწად და მიტონ ვარ რომე, რაფრაც ომ გითხარ, ცაში ღმერთი იმამიჯება, შენ რა გინდავო? ისტერსუნ, კავლი დავდოთ – ვიჭედოთ და თუ მე შენ ვერ წაგაქცივო, მემრე რაც რომ გინდოდეს, იგი მითხარო!

– ოლურ, ვიჭედოთო!

იგინმა ხუმ დეფქედნეს ახლა და, ხუთკვანჭილას ამფრად, მუჭით ნაცრილი აქვა იმ მისი გულიდამაც ამოღებული. ასწია და შიან თვალეში შდაყარა, ჭედობიხან ასე, ილლეთი უქნა მდევსა. იგიც და ჰეფთენ ქორი რომ შეიქნა, დასძალა ქი, ამან და წამუაქცივა. დახბორკლა და დასდო იმფრად, დაბორკლილი, არაბაზე. გადახკრა არაბის ხარსა წკეპელი და ფადიშალისი ემესას წედლო. ეს ხექიაიც აგზედ დათავდა.

დუბჯე

მოქმელი: აბდულაჰ ჩელები

27. აჭარული ხუთკვანჭილა

შენ აჭარლებისი ნათქვამი ხუთკვანჭილა არ გეცოდინოს–ნა, ეფენდო. ჩურუქსუვლების სხუადა და აქავრი, აჭარული კიდვენ იმფო სხუადა. აბა, დიმიყურე[ვ] ახლა:

ყოფილა, არ ყოფილა და, ერ კაცსა, ეფენდო, ცოლი და შვილი ხყოლია. იგი შვილიც ისე ქესქინადა რამ ყოფილა, რუმ გედსხრიკვიდა, გედბინავდა, ადამუნ ოლლი ვერ ესწევოდა იმასა. „ვორისი მაგიორშივო, ხუთი კვანჭილა აქვაო!“ [კვანჭილა – ფეხის ტაბანი, თქუენ არ ვიცო–ქი, რაფრად იტყვით!] – უჩივოდეს იმასა. ამფრათ, დაათქვეს ქი „ხუთკვანჭილა“.

ეს ხუთკვანჭილა გაზდამდინ მის მამისის სახ[ლ]ში იყნებოდა და რუმ გედბდა, რუმ კაი დელიყანი იქნა, დუუძახა, უთხრა მის მამის, რუმ:

– ბაბი, მე გევევარო–ნდა, წევდე, ჰაცხა რუმ ფადიშაი ჟდანა, იგზე მივდე, მას ხეზმეტი ნა ვუქნავო!

– ალლაჰუნ ემრილე, რაც რომ გინდოდეს, იგი ქენევო!

წევდა ხუთკვანჭილამ, ფადიშალისი ხეზმეტისი საქნეველადა. მისლიხან, ვეზირეფ უთხრა, ქი: მე იმფერი კაცი ვარ, უმ ყველაფერი ხელზე ამდის, თქვით, რაც რომ გინდანან, გავაკეთო!

– კაი, დაა! – ვეზირეზმა უთხრეს, – ოზამან, წადა ახლა და ბილად–ეს–სუდენში რომ ერთი დიდი მდევია, იგი მეფყავო.

– ბაშ უსტა!

წევდა. იარა, იარა, იარა – ცხრადა მთად გედიარა, მეათეფც გამეარა და, მივდა იმსალიკ, ჰაცხან რუმ იგი მდევია. დედანახა, რომ მდევი წევს, დელიპირს ასე, ძინავს და ქი ხრუვილოფს. ამან უძახა ქი:

– ჰედ, მდევო!

– ვინ ხარ, რას მალვიძეფო?! – მდევმა.

– მდევო, შენ ახლა შენთვინადა წაყურდი, ადექ, ამკედროზედ გადმოი და მეკკედროზე გადამიყვად!

მდევმა გახედა, რომ ვინცხა პაწადა კაცი[ა]. იკვირა: ეს ვინ არივო, ამა ხუთკვანჭილადაც ხუმ იმფრათ ქიბრობდა, რომე, შეიშინა–ბილე. გედევდა იმკედროზე, შამეიჟდუმლა ბრუგზე იგი და გადმოყწავს... ხოდა, ეჩვენა, რომ ნამეტურ სუმბუქი ეს. კითხა, ქი:

– ჭოუ, რაფრა ნამეტურ სუმბუქი ხარ, რატონ ხარ?

– მდევო, შენ ახლა შენთვისინად წაყურდი, თვარადა ერი იმფერ ზოფად გაჭამო–ნდა, სულ ზრუგში გადაქტეხო! მე რუმ ცაში ხელი არ მეჭიროს, ძიმეც ოზამან გენახავო!

– ამან, ერთხან გუუშვი მია ხელი ცასა, ვნახო, რასოდ ძიმედ ხარ?

ხუთკვანჭილამაც – სანქი იმავეიჯებივო, ჯიბიდამ ერთი ბიზი ამედლო, წუუშვირა მდევესა და ჩახკიდა ზრუგში – ჰანე, ჩემი ძიმობავო!

– ამან, ამან!.. მოხკიდე, გერი მოხკიდე, ჩამიტყტა–ქი, ზრუგვივო!

ამფრად მივდენ ქი მდევის სახ[ლ]ში. ახლა, იმ მდევესა სუფრა დუუდგა, ლამაზობით და კარგობით. მდევი ჭამს და ეძგმატუნება, ხუთკვანჭილამაც – სანქი ჭამს, მარა იმ ტაბლამს ქვემ ყრის ხორცი–მორცი. ტაბლამს ქვემ პაწად ქოფელია და იგი ჭამს, უხარია იმასა. ასე იყნეს და მემრე მდევესა – ახლა, შერბეთი დავლიოთ–ნაო. გამედტანა იგიც, დეისხა, იქით ხუთკვანჭილას დუუსხა, დაალეგია. მემრენ კიდვენ მიზდა დეისხა, დალია. დედნახა ხუთკვანჭილამ, რომ ამას შერბეთი ნამეტურ ხევესი უქნიავო. ასწია და შით, უჩმალად წამლობა ჩუურია, შით ჩუურია–ქი, დალიოს და დედძინოს–ნაო. დალია მდევესა და დეიძინა, დეიხრუვილა.

აგიც იქნა, ლამაზობით, კარგობითო! – ხუთკვანჭილამ. ასწია და დაკოჭა იი მდევი, სულ ნამსხვანებშიდ თოკი იმფერ გუუჭირა, რომე ძრას ვერ იქმოდა. შესდვა მემრენ არაბაზედ და დახკრა ხარსა მათრახი...⁷⁷

დუბჯე

მთქმელი: აბდულაჰ ჩელეები

28. მზესი გოგო

ყოფილა, არ ყოფილა, ერთი ბებერი და მისი ქალი [ყოფილან]. აგინს შვილი არ ყავდეს და ძალვან დადუშუნებულან, რომე შვილი რატონ არ მოგვეცავო. ერ დღეზე, ამფერ რომ ზიან და ტირიან, ერთი ვინცხა ჩაჩნაბერი კაცი გამედარა გზაზე:

– რა იქნა, რა გატირილეთ? – კითხა აგინსა.

– რაფერ თუ, რა გვატირილეთს?.. შვილი არ გუყავს, ეფენდოვო! ხოდა, ამფერ შავ დღეზე გაჩენილი ვართ და რაფერ არ ვიტროთო?

– მაი ყოლაი საქმეია, – ჩაჩნაბერმა უთხრა, – აგი ვაშლი ამართვით, სალამოზენ გაშჭართ, ორნივემ ერთხელად შჭამეთ, დედძინეთ. ცხერა თვეში ქალი ბალვ დასვანს, იმფერ ლამაზი არ გენახონ რამევეო!

ხოდა, მისსა ი ვაშლი და წევდა, გედარა. აგინმა არ დუჯერეს იშთე, ამა ტირილით აღარ იტირეს. სალამოზენ, რომ დაწვენ უნდა, ბებერი ეტყვის ქი, ქალსა:

– ქალო, მედტად ერთი ი ვაშლი რაცხა რამაა, გავშჭრი და შევეჭამოთ, ბექიმა გერჩექ რამე გვიზამოსო?!

– ერი ვაშლმა რა–ნდა გიზამოს?.. – გედცინა მისმა ქალმა, ამა ვაშლი გამედლო, გარცხა, კაი ემე ქნა. მემრენ, კაცმაც შვაზედ გაშჭრა და შეშჭამეს.

⁷⁷ არაა დასრულებული.

გერჩე ქ რომ რაფერც იმ ჩაჩნაბერმა თქუა, ცხგრა თვეში ქალმა ბიჭი შვილი დასვა იმფერი, იმიდან კაი სადმე არ იყნებოდა. გეფხარა ოზო-კარმა, კაცმა ყურბანი დაკლა-ქი, ღმერთსა მადლობა უთხრას. ქალმაც ბაღვისი დაზდა დეფწყო. აგი ბაღვი, ჩემო ძგმავ, იმფერია, რომე, ეგერ სხუნანები ერ წელში იზდებიან, იგი - ერთ ხაფთას ყოფნოფს. ხოდა, დეიზარდა, გახთა კაი დელიყანი. ახლა, იმას არხატაშები გუუხთა, იქით-აქით, ორთალოღზე კაი ბაბა იგითიც იქნა.

ერჯელ, რომ ეს ბიჭი მისი არხატაშების ერთხელად კაკარიზმას ითამაშეფს (კაკარიზმა არი იგი, რომ პაწად რგვალი ბურთებია, ამფერ და გახკრა-ნა, ერთი-ერზე მიაწყო-ნა), ვინცხად ბებრუცუნა გამეფარა. წყალი მოხონდა რომ, გუგუმით. ამ დროს, ამ ბიჭმაც გახკრა-ქი მისი კაკარიზმა, იმან ისტკვლიცა და იმ ბებრუცუნასაც გწტეხა ის გუგუმი. გაბღებდა ბებრუცუნად და დახქოქა, რომ:

- ნენეშენს რომ ერთი ხყავხარ, გლახას ჰიჩ რამეს არ გეტყვი, ამა მზესი გოგო მამუყეთი გეყნასო!

ის წევდა, გეფარა და ამ ბიჭსა ფიქრი ექნა, რომე „მზესი გოგო ვინ არივო?“ ასწია და მის ნენებ და ბაბოს ხკითხა:

- მზესი გოგო ვინ არი, ჰად არი, ჰად-ნა ვეძიოვო?

- ად, ოღლუმ!.. - ბაბომ უთხრა, - მზესი გოგო იმფერ დიდვან თაზე ჟდანა, იქნობამდი შენ ვერ ეხვალ და კაიბოლურსუნო!..

- ნიჯე კაიბოლურუმ? ჰადაა მაი თა, რაფერ იგზე ვფაროვო?

ბაბოდ დაწუხთა. ჰიჩ ბირ შედ დემედი, ამა ბიჭმაც ყელში მიაჭირა: რაფერ იგზე ვფარო, რა ვქნა-ნდავო და, ენ სონინდე, უთხრა, რომ: იშთე, ედგერ რომ გზა გადადის, იმას გახყეფ და ნე სალა დუუწირიხო, ნე დე - სოლა, ასე სტორზე ფარეფ და თამდინ მიხვიდე. მემრენ, თი ძირ დაჯექ და დიდი კართალი რომ დაფრინდეს უნდა, იმას მოაჟდუნდი ბრუგბეფო. ისი პაწად ქი გეფსხრიკვის, მარა არ ემე ქნა და თესლიმი გეყნებავო. თესლიმი ყნას მემრენ, თაზე აგიყვანოს-ნა იმანო. იქაც, თაზე, მერდივენია, იმას აუყეფ. მერდივენის მემრენ დიშ კაფი ნახო, შიან შედ და დედმალეფო. იგზე რომ კად ლამაზი, ალთუნსაჩლი გოგო გამეფარს, იგია მზეფს გოგოფ, იგი შენ დეიჭირო-ნდა და, ვინემ ხანუმლოდე ყაბული არ იყოს, არ-ნა გუუშვავო. გეფგნეფო?

- გეფგნეფო, - უთხრა ბიჭმან.

ერთესი დღეზე, ადგა, კად-კად რაცხიები ჩეფცვა მიზდა, სილაღი, ტაბანჯა, ყამა, ყიღიჯი ზედვენ ედკიდა და წევდა. წასლამდინ, მის ნენეს და ბაბოს ერთი ბურთი მისსა და უთხრა, რომე:

- აგი ბურთი ეგერ დეფუშვის, მე ცოცხალი აფარ-ნა ვიყნე და მამშინ მიტირეთო. ეგერ ჰიჩ არ დეფუშვის, ჰაცხან ვიყნები - საღი ვიყნები და დერდი არ მიზამოთო!

წევდა ეგი და დაჰტია ნენედ და ბაბოდ სახ[ლ]ში. პაწად იარა, პაშტად იარა, გეფარა ი გზად და გევდა თი ძირში. აგზე, რაფრაც რომ მისმა ბაბომ ემე უზამა, ისთე ქნა - დუუყურა კართალს და დათესლიმების უმალ ბრუგბედ მუაჟდუნდა. იმან თა[ს] ზეით ეყვანა. იგზე

მერდივენს უყვება და დიშ კაფისი შიან შევდა. ჩაჟდა იქა ასე, ჰაცხან, რაცხას მიემალვა და დედწყო მზედის ასულის ყურება.

ენ წინ – ხედავს, რომე, – მთუარისი გოგომ გამეფარა. ყარაგდობია ესე, რომ ჰინ დუნდაზე მისი ბედელი ვერ ნახო. ხელი წუცთა-ღარმე, მარა ზათენ დაყენდა, არ ქნა. ის გოგო წევდა იქით მისთვინად და ახლა, მზედს გოგომ გამეფარა. ალთუნსაჩლია ესე, რომ გერჩექ მზესავენ ნათობს. ხოდა, ამას გუდუხტა, ჩეფჩირა, აღარ უშვა:

– შენ ძმა და მე დად, გიმიშვი ხელივო! – გოგოდ უჩივა. არ გუშუშვა: ბეჩი კ'არაა?!

– შენ კაცი და მე ხანუმივო! – ახლა უჩივა. ახლა გუშუშვა: მე შენ სიზმარში გნახევი და აქ შენ ბარობად რომ მოველ, ჩემსას-ნა წიგიყვანოვო! – ბიჭმა უთხრა გოგოსა.

– ამან, ვინემ შენ წიმიყვან, ერთი დიდი აჟდიარი დაკლა-ნავო, – გოგო უჩივა. გეფხედა ამ ბიჭმა და ხედავს, რომ რაცხად დიდი, ასე ამფერ აჟდიარი იგნებისკენ მოფრინავს. დედრო მისი ყამა და ყილიჯი, უქნივა იმასა, ამა ჰეჩრამ ვერ უქნა. კიდვენ უქნია – ზათენ ვერ უქნა. ოზამან, გოგომ უძახა:

„შენ ბიჭო და დელიყანო,
შენფერ დელიყანის შვილო,
ყამა გააგდევ განზევო,
გჟურზი გადახკარ თავზევო!“

გეფგონა ესე იმ ბიჭმა, გააგდო მისი ყამა, ასწია გჟურზი და გადახკრა თავზე აჟდიარსა. იმან ჰფუუუუ-ო, დედძახა, ცეცხლი გახყარა პირიდან, ცხვირიდან და ჩეფფუშა, ჩეფლენა იქ ჰაცხან ღელე-ღურდნეფში.

იმ ბიჭმა ის მზედს გოგოდ ითხუა, წამეყვანა და ამფრათ დავათავე ეს ამბავი. შაბაშ!..

საქარია

მთქმელი: გულფიკარ ნიშანჯი

29. თირინნი ჰორირამა

აბა, ბიჭო, დავჰკრათ ფეხი,

(თირინნი ჰორირამა!)

სიძე მოდს, ვისამოთო!

(თირინნი ჰორირამა!)

სიძე მოდს, მოკურცხლავსო

(თირინნი ჰორირამა!)

ჰემ მაყარი მოხყობავო

(თირინნი ჰორირამა!)

ჰემ ბეშლული მოხქონდათო

(თირინნი ჰორირამა!)

ჰემ არაბას იჟდენავო

(თირინნი ჰორირამა!)

ჰემ დოდოფალს უჭიჭინეფს
(თირინნი ჰორირამა!)
ვერ ხედავს და დაწუხთავო
(თირინნი ჰორირამა!)
ჩვენ რალა ვენათ, რალა ვენათო?
(თირინნი ჰორირამა!)
ვისამოთ და გევხაროთო!

ესე არი ესქი თირინნი ჰორირამას სიმღერა. ამას ჩვენი დიდვანები, ოღლუმ, დუგუნზედ იმღერდეს, სიძეისი მოსლის უმალ.

საქარია

მოქმელი: იპსან ნიშანჯი

30. ჩორბას გაკეთება რაფრა უნდა

ჩვენი აქა, გურჯები ჰეფთენ სხუაფერ ჩორბას ვიქამთ. თურქები, ფომაქები და იგინიც – ჩვენსგან სხუა ჩორბას იქამან. გურჯიჯა ჩორბა მათსაზედ კადა, ქუმუმ, ხო იცი?! გავა, გეარს ეს ქორონა-მორონად, ჩამოხუალ აქა – ნახავ. ახლა, ბილგისადარიდამ გაგაგნებოვო:

ენ წინ, პაწად სოლანი, ნიორი, ქინძი, მაკიდო ერთმანეთ-ნა შანაყო, შენაყვის უმალ, იგზე გადადეთ იმასა და კარდალას გადმეილეთ. შიან ჩაჰყრი, იმ კარდალაში, ყარტოფსა, დუუსხში წყალსა და ადუღეთ, მოხარჩავ კად ლამზბათ, ბორზე მოხარჩავ, მემრენ ამეილეთ. მოხარჩულ ყარტოფსა ადრზე გაშეჭყყავ, გაშეჭყყავ, იმფერ გაშეჭყყავ, რომე ფაფას ბედელზე იქნას. მემრე იგზე დადეთ იმასა და წყალში ჩახყრი ხორცსა. ხორცსა ბორზე მოხარჩავ, მოხარჩავ, მოხარჩავ ქი, ამეილებ და დასჭრი. იმ ნახარჩ წყალშიც ახლა, ყარტოფის ფაფას ჩახქნი, გურეფ იმფრად, რომე ჩორბასი წვენი იქნას. იმას შესდგამ ახლა პაწად ცეხ[ლ]ზედაც, იდულოს-ნა. მოდუღდება და ის შენაყვილი იგინი გაქ, ხომ? იმას დუურთავ შიან. ასე ემეს უქნი⁷⁸ დიდი იმითა... კოვზი არ იტყვით თქვენ? ხო, კოვზითა. მემრენ იმ დახარჩულ ხორცსა, დაჭრილი რომ გაქვა, ჩუყური იქ შიან, იმ წვენში. პაწად მოადუღო-ნდა კიდვენ და – შაბაშ, იქნა ჩორბა! დაჯექი და ჭამე.

საქარია

მოქმელი: სედაპან ალი კუიუმჯუ

31. ხოჯა ნუსრედინისი ამბევები

ხოჯა ნუსრედინისი ამბევები ჩვენი აგზე ბოვლი კად და ბევრი ითხრობნება. დიმიყურე და გეტყვი იგნებსა, ჭოვ!

⁷⁸ ხელით, მორევის იმიტაციას აკეთებს.

ახლა, ენ წინ, ეს ამბავი მოგიყვებოდა: არი ხოჯა ნუსრედინი და ხარბი იქნა. წევდა აგიც და იხსუბა. მოდიან ახლა უკან ასკრები, მოკლილი დუშმნების თავები მოაქვან, ასე გეურბზე აცმული, მოდიან და მოაქვან. იგნებში ხოჯა ნუსრედინიც არი, მოდს და, მოაქვა გეურბზედა გაცმული ხელი კაცისა, მოჭრილი. დანი, თავი კ'არა, ხელი.

- ეჰო რა არივო, - უკითხეს, - თავი არ ხონდა მაქ კაცსო?

- ხონდა, მარა უკვე მოჭრილი ხონდავო! - ამან ჯულაბი ასე მისსა.

მეორე ამბავი: გზაში ერთხელად მოდიან ხოჯა ნუსრედინი და კაბიანი აბაზაი. ზოვლი გძელი გზად აქვან. რა ვქნათ, რაფერ მალე ვიართო? - იფიქრეს და თქვეს, რომე: ორნივემ ერთ-ერთი სიმღერად დავსძახოთო. დაალუქ, აბაზაზე დადგა ენ წინის სირად. დედწყო აბაზამ:

- ვაჰარაააა! ვაჰარაააა! ვაჰარაააა! ვაჰარაააა! - და აღარ დაამთავრა, ასე.

- რა ამბავია, მაგ სიმღერას დამთავრება არ აქო? - გაბღღმა ნუსრედინი.

- ჰალა რა ქენ, დაალუქ „ვასარა“ არ მითქმიავო!..

მესამე ამბავი: ხოჯა ნუსრედინი წევდა ისტანბულს. იგზე რაცხა პაწად საქმეი ხონდა და, რუმ დააკეთა, მასუკან - ვინემ გერი წემევდოდა აქითა, - ლაზიმი ექნა. სოხახში იყო, მოვდოდა, ამა ლაზიმი ექნა და რა ქნას?

შევდა ახლა ჰაცხან, მიმალვილ ალიგზე, ჩეიკუნცხა და ქნა, ამა ჰაცხადან იყო, ფოლისი დაადგა თავზე: აქ რა ხქენ, ეფენდოვო? აქა სოხახია, შეერი ალიგია, თუვალეთში ზათენ გეველო და იმფრად გექნა, აქ რა ხქენო?! - და ოცი ალთუნი აართუა ჰემენ იმასა.

ხოჯა ნუსრედინი გაჩქურდა. ოცი ალთუნი მიცემას უკან, ფიქრი ქნა, რომე: ჰალა, აგი ჰა წევდეს უნდა, რა ქნასო? - ფოლისზე ქნა, დანი. წევდა ისი და გახსუა ეგიც, უკან გახსუა უსულ-უსულა.

იარა, ფოლისმა, იარა და ერთ ლოკანთაში შევდა. ორი ფორსდონი ჩორბა ედლო დაა, იმ ოცი ალთუნისი. დაჟდა და ზოვლი დაადდა ზედა, იმ ჩორბასა. დაძლომის უკან, გამოვდა კარში და, შეხტა წინ ხოჯადც:

- ჭოვ, ჰალა, მე თუ ემე არ მექნა, შენ რა-ნდა გეჭამავო?!

ეს ამბავი აქ დავათავოთ.

ახლა მევთხეც: ხოჯამ არაფხა არ იცოდა-ქი, ზათენ, მისი ქოვის ჯამეში იმამი იყო. რაცხა ერთი დუად იცოდა, ერთი სხვადც - დასინი და ეგ იყო. დააყენედა ხალხსა, ჩუდგებოდა მან თავში და სანქი ალოცვიებდა - მისთვინად რაცხა-რაცხას ებჟუტუნებოდა იგზე.

ბირდენ, ერთმა კაცმან გუუგო, რომე, არაფხა არ იცისო. წევდა ყადთან, უჩივლა: ასეა და ასევე. დუუძახა ყადმან ხოჯასა:

- ოლან, სენ არაფხა ბილიდო მუსუნ? - თურქულად უკითხავს.

- ბილიორუმ! - ებნევა ხოჯად. დედნახა, რომ ყადიც ჩვენებურია, გურჯიჯად იცის. ხოდა, სანქი არაფხა ვილოცვიო, დაათქვა გურჯიჯა:

- ვალლაი, ბილლაი, თალლაი, ორი ტომარად ალთუნი მაქვა, ერთი - შენი, ერთი - ჩემი და თამამ, დავათავოთ ეს საქმევეო!..

– რა გინდა, ჯანუმ, ამ კაციზგანო? – ყადი ებნევა იმასა, მომჩივანსა, – იმფერ კაი არაფრა იცის, რომე, ისტანბულდა, ქლათ შეიხულისლამ აჯობესო!

საქარია

მოქმელი: ჯენგიზ შათირი

32. ლაზი და ნუსრაღინ–ხოჯა

ლაზი მემეტი ყოფილა ერთი, მევრედც – ხოჯა ნუსრაღინი ყოფილა. ლაზი მემეტი დეინე, ბალუქჩია, რომ თებზს იჭირავს, გახყიდის, იმფრათ ცოცხლოფს. ხოდა, ერჯელ, დეფჩირა იმან თებზი, წედლო ბაზარში–ქი, გაყიდოს–ნა. იგზე ხოჯა ნასრედინი ჟდუმებულა, ბაზარში. ამას რომ ეს თებზი აქვა, დედნახა, დაწონდა და ფიქრი ქნა, რომე: ამას თელი უჯუზი–ნა ავართუაო. იქ მის არხატაშეფსა დუუძახა, დიელაპაიკა, რომ მე რაც რომ ვუთხრა იმ ლაზსა, თქუენ ქლათ რაზი მიზამეთო. კადვო, – უთხრეს ისნემმაც. ამფრათ, მივდა ხოჯად და კითხავს ლაზსა:

– რამითი ღირს, ბიჭო, მად შენი ძუელი თებზი?

– რადა ძუელი, ბატონო? ახლა დეფჩირვე მთელივო! – იხუვა ლაზმა.

– რაფრად რომ ძუველი არაა?... მე შენ არ მიჯერეფო? ჰადდე, აგნეფს ვკითხოთო! – და, მის არხატაშეფ დუუძახა ხოჯამ, – მოდთ–დეინე, დახედვეით, თებზი ძუველი არი, არ ალი?

– ბაშ უსტა, ძუველია! – არხატაშემმა რაზი უზამეს.

– ოქი ძუველია, ორი ალთუნი მოგცე და დავათათო!.. – სტაცა ხელი თებზსა, გუდუგდო ორი ალთუნი და წამედლო თელი მიზდა. ამფერი დუბარა უზამა ლაზსა.

რამით–რამითი ხანმა რომ გევდა, ლაზი მემეტის ქოვში ხოჯასა რაცხა მისასლეელი ექნა და აგიც მემეტმა გევგნა. გაგნებხან, ამფრათ ფიქრი ქნა, რომე: ახლა გიზამო–ნდა შენ ენ კად დუბარადვო!.. ვორი ჭერელი ციცა–კატად დეფჩირვა თავანზედა და მის ქალ უთხრა:

– ქალო, ამ ერთ კატას შენ დიგიტიეფ, მე წავალ, ხოჯას დავეთიეს ვუზამავ. ერთხელად მოსლიხან, შენ კატად ხელში გყავდეს, ეფერე და უთხარ: „რა კად ქენ, რომე მუსაფირისი ამბავი მომეც“–დეი. სხუადც მე ვიცოდევო!

– კადვო!.. – ქალმა უთხრა.

ის მევრე კატად მისთვინად ეფყვანა და ქი წეფყვანა. წევდა, ჰაცხან რომ გზამედ ხოჯად გამუერონებიათ–ნა, დადგა იქ. დედნახა, რომ მოდის ხოჯადც. ჰემენ ისე დუუხთა წინა:

– ოო, ხოჯა, რაფერ ხარ, რადჯებივო? აქით მოსლა გინებხან, ძალვან კაი გიქნიან. ახლა ჩემსას ნა წიგიყვანო, სუფრაბენ–ნდა გაწვიო მე შენო!..

– დრო უკეთესიავო!.. – ხოჯამაც.

ვინემ სახ[ლ]ში წეფყვანდა, ლაზმა ეს ჭერელი კატად რომ ხავს მიზდა, გუუშვა, ჰემ უთხრა იმასა: წად და ჩემ ქალ უთხარ, რომე კად სუფრა ემე ქნასო. წევდა, გეფქვა კატადც, ჰა დიეწევი ერცხვა?!.. ასწია ლაზმა და წეფყვანა მისას ეს ხოჯად.

მისლიხან, ხოჯა ხედავს, რომ სუფრად გაშლილია–ქი, რა გინდა უკეთესი! ქალი გამოდის და ეს ჭერელი კატაც ხელში უკავნია, ეფერება: „რა კად ქენ, რომე მუსაფირისი ამბავი მომეცო“ – ასე ებნევა. ქლათ სერსემი იქნა ხოჯად ქი: „ე რა კად კატა ყოლებიავო, ლაზსავო“ და ჰემენ ეტეკა იმასა, მემეტსა:

– ოქი ეს კატად მამჰყიდევ და რამითსაც გინდა, მოქცემო!

– ცოჰ!.. არა, ძმავ, არ გავხყიდი. გავხყიდი – მაგიორი ჰა ვიშოვნოვო?

– ას ალთუნს მოქცემ და დავათათო!

– არავო!

– იქი ბინ ალთუნივო!..

– არავო!

ასე, ბემზინ ალთუნზე ევდენ რომ, გახყიდა ლაზმა ის კატად. ედლო ფარა, ასვა შერბეთი ხოჯა ნუსრედინსა, გუუშვა. ჰემ, მისთვინად გულში იცინის, რომე: „ხოშ აგართვი კად ახივო“ – კად ნიეთი აქვა.

ხოჯა წევდა მის გზაზედ. რომ დაახლოვდა ქი, სახ[ლ]ში–ნა მივდეს, ფიქრი ქნა, რომე: ეს ჩემი კატა დავცადო, რაფრათ იმაიჯებავო?!.. ეყყვანა კატად და უთხრა:

– წად ახლა შენ ჩემსას და, ჩემ ქალ უთხარ, რომე ჩემ მისლიხან კად სუფრა გაშლილი რომ დამახდუმლოსო!..

გუუშვა ეს კატად და წევდა, გედბინა იმანაც. კატად რაფერ ემეს იზამდა, არ უფიქრნია იმ ხოჯასა. მივდა ქი მისას – ჰადაა სუფრა?! ქალი დგას იგზე ჰაცხა, მისთვინად ისაქმავს. დღუძახა ქი, ხოჯამან:

– ჰადაა, ქალო, სუფრავო? კატამ ამბავი არ მოგიტანა?!

– რადს კატა, შენ რას ებლაყუნებივო?!.. კატას ამბავი მოხონდა, მად როდს იყოვო?!!

გაბღებდა ახლა ხოჯა ნუსრადინი. მიხთა, რომ ლაზმა დამატყუვლავო. გედძრო ყამა და გედქვა მის მოსაკლელად. ლაზმა იცოდა ხოშ, ამისი მოსლა, უყურებდა ხოშ, შეხთა წინა:

– მოდ აქ, შენ გამმაზო, შენ არ მოგკლა და ჰა წევდევო! – ხოჯამ უძახა.

– რა იყო? – ლაზმა სანქი, რამედ არ იცის.

– რა იყო და, რაფრა ბალ[ვ]სავე[თ] დამატყვილევ, დედაგასკუჯვილო!.. კატის მოყიდვაში მაძოვნევო!..

– მედცა, მედცავო!.. რა იქნა, რაფერ იქნავო? – ლაზი კითხავს.

ამან მუუყვა რომ, უთხრა ქი [ლაზმა]:

– შენ კად კაცო, სხუაგან რომ წყყვად მად კატად, გზა თუ დააჩუვენე სახლამდინო?

– არავო!

– აჰა, ჩემიდამაც რაღა გინდავო?! გზა უჩვენებლა[თ] კაც უჭირს შეერში წასლა–მოსლად და, კატამ რა–ნდა ქნასო?!..

საქარია

მთქმელი: ჯენგიზ შათირი

33. მუაჯირი მეველუდად

მუაჯირი მეველუდად
ნაქებია კაცობაში,
აბას-ფეჰლუვანი მოჰკლა,
არ შეშინდა იმტონ ჯარში.

ეს სიმღერა იყო მუაჯირ მეველუდაზედ, რომ ერთი აბას-ფეჰლუვანი ყოფილა აქა, ეშქიად ყოფილა, ბოშნადი. იმიდამ ეშინოდა ყუველასა, თურქეფსა, ხქუცვიდა ხალხსა, აშინებდა მისი კაცების ერთად.

გურჯები რომ დაჟდეს აქა, გაქუცვა მუუნდომა აბას-ფეველუვანმა. მისი კაცების ერთად აქ მოსულა, რომე, ფარა ედღოს. მეველუდად დუუხთა იმასა, წითელოლი მეველუდად. არ შეეშინა მისი კაცებიდამ, ესრია და მოკლა. მას მემრედაც, ეს ლექსი ითქუა. დიდი იყო, ამა ამითი ანჯახ მახსომს მე!

საქარია

მთქმელი: კენგიმ ჯელალოღლი

34. ყურძენისი ბეთმეზი

ბირამ აშა... ყურძენი მოვშქართ. ერთის ევლას უკან, ერთი გაწვიმდა. სამ დღე დარჩა. ამა ყურძენი, რაღასი ყურძენი იცი? ახლას ამ ადგილები ტყე გამხდარა, დაუ... ახლა რას ვაკეთებთ? ხან უნდა გავაკეთოთ, ხან უნდა დავრგოთ აქანა. მემრე დედაბალებიც მოვჭართ მიერი დღე, ისიც ვერ ევტანე; ორ დღე დარჩა აქა; მემრე ჩამუედით, ჰავა კაი გახდა. აველით, მუვადუღეთ ყურძენი. დაჭიჭყნა დედაბერებმა, მუვადუღეთ, გემრიელი ბეთმეზი გახდა და ვჭამეთ. რავაია?... – კაია...

ბეთმეზი ამფრათ იქნება, რომ ყურძენს ედღეფ, დაჭიჭყნი რომ, იმას გამშუვა სველი, ხომ?... ე იმ სველს მუაგრუეფ, ერთ იმაში ჩაასხმი კარქა, ლამაზათ და მერე მუადუღეფ. მოდუღდება და გაცივდება, იმ ხანზე ბეთმეზი იქნება. თქვენ შერევი იცით და ჩვენც – ბეთმეზი. შერევი არ ვსუმთ ჩვენ, იმისი სმა ელჰემდუღილლა არ გვეფარძება.

საქარია

მთქმელი: სელმა ჯელალოღლი

35. გურჯების საჭმელები რასოდა

მაღახთოს გაკეთება: ლობიოს დავადგამთ, კარგა მოვხარშამთ, ერთ კოვზიან დავადებთ იალით, მარილით, ბიბერით... კაჭალ დავაყრით. ახლა კაჭალითაც ავადუღებთ... პრასა, ყორალ დავადებთ, შაშპირამი, ენ უკანაზე შაშპრამ დავაყრით. ჩავებღევეთ. საჭმელა ჰაზირია.

ფხალი. ფხალ ჩავყრით; მოვკრეფთ, გავცხავთ კარქათ, გავარჩევთ. ... დავადგამთ იმასაც. ადუღდება იმისი წყალ მოვცლით. ფხალ მოვხარშავთ. ერთი ადუღდება წყალ მოვცლით. თექრედან დულარე წყალ ვასხამთ. იალით, მარილით მოხარშავ კარგა.

ლობოსაც ჩავაყრით პაწას. ერთი-ორი პევშვი უნდა ჩაყარო. ჭადის ფქვილი, რძე...
გავლესავთ ერთ ყაფში კარქათ. ჭადის ფქვილი// სიმინდის ფქვილი.

მარაგვს ვეტყვით, იმას ზეით კარქათ გავლესავთ, ენ უკანაზე დავასხავთ, მოსარეგველი ტახტადები გვაქ, იმით კარქა მოვჩეჩქავთ, ჩავებღვეთ. ნიორი გვინდა. ერთი ქინძი გვაქ, იმაში ქინძ ვურთავთ ენ უკანაზე. ქინძი დანაყვე, დუურთევ - ისე გათავდება ისიც. რაც რომაა, აგია. მარაგვი თურქებმა, ჩინგანებმა, სხუანებმა არ იციან. არც მალახთო, არც ფხალი - აგინი ჰეფთენ გურჯებისი, ჩვენი საჭმელებია.

საქარია

მთქმელი: სელმა ჯელალოღლუ

36. მზემ მუადგა კარსავო

მზემ მუადგა კარსავო,
ადვარდვალეხს თვალსაო
აღარ გვინდა [მ]ზის თუალივო
ახლა მოგვე ცის ნამივო!

ეს იყო, როდცხა რომ წვიმა არ მოვდოდა, ასე იმღერდეს ბაღვები. როდცხა რომ წვიმა იყო და მზე არ გამოვდოდა, იმაში[ნ] სხუაფერ:

ცამ მუალო პირივო
ცავო, რატონ ტირივო,
აღარ გვინდა ცის ნამივო
ახლა მოგვე [მ]ზის თუალივო!

ამ სიმღერისან, ცა მედწინდოდა, ტაროზი კად იქნებოდა, [მ]ზითუალი გამოვდოდა. აქა, გურჯები ენ წინ ამფრად ვამბობდით, რომ „ზითუალიგამჩენმავო“ - აი, რაფრაც რომ „აღლაჰ, აღლა!“ იტყვიან ახლა, იმ მაანაში. ეს, თურმის, გუგნია ერთ ბოშნაღსა და გახვევრენია რომ, ერთი გურჯი ბაღვითენ უკითხია: ამან, „ზითუალიგამჩენმა“ რა თქმადავო?.. ბაღვმა ვერ უთხრა, კარქა არ იცოდა-ქი, გურჯიჯაა!.. ეგერ ეთქვა თუ - იგიც ჯანდარმას ეტყვოდა - ეგინიო მუსლიმანი არ ალიანო, დაა!..

მელენაღზი

მთქმელი: რაფეთ ჯელალოღლუ

37. შვიდობით აჭარა

გააფრინეთ ჩემი სული მისი ღვმა ჭალეფში,
დედბანოს ტანმა მისი მოხხიალე წყალეფში,
მოთქემული სული შიერდოს მისი ბერვა-ქარეფში
ერთი სიტყვა მაქ შენზე, საყუვარელო აჭარა.

შენი შვილები ერთ დღეს მთელი დაცვინდეს გზაში,

გაბარგვითა წასლისთვინ უცნობალი გბეფში,
ენა თუ დიგიკავდა? როცხან გითხრობდნა,
რამ შაგაშინა თქუვენ, რომ დაჰტიეთ აჭარა?!

იქნება ერთი დღეს დავბრუნდეთო – ფიშმანით გედაბარგეს,
უკან ბარსამი ლამწიბი ჩთილები დაჰტიეს,
იცოდონ უნდა: წამსლეელი არ მუა, მომსლეელი არ წევა,
შენაც თუ დავაბიწყდა თქმა ამისი, აჭარა?!

გედარეს – ერთ ხელში საზირი, ერთი ხელშიც – ბაღვი,
ოთხთვალას ყური მიცეს ქლათ, გბაში დარჩმილეშმა,
გახედვა შერცხვათ მეზობლეფს: წამსლეელი რომ ვინ არი?
ჩვენ წეველით, შენ დარჩი და [მ]შვიდობით, აჭარა!..

ერთი კიდომ უკან ცრემლიანი თვალეებით გეგხედეს,
ენ სონ ერთი ფათიხა მეზარეფსაც უკითხეს,
წყაროდს ცივი წყალი ბოლოს კიდვენ ქი შესვეს,
შენზე სიტყვა დაჰტიეს რომ: „შვიდობით, აჭარავ!..“

აგი ზეგნელი მუჰაჯირების სიმღერადა, ჯანუმ. ზეგნებური ენით არი ნათქვამი. ალი იცი ხომ, ერთულრული, ფროფესორ–დოქტორი? ე, მისმა ნენემ დათქვა ესე რომ, მუჰაჯირები თუ ვინ ყოფილან, იმ ბათუმიდამ აგზე მოსულან, ისნეფს უთქმიანო, ისნეფს ფიქრი ამფრათ რომ უქნიანო, დაა! ბათენ, ქიმი აქ ფეხით მოსულა იმ შორითიდამ – ბათუმიდამ გამოსულა, სინირ გადასულა, უვლია, უვლია და თაა დუზემდინ ჰადმენ არ გაჩერებულა. მემრეც და აგზე რომ კაი ალიგები უნახვია, აქ დამუდარა.

ჰაჯი-იაქუფი

მთქმელი: აბდულაჰ ჩელები

38. საფანჯალი ქართუელები რასოდ ვართ

გამარჯობა!.. ახლა მე შენ, საფანჯალი ქართუელები რასოდ ვართ აქა, იმა გეტყვვი, შენ იშთე, კაი შიიყურე მეგზე, რექორდ დააჭირე, შეინახვის ჩემი ნალაპარიკები.

მე გწლთექინ ჩიჩელი მგქვია, მასწავლეველი ვარ საქარდაში ცცხოვროფ, ამა ბაბა ვათანი აქ მაქვა. ჩემი ბაბუას ბაბუა – მეჰმეთი ბაშჩაუში ეთქვა თურქულათ, ქართულათ – მეჰმეთი ზნელაზე, გვარი ისე ყოფილა. ოსმანლის ვალდებულათ ყოფილა აქა ისი – ენ წინ საფანჯაში მოსულა. ბათუმში ვინემ ყოფილა, მაჭიხელში უჟდომლია იმასა, იქ ყოფილა. დოქსან ჯჩ სავაშინდე და, იქ ოსმან იმფარათორლული მედშალა, რაფრა იქნა, ისე იქნა და, მისი ოჯახის ერთად ეს მეჰმეთად აგზე წამოსულა – ათას რუას სამომდა შვიდმეტი წელში, მუჰაჯირათ წამოსულა.

ქართუელები იმ იქიდან აქ ომ წამოსულან, ჩემი ბაბუას ბაბუა – მეჰმეთი ბაშჩაუში დიდი ხნის ყოფილა, ოთხი შუვილის და მამა ყოფილა. ქალი ყოლია ორი, იმ ორი ქალიდამაც –

ოთხი შვილის მამა ყოფილა. რუსები რომ მოვდეს, ენ წინ უთქმია: დარჩივო აქავო, მემეთ ეფენდო, ჰიჩ ხელ არ წაგაკარებენ, რამეს არ გიზამენო – ვინცხა იმას უთქმია, მეზობლის კაცსა. მარა ეს, ჩემი ბაბუას ბაბუა, არ დამდგარა – რაფერ აქ დაჟიე, ოსმანლი ფადიშაისი ვალდებულათ ვარ, რაცხა რომ მაქვა, მისი იგი მაქვა, რაფრა რუსეფს აქ თესლიმი ვექნავო, უთქმია და წამოსულა. ის სადგელი რომ კაცი ყოფილჳ, გემით წამოსულა. მოსულა ენ წინ სტამბოლში.

ახლა, ის სტამბოლი ხომ შეერია, ჭოვ და ეს მაჭიხლელი კაცი იმ შეერში ვერ დაყენდა-ქი, ესე რაფრა იგიავო – ფიქრი უქნია. წამოსულა შეერგარე თარაფში, ქენერში. თაა საფანჯამდინ ისე მოსულა, ჰიჩ ადგილი არ დაწონებია. აგბედა დაწონდა და დადგა სახლი, დაკარდა. ოთხი შვილი აქ დაზარდა, დააკარა, გაათხუა. მემრენ მანაც აქ მოკდა, დოქსან დოქქუბ დაშინდე. აი, რომ შემოხველ, სოლა ერთი დიდი მეზერი ნახევ – ე, იგია მისი, იქ ფლია. მისი გვერდმედაც აქით-იქიდამ – ცოლები დაეფალით.

მეჰმეთ ბაშჩაუშისი შვილებიდამ ერთიც – ენ პაწად აქ დარჩა. იგი მამაჩემის მამა იყო, ჩემი ბაბუა. ბალეები დედეს ვეტყოდით ქი იმასა. ბაბუა რადა, მემრენ ვისწავლე მე ეს, თქუენებური გურჯები რომ ნავხე, იგნებიზგან გევეონე, გავკითხე – მითხრეს: **ბაბუად** ქართულია, **დედე** თურქულიავო და, ბაბუას ვიტყვი ახლა. ზამანზე, ბაბუა ჩვენ არ ვიცოდით, აინი თურქული რომაა, დედეს ვიტყოდით.

ჩემ ბაბუას ხასან დედევო ვეტყოდით. უსტა კაცი იყო ისი, სახლები და ბინები აქ თელი მისი აშენებულია. აქ ვიტყვით რაფრა – მისი დადგმულია. სახლი დადგმა იმა ლაზებიზგან უჭწაულია, უსტა გამხთარა. მე მახსოვს, იმაშინ ისი ბებერი იყო, ამა კიდვენ ხელს იღებდა, საქმობდა. თაა... დოქსან დედლი რადა? (*ოთხმოცდაჩვიდმეტი!*) ხო, ოთხმოცდა შუვიდმეტი წლისა მომკდარა, ჩაჩნაბერი არ ყოფილა, ამმა!

ახლა ამ სახლში მამაჩემი არის – აჰმედად მიქვია იმასა. ნენედ არ მყავა, ნენედს ფეხი მყავა მე. ნენედს ფეხი, იცი რა თქმადა? არა? ხოდა, გითხრა: მამაჩემმა რომ ენ წინ დაკარდა, ჩემი ნენე ითხუა. დაალუქ ჩემი დაა დეეზადა, მემრე მე დეეზადე. მემრე, ერთი ქალი კიდვენ მეფყვანა და, ჩემი ნენედს ხყავდა და იგიც ისე მეფყვანა. ორი ქალი ხყავდა დანი და მემრე, ჩემი ნენედ ხომ მოკდა, ის მევრე ქალი დარჩა, ახლა იგია ცოცხლათ.

ჰაა, თამამ! საფანჯალი ქართულები ამფრათ ვართ. ახლა ქორონას გამოსლაში, სახლში ვართ, გარე-გარე არ დავალთ.

საფანჯა

მთქმელი: გულთექინ ჩიჩქე

39. ემრულას შაირი

ჰაცხან ემრულაც ყოფილა, დელიყანიც ის ყოფილა,
მუაჯირათ არ წასულა, მაჭიხელში დარჩომილა,
ეს რუსები რომ მოსულაც, ემრულად ჭედლათ ყოფილა,
ერთი თოფი ხონებია, ძალგან ლამაზათ ყოფილა!

რუსეფს უთქმიან, უთქმიან: დრასტი ემრულავო,
შენ აგზე რაცხას აფუჭეფ, წამოქვეყე თანავო!
რამეს მე არ გავაფუჭეფ – მალქვაძე ვარ, ჭედლათ ვარო,
თქვენ არაფერს დაგიშავებთ, ქი გევიარ და წავალო!

ამაზე რუსეფს უთქმიან: ჰადმენ ვერ წახვალო,
ყამა-ყილიჭი ეიხსენ, თვარა ძალით აქყარო[თ],
ემრულამა არ ეიხსნა ყამა-ყილიჭივო,
რამითი რუსიც ბეთ მიხთა, გახკრა და ყვინჭივო!..

ესე ძალვან გძელი შაირი ქი იყო, მარა ამითი ანჯახ ვიცი მე, რაფრაც მახსონს. ემრულა იქ ყოფილა, მემლექეთში. ის მუჰაჯირათ არ წამოსულა. წამოდივო – ეტყოდეს მისიანები, მარამ იქ დარჩომილა: მევო, რუსებიდამ ჰიჩ არ მეშინიავო. არ გემინია და, იმფერი ყაილა მუუხთა იმასა: რუსები მოსლაში ჭედლათ ყოფილა მაჭიხელ, იქ რაცხა გლახა ქნილა და ბრალი ამიზდა დუუდვიან რუსეფსა: შენ იზმოდო!.. ესაც მემრენ, თესლიმი არ ექნა – წახტა, თოფი ესრია და გეექცა, გაეშქიავდა. ამფრათ იყო.

საქარია

მოქმელი: ეროლ თოფან ჩიჩექი

40. ეს ქორონა რა ყოფილა

ეს ქორონა რა ყოფილა,
გამოქვევილტა სახლეფშივო,
რაფრათ ამფერ გვა[მ]ყოფინა,
გვაკანკალეფს ჭანჭლეფშივო!

მთელი დუბჯე დეგვლიტა,
საქარაფც მიხყვა თანა,
მუსაფირეფ ვერ დუუხითთ,
ვერ ვისამეთ განდაგანა!

ჩვენ მუჰაჯირი გახლავართ,
აჭარიდამ ვართ მოსული,
ქორონა რამეს ვერ გვიზამს,
ჩინეთიდამ წამოსული!

მე იმ კაცსა რა ვუთხარი,
რატონ სჭამდა ღამურასა?!
აქ ჩვენსას რომ მოსულიყო,
მე ვაჭუმი ფახლუასა!

დუბჯეში ქართველები ვართ,
არ გეგონონ სხუაგნის სოდ,

ეს ქორონა რომ გადავა,
მაქ არ დადგე, ჩვენსას მოე!

ამ შაირის გამომთქმელი
დუბჯედამ ვარ ქართველი
მე ქორონამ ვერ მომკუნტოს,
აღლაა შუქურ, დავჩე მთელი!

დუბჯე

მთქმელი: სინან მიმარი

41. ძველი დედების მოსლა დუბჯეში

იმ იქიდან ამ აქით – დუბჯეში, ძველი დედების მოსლაც ასე ქნია, რომე: ოსმანლი-რუს სავაშინდე, დოქსან უჩ სავაშინდე, ოსმანლის ქოქი აჭარაში მეშალა. ზათენ, რუსების ხელში ჩავარდნილა აჭარად და იმ რუსეფს, ჩვენი დედებისთვის უთქმინან, რომე: აქავო ჰინ ისლამი აღარ-ნა იქნასო და, ვისაც რომ ძუელებურა სულთნის სამსახური და მუსლიმანობა გინდანან, ასწიეთ და ალოსმალეც წადთო.

ამდგარან იგინიც, გამოსულან ბათუმიდან – ბაზი გემითა, ბაზი ფეხითა და წამოსულან. ჩემი ძველი დედები ზათენ ფეხით წამოსულან იმ იქიდან: დაალუქ, ართვინამდი მისულან, ართვინიდანაც ამ აქით მუუსწავლიან ხალხსა, რომ: იქამდინ რუსი ვერ მივა, ვერ დაგეწევათ, წადთ და იქ დაჯექთო. ამა, ართვინიდან აქამდინაც რასოდ სავლელია, ჯანუმ?! იმაშინ არაბა-მარაბა, ოთობუსი-მოთობუსი არ იყო ქი, წამოსულიყონ. ასწიეს და ფეხით წამოვდეს აქითა. იარეს, იარეს, იარეს და – ისთანბულამდინ მიტანამდინ, ჰაცხან რომ ეს ალიგია, დუბჯეა დანი, აქ მედღალეს. დადგეს, გახედეს – ბიჭო?! მთელ აჭარას გავს ხომ, აქავრი თიები, დაღლები და თქვეს რომ: დავუდეთ აქავო. დაუდეს. ენ წინ, იმ ქვეთ დაუდუმილან – ბულგარების ადგილი რუმა ახლა... იყავი, ნახე? ხოდა, მეგზე ყოფილან. იმ ბულგარეფს, ფუმაქეფს არ დუუყენებინ იგზე – ჩვენი მიწადავო. ამოვდეს იგინიც ამ ზეით. აქ მაშინ დალი ყოფილა – გუუკაფიან, ლამაზ-ლამაზა გუუკეთებინ, დარჩენილან.

დუბჯე

მთქმელი: სინან მიმარი

42. ყარამურზა

ერთი ყარამურზა ყოფილა. ქალი არ ყოლებია იმასა, ერთი ბახჩა ხონებია ყურძნისი თუ ამფერი რაცხასი და ისე ყოფილა, მისთვინად. ყუელ დილლაზე გამუა, გუუხედ-გამუუხედავს იმ ბახჩას და არი ლამაზათ, იშთე. ფიქრსა იჯება, რომე: აწი ეს ჩემი ბახჩა ყურძენს რომ იზამს, მოვჭწილავ იმასავო, ბაზარზედა წევლეფ, გავხყიდი და ფარა მექნებავო. ასე ფიქრსა იჯება და უხარია ქი, არი გახარებული.

ერ დღეზე, რომ ისვენ ბახჩას გასახედველაჲ გამოვდა, დედნახა, რომ რაცხა დიდი გელი მოსულა, მიბდგომია ე ყურძნებს და სლიპავს, ისე ჭამს. უჭამია ერცხვა, თელი ყურძნები

და იგინი შუუსლეპია, იმ შედთანსა. გაბღებდა ყარამურზად, ესცა გელსა, დეფჳირა და მუუგრისა კისერი:

- უხ, გელო, შენ პელენწუკო! შენ თუ დედა არ გიტყრო, ყარამურზაც არ ვიყოვო!..
- ამან, გომიშვი, ყარამურზავო! - გელმა ეხვეწა, - გომიშვი და ზენგინი-ნა გაქხადოვო!
- შენ რაფერ ზენგინი გამხადო, შენ შედთანო, ჰა გაქ შენ ფარადვო?!
- გომიშვი და თუ არ გაქხადო, მამაჩემს შიაკითხევო!..

ყარამურზამ ფიქრი ქნა, რომე: ჰელე, გუუშვა და, რა იცი, რა ქნასო? დუუღირა ტაბანჯად და ისე გუუშვა-ქი, რაცხა შედთურა თუ იზამოს, დავხკრავ, დავათავეფო. გელმა დეფერტყა მისი ბალანი, ისე გამუხებდა და უთხრა:

- გაუმყევ ახლა ზრუგშივო!
- გეფქა მან და გიევიდა ევიც, ყარამურზავც. იბინეს, იბინეს, იბინეს და ერთი დიდი ფოქვა ჰაცხან რომ იყო, იგზე მივღენ. მუუტრიალდა ეს გელმა და ებნევა, რუმ:
- ახლა რომ შიან შევალთ, შენ წაყურდი, მე ვილაპარიკო. როდცხა რომ ჩემი ნენე და ბაბო რაცხას გკითხვენ, ჰინ ენაზე არ მოხვიდე, მე მაცალეფო. რომ გითხრან: რა გაჩუქვოთო, მაშინ უთხარ, რომე: ალთუნ-დიზგინი რომე გაქვან, იგი მომეცით, თუ არა და, რამე არ მინდავო. თუ გეფგენ?
- გეფგენო, - უთხრა ყარამურზამა.

შევღენ ეგინი შიან. ხედავს, რომ ყარამურზა: დიდი იმფერი რაცხად აქვან, სარად აქვან და გელის ფოსთებია სულ დაფენილი. ჟღანან იქა ის გელეები - ამ გელის ნენე და ბაბოდ და ჰემ ლეკვებიც ყავან, ისე არიან.

დეფწყეს ახლა ლაპარიკი. რამითიც რომ ილაპარიკონ, ეს მუსაფირი - ყარამურზა ყუშათ ზის, წაყურებული, ენაზე ჰინ არ მუა. რაცხა რუმაა, გუუხედავს იმ გელსა, ის მის ადგილას ლაპარიკოფს, იტყვის, რაც რომ უნდა. მემრენ, მან უთხრა მის ნენეს და ბაბოს რომე: ამ კაცმა იმფერი საქმე მიქნა, რომ სიკდილს გამომართუა და თქვენ რამე ჰედიე-ნდა მიცეთო ამასა. ხოდა, რა მივცეთ, რა მივცეთო? - ერთქმანეფში ისე რაცხა დეფხესაპეს უჩმაღად და მემრენაც, უთხრეს ყარამურზასა:

- რა გინდანან, ბატონო, რა გაჩუქვოთ?
- ჰინ რამე არ მინდა, - ყარამურზამაც უთხრა, - მარტუკად ერთი ალთუნ-დიზგინი რომე გაქვან, ასწიეთ და იგი მაჩუქვეთო!

წაყურდეს ახლა იგნემმაც, რომე: ეს ალთუნ-დიზგინი დიდი ბეჯითი რამეა, რაფერ ამ კაცს მივცეთო? - დერდი ქნეს, ამა ზათენ, ედღეს და მიცეს.

- ახლა, დიმიყურე, ჯანუმო, - იმ გელმა უთხრა ყარამურზასა, - ესე იმფერი დიზგინია, რომე ჰაცხა დადეფ, ზენგინლული მისთვინად მუავო. წედღე ახლა ეგი სახ[ლ]ში და რაფრაც რომ გინდა, იყავ ისევო!

წამედლო ყარამურზამა ალთუნ-დიზგინი, დედღვა მისი სახლში და დაზენგინდა. აღარც ბახჩა გახსენებია, აღარც იგი და იყო ლამაზათ.

დუზჯე
მთქმელი: სინან მიმარი

43. გურჯიჯე ვაიზი

ერთი ვაიზი ვქნათ გურჯიჯე ენით
ღმერთმა რაც დიგვიბარა, ყველაჲ ქენით.
კაცი რომ ხარ, იყავ შენ ტკიბილი ენით
ქალი რომ ხარ, იყავ სელამ-თემენით.

შენთვინაჲ არ იყო, სხვას დიეხმარე,
სახ[ლ]ში საქმე ქენი, არ ეძგმატუნო გარე[თ]
გქონდეს კარგობა და გქონდეს იმანი,
მალე-მალე ღმერთს ეხუეწე: „ისთაურუჰ, ალლაჰ, რიზანი“!

მუსაფირსა უქენ კაი, არ უქნა მარაზი,
ღმერთიც მიტომ შენდან იყნება რაზი,
მალე-მალე ილოცვე გურჯიჯე ენით
ერ დღეზე ხუთჯერაც – ნამაზი ქენი!

ამას თუ იზამო, იქნება კაი,
ამიდან იქით საქმეც არ გინდა სხვაი.
კაია მუსაფირზე დაიმა კაის ქნაც
კაი ქენ, კაი იყავ და მუმინიც იქნა!

მე რომ ვაიზი ვქენ, მე დიმიყურე,
ღმერთიზგან რაც მოგეცეს, იგი ისურვე
უკან არ იარო და წინ იყურე,
ღმერთი მაღალია – ცაში უყურე!

აქანე ეს ვაიზი ჩვენ დავათავოთ
ხელეზიც ასე ჩვენ გულზე დევკავოთ!
ლოცვა ვქნათ, გურჯიჯა ჩვენ მალე-მალე,
ღმერთო, ბატონო, შენ შიგვიბრალე!

დუბჯე

მთქმელი: სინან მიმარი

44. დუბჯეში გურჯიჯა ვაიზობა რაფერ დევწყეთ

მე დუბჯეს ჯამეში იმამი ვარ. ქართველი ვარ აპა, აჭარიდამ მონასულან ჩემი დიდგან-
ძველები, წონიარისიდამ. იშთე, აქ დამუდარან. აქა ორი ქართველია – აჭარელი და
ზეგნელი. ეს აჭარლები ვართ ქედადან, ის ზეგნელები – ზეგნიდამ, ხულო-შვახევიდამ.
ქობლეთელიც არი ამა, ის აჭარელი არ არი.

ჩვენი დუბჯეს ჯამე, თქვენ რომ მეჩეთი იტყვიო, თელ ქართველის აშენებულა. აქ რომ მონასულან, დალი ყოფილა აქავრობა, სახლი-მახლი არაფერი არ ყოფილა, რამე არ ყოფილა. ხოდა, მონასულან, მოსლის უმალ ერთი ხისი ჯამე დუუდგმიან – ღმერთი ჩვენდამ რაზი იყოსო და, მემრენ დაკარებულან. იგერ გაღმაში რომ გუუხედავ, სახლები ჩანს, ხომ? ფუმაქის არი მაი სახლები. ფუმაქი რაცხა სოდ ხალხია, ივინიც მუსლიმანებია ამა, ენა სხუაი აქვან, ასე ჩვენსოი არიან, სხუა ენით, ისლამის დინით. თურქი არ არიან ივინი. ძროხები ყავან ივინეს, იაილები აქვან. ენ წინ, აქ რომ ჩვენი დიდვანები მოვდეს და გაფუხრებული იყნეს, ფუმაქებმა უშველეს – რძედ, ხორცი, დალი რაცხა მიცეს, ლამაზათ იშთე, დიხმარენ, კაი ამყოფეს. მემრენ და მემრენ, ჩვენებმაც დედწყეს საქმობა. რაფრაც რომ აჭარაში, აქაც იმფერ – ვინ სახლები და ნალიები დააკეთა, ვინ ძროხები იყიდა. მემთევრობა აქაც ვიცით, ამა დაილები ცოტანადა. თუ იყიდი და – ივიც ძალვან ფახალია, უჯუბი არაა. ამიტომ, შეერში მივა ჩვენი ახლობა. ზათენ, ეს ალიგიცა შეერს შიერთო ახლა, ერთი იქნა, მაალლე იქნა ევიც შეერისა.

დუბჯეს ჯამეში ქართული ვაიზობა ასე დაწყებულა, რომ: დადგმის უმალ, ჩვენებური დუუყენებია ჰუქუმეთსა იმამი. ნურეთინად თქმევი, აჭარელი ყოფილა. იმას, მეგერემ ერთი ჯუბი გურჯიჯა გადმუღია, რომე – ხალღმა გედგნოს, რაცხას რომე ვიტყვი, თლათ სერსემი არ იყონო. ის გადმოღებული ჯუბიც ქართულად უკითხნია. ამაზე გაბღებულა დიანეთი, მარა მემრენ ჩუუკეთებიათ–ქი საქმე მუხაჯირებსა, რომე: აჭარელი ხალხია, არაბული არ ვიცი, თურქულიც არ ვიცი და, გურჯიჯა ზათენ გევგნეფ რა–ნდა იყოსო. ხოდა, კაივო – იზნი მიცეს და დედწყო გურჯიჯა ვაიზობა აქ.

მემრენ, რომ ხალღმა გედგნეს, რომე გურჯიჯა იქ ვაიზობენო, წამოვდა აქა, აქ დაკარდა, ოქი გურჯი სოი ხქონდენ. ახლა დუბჯეს მეჩეთი არის ქართველებისა: „გჭრჯჭ ჯამე“ თქვია–ქი, თურქულათ.

მე ბათუმში, თფილისში, ფოთში ნავალი ვარ. ქართულიც იმფო ლამაზათ ვიცი, მარა, თქვენ რომ მითხართ – აქავრებულა ილაპარაკევო, მიტომ ასე ვლაპარაკოფ.

დუბჯე

მთქმელი: სინან მიმარი

45. დუნია რომ ეირია

დუნია რომ ეირია, თათარი და რუსი ჩხუბოფს
ივინი რომ წედვიდა, ავრუფა შორიდან ყუროფს,
ჩვენ, გურჯები დავჩით მარტო, ვინმე აღარ მოგვებმარა,
რუსმა გვითხრა: „ედყარეთ, ჰაცხა გინდან, წაით, თვარა!“

ევიყარეთ, წამევედით, გადმუედით ოსმანიეს,
ჰადმე აღარ დაგვაყენეს, ცხრა დღე ფეხით გვარონიეს.
ანჯახ გზაზე გევიარეთ, ბრუგზე გუდა მოვიდული,
ჰაცხან–ჰაცხან თივა ვჭამეთ, გზიპირეფში მოხიკული!

რომ მუელთ იმ ლიბანში, დიდვან გემზე იგვიყვანეს,
ყოინეფსავენ დაქვთვალეს და ისტანბულში წიგვიყვანეს,
იქა დადგომა გვინდოდა – აპა?! ჰადმე არ დაგვაყენეს,
ისვენ ფეხით გამოგვრეკეს და დაქთაღან შეგვაყენეს!

გვარონიეს, გვარბენიეს, ენ სონ აგზე დაგვაკარეს,
ხის სახლები დადგუმაში ბულგარები დაგვახმარეს,
გვითხრეს: „ახლა აქ იყავით, ტაბანჯები გქონდენ ყუყმე,
თუ რუსები აქ მოვიდეს, ნუ დაჰტიეფთ კარს აჩუღმე!“

ახლა ასე დაგიბართო დარჩომილეფს აჭარაში
„ავღგეთ, წევდეთ მუჰაჯირათ“ – ნუ იქნებთ ამის თქმაში,
თქვენ ებო-კარს გუუხედეთ, თქვენ ყანეფსა ნუ დაჰტიეფთ
თვარა რამეს არ გიშველით ეს მარაზი ოსმანიე!

ესე არი შაირი, რომე აქიდამ – საქარიიდამ, მემედ-ალი ეფენდიმ მისწერა ბათუმ, რომ
არ წამოხვიდეთ მუჰაჯირათო. კიდვენ დიდი იყო და მე ამდენი ვიცი.

საქარია

მთქმელი: რაფეთ ჯელალოღლუ

46. საქარიალი ყართოფაი რაფერ ისტანბულს იყო

საქარიალი ერთი კაცი ყოფილა ერთი, ყართოფაი ეტყოდენ. ცხვირი ხონებია რომ იმასა,
ყართოფასავენ, იმიტომ ისე ეტყოდენ. ხოდა, ეს ყართოფაი წასულა ისტანბულსა. შეერში
კაი ჩარჩიავო, უთქმიან და რაცხა-რაცხიები წუულია გასაყიდველა.

ჩასულა-ქი, ისტანბულსა, ზოვლი მოშივნია. ლოკანთა ჰადაა, რა იცის? წევდა, ეძია,
ეძია, ნახა. შესლიხან, ხედავს, რომე ერთი კაცი იგზე ჯის, დუუდვია წინ სუფრა – ენ კაი
რაცხა რომაა საჭმელები გუუწყვია, იშთე, გუულამაზებია და ჭამს მისთვინაი, ელოყნება
გერმელად.

ყართოფამ ფიქრი ქნა, რომე: მივიდე, სელამი ვუთხრა და დამეპაიჯოს, აპა რა ქნასო?!
იმას მუჰაჯირი თუ ეგონა ვინცხა, მარა ისტანბულში რომ იგი ყედერი არ იყო, რა იცოდა?
იშთე მივიდა იგიც იგზე, სელამი აართვა იმ კაცსა და ხედავს, არ ეპაიჯება-ქი?! ასე,
შეითნებურა უზამა – ვალეიქუმ სელამო და, ისვენ მისთვინად მუუქნია ყბაი.

– ბოდიში, ბატონო... აქა დაჟდე, იქნება? – კითხა ყართოფამ.

– დაჯექო!.. – კაცმა უთხრა.

დაჟდა ესეც, მისი სუფრის წინ. უნდა, რომე ლაპარიკი რამე დუუწყოს, ემე უქნას ამა, ის
ჭამს, ელოყნება მისთვინაი, ჰიჩ არ უყურეფს ამასა. ზათენ, ყართოფამ:

– რაფერ ხარ, ბატონო, რა იჯები? რაფერ ჰალი გაქ? – კითხა.

– კაი ვარ, კაი! – უთხრა იმ კაცმა, ლოყნა-ლოყნით.

- დრო უკეთესია, კარქა გამყოფნოს ზითუალი გამჩენმა, ლამაზობა მოქცეს სახ[ლ]ში!
ახლა შენ იგი მითხარ: შენი ხანუმიც რავაია?

- იგიც კაია! - კაცს რამე არ ემჩნია ზედ, ჭამს კიდვენ მისთვინად.

ახლა, იგზე გარსონი მოვდა, რომ ყარტოფას ხეზმეთი უზამოს. დედნახა, რომ ამ კაცს ელაპარიკება. მემრენ, მანაც ებნევა:

- რა მოგიტანოთ, ბატონო?

- რაცხა რამ კაი გაქ, მომიტად ყველაფო! - ყარტოფა ასე ჯოლაპ მიცემს.

მუუტანა ყველა კაი. ჭამა ყარტოფამ, გამოზდა, გერმელად მუცელზე ხელი მეისვა და ადგომიხან, იმ კაცს - მისთვინად რომ ელოყნებოდა, უთხრა:

- მე წეველ ახლა და შენი ხანუმიც მომიკითხეო!

გამოვდა, დუუძახა გარსონსა და ბორჯუმ ნე ყადარო? - ეკითხება. დუზ ბინ ლირაო! - იმან უთხრა.

- ხოდა, მე ახლა მალე წასასლელი მექნა, წევდე-ნავო და დუზ ბინ ლირაც ამ ჩემმა კაი არხატაშმა მოქცეს-ნავო! - წუუფურჩულა. მემრენ ხმამალაღზე დუუძახა იმ კაცსა, რომ:

- აბა, წეველ ეფენდო და შენ იცოდე სხვაივო!

იმანაც ხელი ასე გუუქნია: წად მოშორდი, შენ დედაგასკუჯვილოვო! მარა გარსონმაც ეს რა იცის? იმას ევონა, იშაეთს უშობა, რომ შენ წად და თარა ჩემზედ იყოსო. ასწია და გამუშვა ეს ყარტოფად.

ასე იყო ყარტოფაის ისტანბულში ყოფნაც, ჯანუმ.

საქარია

მთქმელი: რაფეთ ჯელალოღლუ

47. ავდგეთ, წევდეთ მუჰაჯირათ (საქარიელი აჰმედადს ხებრობით)

ავდგეთ, წევდეთ მუჰაჯირათ,

რა ლამაზი დარიავო,
ციცავ, ჩენი დაშორება
სულ ურუსის ბრალიავო!

გალმა თეთრი ვარდა იყო,
გამოდმით მოკაკანობდა
რამითსაც გაგისხენებდი,
გული მისთვინ კანკალობდა!

დავჰკალ ჩემი ვარდაფო,
გევიზბადე საგბალივო
ჩემი ციცადს სიყვარული
ღობი ძირას დავჰფალივო!

ჩავჯექ, წეველ მუჰაჯირათ,

ძალვან გონჯი დარიავო,
ციცავ, ჩვენი დაშორება
ქლათ რომ ჩემი ბრალიავო!

წერილს გიწერ ჰილმიედამ,
გეხვეწები, მაქ დარჩივო
ღმერთმა რაზი აღარ გეყნეს
თუ შენ მიწას სხვად არჩივო!

ესე შაირი რუმაა, ის არი, რომე ერთ დელიყანსა ერთი ციცად ხეყარებოდა ენ წინ. მემრე ის მუჰაჯირათ წამოსულა, ციცაი იქ დარჩომილა, ბათუმ. ამას წერილი დუწერნია, რომე: აქ ნუ ჩამოხვალ, მაქ იყავიო. ისეა და მეტი არ ვიცი. ესეც დედეჩემიდამ გამიგნია, იგი იმღერდა ამასა.

საქარია

მთქმელი: რაფეთ ჯელალოღლუ

48. საქარიელი გურჯები რავად საჭმელეფ იქმან

საქარიაში გურჯებიც ვართ, ლაზებიც არიან. საჭმელეფი დიდათ მაქვან ქი, თურქიედამ თელი ადგილებიდამ აქა მოდიან – ვჭამოთ, მევსვენნოთაო. ახლა მე შენ, ერთი **ფატლიჯანისი დოღმა** რაფრა ვიქამთ, იგი დაგაწერვიო. მისმინე:

ენ წინ, გარცხავ ფათლიჯანსა, კაი გარცხავ. მემრე, თავს და ბოლოს ასე მოაჭრი, ორნივეს ასე მოაჭრი. მოჭრის იქით, ასე გამუღრუტნი, გამუხუტულავეფ კარქა, ლამაზათ. ასე იზამ, გადადეფ. ერთი, მეორე, მესამე... თაა ათამდე, ოცამდე ფატლიჯანს ასე გააკეთეფ, გაახაზირეფ. მემრენ მოდის ხორცი.

ხორცსა დასჭრი, დასჭრი წრილ-წრილა, დადა მაქინადათ ემეს უზამ, გაანამცეცეფ. მემრე ბიბერი, ზემზევათი, ქინძი, მაკიდოს შენაყავ, შიართვამ განამცეცებული ხორცსა. ფატლიჯანი ხომ გაქვა, გამოხუტულავეფული – იმ ხუტულაში ასე ჩუქურთნი იმ ხორცსა, ათსავეში ასე იზამ. ზედამაც კაი მარილ მოაყრი.

მემრენ, თავანზე ზეითინისი ზეთს მუასხამ, ააშიშხინებ. აშიშხინების უმალ, დაჰყრი ამ ხორციან ფატლიჯანებსა ზედე. მეიშუშვის – დაჯექი და ჭამე!

ახლა სხვა საჭმელი:

ენ წინ, გარცხავ, კად გარცხავ ჩეჩილ ყველსა, რომე რაც რომ სიმწუთხედ აქვა, გააქარვოს, მემრე დასჭრი, ნაქუც-ნაქუც დააფთილავეფ. თავანს შემოზდგამ-ქი ცეცხლზედა, იგზევ ედღეფ კადხელაზე დალსა, დაზდეფ თავანზედა. ის მედწის, წყალისავეთ იქნება. ახლა იმ ფთილა-ფთილა რომ დაშჭარი, იმ ჩეჩილ ყველსა ასე იქამ – უსულა-უსულა, შიართვამ ამ დაღში, რომე კარქა, ლამაზა ჩემუშვოს იქა. ზოვლი მუაყრი ბიბრი ფქილსა, რომ გერმელი იყოს და პატინადა დააცლი, ჩემუშვის. ამას ქვია **მონრაკული**, აჭარლებისი საჭმელია, ზეგნელებმა არ იციან.

კიდვენ სხვა საჭმელი:

ეს რომ გააკეთო, ყარტოფად გინდა. ყარტოფას ეღლებ, მოხარჩავ, მოხარჩვის უკან კარქა და ლამაზა დაშტეჭყავ, რომ ფურე იქნას, და!.. იმ ფურესა პაწადზე წყალი შუურევ, რომ ბილი იყოს, ლულუ იყოს ფაფასავეთ. მემრე ეღლეფ ყველსა. გარცხავ იმას, დაჰფთილავ ასე, კარქა და ლამაზა, ჩასდებ გობში და დაასხამ ზეთ დუღარ წყალსა. დაასხი-ქი, იმ გობსა დაახურავ კარქა, რომ მისთვინად დარჩეს. იმის დარჩომის უკანაც, გააჩერებ ნახვარ საათ, მემრე ახდი-ქი, ყველი მბილი-ნდა იყოს.

ახლა, ეღლეფ იმ ფურესა, რომ ყარტოფადამ ქენე, ადრი გობზედ გადმეღლეფ, მემრე ამ მბილი ყველსა შდაზილავ კარქა, შდაზილავ, შდაზილავ, წყალსაც შდართვამ. მემრე ზეთ ბიბერ მუაყრი და დამდგამ ცეხლზე, ქი მეფხარჩოს-ნა კარქა, ლამაზა. მოხარჩვის უმალ, იმას ეღლეფ და ადრი-ადრი დასდეფ. მემრე დაშჯდები და შეშჯამ. ამასა ეტყვიან **ყველ-ყარტოფაის ბორანოს** და აჭარლებმა იმდენი არ ვიცით, ზეგნელებმა იმფო იციან.

საქარია

მთქმელი: ბულფიე ქარა

49. ერთი მიმინოდ მყავს

ერთი მიმინოდ მყავს
დოღან აზიდენ ყარა
ბანა სობი ვერმესსან,
ვიტირო-ნდა თუ არა!

გძელ ჩობა ვაკერვიე
დუგმელერი გჟუმიშთენ,
დედამთილო, მომხედვევი,
გჟუბელ მიმ ენიშთე?!

აჭარელი ჩანჩალად ვარ,
თურქიე ჰიჩ ბილმიორუმ,
ფაცდავ, შენ რა ყოფილხარ,
ბენ სენი სევიორუმ!..

საქარია

მთქმელი: სულეიმან თობაქ

50. ჯილველოდ ნანადდა

ნადდა ნინა ნინადნა ვოდ ნანად და, ჯილველოდ ნანადდა!
ნადდა ნინა ნინადნა ვოდ ნანად და, ჯილველოდ ნანადდა!
მოვდიოდი დელეზე ვოდ ნანად და, ჯილველოდ ნანადდა
იმ შენ ნამყოფ თერეფზე...
მე შენი ქმარი დევნახე...

ი რა ბლაცვი რამეა...
ინდუმ დერე ირმალა...
ზეითუნ დალი აღმალა...
დერე იჩინდე კურბადა...
ჩიჩექლერ დე სოლ-სადა...

საქარია

მთქმელი: რაფეთ ჯელალოლლუ

ბ) ლაზური

51. ანკარკუში

ანკარკუში მან დელიყანობას მიძირამუნ, აინი კოჩისთერი ონდი იყვენ, ვავა. გურპიჯი კოჩიშიშენ ელახი, ჯიფ თომოლონი უღუნ დო ტანიტენთი ბარბე რენ, მორდელი. კოჩი ნა ავკობაშა ნიტას, ანკარკუში ძირაში, ნე იმტასუნ, ნეთი ხომა იშიდასუნ, ვარნა ათხოზას დო ოჭოფას, უკულები პიჯის ბარბეთი ნუბარას დო ვარ ქლორი დოწიფხას, ვარ ყურუ დო ვარ-თი უნენელი. ეშო იყოფუნ, მორო!.. მან ბძირიში, ანკარკუში მენდრა იტუ დო ჩქიმდა ნეთი ჩოდუტუ, ნეთი მან მინტუ მეხოლაფა...

დელიყანი ვორტიში ავკობაშა დიდოფეს მიხითიმუნ. აჯიგოლიში დალი ნა რენ დო ემუშ გომთუმანიში ემეფეს დიდო ავი იქთეტუ. ენ დიდი, ლეჯი ტუ მარა, ჩქინ ხორცი მუში ვა პჭკომუფთ. ეში პწამუპტიშუკულე („პყვილუპტია“ დო, ავიშენი ვა ითქვენ), აჩქვა კუდელი ქელეფუჭკი[რ]ა დო მოლლას მეფრა'ნტუ. ემუქ ფარა მომჩაპტუ ქი, აფერუმ სანა, ალი ეფენდი-დედი. აწითი აშო რენ, ლეჯიში მწამუფექ ნოწამე ავიშ კუდელეფე ჯამემ ავლის მუჭო ნა ნიდან, მოლლა-ხოჯაფექ ფარა მეჩანონ ენთეეს. ჰა? ხორცი სო იმაღანდა?.. აწი, სარფიში სინირკაპის გამიღან დო ექოლე გამაჩაფან. ენ წოხლეთი დოლოხოფეტეს არ სოთი, ვანათი ჭუპტეს.

ლეჯის ხორცის ჭკომა მინონ-ოტიი? მერალი მიღუნ, ამა აქ ყისმეთი სო დომაცვასუნ, გჟული? აქ ვარ იყოფუნ დო... ბარებათენ ვარ მეზარებუნ, ოპჭკომა. ე ლეჯის ხორცი მან აწი მუშენი ფშინი, გიჩქინი? ემუშენი ქი, ანკარკუშიქ ჭკომუფს ლეჯეფე. ანკარკუში ხოში მუსლიმანი ვარენ დო ლეჯის ხორცის ყოროფს.... ა მითითი, მუსლიმანური ნა ვა გუიქთენ, ხინეფექ, ანკარკუში რენდა თქუმალან. აწი ბერეფეს კითხიკონი, ანკარკუში მუ რენ, სო რენ - ვარ უჩქინან...

დუზჯე

მთქმელი: ლუთვი ჩივილლი

52. დუზჯეური ლაზეფე მი ენან, მუჭო აქ მოხთეს

აწი მან, დუზჯეური ლაზეფე მი ენან დო მუჭო აქ მოხთეს, დოგიწვა დო სინ ნიჭარი. ჰა, ჩქინ ჩხალური ლაზეფე ვორეთ, ჩხალაშენ მოფთით. დოქსანუჩ ჰარბია დო, ხოშ

შეგიგნეფუნ დო, ე ხარბი იყუფუკულე, ჩხალა მთელლი რუსიში იშგალის დოყოფუმერენ. რუსეფე, მეგემ თქვეს-ქი: „აქ მითი კოჩი ენდა, მთელია ხრისტიანი დოპათა, მუსლიმანია მითი ვარ იყვასდა ჩქვადა!“ დო, ასკერეფე მუშისთი იზნი მეჩაფერენან ქი: მთელი ჩხალური კოჩეფე ხრისტიანი ყვით, მინ-ნა ვარ იყვას, თესლიმი ვა გაყვან-ნა, იმთე, თურქიეშა ოგზალითა.

ე-დო, ჩქინთი ხომ ვა ვიყვით დო გოვამტით ექოლენ ენთეს, ვიგზალით თურქიეშა. ენ წოხლე, რიზენიშა უხთიმუნან ჩქინი დიდილეფეს, ეკულეთი კარავის გეხუნერი, მოხთერენან ისტამბოლის (ქიმიქთი პოლი უწუმარან) დო ისტამბოლიშენ გეხთენან დუზგეშა. აქ ემ ორას გაურჯეფე ხეტეს ჩქვა, აჭარალეფე. ენთეს ჩქინი დიდილეფეკალა მთელი კაი ალიშვერიში უღუტენან ექ, ეკარაბა-ხისიმობა იქიფტენან დო აქთი, ართიქათი ძიეშუკულე დიდო იხელეს, ხაზი აყვეს აქ ართიქათიში ოძირამუ. გაურჯეფე ჩხალური ლაზეფეს დოხუნუს ელუშველეს, ოხორეფე ქოდუკიდეს, გდარი გურთეს, ონდი ოლოდეს. ემწკულე, ლაზეფექთი აქ დოხედეს დო აწიშა აქ ვორეთ. აჩქვა, ე ხარბი დიხოდუშუკულე, ოთხენეჩ წანა ჩხალა რუსიში იშგალის ტუ დო ოთხენეჩ წანა ოფუშუმი, ხოლოთი თურქიეს ქომეჩუ რუსიქ. ემ ორას აქოლენ ლაზეფე ვა გუიქთეს-ქი, დიდო წანა ტუ აქ ტეს დო გოქთიმუ ვარ გორეს.

მანთი აქ დოვიბადი, დედემუნ ბაბასი ჩხალადან გელდი, მან აქ დოვიბადი. ხენდეკი რენ ქი ოფუტე, ექ გეჭკაფური ვიკითხი. ემწკულე ლისე თამამ დობი, ემწკულე ორთა ოკულა გირდომ, ითი ზარბელი დოვიკითხი. ორთა ოკულდან სონრა, მან ისტანბულა გითთიმ, ექ უნივერსითეს ჰუქექ დაკულთესინდე დოვიკითხი. ქინი გაუზელ მიღუტუ, მიხალიშეპტუ-ქი ქინიქ, თიქ ხილი მიხალიშეპტუ. უნივერსითე თამამ დობიშუკულე აქ მოფთი, ბაბა ვათანი ჩქიმიშა მოფთი, დოვიჩილი აქონარი ბოზოკალა. ჟურ ბიჭი ბერე მიყონუნ, არ ბოზო ბერეთი მიყონუნ. აქ მარკეთითი ქომიღუნ დო ქოვორე, ომრი ჩქიმი აქ ვოქთაფ.

დუზგე

მთქმელი: ლუთვი ჩივილოლი

53. ჭირნილის დოკეთათა

ჩქინი ლაზეფეს ჭირნილის დოკეთათა კაი მიჩქინან. ენ წოხლე, დალიშა ვიდათ დო ექ ნა ირგუტასუნ ჯა გეფცადათ. ფინჭო ენნი კაი იყოფუნ. ემკათა ტას ქი, ტანი ენ მჩხუ უღუტას. აწი ორდო-ორდო ვარ იძირენ ემკათაფე, წოხლე დაჰა ბრევილი ტუ. უკახხეთი სუმ-ოთხო თანე კოჩი ართოთ ვიგზალთ, ხერხი, ნაჯალი დო ქესერითე ელაკათერი დო ე ნჯა გეპკუათუფთ. გეპკვათათიშუკულე, ნაჯალითე კაი ელემფალუფთ დო ხოჯიმ ჩოჩერი არაბათე ოხიოშა მოვიმალთ. აქონ ქესერითე ეშაბლარათუნ დო ეშო დიდი ყუთისთერი ა მუთხა დიყუტასუნ. ემუს ვუჯოხოფთ **ტანი**.

უკახხეთი, აირი გამაპყაბათუნ **კირჭი**. ადა აშო, გემურგვალერი, მაღალა ონდი რენ, მუჭო თრონიშ კაპულასთერი. თუდელენი სემთის ჭორეფე უღუნ მეშქვინერი **შალაფის** დოლოციგაფაშენი. შალაფი რენ დიშქაში მორდელი კარფი, კაპეტი დიშქაშენ იქიფან

დო ჭაბუთე ბააბერი იხმარნან. კირჭის გამაყაბუა... ეშო გამაყაბუფან დნ, ლულა დო კაპეტი დიშქაშენ, ენ დიდო – ჭუბურიში დიშქაშენ.

კირჭი გამაყაბანშიკულე, ყაბუფან **ელებარბა**. ია რენ დანდან ელაკირუში ფიცარეფე. ელებარბა იყაბენ აშო: ჟილენ გეჭკერი – თითხუ ხეშა, არ კითის მაპეჯანა, თუდელეთი მეჭიშინერი – მხხუ ხეშა, ოთხო კითის მაპეჯანა დო მოკუარკუალერი. შალაფიში ნჭორეფე ემუსთი მევუშქუმალთ.

ენნი ჩოდინას, იყაბენ **კატასტომა** დო **ჩხუნდი**. კატასტომა რენ ონდი, ჩხუნდი ნა ჟინ დიდგინენ დო, იყაბასუნ აშო: დიშქა – ლულა ხეშა გოლოჭკირელი, ჟილენკელე დო თუდენკელე გეყაბუფან ეშო ქი, ტანის ჰემენ-ჰემენ მუხთასუნ, ზედა მდერგოს, იშტე... უკულეთი შალაფის დოლოციგონეფე უხონუფან დო ია რენ.

ჩხუნდი გამიყაბენ მუჭო კოჩიში ჩხუნდისთერი, ამა გექთერი – მწკილანერი სემთი ჟილე, მემჩხუნანერი ჩქუა – თუდელე. ია ტანის წოხლეშენ მუხთასუნ. ჩხუნდის, შალაფიში დოლოციგონეფეკალა ბარაბერ, კარფეფეთენთი ჭკადუფან.

აშო, მთელი ხაზი ტაშუკულე, ჭირნილი გეკირუფან: ენ წოხლე, გეუკიუფან კირჭი დო შალაფეფეთე დოლოციგუფან. კირჭის კარფი ვარ უკორს. კირჭიშუკულე გეუკიუფან (ექოლ-აქოლე) ელებარბაფე. კარფი ვართი ექ ვარ უკორს. უკულე მულუნ კატასტომა დო ემუდ ჟინ – ჩხუნდი. ჩხუნდი ტანის ნა ახოლენ დერეფეს ოთხო თანე, ლიჯიში ენნი კაპეტი კარფი მევეციგუფთ. ჩქუა ბაშკა დერეფესთი შალაფი ვუციგუფთ დიდო დო დოქაჩაფს.

საქარია

მთქმელი: ლუთვი ჩივილლი

54. გიჩქინ, მუთუშენ ვა მაშქურინენ

გიჩქინ – მუთუშენ ვა მაშქურინენ
დო სქიდალაშენ გური ვარ მაჭვენ
მარა, მუ პა ქი, არ ონდი მაყვენ –
მან ხვალანობა ვაშა ემაზდენ!..

ომგარინუში ლექსი ვა პჭარუფ –
მგანიშ დროსთი ვა მიმგარინუნ!
გიჩქინ – ლექსეფეს ხვალა სი გლარუფ
უსქანელობა ვაშა ემაზდენ!...

მან დოვიბადი ოხოშქვინერი,
მთელიშენ დიდო ოხოშქვას პყოროფ!
ნა რენანფემენ ხვალა სი გგორუფ
დო სქანდენ „ვარი“ ვაშა ემაზდენ!

დო მუ ნა ვიზმონ – ვა მამფულინენ
ომფულინუში მუთუ ვა მილუნ!..

მის ნა ვა უჩქინ – მთელის უჩქიტან:
ე–ნა ვიჯგინა, ვაშა ემაზდენ!..

დუბჯე

მთქმელი: სინან მურღულიში

55. მოხთი ლაბეფე

მოხთი ლაბეფე ჩქინ ვორეთ, საქარიას ნა ფხეთ ლაბეფე. აინი წკონდა ლაბი ვორეთ, მარა ლაბური ენ კაი მიჩქინან დო ემუშენი ბაშქაფეჲ, „მოხთი ლაბია“ დო, მიწუმალან. ეშო ლაბეფეთი ქოენ აქ, ქი ლაბური ვარ უჩქინან. ზათენ, ენთეეს უწუმალან „ბოშ ლაბლარ“. ე–დო ჩქინთი, ბაშქაფეკალა ბლაღალათ–ნა, „მოხთი ლაბი ვორეთ“–და დო დობზობათუნ. ჩქინ აწი დუბჯე, მერქეზ მალესის ვორეთ, აქ ფხე მან. აქოლენი ლაბეფე ჩხალაშენ ნა მოფთით, აჩქვა გიჩქინ, ხოშ?

სუმ თანე ბიჭი მიყონუნ დო ჟურ თანეთი – ბოზო. აქ ჩქინ „კულანი“ ვა ბზობონთ ქი, გამითხუშალა, ოხორჯაშენი „ბოზო“ ფთქუმართ. თქუანი ექონეფეჲ ბოზია, მიფეშენთი ნა თქუმალან, მიჩქინ დო... ჰაჰაჰა! (იციანის) ართელი შაკათი გიწვა – ა ჩქინი ლაბი დო არ–თი გჳურჯი ქოკიკათეს დო გჳურჯიქ ჩილი მეტკომილაფევენ. „მოთ მეტკოჩია“ დო, უწუ ლაბიქ, ჭანურიქ. „ბოზი იყნა, ბოზი!“ –დეინე, ლიგანურიქ ნენა უქთირაფევენ დო ლაბიქ კითხუფს: „ეჲ ვალლა! ეგერ ბოზო იყნა–თუ, რატუმ გუშუი, ბაშქაში ხმარელი მოთ გინტუდა?“ დო ქაგდოძიცუ.

დუბჯე

მთქმელი: ნაგეჰან მიმარი

56. რეჩელიში ლექსი

სტამბოლიშენ მონჯლონეს არ ბახაჭი „რეჩელი“
ჰემთი, ჟინ ქოგდოჭაეს: „ჰამუქ მექჩან მენჯელი –
მუნდესთი–ნა ჭკომათენ ლაბურ' ქაფჩა, გეჭვერი,
ქორბას–ნა ვარ ისაღას, ჟინ გდოჭკომით რეჩელი!“

საქარდას ხენ მემეტი, სუფრას ჩხომი გუწუძინ,
„რეჩელი მულუნ!“–და დო, ხე ვა მეთხიფს, ვა ნოჩქინს!
ამედიშ ტრაილერი ეჰე, აჩქვა გზაზ მოჩქინ,
ხელეებას რენ მემეტი – „მომილუდა“ დო, უჩქინ!

ამედიქ ნა სელამი უწუ, ხეთი გუწულუ...
ელო, ძიოფს მემეტიქ – რეჩელი ჩქამუ მულუნ!!
„ეფჩი, სო ენ რეჩელი?!“ – გური მეჭვერი უწუ...
ამედიქ გამიძიცაფს – „ია ხაჯულას ულუნ!..“

ნენა დვასთუ მემეტის – მუ თქვას, ვანა მუჭო თქვას,

ბედავა ჩუ რეჩელი, ჩხომისთი მუ გოჭკომას?!
დო ამედიქ უწუმერს: „ჰა ჩხომი ჰაქ მოთ ხომას?
მომჩი, ხაჯულას ვულა დო ეთი ემუქ ოჭკომას!“...

დუბჯე

მთქმელი: სინან მურღულიში

57. ართიქართიკალა ოლაღალუ (1)

- კათე მოხთი, ხუსენ! მუჭო რე, მუ ხალი გილუნ?
- სინთი კად გძირი, მემეტ! მან კაი ხალი მიღუნ, თქვანის მუ იქთენ?
- ჩქინი ამეის მეტა აღნე მუთუ ვაენ, და. ა მცია ყინი იყუ დო ემუშენ მეპჭირდით, ბაშქა მუთუ ვარ!
- ყინი ჰო, ანწი მთინითი დიდო იყვენ, მორო! აჰა, მანთი დუბჯემა მეულუ ქი, ექ ა მუთხა დულდა ოხვენუში ქოვორე!
- აჩქვა ოჯალიზ ნა რენანფე მუჭო გიყორუნ? გუქთაჩქულე, ჩქიმდენ ა[რ] მომიკითხატი, და, მთელითი!
- მთელითი კაი, ცაშა ეხთი, ჯუმა!
- სინთი ეშო, ჯუმა!..

საქარია

მთქმელი: რიდვან ქარა

58. ართიქართიკალა ოლაღალუ (2)

- სელამუნ აღეაქემ, პაპული ჩქიმი!
- ჟღლეაქემ ესსელამ! სი ნამუ აქ?
- მა ჰაქო საქარამენ ქელაფტი, ჰაქონი აქეფემა ა გოფთატიკონ, და!
- ჰა, ექონაი აქი სი? ექოლე მუჭე ენ დულდა?
- პა, მუ პათენ, ქოხოტოქეთუთ, ქობოთ იშთე!
- მათი ეგ არ ასკვი-არკადაში მიყოუნტუ, ბესიმ ოზდულდუმ, ჭერვათიში ბესიმი... ვაშა იჩინაფ ია?
- ჰო.
- აგ მოხთაშა, ძირიი სოთი?
- ე?
- აგ მოხთაშა, ძირიი სოთი-მა, ჭე-ჟე?
- ბძირი, ჰო. ბათენ, მა ნა ფხემ დანიზ დუქდანი უღუნ!
- ჰა, ია დიდო კად. სი მუ გეგოძინს, ვანათი-ნა მი ოღლი გიწუმაღან?
- მა უზუნჰასანოღლი მუსტავა, ჭე პაპული!
- ჰა... ქომიჩქინ! უზუნასანოღლი შაბანი მი გაყვეტუ?

- ჰეა პაპული, დჷ, ბაბა ჩქიმიში ბაბა!
- მათი ვიჩინაპტი... ჰადდე, იხელი, ე სქირი!

საფანჯა

მთქმელი: აჰმეთ ისმეთ ქაია

59. ე ჭარმათი, ჭარმათი

ე ჭარმათი, ჭარმათი,
არ-ჟურ ნენა ფთქვა მანთი:
მთელიქ დუზჯემ ნა უბირს,
სინ მიქ გოლოდას მარდი?

ყინვა აჩქვა მივილუ,
მარტი ქომოხთუ, მარტი
ფუქირეფეს დიმსქვანას,
ლეთა სქანი, ჭარმათი!

ლექსი დიდო მიჭარუნ
დოგიჭარა ა ჩქვათი:
დუზჯე მსქვა იყვენ მარა,
ენ მსქვა სი რე, ჭარმათი!

ბაშქაფესთი ა ლექსი
მო გაწონეტან პატი -
დუზჯე ხვალა მუ იყვენ,
ვა ფშინი-ნა ჭარმათი?

ე ჭარმათი ჭარმათი,
სინ გიჭარი ბარათი,
მუზილი ტუკონაი -
ბირაფათ' გიჭაატი!

ჭარმათი დიდილეფე ჩქიმიში ოფუტე ტუ. ექოლენ ა საფანჯაშა მოხთეენან დო გერიდე ჩქვა ვა გუიქთეენან. მანთი ემუშენი ა ლექსი ქოლობჭარი.

დუზჯე

მთქმელი: სინან მურღულიში

კიტრი დაუთესო, მიწა იგი უტენი, მიწა მოუთხარე, მემრენ იგი ნათესაუბები იგი უტენი - დაუთესე, მემრე მოუწყალე, მიწადან გამოუდა ნათესაუბებმა, რას ჩიუნიან არ უცი, ფესუებმა გამოუდა, ამა რას ჩიუნიან არ უცი, იგი არ უცი. მემრე გეიზარდა, მემრენ იგი ხაშარი დუცე, ხაშარზე ასე ეეკიდა, მემრენდა ბრეტული წყალი ჩუუსხი, გეიზარდა, მოუკრიფე და უტამე, მარტო მე არ უტამე, აქ ვინცხადა, მასაც მუუკითხავ - ჭამოს-ნა.

კიდეტ ლობიად მაქ, ჯერ ლობიად შტილებმა რომ მოუდა მაშინ მოუკრიფე, რაფერ გერმიელი იყო. ახლა კიტრი რომ გაუბარდე, იმფრა ლობიად გაუბარდე, მემრე მოუკრიფე ლამაზად, გაუტეხე, იმფერი გემრიელი შეჭმელი იქნა, ბაღნებმა, სიძემ, ჩემი სიძემ აგი რა გიკეთებია დედავო, - მითხრა. გემიხარდა, რუმე მოსწონდენ-მეთქი.

ჰასანფაშა

მთქმელი: მუქრიე ქუმ (ბეჟანიძე), 62 წლის

23. სოფიკოს ერთად შუქრიე

- **როგორ აკეთებთ ლობიოს?**

- ხახუი, დომათაი, რას ჩიუთ დომათაი? ომიდორი. ომიდორი, ხახუი, პაწად თუზად ნედიორუს, რა გითხრა ახლა? მარილი, შატი ბიბერი, შატი პირპილად პაწად, ბეითინ დალი, დალი რაფერ გითხრა ახლა, ბეთი? იგი, მემრე პაწად-ნა გახსნა ოჯალი, ბრეტული არ-ნა გახსნადა, ცეცხლი პაწად უნა იყოს, პაწად ცეცხლზე სამი-ოთხი საათზე იქნასდა იმაქ, პაწად და იყოს, პაწ-პაწად, ნელ-ნელად გაკეთდოსდა იმან, იმიზდა გემრიელი იქნება. იმფრად უაკეთებ, სულ თელ მოსწონდა. თენჯერეში, ჩელიქ თენჯერეში უაკეთებ, ლამაზად იქნება. წყალ, წყალს ჰიჩ არ, წყალს არ უტეცევი, მისი წყალის ერთქან გაკეთდოსდა.

- **თქვენი გაკეთებული რომელი საჭმელი უყვართ ყველაზე მეტად? ხშირად რას აკეთებთ?**

- ბორელები... ახლა რაცხა უნა გითხრა: სიცხუილია, ამა რაცხა გაუაკეთებ, მეტი გემრიელია. ახლა შტილები რომ აქამდე მოსულამდინ თელეფონ მიმიზამენ, დედავ შენი ლამაზი გემრიელი შეჭმელები გუინდა, აგი გიგუიკეთე, რაცხა უნდებიან, გაუაკეთებ, ისე ჩიუნიან.

ჩორბად გაუაკეთებ, ბორელები, ძროხადას ხორცის შეჭმელები, ქათამის შეჭმელები იქნება, რაცხა გაუაკეთე - უყვარან.

სირსვილი ლობიად, სირსუალი ლობიად, ჭადი უციით სიმინდიდან, სიმინდის იმიდან გააკეთებდა ჩემი დედა. ხანდიხან ახლა ჭადს უაკეთებ, მარა ჩემი დედად რომ აკეთებდა, ისე გემრიელი უერ გაუაკეთე.

- **მჭადს როგორ აკეთებ?**

- წყალი, ჭადის ქიბილი ერთი და მარილი, იმტონი, თიბილი უნდა იყოს წყალი, კარგა იგი უნა ქნა, მოზილო და უაკეთებ იშთე. ახლა ტაფაზე უქეცეუტი, ამა ჩემი დედად ცეცხლი გაანთობდა, ცეცხლ გაანთობდა, ისე მიწადან გაკეთებული რაცხა ქონდა, სახელი უტიცილი და ახლა დამამიწყდა, შენ მომაგონე, კეცი, ჰო კეცი, კეცზე გააკეთებდა ჩემი დედად და დედედს დედად.

- მჭადს რომ აცხობდნენ, რამე ნიშანს ხომ არ ასვამდნენ?

- ხო, ერთი ასე იქდა, მემრენ და ასე იქდა,⁹¹ ერთი, ორი, სამი, ოთხი იქნებოდა. ისე მახსოვს, კილო ახლა უაკეთებთ, ხანდიხან არ აკეთებენ, ხანდიხან ასე იქცეუიან, ახლა აგი რომ ასე იგია, ერთი გააკეთე - ისეს იქნება, ერთი ასე იქნენ, ერთი ასე იქნენ, ისეს ასე იქნა. ერთი და რაფრად იქცეუიან, ახლა აქიდაან ერთი ასე, ერთი და ასე, ერთიდა ასე, მე ჩემი თულაბმა იმფერი დეინახა. ერთი ორი გახდა, ასე ქნენ - ოთხი გახდა, რაცხა ფერ გინდა იშთე.

ხორცებიდან რაებს არ უაკეთებთ. ქათმის ხორცი რაფრა უყუარან ჩემი შვილებს. ახლა იოდურტი, მასონი? პაწად მასონი, პაწად დომათაძს სალჩა, პაწად სალჩად, პაწად მარილი, პაწად შატი პირპილაძს თობი, პაწად და ზეითინი ძალი, იგინი ასე რომ იგი უქენი ერთად, ჩემი იგი, ქათამის იგინი ასე წუსსუტი. მემრენ იგი პაწად ბუბდოლაბში სამი-ოთხი საათს მოისუტენოსდა იმან. მემრენ იგი ებოში ცეცხლ გაუანთებ, იმაზე ასე დაუდებ იგი მეტი უყუარან. ბრეტლი ვერ ვლაპარაკებ, ამა შენ ჭკუიანიცა ხარ - მიხდებ.

ჰასანფაშა

მთქმელი: მუქრეი ქუშ (ბეჟანიძე), 62 წლის

24. ხავიწას რაფერ ვაკეთებთ

ხავიწას რაფერ გავაკეთებთ? მაწონი და სიმინდი ფქილით, მემრე კაკალ, ჯევიზით ქათამ გავაკეთებ. ფხალ გავაკეთებ ძიანი ემეს ლობიოს აღარ შუურეუტთ, მემრე ფხალობიოს გავაკეთებთ ჰემ ლობიო, ჰემ კაკალი, ჰემ ფხალი, ნიორი, ქინძი ჩვენ უმფო ახალ ლობიოში ვიხმართ ქინძსა. ლობიო აქა ემედა, შექერ ფასოლოე ვეტყვით - თეთრია, ერთის ჭრელია, იმას ბარდუნისა ვიტყვით, მწვანელას, მარტვილას გავაკეთებ ფხალსაც იმას ურთავთ. ლობიოები არი, კერჩხი ლობიას გაუკეთებ, იმსა ქინძ ურთავთ იმათა.

კიდევ რას გავაკეთებთ? ჭად გაუაკეთებთ ფურუნში. ჭადის ცომს ჩუენ ემეს ვიქთ, მარტო სოდა ჩაუაყრით, სოდას ჩავაყრით, მარილ, ოღონ მერეც ხანდახან ყაიმაღს ჩავაგდებ, ევო, ძალ ჩაუასხამ, ლამაზი იყოს, ასე ხრიალაღ-მეთქი, მაწონ ჩაუასხავ. ფაფას გაუაკეთებ, ჩუენ უმფო იმით გაუკეთებთ - პური ფქილით, ზოგი სიმინდის ფქტილას აკეთებენ. ერთი ბოშნაკები არიან ისენი სიმინდის ფქტილას აკეთებენ. ჩუენ მარტო პური ფქილ გაუკეთებთ.

⁹¹ ჯგრის ფორმას გამოხატავს

სიმინდი ჩუენ აქ, ძადნ უბრები მოდიან, ჭამენ და, სიმინდი ვერ ვთესავთ აქა. ღორები მოდიან, უბრები, ისენი ძადნ... ერთი სიმინდი შურიო დიდ ყანებში, იმას ნახვენ, ტყეა და... წაბლზე ამოდლენ, კაკალბე-ბი ამოდიან ახლა. ბალიც არი, ბალის ყანები არი, თხილი არი, კაკალი არი, სხალი, უაშლი, ყველას საყოფელი, ყველამფერია აქ.

ბაჰჩექლო

მთქმელი: ნერიმან ბაშთურქ, 63 წლის

25. გათხოვება - ქორწილი

- გოგუები ახლა გეეთხოვებიან, პაწადც გეეთხოვება, დიდც გეეთხოვება. ზოგი ჩუენ დიდვანები დევნახავთ - მოგვეწონება, ემეს ვიქთ, დავანხვებთ, ზოგი ბაღვები ერთმანეთი მუუნდებიან, გეეთხოვებიან, ამა ზოგი გეიპარება. ჩემი გოგო გეიპარა, ამა ჩუენ ბაღვებმა ჩონ უთხარით, ერთამნები დეინახეს, მოაწონდენ - მაშინ ემე ვქენით.
- გოგოს სათხოვნელად ვინ წავიდა?
- ვინ წავიდა? ახლა ერთი ემეა ფაბარალანდან გელინი მყაუს, ახლა იქ უნადა გეიაროთ, ერთი მეზიდელი მყავს, ერთიც ლაზებიდან მყავს, ახლა დავასახლევი, ორი წელიწადია.
- ლაზური სოფლები არ არი და იქიდან რომ გადმოსულან, თეფექჩექონალი უმფო ბევრი ლაზები არი, ჩენ სოფელჩი ჰიჩ ლაზი არ არი. მეზიდ, თეფექჩექონალ იქ უმფო დაჟდა ძანე, იქ უფო ბევრია არიან, გახდა ლაზეფე იქი და სოფელზე ბევრი გახდენ, აქ ძაბანჯი ვინმე არ არი აქ, თლა იგი, გარედან მოსული, სულ აინე სოფლის უართ. ლაზური არ იციან. ზოგმა იციან, ზოგმა არ იციან, ჩვენებმა არ იციან.
- **მზითევი:** მზითევი ახლა თუ ვინცხა გუჯი ააქ, ძალიან ბევრ რაცხას გაატანებენ: ბუზდალა, თელევიზიონ, ჩავაში მაქინას, საჯდომელას ულებენ. ჩემ დროს რა იყო, ჩემ დროს ერთი ქილიმი იყო, საბანი, მინდარი, ბალიში, ისენი იყო, ესე ემიები იყო, გაქარგული ლაჩექები იყვნენ, დოლბენდი-მოლბენდი.

ბაჰჩექლო

მთქმელი: ნერიმან ბაშთურქ, 63 წლის

26. ეს ჩენი ბაჰჩექლო სოფელი

აგერ აქა ჩუენ ვახტანგაძე, ძანი უსტა ისმაილოღლი, აქაურელი გვარი. იქაურ დიდ დედესე ისმაილა ქვიოდა, ისმაილი ქვია ჩვენ დიდ დედეს, გოგაძებში იგირ აქ ჩაფლულია, იქიდან დიდ დედეს ორი შვილი აგერ აქ ჩამოსულა, ერთი ახმედად და ერთი სულეიმანაჲ. ახმედა აგერ აქ ოჯახი გოუხდია, სულეიმანაჲ, ახლა გეხვიდეთ და ფაბარალანშია. ახმედა ბალჩაქაია, სულეიმანაჲ ფაბარალანში. ჩვენებურა ფაბარალან, თუქრქულა საადეთ ქვია. ახლა აგერ აქა რომანა ბაღვები არიან, რომანა ბაღვები, რომანებიდან ჩამოსული იქიდან, რომანაული სოფელიდან ჩამოსული,

ჩანჩხალოდლები არიან. იქიდან ჩამოსული, ემ გვიან ჩამოსულის ჩვილები არიან აქა, ეგერ აქ ძმები ყავან აქა. ჩემი გტარი დავამთავრო ახლა: ახმედა დედესა, აგერ აქა, საფლავი აქ არი, აგერ მიღმა. იმა შტილი ყოლია რეშიტად, რეშიტად ჩემ დედესეი დედეა, რეშიტადს ბადიშიდან ბადიში ვარ. ახლა თუ გინდა საფლავ დავანახებე აგერ აგზე, ერთად გამწკრიტებული მყატს: ახმედა დედე აგე აგზე ჩაფლულია, რეშიტ დედე აგერ აგზე ჩაფლულია, რეშიტ დედესი შტილი, ჩემი დედე - ოსმან დედე აგერად ჩაფლულია. ორი თვის წინ ჩემ ბაბამ მოკდა ადამად, ადემ, ორი თვის წინ, ისეც აქანე ჩაფლულია.

რეშიტა დედედს შტილსა ოსმანაი ქვია, ჩემი დედე, ოსმანესი შვილი - ადენად. აჰმედადს ყავდა რეშიტად, რეშიტას შვილებ ბევრი ყავს და ჩემი დედე ვთქვათ ახლა: ოსმანა, ოსმანას ადენად. რეშიტას ძმები ყავდა: შაქირად, ერთის და ყავდა, და, დასა სახელი ახლა სწორედ აღარ ვიცი. აჰმედად აქ რატომ ჩამოსულა, იცი?

ახლა მე რამად გელაპარიკო, ხანდახან რამად რომ დევილაპარიკებ და სხვაფრად იხსნება, თურქული რომ გელაპარიკო უმფო შეგახდინო და, ქართულად კილო... ჩტენი დედიები რომ ჩამოსულან, მაშინ ბათემ ბათუმი, დოსხან უშთე, ოსმალნის დანე ყოფილა. დანე ჩვენი დედიები სხტა დუელიდან სხტა დუელში არ ჩამოსულან, აქ ჩამოსულან, ბათუმიდან ბურსას ჩამოსულან, ომი რომ გამოსულა, თურქეთში მკრტო ჩტენი ქართველები არა, ბალკანები და ბოშნაკები და არნაუტები ჩამოსულან. რაიონში, ინეგოლ რაიონში კაჰკასებიდან, ბალქანებიდან ბევრი ჩამოსული ის არიან, სხვა ქალაქებიდანაც მოსული არიან, დანე ინეგოლი პაწად თურქეთია, თლათ მოსული არიან.

ახლა, რატომ ჩამოსულან? ჩტენ, ჩტენ რომ გაგონილი გვაქვს, ჩტენი დედები სიმუსულმანებე იმფო ახლოს ყოფილან, მაშინ დროს სიმუსულმანე ემე ქნილა, დანე, ცოტა ემე ყოფილა, პაწად ყოფილა, პაწად. აგერ აქა, ჰემ აგერ აქა იმფო ცხოვრება კაი იქნება, ოსმალის გადმევდეთ, გავბევრდეთ, ემე ტქნათ უნდა. აგერა ჩამოსულან, აგერ აქ იმფო ბევრი ჩტენ თურქეთიდან აგერ აქ ქალაქში სიმუსილმანე ბეტრი ტქნათ დანე. ჩემ ნენესი დედე ერთის იმას გაყოლია, აგერა ჯამეთან წყალია, ეს აქაურობა ტყეა, გზა, მა აფერი არ არი. ამოსულა, წყალის პირში ჩტენ ტართ, ოჯახი გავხადოთო, მის და თუ უთხოვიან ქი, ჩტენ აქტრობა გვეყოფა, შენაც გალამ სოფელში უნდა გეხვიდეთ, იქიდანაც ერთი წყალია სოფელში, ის ნენედს და ოჯახი გამხდარა, იმას უკან ვინცხა რომ ჩამოვიდა, ხისიმები იმას მოდევენ, გაუბეტრებულვართ, აგერ აქა გტარი რომ ემე ქნა ხუთი- ექსი გტარი ოჯახი გამოვა.

აგერ აქ ჩამოსულან, სახლი უნა გააკეთონ, სახლი გააკეთნა, ამა მუხი არ არი, ფული არ არი, გასაჭრელი ემე არ არი - ხიზარი. ამა იქიდან რაცხა ჩამოსულან მასე, ჩტენ უსტა მუხი დაჭედებული ასე ხის სახლები გუკეთებია და ი მუხ გადაჭედებული, ზეიდან ქრამიტი არ იყო და ყავარი გუკეთებიათ, ყავარი დუუდია, ყავარი დასაჭედებული მუხი არ არი - ქვა დუდვია, ქვა. ისე აქა წინ-წინ ბევრი წაბლი იყო, წაბლია, ამა მესელა ჩტენ ოზდაათ წელის წინ დედე, ბაბო ათ თონ წაბლ მოუკრეფდით, ახლა აუადმყოფობა შამოვიდა, ათი კილო აღარ არი. სულ წინ, ოზდაათ

წელის წინ, ჩუენი დედები, ბაბოები ამ ტყეებში ისაქმებდნენ, ხეს მოჭრიდნენ, აგერა ყანებსა სიმინდ, პურს დათესვდნენ, ქალაქში საქმე არ ექნებოდნენ ქალაქში ექს თუქში ერჩელ ჩვეიდოდნენ, სუ აგერ აქა იმცხოვრობდნენ, ამა ოზდაათი წელი, დანე ჩემს უკან, აგერ აქა, ჩემ სოფელში, პირველ სკოლას უკან, სოფელ გარეთ გესული და უწვერსიტეტ დამთავრებული პირველი მე ვარ.

ერთი აქ დაგანახვიო, ჩემზე ერთ წელიწადის წინ წესულია ისმაილი, მუხთი, ჩემს უკანას ადამიანები თლათ, ქალბატონებიც და იმფო ბეჭური კლასი მოთავებული აქვა, ადამიანებსა თლათ უწვერსით მოთავებული აქვა, ოზდაათ წელის უკან ახლა. აგერ აქ ჩუენი მუზობელია, ახლა აქ არ არი, ბაირახთარ, იქ ამ სახში ერთ ექიმია, ერთ ატოკატია, ერთი მთავარი ექიმი. ახლა ეს ჩემი ძმა ხასანიში იყო, ჰოსპიტალში, იქედან პენციანზე გამოსული.

მე აგერ აქ თორმეტ წელ ერთ სკოლაში დირექტორი უყავ, მემრე განათლების დირექტორი, მაგრამ ამ ქალაქში ჩემ დროს ორასი სკოლა იყო, სამი ათასი მასწავლებელი იყო, იმათი დირექტორი უყავ თორმეტ წელსა, ექს წელიწადის წინ პენციანზე გამოველი, მერე ყასაბაში კოლეჯი გავსხენით, ფოლით ამა, თურობის არა – ჩუენით, ამ სოფელ კოლეჯი ამა საქმობს.

ბაჰეჯეო

მოქმელები: ოსმან ნური ბაშთურე, 66 წლის

ვახტანგაძე... 67 წლის

27. სოფლის ადგილები, ყანები

აგერ აქა პაწა წყალი ვეტვით, სოფლი წყალი, აგერ აქ ტყეებ რა სახელი ქვია იმ სახელისა, აგერ აქ, მესელა ალა ჩამუა, ბუჩქი დერესი, ჩათალჩა – ეს თურქული სახელებია. ყანებსა ჩუენ ორი სახელქვია: გაღმა ყანა, ნაფუზარი, ბოსტნაური, პანტალოდები (პანტა სხალი), აგერ, ახლა მესელა ეს ადესა ყურძენი, იქიდან ჩამოსულია, იქედან დედეს ჩამოტანილი, გაღმა ჩემ ძმას აქ ასე, სუმ ყველასი ავდემყოფობა მოუდა, დეიფუჭა, აგერა ადეს ყურძენი მაართო მიწა დეინახოს, იქიდან ამოა.

ბაჰეჯეო

მოქმელი: ოსმან ნური ბაშთურე, 66 წლის

28. ქორწილის საჭმელები (მაკა, შუქრიე და მოხუცი ქალი)

- ფხალობიად, ბორანი, ქალაჯო, იცით ესენი?
- ჭადი, ჩუენ თველი ვიცით და სხვანებ დაამიწყდენ. ქალაჯო თერედად მოასხემდით ზეიდან, დალი სქალდ გაუკეთებდით თავაში, ანდან სონრა ავადულებთ,

გეიდანაც თერძად მოასხამთ, ოოჰ, რაფერ გემრიელია, შენ ხელები გეიკოჭე და მე ფეხები.

- ჩუენ ციცად გტყავს იქა, ბათუმში.

- შუქრიე: ბადიში? რას იქცევა იქანა?

- გეითხოვა, იქ გავათხოვე.

- შუქრიე: იქანა გეითხოვა, შენი ბადიშმა იქანა წევდა.

- ინთერნეტით ნახეს ერთანეთი, ბიჭი ჰეიდან არი იცი? – ყებელიდან

- შუქრიე: ბიჭი ყაზელიდან, იქანა წევდენ?

- იქ წევდენ, წეიყვანა, ჰო, იქ არიან ახლა. სახელი აიშე- ნურად ქვია.

- ბოსტანში რა გაქვს?

- სახელი ემე არ ვიცი, მარა მიგახტინებ. ეს ბალახია, ეს ქათამნაცარად, იცით ქათამნაცარად? ბალახი ამოსულა, მოხრაკავ, რა ლამაზია მოხრაკული. ისინი ლობიად, ასე ძირთულად ლობიადა ისი, ისინი ფხალებია, ი ზედთ სიმინდებია, იქ მაიდლოზია, ის პირპილადა, იი რა წარე პირპილადა. ხაშრები ასული ზედა, ლობიადა, შუაში ლობიებია, ზედან პარკებს გეიკეთებს, ასე დეიკიდავს ლობიოებს, პარკებს, ის სირენებზეა ასული, ხაშრებზე, ხაშერი ლობიად, ის ხაშერი ლობიად და ეს ძირთულა, არ გეიკეთებს ლერწებს. თქვე როდს მოხველით, მობძანდით? ახლა ძველებურის ემე მამიწყდება – რავად ბძანდებით? კარქა ბძანდებით? რავად ხართ? კარქა ხართ?

- რა იჯებით?

- ჩუენ ვუდავრთ და ვართ, დედე და მე ვართ მარტო და ბაღები ყასაბაში არიან, ერთი პაწად ბაღვი ყასაბაშია საქმობს, დიდი ბაღვი აქ არი, ტყეში საქმობენ.

- საჭმელებს რას აკეთებთ?

- ჩუენ რა ტიცი, ფხალობია და ფილაგმდინ მისვლამდი ჩორბა, თათლი ბაქლავა.

- ფხალობიას როგორ აკეთებ?

- ფხალობიად დაადებ ცეცხლზე ფხალი, ლობიად, მოხარშავ ლამაზად, კაკალი, ნიორი, ქინძი – დანაყავ ერთ რამეჩი ლამაზად, დაფქვევი მაქინადან.

- რაში უნდა დანაყო?

- ასე ჯამი, დასანაყელი ჯამია, ამოთხრილი, ასე ამოხვეწავ, დემილით სახვეწელად მისი და იმით ამოხვეწვენ, გააკეთებენ ჯამი, იქში დანაყაუ.

- რითი დანაყავ?

- ქტა, ჭალის ქტა, ღელეში ნახაუ, ასე გძელ-გძელი ქვებია ღელიებში, დატნაყაუთ, ფუსუსი გვაქ შენახული შინ, დავნაყავთ. მემრე შევკაზმავთ იმფრა იშთე: ნიორი, კაკალი, ქინძი დანაყონა ერთანეთიჩი, მემრე მარილ ჩაყარი, პაწად ბიბერსაც დაყარი სიმწარე ქონდესო, ჩაყარი ფხალში, ლობიაში, უურეუტ- დუურეუტ – გახდება ფხალობიად. ბიბერი წარე პირპილადა, წარე პირპილადა ჩაავდებ შით. ჩუენ ში ჩაატავდებთ მოიხარშოსო, ბიბერი, წარე ბიბერი მეიხარშტისდა, ლამაზი სიმწარეს გუუშვებს, ისე თუ ამოლესე – ბევრი იქნება.

- ფილავსაც ბრინჯი ლამაზად გარეცხავ, თასში ლამაზად, ონდა სონრა წყალ გუდუწურავ, შეჰერიეს მოხრაკატ, შეჰერიეს გუდუწურეუ, შეჰერიეს მოხრაკატ დაღში, ონდა სონრა ბრინჯსაც გარეცხავ ლამაზად, გუდუწურავ წყალ, იმას მემრე ემეს იქ, იმ მოხრაკულში ჩააყრი იმასა, ფილავ, ბრინჯსა, ჩააყრი უურეუ-დუურეუ ლამაზად, პაწას მოხრაკავ ბრინჯიანად, ონდა სონრა წყალ დაასხავ, ონდა სონრა მოუროს ასე პაწად იმაზე - ბრინჯზე, ისე აადულებ, თუ პაწად კიდე უნდა წყალი, კიდე შუუყენებ, რამტონი არ უცი.

- ყორაო რა არის?

- ტყემლებ მოადულებ - გახდება ყორაო, დაადებ ცეცხლზე, მოდუდდება წყალი, ადულებ, ადულებ, წყალი უნდა დეიშიროს როიცხა და გასქელდეს, წყალი დეიშიროს ლამაზად, ურეუ შიგან.

ფაზარალან (საადეთ)

მთქმელი: ნურიფე ქაარამან (ბელშიოღლი), 84 წლის

29. რძის ნაწარმი

- რძისგან რას აკეთებდით?

ყაიმალი: რძისგან რძე მაქინაში გამოხდილი ყაიმალი გამუა, იმას მემრე უკანასაც შედგება ის მისთვინად, საყველო გახდება, ცეცხლზე მეიყველვის ლამაზად, ყველი გაკეთდება, ამეილებ, დაწრიხავ, დაწრიხავ - ყველი გახდება.

- ყველი რომ ამოიღო, რძეს რა უნდა დაუმატო?

- ძეს რანა ქნა? აფერი, ძე უნა დაადგე ცეცხლზე, რომ მიხდები, რომ სიმუჯე შესლია იმასა, ძეს, იმის მემრე მიხდები, რო საყველო გამხდარა, დაადებ ცეცხლზე - მეიშრატვის ესე, წყალი გახდება ასე ზედ წყალი, ჩაუდება ისა ყველი, გამოურეუ ისა, ციცხვი გამოურიე, იმაზე ციცხვზე დიხვევვა ასე ლამაზად, ემ მოხრაკე ასე, იმაზე ცეცხლზე აქანა მოხელე, იმას მემრე დეიკავე, გააკეთე ყველი, ხელზე დეიხვევ დიდად.მერე დაუდები და შეჭამ იმა ლამაზ-ლამაზათ.

ყურუთი: ყურუთი სუზმანა მოადულო, ხშირად ყველ გააკეთებ-და, იმის უკანადუნა მოადულო, მოადულებ და იმას იქს, გეიჭრება, ქვეშ ლამაზ ემე, სუზმა გაკეთდება-და, გაწურავ თორბაში, ზეზე დაკიდებ, თორბაში გაწურავ ლამაზად, იმას მემრე სუზმა გაკეთდება, გამოავდე რაცხაში, გააკეთე ყურუთები. გინდა ყაიმალი უურიე შიგან, მოზილე კარგად, დალიანი ყურუთი იქნება.

ფაზარალან (საადეთ)

მთქმელი: ნურიფე ქაარამან (ბელშიოღლი), 84 წლის

30. მატყვლი და წინდი ჩხირებით ქსოვად

წინდი ჩხირებით, კინთი, კინთით გამოკინთავ, წინდები დაცდება-და, დაძველდება, ონდა სონრა იმა გამოკინთავ.წინდი ჩხირები ხუთი წინდი ჩხირია, არონიებ მერე, ერთ

წინდი ჩხირ არონიებ გარედან. ძაფი ვყიდულობ, ადრე ძაფი დავართევდით მატყლით, მატყლ დავართევდით ხერტალზე ისე ატუახტუეტიდით- დატუახტუეტიდით მურგვებ, ონდა სონრა წინდებ მოტუქსოვდით. მატყლ ცხვრებიდან ვიღებდით, ასე დავძახებდით დანე მურგვებსა, ძაფებსა, დავართევდით ძაფსა, ძაფ გაკეთდებოდა ხერტალით, ასე ავიღებდით, დავძახებდით, მემრე მურგვებს გავაკეთებდით, წინდებ მოტუქსოვდით, ჩეუტეცემდით.

ძაფ რო ევლო, ცხვარ გაპარსავ, გაჭრი, გაკნაჭავ, აართვამ მატყლებს, გარეცხავ, ლამაზად დაართავ, გაჩეჩავ, საჩეჩელზე უნა გაჩიხო. მატლი გარეცხავთ ორ-სამ დღეზე ანჯალ გაშრება, ონდა სონრა ლამაზად გაჩეჩავ, საჩეჩელია ამისა, თითებიანი საჩეჩელია, იმაზე წამოაცვამ, გაჩეჩავ, გაჩეჩავ, მემრე დაართავ ხერტალზე, საჩეჩელზე დაართავ, ონდა სონრა ძაფ გააკეთებ იმთე. ამოახვევ ასე მურგვებ, ამოახვევ, ორ ხერტალ ერთად მოყრი, ერთად ამოახვევ - ძაფი გაკეთდება, მოქსოვ რაცხეებს. ქილიმებს ქსოვდენ წინ-წინ, ჭრელ-ჭრელ ქილიმებს, მიღმა ნენე იყო ერთი, ის იმფერ ქილიმებს მოქსოვდა რომე...წინ-წინ ქალამნები იყო, საქონლის ტყავიდან აკეთებდენ, ესქიდან იყო, ჩემ დედე იტყოდა აინი ჩუენი მემლექეთით, უყვარდა იქურობა.

ფაზარალან (საადეთ)

მთქმელი: ნურიფე ქაარამან (ბელშიოდლი), 84 წლის

31. აქავრი ალიგები რაფერია

აქავრი ალიგები მემლექეთსავეფ არაა, ამა ლამაზია. ლელეში შეხტულ, თევზები არიან, კალმახი ფუთუნობს, გეხტულ ირემი იქ არი, შველი იქ არი, რაცხა გინდა იქ არი. ჰა წევდესნდა, რა ქნას?! გამოთხარა, გამოჩხრიკა მიწა, დათესა ყარტოფაჲ, ფხალი, ლობიაჲ... ჭამა, გაამრავლა. ასე იტყოდენ ძველები: სახლიდან, ფანჯარადან დუნიშნავდით ირემს, ან შველს და დრანგ... გადაგორდებოდა. და, ლელეში ჩახვალ, ფუთუნობს თევზი. დარგებ ყარტოფის, ხომ დარგავ, დიდრონი დიდრონი ყარტოფები ამოტა. მიწიჭაშლი სხტა არი, იმასაც ვთესაჲთ, ისა უმუხარშელაჲ, ცოცხალი-ცოცხალი იჭმება. იმას არ დატუთესაჲთ, ერთ დავთესავთ იქნება მიწაში, გამოსულში ამეიყრის, კიდო გახდება, გამოსულში ამეიყრის კიდო გახდება... მიწიჭაშლაჲ ნედლ ჭამ ვაშლივით, ყარტოფი არ იჭრება ნედლი თუ არ მოხარშე, არ მოხრაკე.

თუფენქჩიქონაქი

მთქმელი: აჰმეთ შენ, 74 წლის

32. მოგონება

1982 წელში, ეს ჩვენი მოგონება არის, ძალიან მნიშვნელოვანია. ათას ცხრაას ოთხმოცდარში მე უნივერსიტეტში ვსწავლობ, მოვედი ახალ წლისთვის აქ ინეგოლში ჩემ დედასთან და მამასთან და ჩემ ნათესავებთან. ახლი წელი აქ აღვნიშნეთ და უკან ხომ დატუბრუნდე?! უნდა დატუბრუნდე. დიდი თოვლი გათოტლდა, ძალიან დიდი. ეს

ჯარში იყო იმ დროს, მეც უნივერსიტეტში ანკარაში ვსწავლობ, სოფელში ვარ, გათოვლდა და ქალაქში როგორ წავალ?! მარტო ვერ წავალ და, ძმისშვილი მყავს, მე ვარ მაშინ ვთქვათ ოცი წლისა იმ ასაკში, ჩემი ძმისშვილია თხუთმეტი თუ თექვსმეტი ისეთი. მე მითხრა: ბიძა, მე წავიყვან შენაო, ნუ გეშინიაო, რა გაშინებს შენო. მეც ვიფიქრე ეს ახლა სოფელში ცხოვრობს ეს ბიჭი, ჩემზე უფრო მაგრათ არის, ისე ვიფიქრე. კარგი-მეთქი, წავიდეთ.

სოფელის ნახევარში მოვედით, მეიღალა ჩემმა ბიჭმა, ილიასად ქვია სახელი, ბიჭმა მეიღალა. მეუღალეო, ცოტა ვისვენოთო. მე წინ გავედი, ასე ვადგამთ ფეხებს, ერთი მეტრზე. ისე-ისე სოფელიდან გავშორდით, მაგრამ ისე მეგვემშია, ისე მეგვემშია... გვინდა უკან დავბრუნდეთ, იმასაც ვერ ვბედავთ. ვერ დატბრუნდებით, მოტყდებით გზაში. ისე შვაში დავრჩით, რომ უკავაც ვერ ვბრუნდებით, წინც ვერ მივდივართ. რა ვქნა, სერბე მოვედით. ვთქვით რომე, ახლა რას ვიზამთ, ცოტა ვისვენოთ. იმ დროს ხმაური მოდის ქალაქის მხარედან, ლაპარაკობენ, ორი კაცი ლაპარაკით მოდის. ეს ჯარში ყოფილა იმ დროს და მისი დიდი, უფროსი ძმა და ეს მოდიან სოფელში. იმათ ხომ გზა გაშალეს ნელ-ნელა მათაც გაშალეს, ჩვენც აქედან ხომ გავშალეთ, ერთმანეთს დავეხმარეთ.

თუფენქჩიქონაქი

მთქმელი: აჰმეთ შენ, 74 წლის

33. ბერკაცისი ხებრობაჲ

ერთი შენ თქუტი, ერთი მე
ჰელე დერთლი ვინ არი,
მოი შეუხედლოთ აინაში
ჰელე თეთრი ვინ არი.

სახლის უკან ტყემლები
კონწოლ-კონწოლ კიდია,
თქუენისაებრ გოგუები
თეელი ფეხზე მკიდია.

ხეირიე

მთქმელი: სუათ აქთექინ, 65 წლის

34. მემლექეთური ამბევები

ჩვენა ვართ აჭარალი, აჭარის შუახევიდან, ნენია სოფელიდან, მამულაძეები. ერთი მხარე მამულაძე ერთი მხარე ქამადაძეები, ჩვენი ნათესავები არიან და. მე მქვია ზექი

ათიქი, მამულაძე. ადრენდელი იხთიაროლლები ვართ, კომუნისტობის დროდან ადრე ჩვენი იქავრი გვარი იყო იხთიაროლლები.

ვინც რომ მუსლიმი იყო, იმათა თურქულანა ისწავლონო, თურქული გვარი იხთიაროლლები ვართ, მერე მამულაძეები გუარი დეირქვიეს, მაგრამ მამულაძეებიდან ერთ ძმამაც შევდა ქამადაძეებს მიწა რომ ამუშავა, ქამადაძეების გვარი ეილო, მეიღეო და ერთი და იგივე ახლობლობა გვაქ ჩვენ, მამულაძეები და ქამადაძეები ერთ და იგივე არიან, ჩვენზე ნათესაობაა.

ათას რვას სამოცდაჩვიდმეტის მერე იქიდან აგერ აქა ჩამოუდენ ჩვენ ნათესავებმა. ათას ოთხმოცდა ცხრამეტში თუ ოთხმოცდაჩვიდმეტში იგერიმ დროებში ჩვენი აგერა ჩამოსვლის რიცხვი და, მაგრამ ზუსტად არ ვიცით რომე რემელი რიცხვი იყო აგრაქ. ადრე ჩვენ ქალაქის ახლო სოფლები დუუნახვებიან ბაბუაებისთვინ, მაგრამ ათას ცხრაას თვრამეტ წელში როგორც ახლა ფანდემი იყუო, ისეთი რაცხა ვირუსი შამოუდა, იმისთვის ასე გორიებზე, წვანე ემიებზე... ამოუდენ და აქა დაოჯახდენ და!

ეფენდის ეტყოდენ, ეფენდის, იცთ ეფენდი რას ნიშნავს? ეფენდი ნიშნავს, რომ დაფასებით დიდი ადამიანია, განათლებული ადამიანია. ეს ეფენდები იყვენ იგერ აქა. გუარს არ ეკითხვოდენ , სახელს არ ეკითხვოდენ, ნურიე, აგერე ეფენდი, გუარი არ ჭიროდა...

კომუნისტმა რომ შამოუდა მემლექეთ, ის ეფენდები რუსმა დუუძახა, დაგხრიტონთაო, ან ანტონ ფულს თუ მეიტან გაპატიებთ. რო წევდა იმ ადამიანმა, ეფენდებმა, პირველი ერთ გამოუძახეს, ორასი ოქრო მეიტანე, მეიტანე ორასი ოქროო; ჩუენაო ორასი ოქროდთნა გვეპატიებია მაგრამ ახლაო მევიჭუჭკეთო და ერთი ასი ოქრო კიდო მეიტანეო, ის ასი ოქრო კიდო რომ მიიტანა, ბოლოს კიდო ჰა წევდა აღარავინ არ იციან.

სულჰიე

მთქმელი: ბეჩი ათიქი (მამულაძე), 64 წლის

35. ნაღდი ქართველი ჩვენ ვართ – ისი იცოდეთ!

ოთხი წლის უკან გამოვდა ეფენდების საფლავები. ხო იცით, საქართველოში რო გადაკარქეს ეფენდები, ის ეფენდების საფლავები ოთხი წლის უკან გამოუდა, ახლა, ახლა აგერ დროს გამოუდა. ის ერთი ეფენდი, მეჰმედ ეფენდი იყო. ახლა ჩამოსასლელზე ის იყო, საფლავები, ცალკეთ ერთი საფლავი არის, ბათუმიდან არის ჩამოსული. აგერ მისი ისტორია კარგად დეინტერესებთ.

აგერ ამანა ელოდებოდა მეც როდის დიმიძახებენ, ცოტა ამოფარებული იყო მაგრამ ჯაშუშები იყვენ ქუხეებში, ვერსად ვერ დადიოდა. ერთ დღეს რომ გამოუძახეს, სახში დეიწყეს ტირილი, რომე მამაჩემიცნა დახრიტონო. ცოლმა უთხრა რომე, იმ დროსა ის არ იყო, თურქეთი, ოსმანიას ეტყოდა, ოსმანილი იმფერათოლლუ იყო, და შვილებმა ყველამ უთხრეს, თერთმეტი წლის გოგო, ორიც ბიჭი ყავდა, უფროსი თერთმეტი წლის გოგო იყო; როგორ გავაკეთოთ? თურქეთში გადაწყვიტეს და, წამოვდესნა.

აბაყო ჩუმთაჲ, ჯამუშებმა არ გეიგონ, ღამეში რაცხა ტანსაცმელი არ შეიცვალა რაცხა ისე, საძვარი, იაილას ეტყვიან და, საქონელ რომ აძოვებენ, სოფლის ზეით საცხა, იქ ევდა. დილით პურ-მარილინა ეიტანოს გოგომ, გოგო შვილმა. დილით ადგა იმ თერთმეტი წლის გოგომა, საძოვარზეც საქონელი, ზროხები რაღაცხები წეიყვანა და, თან იმის საჭამადი პურ-მარილი, რაღაცხები უუტანა, ტანსაცმელები. მაგრამ მომზადებულა და მამამის-ნა გამოყვეს, თურქეთში.

ახლა დრო მოჰდა შვილო, მენა წევდეთო! – მამამ. მოდვა ფეხებზე გოგომ: მეც მზათ ვარ წამოვდენაო! შენ სადნა წეგიყვანო, მე სად მივდივარ არ ვიცივო, – და იტირა გოგომ, იტირა და ბოლოს, – ვიცი მამაჲ, ჯღარნა წიმიყვანო, მაგრამ მე რომ მემენატრები როგორნა დიგინახოთო და: თვარე რომ დეივანშემებს, თვარეს შეხედე მე იქა ვარო.

ჩამოჰდა ჩვენ სოფელში, ადრე ჩამოსულა, მე მაშინ არ ვიყავი და... თეთრები ჩაცმული, არ ვიცი ორმოცი წელი, ისეთი დრო გაატარა რომე სულ თეთრები ეცვა. მუსლიმებზე დასაფლავები დრო ქეფენ ვეტყვით, ქეფენ, თეთრს ჩააცმენ და ისე ჩაფლენ. ორმოცი წელი აგერ აქა, ჩვენ ერთი ნათესავი გვყავდა, ჰასან ასლან თაში არი ია, იმათმა ერთი ოთახი მიცეს, ყველს, საჭმელს მუუტანდენ დილაზე, ხევს, ყველაფერი და ორმოცი წელი ისე გაატარა აგერ აქა. და ყველს საღამოს რომ გამევიდოდა თვარეს შეხედვიდა, იტირებდა. ბოლოს კარგა შუუხედიან ჩვენ ბაბოებსა. ახლა ერთი საფლავი არის, აქედან რომ წეხვალ, იქზე კრანი არი, კრანი, წყალი რომ დის, კრანს ახლოს არი, ხუთ მეტროში. ასეთი ისტორია გვაქ ჩვენ.

მაგრამ ერთი მწერალმა რომ სთქვა:

„ჩადრებში გამაგახვიეს,
როგორც ქიშაში ალთუნი
არ დეიჟანგა, გადარჩა
ენა და სიტყვაც ქართული!“

ჩვენ შამევენახეთ! ნჯღდი ქართველი ჩვენ ვართ, ისი იცოდეთ!

სულჰიე

მთქმელი: ბეჩი ათიქი (მამულაძე), 64 წლის

36. ხეჭობინაჲ

მაშინ არ იყო შუქი, არაფერი არა და... ხეჭობინაჲ იცით, ხეჭობინაჲ? ვაკალს შუაზე ემეს იქმოდენ და, გამეიღებდენ და შიან ერთი სიმიინდი ვაკალ დამალევიდენ, ამისი თამაში იყო, ზამთარს ისე გავატარებდით, ათი-თხუთმეტი ადამიანი აქეთ, ათი-თხუთმეტი ადამიანი აქეთ, ვინც რომ წააგებდა ხვალ საღამისთვინ, ამაღამ თუ ვიანცხამ წაავო, თხუთმეტი კაცი აქ არი, თხუთმეტი აქა, ხომ?! ყველამ თითო ქათამინა მეიტანოს, ერთ ოჯახში მეტყვრებოდით, იგერ აქა ოცდაათი ადამიანი იმ ქათამის მერე ხილი, ვაკალი, თხილი ყველაფერი იგერ აქა; ერთ ზამთარ ისე გავატარებდით. ასეთი დრო იყო. ახლა

დაკარგული გვაქ. ახლა შუქი მოჰდა, ტელევიზორი გამოჰდა, მობილური, ყველაფერი და საუბარი არაფერი აღარ გვაქ. ისე კარგი თამაში გვქონდა რომე, რომ დაღამდებოდა რატომ დაღამდაო, ხაპიდან, კვახი ხო არი, გავაკეთებდით სათამაშოს. იგერ იმით გავაგორებდით, წევდოდით ასე ორი კილომეტრი იქით, ასე მოჰლოდით, ან ფეხსაცმელს ასე ტუფლებსა გევხდიდით, შილას ჩავყრიდით, მანქანას გავაკეთებდით, ევდოდით, ჩამევდოდით ასე, მერე ჩვენ ჩვენათ იმას გავაკეთებდით ზამთარში, ციგას. იმით ვიცურვევდით. ხიდან გავაკეთებდით და დავამაგრებდით ზეიდან ფიცრებს და მემრენაც ასე გვერდებზე დავცურდებოდით. ასეთი რალაცეები გვქონდა. მარხილები გვქონდა, ტყიდან შეშას ჩამოვტანდით. ასეთი ისტორია გვაქ.

სულპიე

მთქმელი: ბეჩი ათიქი (მამულაძე), 64 წლის

37. ბუნება

დღეს კარგი ამინდია: ცა, ზითვალი, მზე, ღურბლი, ღურბელა, თვარე, მასკლიავი, წვიმა, ხოშკაკალაჲ, ნამავს, დაქუხა, ქუხვილი, ციციელი⁹², სარტყელი, ცის სარტელი, ბუქი, გაბუქდება, თოვლი, გაყინავს, ყინული.

ფეჩი, შეშას ვანთობ ცეცხლი; ნაცარი, ნაკვერცხალი; ტყეში შეშას ვჭრით ცულით. გამოვმორავთ, დავაბობთ; აქა ნაძგვი არ არის და მაგრამ იმას გავს. ჩვენ გამოსხვივებული სიტყვები არი, საქართველოში ნაძგვ ეტყვიან, ჩვენ აქანაცა კატარ ვეტყვით. მერე სოჭი, წიფელა, ცხემლა, ლევი.

ცხოველები და ფრინველები: ირემი არი, დათვი, გელი, მელაჲ, ქურდელი, ამა თიანი ემიები ცოტაა, ჩიტები ცოტა არიან. ქორი, ყორანი, მტრედი, წერო...

ძალლი არ მყავს, მაგრამ მიყვარს. კატა, ქათამები მყავს, ხუთი ქათამი. დიდვანი, ბატი არ არი უფრო დიდვები რა არი?

მცენარეები: ვაშლი, სხალი, ბალი, კაკალი, თხილი; ადესა ყურძენი: ლერწი, ვენახი, ფესვი, ტევანი, ტანი, ფურცელი//ფოტელი, ჟვერი, დავსხალავთ ზამთრიდან გაზაფხულზე შესვლი დროს.

სულპიე

მთქმელი: ბეჩი ათიქი (მამულაძე), 64 წლის

38. ჩვენი დიდვანები დიდი კაცები ყოფილან

ჩვენი დედები, დიდვანები გერჩეჟთან დიდი კაცი ყოფილან. ჩვენ დედების ამბი, ყაირეთი, ჩვენ რომ გვქონდეს, არ ვიცი დაა, ახლა მთელ დევლეთ ხელში ჩვენ გამოვლედით!

ჩვენ რომ დედების ბადიში ვართ, ის კაცები იმფრად ერთმანეთი იკაუბდენ რომ აქ მოსულა მესელა ხუთუ ხანე, ქოს კოჯა ქვედა სოფელზე კუდიანებზე აყუდებულან, სოფელში არ შემოუშვიან, ონ ბემ ხანე თემელი, დიდი მოსაქმური ყოფილა, დიდი

⁹² ელვა?

ჯესარეთი კაცები ყოფილან. მაშინ, ადექი გურჯისტანიდან, აქ მოდი – ჩეთინი საქმეა, ვალად, ბილად, თალად! მოვდენ აქა, ჰილმიეს, დაჟდენ, დედწყეს საქმობა, თურქულად ცხოვრება, ამა ლაპარაკი შეინახეს, გურჯიჯა არ დახკარგეს. იმისთუნ ვჩივი, რომ იქ ის ჩვენი დიდვანები დიდი კაცები ყოფილან.

ჰილმიე

მთქმელი: ნევბათ თერ, 71 წლის

39. ამ ჩაჩანეჲ კუდიანები–დიე, რატომ ვეუბნებით

კუდიანები რატომ ვეუბნებით და, ეს ჩაცმა ჩვენგან გონჯი აქვან, ჩვენ უქონელი ხალხი ვყოფილვართ ამა, ლამაზად ჩუტიცვევით. ეს ჩაჩანები – აფხაზებ ვეტყვით ერთი... გეცოდინებინ: ის აფხაზები ყოფილან, აფხაზები და ჩაჩანები ყოფილან, მეორე ან მესამე ხელზე იცვემდეს, ესკი რაცხები, ჩამოგლეჯილი რაცხები.

ჩვენ იქიდან დუუსტავლიან შალის ჩაცმა, არ იცოდნენ შალი, შალი შეკერვა ბილა არ ცოდნინან, შალები ქონიან კუდები ქონია შალები, იმიტო კუდიანები უძახევდენ, მამლი კუდივით ყული ქონია. კუდიანი იმიტომ ქვიან ძანე. ჭო, ახლა, აგერ აქ ხალხი ვართ, იმათიდან თუ არიან, ეს ვინ არივო, იკითხავ – ეს კუდიანია ვეტყოდით. იმას მუხბდემელი ჩვენ ემეს მივახდენდით – ვინ არი.

ჰილმიე

მთქმელი: აჰმედ თურქენ, 70 წლის

40. სიმინდ ნალიაში დაჟკიდებდით

სიმინდ ნალიაში დაჟკიდებდით; ბზე – საბძელი გჟქონდა, იმაში დავყრევდით. საბძელი სახლის უკან არიდა, ქვეშ საქონელი არიდა, ზედან საბძელი. ბელელში საჭამად შეყრიდენ, სიმინდი, პური ბელელში; საბძელულში საქონელისთვინ საჭამადი ზამთრისთვინ, მესელა ჩალა იყოს, ბზე იყოს, ბალახი, მოკონვილი ბალახი იყოს. საქონელისთვინ საბძელი, ინსებისთვინ ბელელი. სხვადასხვა არი. ნალიად სხვა არი. ნალიაში სიმინდ დავყრით, მაღალია. ასე აქ ემიები, გახმება, ქვეშედან ჰავა ემე იყოს დიე, გახმება; ჭერი დაფერილი. მემრე კაცები ტაკვეცებით დაფშნიდენ, ჰა, მემრე–მემრე დასაფშენელი მაქინაი გამევედა, ისიც ყველგან არ იყო ძანე. იმ მაქინაით დაფშნიდენ, ქვეშ ნენეები, ანადები გაასუფთებდენ, იქიდან წევლებდით წისქვილში დავაფქვევდით.

ნალია ოთხ ფეხზე დვას, თავგვმა არ ევდენო. ზედანაც ასე იმ ფეხების თავზე ნალიაში ასასლელად... ხიდან მოხეული თექირი, ის ზედან წამოაწვიმი, იმაზე ნალიად ზედან დაფინე–მი, იგზე თავვი ველარ ევა ზედა, გენიშია ისინი, დირეგზე გენიშია. თავგმა ასე პირაღვმამა ვერ მიდის, ვერ ებლაჭება. თავგმა არ შევდესტო...

ჰილმიე

მთქმელები: იბლეთ ონერ (მესხალიშვილები), 66 წლის

აჰმედ თურქენ, 70 წლის

41. კალათა

ამას თხილიდან გააკეთებენ. თხილის ტანებიდან გააკეთებენ აგერ ამას. აქ დნბლა ერთი სოფელია, იქ ძავლან ბევრ გააკეთებენ. ამას ქვია ჩვენებურა კალათად. იმფო დიდი ზრუგში მოსაკიდველად გოდორი ეტყვიან. ზრუგში მეიკიდავ წეილებ, იმას ქვია გოდორი. ამას ქვია კალათად, ამათი დიდვანებიც არი, აქზე დაკიდული არი. იმ გოდორზე პაწად და ამაზე დიდსა გორიცაა ქვია, გორიცაა. ორტოტაა ის, ფცკერი იმფო მიწროდ აქ იმას, იმას ყანაში მესელა წასლიხან, მოსლიხან ლამაზად დადგება, რაცხას ჩაყრი წეილებ, მეიტან. კალათაზე დიდია, გოდორზე პაწად.

შინაური თხილი არნა იყოს. შინაური თხილიდან არ იქს. ახლა ჩვენ ვჭამთა, მოჭკრიფაჲ ვჭამთ ბალჩეებში გვაქ, ყანებში, იმიდან არ იქს. ტყიებშინა მოჭრა. ხმელი არ იქს, ნედლი, ხიებში წყალი შესლამდინ მოჭრიან, გახდიან, აგერ ამ ტკეჩ გაამესიქმენ, მერე იმა პაწად ხან წყალში დააწვენენ, დალბესჲლო, მემრე დაიწყობენ მოქსოვნას.

ამას ჩვენებურა ტარი ქვია, კალათას ტარი, ეს არი კავი, ხეზე ეხველ ვერ იკავებ და ასე დაკიდაჲ, მოკრიფაჲ ჩაყრი. ამას ქვია ფცკერი, ფცკერი ქვია ახლა ამას. ტკეჩი, გაკეთებამდინ ტკეჩი არი. დაგრეხილი, ტკეჩი თავები მოქსოვნილი ძანე, ტკეჩიდან.

პილმიე

მოქმელი: იბლეთ ონერ (მესხალიშვილები), 66 წლის

42. ყარმან ვიჯებით ახლა

ახლა ორი დღე ყარმან ვიჯებით ჩვენ ახლა. პურებ ვჭრით, ხელითნა მეგეჭრა, მანგალი, ასე მოკაკლული ეთი, ქალენა მიეჭრეს ემე, ზოგი ვინცხაა მომფეროდა, ის თირფან ვეტყვით, იმით მოთიბევადა, ქალები ხელით მოჭრიდენ, მანგალით ქალნა მიეჭრა, შენნა მოკონო, მეიტანო ხარმანზე დაყარონა, ხარებითნა ლეწო. ის ემე, ხარებით შებმული ამ სიცხეში სალამომდინ იბრუნე და იყავ. კევრი მოდებული უკნიდან. ასი კონა დუფინონა ხარმანზე, ის სალამობენა მოპირფო, ცოტა გაანიატონა, ქარინა იყოს რომ გაანიატო, კაკალმა დარჩეს სამანი ისე გეიტანოს. ხარებით იმტონი იყო. ონ ბეშ გუნ, ირმი გუნ იმას ვლენევიდით.

ხარებ შაუბამევიდით უკნიდან, ხიდან გაკეთებული, ფიცარიდან, ციცალადან, ციცალად სუბუქი იყო, იმიდან გაკეთებული, აგერ ამ სიგძე, ქტეშედან ასე წვიტ-წვიტი ქვები შეწყობილი, ხარები შებმული, იმაზე დავაჯდებოდით ზედან, დაამძიმოსნა, დაჭრას პურის იმეებიო, ზედან იხოხვებ, იხოხვებ, იხოხვებ, ის შჭრიდა კევრის ქვეშად ქვები, იმფრად პური გარიგდებოდა. იმა, საქონლის საჭმელი იმა ვეტყვით – ბზე, ბზე და პური ისე გარიგდებოდა. ხარებით ბრუნვი, ბრუნვი სალამომდინ იმით, თექნოლოჯი არ იყო. იმისთვინ ჩვენი დედეებ და ბაბოები ძავან საცოდავი, გერჩექ დიდვანი კაცები, დიდვანი აზუმი ქონია, რომ ჩვენი თავი შიერი არ ყოლიან, ტყიები მუღრეჯიან ყანები გოუკეთებიან, ტყიები მოუღრეჯიან, მოუღრეჯიან ისე გუუსხნიან ყანები, ჩვენ მემრე მოსული ვინ მოგვცა აქ ყანები?! ბევრი სიმწარე გუუწევიან. ადრე ისე ყოფილა. ახლა კი კაია, ვოლლაპი!

პილმიე

მოქმელები: აპმედ თაქრქენ, 70 წლის

ნეგბათ თერ, 71 წლის

43. კაპელოღლები ამბავი

ბათუმი ჯუმუშაური სოფლიდან, ათას და ოთხმოცდამეორე წელში დედემ გადმოსულა, ოც წლის ყოფილა მაშინ, ამ სოფელში დამჯდარან. აქაურობა ტყე სოფილა, მაშინ ტყე მუუჭრიან სახლები გუუკეთებიან, მოჭრილი ადგილებიდა ყანა გუუკეთებიან, საჭამადები დურგიან დუუთესიან. ეს ჩვენი სოფელი, თუჭეჭი ქონალი, ამ სოფელსა ძტელი სახელი ქვია წაწარქო, ძტელი სახელი წაწარქოდა, წაწარქო, რა თქმა არი, აბაბურა სახელია, აწაწარქო, აბაბები ყოფილან ამ სოფელში.

მემრე ჩტენი ქართულები რომ აქ დამჯდარან, დედიები, მოსამქე კაცები, მოსაქმე კაცები რომ არიან, აბაბები აქედან წესულან, სხტა სოფლებში წესულან, ჩტენ დედეებსა აქაურობა ლამზბად... საიფ ეთმიშლარ; ძალიანაც ჩტენობურა ვერ ვაფერავ, მემრე გადაფერავ თქვენა. სოფელმა, ასი ხნე იყო აქა, ასი, ასი ოჯალი, ამ სოფლის ასი ოჯალი, ნელ-ნელა მემრე მემრე მემრე ქალაქებში, დიდვან ქალაქებში წევდენ საქმესთვინ, დაპაწავდა. მერე ათი წელიწადია ახლა სოფლებში ხამიდან-ხამიდან მოდიან აქ ცხოვრობენ, აქა ოჯალებ ამენებენ.

სხტა, პაწად თქვენც რაცხა მკითხევით, და მე თქვენ გისმინო, ქალბატონო, მოხველით ჩვენ სოფელში, კეთილი იყოს თქვენი მოსლა. გერმელადთ მოხველით, გერმალადთ გაგაგზავნოთნა. რა ვთქვა სხუა. ჩტენ სოფელში, წინ-წინ იმფო ბევრი სოფლებში საქმობდენ, ტყიებში, ტყიებში საქმობდენ, მორჭიდენ, თავრობას მემსაურებოდენ, ფულ იქიდან ღობილობდენ, იქიდან ცოცხლობდენ. ახლა ამფრა იმფო დიდვან ქალაქებში წევდენ იქა ქარხანები გასხნეს, დიდტან დიდტანი ქარხანები, ავეჯეს აკთებენ. ინეგოლში ჩვენ დიდ ქალაქში, იქა ჩვენი სისხლები ბევრი ეკონომიში ემიობა აქვან, მოგობა აქვან.

აქ გადმოსლის ემე გითხარ ამა ჰაიდან გადმოვსულვართ არ მითხრომიან. ჯუმუშაურის სოფლიდან გადმოვსულვართ, ჯუმუშაურში იქა ჩვენ კაპელოღლებ გვეტყვიან. ფუტკარაძების კაპელოღლები, ფუტკარაძები ბევრი არიან. ... მე ახლა რაშ ვიჯები, მე ჩემი თავი გითხრა, მე სახელი მქვია მენნანად, თქვენში ქალბატონებ მანანად, მეაც აქა მენნანად. მეორე სახელი ფორთოქალი, ფორთოქალ, მენნან ფორთოქალ ფუტკარაძე, 64 წლის. ამ სოფელში თლად იქიდან გადმოსულები ვართ, აქა სხტა ხალხი არ არიან. ყველა ბათუმიდან გადმოსული, შუახევის ადგილებიდან, შუახევის სოფლებიდან გადმოსულ არიან. ამ სოფელში სხტა ხალხი არ არი.

ცოლი მყაჟს, ანად ბაბოდ ოთხი წელიწადია, იმათმა ის გავაგზავნეთ იქით ისენი... სამი ბიჭი მყავს, სამი გელინი მყავს, დოდოფალი, რას იტყვიან? ძალი, რძალი. ხუთი ბადიში მყავს, ოთხი ბიჭი, ერთი ციცად. სახელები ჩავთვალო: ალიად, ჩემ ემიასი სახელია; სეიფეთინად, ჩემ ბაბოსი სახელია; იუსუფად ჩემ დიდ დედესი სახელია; ემირ ქანაი არი ერთიც, ემირად; ერთიც ალიად მყაჟს, ელია გოგო. ჩვენ ელია გოგო დავარქვით, მემრე თქვეს რო ალია იყოსო ისო, მე ელია გოგოს ვებნები იმას.

დექარი თუფენქიქონაქი

მოქმელი: მენნან ფორთოქალი (ფუტკარაძე), 64 წლის

44. მე რუმ ძალი მეყვანე, მისი ხებერი

მე ოცდარ წელზედ მეტყვანე ძალი,⁹³ ჩემ ნენემ სწმი გოგოსი სახელი დიმიდვა წინედან, ნენემ. ანემ არა – ნენემ: ნენეტო, აქედან რემელი გითხოტო შენო? – ჩემ ნენემ. მემრე ახლა რომ არი, ახლა რომ არი, ჩემთან არი ახლა, ის ახლა ზედთ საზაფხულო მაქ და იქ არიან ახლა, პაწა ხანს უკან უდა ჩამეტყვანო. მე ის მომწონდა.

ნენევ, მე ის მითხოვეთ-მეთქი.

ასე ორმოცდაროი წელიწადი გახდა ერთად ვართ – ბაბომ ჩემ სიმამრსა, ქალაქში, სირბილში უთხრომია, რომე ჩემ ბიჭისთვინ შენი პრატი მინდატო. სიმამრსაც ჩემი თავი მე რომ დასახლებული არ ვიყავ, მაშინაც უყვარდა ძალიან. სიმამრსა უთხრომია სეფ ოლ, მოგეცი გითთიო. მე მაშინ ვიყავი ოც წელიწადში ვიყავი რომ დევნიშნე, ბეჭედი წამომაცვეს, ოც წელიწადში ვიყავი. ჩემი ემეს, ცოლი ვეტყვით ჩვენ აქა, ცოლიც ჩემზე ექტსი წლით პაწად იყო. ჰემე პაწადა, გოგოდ. მე არნა გევეთხოვნო, არნა გევეთხოვნო, მემრე ნელ-ნელად შავაჩვიე. ბაბომ რომ მოთხოტა მის ბაბოს, მიცა, მემრე ბაბომ, ეშიამ, დედემ, ნენემ, დიდვანებმა მივდენ, მოთხოვეს და ისა მაშინ ემე იქნა, გედეიკოჭა, ასე გედეიკოჭა. იმითი სოფელი, ჩემ ცოლი სოფელი, ჩვენობურია, მერე აბაზების სოფელში იყო, იქ დაბადობულიყო, იქ გამზდარიყო. ხო-ხო, იქ დეიბადა, იქ გეიბარდა. რომე ბეჭედი წამომაცვეს, ერთ წელიწადს უკან ქორწილი ვქენი. ქორწილში ლამაზად ჩაცმული. მერე რა დამემართა, ჩვენ მაშინ, ჩემ ქორწილში:

ჩემი ბაბოდ ძალიან ქორწილებში მოსამე კაც იყო, ძალიან ლამაზათ იცეკვებდა, სულ ფეხითითებზე იცეკვებდა. ქორწილზე ლამაზად მოვრთევით ქორწილი, ამელამ ქორწილია, ტაიას გელინმა მოკდა. ეს ძალიან ემე იქნა... საჭმელები გაკეთდა, მოტდა ემე მოტდა, გელინი ავათ იყო, ტაიასი გელინი, თქვეს რომე მოკდაო, ვერ გადარჩაო. მოდიან ხალხი, სალამოზე სახში მოდიან, ოზოში მოდიან ვიცეკვოთნა, ვისერნოთნა. ეე, ჯენაზე რომ გამოჩინდა, მოთავდა, შიან შეველი და საბძელში ვიტირევი, საბძელში შეველ, ვიტირე, რატონ? ქორწილი აღარნა იქნას. ქორწილი აღარნა იქნას. რატონ? სიმწარე არი. ერთერებიდან ჩვენ ველარ ვიცეკვებთო. რა იქნა, მიერე დღეს გელინი ჩაჭფალით, იმ ვინცხამ ჩაფლა. ხალხმა გელინიზა, ართმევაზე წეველით, ის ვინცხამ რომე მეზერლულზე მიველით და ჩავფალით, ვინცხა იყო იქა ერთად გელინი აწევაზე მიველით, მეტყვანეთ.

წფერი დაკრული არ მაქ ჩემ ქორწილში, ცეკვა აღარ იქნა, მიორე დღესაც აღარ იყო, ჰინ აღარ იყო. მაშინ იმტონზე ემე იყო რომე, დათლა იყო, დათლა, მე ქორწილი გელინმა მოტდა სახში, იმ ღამეს მეველუდში ვიყავი, იმ ღამეს მე დალოცვა იყო, ჯენაზეს სახში, ოჯალში, იქაც მეაც დალოცვაზე ვეველ იმ ღამეს. მაშინ იმფო ემე იყო, დათლა იყო, იმფრო დათლა იყო მაშინ.

მუქარი თუფეჩიქონაქი

მთქმელი: მენნან ფორთოქალი (ფუტკარაძე), 64 წლის

⁹³ ცოლს გულისხმობს!

45. თუფექჩიქონაქი რაფრა დიეთქვა

თუფექჩი ქონალი, ძველი სახელი წაწალქ

ოია, მარა ათათურქი ჩამოსულა. ათათურქი დარჩენილა ამ სოფელში ერთი საათით, საჭამადი ხო გამოუტანიათ დედე-ბაბოებს, სოფლისი სახელი უკითხვია და უთქვამს ეს რა სახელიაო და დუუთქმეგია თუფექჩიქონალი.

დარჩენილა თუფექჩიქონალი - ასე სახელი. ჩვენი ბაბუები ას ორმოც წელი წინ საქართველოდან, მაშინ აჭარადან, ბათუმის შუახევის რაიონიდან ჩამოსულან, სოფლებიდან, ზოგი აქ მოსახლებულა, ზოგიც სხვაგან მოსახლებულან, მარა აქ ჩამომსლელეები სულ პირველი იქიდან არიან ჩამოსული ფეხით, ზოგი გემით, ზოგი ფეხით. ზოგი ჩვენი ბაბოები, კიდო ერთი ბაბოად დარჩენილა გირესუნში, ავად გამხდარა წამოსვლიხან, ველარ ჩამოსულა აქა, და იქ ავად გამხდარა, იქ დარჩენილა იქ დასახლებული ახლა იქ მოსახლებული, შვილები, შვილიშვილები იქ ყავს, კიდო აქედან მიდიან-მოდინ. მერე ბაბოებმა ლამაზ ადგილზე დამჯდარან.

მე ჩამოსული ვარ საქართველოში, შუახევიში, მე ვარ ნაკაიძე, ჩუენი გვარი ნაკაიძეა, დემისიროდლუ ძველი გვარი. მე რომ გედეველი, მე ბევრი ვარ ჩასული ბათუმში, საქართველო ყველადა ქალაქებში, დავლილი ვარ. იქ რომ გეველი, ჩვენი შუახევი და ჩვენი სოფელი ერთი მხარე, არ არი სხუა, ბაბუებსა იქ რაცხაფერი გუგუდიან, აქ ერთნაირი ადგილი უნახვან კიდევ აქ დამჯდარან. შუაში ღელე მოდის, ტყეები, ჭალები, ყანები, ბაღები ასე სერბე არიან, იქ რომ გედევალ, ჰა აქ ვყოფილვარ, ჰა იქ ვყოფილვარ. არ მიჩვენია ყველა ადგილი და. ჩემ დიდ ბაბუასი საფლაფში გედევალ, ნაუხაუ.

იქაც მყაუტს ნათესავები, ახლო ნათესავები მყავს, ბიზაშვილები, მიუტალთ-მოუტალთ. ასი ოჯახია აშენებული, ქართველები ვართ ყველა, ჩვენ შვილებს ქართულას ვასწავლით, სოფელში ვცხოტრობთ, ქალაქშიც მუშაობა გვაქ, ქალაქშიც დავდივართ. მაგრამ ახლა სოფელში ვართ. სკოლაშიც ქალაქში იარებიან ინეგოლში ბავშვები. კიდო სოფელში ვინცხად ცხოვრობს, ყანაში ლობიას თესავს, შავი ფხალი დათესილი გვაქ, ძროხები გვყავს, ცხურები არიან, აქ ტყეში მუშაობენ ზოგი ხალხი ტყეში, არ დავვიკარქია, წესი ერთნაირია. აქედან საქართველოს ვლოცავთ, რო იქავრი ხალხი ჯამთელობად, ბედნიერობად, კარგობად იყვენენ, ჩვენ არ გვიდერდონ, ჩვენაც იმითი თავი არ ვიდერდოთ, ჩვენ აქ კაი ვართ თურქეთში კარგათ ვართ, მარა გვენატრება საქართველო და მალ-მალე დავდივართ. იმის წინა დღესაც იქა ვერ ჩეველით აქ სიზმრებში ვინახაუთ, რომე სიზმრებში კიდო ვნახულობთ საქართველოს, იმ სიყვარულსა იმ სინატრესა სიზმრებში იმას ვიჯებით.

თუფექჩიქონაქი

მოქმელი: ნედიმ სევიმ (ნოდარ ნაკაიძე), 53 წლის

46. საქართველოში ყველა ჩემი ნათესავია

საქართველოში რო ხშირად დავდივარ, ყველა ოჯახი ჩემი ნათესავი ისე მგონია. თქვენაც აგერ აქა ყველა ოჯახი, რაცხამტონი მოსახლეა თქვენი ოჯახებია და ისე იცოდეთ.

დავკარგეთ, დავკარგეთ... მწრტო უბნობით რომე ქართველი ვართ. შვილებმა ცოტა-ცოტა რაცხეები დანიტერესებული არიან... შვილებს ვასწავლით, მაგრამ...

გვაქვს საჭმელები არის, ქორწილები, როგორც ადრენდელი ბაბოების ქორწილები იყო ისე გავატარებთ, პურ-მარილი აჭარული ყველაფერი ვიცით, ოჯახებში ვაკეთებთ. ქორწილებში როგორც უცხოები აკეთებენ, ისე ვაკეთებთ. ოჯახში საჭმელსა: ფხალობია, სვინორი, ხალაჯო, ფიფინა, ჭადი...

აგერ ამ სოფელში ორმოცი ბიზნესმენი არის, ქარნები აქვან, ერთი მეპატრონე აგერ ეს არი. ასეთი ბიზნესმენები არიან, ქარნები აქვან, დაახლოებით ორმოცდაათი ადამიანიდან ორას ადამიანამდინ მუშები ყავან და ამუშავებენ, ავეჯ აკეთებენ, ყველაფერი შუუძლიან...

სულჰიე

მთქმელი: ბეჩი ათიქი (მამულაძე), 64 წლის

47. ხეირიეს სოფლის ხებრები

ჰაირიე და ხეირიე – მაჭახლები ეტყვიან⁹⁴. ზედვაკე, წიფნარი, კოლები, ფეტვიანი, ტალახლოლი, ალიას ქედი... ეს სახელები იქიდან აქ გადმოტანილია, აქ რომ ჩაუთვალე ყანების სახელები ბათუმის ჩიქუნეთიდან აქ გადმოტანილია.

ქელს უკნიდან მწდენი სოფელია იქზე. სამი წელიწადი იქ ყოფილან დედები, დიდვანები. იქ დაწოლილან, დღე გადმოსულან უსაქმიან, აქაურიბა გუუკეთებიან, ბაღჩე, სახლები დუუშენებიან, სამ წელიწადს უკან გადმოსულან. იქ მომკდარან იმათი მეზერი, საფლავი, ქართველების საფლავი ეტყვიან. ჩვენიდან ვინმე არ ალიან იქ, თლად თურქები არიან იქ. ერთი ხნა იმასთან ყოფილან, ერთი ოჯალი იმასთან ყოფილან, ისე უქნიან, სამ წელიწად იქ ყოფილან. აქეური ყანები მათი ყოფილა ზნათენ, არ უყიდიან. ეს ფადიშაპი იყო აბდულ ხამითი, იმის წერილი გვაქ ჩვენ, ეს თქვენ მოგცათ ფადიშაპმა აქეურობა, რომ გადმოსულან.

იმი ბეიდან ღორჯომიდან გადმოსული არიან, ხეზველები. ჩვენებურები არიან.

აქ წაბლები გვაქა, ამა ხმება ახლა, ავადმყოფობა შუუდა. ლემსები აქ, ბუჯგი, დეგესობა აკრებიხან. ბუჯგი შიან წაბლია, იმა ტყავი-ნდა გააძრო, ფეჩში შედებ, პაწად შეწვა, იმას ჭამ მემრე. დაპა კაია, გემრიელი იქნება. გინდა მოხარშავ. გინდა ქესთანე, წაბლის შაქარი გააკეთებ, მეტი ძვირია ისიც. ენ წინ ჩვენ სოფლიდან ერთი კაცი იყო, იმან გააკეთა. ძველად, ასი წლის მგონია მაშინ, თურან ფასთანე იყო იქ ბურსაში, იმან გააკეთა. აკეთებენ ახლა. მე მგონია რომენე, იმაში გაახვევდა ასე ნაჭირებში, იმას მოხარშავ შაქრიან წყალში, ბეიდან პუდინგ მოაყრის, გახდება შაქარი.

ესე – შეკერილი ზუბუნი⁹⁵, დაგრჩება ნაჭარია. პერანგი⁹⁶.

⁹⁴ იქიდან მოსულანო.

⁹⁵ პერანგი

⁹⁶ შიგნით რომ აცია, პერანგის.

ქალიდის ფარა, რკინის ფარა. ნაჭარიტო ვიტყვით იმასაც. რატომ ვიტყვით? თურქებმა არ მიხდენ დიე, თუალ დუუქნევთ – ჭო, ნაჭარი არ მიცე მაგას!

ხეირიე

მთქმელი: სულეიმან ხინკლაძე (ქაზანჩი), 73 წლის

48. რთველობა

რთველობა ახალ წელიწადზე ორი თვით წინ არი. სიმინდი მოვტეხავთ; ლობიებ მოვბურ-დავთ მოვტანთ შინ, პარკიდან გამოუტყვანთ, გავახმოვთ ზამთარში ვჭამთ. ძველათ ბევრი თოვლი იყო, ბევრი. ექს თვეს ვჭამდით, ექს თვეს ვისაქმებდით. მანქანა არ იყო, მე მასხოვს, ვინმეს თრაქტორი არ ქონდა. ორმოცი წელიწად წინ სამი-ოთი გვექონდა აქ სოფელში.

ხარებ შევბამდით უღელში, ჯილღა იცით, თუ? – იმით დატუნდით, სიმინდ დატუნდით. უკნიდან თესლი ჩუყრიდით იმათ, ხელით, ბალნები ვიყავით. მემრენ ხარებით წააყრიდენ იმას. ერთ თვეს უკან ამევდოდა. ორ თვეს უკან გავფხაჭევდით, მეორე გავფხაჭევდით, მემრე ღორებ დავცავდით არ შეჭამონ დიე. სიმინდი როკას გამეილებდა, ქუნჩალაში შიან ხვითრო, ხვითროზე ზედ მიბმულია სიმინდები. ჩალიღერი მოვტანდით სახში, ორალით, ხის არადა, პაწვანი წალღით მოვჭრიდით ჩალას. ბალას მოვჭრიდით, ასე დავღრიკევდით, აინე თოკსავენ, შავკონევდით, დავაწყობდით ასე, კონა გახმებოდა ყანაში, ამეუტანდით სახში, ზამთარში საქონელ მივცემდით. საქონელი: ხარი, ძროხა, ცხტარი...

საქონელი დიდვანი ძროხები, ხარები, მოზვრები გვყავდა. სამი, ოთხი, ხუთი ძროხა გვეყოლოდა, ნაწველი გვექნებოდა. ყველ გავაკეთებდით, მაწონ გავაკეთებდით, ნაჟღერთად გავაკეთებდით – აირანი.

ძროხა, ხობო, ნეზვი, მოზვერი. ნეზვი მოზვერი არ ალი იანე. ძროხას რა ყავსო ვეტყოდით ძველიდან მოზობელს, მოზვერები ყავს, ნეზვივი ყავს ისე ვეტყოდით ჩვენ. ხსენი, მოწითლდეს, სამი-ოთხი დღე ხსენი იქნებოდა, ხობოს მივცემდით. ძროხას დედაჩემი, ჩემი ცოლიც წველიდა კარდალაში, ძროხის ძუძუ, კიდე სხვა კარდალაში ჩაასხმინდა, გაწურავდა, თემიზი, სუფთა ნაჭარი გადღებდა ში ჩაწურევდა. ოჯალში, ბუხარში ჯაჭვი, ასე კანჯა, ჩამოტღევდით იქზე, აადუღებდა იმთე, ძველად.

კავ რას ვეტყვით იცი? ბალი იცი? ასე შორ ტანებ მოწევისწინ, იმას მეიტან, კავი ის არი. პატარა თუ არი, დააბამ ზედ რაცხას, რკინას თელი, დაეწიკები ჩედევი მაში.

ბალი შავი არი, წითელიც არი. ყურწი, ბურკა. ბურკა ტყემალსაცა აქ.

ცხოვრობა კაი იყო ძველად, ახლა ჭანტაბიმ ჩევდა თწელმა ძნელი გახდა. ძველად კაი იყო, კაი ვიყავით, არ იყო თწილი ერთი ვიყავით, მოზობლობაც ვიცოდით. მანიღებში მივიდოდით-მოვდოდით, მანიღი⁹⁷. საფაჩლედ არ წევდოდით, პურის მოსაჭრელად არ წევდოდით, ერთმანეთ დევხმარებოდით იმა მანიღ ვეტყვით. მგონია ჩვენებურია, თურქმა რა იცის მანიღი, კიბე – ხეზე მისაყუდებელია მარტო.

ხეირიე

მთქმელი: სულეიმან ხინკლაძე (ქაზანჩი), 73 წლის

⁹⁷ ნაღს გულისხმობს

49. კაკლისი ამბვები რაფერაა

გობი, კაკალ ჩავყრიდით, გატეხილ კაკალ, ლებან. დავნაყებდით. წყნანის ჩავდებდით იმასაც დავნაყებდით. ანდა ჟავეში, გინდა ფხალში. ხვეწით მოვხეწევდით, გობს გავაკეთებდით.

კაკალ გავრეკავთ რთველობაზე, გრძელი ხაშარით, დიდი გარგანსავე. იმით დუურაკუნებ, რთველობაზე კაკალი ასე გაალებ ხეჭებოს, დუურაკუნებ, ჩამოცვინდება, ძირში აკრიფაჟ. ჩაჰყრი რაცხებში. იქიდან მეიტან სახში. გაფინაჟ, გახმება. გინდა გაყიდე, გინდა არ გაყიდო. გარედან ხეჭებო, შინით კაკალი, ლებანი.

ხეირიე

მთქმელი: სულეიმან ხინკლაძე (ქაზანჩი), 73 წლის

50. სესხობა

კვირის დღეები: დღეს ორშაბათია, სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, ჯუმა, პარასქევი მგონია, შაბათი, კვირა.

წელიწადის დროები: ერთი წელი: გაზაფხული, ზამთარი, გამოსული, ზაფხული, რთველობა. ერთი აპრილი ვიცი, ჩემი დიდი ბაბანე იტყვოდა, ბაბას დედა იტყვოდა, დედაბრების სესხიოტო იტყვოდა. რომენე ბევრი გათოვლდებოდა, აჰა იმთე ხედავ – ასე გვეტყვოდა, – დედაბრებმა კიდენ რაცხა რომელი უნდოდენ ის ქნასო, გაათოვლესო იტყვოდა, გუუწიწებდა ასე ზამთარი. ოთხ თვეს გადაიარდადა ზამთარი, სიცივეფეში დედაბრის სესხი, სესხობა. აპრილი, მარტი, სესხობა: ესე არი ისი, რომე, ერთი კონიჯი ვინცხა ყოფილა, მცხუარი ძალიანი ყოლებია. მარტი გასულა–ქი, ე მცხუარი კარქათად, ლამაზათად შუუნახვია. მემრენდა, აპრილი მოვდა და გამოფინა მცხუვარი დაილაზედა ლამაზ–ლამაზ. იგზე, ერთი უშაირნია იმ კონიჯისა, ქი:

„იმფრათ გევდა მარტი მურტივო,

ვერ მიმაკლო კრავის კნუტივო!“

ამფერ უშაირნია და, გუუგონია ესე მარტსა. აპრილისად უთქმია, რომე: მეგზე ერი კონიჯი რუმაა, მევისი ჯავრი ამომფუვლდა, ერთი–ორი დღე მასესხევიო. უსესხებია იმ აპრილსაც, სამი დღე. ჰელე, დუუშვა იმ მარტმა ხომეკვალაა, დუუშვა–დუუფინა, დუუფინა და ჰეფთენ ჩუუცვითა იმ კონიჯის მისი მალი, მცხუარი რაც რომ ყოლებია. ეგია სესხობა. ეს სახელი იმფრად დარჩენილა.

ხეირიე

მთქმელი: სულეიმან ხინკლაძე (ქაზანჩი), 73 წლის

51. რაცხა–რაცხიები

თებერვალი ბერავს,
მარტი კაბას კერავს,

ნოსანი⁹⁸ ჩეიცტაუს მაისი დაფლეთს.

სესხები გაზაფხულია, ერთი ჰაფთა არი, ონ ბემ გუნი არ ვიცი ის, სესხები გამოჟდა ზაფხული მოტა.ახლა ვლაპარიკობთ, გუშინ ვილაპარიკეთ, ხვალაც-ნა ვილაპარიკოთ. ტყეში წიფელია არი, მუხა არი, კატარია, სენაბერია. სენაბერი ქოქნარ ეტყვიან თურქჩა, სოჭ ეტყვიან, ჩვენებურა სოჭი, სენაბერიც გურჯიჯაა. აქ ტყე ბევრი გვაქ.

თა – მთა. ჩვენ თას ვუძახთ.

ძროხა და ცხვარი, გელი იქნება, მელაჲ, კურდღელი, დათვიც არი, ღორიც ბევრია, ღორს მოკლენ ამა, აქ არ შიჭამენ, გადაადგებენ, ძაღლებ მისცემენ. მარტო კურდღელს ვჭამთ ჩვენ. ავჯობა არ მიყვარს მე, შემეცოდება გაქნევა, მოკლა. ესროლა გეიქნია, თოფი ესროლა თქმა არი. თუ ესროლა მოკდება, თუ მოხდა.

ცხენის ნაშობი კვიცია. კვიცს ასე აჩვენებენ:

სემერ დაადგემენ, პილლაჲ ცარიელ შემერთ შეიყვანებენ-მეიყვანებენ, მემრე პატარა გოდორი ვეტყვით, გოდორ მოჰკიდვენ, შიან ცოტ-ცოტად რაცხეებ დადებენ, დეეჩვიოსო, ისე დააჩვენენ, ზედან კაცი დააჯდება. პილლაი არ დააჯდება, რომ არ გადამაგდოსო. ცხენი დააჩვია თქმა არი.

ქათამი – გარედან ბურღლა აქ, ნიკარტი აქ, ბიბილოჲ მამალ ექნება, ჭანკი ძაღლსაც აქ, ასე დაბჭკალავს ვეტყვით, ბჭკალი. ჭუჭული.

კატა – ცინტალი

ძაღლი – ლეკვი

ეს არი – ღოჯე⁹⁹.

მუხით ჭედვენ სახლებს. პილლაი ხე¹⁰⁰ იყო.

ზეთჲალი ამოვიდა – დილა, დადამდება – სადამო, შუადღე, შუალამე, თენდება – ზენა ამოჟდეს. ხევსი – ქავალთი, ცოტად, პაწა ჭამა დილაზე. სადილი¹⁰¹, ბარმელი, ვახშამი.

გუშინ ლობიად მოვრწყე, ტალახიანი ურბები მქონდა და ისინი ჩევცვი, იქვე ერთი ფიდანო დავრგე მე, იმა ღობეს ვუღობევდი ბაღღებმა არ იმა ქნან-მეთქი, ქუტები დავდე იქვე და ტუარმა არ წაიქცეს-მეთქი, ის თაა მევთავე თქვენ მოხველით, შინ მოვდიოდი დანე.

გელუბაჰჩე

მთქმელი: თევრან შირინ, 65 წლის

52. ჩვენ ხულოს ღორჯომიდან ვართ

ჩვენ ეს სოფელი ბინ ეთმიშიუმ დეთმიშ-სექიმ-იეთმიშდოქუმ – მიხდით თუ არა? – დოქსანუჩ ჰარბინდენ – მაშინ წამოსულან. ჩუნები ხულოს ღორჯომიდან... ჩენი ანა

⁹⁸ თურქულად ამბობს აპრილს.

⁹⁹ კედელი

¹⁰⁰ შორს გულისხმობს

¹⁰¹ დილას ჭამს

ტარეფი ჭალოლლი, ბაბა ტარეფი ჯოლოგოდლები. ჩვენ ასე ვართ. მე ჯამეში ვიყავი, ხოჯათ ვიყავი, მევითავე, ემეკლი ვარ ახლა. გამოველი ეხლა, მევითავე... ისტამბულში ვარ, ზაფხულსი აქ მოვალ. ჩემი სოფელია აქ. ღორჯომელი ვარ. იქ წამოვეით, სამ –ოთხ დღე იქ ვიყავით; მევიარეთ იქაურობა. ჰეფ კაი სოფელია, ხულო, ღორჯომი, ბათუმი – იქაურობა კაი მევიარეთ. ხალხი ყველაფე ვიცანეთ, ველაპარიკეთ, იშთე. რაფრაც რომ ახლა შენთან ვლაპარიკოფ, იმფრათ.

მე მქვია იბრაჰიმ მემიშ, ლადაბი ჩემი – ჭალოლლი. აჭარლები ვართ. სულ ბევრი აჭარლები – ისე გვეტყვიან. ჭალიოლლი ჩაირლი სულალესი... ახლა, მესელა იმეთ ჩაირლი ვარ მესელა. დიდვანებმა მოკდნენ. ჩვენი დედები სულ ფეხითა მოსულან აქა დამჯდარან. მემრე ერთი ძმა აქედან ქუეთ ემრეში დამჯდარა, იქ დალაგებულა. სხვა სოფელია. ახლა, ზოგი იქ არიან ჩუენები, ზოგი – აქა. ამა სუყველა ბადიშები, ბაღვები მისწრეს, ახლა... ერთმანეთს არ ვსნობილობთ. იყოს ამდონეთი!

ფევიე

მთქელი: იბრაჰიმ მემიშ (ჯოლობოლლი), 63 წლის

53. მადლობა, ბიძა!

- ღორჯომიდან ხარ?
 - ვალლა, ჩემი ბაღვმა ისის და მე ა ვისი... ბაღვი ყასაბაშია, საქმობს. მოი ასე, მოი, მოი... ეს ჩუენი დედეა. იეთმიშსექიმ იაშინდა.
 - იეთმიშსექიმ ჩვენებურა რაფერია ვთქვათ?..
 - სამოცდათვრამეტი.
- ჩვენებურა დეისწავლე: ერთი, ორი, სამი, ოთხი... ათი.
- ჩვენებურები არიან, გალიბა... აი, აგერ კუდიანი ეს არის. ჩვენებურების სიბეა. შარვარი ასე ჰქონიათ კუდიანი იმისთვინ კუდიანია. თუ გურჯია კაია ჩუენიდან არი, თუ არა კუდიანია. აგი მესხია. ახისკა... ჩვენებურია ჩვენ ახლოს ალაგიდან წამოსულა. ამასა მოხედეთ, ერთი. ერთი იქიდან აკეთე მემრე... ია შენ გენჩი ხარ. ჩუენზე უმფო ბერი არ ხარ.
- აი, ა დუზველი ხოჯას რა ჰქვია?
 - ფევიე... თქვენი სოფელი ფევიეა მე ფევიე ვარ.
 - ფევიე ჰოჯა, მემედა ალი შენ თანიორმუ დუზვედან?... ლაბოლლი ლაბო...
 - რას საქმობს ის? რომელ სოფლიდანაა?
 - ვალა... აგერ ა ტყეში საქმობდნენ, ტყეში მოდიოდნენ... ჰერქებ თანიორ. ძალიან ავუჯი კაცია, ავუჯი... ლაბ, ლაბ!
 - როდის წეხვედი შენა?
 - სამ–ოთხ წელწადია. აბა, რა... სულ კარგ დღებე მესველიო, მესწარიო.
 - ზაფხულ იყო?

- ზაფხულ იყო, თაბე წევვლით...
- შექერ მემეცი.
- აი, აი, აილე!
- თუ არი, პაწაი ჩიმისხი ჩაი.
- მადლობა, ბიძა!

ფეხბიე

მთქმელი: ჰუსეინ ბაშიოღლუ, 60 წლის

54. ხილი – მევე რაფერები

თელი არი: ვაშლი, სხალი, თხილი. ყურძენი, ადესაი ყურძენი– ჩვენებური ყურძენი, კაკალი, წაბლი, წინ–წინ წაბლი ბევრი იყო, ახლა წაბლი აღარ არი. გახმა. ერთი ჭირი მოუდა გახმა, წეიდა. ჭირი – ავადყოფა. შენი ჭირიმო ვეტყვით... დედაბრები იტყოდნენ ისე, ნენები. შენი ავადყოფობა ჩემი იყოსო, შენი ჭირიმო... სხვას რას ვეტყოდით ბავშვსა? შენი ჭირიმო, ჩემი კუკულო, კუკული... კუკული ლამაზი სახელია. საყვარელი იმეზია ესენი...

სხალებია ესენი, კი. ბარაქაი სხალი არი, გოქსული არი, ბებრე გოქსული არი, თავრაჯული არი, ტალყირანი არი. ვაშლი: სინელმა არი, ჰუსეინელმა არი, ბოხშვაი არი... ფქვილაი, ფქვილაა იმთე. ბალია ესე: ყირმიზი ბალი არი, შავი ბალი არი. სუყველა მოა. ახლა ბალი ძალიან ბევრი ჩეშითია. ბირაათ ბაი. გადაჭრა სხვა სხვაია. გაბევრდა. ჩვენებურა სახელი არ ჰქვიან მაგას თურქჩესი ნაფოლიონ. თეთრი ბალი. თეთრი ბალი ძუელი ბალია. მემლექეთიდან მოსული თეთრი ბალი.

გადაანამყევებ... გაბევრდება! უმფო კაი გახდება. როგორ უნდა გააკეთო? ასე დაჭრი, ხეს გაჭრი, ამამეც გახეთქავ, კალემსა წუწუწერებ, მემრე იქ ჩადებ. ყალემი მოტეხე. აშინა ქნას. აჰა, ასე აში... ხომორს ასე გადაჭრი, ხერხით გადახევე. აგერ ამის ყაბულში, აგერ ასე ჩაასვებ... შაახვებ, მიწას შააყრი შიან. გეიხარებს, წევა. მიწა უნდა ჩააყარო, დააყარო მიწა. ლამაზად ერთ ფოშეთით შამოახვევ გადხება ლამაზი აში. ისე გახდება. მესელა აგერ ესა თეთრი ბალია, აგერ ამამე შავ ბალ გადაჭრი, შავი მეისხამს. რაცხა ხე არის, დუნდასი თელვე აში გახდება. გადაანამყევებ. ბალი და ვაშლი? – არ იქს! ვაშლი ვაშლზე, სხალი სხალზე, წაბლი წაბლზე, კაკალი კაკალზე. ბალი და ვაშლზე მი? არ იქს, არ გაკეთდება, არ დეიკავებს!

ფეხბიე

მთქმელები: იუსუფ დარჩიძე, 65 წლის

ჰამზარ იაშარ, 76 წლის

55. აკვანი და ბაღვის ხებერი

აკვანში ბაღვსა დააწვენ იქ შიგან. აქზე დასაბმელი თოკები აქ ამა, აქში შიგან დოშეგი აქ, დოშეგი, აგზე შუაზე ემე აქ, გეჯი, ქოთანი, თიხი ქოთანი, დააწვენ აგზე შიგან, ესენი ასე გადასაკრავია, გადასაბმელი, ღარჭი აგზე დაწოლილი, აქედან თოკი შამეიბენ, აგზე

დააკოჭებ არტახით. აგზე შეშები არი გაყრილი ასე, ესენიც არი აგზე, აჰა. ახლა ეს არტახზე თოკი უნა გადავაკრა, ეს აგზე უნა გადავაბა, ეს აგზე დაბმულია ასე, ახლა აგზე ღარჭი წევს, ღარჭ გადაახვევ ასე ამას, ამ თოკ, აქედან წამეიღებ, აგზე დააკოჭებ. არტახის თოკი არი ისა, ეს არი არტახი, ღარჭი არ მეეშვასო აგზე, ღამეში გეიღვიძა, გააქანებ, დეიძინებს.

